

სიმონ ყაუხჩიშვილი

# ანტიკური ლიტერატურის ისტორია

მესამე გამოცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური  
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია  
სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების  
სტუდენტებისთვის

გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი — 1971

ბერძნულ-ქართული ფილოლოგიური შეცნირების  
ერთგულ მსახურთა  
პროფ. პანგელეიმონ ბერაპის  
დოც. მიხეილ კახაპის  
დოც. ნათელა კეჭელაძის  
ნათელ სსოენას უძღვნის ამ წიგნს  
მ ა დ ლ ი დ რ ი მ ა ს წ ა ჯ ლ ო მ ო

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ანტიკური ლიტერატურის ისტორიის მოცულობა. ანტიკური ლიტერატურის ისტორია არის ისტორია ორი ლიტერატურისა: ბერძნული ლიტერატურისა და რომის ლიტერატურისა. თუ ეს ორი ლიტერატურა გაერთიანებულია ერთს სამეცნიერო დისციპლინაში და საერთო სახელწოდებით („ანტიკური ლიტერატურის ისტორია“) ისწავლება, ამის მიზეზებია შემდეგი:

1. საბერძნეთი და რომი — ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც შექმნეს ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმა მონათმფლობელური საზოგადოებისა, იმ საზოგადოებრივ, რომლის ეკონომიკა ემყარება მონის შრომის ექსპლოატაციას და რომელიც წარმოადგენს კლასობრივი საზოგადოების პირველსა და უძველესს სახეს. ეს საზოგადოება ვითარდება უშუალოდ წინაკლასობრივი, საგვარეულო საზოგადოების დაშლის პროცესში. ი. ბ. სტალინი მა განმარტა, რომ პირველყოფილ-თემური წყობილების გადასვლა მონათმფლობელურ წყობილებაში გამოწვეული იყო საწარმოო ძალთა განვითარებით. „ასეთი საწარმოო ურთიერთობანი — ამბობს ი. ბ. სტალინი — შეესაბამებიან მწარმოებელ ძალთა მდგომარეობას ამ პერიოდში. ქვის საზოგადოების ნაცვლად ახლა ადამიანს თავის განკარგულებაში ჰქონდა ლითონის იარაღები, ლატაკური და პრიმიტიული სამონადირეო მეურნეობის ნაცვლად. რომელმაც არც მეჯოგეობა იცოდა და არც მიწათმოქმედება, გაჩნდა მეჯოგეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, წარმოების ამ დარგებს შორის შრომის განაწილება, გაჩნდა ცალკეულ პირებსა და საზოგადოებებს შორის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა, ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობა, უმცირესობის ხელში წარმოების საშუალებათა ნამდვილად დაგროვება, უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებაცა

და უმრავლესობის წევრების მონებად გადაქცევის შესაძლებლობა“<sup>1</sup>. მონათმფლობელური საზოგადოების გაჩენა და განვითარება, მისი ზრდა და მისი დაცემა, მისი გადასვლა ფეოდალურ საზოგადოებაში — ყველაფერი ეს წარმოდგენილია მთელი თავისი სისავსით საბერძნეთისა და რომის საზოგადოებაში, თანაც ისე, რომ საბერძნეთში ჩასახული და განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოება რომის იმპერიაში პოულობს საბოლოო ჩამოყალიბებას; „თუ მონობა არ ყოფილიყო, არც საბერძნეთის სახელმწიფო, ხელოვნება და მეცნიერება იქნებოდა; თუ მონობა არ ყოფილიყო, არც რომის იმპერია იქნებოდა; ხოლო ბერძნებისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საძირკველის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა“<sup>2</sup>.

2. რომის ლიტერატურა წარმოუდგენელია ბერძნული ლიტერატურის გარეშე. ფრ. ენგელსის ზემომოყვანილი სიტყვების მსგავსად შეგვეძლო გვეთქვა: თუ ბერძნული ლიტერატურა არ ყოფილიყო, არც რომის ლიტერატურა იქნებოდა. რომის ლიტერატურას დასაბამი მისცა ბერძნულმა ლიტერატურამ. რომი გამოდის ლიტერატურის ასპარეზზე მაშინ (IV—III საუკუნეთა შიჯნაზე), როდესაც საბერძნეთმა უკვე გარკვეულ სიმაღლეზე აიყვანა მხატვრულ-ლიტერატურული ქანრების განვითარება და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო და ახალს, ელინისტურ ვითარებაში დასახული ეკონომიური ცხოვრების გზების ძიებაში დროებით შეაჩერა თავისი ლიტერატურის აღმავალი სვლა. რომი III—II საუკუნეებში აითვისებს ბერძნული ლიტერატურის მონაპოვართ და უკვე I საუკუნეში ქმნის რომაული სინამდვილის ამსახველ ორიგინალურ ბრწყინვალე ლიტერატურას, რომელიც აჩვენებს საზოგადოებას არა მარტო რომაელთა მხატვრული შემეცნების-მიღწევებს, არამედ შეაგრძნებინებს მას ძველი ბერძნული შემოქმედებითი აზრის მიღწევებსაც (ვერგილიუსის „ენეიდა“, ჰორაციუსის „ოდები“, ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ და სხვ.).

§ 2. ანტიკური ლიტერატურის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში. ბერძნულმა ლიტერატურამ მოგვცა პოეტური ქანრების ყველა ის ძირითადი სახე, რომელთა საფუძველზე განვითარდა რომაული ლიტერატურა. ხოლო რომაული ლიტერატურის ბრძმედში გატარებული ბერძნული ლიტერატურული ქანრები საშუალო და ახალ საუკუნეებში საფუძვლად დაედო ევროპის ლიტერატურას, რომელმაც უშუალოდაც მიმართა ბერძნულ ლიტერატურას, განსაკუთრებით რენესანსის დროიდან. ასე, ანტიკურმა ლიტერატურამ შექმნა ეპ-

<sup>1</sup> ი. სტალინი, ლენინიზმის სკიოხები, მე-11 გამოცემა, გვ. 689—690.

<sup>2</sup> ფრ. ენგელსი, ანტიღურინგი, თბ., 1933, გვ. 142; მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ, თბ., 1937, გვ. 214.

ო ს ი, ლ ი რ ი კ ა (ელეგია, იამბი), დ რ ა მ ა (ტრაგედია, კომედია), ისევე როგორც პროზის სხვადასხვა სახე. მხატვრული ლიტერატურის ამ სახეებიდან მომდინარეობენ ევროპის ქვეყნების ლიტერატურული ჟანრები, რომლებმაც სახელებიც შეინარჩუნეს ბერძნულ-რომაული: ეპიკური პოემა (ἐπος, ποίημα), ელეგია, იამბი, სატირა (satira), ნოველა (novella) და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, ანტიკურ ლიტერატურაშია ევროპის ლიტერატურულ ჟანრთა საწყისები.

მაგრამ ანტიკური ლიტერატურის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო მისი ისტორიული მნიშვნელობით, არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ მან საფუძველი ჩაუყარა მხატვრული ლიტერატურის ყველა ძირითად ჟანრს, ანტიკურმა ეპოსმა, ლირიკამ და დრამამ მოგვცეს ისეთი შედეგები, რომლებსაც თავისი მაღალი მხატვრული ღირსებით დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მკითხველი (ჰომეროსის პოემები, ვერგილიუსის „ენეიდა“, საფოს მელიკური სიმღერები, ჰორაციუსის ოდები, ოვიდიუსის „ჰეროიდები“ და „ტრისტოები“, ესქილეს და სხვათა ტრაგედიები, არისტოფანეს კომედიები), კერძოდ, ბერძნული ლიტერატურის შესახებ კ. მარქსი წერდა: „...მაგრამ სიძნელე ამის გაგებაში კი არ მდგომარეობს, ბერძნული ხელოვნება და ეპოსი რომ განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთანაა დაკავშირებული. სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ კიდევ ხელოვნებითს სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრულის მხრივ ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“<sup>1</sup>.

3. მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება და ანტიკური საზოგადოება. ანტიკური ლიტერატურის ძეგლებს სწორედ ის გარემოება ანიჭებს მაღალ ღირსებას, რომ მათ შემქმნელთ კარგად ესმოდათ მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება, კარგად ესმოდათ იმიტომ, რომ მოწინავე საზოგადოება უყენებდა მწერლებს გარკვეულ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა ასახულიყო მხატვრულ ნაწარმოებში და რისი ასახვა არ იყო საჭირო.

როგორც მკითხველი დარწმუნდება ქვემოთოყვანილი მიმოხილვებიდან, მოწინავე საზოგადოება კარგად ერკვეოდა მწერლის მიერ მოთხოვნილის აუკარგიანობაში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით: მოწინავე მკითხველი მიიღებდა მწერლისაგან ისეთ ნაწარმოებს, რომელიც თავისი მაღალი იდეურობით ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას, და უკუაგდებდა ისეთ ნაწარმოებს, რომელიც რითმე ბლალავდა ადამიანთა კეთილშობილ გრძნობებს.

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1932, გვ. 32; მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, თბ., 1937, გვ. 31.

ასე, მაგალითად, ჰომეროსის პოემების გარდა არსებობდა მთელი რიგი სხვა პოემები, რომლებიც ბერძენ გმირთა თავგადასავალს უმღეროდნენ. ეს პოემები ჩვენამდე მოღწეული არაა; ბევრი მათგანი დაიკარგა უამთა სიავეში და წელთა სრბოლაში. მაგრამ ზოგი მათგანი დავიწყებას მიეცა იმის გამო, რომ მკითხველმა ისინი არ მიიჩნია ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებებად მათში გატარებული და საზოგადოებისათვის მიუღებელი აზრების გამო.

ერთ ასეთ პოემაში მოთხრობილი ყოფილა აქილევის თავგადასავალი. როდესაც აგამემნონმა, ნესტორმა და მენელაოსმა გადაწყვიტეს ომი გამოეცხადებინათ ტროადელებისათვის, რომელთა მეფის შვილმა, პარისმა, ცოლი მოსტაცა მენელაოსს, მათ მოციქულები დაგზავნეს დანარჩენ ბერძენ მეფეებთან და წინადადება მისცეს, მონაწილეობა მიეღოთ ომში. მოციქულები მივიდნენ თესალიელ უფლისწულთან, ახალგაზრდა აქილეესთანაც, რომლის გმირობა უკვე ცნობილი იყო. მაგრამ — ნათქვამია გადმოცემაში — აქილეესის დედაა, თეტიდას, ოდესღაც უწინასწარმეტყველეს, რომ მისი შვილი მამაცთა შორის უმაჰაცესი იქნებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ომში დაიღუპებოდა. ამიტომ თეტიდას, როგორც კი გაუგია ომი იწყებო, გაუხიზნავს თავისი ვაჟი შორეულ კუნძულზე, სადაც პირტიტველი აქილეესი, ქალად გადაცმული, თავის ბიძაშვილ გოგოებთან იმალებოდა. ბერძენებმა აქილეესი მაინც იპოვეს, ამბილეს შისი თაღლითობა და თან წაიყვანეს ომში. ეს ის აქილეესია, რომელმაც ასახელა ბერძენთა ჯარი თავისი მამაცობით და მრავალჯერ მოაპოვებინა გამარჯვება.

ეს პოემა მოწინავე საზოგადოებამ არ მიიღო იმიტომ, რომ აქ გატარებული აზრი ბერძნული სახელმწიფოებრიობის დამამკიცრებელი იყო: აქილეესი ითვლებოდა გმირთა-გმირად, მისმა მამაცურმა საქმეებმა უძლეველის სახელი მოუპოვეს საბერძნეთს მთელს მაშინდელ მსოფლიოში; ამ პოემით კი აქილეესი მხდალ და ქალაჩუნა ჰაბუჟად ჩანდა. ადვილი შესაძლებელია, რომ დედებს შორის ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებიც მზად იყვნენ ყოველგვარი უკადრისი ხერხისათვის მიკმართათ, ოღობდ თავიანთი ვაჟებისათვის აცდინათ ომში მონაწილეობა, მაგრამ ამგვარი საქციელი მოწინავე და პატრიოტულად განწყობილ საზოგადოებაში ყოველთვის იმსახურებდა გმობას.

ასევე, სხვა პოემაში მოთხრობილი იყო ოდისეის ანალოგიური საქციელი. ეს პოემაც დაკარგულია.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ საზოგადოება უარყოფითად შეხვდა ევრიპიდეს ტრაგედიას „იპოლიტე“, რომელშიც დედოფალი ფედრა, ავხორცი და ვნებიანი, თავის გერს სიყვარულს უხსნიდა (იხ. ქვემოთ გვ. 194 — 195).

ერთი ზიტყვით, მოწინავე ბერძნული საზოგადოება კარგად ერკვეო-

და იმაში, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ყველაფრის გამოტანა არ შეიძლებოდა. მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ შემთხვევის ასახვის კრიტერიუმად ის კი არ უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი შემთხვევა მართლა მოხდა, ან-და რომ ასეთი შემთხვევები ძალიან გავრცელებული იყო, არამედ საზომად უნდა ყოფილიყო მჩინეული მხატვრულ ნაწარმოებში ასახავი შოკლენის ღირებულება საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისათვის.

§ 4. ანტიკური ლიტერატურის შესწავლის ისტორია. ანტიკური ლიტერატურის შესწავლას 2000 წელზე მეტი ისტორია აქვს. ბერძნული ლიტერატურის საკითხთა კვლევა დაიწყო თვით ბერძნებმა ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც ათენის მმართველმა პისისტრატემ სწავლულ კაცთა კომისიას დაავალა პომეროსის პოემათა სიმღერების შეკრება და ნამდვილი ტექსტის დადგენა. მეოთხე საუკუნეში არისტოტელემ რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ბერძნული ლიტერატურის საკითხებს, ხოლო გაცხოველებული სისტემატური მცენიერულ-ფილოლოგიური მუშაობა დაიწყო III საუკუნიდან ალექსანდრიის ნიბლიოთეკაში (იხ. ქვემოთ, § 127); ამის შემდეგ ბერძნები მუდამ აწარჩობდნენ კვლევა-ძიებას. საშუალო საუკუნეთა მანძილზე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ბერძნული ლიტერატურის ძეგლთა დაცვისათვის, ხელნაწერთა სახით გამრავლებისათვის.

რომში პირველი დიდი მკვლევარი იყო ვარონი (116—27 წწ.), რომელმაც რომის ლიტერატურის საკითხებს უძღვნა გამოკვლევები: *De poetis*, *De comoediis Plautinis*, *Imagines* და *De lingua latina* (მოღწეულია მხოლოდ უკანასკნელი, ისიც ნაწილობრივ).

განსაკუთრებით გაცხოველდა ანტიკური ლიტერატურის საკითხებზე მუშაობა რენესანსის დროიდან: საბერძნეთისა და რომის სიძველეების კვლევა-ძიების საქმეში ჩაება ევროპის ყველა ქვეყანა და დიდძალი მასალა იქნა მოპოვებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ტექსტები იქნა მოპოვებული ეგვიპტეში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილ პაპირუსებში, რამაც დიდად შეუწყო ხელი სწორი შეხედულებების შემუშავებას ანტიკური მხატვრული ფორმების განვითარების შესახებ.

XIX საუკუნეში ანტიკური ლიტერატურის საკითხთა კვლევას საპატიო ადგილი დაეთმო რუსეთის უნივერსიტეტებში და რუსულმა მეცნიერებამ ანტიკური ლიტერატურის მრავალი ძირითადი საკითხი გაარკვია.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები (ბელინსკი, დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი) დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ ანტიკურ ლიტერატურას; თავიანთ გამოკვლევებში და კრიტიკულ წერილებში ისინი

ხშირად ეხებოდნენ ბერძნული და რომაული ლიტერატურის საკითხებს, და ბევრი მათგანიც მართებულად გადაჭრეს. ბელინსკიმ, მაგალითად, შენიშნა, რომ „ილიადას“ ახასიათებს მტკიცე ერთიანობა და მხატვრული მთლიანობა (იხ. ქვემოთ, გვ. 53), და, ამრიგად ჯერ კიდევ 1844 წელს თქვა ის, რაც დასაველეთ ევროპის ფილოლოგოსებმა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში აღიარეს.

---



# ბეჩინელი ლეონტი

თავი პირველი

საბერძნეთი VIII—IV საუკუნეებში

§ 5. ბერძენთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. პირველი ისტორიული ცნობები ბერძნების შესახებ ჩვენ გვაქვს მეორე ათასეულში ჩვენ წელთაღრიცხვამდე. პირველად ვხვდებით მათ XIII საუკუნის მახლობელ ხანებში. როდესაც მათ ულაშქრიათ მცირეაზიელ ტროადელთა წინააღმდეგ. მეოცე საუკუნეში წარმოებულმა გათხრებმა მცირე აზიის სოფელ ბოლაჯკოიში და იქ აღმოჩენილმა ხეთურმა წარწერებმა დაამტკიცეს ტროადის ომის ისტორიულობა. ხეთურ წარწერებში იხსენიებიან „აჰჰიაევა“ (ე. ი. აქაველები), „ანტარავას“ (ე. ი. ატრევი) და სხვ.

ამ ომის შესახებ ცნობები შეზოგინაზა ჩვენ IX საუკუნის პოეტმა ჰომეროსმა თავის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“. მართალია, ეს პოემები ტროადის ომის დროინდელი არ არის, ისინი უფრო გვიანი ეპოქისანი არიან, მაგრამ მაინც ძვირფას მასალას წარმოადგენენ იმისათვის, რომ გავეცნოთ ბერძენთა ყოფა-ცხოვრებას უძველეს ხანებში. ამ პოემების მიხედვით, ბერძენთა ცხოვრებას აქვს გვაროვნული წყობილება. ამ წყობილების ის გვიანი ეტაპი, როდესაც გვარში უკვე უთანასწორობა ჩამოვარდა, როდესაც იყვნენ, ერთი მხრით, წარჩინებულნი, ხოლო, მეორე მხრით — მდაბიონი. მდაბიონი წარჩინებულთა იძულებით არიან ომში წამოსული; მთელი სიმძიმე დაშქრობისა მდაბიოთა კისერზე გადადის, ხოლო ნადავლს განადგურებული ქვეყნებიდანღებულობენ წარჩინებულნი; ტყვეების გამოსასყიდად საფასურსაც ღებულობენ აგრეთვე წარჩინებულნი. პოემებში არა ერთხელ არის აღნიშნული, რომ ჯალხი უკმაყოფილოა თავისი მთავრებით.

ბერძენთა ცხოვრების განვითარების შემდგომი ეტაპი ასახულია VIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერლის ჰესიოდეს პოემაში „სამუშაონი და დღენი“. ამ პოემის ავტორი არის მდაბიო ხალხის, გლეხო-

ბ-ს, იდეოლოგი. ამდროინდელ გლესს ძალიან გააჭირვებია, მას „მუქ-  
თახორა მეფეები“ სძარცვავენ. ჰესიოდე ილაშქრებს მუქთახორების  
წინააღმდეგ და რჩევა-დარიგებას აძლევს გლესებს, თუ როგორ გაი-  
ტანონ თავი ცხოვრებაში, როგორ უნდა იზრომონ, რა ურთიერთობაში  
უნდა იყვნენ ერთმანეთთან, როგორ უნდა დააღწიონ თავი ვალებსა და  
შიშშილს.

როგორი ცვლილება განიცადა ბერძენთა ცხოვრებამ ამ ხნის გან-  
ძავლობაში — ჰომეროსიდან ჰესიოდემდე?

გზა ამ ცვლილებისა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ჯერ კიდევ  
ჰომეროსის პოემებში მოხსენებული უკმაყოფილება მდაბიოებისა მათი  
მჩაგვრელების, წარჩინებულების, საქციელით თანდათან უფრო იზრ-  
დებოდა. იზრდებოდა აგრეთვე უთანხმოება თვით წარჩინებულებს  
შორის. ამ გარემოების გამო უნდა მომხდარიყო გადატრიალება, რო-  
მელმაც გამოიწვია ბერძენ ტომთა მართვა-გამგეობის სისტემაში საგრ-  
ძნობი ცვლილება. ეს ცვლილება გამოიხატა იმაში, რომ ბერძნული  
გვარის თუ ტომის სათავეში, ნაცვლად ძველი მთავრისა, ჩადგა კოლე-  
გია მმართველებისა, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ ფუნქციები:  
ერთს ებარა სამხედრო საქმეები, მეორეს — სარწმუნოების საქმეები,  
მესამეს — საკანონმდებლო საქმეები და სხვ. ჩვენ გვაქვს ცნობები,  
მაგალითად, ათენის შესახებ, რომ იქ მმართველთა კოლეგია შედგებო-  
და ცხრა არქონტისაგან: „პოლემარქოსი“ — ომის საქმეების გამგე,  
„ბასილევსი“ — სარწმუნოების საქმეების გამგე და უცხო ქვეყნებთან  
ურთიერთობის დამკვირი, „არქონტი-ეპონიმი“ — შინაური საქმეების  
გამგე, „თესმოთეტები“ (რიცხვით 6) — საკანონმდებლო საქმეების გამ-  
გენი. ეს ცვლილება სამმართველო სისტემაში დიდი გადატრიალების  
შედეგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სამმა-  
რთველო აპარატი მდაბიოებმა ჩაიგდეს ხელში. მდაბიოებში ჯერ კიდევ  
არ არის ის კლასობრივი შეგნება, რომელიც შემდეგ საუკუნეში მათ  
ხელში აღებინებს იარაღს წარჩინებულთა წინააღმდეგ. მომხდარი გა-  
დატრიალება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც შედეგი, ერთი მხრით,  
მდაბიოთა უკმაყოფილებისა წარჩინებულთა საქციელით, ხოლო, მე-  
ორე მხრით, წარჩინებულთა შორის არსებული მეტოქეობისა. ამ გა-  
დატრიალების შემდეგ ძალაუფლება ისევ „კეთილშობილებმა“ (ეგვა-  
ტრიდებმა) ჩაიგდეს ხელში, ზოლო მდაბიოთათვის ნუგეშად ის უნდა  
ყოფილიყო, რომ ამიერიდან ქვეყანას მართავდა არა ერთი მთავარი,  
რომ ამიერიდან მართვა-გამგეობა ერთი კაცის ნება-სურვილზე არ იქ-  
ნებოდა დამოკიდებულნი.

როგორც ჰესიოდეს პოემიდან ჩანს, ამ წარჩინებულმა მმართვე-  
ლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ჩაგვრა და ექსპლოატაცია: ტყუილა  
არ უწოდებს მათ ჰესიოდე მუქთახორებსა და მექრთამეებს. რომ ჰესი-

ოდეს დროს მდაბო: გლეხი, უფრო უარეს ეკონომიურ მდგომარეობაში ჩაეარდნილა, ვიდრე ის პომეროსის დროს იყო; ეს ჩანს იქიდან, რომ ამ დროს გლეხს უხდება დამატებითი შემოსავლის ძებნა და ის ამ მიზნით შორეულ ქვეყნებში მისცურავს ხომალდით, რათა მან, როგორც ამბობს ჰესიოდე, თავი დააღწიოს ვალებსა და შიმშილს.

ამგვარად, ბერძნის ცხოვრებაში ახალი მოვლენა შემოიჭრა: ის სტოვებს თავისი ქვეყნის საზღვრებს და სავაჭროდ თუ სხვა მიზნით ზღვაოსნობს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს მოვლენა მასობრივი ხდება. იწყება ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობა (VIII—VII საუკუნეების მიჯნაზე). ბერძნები ფართოდ მოედებიან შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს (ისინი მოდიან შავი ზღვის ქართულ სანაპიროზედაც და; მაგალითად, ტრაპიზონში, ფოთში, ბიჭვინთაში, დიოსკურია-სუზუმში და სხვა ადგილებშიც გაიჩენენ სავაჭრო ფაქტორიებს). ბერძნებს მიაქვთ ახალ ქვეყნებში თავისი შინაური წარმოების ის პროდუქტები, რომლებიც ჭარბად მოეპოვებათ (ქსოვილი, ჭურჭელი და სხვ.) და მის ნაცვლად საჭირო სურსათს ღებულობენ. შემდეგ ხანებში გაჩნდებიან პროფესიონალური მწარმოებელი, რომელიც სპეციალურად ამზადებენ უცხო ქვეყნებში გასატან პროდუქტებს. ამგვარად, ბერძნულს ქვეყნებში ჩამოყალიბდებიან ახალი ფენები ხელოსნებისა და ვაჭრებისა, რომლებიც გლეხობასთან ერთად ამიერიდან უპირისპირდებიან მიწისმფლობელ არისტოკრატის, ევპატრიდებს. ესენი არიან ის ძირითადი ფენები ბერძნული საზოგადოებისა, რომლებიც მონების შრომის საფუძველზე ქმნიან იმდროინდელ ეკონომიკას. ამ დროს ეყრება საფუძველი კლასობრივ საზოგადოებას, ჩნდება სახელმწიფო.

ამ საკოლონიზაციო მოძრაობას, რომელიც ძლიერდება მონათმფლობელური მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველზე, მართოდენ ეკონომიური გაჭირვება არ ასაზრდოვებდა; მას ხელი შეუწყო აგრეთვე უცხო მტრის შემოსევამ. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ საკოლონიზაციო მოძრაობა შეიძლებოდა ყველაზე ადრე დაწყებულიყო იქ, სადაც ზღვაოსნობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ასეთი პირობები კი არსებობდა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებზე, განსაკუთრებით იონიაში და კუნძულებზე.

VII საუკუნის საშინაო და საგარეო მოძრაობამ წარმოშვა დასახლების ახალი წესიც. თუ წინათ ბერძნები დაფანტულად ცხოვრობდნენ, ახლა ისინი შემკიდროვდნენ ბუნებრივად დაცული მაღლობების გარშემო: მაღლობის წვერზე ააგეს ციხე-სიმაგრე (აკროპოლისი), ხოლო მაღლობის ფერდობზე და ძირში გააშენეს სამოსახლო (პოლისი). ამგვარად, VII საუკუნეში ბერძნები სახლდებიან პოლიებად, რომლებიც წარმოადგენენ დამთავრებულსა და დამოუკიდებელ ეკონომიურსა

და პოლიტიკურ ერთეულს. ასეთი პოლისებია, მაგალითად, იონიაში — მილეტი, ეფესო, სმირხა, კოლოფონი და სხვ., რომლებიც მეთაურობენ საკოლონიზაციო მოძრაობას. იონიის იგივე პოლისები იყო, რომელთაც VII საუკუნის პირველ ნახევარში განიცადეს შემოსევა გარეშე მტრისა — კიმერიელებისა, ტრერებისა და სხვათა.

საკოლონიზაციო მოძრაობის დროს წამოწეული ფენები (ხელოსნები, ვაჭრები და გლეხები) უპირისპირდებიან არისტოკრატებს და ებრძვიან მას პოლიტიკური უფლებებისათვის. ამიერიდან დააირისპირებული არიან ისინი, როგორც დემოსი და არისტოკრატია. დემოსი გამოჰყოფს თავის ხელმძღვანელს, ტირანს, რომელიც მეთაურობს დემოსს არისტოკრატის წინააღმდეგ ბრძოლაში. საკოლონიზაციო მოძრაობის დროს ბერძნული პოლისებიც ექიმებოდნენ ერთმანეთს საუკეთესო სავაჭრო გზების ხელში ჩასაგდებად. ამ პოლისთა შორის ქიმპობაში უკვე VII საუკუნის ბოლოდან წინაურდება ქალაქი ათენიც. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ათენის ხელში გადადის საუკეთესო საზღვაო პუნქტები და გზები, მაგალითად: კუნძული სალამინი, როგორც საუკეთესო საყუდელი ხომალდებისა; ჰელესპონტის სრუტე, როგორც შავი ზღვისაკენ მიმავალი გზა.

ეკონომიურად დაწინაურებულ ათენში VII საუკუნის მეორე ნახევარიდან მძაფრი ბრძოლა წარმოებს არისტოკრატისა და დემოსს შორის და ამ ბრძოლაში თანდათან იმარჯვებს დემოსი, რომელიც V საუკუნეში ქმნის მტკიცე დემოკრატიულ სახელმწიფოს, — ძლიერს ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად.

ამავე ხანებში წინაურდება მეორე ბერძნული პოლისიც — სპარტა; აქაც მწვავე შინაური ბრძოლები წარმოებს, მაგრამ ამ ბრძოლებში იმარჯვებს სამხედრო არისტოკრატია.

ძლიერდებიან აგრეთვე სხვა ბერძნული პოლისებიც, მაგრამ მათი განვითარება უფრო პატარა მასშტაბისაა, ისინი თავისი განვითარების გზაზე სხვა დიდ პოლისებს მისდევენ.

ბერძნული ქვეყნების ასეთი დაწინაურება, ცხადია, დიდ საგონებელში ჩააგდებს სპარსეთს, რომელიც ოდესღაც აღმოსავლეთის მპყრობელი იყო, სპარსეთიდან ეგეოსის ზღვამდე. ის ხედავს, რომ მას მალე ხელიდან გამოეცლება მთელი მცირე აზიის სანაპიროები, საუკეთესო საწარმოო მხარეები და სავაჭრო გზები; ამიტომ ის შეუტევს მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებს, რაც გახდება საბაზი დიდი ომისა, ბერძენ-სპარსელთა ომისა (500 — 449 წლებში). ამ ომში ბერძნებს მეთაურობს ათენი, როგორც ეკონომიურად ყველაზე უფრო დაწინაურებული, როგორც ფლოტით ყველაზე უფრო ძლიერი. ეს ომი ბერძნებისათვის წარმატებით მიმდინარეობს (490 წ. — მარათონის ბრძოლა, 480 წ. — სალამინის ბრძოლა). ამ ომში ბერძნების წარმატება

ამავე დროს მოასწავებს ათენელების გაძლიერებასაც, რაც ათენის მეტოქის, სპარტის, ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუმცა სხვებთან ერთად ისიც დაინტერესებულია სპარსელების დამარცხებაში. ათენთან მეტოქეობის ნიადაგზე იყო, რომ სპარტამ 458 წელს თავი გაანება ბერძენ-სპარსელთა ომში მონაწილეობას: ათენს უსპარტოდ მოუხდა სპარსელებთან ომის დამთავრება და მან დიდი წარმატებითაც დაასრულა იგი, — სპარსელები დამარცხდნენ; ხოლო სპარტა შეუდგა სამზადისს ათენის წინააღმდეგ საომრად.

431 წელს დაიწყო ომი ათენსა და სპარტას შორის, რომელიც 404 წლამდე გაგრძელდა. ათენში ამ ომს მეთაურობდნენ სავაკრო წრეები, სავაკრო არისტოკრატია, ხოლო სპარტაში — სამხედრო მიწისმფლობელი არისტოკრატია, ეს იყო ომი ორ პოლიტიკურ სისტემას შორის — ათენის დემოკრატიულ სისტემასა და სპარტის არისტოკრატიულ სისტემას შორის. ათეული წლების მანძილზე ომის დაწყებამდე სპარტის არისტოკრატია ყოველთვის მხარს უჭერდა ათენის დემოკრატიის მიერ გაძევებულ არისტოკრატიულ ელემენტებს ისევე, როგორც ათენის დემოკრატიული პრინციპები გავლენას პოულობდნენ სპარტელ ხალხში.

ეს ომი, რომელიც ცნობილია პელოპონესის ომის (431 — 404) სახელწოდებით, დამთავრდა ათენელების დამარცხებით. მაგრამ ეს მართო ათენის დამარცხება არ იყო. ეს იყო დამარცხება ბერძნული დემოკრატიული პრინციპებისა, ეს იყო დამარცხება ბერძნული კულტურული მოწინავეობისა. აქამდე ბერძნულ სამყაროს მეთაურობდა ათენი არა მართო როგორც პოლიტიკურად ძლიერი ერთეული, არამედ როგორც მოწინავე კულტურული ქვეყანა (შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ დემოკრატიული ათენი აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც სპარსეთის აგრესიას გაუმკლავდა). ათენის დამარცხების შემდეგ ბერძნული სამყაროს პოლიტიკური მეთაურობა ვერც ერთმა ბერძნულმა პოლისმა ვერ შესძლო (კულტურული მეთაურობა ათენს კიდევ დიდხანს ექნება).

საბერძნეთის ჩრდილოეთით ძლიერდება მაკედონია, რომელიც საუკეთესო სამხედრო ძალების მქონეა, და ცდილობს ბერძნულ ქვეყნებს დაეპატრონოს, გამოიყენოს მათი კულტურული ძალა და დაწინაურდეს. თვით ათენში მაკედონიელებს მომხრეები გაუჩნდებოდა. მართალია, ათენში IV საუკუნის განმავლობაში დიდი ბრძოლა ანტი-მაკედონიურსა და მაკედონიურ პარტიებს შორის, მაგრამ უკანასკნელი სძლევს პირველს, და მაკედონიის მეფე, ალექსანდრე, 334 წელს შეიერთებს საბერძნეთს. ბერძნების ჯართან ერთად ის ლაშქრობს აღმოსავლეთით და სულ მოკლე ხანში, 11 წლის განმავლობაში, დაიპყრობს უზარმაზარ ტერიტორიას: ბალკანეთის ნახევარკუნძულს, მცირე

აზიას, ირანს, ეგვიპტეს, პალესტინას, სირიას, მესოპოტამიას. ამ უზარ-  
მაზარ ტერიტორიაზე — ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ინდოეთ-  
ამდე — შეიქმნება მაკედონიური იმპერია.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ ასეთ მოკლე ხანში ძლევამოსილ  
მსვლელობა აიხსნება არა მარტო იმით, რომ მისი ჯარი ძლიერი იყო,  
არამედ იმითაც, რომ ალექსანდრე მაკედონელი მიდიოდა ამ ქვეყნებ-  
ში როგორც ელინური კულტურის წარმომადგენელი. ელინური კულ-  
ტურა კი კარგა ხანია ამ ქვეყნებში ცნობილი იყო, როგორც მოწინავე  
კულტურა და მას ყველგან აღმოსავლეთში თავისი საყრდენი ჰქონდა.  
ალექსანდრე მაკედონელის დროიდან კი მოხდა ამ ელინური კულტურის  
დამკვიდრება აღმოსავლეთში, რომელიც ამიერიდან ახალი ეკო-  
ნომიური საყრდენი გახდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნი-  
ლი იმპერიისათვის. აქედან გასაგებია, რომ ელინური კულტურა, აღმო-  
სავლეთში დამკვიდრებული, თვით ამ აღმოსავლეთის დიდ გავლენას  
განიცდის. ელინური კულტურის შემდგომი განვითარება ამიერიდან  
მიმდინარეობს ახალი გზით, ელინურ-აღმოსავლური გზით.

იმ კულტურას, რომელიც შექმნეს ბერძნებმა თავისი დამოუკიდებ-  
ლობის დროს, ეწოდება ელინური კულტურა, და ბერძენთა  
ცხოვრების მთელი პერიოდი, დასაბამიდან ვიდრე ალექსანდრე მაკე-  
დონელის გარდაცვალებამდე (323 წლამდე), ეწოდება ელინურ პერიო-  
დად. ხოლო იმ კულტურას, რომელიც განვითარდა ალექსანდრე მაკე-  
დონელის მიერ შექმნილ იმპერიაში და რომელსაც ახასიათებს ელი-  
ნურისა და აღმოსავლურის შერევა, ეწოდება ელინისტური  
კულტურა.

§ 6. ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოება. ზემოთ წარმო-  
დგენილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ელინური პერიოდის საზოგადოებას  
ორი ძირითადი თვისება ახასიათებს: 1. ის არის მონათმფლობელური სა-  
ზოგადოება; 2. მან ჩამოაყალიბა სპეციფიკური პოლიტიკური ფორმა.  
სახელმწიფო-ქალაქისა, ანუ პოლისისა (პόλις)

მონათმფლობელური საზოგადოება — პირველი კლასობრივი საზო-  
გადოებაა; „მონათმფლობელური წყობილებების დროს წარმოებით ურ-  
თიერთობათა საფუძველს წარმოადგენს მონათმფლობელის საკუთრება.  
წარმოების საშუალებებზე, აგრეთვე წარმოების მუშაკზე — მონაზე“<sup>1</sup>.

კლასიკური ფორმა მიიღო მონობამ საბერძნეთსა და რომში. საბერ-  
ძნეთში ის გვხვდება ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დაშლის  
ეპოქაში, რომელიც ჰომეროსის პოემებშია ასახული. ამ ეპოქაში

<sup>1</sup> ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. 2ე-11 გამოცემა. გვ. 688.

„ტყვეების დამონება უკვე მიღებული იყო“<sup>1</sup>. ლაშქრობათა დროს დატყვევებულებს მონებად აქცევდნენ ხოლმე. მონათმფლობელობის ფართო განვითარებას ხელი შეუწყო ალებ-მიცეპობის განვითარებამ. ალებ-მიცემობის, ვაჭრობის ზრდა მოითხოვდა წარმოების განვითარებას, ხოლო წარმოების განვითარება მოითხოვდა მუშახელს, რომელიც მაშინდელ პირობებში, უპირატესად, მონობის სახით შეიძლებოდა გაჩენილიყო. მ ა რ ქ ს ი წერს: „ანტიკურ ქვეყანაში ვაჭრობის ზეგავლენა და ვაჭრული კაპიტალის განვითარება შედეგად მიიღებს მუდამ მონურ მეურნეობას“<sup>2</sup>.

ვაჭრობა და მეკობრეობა წარმოადგენდნენ მონობის ძირითად წყაროებს. ვაჭრობა მოითხოვდა მონის შრომას: მონის შრომა იყო გამოყენებული ზღვაოსნობაში. მონებს ამუშავებდნენ სახელოსნოებში, მადარობებში და სხვაგან.

ვაჭრობა საბერძნეთში პირველად განვითარდა მცირე აზიის დასავლეთ მხარის ქალაქებში (პოლისებში), რომლებსაც აღმოსავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან ჰქონდათ ურთიერთობა, და ცხადია, რომ მონათმფლობელური წესებიც პირველად ამ ქალაქებში გაჩნდა. შემდეგ იგივე წესები გავრცელდა ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კოლონიებშიც. აქ ყველგან, მეურნეობის ყველა დარგში ძირითადი მწარმოებელი იყო მონა, რომელიც მონათმფლობელის სრულს საკუთრებას შეადგენდა. „რომელიც მონათმფლობელს შეუძლია გაჰყიდოს, იყიდოს, მოჰკლას, როგორც პირუტყვი... უკვე აღარ არის საზოგადოების ყველა წევრთა საერთო და თავისუფალი შრომა წარმოების პროცესში, — აქ გაბატონებულია იძულებითი შრომა მონებისა, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ არამშრომელი მონათმფლობელნი. ამიტომ არ არსებობს საერთო საკუთრებაც წარმოების საშუალებებზე ისევე, როგორც წარმოების პროდუქტებზე. მას სცვლის კერძო საკუთრება. აქ მონათმფლობელი პირველი და ძირითადი სრულფასიანი მესაკუთრეა“<sup>3</sup>.

ამრიგად, საბერძნეთში მოსახლეობის ორი კატეგორია იყო: თავისუფალი და არათავისუფალი მოსახლეობა. პოლიტიკური ბრძოლა თავისუფალი მოსახლეობის შიგნით წარმოებდა: ალებ-მიცემობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ფენები ხელოსნებისა და ვაჭრებისა გლეხობასთან ერთად ებრძოდნენ წარჩინებულებს სახელმწიფო ცხოვრებაში მონაწილეობისათვის, პოლიტიკური უფლებებისათვის. ამ

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა თბილისი, 1938, გვ. 105.

<sup>2</sup> კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტომი III, ნაწ. 1, თბილისი, 1932, გვ. 289.

<sup>3</sup> ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 689 — 690.

ბრძოლის შედეგად, მაგალითად, ათენში შეიქმნა მონათმფლობელური დემოკრატია. ამ მონათმფლობელურ დემოკრატიულ ათენში პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული იყვნენ არა მარტო ბონები, არამედ სხვა პოლისებიდან გადმოსახლებულებიც. მაშასადამე, მოსახლეობის უმრავლესობა უფლებო იყო. ამრიგად, მონათმფლობელური დემოკრატია იყო დემოკრატია უმცირესობისათვის.

მონობა გაჩენის პირველ ხანებში და თავისი განვითარების კლასიკურ ეპოქაში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა: იგი მოასწავებდა „ნაბიჯს წინ პირველყოფილ-თემურ წყობილებასთან შედარებით“<sup>1</sup>. „პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის და ამით ნი-ადაგი მოუმზადა ანტიკური ქვეყნის აყვავებას ბერძნობის სახით. თუ მონობა არ ყოფილიყო, არც საბერძნეთის სახელმწიფო, ხელოვნება და მეცნიერება იქნებოდა, თუ მონობა არ ყოფილიყო, არც რომის იმპერია იქნებოდა. ხოლო ბერძნებისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საძირკველის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვითარების წინამძღვარს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, სადაც მონობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საყოველთაოდ აღიარებული. ამ გაგებით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: თუ ანტიკური მონობა არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა“<sup>2</sup>

მაგრამ თვით მონათმფლობელობაში იყო შინაგანი წინააღმდეგობები, რომელთა გამწვავებამ მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი გამოიწვია. ეს კრიზისი დამთავრდა მონათა აჯანყებებით, მონათა რევოლუციით, რომელმაც „მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“<sup>3</sup>

---

1 ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 671.  
2 ფრ. ენკელსი, ანტი-ღიურინგი, თბილისი, 1933, გვ. 146—147  
3 ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., გვ. 514.



თავი მეორე

## ბერძნული პოეზიის საწყისები

§ 7. მხატვრული ჟანრების აღმოცენება და განვითარება საბერძნეთში. ბერძნულმა ლიტერატურამ საფუძველი ჩაუყარა პოეზიისა და პროზის ყველა ძირითად ჟანრს. ეს ჟანრები აღმოცენდნენ და განვითარდნენ გარკვეულ ისტორიულსა და სოციალურ-პოლიტიკურს პირობებში: ერთ ეპოქაში წამყვანი როლი ჰქონდა ერთ მხატვრულ ჟანრს, სხვა ეპოქაში — სხვა ჟანრს. ასე, მაგალითად:

IX—VIII საუკუნეებში განვითარდა და საზოგადოებრივ ცხოვრებას მიუძღოდა საგმირო ეპოსი, რომელიც წარსულის ბრწყინვალე გმირობას უმღეროდა.

VIII—VII საუკუნეში დიდაქტიკურმა საგლეხო ეპოსმა იკისრა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში მონაწილეობის მიღება.

VII საუკუნეში, სოციალური ბრძოლების ეპოქაში, პიროვნების როლის ზრდის ხანაში, აღმოცენდნენ და განვითარდნენ ლირიკის სახეობანი: ელეგია, იამბიკა, მელიკა და ქორიკა.

VI საუკუნეში ყველა დანარჩენი ჟანრი დაჩრდილა დრამამ, მისმა ორმა სახეობამ: ტრაგედია (VI—V საუკ.) და კომედია (V—IV საუკ.).

V საუკუნიდან იდეოლოგიურ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა პროზამ (რიტორიკულმა, ისტორიულმა და ფილოსოფიურმა პროზამ).

ამრიგად, საბერძნეთში IX—IV საუკუნეთა განმავლობაში აღმოცენდნენ და განვითარდნენ ეპოსის, ლირიკისა და დრამის სხვადასხვა სახეობანი და პროზის დარგები. მათი აღმოცენებისა და განვითარების ქრონოლოგიური განლაგება სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ იმ საუკუნეებში, რომლებშიც ამა თუ იმ ჟანრის აღმოცენება-განვითარებაა აღნიშნული, მხოლოდ ეს ჟანრი ვითარდებოდა. ეს

ქრონოლოგიური განლაგება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ამ ეპოქაში უპირატესად ეს ქანრი ვითარდებოდა, ეს ქანრი ასრულებდა წამყვან როლს ამ ეპოქის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, თუმცა მის გვერდით ფართოდ იყვნენ გავრცელებული სხვა ქანრების სახეობანიც.

§ 8. ჰომეროსის წინადროინდელი პოეზია. ის გარემოება, რომ ზენოთ მოყვანილ ქრონოლოგიურ თანრიგში IX საუკუნეშია მოხსენებული პირველი ბერძნული მხატვრული ქანრის აღმოცენება, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე ბერძნებს პოეზია არ გააჩნდათ. ბერძნებს IX საუკუნემდისაც მრავალი სიმღერა ჰქონდათ, ისეთი სამღერები, რომელთაც ისინი ასრულებდნენ სხვადასხვა შემთხვევებში: ნუშაობის დროს, დღესასწაულებზე, ქორწილების დროს და სხვ.

ძველი ბერძნული პოეზია უნდა მომდინარეობდეს იმ დროიდან, როდესაც ბერძნებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ელინური ეთნიკური სუბიექტი; როდესაც მათ, როგორც გაბატონებულმა ფენებმა, პირველად დაჩრდილეს ადგილობრივი პელაზგები, უკანასკნელთაგან შეითვისეს მათი კულტურული მონაპოვარი. პარალელისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ რამაღლები: როდესაც იმათ პირველ საუკუნეში საბოლოოდ დაიპყრეს საბერძნეთი, ლიტერატურულად ბერძნების მონები გახდნენ.

ბერძნების პირველი ლიტერატურული ზიარება რომ პელაზგების კულტურულ მონაპოვართა საფუძველზე უნდა მომხდარიყო, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი პოლიტიკური ფაქტები. ბერძენთა პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია „ილიადა“, რომლის მთავარი შინაარსი აქილეესის რისხვის თემაზეა დაფუძნებული. პოემის მთელი თხრობა გაშლილია აქილეესის რისხვის შედეგებზე: მთავარი კვანძი პოემისა, ისევე როგორც ამ კვანძის გამოხსნა, აქილეესის რისხვაში და მის მოხსნაშია. აქილეესი კი თესალიელი გმირია, იმ თესალიის მკვიდრი, რომელიც პელაზგების ძირითად სამშობლოდ ითვლებოდა. ნუთუ შემთხვევითი უნდა იყოს ის მოვლენა, რომ ბერძნებში არსებულ თქმულებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია თქმულება აქილეესზე და მის რისხვაზე? ჩვენ ვფიქრობთ. რომ ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის და რომ ბერძნებმა პელაზგების მიერ შექმნილ კულტურულ მონაპოვართაგან შეიძინეს, სხვათა შორის, თესალიელ გმირზე არსებული თქმულებაც: ბერძნებმა, ასე ვთქვათ, თავისი პოეტიკური ნათლობა ამ თქმულების საფუძველზე მიიღეს.

აგრეთვე შემთხვევითად არ ვთვლით ჩვენ ბერძნებში გავრცელებულ არგონავტების თქმულებასაც. ძირითადი თემა არგონავტების თქმულებისა ხომ შემდეგია. თესალიის ქალაქ იოლკოსში იყო მეფე პელიასი, მის კარზე ცხოვრობდა მისი ძმისწული, იმ ძმის ვაჟი, რო-  
?ელსაც პელიასმა სამეფო წაართვა. რათა თავიდან აეცდინა მომავალი შურისძიება. მან თავისი ძმისწული, იაზონი, შორეულ ქვეყანაში

გადაკარგა. როდესაც იაზონი დაქაბუყდა და სათანადო მითითებანი მიიღო მისანთაგან, გაემგზავრა იოლკოსში თავის სამეფოს დსაბრუნებლად. როდესაც მივიდა იქ და მისი პრეტენზიები სამართლიანი აღმოჩნდა, პელიასს აღარ ჰქონდა უკან დასახევი გზა. მაგრამ სამეფოს გადაბარება იაზონისათვის არა სურდა და მან ძნელად შესასრულებელი დავალება მისცა იაზონს — ჩვენს გვარს ვალად აწვევს აქედან წაღებულ იქროს სარწმისის დაბრუნება. რომელიც ამჟამად კოლხეთში არის დაცული, და, რადგან მე უკვე ხანში შესული ვარ, შენ გმართებს ამ საქმის შესრულებაო. იაზონიც გაემგზავრა კოლხეთში იქროს სარწმისის მოსატანად. ეს თქმულება ერთი იმ თქმულებათაგანი იყო, რომელთაც ბერძნებში უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი. ამ თქმულებით ბერძნები იგონებდნენ იმ თავის დიად წარსულს, როდესაც ისინი ოჭროს მფლობელნი იყვნენ, ე.ი. რომ ისინი უაღრესად დაწინაურებულნი იყვნენ; და თავისი მომავლის აგებას ისინი აპირებდნენ ამ თავისი „იქროს“ უკან დაბრუნებით, ხელახლა დაპყრობით. ეს თქმულებაც თ ე ლ ა ს ი უ რ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა ა. ე. ი. იმ ტერიტორიას უკავშირდება, რომელიც ოდესღაც პელაზგების სამკვიდრებელი იყო.

არსებული თქმულებებით. ბერძენი ტომები ბრძოლას ეწევიან სხვადასხვა ადგილების დასაპყრობად. ამ თქმულებათა შორის გამოირჩევა ორი მთავარი ციკლი: თებეს ციკლი და ტროადის ციკლი. პირველი მათგანი ასახავს იმ ბრძოლებს, რომლებსაც აწარმოებდნენ ბერძენი გვარები, გვარის მეთაურთა ხელმძღვანელობით, შუა საბერძნეთში. მეორე, ტროადის ციკლი, ასახავს იმ ეპოქას, როდესაც ბერძენი გვარები ლაშქრობდნენ მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროების დასაპყრობად, განსაკუთრებით მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის ხელში ჩასაგდებად. იმ კუთხის. რომელიც წარმოადგენდა შესავალ კარებს შავი ზღვის აუზში.

ეს ბრძოლები წარმოებდა გვარის უფროსის ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, «ხალხთა მწყემსის» ან «მეფის» ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელთა ვაჟკაცური საქმეები სწყვეტდა გვარის მომავალ ბედ-იღვალს, მათ ვაჟკაცობაზე იყო დამოკიდებული გვარის მომავალი კეთილდღეობა. როგორც ცნობილია, საგვარეულო წყობილებაში, მისი განვითარების მოგვიანო ეტაპზე, უკვე უთანასწორობა მყარდება. ლაშქრობათა დროს ხელში ჩაგდებული ნადავლი, ისევე როგორც ტყვეები, უპირატესად, ლაშქრის მეთაურს ხვდება წილად, ამგვარად, ლაშქრობებში უმთავრესად გვარის მეთაურები არიან დაინტერესებული და საჭირო ხდება მდაბიოთა იძულება სალაშქროდ: მდაბიონი წარჩინებულთა იძულებით ლაშქრობენ. აქედან იბადება საჭიროება მდაბიოთა თვალში განდიდებულ იქნეს საგმირო საქმე გვარის მეთაურისა, წარჩინებულისა. ამიტომ ჩნდებიან წარჩინებულთა კართან პროფესიონა-

ლური მაქებელნი, ა ე დ ე ბ ი. ამგვარად ჩნდება საგმირო თქმულე-  
ბები.

გარდა ამისა, შექებანი და თქმულებანი სხვა საჭიროებათა დასაყ-  
მაყოფილებლადაც ჩნდებიან. ასე, მაგალითად, ჩნდება სახოტბო სიმ-  
ღერები მიცვალებული მთავრებისათვის, ამ მიცვალებულ მთავართა  
მოსავონარი დღესასწაულებისათვის.

რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს სიმღერები?

ეს სიმღერები ვერ იქნებოდნენ ისე გრძელი, როგორც არიან  
„ილიადა“ და „ოდისეა“, ვინაიდან ისინი გარკვეულ დროში და ერთ  
გარკვეულ პიროვნებაზე იყვნენ შეთხზული.

ეს სიმღერები ვერ იქნებოდნენ ჰეგზამეტრივით გრძელი საზომით  
შეთხზული, ვინაიდან ჰეგზამეტრი ლექსის განვითარების ადრინდელი  
საფენურისათვის საკმაოდ გრძელია. თანაც არსებული ჰეგზამეტრი  
თავისი ცეზურით მიგვიითითებს იმაზე, რომ თვით ჰეგზამეტრი წარ-  
მოშობით ორი მოკლე ტაქტისაგან შედგება.

რა ლიტერატურულ სახეობას შეგვიძლია შევუდაროთ უძველესი  
პოეტური ქმნილებები, რომლებიც ჰომეროსამდე არსებობდა? ჩვენ  
ეფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს იძლევა თვით ჰომეროსის ეპოსი, სა-  
ხელდობრ, რომ ეს უძველესი სიმღერები ორგვარი უნდა ყოფილიყო:  
ლირიკული და ეპიკური.

რომ ჰომეროსის წინადროინდელმა ეპოქამ იცოდა ლირიკული სიმ-  
ღერები, ამის მითითება „ილიადაში“ გვაქვს. ასე, მაგალითად, „ილია-  
დაში“ მოხსენებული არის უბედურების ამრიდი ღმერთის, აპოლონი-  
საქებარი სიმღერა, პ ე ა ნ ი.

რაც შეეხება ჰომეროსამდე არსებულ ეპიკურ სიმღერებს, ამისი  
მითითება საკმაო რაოდენობით მოიპოვება ჰომეროსის ეპოსში: ასე,  
მაგ., ოდისევსი რომ ფეაკების ქვეყანაში მოხვდება. მეფე ალკინოე  
მის პატივსაცემად გამართავს ნადიმს, სადაც შემოჰყავთ უსინათლო  
აედი დემოდოკე, რომელიც მღერის ტროადის ომის გმირთა თავგადა-  
სავალის შესახებ („ოდისეა“, VIII. 62 შმდლ.).

ჰომეროსამდე არსებული პოეტების შესახებაც მოგვეპოვება ზოგი-  
ერთი ცნობა: თვით ძველი ბერძნებივე ასახელებენ ორფევსს, მუსეოსს,  
თამირისს და სხვებს.

---

თავი მესამე

## ჰომეროსის პოემები

ბერძნული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლებია ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“. როგორც დღეს მეცნიერებაში დამტკიცებულია, ეს პოემები ინდივიდუალური პოეტის ნაწარმოებებია, იმ პოეტისა, რომელსაც პირობითად ჰომეროსს უწოდებენ და რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნის მახლობელ ხანებში ცნოვრობდა\*.

ამ პოემათაგან „ილიადაში“ ასახულია ტროადის ომის ზოგიერთი ეპიზოდი, ხოლო „ოდისეაში“ აღწერილია ტროადის ომის ერთ-ერთი გმირის, ოდისეესის თავგადასავალი ომის დამთავრების შემდეგ.

§ 8. „ილიადა“. პოემა შედგება 24 სიმღერისაგან. იგი იწყება პოეტის მიმართული მუხისადმი:

მიმღერე, ღმერთქალო, რისხვა აქილევსის, პელევსის ძისა,  
ათასი კირი და ვაი რომ არგუნა აქაველთ წილად,  
მრავალი უდრეკი სული რაინდების წარგზავნა ჰადესს,  
გვაშეხი გადუგლო მათი საჭიჯგუნლად ფრინველთ და ძაღლებს.

როგორც ვხედავთ, პოეტის მიერ აღებული თემა არის „აქილევსის რისხვა“. რამ გაარისხა აქილევსი?

---

\*უკანასკნელი 20 — 25 წლის განმავლობაში მეცნიერებამ მოიპოვა აქამდე უცნობი დამწერლობითი ძეგლები. II ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძვ. წ.) კუნძულ კრეტაზე იყო მდიდარი მატერიალური კულტურა, ხელოვნება და დამწერლობა. პირუანდელი იეროგლიფური დამწერლობა შესცვალა ხაზოვანმა დამწერლობამ, ამ უკანასკნელის ორმა (A და B) სახეობამ. გამოიკვია, რომ ეს არის მარტლოვანი დამწერლობა, რომლის ენა განსხვავებულია ბერძნულისაგან. კრეტის ამ კულტურამ, საბერძნეთის ხმელეთის ტერიტორიაზე გადანერგულმა, მოგვცა ხაზოვანი დამწერლობის ის კულტურა, რომელსაც „მიკენის“ კულტურა ეწოდება. ჩერჯერობით არ არის საბოლოოდ შესწავლილი ეს ძეგლები, მაგრამ ის კი ირკვევა, რომ ბერძნული ეპოსის (ჰომეროსის ეპოსის) საწყისები „მიკენის“ ეპოქაშია საქმბარი.

ომი აქველებსა და ტროადელებს შორის უკვე მეათე წელიწადი რაც გრძელდება და. აი. მეათე წელიწადს მოხდა შემდეგი ამბავი. აქველთა (ე. ი. ბერძენთა) ბანაკში მოდის აპოლონის ქურუმი ქრისე, რომლის ქალიშვილი. ქრისეიდა, ამას წინათ ტყვედ წამოუყვანიათ აქველებს. ქრისე შოვიდა აქველთა ბანაკში, თან მოიტანა გამოსასყიდი საზღაური და სურს გამოისყიდოს თავისი ქალი; მისი ქალი კი აქველთა შორის ნადავლია გაყოფის დროს წილად რგებია აქველთა მთავარსარდალს, მეფე აგამემნონს. ქრისე მიემართება აგამემნონისკენ. განრისხებული აგამემნონი უკმეხი სიტყვებით უმასპინძლდება აპოლონის ქურუმს: გამეცალე აწედან და აღარ გაბედო მოსვლა, თუ არა შენ ვერ გიხსნის, აპოლონის კვერთხი რომ გიჭირავს ზელში; ქალს ვერ დაგიბრუნებ, იგი ჩემია, თან წაიყვან არგოში, სადაც იქნება ჩემი მხევალიცა და თანამეცხედრეცო. გულდაწყლულებული ქრისე გამობრუნდება აქველთა ბანაკიდან და თავის დარდებს ზღვის ტალღებს უზიარებს. შემდეგ ის მიმართავს ბატონს, აპოლონს. „ლამაზთმძიანმა ლეტომ რომ შვა“. ის სთხოვს აპოლონს სამაგიერო გადაუხადოს აქველებს მისი ქურუმის შეურაცხყოფისათვის. აპოლონი შეიწყნარებს თავისი ქურუმის ვედრებას და მაშინვე ისრებს დაუშენს აქველების ბანაკს (იგულისხმება, აქველთა ბანაკს გაუჩენს შავი ქირს). ცხრა დღე და ცხრაღამე გრძელდებოდა შავი ქირის მძინევალება აქველთა ბანაკში. იელიტება იმდენი ხალხი, რომ აქველები ვერცკი აწერებენ კოცონის დანთებას გვამების დასაწვავად.

მეათე დღეს აქილევესა კრება მოიწვია. კრებაზე მოუხმეს მისან კალქანტს და ჰკითხეს: რა არის მიზეზი შავი ქირისაო? მისანმა განმარტა: აპოლონი ჯავრობს, რომ მისი ქურუმი შეურაცხყავითო. საჭიროა ქრისეიდა დაუბრუნდეს მის მამას. აგამემნონს, რასაკვირველია, არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ღმერთის სურვილის განმცხადებელ მისნის სიტყვებს, მაგრამ ის მაინც მოითხოვს აქველებისაგან, რადგან მას თავისი საკუთრების, ქრისეიდას, დაბრუნება უხდება, მიეცეს მას სამაგიერო საჩუქარი. მირმიდონელთა ტომის მეთაური აქილევის აღშფოთებულია აგამემნონის მოთხოვნით: საიდან შეუძლიათ აქველებს საჩუქარი მოგცენ, მათ ხომ ყველაფერი განაწილებული აქვთ, რაც წინათ მოინადავლეს: თუკი ზევსი გამარჯვებას გვარგუნებს, სამმაგად და ოთხმაგად აგინაზღაურებთ შემდეგშიო. არ მოწონს აგამემნონს აქილევის ასეთი პასუხი და, რახან აქილევესმა პირველმა აღიმალა ხმა აგამემნონის მოთხოვნის წინააღმდეგ, ის მას ემუქრება: თანახმად ღმერთის მოთხოვნისა, მე დაუბრუნებ ქრისეიდას მის მამას, ხოლო სამაგიეროდ შენს ბრისეიდას წამოვიყვანო.

ეს ეპიზოდი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ის ააშკარავებს იმდროინდელ საგვარეულო წყობილებაში წარჩინებულთა შორის

არსებულ წინააღმდეგობებს. ამ შემთხვევაში მკარავდება შეკვეთი გარემოება: აგამემნონი და აქილეესი ერთიანობის მეტოქეები არიან. აგამემნონი მთავარსარდალია და ქალაქთა და ქვეყანათა ალებისა და დანგრევის დროს ხელჩადებული ნადავლის მეტი წილი მას ერგება ხოლმე. მეორე მხრით, აქაველთ შორის ყველაზე მეტად სახელგანთქ-პულია აქილეესი როგორც უმამაცესი გმირი, რომელიც შიშის ზარსა სცემს მტერს; ომის მთელი სიმძიმე მის კისერზე გადადის: საკმარისია ბრძოლის ველზე გამოჩნდეს აქილეესი, რომ მტერი მაშინვე იფანტება. და აქაველებს ძალიან უყვართ თავიანთი გმირი, ფეხმარდი აქილეესი. ეს გარემოება უთუოდ სწყინს აგამემნონს როგორც მთავარსარდალს, ისევე, როგორც აქილეესს არ უნდა ესია მოვინებოდეს ის, რომ ომში მოპოვებული გამარჯვებით ყველაზე უხვად სარგებლობს მთავარსარდალი აგამემნონი.

აი, ასეთი წინააღმდეგობა უნდა არსებობდეს ამ ორ გმირს შორის და ზემომოყვანილი ინციდენტიც ამ წინააღმდეგობის პირველი რეალური გამოხატულებაა.

აგამემნონი მაშინვე გამაზადებინებს ხომალდს, ჩასხამს შიგ აქაველ ვაჟკაცებს, მეთაურად გააყოლებს ოდისევსს, თან გაატანს ქრისეიდას, რათა გადასცენ ის მის მამას. გაატანს აგრეთვე უხვ საჩუქრებსა და შესაწირავებს აპოლონისათვის. ხომალდით წასული აქაველები მიპგვირან ქრისეიდას მის მამას, მსხვერპლებს შესწირავენ აპოლონს და სამადლობელო პეანებს უმღერიან მას.

იმავე დღეს აგამემნონის კაცები მივიდნენ აქილეესის კარავში და გამოიყვანეს იქიდან აქილეესის ტყვე-ქალი ბრისეიდა.

საზღვარი არა აქვს აქილეესის წყრომას. აგამემნონმა წაართვა მას ის, რაც აქაველებმა აჩუქეს. მართალია, კრებაზევე გაურისხდა ის აგამემნონს, როდესაც იგი დაემუქრა ბრისეიდას წართმევით, და კიდევაც აპირებდა თავისი მკლავით გასწორებოდა მას, მაგრამ თავის დროზე გამოეცხადა მას ღმერთქალი ათენა და დააწყნარა იგი. აგამემნონი მთავარსარდალი იყო და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის უფლება აქილეესს არ ჰქონდა. მაგრამ აქილეესს აქვს თავის განკარგულებაში სხვა საშუალებები, რომლებითაც მას შეუძლია აგამემნონსა და აქაველებს სამაგიერო გადაუხადოს შეურაცხყოფისათვის: მას გადაწყვეტილი აქვს, რომ ამიერიდან არც ის და არც მისი მირმიდონელები არ მიიღებენ მონაწილეობას ომში. მაგრამ აქილეესი ამას არ კმარობს. ის გაემართება თავისი დედისკენ, ზღვის ბატონის, მოხუცი ნერეუსის, ასულისაკენ და მოახსენებს მას თავის მწუხარებას. ის ემუდარება თეტიდას, რომელიც ზევსთან დაახლოებულია და ოდესღაც მისთვის დიდი სამსახური გაუწევია, — სთხოვოს კაცთა და ღმერთთა მეფეს დახმარება აღმოუჩინოს აქილეესს და სამაგიერო გადაუხადოს აგამემნონსა და აქაველებს. თე-

ტრდა აუსრულებს თავის შვილს თხოვნას: ივი გამგეზავება ოლიმპოს მთაზე, ღმერთთა სასახლეში, უჩუმრად, რომ ჰერამ, ზევსის მეუღლემ, ვერ დაინახოს, მოხვევს ზევსს ხელებს მუხლებზე და თოვს დასაჯოს აქველები აქილევისს შეურაცხყოფისათვის. ზევსიც შეჰპირდება მას.

ზევისი აგამემნონს უგზავნის სიზმარს და უცხადებს მას, რომ ი. აგამემნონი, ხვალვე შებრძოლებისას ტროადელებზე გაიმარჯვებს. აგამემნონს სჯერა სიზმრისა და, დილით რომ გამოიღვიძებს, დიდ სიხარულით უამბობს ამ სიზმარს თავის მეგობრებს, აქველს: სარდლებს, უხუცესთა საბჭოს წევრებს. აგამემნონს ეჭვი არ ეპარება, რომ ის დღეს გაიმარჯვებს; ბერძენთა შეხედულებით, ღმერთები სიზმარში ადამიანებს თავის ნება-სურვილს უცხადებენ ხოლმე. იმდენად დაჯერებულია აგამემნონი თავის გამარჯვებაში, რომ აპირებს დღეს გამოსცადოს თავისი ძოლაშქრეები. როგორც წესი მოითხოვდა, აგამემნონმა მოიწვია სახალხო კრება, რათა ბრძოლის წინ მოეთათბირებინათ საჭირო საკითხებზე და ცალკეული რაზმებისათვის თავიანთი ადგილები მიეჩინათ. კრების დაწყების წინ აგამემნონი მიმართავს მეომრებს გამოსაცდელად: მეათე წელიწადია ვომობთ, შედეგს ვერაფერს მივალწიეთ; ნუთუ არ მოგენატრათ თქვენი სამშობლო, სოფლები, ცოლ-შვილი, სახლი; აქ ტყუილ-უბრალოდ გაცდენას განა არა სჯობს შინ დავბრუნდეთო? აქველებმა სინამდვილედ მიიჩნიეს აგამემნონის მიმართვა, მაშინვე ზურგი უჩვენეს მას და ხომალდებისაკენ გაექანენ შინ დასაბრუნებლად. შემფოთდა აგამემნონი, შემფოთდნენ სხვა სარდლებიც; ხომალდებს ვერავითარი ხერხით ვერ მოაშორეს გაქცეული მეომრები; ისევ მოხერხებული და ცბიერი ოდისევსის წყალობით — ხან მუქარით და ხან კი რჩევით — როგორც იქნა დააბრუნეს მეომრები კრებაზე. კრებაზე თათბირის დროს გამოდის ერთი მეომართაგანი, სახელად თერსიტე და, გაანჩხლებული, უწმაწურად ავინებს აგამემნონს: რით ხარ უკმაყოფილო? შენი კარავი საცხეა სპილენძით და უამრავი ტყვე-ქალით, რომლებსაც, საუკეთესოებს, მოგგვრიან ხოლმე შენ არგვივლები, როდესაც ისინი ქალაქებს აიღებენ და დაანგრევენ ხოლმე. ან იქნებ კიდევ უფრო მეტი ოქრო გწყურია, რომ შენ მოგიტანონ ტროადელებმა თავიანთი შვილების გამოსასყიდად, რომლებსაც ჩვენ ვატყვევებთ ხოლმე? არა, ეს უღირსი საქმეა: შენ ხალხის მეთაური ხარ და აქველებს კი უბედურებაში აგდებ. ან რა ღირსი ხარ შენ პატივისცემისა, როცა ჩვენი უმამაცესი ვაჟკაცი, უბადლო არქილევისი, შეურაცხავიო. აი, ასეთი ლანძღვაგინებით უმასპინძლდება თერსიტე აგამემნონს.

ეს ეპიზოდი გვიჩვენებს, რომ აქველთა ბანაკში ყოფილან სარდლებით უკმაყოფილო მეომრები, თერსიტე გვევლნება აქ როგორც



წარმომადგენელი იმ მოლაშქრეთა, რომლებიც თავიანთი ნება-სურვილით კი არ არიან შორეულ ქვეყნებში სალაშქროდ წამოსული, არამედ გვარის წარჩინებულნი მათ ძალით მიერეკებიან. ამ ეპიზოდით ნათლად ჩანს, რომ ხალხი, მდაბიონი მუშაობენ, ხოლო წარჩინებულნი ხალხის ნამუშევრით სარგებლობენ; კიდევ უფრო მეტი ოქრო გწყურია, — ეუბნება თერსიტე აგამემნონს. — რომ შენ მოგიტანონ ტროადელებმა თავიანთი შვილების გამოსასყიდად, რომლებსაც ჩვენ ვატყვევებთ ხოლმეო, ე. ი. ქალაქებს ანგრევენ და ტროადელებს ატყვევებენ მდაბიო მოლაშქრენი, ხოლო მათ გამოსასყიდ საზღოდ ოქროს ღებულობს წარჩინებული აგამემნონი.

ამ ეპიზოდში პირველად, ბერძნულ სინამდვილეში, მოისმის ხმა პროტესტისა მჩაგვრელის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ არის პროტესტი კლასობრივად შეგნებული ადამიანისა. მართალია, თერსიტე გრძნობს, რომ აგამემნონი მჩაგვრელი და უღირსი ადამიანია, მაგრამ მას კლასობრივი შეგნება არა აქვს. ის ილაშქრებს აგამემნონია წინააღმდეგ და იცავს აქილეესს, რომელიც არსებითად ისეთივე წარჩინებული და მჩაგვრელია, როგორც აგამემნონი; თუ აგამემნონი არგოსელთა მეფეა, აქილეესი მირმიდონელთა მეფეა; როგორც აგამემნონს ნამდვილად ეჩრვო ულამაზესი ქრისიჲდა, ისე აქილეესსაც თავის კარავში ჰყავდა მშვენიერი ბრისეიდა. აქილეესი იგივე აგამემნონია; ამის შეგნება თერსიტეს არა აქვს.

რად დასჭირდა ავტორს, წარჩინებულთა იდეოლოგს, თერსიტეს გამოყვანა? რა საჭირო იყო დისონანსის შეტანა შენმატკბილებულ წარჩინებულთა წრეში? ისმის კითხვა — თანაუგრძნობს თუ არა ავტორი თერსიტეს პროტესტს? არსებობს შეხედულება, რომ თერსიტეს ეპიზოდი გვიან არის ჩართული პოემაში; იმ დროის ჩანართია, როდესაც ბერძნულს საზოგადოებაში კლასობრივი დიფერენციაცია დამყარდა. მაგრამ ამ აზრის გაზიარებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თერსიტეს სიტყვაში კლასობრივი შეგნება სრულიადაც არ მოჩანს. გარდა ამისა, ეს ეპიზოდი სრულს თანხმობაშია ჰომეროსის ეპოსში ასახულ სინამდვილესთან, რამდენადაც ორსავე პოემაში ნათლად ჩანს, რომ ჩვენ გვაქვს საქმე გვაროვნული წყობილების იმ უკანასკნელ ეტაპთან, როდესაც გვარში უკვე უთანასწორობა დამყარდა: ერთი მხრით — წარჩინებულნი, მეორე მხრით — მდაბიონი; უკანასკნელნი ქვეყნებს იღებენ, ტყვეები მოჰყავთ, პირველნი კი ამ ტყვეებს თავიანთ მონებად და მხველებად აქცევენ. აი, ასეთი იყო სინამდვილე, და ჰომეროსს, როგორც გენიალურ პოეტს, ამ სინამდვილის დამალვა არ შეეძლო. ხოლო ჰომეროსი რომ თერსიტეს ამ გამოსვლას არ თანაუგრძნობს, ეს ნათლად ჩანს თერსიტეს გარეგნობის აღწერიდან („იგი, უსაზიზღრესი კაცი, მოვიდა ილიონის

კედლებთან. იყო ელამი, კოქლი ცალ ფეხზე; ორი მხარი, მოკუზული, გულმკერდთან ერთდებოდა, თავი წოწოლა“); პოეტი რომ თერსიტეს თანაუგრძნობდეს. ასე არ დააგროვებდა მის თავზე ყველა ფიზიკურ ნაკლს: ის კოქლია და ელამი. კუზიანი და თავწერილა.

თერსიტეს განიხილა, რასაკვირველია, წარჩინებულ სარდლებს არ პოეწნათ. განრისხებული ოდისევსი გაექანა მისკენ, მრისხანედ შეჰკვირა, სცემა კიდევ ჯოხით და ჩააჩუმა და კრებამ განაგრძო თავისი შათბირი. აქველები დაირაზმნენ ჰაბრძოლველად.

ამ სიმღერის მეორე ნახევარში მოცემულია „ხომალდების სია“, ანუ „კატალოგი“ („ილიადა“, II, 494—877). სადაც ჩამოთვლილია თუ რომელი ტომები იბრძვიან ბერძენთა მხარეზე და ვინ არიან ტროადელთა მოკავშირენი.

„ხომალდთა კატალოგი“ შედგება ორი ნაწილისაგან: უდიდესი ნაწილი (ტ. 494 — 759) უჭირავს ბერძენთა რაზმების სიას. შედარებით მცირე ადგილი უკავია ტროადელთა და მათ მოკავშირეთა სიას.

მომღვენო მე-ს-ამ-ე-ს-იმ-ღ-ე-რ-ა-ში იწყება ბრძოლა აქველებსა და ტროადელებს შორის: ბრძოლა იწყება იმით, რომ პარისი იწვევს აქველთაგან ვინმეს ხელჩართულ ბრძოლაში. გამოდის მენელაე. პირობა ასეთია: ვინც აჯობებს, იმისია ელენე. მენელაე მოითხოვს, რომ შესრულებულ იქნეს ყველა რიტუალი, მსხვერპლშეწირვა, ფიცი, მოითხოვს აგრეთვე, რომ ფიცი დასდოს თვით პრიამემ.

პოეტიკის თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჰომეროსი პარისსა და მენელაეს შეაბრძოლებს. რით არის ეს გამოწვეული? ჩვენ ვიცით, რომ ამ ომის მიზეზნი არიან პარისი და მენელაე: პარისმა მოსტაცა მენელაეს მისი მეუღლე ელენე, ხოლო მენელაეს გამოესარჩლნენ დანარჩენი ბერძენი მთაერები. ამდენად, ჩვენთვის გასაგებია, რომ ომი უნდა დაიწყოს ორი დამნაშავეს ხელჩართული ბრძოლით, მაგრამ ეს ბუნებრივი იქნებოდა ომის დასაწყისში; ახლა ხომ ომის მეათე წელიწადია, და უცნაურად მოჩანს მეათე წელს ამ ორი ფალავანის გამოყენება. ბუნებრივი იქნებოდა მათი გამოყენება ათი წლის წინათ, პირველი ბრძოლის დროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, მიუხედავად ამ უცნაურობისა, პოეტის მიზანდასახულობა გასაგებია: მართალია, უკვე ომის მეათე წელია, მაგრამ პოეტისათვის, ისევე როგორც მსმენელისათვის, შესაძენ სიძღერაში აღწერილი ბრძოლა არის პირველი ბრძოლა, რომელსაც მსმენელი ისმენს. რამდენადაც პოეტიკური აღქმით ეს პირველი ბრძოლაა, ამდენად გასაგებია პოეტის წადილი: პირველ ბრძოლაში გამოიყვანოს ომის გამომწვევენი — პარისი და მენელაე.

პოეტიკის თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე პარის-მენელაეს შებმის მიმდინარეობა და შედეგები. ვინ უნდა გაიმარჯვოს ამ შებმაში?

ცხრა წლის განმავლობაში გრძელდებოდა ომი და, მართალია, ვერც ერთმა მხარემ საბოლოოდ ვერ გაიძარჯვა, მაგრამ წარმატება ყოველთვის აქაველების მხარეზე იყო; ასეა გადმოცემული მითებში. ამიტომ ბუნებრივი იქნება, რომ ამ ბრძოლაში მენელაემ გაიძარჯვოს. უცნაური იქნებოდა გამარჯვება პარისისა, რომელიც, გადმოცემით ნებიერი და ქალაქუნა ვაჟი იყო; უცნაური იქნებოდა იმიტომაც, რომ ცხრა წლის განმავლობაში ტროადელებს წარმატება არ ჰქონიათ.

მეორე მხრით, პოეტს არ შეუძლია გაამარჯვებინოს მენელაეს, ვინაიდან პირველ სიმღერაში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელმაც გამოიწვია ზევსის გადაწყვეტილება — დასაჯოს აქაველები აქილევისს შურაცხყოფისათვის. როგორ შეუძლია პოეტს შესცვალოს ზევსის გადაწყვეტილება და აქაველებს არგუნოს გამარჯვება?

აი, ასეთი დილემა დგას პოეტის წინაშე. ერთი მხრით, თუ სურს ქერშმარიტებას არ უღალატოს (და მას როგორც გენიალურ პოეტს არ შეუძლია უღალატოს სინამდვილით ნაკარნახევ ქერშმარიტებას) — ის პარისს ვერ გაამარჯვებინებს. მეორე მხრით, მას არ შეუძლია გადაუდგეს ზევსის დადგენილებას და აქაველებს გაამარჯვებინოს, სანამ თვით ზევსი არ შესცვლის თავის გადაწყვეტილებას.

ამ კრიტიკულ მდგომარეობას გენიალურმა პოეტმა თავი დააღწია ღიდი ოსტატობით. მენელაე და პარისი ერთმანეთს შეებნენ. მენელაე სჯობნის, პარისი თითქმის უკვე საბოლოოდ ძლეულია: აქაველთა ბანაკში ისმის გამარჯვების შეძახილები. სულ უკანასკნელ წუთს, როდესაც ბრძოლა გათავებულია და ყველამ უნდა იხილოს ნიშანი გამარჯვებისა, მიწაზე დანარცხებულ პარისს აფროდიტე გაჰპყვეს ღრუბლებში და გააბარებს სასახლეში მოსასვენებლად. ამგვარად, მართალია, მენელაემ აჯობა პარისს, მაგრამ, შედეგი ამ გამარჯვებისა, ნიშანი მტრის დამარცხებისა, გაქრა.

ამგვარად, ბრძოლა დამთავრდა ისე, რომ არა ჩანს, თუ ვინ გაიმარჯვა. მენელაეს მთლად არ გაუმარჯვია, რადგან პარისი ცოცხალი გადარჩა. თანაც ზევსს სურს, რომ გაგრძელდეს ბრძოლა, რადგან, დაპირების თანახმად, ტროადელებმა უნდა გაიმარჯვონ, რათა დაკმყოფილებულ იქნეს შურაცხყოფილი აქილევისი; ჰერას კი ტროადელების დამარცხება სურს. ათენას შთაგონებით, იდის მთის ძირში მცხოვრებ ძელიელების სარდალი პანდარე, ტროადელების მოკავშირე, ისარს სტყორცნის მენელაეს და დასჭრის მას. ამგვარად, ფიცი გატეხილია, დადებული ხელშეკრულება დარღვეულია: ტროადელმა პანდარემ მოღალატურად ესროლა აქაველ მენელაეს. მტრის ვერაგობით განრისხებული აგამემნონი ხელახლა ათვალიერებს აქაველთა ჯარს და მოუწოდებს მას ბრძოლისაკენ, ხოლო ბრძენი ექიმი მაქაონი, ასკლეპიოსის ძე, ჭრილობას უხვევს მენელაეს.

ბრძოლა განახლდა. პირველ ხანებში აქაველები ავიწროებენ ტროადელებს; მართალია, უძლეველი აქილევსი აღარ იბრძვის ბერძნების წარში, მაგრამ, სამაგიეროდ, აქაველ მეომრებს წინ მიუძღვის დიომედე, ტიდევსის ძე, რომელიც შიშის ზარს სცემს ტროადელებს. მსხვერპლი დიდია ორივე მხრით.

შემდეგი, მ ე ხ უ თ ე ს ი მ დ ე რ ა მიძღვნილი აქვს დიომედეს ვაჟ-აკუობას, მის საგმირო საქმეებს ეხმარება თვით ათენა.

დიომედე მრავალ ტროადელს უსპობს სიცოცხლეს, მათ შორის მოლალატე პანდარესაც; უკანასკნელის საშველად გამოემართა ენეასი, აფროდიტეს ძე; დიომედემ დასჭრა ენეასიც. დასჭრა მისი დედა აფროდიტეც, რომელიც დაჭრილ შვილს უვლიდა.

ამრიგად, ღმერთქალი ათენა ეხმარება აქაველებს და ისინი ტროადელებს ავიწროებენ. ტროადელების მდგომარეობა მძიმეა. მისანი ჰელენოსი (პრიამეს შვილი) ურჩევს ჰექტორს წავიდეს ქალაქში და სთხოვოს თავის დედას, ჰეკაბეს, — შეევედროს ათენას და აღუთქვას მას მსხვერპლად თორმეტი ხარი, რათა მან, ათენამ, შეიბრალოს უდანაშაულო ქალები და ბავშვები და „აქაველთა შორის უმამაცესი“ დიომედე უწმინდესი ილიონის კედლებთან შეაჩეროს. ჰექტორიც მიდის ქალაქში, ბრძოლის ველზე კი გრძელდება გმირთა შებმა.

ჰექტორი ქალაქშია. მისი თხოვნით ჰეკაბე, ტროადელ ქალებთან ერთად, მიდის ათენას ტაძარში, აღუთქვამს ღმერთქალს თორმეტი ხარის მსხვერპლად შეწირვას და სთხოვს — მახვილი გადაუმტვრიოს დიომედეს და თვით იგი ილიონის კარიბჭესთან დაანარცხოს. ჰექტორი კი მიდის სასახლეში, რომ ბრძოლის ველზე გაიყვანოს პარისი, რომელიც შინ დამჯდარა და ნებევრობს. შემდეგ ის მიდის თავისი მეუღლის, ანდრომაქეს, სანახავად. ცოლი სახლში არ დაუხვდა, მხევლები გაგზავნა საქებრად, თვითონაც ეძება, მაგრამ ანდრომაქე არსად არ აღმოჩნდა. მას სმენია — აქაველები ტროადელებს ამარცხებენო და ილიონის კოშკისკენ წასულა, ქალაქის კედელს მისდგომია, თან წაუყვანია ჩვილი ასტიანაქსი და ძიძა. აქ, ქალაქის კედლებთან, ნახავს ჰექტორი თავის მეუღლეს. ანდრომაქე მას ტირილით მიმართავს: არ გეცოდება არც ეს ჩვილი ბავშვი, არც მისი დედა, განა გინდა რომ მალე დავქვრივდეთ? არგიველები მოგკლავენ შენ, და სჯობს მეც ჩაგყვე მიწაში, ვინაიდან შენ ხარ ჩემი დედაც, ჩემი მამაც. მამა ხომ აღარ მყავს; იგი ეეტიონი, აქილევსმა მოჰკლა ბრძოლაში, როდესაც თებე დაანგრია; ჩემი ძმებიც, შვილნი იყვნენ შინ, ყველანი ერთ დღეს ჩავიდნენ აიდის სამეფოში; ისინი, უბედურნი, ამოუღიბა ფეხმარდმა აქილევსმა, დედაჩემიც ტყვედ წაიყვანა, თუმცა საზღოს მიღების შემდეგ განათავისუფლა; მამის სახლში მოკვდა ის, და მე ახლა მარტო ვარ. დარჩი აქ, ნურსად წახვალო.

ჰექტორის პასუხიც არანაკლებ დამაღონებელია. მას ესმის ყველაფერი; ისიც იცის, რომ ილიონი დაეცემა, მაგრამ აქ დარჩენა არ შეუძლია, ვინაიდან მოვალეობა მოქალაქეთა წინაშე მას უკარნახებს ბრძოლის ველზე იყოს. ყველაზე უფრო მას ანდრომაქეს ბედი აწუხებს, მაგრამ რას იზამ. „შენ წადი, შინ, მოუარე შინაურ საქმეებს, ჩემი საქმე კი ომიოა“, ეს არის ჰექტორის უკანასკნელი სიტყვები.

შემდეგ სიმღერაში ჰექტორი და პარისი იბრძვიან და სძლევენ აქაველებს: ათენა და აპოლონი მათ შველიან. ჰექტორი ხელდახელ იწვევს ვინმეს აქაველთაგან: ბრძენი ნესტორის რჩევით, გამოდის აიანტი ტელამონის ძე — ვერავენ ვერ სძლევს, ჩამოვარდება ზავი, დახოცილთა გვამებს უვლიან.

ბრძოლა გრძელდება. ზეესი, იდის მთაზე, სასწორზე წონის მებრძოლთა ბედს და ელვით ანიშნებს აქაველთა დაღუპვას. აქაველები მარცხდებიან.

აგამემნონი თანახმაა ყველაფერი დაუთმოს აქილევსს, ოღონდ კი ის დაუბრუნდეს ბრძოლის ველს. გზავნის მასთან მოციქულებს (ოდიზევსს, აიანტს და სხვ.), მაგრამ ამაოდ.

აქაველთა მდგომარეობა დამაფიქრებელია: აგამემნონს იმედი ჰქონდა, რომ მოციქულები დაიყოლიებდნენ აქილევსს და უძლეველი გმირის შემწეობით აქაველები შესძლებდნენ ბედის შეტრიალებას. ეს იმედი მას გაუტრუდა, რადგან აქილევსის გულში ძველებურად მძვინვარებს რისხვა. ახლა აგამემნონმა გადაწყვიტა მოთათბირებოდა ნესტორსა და სხვა გმირებს, თუ როგორ აეცდინათ უბედურება აქაველთა ლაშქრისათვის. თათბირზე დაადგინეს მწვერავეების გაგზავნა მტრის ბანაკში. მწვერავებად წავიდნენ დიომედე და ოდისევსი.

ამ დროს ტროადელთა ბანაკშიც თათბირია: ჰექტორიც მოუწოდებს ტროადელ გმირებს დაზვერონ აქაველთა ბანაკი და მოაწოდონ მას ცნობები. დაზვერვა იკისრა დოლონმა. როგორც კი დოლონი მიუახლოვდა აქაველთა ხომალდებს, ის მაშინვე შენიშნა ოდისევსმა. ოდისევსმა და დიომედემ დაიპირეს დოლონი და ათქმევინეს ყველაფერი: მისგან გაიგეს აგრეთვე, რომ ტროადელების ბანაკში ახლახან მოსულა თრაკიის მეფე რეზო. ოდისევსმა და დიომედემ, დოლონის გამოტების შემდეგ, მოჰკლეს იგი, თვითონ კი შეიპარნენ ტროადელთა ბანაკში, მოჰკლეს რეზო, ხელთ იგდეს მისი ცხენები და დაბრუნდნენ უკან. ტროადელთა ბანაკის მდგომარეობის შესახებ მათ მოიტანეს მრავალი ახალი ცნობა, რომლებიც დოლონისაგან გაიგეს.

აგამემნონი ხელახლა რაზმავს ბერძნებს საომრად. ბრძოლა განახლდა. აგამემნონი, ოდისევსი, დიომედე დაჰრილი არიან. დაჰრილია მაქაონიც, ასკლეპიოსის ძე, მეომარი-ეჭიმი, თესალიის ერთ-ერთი ქალაქის სარდალი. იგი ბრძოლის ველიდან გაჰყავს ნესტორს თავისი

ეტლათ. აქილევსი, რომელიც ამ დროს თავისი ხომალდის ბანზეა. ხედავს ამას, ის მოუხშობს პატროკლეს: წადი, გამიგე ვინ იყო, ჭკოანი ჰაქაონი იყო. პატროკლე მიდის აქაველთა ბანაკში. ნესტორი გახარებულია, რომ აქილევსის მეგობარი, პატროკლე, მათ ბანაკს ეწვია. და ცდილობს აღძრას მასში სიბრალული, რათა შემდეგ პატროკლემ თავი ნაამბობით გული მოუღბოს განრისხებულ აქილევსს და, თუ აქილევსი არა, თვითონ პატროკლე მაინც წამოვიდეს საბრძოლველად.

შემდეგ სიმღერებში ბრძოლა გრძელდება. ჰექტორი ამარცხებს აქაველებს. ღმერთები ერევიან საქმეში. ჰერას სურს დაეხმაროს აქაველებს და მიმართავს შემდეგ ხერხს. მან გადაწყვიტა მოეხიბლა ზევსი: მორთო კოხტად. დაიზილა ტანი სურნელოვანი ნელსაკებლებით. გადაიცვა ათენას მიერ მოქარგული კაბა, რომელიც გულმკერდთან შეიკრა ოქროს ბალთებით; ყურებზე სამსართულიანი საყურეები ჩამოიკიდა, ხოლო აფროდიტეს პოტყუებით გამოართვა მოქარგული სარტყელი, რომელშიც ჩაქსოვილი იყო ყოველგვარი ჯადო: სიყვარული, შეყვარებულთა მომხიბლავი სიტყვები, რომლებსაც არაერთხელ დაუბნელებიათ გონიერთა გონებაც (აფროდიტეს კი უთხრა, მივლინარ, შევარიგო ჩემი მშობლები, ოკეანე და ტეთისიო). იქიდან ჰერა გაემართა ძილის ღმერთთან, სიკვდილის ძმასთან: სიყვარულის ცეცხლში რომ იქნება ზევსი, მაშინ მას ძილი მოჰგვარეო, სამაგიეროდ გაჩუქებ ტახტს, ჰეფესტოს მიერ გაკეთებულსო. ამით მან ვერ მოხიბლა ძილის ღმერთი; მაშინ შეჰპირდა მეუღლედ მოგცემ ქარიტს პასითეას, რომლისთვისაც შენ ამდენი ხანია იწვიო... ჰერა ესტუმრა ზევსს იდის მთაზე. მოხიბლა იგი, ალერსის დროს ზევსს ჩაეძინა. ამით ისარგებლა ჰერამ და ბრძოლის ბედი თავისებურად შეატრიალა: ტროადელები დაზარცხდნენ; ჰექტორი დაიჭრა.

ზევსმა გამოიღვიძა, მიხვდა თუ როგორ მოატყუილა იგი ჰერამ, განურისხდა და გალანძღა იგი. შემდეგ მან კვლავ შეატრიალა ბრძოლის ჩარხი და თანდათან ტროადელებს ამარჯვებინებდა.

მე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე ს ი მ ღ ე რ ა შ ი მოთხრობილია, რომ პატროკლე დაბრუნდა აქილევსის კარავში და უამბო მას აქაველთა უბედურება. იგი ცრემლებით სთხოვს აქილევსს, მისცეს მას შირმიდონელები და გაუშვას იგი აქაველთა დასახმარებლად. აქილევსი თანხმდება. თავის საჭურველსაც თან ატანს პატროკლეს, ხოლო წასვლის წინ აძლევს რჩევადარჩევბას: გარეკოს ტროადელები ბანაკიდან და მოწინააღმდეგეს ღრმად არ შეატყუებინოს თავი და არც ჰექტორს შეებრძოლოს. პატროკლე მიდის; გაშმაგებით იბრძვის; სტერს თვით ქალაქამდე დევნის; აპასაც არ კმაყოფილდება — უნდა ქალაქიც აიღოს; ებრძვის. ჰექტორს, მოჰკლავს მის მეეტლეს, მაგრამ ახოლონი შველის ჰექტორს... ჰექტორი მოჰკლავს პატროკლეს.

მეჩვიდმეტე სინდერა იწყება იმ ბრძოლით, რომელიც გაა-  
მართება პატროკლეს გვამის გარშემო. პირველი მენელაე იყო, რო-  
მელიც მაშინვე მივარდა მოკლულის გვამთან უკანასკნელის დასაცავად  
ტროადელების მხრით შეურაცხყოფისაგან. და ის, მენელაე, — ამბობს  
„ომეროსი, — ისე დაფათფაუებდა პატროკლეს სხეულს, როგორც  
თავის ხზოს დატრიალებს ბლავილით ძროხა, რომელმაც პირველად  
დაბადაო<sup>1</sup>. მენელაე<sup>2</sup> მიეშველნენ სპვა აქაველებოც. ხოლო ტროადელე-  
ბის საშველად გამოემართა თვით ჰექტორი. ამ ბრძოლაში პატროკ-  
ლეს გვამი (შიშველი, რადგან მისი საჭურველი ჰექტორს წაედო და  
გაეგზავნა ილიონში შესანახავად) ხელიდან ხელში გადავიდა. ძლივს-  
ძლიობით შეძლეს აქაველებმა ორივე აიანტის მეთაურობით გვანი  
გამოეტანათ ბრძოლის ველიდან. მაგრამ ტროადელებს მაინც არ შეუ-  
წყვეტიათ დევნა. ამიტომ იყო, რომ მენელაემ ვაკზავნა ანტილოქე.  
ნესტორის შვილი, აქილევის კარავში, რათა შეეტყობინებინა მისთვის  
პატროკლეს დაღუპვის ამბავი.

საზღვარი არა აქვს აქილევის მწუხარებას, მეგობრის სიკვდილის  
ამბავი რომ გაიგო. მწუხარების შავმა ღრუბლებმა დაუბურა მას სახე,  
მსწრაფლ აიღო ორივე ხელით გაშავებული ნაცარი და თავზე მოიყარა.  
თმებს იგლეჯდა. მხეველები, რომლებსაც აქილევისცა და პატროკლეც  
ეგზომ მოსწონდათ, მწუხარებით გაჰკვირან; ზელებს გულში იცემენ.

ბრძოლა პატროკლეს გვამისათვის გრძელდება. აქაველები გაშმაგა-  
ბით იბრძვიან. აქილევი გამოჩნდება გორაკზე და საშინლად მოღუშუ-  
ლი სახით დაენახება ტროადელებს. საკმარისი იყო მისი გამოჩენა, რომ  
ტროადელები გაქეულიყვნენ. გვამი მოიტანეს აქილევის ბანაკში.

აქილევის გადაწყვეტს პატროკლეს სისხლი აიღოს. ის დაივიწყებს  
თავის რისხვას და მიდის, რათა შეებრძოლოს ჰექტორს, მაგრამ მას სა-  
ჭურველი არა აქვს, იგი ხომ მან პატროკლეს მისცა და ჰექტორს ჩაუვა-  
რდა ხელში. ამიტომ თეტიდა მიღის ჰეფესტოსთან, რომ გააკეთები-  
ნოს საჭურველი.

თეტიდას თხოვნით ჰეფესტო შეუდგა აქილევისათვის ფარის  
დამზადებას. XVIII, 468 — 607 ტაეპში დაწვრილებით არის აღწერი-  
ლი „აქილევის ფარი, რომელიც იშვიათის ოსტატობით გამოსჰედა  
ჰეფესტომ. ფარზე გამოახა მიწა, ზღვა და ცა; ცაზე — მზე, მთვარე და  
ვარსკვლავები, რომლებითაც ცა იყო მოჭედილი. ფარზევე ასახა ორი  
ქალაქი: ერთ ქალაქში ქორწილი და ქეიფია... მეორე ქალაქისათვის  
მტერს ალყა შემოურტყამს. ალყაშემორტყმულთ შველიან არესი და  
ათენა... ასახულია ფარზე ზალხის მშიდობიანი ცხოვრება: ყანა, თავთა-

<sup>1</sup> „ილიადის“ ეს ადგილი (XVII, 5) ერთს ძველ ქართულ ძეგლში ლექსადაც კი  
არის გადმოცემული: „ბარბით მცემელობს პირმშო-შობვერ მესნიერი შობისა“. ამ  
ტაეპის თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს და შესრულებულია „დაბალი შაირით“.

ვები; ვენახი, რთველი; ახალგაზრდების ჟივილ-ხივილი; მწყემსები და ცხვრის ფარა... მთელს ფარს ირგვლივ შემოხვევია ოკეანე. ასეა ასახული ფარზე ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი ავი და კარგი, ბრძოლა ცხოვრების ავკარგიანობისათვის.

ფარის შემდეგ ჰეფესტო გამოსჰედს ჯავშანსაც, მუზარადს და საბარკულეხსაც. საჭურველი მზადაა, აქილევსი იწვევს კრებას. ხდება შერიგება. აგამემნონი უბრუნებს მას ბრისეიდას. აგამემნონი ფიცით არწმუნებს აქილევსს, რომ ბრისეიდას უბრუნებს ხელუხლებელს.

შემდეგ სიმღერებში ბრძოლა გრძელდება. აქილევსის მეთაურობით აქაველები იმარჯვებენ. მრავალი ტროადელი გაელიტა აქილევსმა.

ჰექტორი შეებრძოლა აქილევსს. აქილევსი დაედევნება ჰექტორს, სდევს მას ქალაქის კედლებამდე, ბოლოს შუბით განგმირავს მას. სიკვდილის წინ ჰექტორი ჭთხოვს აქილევსს — არ შეურაცხყო მისი გვამი, მაგრამ აქილევსი მიაბამს მას ეტლზე და მიათრევს თავის ბანაკში.

ო ც დ ა მ ე ს ა მ ე ს ი მ დ ე რ ა შ ი აღწერილია პატროკლეს დამარხვა. კოკონი, ძვლების შეკრება; მერე ქელეხი და მიცვალებულის პატივსაცემად შეჯიბრება: კრივი, ეტლთა სრბოლა, რბენა, დისკოს სროლა, ისრების ტყორცნა.

ო ც დ ა მ ე ო თ ხ ე ს ი მ დ ე რ ა. აქილევსი ათრევს ჰექტორის გვამს პატროკლეს საფლავის ირგვლივ, უსაზღვრო მწუხარება სუფევს პრიამეს სასახლეში, ვინაიდან აქილევსის ბანაკშია ჰექტორის გვამი.

პოემა ამით დამთავრებულია. პოემაში მოქმედების გაშლა დაიწყო აქილევსის რისხვით, რომელსაც მოჰყვა ათასი ჭირი და ვაი აქაველები-სათვის. და ვინაიდან აქილევსმა თავისი რისხვა თვითონვე მოხსნა და განაახლა მონაწილეობა ომში, ბოლო უნდა მოეღოს აქაველთა უბედურებას. მაგრამ მოთხრობა, ცხადია, ვერ დასრულდება, ვიდრე ჰექტორის გვამი მტრის კარავშია და სანამ ჰექტორის გვამზე მაშინდელი წესებით გათვალისწინებულ რიტუალს არ შეასრულებენ ტროადელები და ძვირფას შვილს არ დაიტირებენ პრიამე და ჰეკაბე.

პოემა მთავრდება ზევსის ჩარევით. ომი ხომ გრძელდებოდა ზევსის დადგენილებით, სანამ ტროადელები არ გაიმარჯვებდნენ. ზევსმა კი ეს დადგენილება გამოიტანა შეურაცხყოფილი აქილევსის რისხვის საფუძველზე. ვინაიდან აქილევსმა თვითონ მოხსნა თავისი რისხვა, ზევსიც გადასწყვეტს — ბოლო მოეღოს ომს: იგი შეუთვლის თავის ნებას, ერთი მხრით, აქილევსს, მეორე მხრით, — პრიამეს; უკანასკნელს ურჩევს დატვირთოს ურემი საჩუქრებით და ინახულოს აქილევსი; აქილევსს კი შთააგონებს — ლმობიერად მიიღოს უბედური მამა პრიამე და დაუბრუნოს მოკლული შვილის გვამი. აქილევსის კარავში ხდება შეხვედრა აქილევსისა და პრიამესი. მათ საერთო მწუხარება ამოძრავებს. ორივემ დაჰკარგა უძვირფასესი მახლობელი ადამიანი:



ერთმა ძმის სწორი პატროკლე, მეორემ — თავისი პირმშო. „მე, ყოვლად საბრალო ადამიანმა, — ეუბნება პრიამე აქილევსს, — ვაჟაკი შვილები აღვზარდე უერცესს ტროადაში, არც ერთი მათგანი აღარ შემრჩა. ორმოცდაათი ვაჟი მყავდა, როდესაც აქაველთ ძენი გვეწვივნენ: მათგან ცხრამეტი ერთი დედის ნაშობი იყო, სხვები კი დაბადეს სხვა ჩემმა ცოლებმა. ბევრ მათგანს მრისზანე არესმა ბუხლები ჩაუღეწა. ერთიღა დამრჩენოდა, იგი იცავდა ქალაქს და მოქალაქეებს; ახლახან ისიც მომიკალი, სამშობლოსათვის მებრძოლი ჰექტორი! მისი გულისთვის მოვედი აქაველთა ხომალდებთან, რათა გამოვისყიდო იგი შენგან, თან მოგიტანე ურიცხვი საზღო!“

პოემა თავდება იმით, რომ აქილევსი უბრუნებს პრიამეს მისი შვილის გვამს, ხოლო ტროადელები მათ ბანაკში მოტანილ გვამს უკანასკნელ პატივს სცემენ. როდესაც ჰექტორის გვამი მოიტანეს ილიონში, ქალებმა (კასანდრამ, ანდრომაქემ, ჰეკაბემ) ტირილი მორთეს, მთელ ქალაქს ესმოდა მათი მოთქმა. ისინი დასტიროდნენ ჰექტორს, პირველ რიგში, როგორც სამშობლოს დამცველს, ქალებისა და ბავშვების იმედს. სამგლოვიარო ეტლს პირველი შეხვდა კასანდრა, რომელმაც ასეთი სიტყვებით მიმართა ხალხს (ტ. 704 — 706):

იხილეთ კაცნო და ქალნო, სახელოვან ჰექტორის გვამი;  
ცოცხალი რომ იყო, გახსოვთ სიხარულით ხვდებოდით ვაჟაკს,  
საბრძოლო ველდან მოსულს, ქალაქის და მთელ ხალხის ნუგეშს!

კასანდრა ტირილში შესცვალა ანდრომაქემ, მისი პირველი სიტყვები აღნიშნავდა ჰექტორის დამსახურებას ქვეყნის წინაშე: „შენ დაიღუპე როგორც დამცველი ქალაქისა, საბრალო ქალებისა და ჩვილი ბავშვებისაო“ (ტ. 729 — 730). შემდეგ ჰექტორს დაიტირებენ დედა ჰეკაბე და რძალი ელენე.

პრიამეს ბრძანებით, ტროადელები ცხრა დღეს ზიდავდნენ შეშას კოკონისათვის: მეათე დღეს გვამი დასწევს. ნეშტი, ოქროს ლარნაკში მოთავსებული, მიწას მიაბარეს და ქელები გადაიხადეს.

§ 9. „ოდისეა“. ამ პოემაში მოთხრობილია ტროადის ომის მონაწილე გმირის ოდისევსის თავგადასავალი.

კარგა ხანია ოდისევსი, ილიონის დანგრევის შემდეგ, დახეტიალობს და მშობლიურ ითაკეში ვერ მიუღწევია. სხვები, რომელთაც ბედზე ეწერათ სამშობლოში დაბრუნება, უკვე ყველანი დაბრუნდნენ, ოდისევსი კი ისევ გზაშია. პოემის დასაწყისში ის ოგივის კუნძულზეა, ნიმფა კალიფსოსთან, რომელსაც უნდა დაიყოლიოს იგი ქმრობაზე, მაგრამ ამაოდ. და, აი, როდესაც მოახლოვდება წელი, ღმერთებისაგან ოდისევსის შინ დაბრუნების წილად განკუთვნილი,

ღმერთები შეიცოდებენ მას; ხოლო პოსეიდონი დევნის ოდისევსს, სხვა ღმერთები კი მის მხარეზე არიან. მაგრამ პოსეიდონი ამ დროს ეთი-ოპიაშია, რომ ხარები და ცხვრები შეიწიროს იქაური მცხოვრებლებისაგან. ასე რომ ღმერთები უიმისოდ იკრიბებიან ზევსის პალატებში. ამ კრებაზე ღმერთქალი ათენა მიმართავს თხოვნით ზევსს — ბოლო მოულოს ოდისევსის ტანჯვას.

ზევსის პასუხიდან ირკვევა რომ, თუ ოდისევსი ამდენ ხანს ხეტიალობს, ეს პოსეიდონის ბრალია; ოდისევსს დაუბრმავებია თურმე პოლიფემი, ღმერთთა სწორი კიკლოპი, შვილი პოსეიდონისა, და უკანასკნელიც სდევნის მას და საშველს არ აძლევს ზღვებზე. მართალია, ის მას ვერ დალუპავს, მაგრამ სამშობლო ქვეყნიდან შორს ისვრის ხოლმე. ზევსი თანახმაა რაიმე ზომები მიიღოს ოდისევსის დასაბრუნებლად; და, აი, ათენაც წინადადებას იძლევა ჰერმესი იქნეს გაგზავნილი ოვიგის კუნძულზე და გადასცეს კალიფსოს ღმერთების გადაწყვეტილება, რომ დადგა უამი ოდისევსის განთავისუფლებისა, ხოლო თვითონ ათენა წავა ითაკეზე, რათა ოდისევსის ვაჟს, ტელემაქეს, მიაღებინოს ზომები ოდისევსის სახლში შეჭრილი სასიძოების წინააღმდეგ და გაგზავნოს ის მამის საქებრად. მართლაც, ათენამ მიიღო სახე ოდისევსის ძველი მეგობრის, ტაფიელთა მთავრის მენტესისა, და გამოეცხადა ტელემაქეს. ოდისევსის ცოლის, პენელოპეს, ქმრობის მაძიებელნი, მეზობელი ქვეყნების მთავრები, შეკრებილან ოდისევსის სახლში და ქეიფობენ, კამათელს თამაშობენ და დავობენ თუ ვის დარჩეს პენელოპე.

დიდის პატივისცემით შეხვდა ტელემაქე სტუმარს. მიუჯდა მას და ჰკითხა ვინაობა და აგრეთვე ისიც, თუ ახალი რა იცოდა მან მისი მამის, ოდისევსის, შესახებ. ტაფიელების მთავარი ვარ, ქალაქ ტემეუში მივდივარ სპილენძზე, თან ბრჭყვიალა რკინა მიმაქვს გადასაცვლელოდო; მამაშენი დაბრუნებული მეგონა და იმიტომ შემოვიარე; მაგრამ, ჩანს, სადღაც შეაფერხეს იგი ღმერთებმა; არ მომკვდარა, უთუოდ დაბრუნდება შინ. და როდესაც გაიგებს ტელემაქესაგან, თუ რას აკეთებენ ოდისევსის სახლში შემოსეული სასიძოები, თუ როგორ ანიავებენ ისინი ოდისევსის ქონებას, ის ურჩევს ტელემაქეს — მეორე დღესვე მოიწვიოს ითაკელების საბჭო, აუხსნას იმათ მდგომარეობა და მოითხოვოს სასიძოების გადგება; დედა, პენელოპე, გაგზავნოს მისი მამის სახლში, ხოლო თვითონ წავიდეს პილოსში ნესტორთან და სპარტაში მენელაესთან. მენელაე უკანასკნელი დაბრუნდა ტროადელების დამარცხების შემდეგ და ეცოდინება ოდისევსის ამბავი. თქვა ეს და მიიშალა მენტესი-ათენა. ტელემაქე მიხვდა, რომ მას ღმერთთან ჰქონდა საუბარი, მეტად გაამხნევეს იგი ამ სიტყვებმა და, როდესაც ის შებრუნდა იქ, სადაც სასიძოები ქეიფობდნენ, გაბედული ლაპარაკი გაუმართა სასიძოებს და დედასაც: სასიძოებისაგან გადაჭრით მოითხოვს—

დასცალონ ოდისევესის სახლი, ხოლო დედას უბრაძანა ოჯახურ საქმეებს მიხედოს.

მეორე დღეს დღით ადრე ტელემაქემ მოიწვია კრება. იგი აცნობებს დამსწრეებს, რომ მან შეკრიბა ხალხი არა იმიტომ, რომ სახალხო საქმეები განავოს, არამედ პირადი საკითხისათვის, სახელდობრ: მან დაჰკარგა თავისი მამა და, მეორე მხრით, მისი მამის ქონებას ანადგურებენ სასიძოები. როდესაც კრებაზე ტელემაქეს წინააღმდეგ გამოვა ერთი სასიძოთავანი, ანტინოე, მისი სიტყვიდან გავიგებთ ჩვენ, თუ რა მდგომარეობაა ოდისევესის სახლში. სასიძოები შეურაცხყოფილად სთვლიან თავს, რომ ოდისევესი მეუღლე, პენელოპე, უკვე მეოთხე წელია ატყუებს სასიძოებს და აიძულებს მათ, რომ უთუოდ სულ მალე ერთ-ერთ მათგანს ცოლად გაჰყვებან; დაუდგამს საქსოვი დაზგა და დაუწყია ოდისევესის მამისათვის, ლაერტისათვის, სულარის ქსოვა; ამ საქსოვს რომ დავამთავრებ, მაშინ გავყვები ცოლად ერთ-ერთ თქვენგანსო; სამი წელი გვატყუა ასე, სანამ ერთმა მოახლემ არ გაგვიმელავნა, რომ, დღისით რომ ქსოვს, ღამით არღვევს დღისით ნაქსოვსო; ჩვენ მოვითხოვთ გაგზავნო დედაშენი მამამისთან და მასთან შეთანხმებით ერთი ჩვენგანი აირჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში განვაგრძობთ შენი ოჯახის განადგურებასო.

გაჯავრებული ტელემაქე დაემუქრება ღმერთების რისხვით. მართლაც, ამ დროს გამოჩნდება ორი არწივი: არწივები შემოტრიალდებიან შეკრებილთა თავზე, ჰაერში, შემდეგ ეცემიან ერთმანეთს, გულებს დაუეჭვრავენ ერთიმეორეს და მარჯვნივ გაფრინდებიან. ამ მოვლენას მისანი ჰალითერსე ახსნის როგორც სასიძოებისათვის უბედურების მოახლოებას და ასრულებას იმისას. რაც მას თავის დროზე უმისვნია, სახელდობრ, მრავალი ბრძოლისა და მრავალი ხეტიალის შემდეგ, მეოცე წლის დასასრულს, ოდისევესი დაბრუნდება სამშობლოში. ტელემაქე თავის მეორე სიტყვაში განუმარტავს დამსწრეთ, რომ მას განზრახული აქვს წავიდეს თავისი მამის საძებრად, პილოსსა და სპარტაში, და მოითხოვს სათანადო სამზადისს. კრებაზე სიტყვით გამოდის ოდისევესის მეგობარი მენტორი. ის სთხოვს ხალხს სასიძოებისაგან დაიცვან ტელემაქე და მისი ქონება, თანაც დამსწრეებს საყვედურით მიმართავს: ჩემგან თქვენ გეკუთვნით, ხალხნო, საყვედური, რომ დღემილით ზიზარო და სიტყვაც გეშურებათ ტელემაქეზე, მოაშოროთ მას საქმროთა ხროვა.

საქმროები, რასაკვირველია, უარს ეუბნებიან ხომალდების მიცემაზე და საჭირო გახდება ღმერთქალის ათენას ჩარევა, რომელიც მიიღებს მენტორის სახეს და მოუშვადებს ტელემაქეს ყველაფერს, რაც საჭიროა მგზავრობისათვის (ხომალდი, ხალხი, სანოვაგე), და საქმროების მალულად გააძარბებს მას პილოსისკენ.

პილოსში ნესტორი, ამ ქვეყნის მთავარი, დიდი პატივით შეხვდება ტელემაქესა და მენტორს. ტელემაქე გამოჰკითხავს მას ოდისევეს ამბებს. ნესტორი უამბობს ტროადის გმირთა თავგადასავალს. უამბობს, სხვათა შორის, აგამემნონის ბედს. აგამემნონის მეუღლე კლიტემნესტრა შეუყვარებია, აგამემნონის აქ არყოფნის დროს, ეგისტუსს, შეუძღენია იგი, ხოლო აგამემნონი მოუკვლევინებია თავისი კაცებისათვის, როდესაც ის არგოსში დაბრუნებულა. შვიდ წელს იმთავრა მან არგოსში. მერე ორესტემ, აგამემნონის ძემ, სამაგიერო უზღო. თვითონ ნესტორი, მშვიდობით დაბრუნებულა პილოსში. რაც შეეხება მენელაეს, მას ბევრი ხეტიალი მოუხდა, ბევრი სიმღიდრე შეიძინა გზაში და, ბოლოს, მოვიდა არგოსში. ნესტორი ურჩევს ტელემაქეს უთუოდ ინახულოს მენელაე: მისგან გაიგებ შენ უფრო ახალ ამბებს ოდისევეს შესახებო. ნესტორი მოუშზადებს მას ცხენებს და ეტლს, თან გააყოლებს თავის შვილს პისისტრატეს და ისე გაისტუმრებს მას სპარტი-საკენ.

მენელაეს სასახლეს მოადგნენ ტელემაქე და პისისტრატე. მენელაე უამბობს მათ ტროადის ამბებს, გადმოსცემს მოხუცი მისნის პროტეოსის ნათქვამს, რომ ოდისევეს, ლაერტი<sup>1</sup> ძე, მპყრობელი ითაკისა, კალიფსოს სასახლეში იტანჯება. გზა დახშული აქვს მას; არც ხომალდი აქვს, არც მეზღვაურები ჰყავს.

აშასობაში პენელოპეს საქმროები შეშფოთებული არიან ტელემაქეს გამგზავრების გამო და გადაწყვეტენ მოკლან იგი დაბრუნებისას და კიდევაც ჩაუსაფრდებიან მას.

ამით მთავრდება ტელემაქია (I — IV სიმღერები).

მეხუთე სიმღერაში ჩვენ ისევ ოლინპოს მთაზე ვართ. ღმერთები ბჭობენ. ათენა სთხოვს ზევსს, უშველოს ოდისევეს, რომელსაც კალიფსო სტანჯავს ოგიგიის კუნძულზე და რომლის ქონებას საქმროები ანიავებენ. საქმროებს ახლა ოდისევეს შვილის, ტელემაქეს, მოკვლაც განუზრახავთ, ზევსი დაამშვიდებს ათენას. დაავალებს — ყური უგდოს ტელემაქეს, რათა ის მშვიდობით დაბრუნდეს შინ, ხოლო ჰერმესს გაგზავნის კალიფსოსთან, რათა აცნობოს მას, რომ დაჰკრა ზარმა ოდისევეს შინ დაბრუნების წუთისა. ჰერმესიც გაემგზავრა კალიფსოსთან. კალიფსო, მართალია, შეშფოთდა, ეწყინა რომ მას ართმევენ საყვარელ კაცს, მაგრამ რას იზამს — „ბრძანებას ზევსისას ვერ გადაუდგება ვერც ერთი ღმერთი“. კალიფსო გულისტკივილით გაისტუმრებს ოდისევეს, ოდისევეს მისცურავს აღმოსავლეთის მიმართულე-ბით. თვრამეტი დღის მგზავრობის შემდეგ მას შეამჩნევს პოსეიდონი, რომელიც ბრუნდება ეთიოპელთა ქვეყნიდან, სადაც ის წასული იყო მსხვერპლშეწირვის მისაღებად. დაინახა თუ არა ოდისევეს ტივი, სამთითი დაჰკრა ზღვას და ამოუშვა ქარიშხალი; სამი დღე და სამი ღამე

დაქანებენ ოდისევეს ზღვის ტალღები, რომლებიც მან დაუშლიან ტივს. ტივის ცალ ბოძზე გადარჩენილი ოდისევსი ებრძვის სიკვდილს; ბოლოს, მას, ტანსაცმელშემოგლეჯილს და ღონემიხდილს, ტალღები შეაგდებენ ზღვიდან ფეაქების ქვეყნის ერთ პატარა მდინარეში, რომლის ნაპირზეც ცოცხალ-მკვდარი ოდისევსი მიეგდება ხის ქვეშ ფოთლებზე და ჩაიძინება.

ათენა კვლავ შველის ოდისევეს. იან სიზმარში გამოეცხადება ფეაქების ქვეყნის მეფის ასულს ნავზიკას და ურჩევს მას მეორე დილითვე გაემგზავროს მდინარეზე და წაიღოს სარეცხი: მოახლოვებულია შენი გათხოვების დრო და უნდა მზად გქონდეს საცვლებიო. მეორე დღეს ოდისევეს გამოადვიძებს ხმაურობა, რომელსაც ასტუხენ ნავზიკა და მისი მზევლები რეცხვის დროს, იმ ნაპირს, სადაც ოდისევეს ეძინა. ნავზიკაა მიასწავლის მას თავის მამის, სტუმართმოყვარე ალკინოეს, სასახლისკენ გზას და ოდისევესიკ გაემართება იქითკენ.

ოდისევსი განცვიფრებულია სასახლის სილამაზითა და სიმდიდრით. სპილენძის კარიბჭიდან სპილენძისავე კედელია აგებული სასახლის შენობამდე: სასახლის შესავალი კარი ბაჯაღლო ოქროსია, ხოლო კარის ჩარჩო ვერცხლისა, ოქროს სარეკელაა კარზე მიბმული. გზასასახლისაკენ დაგებულია ქსოვილებით, რომლებიც დამზადებულია ადგილობრივ მხევალთა ხელით. ოდისევსი შევა სასახლეში, სადაც ამ დროს ღხინია გამართული. ის უამბობს ალკინოეს და მის მეუღლეს, არეტეს, თავის უბედურებას, რომელიც შეემთხვა ოგიგიიდან ფეაქთა ქვეყნისაკენ მგზავრობის დროს, და სთხოვს შევლას — გათენდება თუ არა, გამამზადეთ სამშობლოში გასამგზავრებლადო; მრავალი ჭირი გადამხდა თავს. მზადაც ვარ დავიღუპო, ოღონდ ერთხელ მაინც ვიხილო ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი, მონები და სიმდიდრეო. ისინიც აღუთქვამენ შევლას (თავის უნაობას კი ოდისევსი არ ამკლავებს).

ფეაქების მეფემ ალკინოემ სახალხო კრება მოიწვია. ათენა, რომელიც ტანჯულ ოდისევესზე ზრუნვას განაგრძობს, თვითონ ჩამოივლის ქუჩებს და მოუწოდებს ხალხს კრებაზე. შეკრებილებს წინადადებით ძიმართავს ალკინოე — გამამზადონ ხომალდი ზღვის ტალღების მიერ გადმოტყორცნილი უცხო სტუმრის გასამგზავრებლად მის სამშობლოში. სტუმართმოყვარე ფეაქებს სხვანაირად არ ეკადრებათო. ორმოცდათორმეტი მენიხზე ზღვის ნაპირას ქვიშაში ჩაფლულ შავ ხომალდს წყალში შეაცურებს და აჭრებს გამართავს. შემდეგ მათ, მეფის წინადადებით, სასახლეში მიიწვევენ, სადაც ნადიმი იმართება სტუმრის პატივსაცემად. შუა ნადიმში შემოიყვანენ უსინათლო აედს, დემოდოკეს. აედი მღერის მამაცი აქილევისისა და ბრძენი ოდისევესის წაჩხუბებაზე — თუ როგორ აუხირდნენ ისინი ერთმანეთს ნადიმის დროს და როგორ უხაროდა ეს გულში აგამემნონს. ამ სიმღერის შესრულე-

ბის დროს ცრემლები მოადგება ოდისევსს და თავს წამოსასხამით დაიბურავს, რომ არ შენიშნონ მისი ცრემლები; ალკინოე ამჩნევს ამ ცრემლებს, ესმის მისი კვნესის მიზეზი. ის მოუწოდებს წარჩინებულ ფეაქებს — გამართონ ვაჟაკური შეჯიბრებანი, რათა შინ დაბრუნებულმა ოდისევსმა უამბოს შემდეგ თავისიანებს — თუ რაოდენ სჯობიან სხვებს ფეაქები კრივში, ხტომაში, რბენაში. იმართება შეჯიბრება, რომელშიც ოდისევსიც იღებს მონაწილეობას და თავსაც ისახელებს. შეჯიბრების შემდეგ გრძელდება ნადიმი. ისევე მოუხმობენ დემოდოკეს. აედი მღერის ლამაზმიან აფროდიტეზე, ომის ღმერთის არესის შესახებ, მღერის არესისა და აფროდიტეს სიყვარულზე; მღერის იმის შესახებ, თუ როგორ იქნა ოდისევსი ხის ცხენის შიგნით ტროაში დატოვებული; როგორ აიღეს ილიონი; მღერის ტროადის ამბებზე, აქაველთა გმირობაზე. ოდისევსს კვლავ ცრემლებით ევება თვალები. ალკინოე შეაწყვეტინებს დემოდოკეს სიმღერას და თხოვნით მიმართავს ოდისევსს: ნურაფერს დაგვიმალავ, გვითხარი ვინ ზარ, ვინ არიან შენი მამა, დედა, ვინ არიან შენი თვისტომნიო; გვითხარი რად სტერი და რატომ იტანჯები, როდესაც გესმის არგიველ-დანაელთა შესახებ და ილიონის უბედურებაზე? ალბათ, ილიონის კედლებთან დაგელუპა ვინმე მოკეთე: სიძე ან სიძამრი, ან ვინმე ახლობელი მეგობარიო.

„მე ვარ ოდისევსი. ლაერტის ძე, — უპასუხებს ოდისევსი ალკინოეს, — განთქმული მოხერხებულობით; ჩემი დიდება ცამდეა ასული; ჩემი სამშობლოა მზიური ითაქე... სამშობლოზე უტკბესი და მშობლებზე უძვირფასესი არაფერი არსებობს... თუ მიბრძანებ, ვიამბობ რაც მარგუნა ზევსმა ტროადის დატოვების შემდეგო“. და ოდისევსი იწყებს თავის თავგადასავალს (სიმღერები IX — XII შეიცავენ ამ თავგადასავლის ამბებს).

ოდისევსი უამბობს, როგორ გაემგზავრნენ ის და მისი ამხანაგები ტროადის აღებისა და დანგრევის შემდეგ სამშობლოსაკენ. გამოიარეს კიკონების ქალაქი, ლოტოფაგების ქვეყანა: გზაში ბევრი ამხანაგი დაელუპა ოდისევსს. ერთხელაც ოდისევსი და მისი ამხანაგები მიაღწენ ცალთვალა დევების, კიკლოპების, ქვეყნის ნაპირებს. ეს ქვეყანა ყველაფრით მდიდარი იყო; მგზავრებმა ადვილად იშოვეს აქ საჭირო სურსათი; აუარებელი თხა მთის კალთებიდან ძირს დაეშვა; ოდისევსის მხლებლებმა ხომალდები აავსეს ნანადირევი თხით. შემდეგ ოდისევსი თორმეტი ერთგული ამხანაგით გადავიდა მახლობელ კუნძულზე, სადაც ისინი მოხვდნენ პოლიფემის მღვიმეში. კიკლოპი იქ არ იყო, ნახლობელ საძოვრებში იყო გასული და თხასა და ცხვარს აძოვებდა. დაბრუნდა. მღვიმის შესავალში მიაგორა უშველებელი ლოდი — „ოცდაორი ოთხთვლიანი ურემი ვერ დასძრავდა მას ადგილიდან“, ამ ლოდით

ჩაჰკეტა მან მღვიმის შესავალი. უცხოელები რომ შენიშნა თავის მღვიმეში, მრისხანედ მიმართა — ვინა ხართო? შეშინებულმა მგზავრებმა უამბეს თავიანთი ვინაობა და სთხოვეს — უბინაო მგზავრებისათვის მასპინძლობა გაეწია. პოლიფემმა იმ დღეს და მეორე დღეს ოდისევსის ექვსი ამხანაგი შეჭამა. ოდისევსმა მასზე შური იძია: მან მიაწოდა პოლიფემს ტკბილი, მაგარი სასმელი — ოდისევსს ყოველ შემთხვევისათვის თან წამოეღო ხომალდიდან ეს სასმელი; სამი ყანწი დალია პოლიფემმა და ღრმად ჩაეძინა. ოდისევსმა და მისმა ამხანაგებმა გაახურეს წინასწარ დამზადებული შანთი და პოლიფემს თვალი გამოსთხარეს. იღრიალა პოლიფემმა: ეცა მაშინვე „ვერაგ“ სტუმრებს დასაჰვერად; საუკეთესო საშუალებად მიიჩნია გაეღო მღვიმის კარი, თვითონ ჩამდგარიყო კარში და, ცხვარს რომ გაუშვებდა, სტუმრებიც მათში ეძებნა და დაეჭირა; ოდისევსის მოხერხებულობამ იხსნა ოდისევსი და დანარჩენი ამხანაგებიც: ისინი მოზრდილ ცხვრებს მუცელზე ამოეგნენ ქვევიდან და ისე გაეპარნენ პოლიფემს... განრისხებულმა პოლიფემმა ვედრებით მიმართა თავის მამას, პოსეიდონს, სამაგიერო გადაეხადა მისი თვალის გამომთხრელისათვის და არ მიეცა მისთვის საშუალება შინ დაბრუნებულიყო მშვილობით.

ამის შემდეგ არის რომ პოსეიდონი, სადაც კი წაასწრებს ოდისევსს, ამოუშვებს ქარიშხალს და უმსხვრევს ხომალდებს. ასე, ეოლიის კუნძულისა და ლესტრიგონების ქვეყნის მოვლის დროს ოდისევსს ელუპება თერთმეტი ხომალდი...

ერთადერთი დარჩენილი ხომალდით მიადგება ოდისევსი კუნძულ აიას: აქ ცხოვრობდა გრძნეული კირკე, აიეტის და. ოდისევსის ამხანაგები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთი ჯგუფი, ევრილოქეს მეთაურობით, გაემგზავრა შიგნით ქვეყანაში; ისინი მიადგნენ კირკეს სასახლეს. კირკემ მიიპატიჟა სტუმრები, უხვად გაუმასპინძლდა; ბოლოს მიაწოდა ჯაღოთი შეზავებული სასმელი და, რომ დალიეს, კვერთხით გარეკა ისინი საღორეში: ყველანი ღორებად აქცია; გადარჩა მხოლოდ ევრილოქე, რომელიც სასახლეში არ შესულა; ჩამორჩა ამხანაგებს და კარებთან იცდიდა.

ევრილოქემ აცნობა ოდისევსს მომხდარი უბედურება. ოდისევსი მაშინვე გაექანა ამხანაგების საშველად. გზაზე ჰერმესი შეხვდა: დაუშალა — ნუ წახვალ, შენც იგივე უბედურება გეწევთ, მაგრამ ოდისევსი არ დაეთანხმა. მაშინ ჰერმესმა ასწავლა მას კირკეს გრძნეულობის საწინააღმდეგო საშუალება. „როგორც კი კირკე თავის გრძელ კვერთხს მოგიქნევს, მაშინვე იმიშველ მახვილი და ეცი კირკეს ვითომ მოსაკლავად. ის კი, შეშინებული, მოგიწოდებს დაწვე მასთან; არ თქვა უარი ღმერთის საწოლზე, თუ გინდა რომ იხსნა შენ ამხანაგები და შენს თავსაც უშველო...“ — უთხრა ეს ჰერმესმა და გადასცა იქვე მოგლე-

ჯილი მოლი (μῦθος), ბალახი, რომელსაც ძირა შავი ჰქონდა, ყვავილი კი რძისფერი. ოდისევსიც, ჰერმესის მიერ მოცემული საშუალებით. აწობებს კირკესს. იხანის ამხანაგებსაც. კირკესს შეუყვარდა ოდისევსი; ერთა წლის განმავლობაში ოდისევსი და მისი ამხანაგები კირკესს სტუმრები იყვნენ. ბოლოს სთხოვა ოდისევსმა—სამშობლოში გაგვამგზავრო კირკემ ურჩია სამშობლოში გამგზავრებამდე სწევოდა საიქიოთ თებელი მისნის, ტირესაას სულს და გაეგო მისგან თავისი მომავალი ბედი.

ოდისევსი მკვდრების სამეფოშია. ვიდრე ტირესიას ნახავდა, მას გამოეცხადნენ ზოგიერთი მისი ამხანაგის აჩრდილები. გამოეცხადა მისი დედაც, ანტიკლეა, რომელიც მან ცოცხალი დასტოვა ითაკეში: დედამ უამბო, რომ პენელოპე ელოდება საყვარელ მეუღლეს, რომ ტელემაქეც ბეჯითად იცავს მამის ქონებას, ტირესიასაგან გაიგო თავისი ბედი: შენზე ძალიან გაჭავრებულია პოსეიდონი, მის შვილს რომ თვალი გამოსთხარო; ის შენ ბევრს უბედურებას შეგამთხვევს კიდევ, მაგრამ, ბოლოს, მაინც მიადრევე სამშობლოს. აქაც ბრძოლა მოგიხდება შენს სახლში შექრალ საქმროებთან, მაგრამ იმათაც სძლევო.

მკვდრების სამეფოში ოდისევსმა მრავალი მიცვალებულის სული ნახა, წარსული დროებისა და თავის დროისაც. ნახა მან თავისი მეგობრის აგამემნონის სულიც. უამბო აგამემნონმა, თუ რა სიკვდილი ხვდა მას წილად: ეგისტემ, კლიტემნესტრასთან შეთანხმებით, მოუშადა მას სიკვდილი; მიიწვია ნადიმზე და აგამემნონიც და მისი ამხანაგებიც დაჰკლა, როგორც ჰკლავენ ეშვებიან ტახს; იქვე იდგა კლიტემნესტრა, რომელმაც გულში დანა ჩასცა კასანდრას, პრიამეს ქალს; „მინდოდა მახვილისთვის წამეგლო ხელი; მან კი, პირძაღლმა, ზურგი შემაქცია, არც კი ისურვა ჩემთვის. აიღში მიმავლისათვის, თვალები დაეხუჭა და კრიქა შეეკრა. არაფერი სხვა არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო საზარელი, იმაზე უფრო ძაღლური, ვიდრე ცოლი, რომელიც გულში ასეთ განზრახვას ჩაიდებს... არასდროს ცოლზე არ უნდა იყო დანდობილი; არ უნდა გაუმტლავნო ყველაფერი, რაც იცი: ზოგი რამ უთხარი, ზოგიც დაუმალე. დამიხსოვრე, რასაც გეტყვი: უჩუმრად, გაუმტლავნებლად ჩადი საყვარელ სამშობლოში, რადგან ცოლები სანდონი არ არიან“.

ოდისევსს გამოეცხადნენ აგრეთვე აქილევსი, აიანტი და სხვებიც.

ოდისევსი ბრუნდება კირკესთან, რომელიც თავის სტუმარებს ხომალდს მოუშადადებს გასამგზავრებლად. ოდისევსი და მისი ამხანაგები განაგრძობენ გზას: კირკესს რჩევა-დარიგებათა წყალობით, ისინი მშვიდობიანად გაივლიან სირინოზების კუნძულს. მშვიდობიანად გასულიყვნენ და ქარიბდი, ხოლო ჰელიოსის (მზის ღმერთის) კუნძულზე უბედურება შეემთხვათ. შიმშილით შეწუხებულმა ამხანაგებმა ჰელიოსის ხარები დაჰკლეს, თუმცა ოდისევსი მუდამ არიგებდა მათ — ჰელიოსის ხარებს სიფრთხილით მოეპყარითო (ასე დაარიგეს ოდისევსი ტირესი-



ამაც და კირკემაც). პელიოსი განრისხდა და მოსთხოვა ზევსს დაესაჯა ოდისევსი და მისი ამხანაგები. ყველანი დაიღუპნენ გადარჩა მხოლოდ ოდისევსი, რომელიც ტალღებმა გადაისროლეს ოგიგიის კუნძულზე. ამით თავდება ოდისევსის მოთხრობა (სიმღერები IX — XI<sup>1</sup>).

ალკინოე და არეტე მადლობით ისტუმრებენ ოდისევსს. ფეაკელი მენიჩბეები მიაცილებენ ოდისევსს ითაკელთა ქვეყანაში. ითაკის სანაპიროზე ოდისევსს გამოეცხადა ათენა. სამ წელზე მეტია, რაც პენელოპეს თავგასული საქმროები შენს სახლში ნავარდობენ, — ეუბნება ათენა, — ახლა უნდა მოიფიქრო, როგორ იძიო შური მათზეო. უმჯობესია, ათენას აზრით, ოდისევსი თავის სახლში კი არ წავიდეს, არამედ მივიდეს მელორე ევმესთან — ის ძველებურად მისი და მისი ოჯახის ერთგულია; ათენაც წავა სპარტაში და იქიდან გამოგზავნის ტელემაქეს. საჭიროა ოდისევსი როგორც უცნობი გამოცხადდეს ითაკელთა წინაშე; ამიტომ ათენა მას მოხუცად გადააქცევს: ათენა შეეხო მას თავისი კვერთხით, სხეულს კანზე ნაოჭები გაუჩნდა, ოქროს კულულები დაევივდა, მთელ სხეულს გადაეფარა ქალარა მოხუცის კანი...

მოხუცმა მელორემ ვერ იცნო თავისი ბატონი. ევმე მას სტუმართმოყვარედ მიიღებს. ოდისევსი უამბობს მას თავის თავგადანაჯაღს, თავის ნამდვილ ვინაობას კი უმაღავს; იმას კი ეუბნება — ოდისევსი მალე დაბრუნდებაო.

ათენა სიზმარში გამოეცხადება ტელემაქეს. რომელსაც მენელაეს სახლში ეძინა, და ურჩევს მას ითაკეში გაემგზავროს: დედაშენი გათხოვებას აპირებს, მისმა მამამ და ძმებმა აიძულეს გაჰყვეს ცოლად ვერიმაქეს: ხომ იცი — ქალი რომ ახალ ქმარს გაიჩენს, ის ძველი ქმრის შვილებზე აღარ ზრუნავს, ახალი ოჯახის მოწყობას აპირებს; წადი საჩქაროდ და მოუარე შენს ქონებას. პენელოპეს საქმროები ჩასაფრებული არიან ითაკის მისასვლელ გზაზე და მოკვლას გიპირებენ, ამიტომ უმჯობესი იქნება მელორე ევმეს სახლში ჩამოხტე, ხოლო დედას შიკრიკის პირით აცნობო შენი დაბრუნება.

დილით ტელემაქე გამოუცხადებს მენელაეს, რომ სურს სამშობლოში დაბრუნდეს; მენელაეც გაუმზადებს მას ხომალდს. ტელემაქე მიემგზავრება. ითაკეში რომ ჩავა, ტელემაქე ევმეს სახლში მიდის. მოხუცი მელორე სიხარულით შეეგებება თავის ბატონს. ტელემაქეს დავალებით ევმე მიდის პენელოპესთან, რომ აცნობოს მას შვილის დაბრუნება.

საუბრობენ ოდისევსი და ტელემაქე. ათენა დაუბრუნებს ოდისევსს მის ნამდვილ სახეს. ტელემაქე ვერ იცნობს მამას. ოდისევსი გაუმკლავნებს მას თავის ვინაობას; მამა და შვილი ადგენენ გეგმებს, თუ როგორ იძიონ შური საქმროებზე.

აქ თავდება მეოთხე ციკლი მოთხრობისა: „ოდისევსი მელორე ევმესთან“.

სიმღერები XVII—XX შეიცავენ „ოდისეისის თავგადასავალს მის სახლში“.

იწყება სამზადისი პენელოპეს საქმროების დასახოცად. დილით ადრე ტელემაქე სტოვებს ევმეს სახლს, მიდის დედის სანახავად, ევმეს კი სთხოვს — ეს საწყალი მათხოვარი (ე. ი. ოდისეისი), როდესაც დათბება, შენ გააცილე ქალაქში და იქ მოწყალება ითხოვოს, მე არა მცალია მასზე ვიზრუნო. ტელემაქე მიდის სასახლეში: მონები დილიდანვე შესდგომიან თხებისა და ცხვრების მორეკვას, რომ საქმროებს სადილი მოუმზადონ. საქმროები გარს შემოერთყუნენ ტელემაქეს — „ტკბილად ესაუბრებოდნენ, გულში კი ბოროტს იზრახავდნენ“; მხოლოდ მენტორი, ანტიფოსი და ჰალითერსე ერთგული დარჩენილიყვნენ ტელემაქეს მამისა: ამ უკანასკნელთ მიუჯდა ტელემაქე და უამბო ყველაფერი, შემდეგ ეწვიო დედას და უამბო, რაც შეიტყო მან ნესტორისა და მენელაესაგან (ის კი ყველას დაუმალა, რომ ოდისეისი უკვე ითაკეშია).

ამასობაში ევმე და მათხოვარი (ოდისეისი) უახლოვდებიან ქალაქს; გზაზე შეზღუდვით მწყემსი მელანთესი, რომელიც ლანძღვით მიმართავს ევმეს — რას მოათრევ ამ ტილიან მათხოვარსო — და ემუქრება არ გაბედო ამ მათხოვარის შეყვანა ოდისეისის სახლში, თორემ საქმროები სულ ჩაუმტვრევენ ნეკნებსო... ოდისეისი და ევმე უახლოვდებიან სასახლეს. ჰიმეართან განრთხმულია ცოცხალ-მკვდარი არგოსი, ოდისეისის ძალი, რომელსაც უკვე ოცი წელია მომვლელი აღარ ჰყავს: ხმაზე იცნო მან ოდისეისი, რომელიც ევმეს ელაპარაკებოდა, კუდი გააქნია და „შავი სიკვდილის მოძრამ ხელი სტაცა არგოსს“.

სასახლეში უკვე ქეიფობდნენ საქმროები. დაძმძილ ტანისამოსში გახვეული მოხუცი, მათხოვარის ჩანთით ზურგზე, კარის ზღურბლთან ჩამოჯდა: ტელემაქემ მას ევმეს ზელით გაუგზავნა პური და ხორცი და შეუთვალა — ჩამოუარე საქმროებს და მოწყალება სთხოვეო. საქმროებმა პურით და ხორცით აუესეს მოხუცს ჩანთა; საქმროთაგან უწარჩინებულესმა ანტინოემ, მოწყალების ნაცვლად, სკამი ესროლა მოხუცს; მწყემსმა მელანთესმაც შეუტია მას — ვერავინ ვერ იცნო ოდისეისი. ვერ იცნო ის მისმა ცოლმა პენელოპემაც: მან ევმეს პირით სთხოვა მოხუცს — მიაბე, თუ რა გსმენია ოდისეისზეო, და ოდისეისიც მზად იყო ეაბნა; მან უთხრა ევმეს — ყველაფერს ვუამბობ, ბევრი რამ ვიცი ოდისეისზე, ბევრი სიმწარე გამოგვივლია ერთადო, — მაგრამ თავი შეიკავა.

საქმროები განაგრძობენ ქეიფს. პენელოპე ზის თავის ოთახში და ცრემლებს ღვრის: მას გული სტკივა, რომ მის სახლს ეგრე ანადგურებენ საქმროები; ტელემაქე კი უკვე ვაჟკაცია და ამდენ უსამართლობას ითმენს შემოსულ საქმროთაგან! პენელოპეს ამ ფიქრებსა და დარღმინ ჩაედინა: ძილში იგი ათენამ ენითუთქმელი სილამაზით შეამკო: მოხდე-

ნილი ტანით და წაზი კანით ის აფროდიტეს დაემსგავსა. ღვთაებრივად ლამაზი პენელოპე ჩავიდა მოქეიფეთა დარბაზში: შვილს საყვედურით ჰიმართა — ბავშვი აღარა ხარ და ვაჟკაცობა გმართებსო. როდესაც ევრიმაქემ, მოხიბლულმა მისი სილამაზით, შეაქო, პენელოპე — მოკვდავ ქალებს ყველას სჯობნის სახით. ტანით და ჰკუითო, — პენელოპემ უპასუხა: სილამაზე დავკარგე მაშინ, როდესაც ღმერთთაწორი ოდისევსი ილიონისაყენ გაემგზავრა; წასვლისას მან მითხრა: ბრძოლის ველიდან ყველანი არ ბრუნდებიან შინ: არც მე ვიცი — დავბრუნდები თუ არა: გთხოვ ზრუნვა არ დააკლო მამას, დედას; როდესაც შვილი დავაჟკაცდება, მისთხოვდი ვისაც გინდა და დასტოვე სახლიო. აი, ეს მითხრა ოდისევსმა გამოთხოვებისას და მეც ახლა გადავწყვიტე გავთხოვდე; ხოლო ძველად წესი იყო, რომ წარჩინებული ქალის მთხოვნელებს ვაჟკაცობა უნდა გამოეჩინათ; გარდა ამისა, დედოფლისათვის ნეფეს საჩუქრები უნდა მოეტანა — ხარები და ცხვრებიო.

საქმროებმა მოატანინეს სახლებიდან თავიანთ მსახურებს ძვირფასო საჩუქრები და სთხოვეს პენოლოპეს — ერთ-ერთი ჩვენგანი აირჩიე საქმროდო.

საქმროები განაგრძობენ ქეიფს. ისინი დასცინიან მოზუტ მათხოვარს: ოდისევსის გულში უფრო და უფრო ძლიერდება თავხედ საქმროთადმი უფროსძიების გრძნობა (ამას ჩაუდებს გულში ღმერთქალა ათენა.)

იმ დღეს ქეიფი დამთავრდა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, დარჩნენ ოდისევსი და ტელემაქე და დაიწყეს დარბაზში ჩამოკიდებული საქურველის (მუზარადების, ფარების, შუბების) ალაგება: ასე სჯობს, უთხრა ოდისევსმა შვილს; ვინ იცის რა მოგველის ზევა; თუ ვინცობაა შეამჩნიონ საქმროებმა, რომ იარაღი ალაგებულა, მოახსენე — დარბაზი იკვამლება და იარაღი ფუჭდებათქო. ტელემაქე მიდის თავის საწოლ ოთახში.

მხეველი ქალები სუფრას ალაგებენ. ერთი მათგანი, მელანთო, შეუტრაცხუფას აყენებს ოდისევსს — შე მაწანწალავ. ღამითაც არ გვასვენებ; ხომ ჭამე, გასკდი, გაგვეცალე აქედანო.

თავის ოთახიდან ჩამოდის პენელოპე. ის უამბობს ოდისევსს, თუ რა გადახდა თავს მის შემდეგ, რაც ოდისევსი წავიდა ომში, თუ როგორ ატყუებდა ის საქმროებს სამი წლის განმავლობაში. პენელოპეს თხოვნით ოდისევსი უამბობს მას თავის (მოგონილ) თავგადასავალს: კუნძულ კრეტიდან ვარ და ოდისევსმა, ტროადაში რომ მიდიოდა, გზად ჩემთან შემოიარაო; მის მერე არ მინახავს, მაგრამ მსმენია თქვენი შეზოხელი თესპროტების ქვეყანაში, რომ ის ცოცხალია და უთვალავი სიმდიდრით მოდის თავის სახლშიო. პენელოპე ნასიამოვნებია; ის უამბობს — სიზმარი ვნახე და ამიხსენიო: ოცი ბატი მყავს; ვხედავ, დაეშვა არწივი და ყველას კისრები მოუგრიხა, ოთახში ყრიან მკვდრები; არწივი აფ-

რინდა: საშინლად ვტიროდი სიზმარშიო. არწივი უკან მოფრინდა და ადამიანური ხმით ამიხსნა: ბატები — შენი საქმროები არიან, არწივი — ოღისევსიაო. ოღისევსმა დაუღასტურა ეს ახსნა.

აჰავე სიმღერაში მოთხრობილია, რომ მოხუცმა ძიძამ, ევრიკლემან. იცნო ოღისევსი: როდესაც ძიძა, პენელოპეს დაჯალებით, ფეხებს ჰბანდა მოხუც მათხოვარს, მან ფეხზე შენიშნა ჰრილობის ნაწიბური; მართლაც. ერთბელ ოღისევსი პარნასის მთაზე იყო თავისი პაპის, ავტოლიკონის, სანახავად და გააფთრებულმა ტანმა ეშვი ჩაასო ფეხში. აი, ან ჰრილობით იცნო ძიძამ ოღისევსი: ოღისევსმა უბრძანა — ჩუმაღ ყოფილიყო, არავისთვის არ გაემხილა.

მეორე დილით კვლავ ამზადებენ სუფრას საქმროთა ლხინისათვის. მოდიან მელორე ევმე და მწყემსი ფილოტიროსი: ეს უკანასკნელიც ოღისევსის ერთგულია. იკრიბებიან საქმროები. ერთი მათგანი, ქტესიპე, შეურაცხყოფს ოღისევსს: ძროხის ბარკალს ესვრის მას სახეში. ტელემაქე, ამის გამო, გაილაშქრებს საქმროების წინააღმდეგ — ამიერიდან აღარ მოვითმენ თქვენს უსამართლო ქცევასო. საქმროებს აღელვება ეტყობათ.

ათენას შთაგონებით, პენელოპემ გამოუტანა საქმროებს ოღისევსის მშვილდ-ისარი და განუცხადა: რომელი თქვენგანიც მიზანს მოახვედრებს, მას გავყვები ცოლადო. საქმროები ყველანი რიგრიგობით სცდიან ბედს: არა თუ მიზანს ვერ მოახვედრებენ ისარს, ვერც კი მოსწევენ მშვილდა. ოღისევსი სთბოვს მათ — ნება მიბოძეთ მე ვსინჯოო. საქმროებს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით. ტელემაქე მოითხოვს — მიაწოდონ ოღისევსს მშვილდი.

ამასობაში ოღისევსი გაუმელავენებს თავის ვინაობას ევმეს და ფილოტიროსს და იმის დასამტკიცებლად, რომ ის ოღისევსია, უჩვენებს მათ თავის ძველ ჰრილობას ფეხზე. ოღისევსი აძლევს მათ განკარგულებას: ევმემ უნდა მიაწოდოს მას მშვილდი და, როდესაც დარბაზში ხმაურობა ატყდება, ყური უჯდოს, რომ არც ერთმა მოსამსახურე ქალმა არ გაბეღოს ადგილიდან დაძვრა, თავის ოთახში იჯდეს და თავისი საქმე განაგრძოს, ფილოტიროსმა კი ჰიშკარი ჩაექტოს.

ოღისევსს მიაწოდებს ევმე მშვილდს; ოღისევსი მოსწევს მშვილდს და ნიშანში მოარტყამს ისარს. ამის შემდეგ ოღისევსმა გაიხადა ძონძები, ავიდა კარის ამადლებულ ზღურბლზე და შეისძახა საქმროებს: ეს პირველი საქმე ხომ შევასრულე და ახლა სხვა იყოათ. მერე ისარი ოღისევსმა გულში მოახვედრა ანტინოესს, რის შემდეგაც გამოაცხადა თავისი ვინაობა. თავზარი დაეცათ საქმროებს, მაგრამ მალე გონა მოვიდნენ და გაღაწყვიტეს წინააღმდეგობა გაწიათ. ტელემაქემ სარდაფში ჩაიტანა იარაღი; მაგრამ კარების დაკეტვა დაავიწყდა და საზიზღარმა მელანთევსმა საქმროებს იარაღი მიუტანა (შემდეგ ის შეიპყ-

რეს ევმემ და ფილოტიოსმა). ოდისევსის მხარეზე იბრძვიან ტელე-  
მაქე, ევმე და ფილოტიოსი. საქმროები ყველანი დაიღუპნენ; დახო-  
ცეს აგრეთვე მსახური ქალები; ცოცხალი გადაარჩნენ მხოლოდ აელი  
ფემიოსი და შიკრიკი მეღონტი.

მოხუცი ევრიკლეა აღის პენელოპეს ოთახში და ატყობინებს ქალ-  
ბატონს სასიხარულო ამბავს. პენელოპე ჩამოდის. ამასობაში ოდისე-  
სმა იბანავა და გამოღის პენელოპესთან. რომელიც მას ვერ იცნობს. ხო-  
ლო მის შემდეგ, რაც მან ერთი საიდუმლოება უთხრა, რომელიც მხო-  
ლოდ მათ — ოდისევსა და პენელოპემ — იცოდნენ (საიდუმლოება  
ეხებოდა ოდისევსის საწოლს), მოხდა მათი გამოცნაულება.

ოდისევსი ზერზობს, ზეიმობენ მისი მოკვთეებიც. მაგრამ ოდისევსს  
არ ავიწყდება. რომ მოკლულებს ნათესაეები ჰყავთ და ისინი სამაგიე-  
როს გადახდას მოიხურებენ.

ო ც და მ ე ო თ ხ ე ს ი მ ღ ე რ ა შ ი მოთხრობილია, რომ დახოცილ  
საქმროთა სულები ჰერმესმა ჰადესში მიიყვანა. ისინი შეზღუდვიან იქ  
აქილეესსა და აგამემნონს. უკანასკნელი ქებას შეახამს ვაჟაკ ოდი-  
სევსს და სათნო პენელოპეს.

ოდისევსი მიდის თავის მამასთან, ლაერტისთან, რომელიც ქალაქ  
ვარეთ ცხოვრობს. საქმროების ნათესაეები ლაშქრობას აწყობენ ოდი-  
სევსის წინააღმდეგ. ათენას ჩარევით, მებრძოლნი დაზავდვიან.

§ 10. ჰომეროსის ეპოსი. ასეთია ბერძნული ლიტერატურის ჩვენამ-  
და მოღწეული უძველესი ნაწარმოებების, „ილიადისა“ და „ოდისე-  
ის“, შინაარსი. ორივე პოემა ასახავს იმ ეპოქას, როდესაც ბერძენთა  
ტომები ებრძოდნენ უცხო ტომებს; ამ ბრძოლაში ბერძნებს ხელმძღვა-  
ნელობდნენ გვარის უფროსები, რომლებიც თავიანთი საგმირო საქმე-  
ებით სქედდნენ მომავალი ბერძნული სახელმწიფოებრიობის ბედს.  
ამიტომ პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ მიეკუთვნება საგმირო ეპოსს.  
ბოლო, რამდენადაც ეს გმირები წარჩინებულთა ფენას ეკუთვიან და  
არა მდაბიოთა წრეს. და პოემების ავტორი ამ წარჩინებულებს (მომ-  
დევნო ეპოქის არისტოკრატთა წინაპრებს) მიაკუთვნებს ხელმძღვანელ  
როლს, ჩვენ შეგვიძლია ამ ეპოსს ვუწოდოთ აგრეთვე არისტო-  
კრატული ეპოსი.

ეპოსი ბერძნული სიტყვაა (ἔπος) და ნიშნავს „სიტყვას“. მხატვ-  
რული ჟანრის აღსანიშნავად ეს სიტყვა იხმარება უკვე არისტოტელეს  
„პოეტიკაში“ მრავლობითი რიცხვის ფორმით ἔπη ან ტერმინის სა-  
ხით ἔπιποισις („ეპოპეა“). ჰომეროსის ეპოსის დამახასიათებლად  
არისტოტელე თვის შემდეგ ძირითად თვისებებს: 1) ეპოსი წარმო-  
ადგენს მოთხრობას, რომელსაც შეუძლია ერთდროულად გადმოსცეს  
მრავალი ეპიზოდი (ვანსხვაეებით ტრაგედიისაგან, რომელიც მხო-  
ლოდ იმ ეპიზოდს გადმოგვცემს, რომელიც სცენაზე სრულდება); ხო-

ლო მოთხრობის საფუძველად არის აღებული ერთი ეპიზოდი და სხვა ეპიზოდები ძირითადი ეპიზოდის ნათელსაყოფად არის გამოყენებული და დამატებით შემოტანილი მოთხრობაში; 2) ეპოსს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და ბოლო, რომლებიც მთლიანობაშია მოცემული; ამ მთლიანობაში პოეტი მოგვითხრობს „საკვირველ ამბებს“, რაც სიამოვნებას ჰგვრის მსმენელს; 3) ჰომეროსი თავისი საკუთარი სახელით ლაპარაკობს რაც შეიძლება ცოტას; „მას, მოკლე შესავალის შემდეგ, მაშინვე შემოჰყავს კაცი ან ქალი, ან სხვა რაიმე არსება“ და მას ალაპარაკებს ან ამოქმედებს.

ამრიგად, ჰომეროსის ეპოსი წარმოადგენს მრავალფეროვანი ეპიზოდების საფუძველზე გაშლილ ერთიან მოთხრობას „საკვირველი ამბების“ შესახებ, რომელშიც ავტორის სუბიექტივიზმი არა ჩანს და გმირები, თავისი გამოჩენის დასაწყისშივე, ავითარებენ თავის მოღვაწეობას და გვიჩვენებენ საკუთარ ინდივიდუალურ სახეს.

ჰომეროსის გმირები მკვეთრად გამოსახულ პიროვნებებს წარმოადგენენ, ისინი თავისი საკუთარი მოქმედებით, თავისი საგმირო საქმეებით ამქლავებენ თავის სახეს: ისინი თვითონ, საკუთარი საქმით, იძლევიან მასალას თავისი დახასიათებისათვის: მეტად იშვიათია შემთხვევა, რომ ჰომეროსი ახასიათებდეს მათ (ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, „ილიადის“ მეორე სიმღერაში, სადაც ჰომეროსი იძლევა თერსიტეს სუბიექტურ დახასიათებას; იხ. ზემოთ, § 8). ვაჟკაცი გმირების საერთო თვისებაა სიამაყე, გონიერება და მგრძობელობა; მაგრამ ყველა მათგანს აქვს სხვებისაგან განსხვავებული რაიმე თვისება; ასე, მაგალითად, აქილევსი იმამაცთა შორის უმამაცესია, იგი ყველაფერში თავშეუკავებელი და გრძობების ამყოლია; მოხუცი ნესტორი ცხოვრებაში გამობრძმედილი და, ამდენად, დანაჩენებზე უფრო ბრძენია; ოდისეუსი — გონებაშეხილი და მოხერხებულია; ჰექტორი — დაუცხრომელი მეთომარი და ნაზი გრძობების მატარებელია; მენელაე — რბილი და გაუბედავი. გმირ ქალთაგან ჰომეროსს ასახულებს ყავს, მაგალითად, ნაზად მოსიყვარულე ანდრომაქე, უერთგულესი მელდე ჰენელოპე, უმშვენიერესი ელენე, დარბაისელი ძიდაევრიკლეა. გმირთა ეს თვისებები — მათი ინდივიდუალური. მაგრამ ამავე დროს ზოგადადამიანური თვისებებია. ამიტომაც ამბობს არისტოტელე („პოეტიკა“, თ. XXIV): ჰომეროსს „მოკლე შესავალის შემდეგ, მაშინვე გამოჰყავს კაცი ან ქალი, ან სხვა რაიმე არსება, არაფერი გამოჰყავს ხასიათის უქონელი, არამედ გამოჰყავს ხასიათის მქონე“.

ამ ზოგადადამიანურმა თვისებებმა მიანიჭეს ჰომეროსის გმირების ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ მუდამ და აქვთ დღესაც.

§ 11. ჰომეროსის საკითხი. ჰომეროსის პოემები მუდამ იზიდავდნენ კაცობრიობის ყურადღებას. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები, რომლებიც „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ხედავდნენ თავისი წარსულის აღწერას და მასშივე პოულობენ თავისი მომავლის განმტკიცების საშუალებებს, დანტერესებული იყვნენ: 1) ამ პოემების შედგენილობის, 2) მათი ავტორის ვინაობისა და 3) ავტორის ცხოვრების დროის საკითხებით.

ავტორად ძველებივე ასახელებდნენ ჰომეროსს მის სამშობლო-ობას ჩემულობდა მრავალი ქალაქი, განსაკუთრებით შემდეგი შვიდი ქალაქი: სმირნა, კოლოფონი, სალამინი, ქიოსი, ათენი, იოსი და არგოსი.

მისი ცხოვრების თარიღად აღნიშნავდნენ სხვადასხვა დროს: XII, XI, X და IX საუკუნეებს. ასე, მაგალითად, ჰეროდოტე ამბობს (II, 53): „ჩემის აზრით, ჰესიოდე და ჰომეროსი ჩემზე უფროსნი არიან ოთხასი წლით და არა მეტით“, ე. ი. ჰეროდოტეს აზრით, ჰომეროსი ცხოვრობდა მეცხრე საუკუნეში (ჰეროდოტე დაიბადა 484 წელს ძვ. წ.).

ჰომეროსის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებაც, მის ნაწარმოებთა შედგენილობის შესახებაც, ძველიდანვე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მას სთვლიდნენ არა მარტო „ილიადასა“ და „ოდისეის“, არამედ სხვა პოემების ავტორადაც. ასე, მაგალითად, VII საუკუნის (ძვ. წ.) პოეტი კალინე ჰომეროსს სთვლიდა კიკლიკური პოემის „თეზაიდის“ ავტორად. გარდა „თეზაიდისა“, მას მიაწერდნენ სხვა კიკლიკური პოემების („კიპრიების“, „ეპიგონების“, და სხვა.) ისევე, როგორც კომიკური პოემის „მარგიტეს“ ავტორობას. როგორც ჩანს, V საუკუნეში ბერძნულ საზოგადოებაში წარმოებდა კრიტიკული იტება ჰომეროსის საკითხის გარშემო (მაგალითად, ჰეროდოტე არ მიაკუთვნებდა ჰომეროსს „კიპრიებსა“ და „ეპიგონებს“), და IV საუკუნისათვის დამკვიდრდა ის აზრი, რომ ჰომეროსი იყო ავტორი „ილიადასა“, „ოდისეისა“ და „მარგიტესი“.

III—I საუკუნეებში ალექსანდრიაში წარმოებული სამეცნიერო მუშაობის წყალობით ჰომეროსის სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემოც გაცხოველდა კრიტიკული კვლევა: უკვე ლაპარაკობდნენ ჰომეროსზე უპირატესად როგორც „ილიადასა“ და ოდისეის“ ავტორზე. თვით ამ ორივე პოემის მიკუთვნებაშიც კი გამოითქვა ეჭვი; ასე, მაგალითად, ალექსანდრიელმა მეცნიერებმა, ქსენონმა და ჰელანიკემ, წამოაყენეს „გათიშვის თეორია“ და ამტკიცებდნენ, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ ორი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებებიაო (ამიტომ ეწოდებოდა ამ მეცნიერთ ჯაპოჯონტეს („გამთიშველნი“); ამის საბუთად ისინი ასახელებდნენ წინააღმდეგობათა არსებობას ამ ორ პოემას შორის: მაგალითად, „ილიადაში“ (XVIII, 382) ჰეტესტოს მუელ-

ღეა ქარიტი, ხოლო „ოდესეაში“ (VIII, 267)—აფროდიტე; „ილიადით“ (XI, 692) ნესტორს თერთმეტი ძმა ჰყავს, ხოლო „ოდისეით“ (XI, 286)—ორი, და ანვ. „გამთიშველთა“ თეორია არ იქნა მიღებული და საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი, რომ ჰომეროსი ორივე პოემის ავტორია; და ეს აზრი გაბატონებული იყო მეცნიერებაში საშუალო საუკუნეებში ვიდრე XVIII საუკუნემდე, როდესაც ჰომეროსის საკითხში ახალი თეორია წამოაყენა ვოლფმა<sup>1</sup>.

1795 წელს გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფმა მის მიერ გამოცემულ ჰომეროსს დაუერთო წინასიტყვაობა (Prolegomena ad Homerum), რომელშიც წამოაყენა ახალი თეორია ჰომეროსის პოემების შესახებ. ამ თეორიით არც „ილიადა“ და არც „ოდისეა“ არ წარმოადგენენ ერთი პოეტის ნაწარმოებს: ისინი ცალკეული სიმღერების სახით გაჩნდნენ პირველად, ხოლო შემდეგ ერთ კრებულად იქმნენ ჩამოყალიბებული VI საუკუნეში პისისტრატეს მიერ შედგენილ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ.

ვოლფის ამ თეორიამ დიდი აურზაური გამოიწვია ევროპაში, სადაც განმტკიცებული იყო ის აზრი, რომ ბერძნული ლიტერატურა იწყებოდა IX საუკუნიდან და რომ პირველი ბერძენი პოეტი იყო ჰომეროსი. ვოლფის თეორია ერთსაც უარყოფდა და მეორესაც: ამ თეორიით ბერძნული ლიტერატურის სიძველეში უკვე ეჭვი იქნა შეტანილი და უძველესი ინდივიდუალური პოეტის ნაცვლად ცალკეული თქმულებები იქნა წამოწეული. ევროპის მეცნიერებმა სასტიკად გაილაშქრეს ვოლფის ამ თეორიის წინააღმდეგ.

აღშფოთება ვოლფის თეორიის გამო სხვა გარემოებითაც აიხსნება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — ის ხანაა, როდესაც ინგლისის სამრეწველო გადატრიალების დროიდან განვითარებულმა ევროპის მრეწველობამ ფართო ბაზრების ძებნა დაიწყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ევროპის მრეწველებს ესაჭიროებოდათ ევროპიდან აზიისაკენ თავისუფალი სავაჭრო გზა, ხოლო ეს გზა ჩაკეტილი ჰქონდა თურქეთს, რომელიც ამ დროს ფლობდა მთელს ბალკანეთის ნახევარკუნძულს და მცირე აზიას. ამიტომ ევროპაში წარმოებდა დიდი სააგიტაციო მუშაობა თურქეთის წინააღმდეგ. ამ სააგიტაციო მუშაობაში ევროპელები იყენებდნენ საბერძნეთის საკითხს და ერთ-ერთი თემა აგიტაციისა იყო შემდეგი: ევროპის კულტურის აკვანია საბერძნეთი, რომელმაც ადრინდელი დროიდანვე საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებისა და ხელოვნების უველა დარგს; მან შექმნა უდიდესი კულტურა, რომლისაგანაც განვითარდა ევროპის კულტურა; მან მისცა კაცობრიობას IX საუკუნის პო-

<sup>1</sup> მართალია, ვოლფზე ადრე ეს თეორია წამოუყენებია აბატ დ'ობინიას თავის 1664 წელს დაწერილ შრომაში, რომელიც მხოლოდ 1715 წელს გამოქვეყნებულა, მაგრამ მეცნიერებამ ეს თეორია გაიცინო ვოლფის შრომის გამოქვეყნების შემდეგ.



ეტი ჰომეროსი, რომელიც გახდა საფუძველი ბერძნული ლიტერატურის განვითარებისა; და ეს საბერძნეთი დღეს (XVIII საუკუნეში) გაქვლილია „ურჯულო“ თურქების მიერ; საჭიროა განვითარების უფლოთ საბერძნეთიო. როგორც ცნობილია. ევროპელების სააგიტაციო ქუეყანაში თავისი ნაყოფიც გამოიღო: მთელი ევროპა ლაპარაკობდა გაქვლილ საბერძნეთზე და მისი აღდგენის საჭიროებაზე; მრავალი ევროპელიც ჩაება ბერძნთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში და სიცოცხლაც შესწირა მას (ასე, მაგალითად. იხ. ლისელი ჰოეტრ ბაირონი მონაწილეობას იღებდა 1823 — 1824 წლებში ბერძნთა ბრძოლაში თურქებ-წინააღმდეგ).

აი. ასეთს პოლიტიკურ სიტუაციაში გაისმა ვოლფის თეორიის ნიშნისტური ხმა.

ევროპის მეცნიერნი გაიყვნენ ორ ბანაკად: მეცნიერთა ერთი ნაწილი იხარისხებოდა ვოლფის თეორიას (ვოლფელები), მეორენი იცავდნენ ჰომეროსის პოემების ერთავტორობას (უნიტარიები, უნიუს — „ერთი“).

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში წარმოებდა კამათი ამ ორი ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ორივე მხარე ზედმიწევნით სწავლობდა ჰომეროსის პოემებს: პოემების ენას, პოემებში მოცემულ რეალიებს, პოემებში ასახულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. პოემებში მოცემულ რეალიების გამოსაკვლევად მეცნიერებმა დაიწყეს კვლევა-ძიება საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში. დაიწყეს არქეოლოგიური გათხრები იმ ადგილებში, რომლებიც ჰომეროსის პოემებში მოთხრობილ ამბებთან იყო დაკავშირებული.

ასეთ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ ორივე ბანაკის წარმომადგენლები — ვოლფელებიც და უნიტარიებიც. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი კვლევა-ძიების დროს არც ერთი მოპირდაპირე თეორია არ შეიძლება დაარჩენილიყო ხელუხლებლად. ორივე თეორიის წარმომადგენლები მეცნიერული პაექრობის დროს, კვლევა-ძიებით მოპოვებულ აღმოჩენათა წყალობით, გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ორი ბანაკის არსებობაზე — ვოლფელებზე და უნიტარიებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ არც ვოლფის თეორიას იცავდა ვინმე პირწმინდად და არც ძველი შეხედულება ჰომეროსის შესახებ რჩებოდა უცვლელად.

ვოლფელები. პირველი თეორია. რომელიც შეიქმნა ვოლფის თეორიის საფუძველზე, არის გოტფრიდ ჰერმანის „განვრცობის თეორია“. ამ თეორიით თავდაპირველად არსებობდა მცირე ზომის სიმღერები. რომელთაგან ვინმე პოეტმა შექმნა „პირველ-ილიადა“ და „პირველ-ოდისეა“. შემდეგ დროინდელმა პოეტებმა ეს „პირველ-ილიადა“ და „პირველ-ოდისეა“ გაზარდეს და ვანავრტეს იმ პოემებზე. რომლებიც ჩვენ დღეს ვუჩვენებთ: ამგვარი „პირველ-ილიადა“ შეიძლება-

და ეოფილიყო, გროტის აზრით, „აქილეადა“. ამ თეორიას იზიარებს აგრეთვე კაუერი.

ვოლფელთა თეორიების განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს კარლ ლახმანის „სიმღერათა თეორია“. ამ თეორიით ეპოსის შექმნას წინ უძღოდა ცალკეული ბალადების ან სიმღერების პოეზია: ცალკეულმა პოეტებმა შექმნეს პატარა სიმღერები ტროადის ომის ამა თუ იმ ეპიზოდზე, ხოლო შემდეგ მოხდა ამ სიმღერათა გაერთიანება დიდ პოემაებად.

უნიტარიები. უნიტარიების თეორიებმაც განიცადეს მოწინააღმდეგეთა თეორიების გავლენა და, თუ მანამდე, ვოლფამდე, ლაპარაკობდნენ ჰომეროსზე როგორც „ილიადისა“ და „ოდისეის“ პირველ შემქმნაელზე, ახლა უნიტარებმა დაუშვეს ცალკეული სიმღერების არსებობა.

ნიცშმა წამოაყენა თეორია, რომლის ძალით ჰომეროსმა გამოიყენა ცალკეული სიმღერები ტროადის შესახებ და შექმნა „აქილევსის რისხვის“ პოემა და „ოდისეა“.

კირხხოფმა წამოაყენა „კომპილაციის თეორია“. ამ თეორიით პოემა შედგება არა პატარა სიმღერებისაგან, არამედ დიდი ეპიკური ნაკვეთებისაგან: ასე, მაგალითად: „ოდისევსის დაბრუნება“, „ოდისევსის თავგადასავალი სამშობლოში“, „ტელემაქია“ — ყველა ეს შექმნილია სხვადასხვა დროს და ერთი პოეტის მიერ არის გაერთიანებული. ამ თეორიას ზოგადად იცავს ვილამოვიცი.

ჰომეროსის საკითხში სოკოლოვი უნიტარულ თეორიას იზიარებდა, იგი ილაშქრებდა ვოლფის თეორიის წინააღმდეგ და ჰომეროსის პოემებს სთვლიდა ინდივიდუალური ავტორის თხზულებად, რომელსაც პოეტური მთლიანობა ახასიათებს. სოკოლოვი ილაშქრებდა აგრეთვე კონიქტურების წინააღმდეგ, რომელთაც ასე უხვად მიმართავენ ხოლმე ჰომეროსის კრიტიკოსები თავიანთი, წინასწარ აღებული დებულებების გასამართლებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთმა მეცნაერმა მოინდომა ორივე მიმართულების შერიგება და ამ ნიშნით შექმნა კომპრომისული თეორია. ასეთია კრისტის „ეკლექტიკური თეორია“. ამ თეორიით არსებობდა აქაველ-ჰომერაზიელების ომის დროინდელი თქმულებები ცალკეული გმირების (აგამემნონის, აქილევსის, ოდისევსისა და სხვათა) შესახებ. ჰომეროსმა ეს თქმულებები გადაამუშავა, ერთ მთელეულად აქცია, მაგრამ, რადგან ეპიზოდები ცალკე სათქმელად იყო დანიშნული, თითოეულმა სიმღერამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ძველი „ილიადა“ გააფართოეს თვითონ ჰომეროსმა და სხვა პოეტებმაც რომელთაც ჰომერიდებს ეძახიან.

როგორია დღევანდელი მდგომარეობა ჰომეროსის საკითხისა? თა-

ნამედროვე მკვლევართა შორის აღარ მოიპოვება არც ერთი მეცნიერი, რომელიც იზიარებდეს ვოლფის თეორიას იმ სახით, როგორც ის იქნა თვით ვოლფის მიერ წამოყენებული. მართლაც, მთავარი არგუმენტი, რომელიც წამოაყენა ვოლფმა „ილიადის“ ერთიანობის წინააღმდეგ, ეხება ბერძნული დამწერლობის საკითხს. IX საუკუნეში ბერძნებმა წერა არ იცოდნენ, წერას გარეშე კი შეუძლებელია ასეთი დიდი პოემის გაჩენა.

1. ვოლფის არგუმენტი, რომელიც ბერძნული ანბანის შემოღებას ეხება, დღეს უკვე არ შეიძლება ძალაში იყოს და არც არის ძალაში. XIX საუკუნეში წარმოებულმა კვლევა-ძიებამ ბევრი ახალი ძველი აღმოაჩინა: შოთხალი წარწერა იქნა ხაპოვნი გაცილებით უფრო ძველი. ვიდრე ვოლფის დროს იცნობდნენ. დღეს ჩვენ მოგვეპოვება ბერძნული წარწერები, რომლებსაც მეცნიერნი VIII საუკუნითაც ათარილებენ, მაშასადამე, ბერძნებს დამწერლობა სცოდნათ უკვე VIII საუკუნეში. წარწერათა-მცოდნეობის, ანუ ეპიგრაფიკის განვითარებამ შეგვძინა ჩვენ იმის ცოდნა, რომ ბერძნებს IX საუკუნეში უნდა სცოდნოდათ წერა და, მაშასადამე, ეს გარემოება არ უნდა უშლიდეს ხელს, რომ პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ IX—VIII საუკუნეებში იყოს დაწერილი. მართალია, ამ საუკუნეებში არ არის სავარაუდებელი, რომ დამწერლობა იმდენად ყოფილიყო განვითარებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ პოემების გავრცელება დაწერილი სახით. ეს პოემები ვრცელდებოდა ზეპირად, რაფსოდების (მომღერლების) საშუალებით. რა თქმა უნდა, ასეთი გავრცელების წესით პირვანდელმა, ჰომეროსის ხელიდან გამოსულმა, პოემებმა განიცადეს მრავალი ცვლილება: ბევრი რამ თავისი ჩაურთეს რაფსოდებმა, ბევრი რამეც გამოაკლეს.

2. პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ ინდივიდუალური პოეტის ნაწარმოებები კი არ არის, არამედ ცალკეულ სიმღერათა კრებულება. -- ამბობდა ვოლფი. დღეს იმდენად შესწავლილია ორივე პოემა, რომ არავის ეჭვი არ ეპარება ამ პოემათა ინდივიდუალურ პოეტურ კონცეფციას. ეს პოემები რომ. მართლაც, კრებულს წარმოადგენდნენ, განა შესაძლებელია მათ ახასიათებდეს პოეტური ერთიანობა, მთლიანობა. ერთიანი მხატვრული კონცეფციისათვის დამორჩილება პოემისა თავიდან ბოლომდე? რასურათს იძლევა, „ილიადა“ თავისი პოეტური მიზანდასახულობითა და მხატვრული კონცეფციით?

„ილიადა“ აგებულია ისტორიულ სარჩულზე, ბერძნების ლაშქრობაზე ტროადელთა წინააღმდეგ. ამ ომის ცალკეულ ეპიზოდებზე შეიქმნა ცალკეული თქმულებები, სიმღერები. რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში, როგორც ამას მოწმობს „ოდისეაში“ მოხსენებული დემოდოკე -- თავისი სიმღერით ტროადის ომის გმირებზე. მაგრამ ჰომეროსმა „ილიადაში“ მიზნად ის კი არ დაისახა, რომ

წთელი ომის ამბავი გადმოეცა მსმენელისათვის თავიდან ბოლომდე: მას საკუთარი განზრახვა, საკუთარი პოეტური კონცეფცია აქვს და ირჩევს ტროადის ომის თქმულებიდან იმას, რაც მას სჭირდება თავისი კონცეფციის გასაშლელად; მან თემად აირჩია „აქილევის რისხვა“, რომელსაც ტროადის ომის მეათე წელს ჰქონდა ადგილი. და მანაც, ჰომეროსმა. აქედან დაიწყო თავისი თხრობა და გადმოსცა მსმენელსა და მკითხველს ის ამბები, რომლებიც მოპყვა შედეგად „აქილეის რისხვას“ სად გაათავა მან თავისი თხრობა? გაათავა თუ არა იქ, სადაც თავდებოდა თქმულება ტროადის ომის შესახებ? თქმულება ომის შესახებ თავდებოდა იმით, რომ აქაველებმა ვერას გზით ვერ სძლიეს ტროადელებს და საჭირო გახდა ცხიერი ოდისევასის ეშმაკობა: ოდისევასა ააგებინა ხის ცხენი, შიგ დამალა აქაველი მებრძოლნი, სხვა მებრძოლნი მეზობელ კუნძულზე მიმალა და გააერცვლა ხმები—ვერაფერს გავხდით ტროადელებთან ბრძოლაში და უკან ვბრუნდებით, ღვთაებას კი. ნიწნად მადლობისა. რომ შინ მწვიდობით ვბრუნდებოთ, ვუტოვებთ ამ ცხენსო. ტროადელებმაც დაიჯერეს ეს ხმები, შეაგორეს ცხენი ქალაქში, ღამით ხის ცხენიდან გამოსულმა აქაველებმა ქალაქის ჭიშკარი ვაუღეს კუნძულიდან დაბრუნებულ აქაველებს და მათთან ერთად გაანადგურეს და გადაბუგეს ილიონი. აი, ასე თავდება ტროადის ომი და თქმულება მასზე. ხოლო ჰომეროსი სულ სხვაგან ათავენს თხრობას, სხვაგან ათავენს ომს. მისთვის ომი დაიწყო მაშინ, როდესაც აქილევის განრისხდა; და როდესაც აქილევის მოხსნიდა თავის რისხვას, ომიც მაშინ უნდა გათავებულებოდა; აქილევის რისხვამ გამოიწვია ბერძენთა უბედურება, რადგან უმამაცესი აქილევისი აღარ იღებდა მონაწილეობას ომში; აქილევის რისხვის მოხსნამ უნდა დაუბრუნოს ბერძენებს მათი ძველი წარმატება. მართლაც, აქილევის რომ მისი უერთგულები მეგობარი პატროკლეს მოუკლეს, მან მაშინვე გადაწყვიტა განეახლებინა თავისი მონაწილეობა ომში, ე. ი. მან მოხსნა თავისი რისხვა, შეებრძოლა პატროკლეს მკვლელს, ჰექტორს, და მოჰკლა იგი. რაღა დარჩენია ავტორს? მისი მიზანი მიღწეულია და ის აქ კიდევაც ათავენს თავის პოემას. აი, ასეთი ერთიანი პოეტური კონცეფცია ახასიათებს „ილიადას“, რაც იმას მოწმობს, რომ „ილიადა“ ერთი ინდივიდუალური პოეტის ნაწარმოებია.

ამრიგად, ჰომეროსის საკითხის კვლევის დღევანდელ ეტაპზე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ: 1. „ილიადა“ და „ოდისეა“ IX საუკუნის (ძვ. წ.) მახლობელ ხანებშია შექმნილი, და რომ 2. ისინი ინდივიდუალური პოეტის ნაწარმოებებს წარმოადგენენ.

ამრიგად, ჰომეროსის საკითხის მდგომარეობა დღესდღეობით ასეთია:

1. ვოლფ-ლახმანის ანტიუნიტარულ თეორიას მიმდევრები აღარა ჰყავს.

2. ყველაზე უფრო გავრცელებულია ის შეხედულებები, რომლებიც გ. ჰერმანის „განვრცობის თეორიას“ ემყარებიან (კაუერი, ბელონი, ს. შესტაკოვი), ხოლო ამოსავალ წერტილს ამ შეხედულებათა ავტორებისათვის წარმოადგენს ერთი ინდივიდუალური პოეტის, ჰომეროსის, არსებობის დაშვება.

3. წმინდა უნიტარული თეორია წარმოდგენილია დრერუპის, სკოტის, ვილამოვიცის და სხვათა შეხედულებებით, ხოლო ზოგი მათგანი ერთ პოეტს. ერთ შემოქმედს გულიანობის ამ ეპოსის შექმნის დასაწყისში, სხვები კი (ვილამოვიცი) ამ ერთ პოეტს გულიანობენ როგორც ისეთ შემოქმედს. რომელმაც უკანასკნელად ერთ მთელეულად ჩამოაყალიბა სხვადასხვა დროს შექმნილ სიმღერათა კომპლექსები.

საგულისხმოა, რომ ბელინსკიმ ჰერ კიდევ 1844 წელს გენიალური ალლოთი განსჭვრიტა, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ჰომეროსის საკითხი: „ჩვენ ვფიქრობთ, — ამბობს ის, — რომ უმართებულაა ის შეხედულება, თითქოს «ილიადა» ხალხური რაფსოდიების კრებული იყოს; ამას არაფრით არ ეგუება პოემის მტკიცე ერთიანობა და მხატვრული მთლიანობა. ამავე დროს არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ჰომეროსს არ ესარგებლოს ცოტად თუ ბევრად მზა მასალით, რათა მასზე აეგო ელინური ცხოვრების საუკუნეებრივი ძეგლი“ (В. Белинский, Собр. соч., III, стр. 469).

§ 12. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორის ვინაობა. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორად ძველები ერთხმად ასახელებენ ჰომეროსს, რომელიც მათ რეალურ პიროვნებად მიაჩნიათ, მაგრამ შეთანხმებული აზრი მისი წარმოშობისა, ცხოვრების დროისა და სამშობლოს შესახებ არ არსებობდა: ამ საკითხის შესახებ არსებობდა სხვადასხვა გადმოცემა, რომლებიც თავმოყრილია შედარებით გვიან შედგენილ „ბიოგრაფიებში“. ამ „ბიოგრაფიებიდან“ შეუძლებელია ნამდვილი ცნობების დადგენა ჰომეროსის ვინაობის შესახებ, რადგან ისინი შედგენილია იმ ხანებში, როდესაც „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორის ვინაობა ლეგენდებით იყო გარემოცული, როდესაც ამ ავტორის პიროვნებას დაკარგული ჰქონდა ინდივიდუალური სახე და იგი გადაქცეული იყო ზოგად ტიპად უსინათლო რაფსოდისა. ყველაზე სანდო წყაროს „ოდისეისა“ და „ილიადის“ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხების გამოსარკვევად წარმოადგენენ თვით პოემების რეალიები, ის რეალიები, რომლებიც XIX — XX საუკუნის განმავლობაში არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის კვლევის საგანი იყო. ამ რეალიების მიხედვით „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორის ვინაობის შესახებ შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

ავტორის ცხოვრების დრო. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს უნდა ეცხოვრა IX საუკუნეში. ყველაზე ადრინდელი ცნობა ამის შესახებ მოეპოვება ჰეროდოტეს (II, 53): ისტორიკოსი ამბობს — პოემებში ავტორი 400 წლით ჩემზე ადრე ცხოვრობდაო. ეს ჰეროდოტეს საკუთარი მსჯელობაა, მაგრამ ამ მსჯელობის დროს ის უთუოდ ძველიდანვე გადმოცემულ ცნობას უნდა ემყარებოდეს. ჰეროდოტეს ეს მოაზრება დასტურდება რეალიებით, რომლებიც პოემებში მოიპოვება.

პოეტის სახელი. რა ერქვა „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს? ძველები ერთხმად უწოდებენ მას ჰომეროსს („Ὅμηρος“) დღეს შეიძლება გამორკვეულად ჩაითვალოს, რომ „ჰომეროს“ — საკუთარი სახელი კი არაა. არამედ ზოგადი და იგი გვიან ხანებში მიაკუთვნეს „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს, რომლის ნამდვილი, საკუთარი სახელი არ იცოდნენ. საქმის ვითარება ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: „ილიადა“ და „ოდისეა“ შეთხზულია ისეთ ხანაში, როდესაც ცნება „ინდივიდუალური პოეტისა“ არ არსებობდა, როდესაც აედები მეფეთა კარზე მღეროდნენ გმირთა თავგადასავლისა და მათი სანახელო საქმეების შესახებ, როგორც მუზების მიერ შთავონებული. „არავის არ მოუვიდოდა აზრად ეკითხა მომღერლისათვის — შენ თვითონ ხარ ამ საგმრო სიმღერის შემთხვეული? ვინც ასეთ კითხვას მიიპოვებდა მას, პასუხსაც მიიღებდა: ეს მე მუზამ მასწავლაო“ (პელოხი). ხოლო შემდეგ ხანებში, როდესაც მომღერლები საკუთარ თხზულებებს კი არ მღეროდნენ, არამედ ძველიდანვე გადმოცემულ სიმღერებს რეციტაციით წარმოსთქვამდნენ, ბუნებრივი იყო საკითხის დასმა ამ სიმღერათა ავტორის ვინაობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ამ საგმრო სიმღერათაგან ყველაზე მეტი პოპულარობა და გავრცელება მოიპოვეს „ილიადამ“ და „ოდისეამ“, რომლებსაც მღეროდნენ რაფსოდები საერო დღესასწაულებზე. მომღერლობა, რათსოდობა პროფესიად გადაიქცა და იგი თაობიდან თაობაში, მამისაგან შვილზე, გადადიოდა. ყველაზე უფრო გამოჩენილი გვარი ასეთი მომორკლებისა იყო გვარი „ჰომერიდებისა“, რომელთა პირველ-სამშობლოდ ქიოსი ითვლებოდა, იონიაში (შემდეგ, როდესაც „ილიადა“ და „ოდისეა“ იონიის გარეთაც გავრცელდა, ჰომერიდები გაჩნდნენ საბერძნეთის დანარჩენ მხარეებშიც). და იმ ხანაში, როდესაც ბერძნებში დაიბადა იმის გაგების სურვილი, თუ ვინ იყო ავტორი იმ პოემებისა, რომლებსაც მღეროდნენ ჰომერიდები, ხოლო ამ ავტორის სახელი არა თუ დავიწყებული იყო, არამედ არასდროს ცნობილი არ ყოფილა — ბუნებრივია საკითხი გადაჭრილიყო ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე; ამ პოემების ავტორი უნდა ყოფილიყო ჰომერიდების წინაპარი, ამ გვარის მამამთავარი — ჰომეროსი. ასე რომ.

ჩვენის აზრით, ავტორის სახელი „ჰომეროსი“ გაკეთებულია მისი პოეზიების მომღერალ რაფსოდების, „ჰომერიდების“, სახელისაგან. ჰომერიდები ატარებდნენ ძველ იონიურ სახელს ჰემეიდ, რომელსაც ჰქონდა „ბრმის“ მნიშვნელობა, ვინაიდან აედები, ჩვეულებრივ. უპინათლო მომღერლებად ჰყავდათ ხარმოდგენილი ბერძენებს (და ხშირად, პართლაც, ასეთები იყვნენ) ხოლო ეს სახელწოდება გაავრცელეს ბერძენებმა იმ გენიალურ პოეტზე, რომელიც ამ ჰომერიდების მამამთავრად ითვლებოდა.

§ 13. ჰომეროსის პოემების ენა. ჰომეროსის პოემების ენა წარმოადგენს იონიურ დიალექტს. რომელშიც შერეულია, საკმაო რაოდენობით, ეოლიზმები.

ჰომეროსის პოემების ენაში უძველესი ფორმების, ეოლიზმების, არსებობა იმით აახსნება. რომ იმ ძველ-იონიურ დიალექტში, რომელიც ავტორის მშობლიური დიალექტი იყო, ეოლიზმები ახასიათებდა ხალხურ, ბუნებრივ სალაპარაკო ენას. ამ გენიალური პოემების გადაქცევა საერთო სახალხო საკუთრებად მხოლოდ მაშინ იქნებოდა შეაძლებელი, თუ ისინი შეთხზული იქნებოდნენ არა ხელოვნურად ნარევი ენაზე, არამედ ბუნებრივ საპეტყველო დიალექტზე.

ამრიგად, ჰომეროსის პოემების ენა წარმოადგენს ძველ-იონიურ დიალექტს<sup>1</sup>, რომელსაც ახასიათებდა ეოლიზმები.

ეპითეტები და შედარებები. ჰომეროსის მიერ შექმნილი ეპიკური ენის და სტილის დამახასიათებელია პოემებში ნახშირი ეპითეტები და შედარებები. ჰომეროსის ყოველი გმირი და ყოველი ღვთაება, ატარებს პოემებში განსაკუთრებულ ეპითეტს, რომლითაც იგი ცნობილია ყველგან: ზოგჯერ ისინი მხოლოდ ამ ეპითეტით იხსენიებიან. მათი საკუთარი სახელის მოუყვანლადაც. ასე, მაგალითად, აქილეუსი ფესმარდია, ოდისევსი -- ცბიერი და მოხერხებული, ნესტორი -- ტკბილმოუბარი, ჰექტორი -- მუზარადმბრწყინავი, ანუ ზუჩქლერა, პენელოპე -- გონიერი და გამჭირახი, აქაველი მეომრები -- მშვენიერ-საბარკულიანები არიან, ტროადელი ქალები -- გრძელწამოსასხამიანები. ზევსის ეპითეტია -- ელვისმკრეორცნელი. ჰერასი -- ხარისთვალეა და თეთრიდაყვა, ათენასი -- ბუსთვალეა, ხოლო აპოლონისა -- შორაშარო-ლელი. ეპითეტები მიკუთვნებული აქვთ არა მარტო გმირებსა და ღმერთებს, არამედ მოვლენებსა და საგნებსაც: ზღვა -- უსაზღვროა, იგი ხან იისფერია, ხან ღვინისფერი; ღვინო -- თაფლივით ტკბილია; სიზმარიც ასევე თაფლივითაა; სისხლი ღრუბელივით დაბინდულია.

ამავე ეპიკურ სტილს ახასიათებს შედარებები და მეტაფორ-

<sup>1</sup> ამ ენისაგან განსხვავებით გვიან-იონიური დიალექტი ეწოდება ისტორიკოს ჰეროდოტეს ენას.

რ ე ბ ი. პოემებში ხშირად მეორდება ერთი და იგივე მეტაფორული სახეები: ასე. მაგალითად, იერიში შედარებულია „გრიგალს“, „ზღვა“ ეწოდება ხალხს. მეფე და სარდალი — „მთას“ ან „კლდეს“ ედარებოან, ხოლო მეომართა რაზმები — „ღრუბლებს“.

§ 14. დაქტილური ჰეგზამეტრი. ჰომეროსის პოემები დაწერილია იმ საზომით, რომელსაც ეწოდება დაქტილური ჰეგზამეტრი. ეს არის ექვსი მუხლისაგან შედგენილი ტაეპი (ჲჳ ექქესი“, Ⴗაჳჳჳ „ზომა“, „მუხლი“): თითოეული მუხლი შედგება სამი მარცვლისაგან: ერთი გრძელი მარცვლისაგან და ორი მოკლე მარცვლისაგან ( \_ \_ \_ ); ასეთ მუხლს ეწოდება დაქტილი ( Ⴗაჳ:ჳაჳიჳ „თითი“); მეექვსე მუხლი შეკვეცილია, ე. ი. ორი მარცვლისაგან შედგება ( \_ \_ ტროქეი). აი სქემა დაქტილური ჰეგზამეტრისა:



ბერძნული ლექსისწყობა ემყარება ხმოვნების ოდენობას (კვანტიტეტს), ე. ი. ბერძნული ლექსის რიტმს ჰქმნის გრძელი და მოკლე მარცვლების გარკვეული თანმიმდევრობა. ყოველი გრძელი მარცვალი მუსიკალურად თავისი ოდენობით უდრის ორ მოკლე მარცვალს. რადგან ასეთა მუსიკალური შეფარდება გრძელი და მოკლე მარცვლებისა, ბერძნულ ლექსს შეუძლია დაქტილში ორი მოკლე მარცვალი შესცვალოს ერთი გრძელი მარცვლით. ამრიგად, დაქტილისაგან შეიძლება მივიღოთ სპონდეი ( \_ \_ ). მართლაც, დაქტილურ ჰეგზამეტრს, ნაცვლად დაქტილებისა, შეიძლება ჰქონდეს სპონდეები: ეს შენაცვლება შეიძლება მოხდეს ყველა მუხლში, გარდა მეხუთისა, სადაც დაქტილის შეცვლა სპონდევით ძალიან იშვიათად ხდება. დაქტილურ ჰეგზამეტრში დაქტილი შეიძლება შეიცვალოს სპონდევით ერთსა და იმავე დროს რამდენსამე მუხლში: ორ, სამ და ოთხ მუხლშიც.

სპონდეი, როგორც ორი გრძელი მარცვლისაგან შედგენილი მუხლი, უფრო მძიმეა, ვიდრე დაქტილი, რომელშიც გრძელი მარცვლის გვერდით ორი მოკლე მარცვალი მოიპოვება. ამიტომ, პოეტი ცვლის დაქტილს სპონდევით იმ შემთხვევაში, როდესაც მას სურს აახოზ და გადმოსცეს მსმენელს დაძაბული სულიერი მდგომარეობა ან პრისხანე გუნება-განწყობა.

მეექვსე მუხლი, რომელიც შეკვეცილია და ორი მარცვლისაგან შედგება, შეიძლება იყოს აგრეთვე სპონდეი, რამდენადაც, საერთოდ, ტაეპის უკანასკნელი მარცვალი ბერძნულ ლექსში შეიძლება იყოს გრძელიც და მოკლაც (ე. წ. syllaba anceps „ორმაგი მარცვალი“).

დაქტილორი ჰეგზამეტრი ორ ნახევარ-ტაეპად განიყოფება: მათ ჰყოფს შესვენება, რომელსაც ცეზურა (caesura „გაკვეთა“) ეწოდება. ცეზურა, ჩვეულებრივ, მესამე მუხლის გრძელი ნახევარს შემდეგაა და



უთუოდ იმ ადგილას, სადაც სიტყვა თავდება (ასეთ ცეზურას ეწოდება პენტემიმერესი, ე. ი. „ხუთი ნახევარმუხლის შექმნევა“). ზოგჯერ, თუ ამას სიტყვის გათავება მოითხოვს, ცეზურა შეიძლება იყოს მესამე მუხლის პირველი მოკლე მარცვლის შექმნევა (ე. ი. ტროქეული ცეზურა):

ქე ონ ბე თჳ რთჳ || მათჳჩჳთჳ ჳრჳსჳთჳ

'Ατρεμής τε ἀναξ || ἀνερῶν καὶ θῶς ' Ἀχιλλεύς <sup>1</sup>

— | — | — | — || — | — | — | — („ტროქეული ცეზურა“)

— | — | — | — || — | — | — | — („პენტემიმერესი“).

არის მეორენაირი ცეზურაც: როდესაც მესამე მუხლში ცეზურა მოუხერხებელია ან პოეტის განწყობას სურს სხვა რამეს გაუსვას ხაზი. ცეზურა შეიძლება იყოს ნაცოლოთ ერთისა (მესამე მუხლში), ორი — მეორე მუხლში და მეოთხე მუხლში (ე. წ. „ჰექსემიმერესია“, ე. ი. „შვიდი ნახევარმუხლის შექმნევა“, ანუ მეოთხე მუხლში):

ქაიჭჳთჳ || Πρῆξις πῶς, || εὖ' ἔοικα ἰκείσθε<sup>2</sup>

ამგვარად, დაქტილურ ჰეგზამეტრს ძირითადად ორნაირი ცეზურა შეიძლება მოეპოვებოდეს: 1. მესამე მუხლში ან 2. მეორე და მეოთხე მუხლში. უფრო ხშირად პირველნაირი ცეზურა გვხვდება.

ცეზურის არსებობა დაქტილურ ჰეგზამეტრში მიგვიჩვენებს იმაზე, რომ დაქტილური ჰეგზამეტრი ორი წვრილი ერთეულისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, მაგრამ მისი ისტორიის ზედმიწევნით შესწავლა, მასალების უქონლობის გამო, არ ხერხდება. შეგვიძლია მხოლოდ შემდეგი ვთქვათ: ის, რისგანაც ჰეგზამეტრი წარმოიშვა, სამღერ ერთეულს წარმოადგენდა, მაგალითად, ნათქვამია:

ილიადა I, 1. „მ ი მ ღ ე რ ე, ღმერთჳლო, რისხვა“.

ოღისეა VIII, 266: „ფორმინგი ააჟღერა იმან და დაიწყო საამო მღერა“ (აქ ლაპარაკია აედ დომოდოკეზე).

აქედან ჩანს, რომ ეს სალექსო ერთეული სიმღერად ყოფილა განკუთვნილი. მაგრამ ეს ეხება არა დაქტილურ ჰეგზამეტრს, არამედ იმ წვრილ სალექსო ერთეულს, რომლისაგანაც დაქტილური ჰეგზამეტრი წარმოიშვა. თვით დაქტილური ჰეგზამეტრი კი რეციტაციით წარმოიქმნოდა, ხოლო ტერმინი „მღერა“ შერჩა მას, როგორც ვადმონაშთი ძველად ხმარებული თქმიდან, როდესაც ჰეგზამეტრის წარმომშობი წვრილი ერთეული მართლა იმღერებოდა.

უძველესი ნიმუში დაქტილური ჰეგზამეტრისა ეპიკრაფიკულად დადასტურებულია VIII საუკუნეში.

<sup>1</sup> „ერთხელ რომ აღივსნენ მტრობით ერთმანეთის ჯიბრით და შურით ატრიდი, მათარი ერის, და ღმრთებრი პელეუსის წული“ (ილიადა I, 7 — 8).

<sup>2</sup> „პრიამეს ქალაქი მოსპობ და დაბრუნდეთ მშვიდობით შინა“ (ილიადა I, 19).

**§ 15. დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისების საკითხი.** უკვე მრავალი საუკუნის წინათ ჯერ კიდევ ბერძენმა და რომაელმა მკვლევარებმა შენიშნეს ვანსხვავება დაქტილურ ჰეგზამეტრსა და სხვა საზომებს შორის: შენიშნეს აგრეთვე ისიც, რომ თვით ბერძნულ დაქტილურ ჰეგზამეტრშივე მოიპოვება მისივე საწინააღმდეგო ნიშნები. XIX საუკუნის ქველევარნიც ბევრს უტრიალებდნენ დაქტილური ჰეგზამეტრის საკითხს. მაგრამ, რომდენადაც ძათი ძსჯელობა ბერძნული ლექსთწყობის უარვლევს არ სცოდნებოდა. ეს საკითხი იოტის ოდნადაც ვერ წაივია წინ. ერთადერთი შედეგი, რომელიც მოიტანა ევროპელ ფილოლოგოსთა დაუღალავმა ზრომამ, იყო ის ნეგატიური დასკვნა, რომელსაც დაადგნენ ერთი-მეორის დამოუკიდებლად ჯერ გერმანელი კ. მაისტერი (1921 წ.), ხოლო შემდეგ ფრანგი ა. მიეიე (1923 წ.), სახელდობრ, რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი არ არის ორიგინალურა ბერძნული სალექსო ზომა. კიდევ მეტიც: ამ მკვლევართა დასკვნა იმასაც ითვალისწინებს. რომ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრი არც ინდოევროპული წარმოშობისაა. მაშასადამე, საჭიროა სხვაგან, არაინდოევროპულ წრეში, ვეძებოთ ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისები.

გარდა ამისა საბჭოთა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ ახლებურად დასახა ძველი ბერძნული კულტურის საკითხთა კვლევა: მისთვის ხაიეული გახდა, რომ ბერძნულს ენაში, ბერძნულ ლიტერატურაში და ბერძნულ ხელოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს არაბერძნულ ელემენტს და რომ „ძველი ბერძნული კულტურის“ სახელწოდებით ცნობილ კატეგორიაში გასარჩევა „ბერძნული“ და „წინაბერძნული“ ფენები. ნათელი გახდა ისიც, რომ ეს „წინაბერძნული“ ფენა არ არის ინდოევროპული, იგი ენათესავება მცირეაზიულსა და კავკასიურს.

ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისების საკითხს ვერ დავაშორებთ თვით ბერძნული ეპოსის წარმოშობის საკითხსაც. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმასაც, რომ პირველი ბერძნული ეპიკური ნაწარმოები ამუშავებს თესალიელი გმირის, აქილევის თავგადასვალის თეზას. აქილევისი კი, როგორც ჩანს, წარმოშობით ბერძენი გმირი კი არ არის, არამედ წინაბერძნული მოსახლეობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია; მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თქმულეება მის შესახებ აგრეთვე წინაბერძნული მოსახლეობის მიერ არის შექმნილი.

**§ 16. ჰომეროსი მსოფლიო მწერლობაში.** „ჰომეროსმა თავისი თქმებითა და აზრებით ყველას გადააჭარბაო“ — ამბობს არისტოტელე თავისი „პოეტიკის“ XXIIV თავში, სადაც აჯამებს თავის შეხედულებებს ეპოსზე და „ილიადასა“ და „ოდისეას“ სთელის ისეთ ნაწარმოებებად, რომლებმაც საუკეთესოდ განახორციელეს ეპოსისათვის სავალდებულო

ძირითადი მოთხოვნა, სახელდობრ, რომ იქ იყოს „კარგი აზრები და კარგი თქმები“. ჰომეროსის პოემებში გამოთქმული აზრები, იქ აღწერილი ვაეკაცური და კეთილშობილური საქმიეები მუდამ იყო გზის მაჩვენებელი მომავალი თაობებისათვის, რომლებიც „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ხედავდნენ თავისი წარსულის სიღიადეს და პოულობდნენ იქ თავისი აწმყოს სიმტკიცება და მომავლის საფუძვლს. მომღვენო საუკუნხეთა ბერძენი მწერლები (იყენენ ისინი ეპიკოსები, ლირიკოსები, თუ ტრაგიკოსები) ჰომეროსის პოემებიდან სებახლობდნენ საუყეტებს და იქ აღბეჭდილ მხატვრულ სახეებში პოულობდნენ წყაროს თავისი შემოქმედებისათვის.

ჰომეროსის პოემების მნიშვნელობა გასცლდა საბერძნეთის საზღვრებს: პოემები ფართოდ გაირცელდა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, და მათი თარგმანები აფრიდანვე გაჩნდა აქ. ასე, მაგალითად, რომში ჰომეროსის „ოდისეა“ ითარგმნა III საუკუნეში (ძვ. წ.) ლივიუს ანდრონიკეს მიერ. იმავე საუკუნის ბოლოს ქვინტიუს ენიუსი წერს თავის პოემას „Annales“, რომელშიც ის მხატვრულად ასახავს რომაელთა წარსულ ცხოვრებას ჰომეროსისაგან შეთვისებული მხატვრული ხერხებისა და პოეტური ფორმების საფუძველზე და პირველად ქმნის ლათინურ ენაზე დაქტილურ ჰევამეტრს, ხოლო I საუკუნის (ძვ. წ.) გენიალური პოეტი ვერგილიუსი თავისი „ენეიდიტ“ საბოლოოდ განამტკიცებს ლიტერატურაში ჰომეროსის პოემების საფუძველზე შექმნილ ეპოსს: ტროადის ომის გმირთა ზოგადადამიანური სახეები, ვერგილიუსის ამ პოემის წყალობით. ფართოდ მოედო მთელ რომის სამყაროს.

საშუალო საუკუნეებში დასავლეთის ქვეყნები იცნობდნენ ჰომეროსს ლათინურად შედგენილ შამოკლებული „ილიადით“ (ე. წ. *Homerus latinus*). მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე, უპირატესად, ლათინურად იყო ჰომეროსი გავრცელებული (ლექსად და პროზად). ხოლო კლასიკურ ეპოსს იცნობდნენ ვერგილიუსის „ენეიდიტ“. მართალია, „ილიადის“ პირველი გამოცემა (1453 წ.) დიდი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ჰომეროსის შეფასება მაინც ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, მაგალითად, ვერგილიუსს ძასზე უფრო მაღლა აყენებდნენ. სწორი შეფასება მიიღო მან XVIII საუკუნიდან: 1715 წელს გამოვიდა ინგლისური თარგმანი, 1781 წ. და 1793 წ. გერმანული თარგმანი, ხოლო რუსულად ჭერ 1787 წ. (ე. კოსტროვის „ილიადა“). შემდეგ 1829 წ. (ნ. გნედიჩის ბრწყინვალე თარგმანი „ილიადისა“) და

<sup>1</sup> „...Русские владеют едва ли не лучшим в мире переводом «Илиады». Этот перевод, рано или поздно, сделается книгой классической и настольной и станет краеугольным камнем эстетического воспитания“ (В. Г. Белинский, Собр. соч., 1948. т. III, стр. 324).

1349 წ. (ვ. აქოვსკის „ოდისია“). ამავე ხანებში გაჩნდა პომეროსის პომეგზის თარგმანი სხვა ევროპულ ენებზედაც.

პომეროსის ეპოსი ქართულ მწერლობაში. პომეროსის პომეგზს იცნობს ძველი ქართული მწერლობაც. ჯერ კიდევ VIII ს. (ახ წ.) შედგენილ „სასწავლო წიგნში“. ბერძნული ანბანის შესახებ მსჯელობის დროს, ლაპარაკია „ილიადსა“ და „ოდისეაზე“, როგორც სკიზიველი საზოგადოებისათვის ნაცნობ პომეგზზე. ხოლო XI—XII საუკუნეთა ქართველი მწერლები, პოეტებიცა და პროზაიკოსებიც, პომეროსს იმდენად კარგად იცნობენ, რომ მასალას შედარებისათვის ხშირად იღებენ მისი პომეგზიდან: პომეროსის გმირების (პრიამეს, აგამემნონის, აქილეისის, ოდისეისის, ჰექტორის, ელენეს და სხვათა) სახელები ხშირად იხსენიება შავთელის, ჩახრუხაძის, ეფრემ მცირის, იოანე ბეტრიწის, დაიით აღმაშახებარის ისტორიკოსისა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებებში. ქართველები იმდენად კარგად იცნობდნენ პომეროსს, რომ თავიანთ თხზულებებში თავიანთ ფაქტებს მისი პომეგზიდან მოტანილ მასალებს. ისმის კითხვა: რა გზით იცნობდნენ ისინი პომეროსის პომეგზს?

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ქართულად არსებული პომეროსის პომეგზის გადმოკეთებული ვერსია, რომელშიც გადმოცემული ყოფილა, უმთავრესად, „ილიადის“ თხრობა და რომელიც შეიცავდა, „ილიადის“ გარდა, ბერძნულ თქმულებებს აქვეყნ-ტროადელთა ომის ცალკეული ეპიზოდების შესახებ.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მოიპოვება ლექსად ნათარგმნი სამი ტაეპი პომეროსის „ილიადისა“:

„არა კეთილ არს მრავალფლუბა, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე“ (II, 204).  
„ამის ვისიმე დგომა ცხენისა სასმენელ იქმნა ბაგათა ზედა“ (VI, 506).  
„ბარბით მცემელთს პირნშო-შობ ვერ მცენიერი შობისა“ (XVII, 5).

მაგრამ ამ ციტატების არსებობა აიხსნება არა იმით, თითქოს მოიპოვებოდა „ილიადის“ ქართული თარგმანი, არამედ ისინი მოყვანილი იყო იმ ბერძნულ ტექსტებში, რომლებსაც თარგმნიდნენ ქართველი მთარგმნელები, და ტექსტთან ერთად მათ გადმოთარგმნეს „ილიადის“ იქ მოყვანილი ტაეპებიც.

პომეროსის თარგმნა სცადა XIX საუკუნეში პოეტმა მამია გურიელმა (მ. ფაზელმა), რომელმაც 1890 წელს დაბეჭდა „ილიადის“ I სიმღერა. პირველივე სიმღერა 1901 წელს დაბეჭდა პ. მიჩინაშვილმა (კლდიაშ) სათაურით „პომეროსის თქმული აქელიანი“.

§ 17. პომეროსის ჰიმნები. პომეროსის სახელით ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე ჰიმნების კრებული. ეს ჰიმნები იმღერებოდა რელიგი-

ურ დღესასწაულებზე და მიმართული იყო იმ ღმერთისადმი, რომლის საპატივედმოდ იყო მოწყობილი ესა თუ ის დღესასწაული. ეს არის აპოლონის, ჰერმესის, აფროდიტეს, დემეტრეს, ათენას, დიონისეა და სხვათა სადიდებელი ჰიმნები.

ჰიმნი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: შესავალისაგან, რომელშიც ავტორი იძლეოდა ღმერთების სიდიადის ზოგად სურათს. შესავალს მოსდევდა ჰიმნის შუა ნაწილი, რომელშიც მოთხრობილ იყო რომელიმე ეპიზოდი ამ ღმერთების თავგადასავლიდან (მაგალითად, აპოლონ დელოსელის ჰიმნში გადმოცემული იყო, თუ რა პირობებში დაიბადა აპოლონი, როგორ წვალობდა მისი დედა ლეტო, რომელიც მოსალოვინებლად არც ერთმა ქალაქმა და კუნძულმა არ მიიღო. რადგან ყველას ეშიზოდა, რომ მრისხანე ღმერთი დაიბადებოდა). ბოლოს, დასკვნით ნაწილში ჰიმნის ავტორი ვეღარებით მიმართავდა ხოლმე მუსიკას ან ღმერთებს და თავის საკუთარ თავს შოგონებდა.

ამ ჰიმნების ავტორები ცნობილი არ იყვნენ და, რადგან მათში ნახმარი ეპითეტები და მეტსახელები, საღებრო ზომა და საერთო რიტმი ძალიან ენათესავებოდა ჰომეროსის პოემებში ნახმარ მხატვრულ ხერხებს, ხალხმა ამ ჰიმნების ავტორად ჰომეროსი მიიჩნია. დღეს აღიარებულია, რომ ე. წ. ჰომეროსის ჰიმნები არა თუ არ ეკუთვნის ჰომეროსს, არამედ არ ეკუთვნის ჰომეროსის ეპოქასაც. ეს ჰიმნები სხვადასხვა დროს არის შექმნილი, VIII—VII საუკუნეებში.

**§ 18. კიკლიკური პოემები.** ტროადის გარშემო წარმოებულ ბრძოლების შესახებ მრავალი თქმულება-სიმღერა შეიქმნა ბერძენ ხალხში, ხოლო ამ სიმღერათა საფუძველზე ცალკეულმა პოეტებმა შემდეგ შეთხზეს პოემები, რომლებშიც ასახეს ბრძოლების ესა თუ ის ეპიზოდი. ჰომეროსის პოემებში, როგორც ხემათ ნათელყოფილია, ტროადის ომის ზოგიერთი ეპიზოდი ასახული: „ილიადაში“ — ომის მეთაე წელს მომხდარი ამბები, ხოლო „ოდისეაში“ — ომის ერთ-ერთი გმირის თავგადასავალი შინ დაბრუნების დროს. ყოფილან აგრეთვე სხვა პოეტებიც, რომელთაც აუსახავთ ამ ომის სხვა ეპიზოდებიც. ასე, მაგალითად, თუ „ილიადაში“ ომის მეთაე წლის ამბებია მოთხრობილი, პოემაში „კიკრიები“ მოთხრობილი ყოფილა ტროადის ომის გამომწვევი მიზეზებისა და პირველი წლების ბრძოლათა შესახებ. პოემ: „ეთიოპიდა“ მოგვითხრობდა ტროადის ომის იმ ეპიზოდებს, რომლებიც უშუალოდ მოსდევდა „ილიადაში“ გადმოცემულ ამბებს, ხოლო პოემაში „ილიონის დამხობა“ გადმოცემული იყო აქვევლთა მხადება ილიონის ასაღებად, ხის ცხენის აგება, ჭალაქის აღება და განადგურება. ამგვარად, ეს პოემები ერთგვარად ავსებდნენ „ილიადას“, ჰეროდენს რკალს (ბერძნულად „კკლოს“) იმ ამბებისას, რომლე-

ბიც ტროადის ომს შეეხებოდა. ასეთ პოემებს ბერძნებმა უწოდეს კიკლიკური პოემები.

ასევე არსებობდნენ „ოდისეის“ შემავსებელი კიკლიკური პოემები. თუ „ოდისეაში“ მოთხრობილი იყო ოდისეუსის შინ დაბრუნების ამბები, პოემაში „დაბრუნებანი“ (ბერძნულად „ნოსტოა“). რიგობით ვადმოცემული იყო, თუ რა ბედი ეწიათ სხვა გმირებს (დიომედეს და ნესტორს, მიწელაოსს, აიანტს, აგამემნონს) გზაში. ტროადიდან შინ დაბრუნების დროს. ხოლო პოემა „ტელეგონია“ ვანარახული იყო როგორც „ოდისეის“ ვაგრძელება და მიზნად ისახავდა ვადმოეცა ოდისეუსის თავდადასავალი კუნძულ ითაკეზე დაბრუნების შემდეგ.

ასეთი იყო ის კიკლიკური პოემები, რომლებშიც ტროადის ომის ეპიზოდები იყო ასახული. ამ პოემათაგან ჩვენამდე არც ერთმა არ მოაღწია: დაგვრჩა მხოლოდ მათი მოკლე შინაარსები პროკლეს (V საუკ.) „ქრესტომათიაში“, რომლის ფრაგმენტები შემოგვინახა ფოტიოსმა (IX საუკ.) თავის „ბიბლიოთეკაში“. თუ რატომ დაიკარგა ეს პოემები, ძნელია ამის თქმა, ხოლო ერთ-ერთ (და, ჩვენი აზრით, ძირითად) მიზეზად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი: ისინი თავისი მხატვრული ღირსებით დაჩრდილეს ჰომეროსის პოემებში. თანაც ზოგიერთი იმ პოემათაგან, უთუოდ, მიუღებელი აღმოჩნდა ბერძენი ხალხისათვის, ვინაიდან იქ ვადმოცემული ეპიზოდები არ შეეფერებოდნენ ქვეყნის ინტერესებს და ბლალავდნენ მოწინავე საზოგადოების შეხედულებებს ვაეკაცობაზე, კეთილშობილებაზე და მამულიშვილობაზე. ასე, მაგალითად, ამ პოემებში მოთხრობილი ყოფილა, თუ როგორ ვაუბრობდნენ ომში მონაწილეობის მიღებას ოდისეუსი და აქილევსი (იხ. ზემოთ გვ. 6).

არსებობდა მეორე რკალის პოემები, ე. წ. თებეს ციკლის პოემები. ამ ციკლის პოემებში ასახული იყო ის ბრძოლები, რომლებიც წარმოებდა ქალაქ თებეს ვარშემო. ცნობილი იყო ამ ციკლის სამი მთავარი პოემა: „ოფლიპოლია“, „თებაიდა“ და „ეპიგონები“. ამ პოემებს საფუძვლად ედვა შემდეგი თქმულებები:

თებეს მეფემ ლაიოსმა, ლანდაეს ძემ, ახალგაზრდობაში მოსტაცა პელოპს ვაგი ქრისტე და ვაევატიფრა ის; პელოპმა დასწყველა ლაიოსი და უსურვა მას, რომ არ მყოლოდა ვაგი და, თუ ვყოლებოდა, ის ვამხდარიყო თავისი მამის მკვლელი. პელოპის ეს წყველა მუდამ ანსოდა ლაიოსს და ამიტომ არც სურდა, რომ შეიღებოდა მყოლოდა. როდესაც, რამდენიმე წლის შემდეგ, ლაიოსს შეეძინა ვაგი, მან ბრძანა ბავშვი ზოვაში ვადავედოთ: ლაიოსს ეგონა, რომ ამით აიცილენდა პელოპის წყველის შედეგებს. მაგრამ ის ცდებოდა: ბავშვი ვადარჩა, ზღვის ტალღებმა ნაპირას ვამორიყეს ბავშვი, და იგი აღზარდა სიკიონის მეფემ პოლიბოსმა, რომელმაც ოდიპოსის დაარქვა სახელად.

ვაიდა წლები. თებეს მოველინა ს ფ ი ნ კ ს ი, დევი, ჩინეთი, მონღოლ სტანია და თებეს მცხოვრებლებს. ლაოსი გაემგზავრა კოფრონის მანუ (ნტა ანკრანკეთი, ატიკასა და ბეოტიას შუა) მდებარე პერას ტაძრისაკენ, რათა ეთხოვა დიკრატორიანის შეწყობა და დახმარება სფინქსისაგან თავის დასაღწევად. ესევე შეხვდა მან ერთი ქაბუეი, რომელთანაც ლაოსს ჩხუბი მოუხია. ამ ჩხუბის დროს მტკუნა მოქალაქისა ლაოსი. ეს ქაბუეი იყო თიდნოსი. ამრიგად, აღსრულდა პედოზის წინადაცხადება: ლაოსი მოქალაქისა საკეთათამა ვაჟა.

ქაბუემა განაგრძო გზა და შევიდა თებესში. თებეს უხუცესთა სპექს დედუქსი რომ, ვინც განათავისუფლებდა ქალაქს სფინქსისაგან, იგი მიიღებდა სამეფო ტახტს. ხოლო დაქვრივებულ დედოფალს, ეპიკასტეს, მუქილედ. თიდნოსმა მიიღო სფინქსი და გახდა თებეს სეფი და ეპიკასტეს ძეუღლე. ამრიგად, თიდნოსმა ორმჯავდ შესცოდა: იგი მამისმკვლეელია და თავისი დედის მუქილი.

გაეიდა ხანი. თიდნოსის მერ ჩადენილი ცოდვები გამოვლენილა. კეკსტემ დაწყევლა თიდნოსი და თავი მოიკლა. თიდნოსსა კი განაგრძო მტრობა და ცოდვად იტყობოდა ვერიახეა. რომლისაგანაც ეყოლა ორი ვაჟი — ეტეოკლე და პოლინიე. და არი ქალი — ანტიგონე და ისმენე. ვაჟები რომ წამოიზარდნენ და გაიქცეს შეცოდებათა მისახებ, შეიზღუდეს თიდნოსი: უპატივეზლოდ ეპარობდნენ მას. თიდნოსი დარდისაგან გარდაიცვალა; სიკვდილის წინ მან დასწყევლა თავისი შვილები.

ეტეოკლე და პოლინიე ერთხანს თანხაობით განაგებდნენ სამეფოს, შემდეგ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა: ეტეოკლემ გააძევა ძმა და ხელთ იგდო სამეფო. პოლინიე არგოსში გაიქცა, იქიდან მოიყვანა ქარი და შეებრძოლა ეტეოკლეს. ამ ბრძოლაში ორივე ძმა დაიღუპა, გამარჯვებით კი თებულებმა გაიმარჯვეს. ეტეოკლეს გვაში დაასაფლავეს, პოლინიესი კი ქალაქგარეთ დააგდეს დაუმარხავი. ანტიგონემ, დამ, პოლინიე დასაფლავა, რისთვისაც მოქალაქეებმა ანტიგონე დასაყეს.

ბრძოლაში დაღუპულ არგოსელთა მემკვიდრეებმა (— ვაგიონებმა) მეორე ლაშქრობა მოაწყეს თებეს წინააღმდეგ.

ძველი ბერძნები პომეროსს მიაწერდნენ ამ კიკლიკურ პომემბს, როგორც ტროადის ციკლასას ისე თებესას. ნაგრამ კრატეკამ ჭერ კიდევ ანტიკურ ხანაში გასწმინდა ნადაგი იმ დებულების ნათესაყოფად, რომელიც დღეს მკვიდრად არის გაბატონებული მეცნიერებაში: „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს არ შეიძლება ეკუთვნოდეს კიკლიკური პომემები. იმ დროს როდესაც „ილიადისა“ და „ოდისეისა“ ახასიათებს მტკიცე ერთიანი კომპოზიციით, კიკლიკურ პომემებში ასეთი კომპოზიციური მთლიანობა არა ჩანს: ისინი წარმოადგენენ ცალკეული და ერთიმეორის მოსდევნო ვარევიანი ფაქტების ნათესაობას, რომელიც, მართალია, აგებულია პომეროსის მხატვრული ხერხების გავლენით, მაგრამ მოკლებულია შინაგან იდეურ კავშირს და ერთიან პოეტურ კონცეფციას.

თავი მეოთხე

## ლიდაქტიკური ეპოსი

§ 10. ცვლილებები ბერძენთა ცხოვრებაში VIII ს. მეორე ნახევარში. ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელსაც ვამბინევთ უკვე ჰომეროსის პოემებში, ერთი მხრით, თვით წარჩინებულებს შორის, ხოლო, მეორე მხრით, წარჩინებულებსა და მდაბიოებს შორის, კიდევ უფრო ღრმავდება VIII ს. მეორე ნახევარში.

ბერძენთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ჰომეროსის მომღვენო ხანაში, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ის არის დამახასიათებელი. რომ მაშინ არსებულ წინააღმდეგობათა ფონზე ვარკვეულსა და ნათელ სახეს ლეზულობს მიწისმფლობელი არისტოკრატის მიერ ჩაგრული გლეხობა, რომელიც იწყებს გამოსვლას საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების სარბიელზე, როგორც არისტოკრატისადმი დაპირისპირებული ფენა.

რომ გლეხობა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა საზოგადოებრისა და ეკონომიურ ცხოვრებაში, ეს ჩანს იქდან, რომ ამ დროს სანჭერლო ასპარეზზე გამოდის პოეტი-რაფსოდი ჰესიოდე, რომლის შემოქმედება გლეხთა ინტერესის დაცვას ემსახურება. რა გზითა და რა საშუალებებით ემსახურება ჰესიოდე გლეხთა ინტერესებს?

VIII საუკუნის მეორე ნახევარი ჯერ კიდევ არ არის ბერძენთა ცხოვრებაში ხანა კლასობრივი შეგნებისა, რომ წარმოიშვას კლასობრივი ბრძოლა. ასეთი ხანა ბერძენთა ცხოვრებაში დადგება მომღვენო, მცშიდე საუკუნეში. VIII საუკუნეში კი გლეხთა იდეოლოგი პოეტი ჰესიოდე ხედავს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია მუქთახორა წარჩინებულთა მიერ ჩაგრული გლეხობა და ცდილობს შეუმსუბუქოს მას მისი ჭირი რჩევადარი გებათა საშუალებით.

რამდენადაც ძირითადი საშუალება, რომელსაც მიმართავს ჰესიოდე, არის რჩევა-დარიგება, ამდენად პოეზიის იმ ჟანრს, რომელიც მან მოგვცა, ჩვენ ეუწოდებთ დიდაქტიკურს (ბერძნ. δῆμοζω „დასწავლი“, δῆμοζωζ, „სწავლითი“; „რჩევა-დარიგებითი“).



§ 20. ჰესიოდეს ბიოგრაფია. ბიოგრაფიული ცნობები ჰესიოდესზე გაბნეულია თვით მისსავე პოემებში: „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“.

ჰესიოდეს წინაპრები ეოლიელები (კვიმელები) იყვნენ, მამამისი აყრილა კვიმედან — გაჭირვების გამო — და ჰელიკონის აღმოსავლეთ კალთაზე სოფელ ასკრაში (ბეოტიაში) დასახლებულა. აქ დაიბადა ჰესიოდე. როდის მოხდა ეს? ჰესიოდეს თხზულებებში უკვე გულისხმობენ ჰომეროსის პოემების არსებობას (დიალექტის გავლენა, ცალკეული ადგილების მიბაძვა). გარდა ამისა, ა რ ქ ი ლ ო ქ ე, ს ე მ ო ნ ი დ ე და ს ა ფ ო უკვე იცნობენ ჰესიოდესს. ამგვარად, VII საუკუნეში უკვე იცნობენ ჰესიოდესს, რომელსაც, მასასადამე, უნდა ემორღეწა VIII — VII საუკუნეთა მიჯნაზე.

ჰესიოდე, მსგავსად ჰომეროსისა, ყოფილა მოხეტიალე მომღერალი. როგორც ჩანს, ის არა თუ ბეოტიის ქალაქებში, არამედ სხვაგანაც დახეტიალობდა. „სამუშაონი“ 650 და შემდეგ ტაეპებში პოეტი ამბობს, რომ ის ერთხელ ავლიდიდან ქალკიდში (ევბეაზე) გაემგზავრა ამფიდამანტის დღეობაზე, სადაც თავისი ჰიმნით გაიმარჯვა და ჯილდოდ „სამფეხი“ მიიღო, რომელიც მან ჰელიკონის მუზებს შესწირა.

ჰესიოდეს სახელით ჩვენამდე მოღწეულია ოთხი პოემა: „სამუშაონი და დღენი“, „თეოგონია“ და „ჰერაკლეს ფარი“ — შედარებით სრული სახით, ხოლო „ქალთა კატალოგი“ — ფრაგმენტულად.

§ 21. „სამუშაონი და დღენი“. პოემა „სამუშაონი და დღენი“ (Ἔργα καὶ ἡμέραι), რომელიც შედგება, ჩვენამდე მოღწეული სახით, 828 ჰეგზამეტრისაგან, შეიძლება გავყოთ ორ მთავარ ნაწილად: პირველი ნაწილი (ტაეპები 1 — 764) შეიცავს რჩევა-დარიგებებს ცხოვრების სხვადასხვა დარგისათვის და ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის სხვადასხვა მხარისათვის, ხოლო მეორე ნაწილი (ტაეპები 765 — 828) წარმოადგენს ერთგვარ კალენდარს, რომელშიც აგრეთვე რჩევა-დარიგებებია მოცემული იმის შესახებ, თუ რა დღეები შეიძლება იყოს ადამიანისათვის იღბლიანი ამა თუ იმ საქმის წამოსაწყებად. რამდენადაც პირველ ნაწილში შრომასა და მუშაობას ეძება დარიგებები, ხოლო მეორეში — იღბლიანსა თუ უიღბლო დღეებს, მთელს პოემასაც ეწოდება „სამუშაონი და დღენი“.

პირველი ნაწილი („სამუშაონი“). ამ ნაწილში, პირველ ყოვლისა, ლაპარაკია ცხოვრების ორი ძირითადი პრინციპის შესახებ: პრინციპი სამართლიანობისა და პრინციპი შრომისა.

პერსე (მისი ძმა) ჰესიოდეს უსამართლოდ მოექცა. ხომ არსებობს ორგვარი ჯიბრი: ჯიბრი — შტრობა, და ჯიბრი — მეტოქეობა. პირველი უარყოფითი მოვლენაა, ის ანადგურებს ადამიანს, ის იწვევს

სასტიკ ომებს და ბოროტ მტრობას ადამიანებში; მეორე კი დადებითი მოვლენაა: ის იწვევს კეთილ შეჯიბრებას ადამიანებს შორის, აიძულებს მათ იზრომონ: ზარმაცსაც კი ხელებს გაანსრვეინებს; ხედავს ზარმაცი, „რომ მისი მეზობელი მდიდრდება, და ისიც ეშურება საქმეს და ცდილობს მალე დათესოს, დარგოს, კეთილად მოაწყოს სახლი“ (ტ. 11 — 23). მაგრამ პერსემ პირველი ერიდი აირჩია: მან მოისყიდა მოსამართლეები და ჰესიოდეს წაართვა მამისაგან დატოვებული ქონებიდან მისთვის მიკუთვნებული ნახევარიც.

ძიწები გაკვავით ჩვენი, და ბევრი რამ ქონება სხვაცა  
ხელთ იგდე, წამართვი შენა, და აღიღებ ამჟამად მეფეთ  
მუქთახორებს, რომელთაც მრუდელ სამართალი გადაჭრეს შენკენ (ტ. 37—39).

ამგვარად, პერსეს მოუსყიდა მოსამართლე-მეფეები და ჰესიოდესათვის ქონება წაურთმევია. მაგრამ მას მუშაობა არ ჰყვარებია და მალე შემოკმევია ეს ქონება და გაჭირვებაში ჩავარდნილა; დახმარებისთვის ძმისთვის მიუმართავს. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ცნობა ჰესიოდეს პირადი ცხოვრებიდან. საყურადღებოა ის აზრები, რომელთაც ჰესიოდე ავითარებს ამ, მის პირად ცხოვრებაში მომხდარი, უბედურების ნიადაგზე, ავითარებს აზრებს ჰემმარიტებისა და მშრომელების სასარგებლოდ და უსამართლობისა და უქნარობის წინააღმდეგ.

უფრო საიმედოა მეორე გზა, გზა სიმართლისათ. ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. უკვდავი ღმერთები თვალყურს ადევნებენ ბოროტ ადამიანებს. ზევსის მიერ სამი მირიონი (სამი ბევრი) დარაჯია გამოგზავნილი დედამიწაზე: ისინი ყველგან დადიან და იცავენ სიმართლეს; მათ შორის არის ერთი, Δίκη („სამართლიანობა“); ოლიმპოს მკვიდრნი მას ძალიან აფასებენ და არავის აპატიებენ მის შეურაცხყოფას: ის მაშინვე მიუჯდება მამა-ზევსს და უამბობს ადამიანთა უსამართლო საქციელის შესახებ (ტ. 248 — 260). ეს უსამართლო საქციელი ვერ მოუტანს ადამიანს გამარჯვებას; უსამართლო და ბოროტი ადამიანი ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს.

თავის თავს მოუტანს ბოროტს, ვინც ბოროტად ზრახულობს სხვისთვის.  
ბოროტი განზრახვა ხოლმე მზრახველისთვის უფროა მწარე (ტ. 265—266).

რომელი უსამართლობის წინააღმდეგაა აქ პროტესტი? ცხადია, იმ უსამართლობის, რომელსაც იჩენდნენ მაშინდელი უფლებამოსილი არისტოკრატიული ფენები მშრომელი გლეხების მიმართ; პროტესტი იმ მუქთახორების წინააღმდეგ, რომელნიც სხვას ართმევდნენ ოფლით შეძენილ ქონებას.

ცხოვრება ხომ არ არის მოწყობილი ისე, რომ მისი წარმართვისათვის არ იყოს საჭირო ადამიანის ხელი. ისე ზომ არ არის საქმე (როგორც ჰომეროსის პოემებშია გამოხატული), რომ უთუოდ მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს. არა, ცხოვრება მოწყობილია ისე, რომ გაიმარჯვებს ის, ვინც მუშაობს; ვინც მუქთახორობს, ის დამარცხდება. მოვეუსმინოთ თვით ჰესიოდეს: „პერსე, გახსოვდეს მუდამ ჩემი რჩევა და იშრომე, რომ შიმშილმა შეგიძლოს, რომ დემეტრეს მუდამ უყვარდე და აესებდეს შენს ბედელს ყოველგვარი დოვლათით. შიმშილი — ზარმაცის მუდმივი თანამგზავრია. ღმერთებიცა და ადამიანებიც საშართლიანად ჰგმობენ იმათ, ვინც უქმად ატარებს ცხოვრებას, მაშ, გიყვარდეს მუშაობა; თავის დროზე მოაგვარე ბეჩითად შენი საქმეები: მაშინ შენი ბედლები აივსება ყოველი სიკეთით“.

იძენ ხომ მშრომელი კაცი უამრავსა დოვლათს და ფარას.

მოკვდავს და უკვდავსაც უყვართ მოსაქმენი, ბეჯითნი კაცნი;

უქნარი, მცონარე კაცი საქულველი ყველასთვის არის.

სირცხვილა არ არის შრომა: სირცხვილია ზარმაცად ჯდომა (ტ. 308—311)

ასეთია ჰესიოდეს აზრები სამართლიანობისა და შრომის შესახებ.

შემდეგ ავტორი უკვე რჩევა-დარიგებებს აძლევს მიწის მუშაებს. ზენა-თესვის, ტყეში მუშაობის, დოვლათის დაგროვების, მეზობლებთან ურთიერთობის, ზღვაოსნობისა და სხვათა შესახებ.

ზენა-თესვა. როგორც კი აღმოსავლეთით გამოჩნდებიან პლეიადები — ატლანტები, დაიწყე მკა, მათი ჩასვლისას კი ხელი მოკიდე თესვას, — ეუბნება ჰესიოდე მიწისმუშას (ტ. 333—384). მაგრამ ხნავ, სთეს თუ მკი, — იმუშავე ტიტველმა. მხოლოდ ასე მიიყვან კარგ ბოლომდე დემეტრეს საქმეს, თავის დროზე მოგივა ყოველგვარი ჰირნახული. არაფერი შემოგაკლდება და სხვის სახლებში არ იწოწიანებ. ახლაც ხომ ჩემთან მოხვედი, მაგრამ არაფერს აღარ მოგცემ; იმუშავე იშრომე, პერსე! უკვდავთა კანონით დადებულია შრომა. ვინც არ იშრომებს, სირცხვილში და მწუხარებაში ჩაეარდება. გულქვა მეზობლებში მოუხდება წოწიალი, ორჯერ ან სამჯერ ხელს გაგიმართავენ. მაგრამ თუ თავს მოაბეზრებ, არაფერი გამოვა: ტყუილუმბრალოდ ყბებს დაიღლიო.

ტყეში მუშაობა. შემოდგომის ბოლოს მწვავე მზე ანელებს თავის სიციხეს და ადამიანის სხეული კვლავ მაგრდება... ტყეში ამ დროს უნდა წავიდეს გლეხი; რომელ ხესაც ამ დროს მოჭრის, მას ჭია არ გაუჩნდება. სწორედ ამ დროს უნდა გააკეთოს ზისაგან ყოველგვარი საჭირო ნივთი და იარაღი.

დოვლათის დაგროვება. ამგვარი გარჯის წყალობით ადამიანი აიცილენს თავიდან შიმშილს. მაგრამ ეს არ კმარა; საჭიროა მან დოვლათის დაგროვებაც ისწავლოს: „ცოტას რომ ცოტა მიუმატო, მალე

ბევრი განდება; ხოლო ხშირ-ხშირად მიუმატე ხოლმე. ვინც დაგროვება ისწავლა, ის თავიდან აიცილენს შიმშილს“ (ტ. 361 — 362).

დაგროვილ ქონებას მოვლა უნდა, დოვლათი მომპირნეთ უნდა ხარჯოს ადამიანმა. „სვი რამდენიც გინდა, როდესაც ქვევრი ან ახლად არის მოხდილი, ან უკვე ძირშია დასული; მაგრამ იყავ ზომიერი, როდესაც ქვევრი ნახევარზეა: თხლეზე რომ დაიყვან, სასაცილოა მომპირნობა“ (ტ. 368 და შემდ.).

მეზობლებთან ურთიერთობა. ადამიანი საზოგადოების წევრია; მას არ მართებს ამ საზოგადოებისაგან განცალკევება, განდგომა; ამ წრის წევრებთან მას უნდა ჰქონდეს ურთიერთობა. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისათვის მეზობელი. ცუდი მეზობელი — უბედურებაა, კარგი მეზობელი პირდაპირ მისწრებაა. თუ რამე გაგიჭირდება, შენი კარგი მეზობელი მაშინვე მოიბრუნებს უსართულოდაც (ე. ი. ჩაუცმელიც), სანამ შორს მტკოვრები მოყვარე სართულს მოიბრუნებდეს. ამიტომ საჭიროა, თუ ღვინს გამართავ, პირველ ყოვლისა, მეზობელი მიიპატიყო. მეზობელი გაჭირვებაშიც ხელს გაიმართავს; მაგრამ გახსოვდეს, თუ რამეს ისესხებ, კარგად გაზომე და დარწყყე; ვალის გადახდისას ამავე საზომით მიუზომე, თუ შეგიძლია ცოტა წაუმატე კიდევ, რათა შენ უზრუნველი იყო, რომ კვლავაც ხელს გაგიმართავს, როდესაც გაგიჭირდებაო (ტ. 342 — 351).

როგორც ზემომოყვანილი დარიგებებიდან ჩანს, ჰესიოდეს მხედველობაში ჰყავს გლეხი, რომელიც თავისი ოფლით შოულობს ლუკმა პურს, რომელიც ყოველდღიურ მუშაობაში ზოგჯერ გაჭირვებას განიცდის: მას სჩაგრავს წარჩინებული მიწისმფლობელი, მის უფლებებს ლახავენ მუქთანობა მეფეები. ჰესიოდეს ევლინება ამ გლეხს მეგობრად, დამრიგებლად, გზის მაჩვენებლად.

ზღვაოსნობა. აქამდე დარიგებები ეხებოდა გლეხის შრომას მის მიწაზე. მაგრამ გლეხის ჩაგვრა წარჩინებულთაგან და ხელისუფალთაგან ზოგჯერ ისე დიდი იყო, რომ გლეხი თავის სოფელში მუშაობით ვერ აღდიოდა ვალებს, და ის იძულებული იყო ხომალდით გაეცურა შორეულ ქვეყანაში და დამატებითი შემოსავალი ეპოვა ან ვაჭრობით, ან სხვა საშუალებით. აი, ამ შემთხვევისათვის იძლევა ჰესიოდეს დარიგებებს. „თუ გადაწყვეტ საზღვაოსნოდ გახვიდე უგუნურად, რათა ვალებისაგან სული მოითქვა და მწარე შიმშილი აიცილიო, მაშინ გიჩვენებ მე მრავალხმაურა ზღვის კანონებსო“ (ტ. 646 — 648). ძალიან უნდა უჭირდეს გლეხს (მას მძიმე ვალები უნდა აწვეს კისერზე და მწარე შიმშილი ემუქრებოდეს), რომ გადასწყვიტოს ზღვაში შეცურვა, და ჰესიოდეს ამ გაჭირვებული შემთხვევისათვის აძლევს მას დარიგებებს, თუ რა დროს და რა პირობებში უფრო ნაკლებ იქნება საშიში ზღვით მოგზაურობა.

ასეთია ის რჩევა-დარიგებები, რომლებსც აძლევს ჰესიოდე გლეხს. საჭიროა ადამიანმა მისდიოს ამ დარიგებებს, თუ მას უნდა ამ ცხოვრებაში გაიმარჯვოს. ეს ცხოვრება ტანჯვითა და ბოროტებითაა სავსე, ამ ტანჯვასა და ბოროტებას უნდა სძლიო შრომითა და სამართლიანობით, თუ გინდა რომ მშვიერი არ დარჩე. ეს არ დასჭირდებოდა ადამიანს, რომ ღმერთებს არ დაემალათ; მისთვის სიცოცხლის წყარო. ერთ დღეში ადამიანი იმდენს დაიმუშავებდა, რომ მთელ წელიწადს ეყოფოდა ისე, რომ ხელსაც არ გაანძრევდა. თუ რატომ მოხდა ეს, ამაზე ჰესიოდე უამბობს თავის მსმენელს მითს პრომეთესა და პანდორაზე (ტ. 47 — 114).

გაჯერებულმა ზევსმა, რომ პრომეთემ მოატყუა ის, ადამიანებს დაუმალა ცეცხლი. მაგრამ იაპეტის ძემ (პრომეთემ) კვლავ მოპარა იგი ზევსს ადამიანთა საყვარელდღეოდ: ფულურო ნართექსში, ლერწმის ლეროში, დამალა ის და ასე გამოაპარა ზევსს. ამაზე გაჯერებული ზევსი დაემუქრა პრომეთეს: მაგ ცეცხლის გამო ღიღს უბედურებას მოვალენ ადამიანებსო. მართლაც, მოუხმო ჰეფესტოსს და უბრძანა შეეზილა მიწა და წყალი, ჩაედოა შიგ ადამიანის ხმა და ძალა და მთელი ამ ცომისათვის მიეცა ქალწულის სახე, ვთავბრივი სილამაზისა. ათე წას უბრძანა შეეშოსა ეს ქალწული ძვირფასი ტანსაცმელით, ხოლო აფროდიტეს დააეულა ისეთი მიმზიდველობით მოერთო ამ ქალის თავი, რომ მას გამოეწვიო მწველი ვნება და სასხარტეტეხი დარდი. დასასრულ, ჰერმესს დააეულა ამ ქალისათვის ჩაედოა ძაღლის გონება და ცბიერი გული“.

ამ ქალს ეწოდა პანდორა (Πανδώρα; παν „ყველა“, დანος „საჩუქარი“), რადგან ყველა ოლიმპიელმა ღმერთმა ესა თუ ის საჩუქარი უძღვნა მას ადამიანთა საუბედუროდ. ეს საჩუქრები (იგულისხმება სხვადასხვა და ყოველგვარი ბოროტება) ზევსმა ჩაალაგა ერთ ყუთში და ჰერმესს დააეულა ეს მომზიდავი ქალი ყუთიანად-საჩუქრად მიერთშია ეპიმეთესთვის (ქალმა არ იცოდა ყუთში რა იყო).

რამდენადაც პრომეთე „წინასწარ მკვებტია“ (πρόμυθησας), ეპიმეთე მისი ანტიპოლია, ის „გვიან მიმხედრია“ (ἐπιμύθησας): უბედურება რომ დაატყდება თავს, შემდეგ გაახსენდება; რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ახლაც, რადგან პრომეთე მოვლოდა ზევსისაგან შურისძიებას, მან ჯაფრთხილა თავისი ძმა ეპიმეთე, არავითარი საჩუქარი არ მიიღო ზევსისაგან, თორემ იმ საჩუქრისაგან მრავალი უბედურება შეემთხვევა ადამიანებსო; მაგრამ, როდესაც ჰერმესმა მოართვა მას ზევსისაგან მოძღვნილი საჩუქარი (პანდორა ყუთიანად), ეპიმეთე ისე მოიხიბლა პანდორას სიმშვენიერით, რომ აღარ ვახსენებია პრომეთეს რჩევა-დარიგებამ მან საჩუქარი მაღლობით ჩაიბარა.

ძველ დროში ადამიანისათვის უცნობი იყვნენ უბედურებანი, მძიმე შრომაც უცხო იყო მისთვის, არც სიკვდილის მომტანი ავადმყოფობანი იცოდა მან. პანდორას ყუთში კი ყოველგვარი ბოროტება იყო მოთავსებული. პანდორა რომ მარტო დარჩა, მან ქალური ცნობისმოყვარეობით სარკველი მოხდა ყუთს, საიდანაც მაშინვე ამოფრინდნენ შიგ შენახული ბოროტებანი და მოედნენ ქვეყანას. მიხვდა პანდორა, თუ რა ცუდად მოიქცა, უმაღლე დაფარა სარკველი, მაგრამ გვიანდა იყო; ყველანი გაფრენილიყვნენ; ყუთში ჩარჩა მხოლოდ იმედი. უბედურებანი ათასობით დახტილობენ ამ ქვეყნად. ავადმყოფობანი ზოგი დღისით, ზოგი ღამით — ევლინებიან ადამიანებს ჩუმად და მოაქვთ მწუხარება და დარდი.

ასე გაჩნდა უბედურებები ქვეყნად, და მას აქეთ ადამიანი ტანჯვით და შრომით შოულობს ლუკმა პურს.

ამგვარად, ადამიანის გაჭირვებული მდგომარეობა თავისი წარმოშობით უკავშირდება ღმერთების (ზევისის) ნება-სურვილს და ამიტომ ჩვენთვის ნათელია, თუ რატომ არ რაზმავეს ჰესიოდე გლახობას წარჩინებულებთან საბრძოლველად.

ასევე, სარწმუნოებრივ ნიადაგზე ბოროტებათა ახსნის მიზნით, ჰესიოდე მოუთხრობს მსმენელს მითს იმ ზუთ საუკუნეზე, რომლებიც გამოიარა მსოფლიომ თავისი არსებობის მანძილზე (ტ. 109 — 201).

პირველი იყო ოქროს საუკუნე. ქვეყნის მფლობელი იყო კრონოსი. მაშინ ადამიანები ცხოვრობდნენ ღმერთების მსგავსად: არც შრომა იყო საჭირო, არც მწუხარება იცოდა ადამიანმა. ნოყიერი მიწები თავისთავად იძლეოდნენ უხვ მოსავალს. ამ საუკუნის ადამიანებს სიბერე არ ეკარებოდა.

მეორე საუკუნე იყო ვერცხლისა, პირველზე გაცილებით უარესი. ას წლამდე დედის გვერდით ცხოვრობდა ბავშვი ნებიერად; შემდეგ, რომ დავაჟაკდებოდა, უკვე ცოტა ხანს ცხოვრობდა, თავისი სირეგვნით: ღმერთებს აღარ ემსახურებოდა, აღარც მსხვერპლებს სწირავდა. გაჭაყრებულმა ზევსმა ისინი მიწის ქვეშ დამალა. ამ მოდგმას ადამიანებმა უწოდეს „საიქიოს ნეტარნი“, ამათ მოჰყვა

მესამე მოდგმა, სპილენძისა, რომელიც მამა-ზევისმა შექმნა. ამ მოდგმას ეკუთვნოდნენ შუბებით შეიარაღებული მძლავრი ვაჟაკები, რომელთაც უჟვარდათ არესის საქმე. ვერავინ ბედავდა მათთან მიახლოებას; საჭურველი სპილენძისა ჰქონდათ, მათი ბინებიც სპილენძით იყო ნაგები. ყველაფერში სპილენძი იხმარებოდა, რკინას არ იცნობდნენ. თავისი საკუთარი ხელების წყალობით დაიღუპნენ ისინი და ჰადესის სახლში გაემგზავრნენ.

ამ მოდგმის შემდეგ ზევსმა შექმნა მეოთხე მოდგმა, ღვთაებრივი მოდგმა ვაჟაკი გმირებისა. ეს ის გმირები არიან, რომლებიც თებებს და ტროის კედლებთან დაიღუპნენ. ელვის მტყორცნელმა ზევსმა გადაასახლა ისინი დედამიწის საზღვარზე, ღრმა ოკეანის მახლობლად, ნეტართა კუნძულებზე, სადაც ისინი არსებობენ უზრუნველად.

ნეტავი არ მეცხოვრა ამ მეხუთე საუკუნეში, — განაგრძობს ჰესიოდე — ან ადრე მოემკვდარიყავ, ან შემდეგ დავბადებულ-იყავ. „ახლა რკინის მოდგმა ცხოვრობს. არც დღისით, არც ღამით მოსვენება არ ექნებათ ადამიანებს ჯაფისა და დარდისაგან. მამა შვილებთან ვერ მორიდდება და შვილები მამასთან, ვერც სტუმარი მასპინძელთან და ამხანაგი ამხანაგთან. მძებს ერთმანეთი აღარ ეყვარებათ; მოხუც მშობლებს პატივს აღარ სცემენ: პირიქით, შვილები მათ

უდიერი სიტყვებით მოიხსენიებენ, არც საზრდოს მიაწოდებენ თავიანთ მშობლებს. სიტყვის კაცი, მართალი და კეთილი, პატივში აღარ იქნება: პირიქით, პატივში იქნებიან ბოროტმოქმედი და მოძალადე. სამართალი მუშტში იქნება და სირცხვილი გაქრება. ადამიანებს დარჩებათ მხოლოდ მწარე უბედურება.

ასე განუმარტა მსმენელს ჰესიოდემ ბოროტების წარმოშობის მიზეზი და ამით დაუმტკიცა მას, რომ ბოროტება და უსამართლობა ამ ქვეყნად შედგება კაცობრიობის ცხოვრების განვითარებისა; ეს განვითარება კი ნაკარნახევია ღმერთების ნებით. ამიტომ ამ ბოროტებას ბრძოლას კი ვერ გამოუცხადებ, არამედ უნდა ეცადო, არსებული ბოროტებისა და უსამართლობის პირობებში, ისე მოავვა-რო შენი ცხოვრება, რომ თავი დააღწიო შიმშილსა და გაჭირვებას.

რომ ჰესიოდე არ არის მომხრე უსამართლობასთან და ძალადობასთან პირდაპირ შებრძოლებისა, ეს იმ არაკიდანაც ჩანს, რომელიც მას მოჰყავს ქორსა და ბულბულზე (ტ. 202 — 211). „აი, რა უთხრა ერთხელ ქორმა ჭრელად — მგალობელ ბულბულს, რომლისთვისაც მას ბრწყალები ჩაერკო და ღრუბლებში მიაქანებდა: „რას ჰყვი შე ბედშავო. ხომ შენზე უფრო ძლიერს ჰყავხარ ხელში; სადაც მინდა იქ წავიღებ; მინდა შეგჭამ, მინდა გავიშვებ. უკუნურია ის, ვინც მოისურვებს წინააღმდეგობა გაუწიოს თავისაზე ძლიერს: ვერც გამარჯვებას მოიპოვებს და სირცხვილსაც სჭამს“. აი, ეს უთხრა ბულბულს ფრთამარდმა ქორმა.

მეორე ნაწილი („დღეები“). ამ ნაწილში, რომელსაც უჭირავს ტრადიციული ტექსტის 765 — 828 ტაეპები, მოცემულია რჩევა-დარიგება იმაზე, თუ რა დღეებია საქმისათვის იღბლიანი და რა დღეებია უიღბლო და საქმის წამოწყებისათვის არახელსაყრელი.

„ზევისაგან მოცემული დღეები ჭეროვანად დაიკავ და შინაურებსაც განუმარტე. თვის ოცდამეათე დღე საუკეთესოა როგორც საქმეების მოსახილველად, ისე სანოვავის გასანაწილებლად“ (ტ. 765 — 767).

„უფრო კი თვის ორი დღეა ადამიანთა საქმეების შესასრულებლად საუკეთესო: მეთერთმეტე და მეთორმეტე. ორივე დღე ბედნერია ცხერის გასაქრეველ და სამოწყობად მოსამკელად. მაგრამ მეთორმეტე დღე მეთექვსმეტეზე ბევრად უკეთესია...“ (ტ. 712 — 776).

„თვის მეცამეტე დღეს ნუ დაიწყებ თვისას; მცენარეთა დასარგავად კი ეს დღე საუკეთესოა“ (ტ. 780 — 782).

დარიგებები დღეების შესახებ ბრძნული ხალხური თქმებიდან მომდინარეობენ. პოეტმა მხატვრულ ფორმებში ჩამოაყალიბა ეს, ხალხში მთარული, შეხედულებები იღბლიანსა და კვიმატ დღეებზე; თვით პოეტი ამბობს იმაზე: „ასეთია ბრძენი ზევისისაგან მოცემული დღეები, თუ ხალხთა აზრი ჭეშმარიტებას შეიცავს“.

§ 22. „თეოგონია“. პოემა „სამუშაონი და დღენი“ უშუალოდ უკავ-

შირდება ჰესიოდეს მეორე პოემას „თეოგონია“. ამ პოემაში ავტორი მიზნად ისახავს მოგვცეს მოთხრობა ღმერთების წარმოშობის შესახებ, ხოლო, რამდენადაც ღმერთები, ბერძნების წარმოდგენით, უკავშირდებიან ქვეყნისა და ბუნების საგნებსა და მოვლენებს, ამდენად პოემა იძლევა მსოფლიოს წარმოშობის შესახებ მოთხრობასაც.

პირველად იყო ქაოსი; ქაოსისაგან წარმოიშვა მიწა („გაია“, „გეა“). მიწა არის საწყისი ქვეყნიერებისა, ღმერთებისა, ადამიანებისა. გეამ წარმოშვა ცა („ურანოსი“), მთები, ზღვა... შემდეგ შეეუღლა ურანოსს და მასთან ეყოლა ოკეანე, კოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტო... ყველაზე ბოლოს კრონოსი. გეას შვილები უსახური იყვნენ, და მამამ, ურანოსმა, ისინი შეიზიზღა იმავეითვე. როგორც კი რომელიმე მათგანი დაეძაღებოდა, ურანოსი მალავდა მას მიწის წიაღში და ტუპებოდა ამ ბოროტი საქციელით. გეა კი დედა. ამით იტანებოდა. როდესაც მან შექმნა რკინის მოღვმა, გამოსქვდა ნამგალი და შვილებს მიმართა სიტყვით: „ჩემი და უწმინდური მამის შვილებო, თუ გამოიგონებთ, შეგიძლიათ მამათქვენს გადაუხადოთ სამაგიერო მისი ბოროტი საქციელისათვის“. ყველანი სდუმდნენ. ხოლო ცბიერი კრონოსი წამოდგა და უთხრა: ძვირფასო მშობელო! მზად ვარ შევასრულო დავალებათ. გეას ძალიან გაუხარდა. იღუმალ ადგილას დამალა შვილი და ასწავლა ნამგლის ხმარება. ურანოსმა თან წამოიყვანა ღამე და მოვიდა გეასთან, დაწვა მასთან და, როდესაც ის აღინთო ტრფიანობით, კრონოსმა ფარული ადგილიდან მოულოდნელად მარცხენა ხელი გამოჰყო, მარჯვნივ მოიჭინა ნამგალი და ნაყოფიერების ასო მოსჭრა მამას.

მიწაზე დაღვრილი სისხლის წვეთებისაგან მიწამ დაბადა — რამდენიმე წლის შემდეგ — მძლავრი ერინიები და უზარმაზარი ჯიჯანტები. გრძელი შუბებითა და ბრკვეფი-ალა აბჯრით... ამ ბავშვებს ურანოსმა უწოდა ტიტანები, როგორც სალანძღავი სახელი, რადგან იმათ ხელში გაიწვდინეს ბოროტი საქმისათვის. ესენი იყვნენ ტიტანები, ანუ ურჩხულები. შედეგად წარმოიშვა ტიტანთა სხვა მოღვმეები... თან მოაქვთ სიკვდილი, მწუხარება, შიმშილი...:

კრონოსი შეეუღლა რეას და დაბადა შვილები: ქალწული ჰესტია, დემეტრე, ოქროთმოსილი ჰერა, ძლიერი აიდი, რომელიც ცხოვრობს მიწის ქვეშ... და წინასწარმეტყველი ზეუსი, მამა უკვდავთა და მოკვდავთა, რომლის ქვეა-ქუხილი აზანზარებს მთელ მიწას.

კრონოსს გაგებული ჰქონდა თავისი დედ-მამისაგან, რომ ის დაიღუპებოდა თავისი შვილისაგან. ამიტომ ყოველ ბავშვს ის დაბადებისთანავე ყლპავდა, რათა არ დარჩენილიყო არავინ მის დასმჯელი. რეა კი დიდ მწუხარებაში იყო. როდესაც ის ზეუსზე იყო ფეხმძიმედ, სთხოვა თავის დედ-მამას—მიშველეთ, მასწავლეთ, როგორ გადავარჩინო შვილი. მათი რჩევით ის ჩაეიდა სამშობიარო ლექტოსში (ადგილია კუნთულ კრეტაზე), მღვიმეში დამალა ახალშობილი, ხოლო კრონოსს მისცა ჩვრებში შეხვეული ქვა: იმანაც ეს ქვა გადაყლაპა. ამ გზით გადაარჩინა რეამ ზეუსი...:

ასეთი ხასიათისაა მოთხრობა მსოფლიოს და ღმერთების წარმოშობის შესახებ.

ჰესიოდემ „თეოგონიაში“, ასე ვთქვათ, შეაჯამა-იმდროინდელ ბერძენთა წარმოდგენები ღმერთებზე და ჩამოაყალიბა ერთგვარი კანონიზებული რელიგიური კოდექსი. ჰესიოდეს-შემდეგ „თეოგონია“ გახდა ძირითადი წყარო ბერძნული რელიგიური კონცეფციისა. ეს გარემოება ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობისაა: გლეხობის იდეოლოგმა მოგვცა ისეთი კონცეფცია ღმერთების წარმოშობის შესახებ, რომელიც სა-



ფუძვლად დაედო მერმინდელ ბერძნულ რელიგიურ შეხედულებებს. ეს გარემოება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჰესიოდეს დროს გლახობას საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისი წრიდან გამოსული და მისი წრის დამცველი პოეტი, ჰესიოდე, ერთგვარი კანონმდებელი ხდება ბერძნული რელიგიური წარმოდგენებისა.

მითებში მოცემული სამყარო მან გააცნო თავის მკითხველს, რათა განემარტა მისთვის, თუ როგორ და ვის მიერ არის შექმნილი ეს მსოფლიო, რომელიც საესეა ბოროტებითა და ტანჯვით, და ესწავლებინა თუ როგორ უნდა მოაწყოს ადამიანი თავისი აწმყო ცხოვრება.

ჰესიოდე მითების ფარგლებში რჩება ამ ცხოვრების აგებულების გაგებაში (და ამდენად ის ეპიკოსია), მაგრამ ცდილობს გადალახოს ეს ფარგლები, რათა მივიდეს მორალურ ცნებებამდე და ამ ცხოვრებისათვის საჭირო აზრებამდე. მითებში მოცემულა იყო განყენებული იდეა; ხოლო ჰესიოდემ სცადა მისი გამოყენება ამ ცხოვრებაში (ამდენად ის ინდივიდუალისტია): ცხოვრება თავისი ბოროტებითა და უკულმართობით სევედას ჰგვრის ჰესიოდეს, მაგრამ ის გულს არ იტეხს, რადგან, მისი აზრით, ცხოვრების ბოროტებასა და უკულმართობას ადამიანი დასძლევს თავისი შრომითა და სამართლიანი ქცევით.

რამდენადაც ეპიკოსი ჰესიოდე ინდივიდუალური განცდებისა და შეგრძნებების გზით ცდილობს იმოქმედოს მკითხველზე, ამდენად მის ეპოსში მქლავნდება სუბიექტური ნაკადი და, მაშასადამე, ის ლირიკოსების წინამორბედა.

§ 23. ჰესიოდესადმი მიკუთვნებული დანარჩენი პოემების საკითხი. გარდა „სამუშაოთა და დღეებისა“ და „თეოგონიისა“ ჰესიოდეს მიაკუთვნებდნენ აგრეთვე პოემებს „ქალთა კატალოგი“ და „ჰერაკლეს ფარი“.

„ქალთა კატალოგი“ მოთხრობილი იყო იმ ქალებზე, რომლებსაც თავისი სილამაზით მოუხიბლავთ ღმერთები და მათთან კავშირისაგან წარმოუშვიათ გმირები. გმირები არისტოკრატთა წინაპრებად ითვლებოდნენ და გმირთა დედებზე ეპიკური სიმღერის შექმნა არისტოკრატის ინტერესს შეადგენდა; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი საქმე მივაკუთვნოთ ჰესიოდეს, რომელიც გლახთა იდეოლოგი პოეტია.

„ჰერაკლეს ფარი“ ჯერ მოთხრობილია ჰერაკლეს დაბადებაზე ზევსისა და ალემენესაგან (ტეაპები 1 — 56) და შემდეგ აღწერილია ჰერაკლეს ბრძოლა გიგანტ კვიკნოსის (არესის ძის) წინააღმდეგ. ავტორი არისტოკრატიული წრიდან გამოსული ჩანს, ჰომეროსის მიმბაძველთა სკოლის წარმომადგენელი, და ჰესიოდესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

§ 24. ჰესიოდე ძველ ქართულ მწერლობაში. მომდევნო საუკუნეებში ჰესიოდეს ნაწარმოებოვან განსაკუთრებით „თეოგონია“ იყო გავრცელებული. „თეოგონია“ მდიდარ მასალას აძლევდა სტოიკოსებსა და ნეოპლატონიკოსებს მათი ალეგორიული განმარტებებისათვის.

ქრისტიანი მწერლებიც იყენებდნენ ჰესიოდეს „თეოგონიას“ და მის სიტყვებს მსოფლიო დასაბამის შესახებ იმოწმებდნენ ამავე საკითხზე არსებულ ქრისტიანულ მოძღვრებას ჭეშმარიტების დასადასტურებლად. ასე, მაგალითად, ერთი აგიოგრაფიული ძეგლის IX -- X საუკუნის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: ვიწყო ის ი(ო) დო ს ე-ს ი თ გ ა ნ ფილოსოფოსისა: „დასაბამსა იყო ღიბნელ<sup>ს</sup> და უფსკრული წყალთაჲ“.

ჰესიოდეს „თეოგონიას“, ბუნებრივია, იცნობს პროკლეს ქართველი კომენტატორი იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ც; იგი წერს: „რომელთადა ის ი-ო დო ს ე ა მოქმედი (ე. ი. პოეტი) თანმიუქმობს მეტყუელი: იყო ოდესმე ხაროჲ და ერეოჲ“. ეს სიტყვები წარმოადგენენ ციტატას „თეოგონიის“ 123. ტაეპიდან.

რომ ჰესიოდეს იცნობდა ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ეს უნდა ჩანდეს მისი შემდეგი განმარტებიდან:

„(თეოგონია არს ლექსი ელინური, ხოლო ესე ნიშნავს ნათესავთ-მეტყუელებასა ღმერთთასა ანუ შობილებასა)“ იხ. ს. ორბელიანის ლექსიკონი ყიფშიძე-შანიძის გამოც., 1928 წ., გვ. 138.

---

## თავი მეხუთე

### ლირიკა: ელეგია და იამბი

#### § 25. ახალი პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობა.

VII — VI საუკუნეებში საბერძნეთი მოიცვა ღრმა სოციალურ-ეკონომიურმა მოძრაობამ, რომელმაც გადაახალისა მისი მეურნეობა და საზოგადოებრივობა. ამ მოძრაობამ შექმნა ის მთავარი ეკონომიური საფუძვლები, რომლებზედაც აღმოცენდა ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოება. მერვე საუკუნეში იწყება და მეშვიდეში ძლიერდება ბერძნების კოლონიზაცია. მოსახლეობა ძალზე მრავლდებოდა, და ლარიზმა, ლატაკმა საბერძნეთმა ვეღარ შეძლო მისი გამოკვება.

უამრავი მოსახლე მიდიოდა უფრო ნოყიერ ქვეყნებში — ეგვიპტეში, სირიაში. მიდიოდა როგორც ვაჭარი, ზელოსანი ან დაქირავებული ჯარისკაცი.

ამგვარად, VIII — VII საუკუნეების მიჯნაზე ბერძნულ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიური სიდუხჭირე აიძულებს ხალხს ეძებოს საარსებო საშუალებები შორეულ ქვეყნებში, ვინაიდან მიწის მუშას, გლეხს თავის საკუთარ სამშობლოში არ ჰყოფნის შემოსავალი: მეტი წილი შემოსავლისა მიაქვთ ან წარჩინებულ მიწისმფლობელს, ან მუქთახორა მეფეებს. ასეთი პირობები იყო საბერძნეთში ყველგან, მაგრამ უცხო შორეულ ქვეყნებში გასვლა და საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყება მარტოდონ ზომოაღნიშნული გარემოებით არ შეიძლება აიხსნას. შორეულ ქვეყნებში გასვლა გულთსხმობდა ზღვაოსნობის განვითარებას. ეს კი შესაძლებელი იყო ბერძნული სამყაროს მხოლოდ იმ კუთხეში, სადაც ზღვაოსნობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები არსებობდა. ასეთი პირობები კი ჰქონდათ მცირე აზიისა და კუნძულების იონიელებს.

ამიტომ პირველ რიგში შორეულ ქვეყნად გასვლას ზელი მიჰყვები იონიელებმა (მილეტი, ეფესო, პაროსი, ნაქსოსი, ეგბეა); შემდეგ მგარელებმა და კორინთელებმა. მათ დაიწყეს ვაჭრობა შორეულ ქვეყ-

ნებთან (სირიასთან, ეგვიპტესთან), სადაც გაჰქონდათ კულტურული პროდუქტები, მაგალითად გეომეტრიული დეკორაციებით შემკული ვაზები.

რომ პირველად საკოლონიზაციო მოძრაობა დაიწყო მცირე აზიის იონიელებმა, ეს აიხსნება საგარეო ვითარებითაც. მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში მცირე აზიაში შეიქმნენ კიმერიელები, რომლებიც სამხრეთ რუსეთის ტერიტორიიდან კავკასიაზე გადმოვლით მცირე აზიის ქვეყნებს შეესივნენ და აქედან შიდა საბერძნეთსაც. ქვეყანა განადგურდა, მოსახლეობა იძულებული იყო ახალი ქვეყნები ეძებნა და კიდევაც გავიდა ზღვაში: ხმელთაშუა ზღვით იტალიისა და ახლანდელი სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროებისაკენ, ხოლო მარმარილოს ზღვით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. ამ დროიდან, მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრიდან, ჩნდება ბერძნული კოლონიები, ერთი მხრით, სიცილიაში, სამხრეთ იტალიაში, ახლანდელ საფრანგეთში (მასალია — მარსელი) და აფრიკაში, ხოლო, მეორე მხრით, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე (ფაზისი, ტრაპეზუნტი, სინოპი და სხვ.).

როგორც ვხედავთ, შინაურმა ეკონომიურმა გაჭირვებამ და საგარეო გართულებამ აიძულა, პირველ რიგში, იონიელები წასულიყვნენ უცხო ქვეყნებში და გაეტანათ ის, რაც მათ ჰქარბად მოეპოვებოდათ, რათა ეს ნამატი პროდუქტი გადაეცვალათ თავისთვის უფრო საჭირო პროდუქტებზე. აღებ-მიცემობის განვითარებამ აიძულა კოლონისტები სპეციალურად შესდგომოდნენ თავის ქვეყანაში ისეთი პროდუქტების დამზადებას, რაც მათ უცხო ქვეყანაში გადასაცვლელად გამოადგებოდათ. ამან წარმოშვა ცალკეული დარგების დაწინაურება.

აღებ-მიცემობამ გაზარდა ხალხის საჭიროებაც; ნაცვლად პატარა საკულტო სახლებისა ჩნდება უზარმაზარი ტაძრები; ვითარდება ხუროთმოძღვრება, მოქანდაკეობა. ვაჭრობის ზრდას მოჰყვა ფულის მოჭრა; უკვე 650 წლისათვის საბერძნეთს ჰქონდა თავისი ფული.

ცხოვრების პირობების გადახალისებამ გამოიწვია ბერძენთა სამოსახლო ადგილების ფორმის შეცვლაც. თუ წინათ ბერძენები შორი-შორ გაფანტულ სოფლებად ცხოვრობდნენ, ახლა ცხოვრების პირობების გართულებამ აიძულა ისინი მოექმებნათ ისეთი ადგილი, სადაც საჭირო შემთხვევაში, მტრებთან ბრძოლის დროს, თავს შეაფარებდნენ. ასეთ ადგილებად მათ მიიჩნიეს ისეთი მაღლობები, რომლებსაც სამი მხრიდან ბუნებრივი ზღუდეები ექნებოდათ, ხოლო ცალ მხარეს ხელოვნურად გაამაგრებდნენ. ასეთი მაღალი ადგილები გაიჩინეს მათ თავშესაფარად, ხოლო თვითონ მშვიდობიანი ცხოვრებისათვის იმავე მაღლობის კალთებზე და ძირში გაიშენეს სამოსახლო. ასე შეიქმნა ცინე-სი-მაგრე „აკროპოლისი“ (ἀκρόπολις) და საბინადრო ადგილი „პოლისი“ (πῆλις). საკოლონიზაციო მიზნებით გადიან პოლისებად და პოლისის

სახელით უცხო ქვეყნებში იჩენენ დასაყრდენ ადგილებს როგორც სავაჭრო მიზნებით, ისე ახალი მიწების ხელში ჩასაგდებად. ანუ, მაგალითად, მილეტის პოლისიდან გასულთა მიერ არის დაარსებული ბერძნული კოლონიები ფაზისში, ტრაპეზუნტში, ხოლო მეგარელების მიერ დაარსებულია კოლონია ბიზანტიონი (მომავალი კონსტანტინეპოლი).

საკოლონიზაციო მოძრაობის ზრდამ, თავისთავად ცხადია, წარმოშვა მოსახლეობაში ახალი ფენები: ესენი არიან ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი, რომლებიც კოლონისტების მიერ გასატან პროდუქტებს ამზადებენ, და ვ ა ჯ რ ე ბ ი, რომელთაც ეს პროდუქტები გააქვთ გასასაღებლად. ამიერიდან ეკონომიური დოვლათის შემქმნელნი ხელოსნებია და ვაჭრები არიან, რომლებიც მიწისმფლობელი არისტოკრატის გვერდით საგარანო ბაზას წარმოადგენენ. ეს ახალი ცხოვრების მიერ წამოწყული ფენები მიისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, აჯანყებები დღითი-დღე, მრავლდება და „ბასილევსური“ წყობილება (უკეთ რომ ვთქვათ, გვაროვნული წყობილება) ადგილს უთმობს ოლიგარქიასა და ტირანიას. ამგვარად, ჩნდება ოპოზიცია არსებული წყობილებისადმი. ეს ოპოზიცია წამოაყენებს ცალკე პიროვნებებს, რომლებიც მიუძღვებიან ახალ ფენებს ყველა იმ ბრძოლაში, რომლებიც თან სდევს გადახალისებულ ცხოვრებას. სამი სახის არის ეს ბრძოლა:

1) ბრძოლა, რომელსაც ეწევიან ბერძნები ახალ ქვეყნებში ადგილობრივ მოსახლეობასთან;

2) ბრძოლა, რომელსაც ეწევიან პოლისები ერთმანეთში, ვინაიდან ახალ ქვეყნებში დასაყრდენი ადგილების შესაძენად გასული სხვადასხვა პოლისები ხედებიან ერთმანეთს და მეტოქეობას უწევენ ერთიმეორეს;

3) ბრძოლა შინაური, ძველ გაბატონებულ მიწისმფლობელ არისტოკრატისა და ახალ ფენებს შორის; ძველ არისტოკრატისა ახლა უპირისპირდებიან ძველად ჩაგრულ გლეხებთან ერთად ხელოსნები და ვაჭრები (წვრილი ვაჭრები), რომლებიც შეადგენენ ამიერიდან ცალკე დაჯგუფებას, დ ე მ ო ს ს (δημοσις „ხალხი“). ამიერიდან ყალიბდება ორი მოპირდაპირე ფენა — არისტოკრატია და დემოსი. დემოსს მიუძღვის წინ მის მიერ აჩეული პიროვნება.

ამგვარად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა პიროვნებას, რომელიც გამოდის ხელმძღვანელად. ხელმძღვანელები და ცალკე პიროვნებები წინათაც არ იყვნენ მოკლებულნი მნიშვნელობას (გაიხსენოთ აქილეუსი, ოდისეუსი, აგამემნონი და სხვები), მაგრამ ახლანდელი როლი პიროვნებისა სულ სხვა არის, ვიდრე მისი როლი ჰომეროსის ეპოქაში. მაშინ ის ცალკე პიროვნება კი არ იყო, არამედ ის თავის თავში განასახიერებდა მთელი გვარის ინტერესებს; მისი მისწრაფება იყო გვარის მისწრაფებაც, მისი ნება-სურვილი იყო უხუ-

ცესთა საბჭოს და მთელი გვირის ნება-სურვილი. ახლა კი, მეშვიდე საუკუნიდან, პიროვნება გამოდის როგორც წარმომადგენელი დემოსის ინტერესებისა, რომლებიც უპირისპირდებიან არისტოკრატის ინტერესებს, ან როგორც წარმომადგენელი არისტოკრატის ინტერესებისა, რომლებიც უპირისპირდებიან დემოსის ინტერესებს. ამიტომ ამ პიროვნების საბრძოლო საშუალებები სულ სხვაა, ვიდრე საგმირო ხანის პირთა საბრძოლო საშუალებები.

პიროვნების მნიშვნელობის გაზრდის პირობებში საზოგადოებას ველარ აკმაყოფილებს მართო საგმირო პოეზია. აწმყოს ესაჭიროება პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი პ ო ე ზ ი ა, რომელიც წარუძღვება მეზრძოლ ფენებს ახალი ცხოვრების გასაქედად.

ასეთ პირობებში წარმოიშვება ე ლ ე გ ი ა და ი ა მ ბ ი.

ელეგია და იამბი, ამგვარად, მეზრძოლი ფენების ხელში ძლიერი პოლიტიკური იარაღია. საბრძოლო ელეგია მოუწოდებს მოქალაქეებს დაიცვან თავიანთი საარსებო ინტერესები, ინტერესები თავიანთი ქალაქისა მეორე ქალაქთან ბრძოლის დროს. გამძაფრებული საშინაო ბრძოლის დროს პიროვნებათა ხმას ხელმძღვანელი როლი მიეკუთვნება და მათი გამამხნეველი საბრძოლო სიმღერები ფართოდ ვრცელდება ყველგან, სადაც კი გადიან საეპროდ კოლონისტები.

ბრძოლა მოწინააღმდეგესთან წარმოებს აგრეთვე სხვა საშუალებითაც, მისი უარყოფითი თვისებების გამომზეურება უკარგავს მას ძალას და, მასთანადამე, მისი დაცინვით შეიძლება აგრეთვე გაამხნეო შენი თანამოქალაქეები. მეზრძოლი რომ ხედავს დამცირებულ, განქიქებულ მოწინააღმდეგეს, მას ძალა ემატება ბრძოლისათვის, ის მხნედ უტევს მოწინააღმდეგეს. ამ დანიშნულებას ასრულებს იამბი.

ამგვარად, ელეგია და იამბი წარმოშობილი არიან საკოლონიზაციო მოძრაობის წიაღში: ე ლ ე გ ი ა, როგორც თანამოქალაქის გამამხნეველი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი სიმღერა, ხოლო ი ა მ ბ ი, როგორც მოწინააღმდეგის განმქიქებელი სიმღერა.

ჩვეულებრივ, ელეგიას განმარტავენ როგორც სევდის სიმღერას. მართლია, თვით საბერძნეთშიც ელეგიას ჰქონდა სევდის მოტივი, მაგრამ თავდაპირველად ელეგია იყო საბრძოლო სიმღერა, ხოლო შემდეგ შეემატა მას სხვადასხვა ახალი მოტივიც: მოტივი სევდისა, პირადი ინტიმური გრძნობების გამომხატვისა და სხვ.

ელეგიის უძველესი წარმომადგენლები არიან: კ ა ლ ც ი ნ ე, ტ ი რ ტ ე ო ს ი და ა რ ქ ი ლ ო ქ ე.

§ 26. კალინე. კალინეს მოღვაწეობა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც კიპერიელები მცირე აზიას შეესივნენ (670 წლის მახლობლად), ლიდის დედაქალაქი სარდე აიღეს და ბერძნულ ქალაქებს ემუქრებოდნენ.

კალინეს სამშობლო იყო ეფესო, რომელიც მაგნესიას ებრძოდა. ეფესოს გაუმარჯვია ამ ბრძოლაში. მაგნესიასთან ბრძოლის შემდეგ ეფესოს კიმერიელებთან და ტრერელებთან ბრძოლა გადაუტანია. ყველა ამ ბრძოლაში მონაწილეობდა კალინე თავისი ელეგიებით. ამ ბრძოლების დროს კალინე მოუწოდებდა თანამოქალაქეებს ქვეყნის დასაცავად. ჩვენამდე მოღწეულია ერთი ელეგიის 17-ტაბიანი ნაწყვეტი, რომელშიც კალინე უმტკიცებს მოქალაქეებს, რომ საჭიროა მტრის შემოსევის დროს სამშობლოს დაცვა. შემცდარი იქნება ის მოქალაქე, რომელიც იფიქრებს, რომ ის სიკვდილს აიცდენს თავიდან, თუ მტერთან შებრძოლებას გაეჭეკვა. სიკვდილი მას მაშინ ეწვევა. როდესაც მას სიკვდილის ღმერთები მოქსოვენ. ბრძოლის ველიდან გამოქცეული მეომარი არავისთვის სასურველი არ არის. თუ ვაჟაკი ბრძოლაში იღუპება, მას დასტირის ყველა; თუ ის ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა და ცოცხალი დარჩება, მას ყველანი თაყვანს სცემენ როგორც ნახევარღმერთს.

§ 27. ტირტეოსი. მეორე ელეგიკოსი, რომელიც — ქრონოლოგიურად — გვხვდება ჩვენ ბერძნულს ელეგიურ პოეზიაში, არის ტირტეოსი. იგი სპარტაში მოღვაწეობდა იმ დროს, როდესაც სპარტელებს მესენიელებთან ჰქონდათ ომი (მესენიის მეორე ომი, VII საუკუნის 60-იანი წლები). გადმოცემით, იგი ათენელი იყო და, როდესაც მესენიელებთან ომის დროს სპარტელებმა დახმარებისათვის მიმართეს ათენელებს, უკანასკნელებმა გაუგზავნეს მათ კოჭლი ტირტეოსი.

ასეთია გადმოცემა, მაგრამ იგი სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს და ათენელების მიერ უნდა იყოს შეთხზული იმ ეპოქაში, როდესაც სპარტელები და ათენელები ერთმანეთს ექიმებოდნენ, ერთი-მეორის მტრები იყვნენ. ამ აზრის სიმართლეში დაგვარწმუნებს ჩვენ ტირტეოსის ელეგიების განხილვა.

ტირტეოსი, კალინეს მსგავსად, ვაჟაკისათვის პირველ რიგში აყენებს სამშობლოსათვის თავდადებას. მისი აზრით, სასახლოა ვაჟაკისათვის, როდესაც ის სამშობლოს გულისთვის იბრძვის მოწინავე რიგებში და თავს სწირავს მას. ვინც სამშობლოს დაცვას არიდებს თავს და სტოვებს თავის ნოყიერ ყანებს, მისი ბედია — გაიჭრას მათხოვრად, იწაწალოს მოხუცი დედამამით, წვრილშვილითა და ცოლით, და სხვის კარს მიადგეს სამათხოვროდ. ასეთმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ ვისაც კი არ მიადგება ის კარზე შიმშილის გამო, არაფერს შეიბრალებს, ყველა მასში იგულისხმებს მტერს. ასეთი კაცი მთელი გვარის შემარცხვენელიც არის.

მეორე ელეგიის ნაწყვეტში ტირტეოსი ხატავს ისეთი ვაჟაკის სურათს, რომელსაც ყოველგვარი ღირსება შეიძლება მოეპოვებოდეს: ფეხის სიმაზრდე, მძლე მუშტი, კიკლოპების სიდიდე, — მაგრამ ყველა

ეს თვისება ფუქია, თუ ვაქცაცი ამ თვისებებს სამშობლოს დაცვისათვის არ გამოიყენებს.

ამ ნაწყვეტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ტირტეოსის თემატიკა ისეთივეა, როგორც კალინეს თემატიკა; კიდევ მეტი, მოქალაქის დარწმუნებისა და გამანეგების საშუალებები აგრეთვე ერთნაირი აქვს ორივე ელეგიკოსს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტირტეოსიც მცირეაზიელი იონიელია, ე. ი. იმავე ქვეყნიდან არის, საიდანაც იყო კალინე. მცირე აზიიდან უნდა იყოს ის გადმოსახლებული სპარტაში, სადაც ის მოვიდა, ალბათ, ისევე როგორც სხვა ბევრი იონიელიც, საარსებო საშუალებათა საძებრად. და თავისი ნიჭიერი ელეგიებით, რომლებიც მან თან მოიტანა იონიიდან, ის წარუძღვა თავისი ახალი სამშობლოს მოქალაქეებს მტრის წინააღმდეგ და კიდევაც გაამარჯვებინა მათ ამ ბრძოლაში.

ასეთები არიან უძველესი ელეგიკოსები კალინე და ტირტეოსი. მათი ელეგიებიდან გადარჩენილი ნაწყვეტები ერთხმად ადასტურებენ იმას, რომ ამ ელეგიებს საბრძოლო მოტივი ახასიათებდა<sup>1</sup>.

საბრძოლო ელეგიების გარდა ტირტეოსს ჰქონია სხვაგვარი ელეგიაც, რომელსაც „ევნომია“ („კეთილკანონიერება“) ეწოდებოდა. ამ ელეგიაში პოეტი აქებდა სპარტის სახელმწიფო წყობილებას, რომელიც დაუწესა „ჰერაკლიდებს თვით კრონიონმა ზევსმა, ლამაზგვირგვინიანი ჰერას მეუღლემ“, და მოუწოდებდა მოქალაქეებს დაეცვათ კანონები, რომლებიც აპოლონმა დაუდგინა მათ. (ფრგ. 3, დილის გამოც., გვ. 7 — 8).

ამგვარად, ტირტეოსი „ევნომიაშიც“ იმავე აზრს ავითარებს, რომელიც დანარჩენ ელეგიებშია გატარებული: მშობლიური ქალაქის ინტერესების დაცვა არის მოქალაქის უპირველესი მოვალეობა.

§ 28. საბრძოლო ელეგია და ჰომეროსის ეპოსი. კალინეს და ტირტეოსის საბრძოლო ელეგიებით წარმოდგენილი პოეზია უშუალოდ უკავშირდება ჰომეროსის ეპოსს. უძველესი ელეგიკოსები თავის სინდერებში სიმამაცესა და ვაქცაციობაზე, მშობლიური მიწისათვის ბრძო-

<sup>1</sup> ამასვე ადასტურებენ ტირტეოსის ახლად აღმოჩენილი ლექსებიც: მეოცე საუკუნემდე ცნობილ ფრაგმენტებს 1914 წელს დაემატა ტირტეოსის ელეგიების ახალი ნაწყვეტები. ამ წელს ცნობილი გახდა ეგვიპტეში აღმოჩენილი ერთი კუბოს კარტონაჟიდან განთავისუფლებული პაპირუსი ძვ. წ. III საუკუნის შორეულ ნახევრისა (ბერლინის მუზეუმის პაპირუსი № 11675): იგი შეიცავს ტირტეოსის აქამდე უცნობი ელეგიის ოთხმოცამდე ტაქსს. ამ ელეგიაში აღწერილია სპარტელების ომი მესენიელების წინააღმდეგ, სახელდობრ ომის ერთი იმ ბრძოლათაგანი, რომელშიც სპარტელებს, როგორც ჩანს, დაუხვეიათ და თავდაცვაზე გადასულან. პოეტი ამხნევეს მებრძოლთ იმავე გამოთქმებით, რომლებიც ცნობილია მისი ძველი ელეგიებიდან.



ლასა და თავგანწირვაზე იმეორებენ ჰომეროსის მხატვრულ სახეებსა და ზოგჯერ გამოთქმებსაც. ასე, მაგალითად:

კალინეს და ტირტეოსის ელეგიებში მიორდება ჰომეროსის მრავალი გამოთქმა:

- 1) „მოწინავე რიგებში ბრძოლა და სიკვდილი“ (ოღისეა, 24. 526).
- 2) „ნოყიერი ყანები“ (ილიადა, 23, 832, ოღისეა, 4, 757).
- 3) „სამათხოვროდ ეკვირილი“ (ოღისეა, 17, 377).
- 4) „მკიდროდ ამოუღებოთ ერთმანეთს და იბრძოლეთ“ (ილიადა, 5. 572) და სხვ.

ნათესაობა ჰომეროსის ეპოსსა და ელეგიას შორის შემთხვევითი როდია. ეს აიხსნება იმით, რომ ელეგია აღმოცენდა და განვითარდა იმავე იონიაში, სადაც განვითარდა ჰომეროსის ეპოსი, იმ ეპოქაში, რომელიც ძალიან ახლოს დგას ეპოსის აყვავების ხანასთან.

§ 29. ელეგიის აღმოცენების ადგილი. ელეგია აღმოცენდა და განვითარდა მცირე აზიის იონიაში, როგორც საბრძოლო სიმღერა ისეთ ეპოქაში, როდესაც ბერძნებს უზღებოდათ მრავალგვარი როგორც საგარეო, ისე საშინაო ბრძოლების გადატანა.

როგორც ცნობილია, ამ ეპოქაში (VIII — VII სს. მიჯნაზე) საბერძნეთის სხვა მხარეებშიც იყო ისეთივე პოლიტიკური და სოციალური პირობები, როგორიც იყო იონიაში, მაგრამ ელეგია იქ განვითარდა უფრო გვიან, მას შემდეგ რაც ის, იონიაში აღმოცენებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული როგორც მხატვრული ჟანრი, დედასაბერძნეთშიც გავრცელდა. მაშასადამე, გარდა პოლიტიკური და სოციალური პირობებისა, საჭირო იყო სხვა მიზეზებიც, რომელთაც ზელი უნდა შეეწყოთ იმისათვის, რომ ელეგია აღმოცენებულიყო სწორედ იონიაში. ეს მიზეზები იყო მხატვრულ-პოეტური ხასიათისა.

მცირე აზიის იონიაში, როგორც მტკიცეება, დიდი ხანია არსებობდა ხალხში გავრცელებული სიმღერები, რომლებიც ფლეტიის აკომპანიმენტით სრულდებოდა და რომლებსაც ელეგიები ეწოდებოდა. ეს სიმღერები იონიაში განვითარებულა ბერძნთა მეზობელი ხალხების გააღენით. რომ ელეგია წმინდა ბერძნული წარმოშობისა არ არის, ამაში გვარწმუნებს თვით სიტყვის („ელეგიის“) ეტიმოლოგიაც.

§ 30. ტერმინი „ელეგია“. ძველი ბერძნების აზრით, ტერმინი „ელეგია“ წარმოდგა გამოთქმისაგან ἔλξις („ეაის თქმა“), εὖ ξέσις („კარგის თქმა“), ან ἔλξις („თანაგრძობა“), და ზმნას ἔλεγε: λυσις განმარტავდნენ როგორც „ჭკუაზე შეშლა“. XIX საუკუნის მკვლევარნიც „ელეგიის“ განმარტების საკითხში მაინცდამაინც ამაზე შორის არ წასულან. ისინი უკავშირებდნენ ამ ტერმინს ზმნას ἔλεγε: λυσις („ჭკუაზე შეშლა“), ან გამოთქმას ἔλξις („ეაი თქვი“).

ყველა ამ განმარტების საფუძველი იყო ელეგიის გაგება როგორც გლოვის სიმღერისა, მიცვალებულთა დასატირებელი სიმღერისა. მართლაც, თუ გავსინჯავთ ძველი ბერძნული ლიტერატურის ძეგლებს, ვნახავთ, რომ იქ „ელეგია“ იზმარება „მწუხარების“, „ტირილის“ საგლობელის მნიშვნელობით.

VI — V საუკუნეებში „ელეგია“ გაგებულია როგორც გლოვის სიმღერა და გათანაბრებულია ტირილთან, დატირებასთან („თრენებთან“): თვით სიტყვაზმარებაში, „ელეგია“ და „თრენები“ ერთიმეორის გვერდით არის მოყვანილი როგორც თანაბარღირებული ტერმინები. მაგრამ „ელეგიის“ ასეთი გაგება უძველესი „ლიტერატურული ელეგიიდან“ კი არ მომდინარეობს, არამედ „წინალიტერატურული (ხალხური) ელეგიიდან“.

დასაფლავების დროს გამართულ ტირილში მოიგონებდნენ ხოლმე მიცვალებულის ღვაწლს მშობლიური ქვეყნის წინაშე.<sup>1</sup> ეს აძლევდა დაპტირებულს საბუთს მწუხარების გრძნობის გამოხატეასთან ერთად პატრიოტული გრძნობაც გამოეხატა და გამამხნეველებელი სიტყვებით მიემართა დამსწრეთათვის. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს „ილიადის“ XXIV სიმღერა, რომელშიც აღწერილია ჰექტორის გვამის დატირება.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პრიამე აქილევის ბანაკში მივიდა ჩუმად, ღამით, ჰექტორის გვამის გამოსასყიდად, მან მწუხარებით სავსე სიტყვებით მიმართა აქილევს და აცრემლებული თვალებით უთხრა მას: „მე, ბედშევა, ვაეკაცი შვილები დავზარდე ფართოდ გაშლილ ტროაში, მაგრამ არც ერთი აღარ შემჩნა. ორმოცდაათნი იყვნენ აქველთა მოსელის წინ... მრისხანე არესმა ბევრ მათგანს მუხლები გადაუმტვრია: ერთი და დამრჩენოდა ქალაქისა და მის მცხოვრებთა მცველად; ახლახან მოჰქალი შენ ის, სამშობლოსათვის თავდადებით მებრძოლი“ (XXIV, 493 — 500).

ხოლო როდესაც ჰექტორის გვამი მოიტანეს ილიონში, ქალებმა (კასანდრამ, ანდრომაქემ, ჰეკაბემ) მწარე ტირილი მორთეს, მთელ

---

<sup>1</sup> აქილეის გლოვობს თავის ძვირფას მეგობარს, პატროკლეს, ძილი არ ეკარება მის თვალებს; ის სევდით იგონებს პატროკლეს ვაეკატურ სულს, თუ რა დიად საქმეებს კისრულობდა ის მასთან ერთად და რა შრომას ეწეოდა: ვაეკატებს ებრძოდა და უძლველ ტალებს უმკლავდებოდა, იგონებს ამას და ცხარე ცრემლებს ღვრის (ილიადა, XXIV, 3 — 9).

ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ XXIV 6—9 ტაეებში ინტერპოლაციად თვლიდნენ ჯერ კიდევ ალექსანდრიელი მეცნიერნი.

ქალაქს ესმოდა მათი მოთქმა.<sup>1</sup> პირველ ყოვლისა, ისინი დასტიროდნენ ჰექტორს, როგორც მამაცად მებრძოლს მშობლიური ქვეყნისათვის, ქალებისა და ბავშვებისათვის და მთელი ხალხისათვის. კასანდრა, მაგალითად, ასე მიმართავს ხალხს (ტ. 704 -- 705):

იხილეთ, ტროადის მკვიდრნო, სახელოვან ჰექტორის გვამი;  
ცოცხალი რომ იყო, გახსოვთ, სიხარულით ხედვობოდი იმას.  
საბრძოლო ველიდან მოსულს, ქალაქის და მთელ ხალხის ნუგეშს!

კასანდრა ტირილში შესცვალა დაქვრივებულმა ანდრომაქემ, მისი პირველი სიტყვები ეხებოდა ჰექტორის დამსახურებას ქვეყნის წინაშე: შენ დაიღუპე როგორც დამცველი ქალაქისა, ქალებისა და ჩვილი ბავშვებისაო (ტ. 729 — 730).

ამგვარად, ხალხურ თრენებში ერთსა და იმავე დროს იყო გამოხატული მწუხარების გრძნობაც და პატრიოტული ჰანგებიც. ასეთი სიმღერები შემდეგ ხანებში გამოუყენებიათ მხოლოდ გლოვის გამოსახატავად და რადგან „ელეგია“ უკვე გლოვის სიმღერას ნიშნავდა, ბუნებრივი იყო მიეკუთვნებინათ მისთვის გაგება ჰ, ჰ, ლეჲ (,,ვაი, ვაი თქვი“).

დღეს მეცნიერთა მიერ უარყოფილია „ელეგიის“ ეს ხალხური ეტიმოლოგია („ე, ე, ლეგეა“) და, მართალია, საბოლოო შეთანხმება არ არის მიღწეული ამ საკითხში, მაგრამ მის გადასაჭრელად წამოყენებულია შემდეგი ურყევი დებულებები:

1) ელეგიას ძღეროდნენ ფ ლ ე ი ტ ი ს აკომპანიმენტით;


2) ელეგია ბერძნული წარმოშობისა არ არის: ის წინაბერძნული კულტურის მონაპოვარია და მცირე აზიიდან არის ბერძნებში შესული.

§ 31. ელეგიური დისტიქი. ელეგია სალექსო საზომად იყენებს ეპოსში ნახმარ დაქტილურ ჰეგზამეტრს და ამ უკანასკნელის ვარიანტს — დაქტილურ პენტამეტრს.

დაქტილური პენტამეტრი ეწოდება ისეთ ტაქსს, რომელიც, დაქტილური ჰეგზამეტრის მსგავსად, ექვსი დაქტილური მუხლისაგან შედგება, ხოლო მესამე და მეექვსე დაქტილები შეკვეცილია

<sup>1</sup> როდესაც პრიაემმ დააპირა აქილევის ბანაკში წასულა ჰექტორის გვამის გამოსყიდვის მიზნით, ჰეკაბემ (პრიაემს მეუღლემ) ტირილი შორთო: როგორ ენდობი სის-ლისმსმელ აქილეუსს; მოგიხელთებს თუ არა თავის ბანაკში, ცოცხალს არ გამოგიშვებს; დარჩი აქ, ჩვენს სასახლეში: დავითიროთ ჩვენი ვაჟი... რომ ჩემ ხელთ იყოს, საკუთარი კბილებით დავკლავდი აქილეუსის გულს და შურს ვიძიებდი ჩემი ვაჟისთვის: ის დაიღუპა არა როგორც ლაჩარი, არამედ როგორც ტროადის მცხოვრებთათვის მედგრად მებრძოლი; არა, სდროს არ უფიქრია მას შეშინებოდა ჰეტრისა, ან ბრძოლის ველიდან გამოქცეულიყო („ილიადა“, XXIV, 214—216). შეად. აგრეთვე XXIV, 159—168;

და მხოლოდ თითო გრძელ მარცვალს შეიცავენ. მესამე მუხლის შემდეგ არის ცუზურა.



ელეგია აგებულია ისე. რომ ყოველ დაქტილურ ჰეგზამეტრს მოსდევს დაქტილური პენტამეტრი.

კარგია როდესაც კაცი მოწინავე რიგებში კვდება (ჰეგზამეტრი).

სანშობლოს გულისთვის თავს გასწირავს მამაცად ის (პენტამეტრი)

ხოლო თუ მშობლიურ ქალაქს და ნოჰიერს დასტოვებს ყანებს, (ჰეგზამეტრი)

ატარებს მათხოვრის ბედს, საშინელს, საზარელს მთლად (პენტამეტრი).

### ( ტ ი რ ტ ე ო ს ი )

ამგვარად, ელეგიის მეტრი სცილდება ტაეპის ფარგლებს და მის ერთეულად გამოდის ორი ტაეპისაგან შედგენილი სტროფი, რომელსაც ელეგიური დისტიქი („ორ-ტაეპედი“) ეწოდება.

§ 32. ელეგიის შემდგომი განვითარების გზები. მცირე აზიის იონი-აში აღმოცენებული ლიტერატურული ელეგია (როგორც საბრძოლო სიმღერა) ვრცელდება და ვითარდება მთელს იონიაში, კუნძულებზე და ბალკანეთში; თავისი განვითარების გზაზე ის აფართოებს მოტივების არეს და საბრძოლო ჰანგის გვერდით იძენს სხვა მოტივებსაც. მეშვიდე და მეექვსე საუკუნეთა ელეგიკოსები (არქილოქე, მიმნერმე, სოლონი, თეოგნიდე, ფოკილიდე) ელეგიას იყენებენ, საბრძოლო ჰანგის გარდა, სევდისა და სიყვარულის გრძნობათა ასასახავად, თავიანთი პოლიტიკური აზრების გამოსახატავად და რჩევა-დარიგებათა მისაცემად.

§ 33. არქილოქე პაროსელი. კალინე და ტირტეოსი პირველი ელეგიკოსები არიან, რომელთაც ეპოსის აყვავების ხანაში ეპოსის მიერვე გამოყენებული ხალხური ელეგიური სიმღერები ლიტერატურულ საბრძოლო სიმღერებად ჩამოაყალიბეს, ხოლო მაინცდამაინც ვერც ეპოსის ობიექტივიზმს გასცილდნენ და ვერც ხალხური „ელეგიის“ ერთფეროვან მოტივს. არქილოქე კი პირველი ლირიკოსია, რომლის პოეზიაში ყველაფერი პიროვნულია, სუბიექტურია, და მოტივებიც, სალექსო საზომთან ერთად, მრავალფეროვანია.

არქილოქე დაიბადა კუნძულ პაროსზე; მისი მამა იყო პაროსელი წარჩინებული, ხოლო დედა მდაბიო ქალი. მაშინდელი კანონებით, უთანასწორო ქორწინებისაგან გაჩენილი შვილი უკანონო მოქალაქედ ითვლებოდა და, როგორც ნაბუზარი, პოლიტიკურ თოლობიგნს მოკლებული იყო. არქილოქე მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობა-

ში პასუხს აგებს თავისი „უკანონო“ წარმოშობისათვის: მას არ შეუძლია თავისი წარჩინებული მამის ქონების მემკვიდრე იყოს, მას არა აქვს ნება სრულუფლებიანი მოქალაქის ქალიშვილი შეერთოს.

როგორც ხელმოკლე მოქალაქე ისიც სხვა ხელმოკლეებთან ერთად საარსებო საშუალებებს ეძებს ხეტიალში, უცხო ქვეყნებში ლაშქრობით. პაროსელების კოლონია იყო კუნძულ თასოსზე. ამ კოლონიის დაარსებაში თვით არქილოქეს უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული და, როგორც მისი ელეგიის ნაწყვეტებიდან ჩანს, ის პაროსელებს ამზნევებდა იმ ლაშქრობაში თავისი საბრძოლო ელეგიებით.

ამგვარად, თასოსზე ის ჯარისკაცი იყო. მაგრამ, ამის გარდა, მას სავაჭრო მიზნებითაც უხეტიალია (იტალიაში, სირიაში).

პაროსზე მას უყვარდა წარჩინებული მოქალაქის, ლიკამბეს, ქალიშვილი, სახელად ნ ე ბ უ ლ ე. მრავალი ლექსი შთაგონებულია ნეობულეს სილამაზით, მისადმი ტრფობით, მის მიერ შთანერგული იმედებით, მაგრამ არქილოქე უკანონო მოქალაქე იყო და ლიკამბემ არ მოისურვა სიძედ ჰყოლოდა იგი.

არქილოქე VII საუკ. შუა წლების მოღვაწეა; ამ თარიღს განსაზღვრავს მის ერთ-ერთ ლექსში მოხსენებული მზის დაბნელება, რომელიც 648 წლის 6 აპრილს მოხდა.

§ 34. არქილოქეს ელეგიები. არქილოქეს ელეგიები, პირველ ყოვლისა, საბრძოლო სიმღერებია. პაროსელებს დაუარსებიათ კოლონია კუნძულ თასოსზე. და არქილოქე, სხვა პაროსელებთან ერთად, იქ გამგზავრებულა დაქირავებულ ჯარისკაცად. ასეთი ჯარისკაცის სამხედრო სულისკვეთებას გადმოგვცემს, ჩვენამდე მოღწეული 15 ფრაგმენტიდან, რვა. მაგალითად:

ფრგ. 2. შუბით მაქვს პური მოზელილი, შებითვე ეშოულობ იმპარის ღვინოს; ესეამ შუბზე დაყრდნობით.

ფრგ. 3. როდესაც არესი მინდერად ომს გაჩაღებს, მაინცდამაინც არც ბევრი ისარი გაიტყორცნება, არც შურდული გავარდება ხშირად. ყველაზე მეტი ჭაფა დაადგება მახვილს: ასეთ ბრძოლაში განსწავლული არიან ევბეელი ვაჟაკანი, განთქმული შუბოსანნი.

მეომრის ბედი ისეთია, რომ ის ხან იმარჯვებს, ხან მარცხს განიცდის; მარცხი იწვევს მწუხარებასა და დარღს. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბრძოლო ელეგიას გაუჩნდეს სეკუნდის მოტივი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ელეგიკოსის სიტყვები გამაზნევებელია: არ არის საჭირო მარცხის შემთხვევაში მეომარი მიეცეს უიმედობას, ეს ქალების საქმეა; მეომარ ვაჟაკს კი შეფერის მოთმინებით გადაიჭანოს თავს დამტყდარი უბედურება.

არქილოქეს ერთ-ერთ ელეგიაში აღწერილი ყოფილა ზომალდის დაღუპვა; ზღვაში დაღუპულ რჩეულ მებრძოლთა შორის იყო პოეტის

სიძე და მეგობარი პერიკლე; დიდია მოქალაქეთა მწუხარება ამის გამო.

ამგვარად, არქილოქეს ელევგიებიც, უმთავრესად, ბრძოლის მოტივზეა აგებული, ისევე როგორც კალინეს და ტირტეოსის ელევგიები, მაგრამ ამ მოტივის წინადაგზე აღმოცენებულ ახალს (სევდისა და სანადიმო) მოტივებსაც ამჟღავნებენ.

ელევგიების გარდა არქილოქეს ეკუთვნის იამბები და ეპოდეები.

**§ 35. იამბიკური პოეზიის საერთო ხასიათი.** იამბიკა ეწოდება ლირიკის ისეთ დარგს, რომელიც იყენებს იამბური ზომის ორივე სახეობას, იამბურ ტრიმეტრსა და ტროქეულ ტეტრამეტრს; შინაარსით იგი, ჩვეულებრივის გაგებით, წარმოადგენს სახუმაროსა და დამცინავ პოეზიას.

მართალია, სიტყვა *ἄμψις*-ის ეტიმოლოგია დღესაც გარკვეული არ არის, მაგრამ იამბოგრაფების ჩვენამდე მოღწეულ ლექსთა და ნაწყვეტთა გაცნობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იამბები ძველ ბერძნულ პოეზიაში დაცივნის მიზნითაც იყო გამოყენებული. ასე მაგალითად, არქილოქე იამბური საზომით დაწერილი ზოგიერთი ლექსებით სასაცილოდ იგდება თავის ყოფილ სატრფოს ნეობულეს და მის მამას ლიკამბეს, რომელმაც პოეტს უარი უთხრა ქალის შითხოვებაზე: *სემონიდე ამორგელი* თავის ბასრ ენას მიმართავს ქალების წინააღმდეგ და სწერს მათზე „განმანადგურებელ“ სატირას, ზოლოპიპონაქტე ეფესელი გესლიანად დასცინის თავისი დროის ცხოვრების აკლულეგანებებსა და ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეს.

მეორე მხრით, ცნობილია, რომ ზოგიერთ დღესასწაულზე ბერძნებს ჩვეულებად ჰქონდათ მოსწრებელი, დამცინავი სიტყვებით შიემართათ ერთმანეთისათვის (ასეთ სიტყვებს ეწოდებოდა „იამბო“). კერძოდ, ასეთი ჩვეულება დაკავშირებული იყო დემეტრეს კულტთან და, მართალია, ამით ვერ ავხსნით სიტყვა „იამბის“ მნიშვნელობას, მაგრამ ანგარიშგასაწევია დემეტრეს მითში ჩართული ცნობა, რომ ქალის დაკარგვით დამწუხრებულ დემეტრეს ელევსინის მეფის სასახლეში ართობდა მხიარული მხეველი იამბე.

ამგვარად, იამბების დამცინავი ხასიათი მოცემული იყო ხალხურ ლექსებში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩამოყალიბდებოდა იამბიკა როგორც ლიტერატურული ჟანრი. მაგრამ დაცივნის მოტივი რომ იამბიკის ერთადერთი მოტივი არ უნდა ყოფილიყო (და იქნებ არც ძირითადი), ჩანს იქიდან, რომ იამბიკური პოეზიის ჰამამთავრის, არქილოქეს, ლექსებში დაცივნის გვერდით სხვა მოტივებიც გვხვდება.

**§ 36. იამბურ-ტროქეული საზომები.** იამბიკური პოეზია იყენებს

იმ სალექსო საზომებს, რომლებიც შედგენილია იამბური და ტროქეული მუხლებისაგან. ი ა მ ბ ი ეწოდება ორმარცვლიან მუხლს, სადაც პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე გრძელი ( — ) ; ხოლო ტ რ ო ქ ე ი, ანუ ქორეი ისეთი ორმარცვლიანი მუხლია, რომელშიც პირველი მარცვალი გრძელია, მეორე კი მოკლე ( — ) .

როდესაც საზომად აღებულია იამბი ( — ), ტაეპი, ჩვეულებრივ, ე ქ ვ ს ი ი ა მ ბ ი ს ა გ ა ნ (ანუ ს ა მ ი წყვილი იამბისაგან) შედგება; ასეთ ტაეპს ეწოდება ი ა მ ბ უ რ ი ტ რ ი მ ე ტ რ ი :

— — — — | — — — — | — — — —

ხოლო როდესაც საზომად აღებულია ტროქეი ( — ), ტაეპი შედგება რ ვ ა ტ რ ო ქ ე ის ა გ ა ნ (ანუ ო თ ხ ი წყვილი ტროქეისაგან), რომელთაგან უკანასკნელი ტროქეი შეკვეცილი, ანუ კატალექტიკურია; ასეთ ტაეპს ეწოდება ტ რ ო ქ ე უ ლ ი ტ ე ტ რ ა მ ე ტ რ ი :

— — — — | — — — — | — — — —

რამდენადაც ძველი ბერძნული ლექსი კვანტიტეტურია (ესე იგი ხმოვნების სიგრძე-სიმოკლეზეა აგებული და არა მარცვალთაოდენობაზე), ამდენად ზემოთ მოყვანილი სქემები იმას არ ნიშნავს, რომ იამბური ტრიმეტრი თორმეტმარცვლიანი ტაეპია, ან ტროქეული ტეტრაამეტრი — თხუთმეტმარცვლიანი. გარკვეულ შემთხვევაში გრძელი მარცვალი შეიძლება გაიშალოს ორ მოკლე მარცვლად, და მაშინ, მაგალითად, იამბურ ტრიმეტრში თორმეტი მარცვალი კი აღარ იქნება, არამედ ცამეტი, თოთხმეტი ან კიდევ უფრო მეტი, ისევე როგორც ტროქეულ ტეტრაამეტრში, თუკი იქ რომელიმე გრძელი მარცვალი გაშლილია ორ მოკლე მარცვლად, გვექნება არა ახუთმეტი მარცვალი არამედ თექვსმეტი. გარდა ამისა იამბურ ტრიმეტრსა და ტროქეულ ტეტრაამეტრს ახასიათებს ის თავისუფლება და თავისებურება, რომ მათ შეუძლიათ გარკვეულ მუხლებში იამბი ან ტროქეი შეანაცვლონ ს პ ო ნ დ ე ი თ ( — — ) და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით განავითარონ დაქტილი ( — — ) და ანაჰესტიც ( — — ) .

§ 37. არქილოქეს იამბები. პირველი პოეტი, რომელმაც იონიის ხალხური იამბური სიმღერა ლიტერატურულ ქანრად ჩამოაყალიბა და ამისათვის ლექსი იამბურ-ტროქეული საზომებით გამართა, იყო არქილოქე.

რა მოტივებისთვის გამოიყენა არქილოქემ იამბები? არქილოქეს იამბების ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტების გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ იამბებში პოეტს, ერთი მხრით, იგივე მოტივები გაუშლია, რაც ელეგიებში (საბრძოლო, სევდისა, სანადიმო), ხოლო, მეორე მხრით, გამოუყენებია იამბები დაცივისა და განქიქებისათვის. ამავე

დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ პირველი რიგის, ე. ი. ელეგიური, მოტივი-  
ვები გაუშლია მას ტ რ ო ქ ე უ ლ ი ტ ე ტ რ ა მ ე ტ რ ი თ დაწერილ  
ლექსებში. ხოლო ი ა მ ბ უ რ ი ტ რ ი მ ე ტ რ ი და მისი მონათესავე.  
ე. წ. ე პ ო დ ე ბ ი, გამოუყენებია დაცინვითი მოტივისათვის.

ტ ე ტ რ ა მ ე ტ რ ი ბ შ ი ასაბუთია ლაშქრობის დროს აღძრული  
ვრძნობები; პოეტი ბრძოლისავე მოუწოდებს მახლობლებს, მოუწო-  
დებს მხნედ იყვნენ და არ შეუშინდნენ ბედის ხანდახან უკუღმა ტ რ ი-  
აღს.

ფრაგ. 47. უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქენო, ისმინეთ ჩემი სიტყვების!

ფრაგ. 49. თითქოს მთელი ელინეთის დარდები თასოსზე შეყრილან!

ფრაგ. 51. შეხედე, გლავე, როგორ ირხვევ რაღაღებისაჲან ღრმა ზღვა და გირცეხს  
მწვერვალებს ჩამოსწოლია ღრუბლები; ეს ქარიშხლის წინამორბედია: შიშმა შემო-  
პყრო მოულოდნელობისაგან.

ფრაგ. 52. აღაფრთოვანე კაბუკნი: გამარჯვების ბოლო კი ღმერთების ხელშია.

ფრაგ. 55. მე არ მიყვარს სტრატეგოსი მაღალა და გალაჭული, არც თმახუქუქა და  
სუფთად გაპარსული; დე, დაბალი იყოს აგი და ფეხებდაგრებილი, ოღონდ მტკიცე  
ნაბიჯი ჰქონდეს და მეღგარი გული.

ფრაგ. 62. გულო, გულო, ბევრმა კირმა შეაშფოთა სიღრმე შენი:

მხნედ იყავი, მტერს დაუხედი და პირისპირ შეებრძოლე.

მას, ახლაც კი ჩასაფრებულს, მიეგებე, ნუ შეკრთები.

გამმარჯვებ — გამარჯვებით ხალხში თავს ნუ მოიწონებ;

დამარცხდები — სახლში მარტო ნუ იმწუხრებ თავჩაღუნვით.

ზომიერი უნდა სდევდეს ძღვეას — ღხენა და მარცხს — დარდი:

შეიცანი, ცხოვრებაში თუ რა რითმსა მიჰყავს კაცო.

ისევე როგორც ელეგიებში, საბრძოლო ტეტრამეტრებშიც მხედ-  
რულ-საომარი განწყობილება გადანასკეულია ს ე ვ დ ი ს გრძნობას-  
თან. ზემოთ მოყვანილ 49. და 62. ფრაგმენტებში მოჩანს მოლაშქრის  
სევდიანი განწყობილება („თითქოს მთელი ელინეთის დარდები თასო-  
სზე შეყრილან“, „დამარცხდები — სახლში მარტო ნუ იმწუხრებ  
თავჩაღუნვით“).

არქილოქეს სევდა მარტო საომარი პირობებით არ იყო გამოწვეუ-  
ლი. პირად ცხოვრებაშიც ჰქონდა მას ბევრი უსიამოვნება. როგორც  
მისი ბიოგრაფიიდან ვიცით. მას უყვარდა ნეობულე, პაროსელი  
არისტოკრატის, ლიკამბეს, ქალი. მაგრამ ვინაიდან არქილოქე უთანას-  
წორო ქორწინებისაგან იყო წარმოცობილი და უუფლებო მოქალაქედ  
ითვლებოდა, ამიტომ მას ცხოვრებაში მრავალი დაბრკოლება ეღობე-  
ბოდა: წარჩინებული პაროსელები მას აღმაცერად უყურებდნენ.

ნეობულესადმი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი არქილოქეს ტრამეტრებში აქვს  
ასახული, მაგრამ ტეტრამეტრებშიც მოჩანს ეს პანგი, ოღონდ სევ-  
დიანი ელფერით.

ფრაგ. 68. ნეტავი შემეძლოს შევებო ხელით მე ნეობულეს.



საბრძოლო პანგები სევდიანი ელფერით მოჩახს არქილოქეს ტრიმეტრებშიც.

ფრგ. 35. მარჯალა რომ არესი ყველა ადამიანისათვის ერთია.

ფრგ. 30. და კარიელის მსგავსად მეც დაქირავებულ ჯარისკაცს დამიძახებენ.

ფრგ. 27. თასოსელების უზედურებას დავტრიო და ათა მაგნესიელუბიას.

მაგრამ ეს არ არის არქილოქეს ტრიმეტრების ძირითადი მოტივი-ტრიმეტრები უპირატესად ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა და ვნებიერი ტრფობის მოტივისადმია მიძღვნილი, მაგალითად:

ფრგ. 21. 22. მას უხაროდა, რომ ჰქონდა მირტის რტო და ვარდების კონა; თმები უჩრდილადნენ მას მხრებსა და კისერს.

ფრგ. 23. მოხუცსაც შეუყვარდებოდა მისი გულმკერდი და ზმირნით დაბანილი თმები.

ფრგ. 104. ასეთმა ძლიერმა ტრფობამ, გულში შეჭრილმა, თვალები დამიბნელა და გულიდან ამომგლიჯა ნაზი გრძნობები.

ფრგ. 102. საწყალობლად ვგდივარ, ვნებისაგან უსულო-ქმნილი: ღმერთების ნე-ბიჲ, მწარე ტკივილები ძელებს მიღრღნიან.

ამ ნაწყვეტებში საკმაოდ ძლიერად არის გამოხატული ვნებიერება, მოტივი, რომელიც პირველად არქილოქემ შეიტანა ბერძნულ პოე-ზიაში.

§ 38. არქილოქეს დამცინავი სიმღერები. მსოფლიო ლიტერატურა-ში არქილოქემ სახელი გაითქვა უპირატესად თავისი დამცინავი სიმღერებით. მისი „გესლიანი ენა“ საანდაზოდ იყო ქცეული და მას ჰბა-ძავდნენ როგორც შეუდარებელ ნიმუშს მტრის წინააღმდეგ მიმარ-თული ბასრი იარაღისა.

არქილოქეს გესლიანი ენა მოჩანს ჯერ კიდევ მის საბრძოლო ტეტ-რაპეტრში, როდესაც ის, მაგალითად, 55. ფრაგმენტში ლაპარაკობს დაბალი ტანისა და „ფეხებდაგრეხილი“ სტრატეგოსის შესახებ. საფიქ-რებელია, რომ ის მიმართავდა ასეთი სურათის დახატვას მოლაშქრეთა გამხნეების მიზნითაც და მტრის სუსტი მხარეების ჩვენებით, დამცი-ნავი კილოთი, თავისიანებს აგულიანებდა.

დამცინავი სიმღერებისათვის არქილოქემ გამოიყენა ი ა მ ბ უ რ ი ტ რ ი მ ე ტ რ ი და ამის საფუძველზე აგებული ე პ ო დ ე ბ ი. ეპოდის ჩვეულებრივი სახეობა, რომელსაც ხმარობს არქილოქე, წარმოადგენს იამბური ტრიმეტრისა და იამბური დიმეტრის შეერთებას.

— — — — | — — — — | — — — — (ტრიმეტრი).

— — — — | — — — — (დიმეტრი).

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები არქილოქეს დამცინავი სიმღე-რებისა ეხება, უმთავრესად, ნეობულეს და მის მამას ლიკამბეს. რო-დესაც ლიკამბემ მიცემული სიტყვა გასტეხა და აღარ მოინდომა სიძვე

არქილოქე, პოეტმა თავისი დამცინავი იამბები მოიმარჯვა შეურაც-  
ხმყოფელი პაროსელი არისტოკრატის წინააღმდეგ და, როგორც ძველი  
მწერლები გადმოგვცემენ. თავისი გესლიანი ლექსებით თვითმკვლე-  
ლობამდე მიიყვანა იგი და მისი ქალებიც. ლიკამბეს დასცინის არქი-  
ლოქე, ერთი მხრით, მისადმი პირდაპირ მიმართულ ეპოდებში, ხოლო,  
მეორე მხრით, არაკების საშუალებით. ლიკამბეს ეხებოდა, მაგალითად,  
შემდეგი ეპოდები:

ფრგ. 85. ლიკამბეო, მამა ჩემო რას როშავ? ვინ წაგართვა გონება?

ოდესღაც რომ შენ ჰქვიანი იყავი, დღეს დაგცინის ჰქეყანა!

ფრგ. 86. შენ გ:დაუღებ მოცემულ სიტყვას და დაიფიქე შენ პურ-მარბილი.

შეურაცხყოფილმა არქილოქემ არ დაზოგა თავისი ყოფილი სატ-  
რფოც და ლაფში ამოსვარა იგი. ნეობულეს ეხება შემდეგი ნაწყვე-  
ტები:

ფრგ. 99. მას, ვერაგად მზრახველს, ცალი ხელით მოჰქონდა წყალი, მეორეთი —  
ცეცხლი.

ფრგ. 105. შენი ნაზი კანი აღარ ყვავის: ის უკვე ჰქნება.

ფრგ. 110. ბოროტი სიბერის კვალი იმარჯვეს.

არაკები. ლიკამბეს წინააღმდეგ არქილოქეს გამოუყენებია არა-  
კებიც, დაწერილი ეპოდებით. ამ არაკებში მხეცების სახით მას გამო-  
უყვანია ლიკამბე, ნეობულე და თავისი თავი. არაკში „არწივი და  
მელა“ არწივი ლიკამბეა, მელა — არქილოქე. არწივი და მელა დამე-  
გობრდნენ და ერთიმეორეს გვერდით დასახლდნენ: არწივი ხის  
წვერზე, მელა — ბუჩქებში. ერთხელ არწივმა მელის სოროლან მისი  
შვილები მოიტაცა და საჭმელად აუტანა თავის ბარტყებს, თანაც მას-  
ხარად აიგდო მელა: ჩემი ბუდე მალღაა და შენ რა ხარ ჩემთანო. მელა  
სწყველის არწივს: დამაცადე, სამავიგრო გადაგზღებაო. ამის შემდეგ  
მელა ზევსს მიმართავს დახმარებისათვის. მართლაც, ცოტა ხნის შემ-  
დეგ არწივი სამსხვერპლოდან მოიტაცებს შეწირული თხის შიგნეუ-  
ლობას და თავის ბუდეში გააქანებს. შიგნეულობაში ჩამალული ცე-  
ცხლი გაღვივდება და ბუდე დაიწვება. ბუდიდან ჩამოვარდნილ არწი-  
ვის ბარტყებს მელა შეჰკამს.

მეორე არაკში გამოყვანილი ყოფილა მელა და მაიმუნი. მელა —  
თვით არქილოქეა, ხოლო მაიმუნი — ლიკამბეს ოჯახის ერთ-ერთი  
წვერი.

ფრგ. 96. ერთს არაკს ვიამბობ, კერიკილე, მწარე ჯოხზე: ერთი მაიმუნი გამოეყო  
(თავის ტოლ) მხეცებს და დაიწყო მარტო ხეტიალი; მას შეხვდა ცბიერი მელა, ჰქვიანი  
და გამოქექილი.

ფრგ. 97. ჯოხით იქნა მიბევეილი.

ფრგ. 98. აი, (ჩემო) მაიმუნო, ასეთი ჰქუის პატრონი ყოფილხარ.

ასე გამოიყენა არქილოქემ თავისი პირადი მტრის განსაქიქებლად არაკის ფორმა. არაკი არქილოქეზე ადრე პოეზიაში შემოიტანა ჰე-სიოდემ (იხ. ზემოთ, გვ. 71). მაგრამ ჰესიოდესთან ის ნახმარია წმინდა დიდაქტიკური მიზნით, არქილოქესთან კი არაკის საშუალებით გამოთქმული რჩევა-დარიგების ამოსავალი წერტილი მოწინააღმდეგის დაცინვაა.

უძველესი ელეგიისა და იამბიკური პოეზიის განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან თავიანთი მოტივებით და ორივე ერთად ეპოსთან. ელეგია და იამბი ერთსა და იმავე მოტივებს დასტრიალებდნენ (საბრძოლო, სევდისა, ტრფობისა) და წმინდა ლირიკული ჟანრებისაგან განსხვავდებოდნენ. თუ რამდენად ახლოს იდგნენ ისინი ეპოსთან, ამას მოწმობს ოსიც, რომ თვით ბერძნები მათ ეპოსის მსგავსად უწოდებდნენ ἔπη („ლექსები“, „სათქმელი ლექსები“) და რაფსოდებსაც ზოგჯერ თავის რეპერტუარში შეჰქონდათ. მომდევნო ხანებშიც (VII საუკუნის მეორე ნახევარში და VI საუკუნეში) ელეგიასა და იამბს არ გაუწყვეტიათ კავშირი ძველ მოტივებთან, მაგრამ მათთვის ეს მოტივები არ არის ძირითადი: მათი ყურადღება მიპყრობილია უმთავრესად ცხოვრების ინტიმური მხარეებისაკენ (მიმნერმე), ამ ცხოვრების პირობების მოწესრიგებისა (სოლონი, თეოგნიდე) და შემჩნეული უარყოფითი მხარეების აღნიშვნისაკენ (სოლონი, სემონიდე, ჰიპონაქტე). კერძოდ, ელეგია ზოგჯერ სრულიად ჰკარგავს კავშირს ელეგიასთან როგორც მხატვრულ ჟანრთან და იყენებს ელეგიური დისტიქის ფორმას დიდაქტიკური ან ფილოსოფიური ხასიათის გ ნ ო მ ე ბ ი ს გამოსათქმელად (თეოგნიდე, ფოკილიდე, ქსენოფანე).

§ 39. მიმნერმე. მიმნერმე VII საუკუნის ბოლო წლებისა და VI საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. თავის სამშობლოდ ის, ერთ-ერთ ელეგიაში, ასახელებს კოლოფონსა და სპირნას. მისი მოღვაწეობა იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც იონიის ქალაქებმა დაჰკარგეს დამოუკიდებლობა და ლიდის სახელმწიფოს დაემორჩილნენ. იონიელთა ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ აუსახავს მიმნერმეს თავის საბრძოლო ელეგიებში.

მიმნერმეს საბრძოლო მოტივი, რასაკვირველია, არ არის ის მოტივი, რომელიც საფუძვლად უდევს ტირტეოსის ან არქილოქეს ელეგიებს: ტირტეოსისა და არქილოქესთვის ბრძოლა ყოველდღიური არსებობის საშუალება იყო, ისინი იმით „შოულობდნენ პურს“, და ამიტომ თავისი ელეგიებით ამხნეევდნენ მოლაშქრეებს; მიმნერმეს მებრძოლი სულისკვეთება კი ისტორიული ამბის გადმოსაცემად არის განკუთვნილი. მაგრამ ამ სახითაც მიმნერმეს ელეგია იმავე მიზანს ემსახურებოდა: ლიდელეების მიერ დამორჩილებულ იონიის ქალაქებში სასოწარკვე-

თილებას მიცემულ მოქალაქეს მოაგონებდა წინაპართა მხნეობას და, მაშასადამე, თანამედროვე მოქალაქეობრივ მოვალეობაზედაც მიუთითებდა. ამგვარად, მიმნერმეს საბრძოლო ელეგიას შეიძლება ვუწოდოთ ს ა ბ რ ძ ო ლ ო - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი.

მიმნერმეს საბრძოლო ელეგიაში ახალია აგრეთვე მისი ე ნ კ ო მ ი - ო ნ უ რ ი ხასიათი. 12. ფრაგმენტში პოეტი ქებას ასხამს ერთ ვაჟაკს, აღიღებს ამ ვაჟაკის სიმამაცესა და სიმხნეს, მის უშიშარ შეჭრას სისხლიანი ომის ცეცხლში. ამით მიმნერმე გვევლინება პირველ პოეტად, რომელმაც დასაბამი მისცა შემდგომ ხანებში განვითარებულ ს ა ხ ო - ტ ბ ო ე ა ნ რ ს (ἔ: ἄν: 107).

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ე ლ ე გ ი ა. ალექსანდრიულ პერიოდში ცნობილი იყო მიმნერმეს ელეგიების კრებული სათაურით Νεῦνός და ძველი პოეტები გადმოგვცემენ, რომ „ნანო“ იყო სახელი ფლეიტის დამკვრელი ქალისა. რომელიც მიმნერმეს უყვარდა. ამ კრებულში მოთავსებული იყო მიმნერმეს ელეგიების ორი ჯგუფი: საბრძოლო და სატრფიალო. მაგრამ მიმნერმეს შემოქმედების დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდათ არა მისი საბრძოლო მოტივი, არამედ ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო, და ამიტომ გასაგებია, რომ მთელ კრებულს უწოდეს პოეტის სატრფოს სახელი: მიმნერმეს თვლიდნენ ტრფობის პოეტად, მას თვლიდნენ ე რ ო ტ ი - კ უ ლ ი ე ლ ე გ ი ო ს მ ა მ ა მ თ ა ვ რ ა დ.

მიმნერმეს ძირითადი დებულება შემდეგია: ა რ ღ ი რ ს ს ი ც ო - ც ხ ლ ე ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გ ა რ ე შ ე; სიყვარული ანჭებს ადამიანს სიამოვნებასა და განცხრომას, ის აძლევს შიმართულებას ადამიანის საქმიანობას, აღაფრთოვანებს მას საგმირო საქმიებისათვის. დიდი საგმირო საქმე შეასრულა, მაგალითად, იაზონმა; მან შესძლო ოქროს საწმისის მოპოვება აეტის სამეფოში, კოლხიდაში; მაგრამ ის ამას ვერ შეასრულებდა, რომ მედვას სიყვარული არ დახმარებოდა მას (ფრგ. 10).

მიმნერმე წუხს იმას, რომ სიყვარულს თავისი ასაკი აქვს: სიბერის მოახლოებასთან ერთად ნელდება სიყვარულის ცეცხლი, კვდება ტრფობის ვნება და, მაშასადამე, ბოლო ეღება ადამიანის სიამოვნებასაც. ამიტომ საშინელია სიბერე, ის სიკვდილზე უარესია. მაგალითად, ვანთიადის ღმერთ ქალს ეოსს შეუყვარდა ახალგაზრდა კაბუჯი ტითონი და მოიტაცა იგი; მაგრამ ტითონი მოკვდავი ადამიანი იყო და ეოსმა სთხოვა ზევსს — ტითონისათვის უკვდავება მიენიჭებინა; იმის თხოვნა კი დააიწიყდა, რომ უკვდავებასთან ერთად სიკაბუჯეც შეენარჩუნებინა მისთვის; ზევსმა შეუსრულა მას თხოვნა და ტითონი უკვდავი გახდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ტითონი ბერდებოდა, და ამგვარად, ეოსს შერჩა უკვდავი სატრფო, მაგრამ ბებერი, ყოველგვარ სასიცოცხლო უნარს მოკლებული. ასეთ უკვდავებას, მიმნერმეს აზრით, სიკვდილი სჯობს (იხ. ფრგ. 4):

მიმნერმეს შემოქმედებიდან მომდევნო საუკუნეებში, უპირატესად, სატრფიალო ელეგები იყო გავრცელებული და დიდად დაფასებული. ელინისტური პერიოდის პოეტებისათვის მიმნერმეს სატრფიალო ელეგია გადაიქცა ნიმუშად, ხოლო მათი გავლენით რომაელი პოეტებიც მიმნერმეს თვლიდნენ თავის მაწაფლებლად. პირველი საუკუნის რომაელი პოეტები კატულე, ტიბულე და პროპერციუსი, მიმნერმეს მიბაძვით, თავიანთ სატრფოებს (ლესბიას, დელაას და კვნთიას) სახელდებით მიმართავენ ლექსებში და მისგან სესხულობენ თავისი ტრფობის გამოსახატავად საჭირო მხატვრულ სახეებს, ხოლო პროპერციუსი მას ყველაზე მაღლა აყენებდა.

§ 40. სოლონი. მეშვიდე საუკუნის ბოლოს ელეგია და იამბი იონიიდან ათენშიც იქნა შეტანილი. ამ ხანებში, სხვა ბერძენ პოლისებთან ერთად, ათენიც აქტიურად არის ჩაბმული საკოლონიზაციო მოძრაობაში და, როგორც სხვაგან, იონიის ქალაქებში, ამ მოძრაობის წიაღში ელეგია და იამბი გახდნენ საზოგადოებრივი ბრძოლის მთავარი ლიტერატურული იარაღები, ათენშიც მოიპოვეს მათ წამყვანი როლი სწორედ იმ დროს, როდესაც არისტოკრატია და დემოსი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს. ელეგია და იამბი ათენში შეიტანა სოლონმა.

სოლონი — პირველი ათენელი პოეტი. იგი დაიბადა 640 წლის მახლობელ ხანებში. წარმოშობით ის არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა, ხოლო ქონებრივი მდგომარეობით ის საშუალო მოქალაქედ ითვლებოდა. არისტოტელე თავის შრომაში „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ ამის შესახებ წერს: „სოლონი თავისი წარმოშობითა და აზრებით ეკუთვნოდა უპირველეს კაცთა რიცხვს; ხოლო თავისი ქონებითა და საქმეებით — საშუალოსა“ (თავი 5).

როგორც ხელმოკლე მოქალაქეს, მას უხდებოდა უცხო ქვეყნებში მოგზაურობა საარსებო საშუალებათა საძებრად. ასე, მაგალითად, მას უმოგზაურია ეგვიპტეში და სხვაგანაც, ალბათ, სავაჭრო მიზნებით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიიქცია მან ყურადღება თავისი მამულიშვილური მისწრაფებებით და პოლიტიკური მოწინავეობით. ამ დროს, VI-I საუკუნის ბოლო წლებში, მეტად გამწვავებული იყო ათენის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა. არისტოკრატია და დემოსი, რომლებიც უკვე VII საუკუნის პირველ ნახევარშივე ყალიბდებიან ბერძნულ სამყაროში როგორც ერთიმეორის მოწინააღმდეგე ფენები, ახლა უკვე იმდენად შეტაკებული არიან ერთმანეთთან, რომ საჭმე სისხლის ღვრამდისაც მიდის. „ღარიბნი მდიდრებისათვის მუშაობდნენ, — ამბობს არისტოტელე, — თვითონ, მათი შვილები და ცოლებიც... მთელი მიწა ხომ უმეცობის (იგულისხმე არისტოკრატის) ხელში იყო“. ასეთ პირობებში მდაბიო ხალხი დიდ

ვალში ვარდებოდა და არისტოკრატთაგან აღებული სესხისათვის ყველანი თავისი სხეულით აგებდნენ პასუხს. მაგრამ მარტო ეს არ აწუხებდა დემოსს; სხვა ბევრ რამეშიც იტანჯებოდნენ ისინი; მათ არავითარი უფლებები არ ჰქონდათ<sup>1</sup>.

რადგან ვალებისათვის ხალხი თავისი სხეულით აგებდა პასუხს და მიწა უმცირესობის ხელში იყო, თანაც ხალხი მოკლებული იყო ყოველგვარ სახელმწიფოებრივ უფლებებს, ამიტომ „დემოსი წინააღმდეგ დიდებულებს... აჯანყება ძლიერი იყო და ისინი დიდ ხანს იღვანენ ერთმანეთის პირისპირ“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს სოლონის ელევგიების ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტებიდან, სოლონი, ამ მდგომარეობით შეძრწუნებული, ხშირად ილაშქრებდა დიდებულთა აღვირახსნილი მოქმედების წინააღმდეგ. ის ხედავდა, რომ დემოსსა და არისტოკრატთა შორის ამტყდარი სისხლისმღვრელი შეტაკებები ასუსტებდა ათენს, რომელიც ძველ საუკუნეებში ძლიერ ქვეყნად ითვლებოდა. ერთ-ერთ ელევგიაში სოლონი ამბობს:

ყუყურებ და შიგნით ბოღმა მიდაღავს გულმკერდსა მწარედ,  
რომ ვხედავ უხუცეს მიწას, იონიის უძველეს მხარეს  
დაჩოქილს...

თავისი ელევგიების სხვა ნაწყვეტებში სოლონი ილაშქრებს ორივე წოდების წინააღმდეგ და ურჩევს ორივე მხარეს შეწყვიტონ უთანხმოება. მდიდრებს ის ურჩევს, არ გადააჰკარბონ თავიანთ მოთხოვნებში, იყვნენ ზომიერნი თავიანთ მისწრაფებებში:

დამშვიდდით, დაგულდით, კმარა, დიწყნარეთ უზომო სწრაფვა,  
გეყოფათ, რამდენიც თქვენ ცხოვრების სიკეთე გხვდათ.  
ზომიერ ჩარჩოში ჩასდეთ მისწრაფება ეს თქვენი დიდი.

არისტოტელე გვემოწმება, რომ სოლონი აჯანყების მიზეზს მთლიანად მდიდრებს მიაწერდა და, ცხადია, ამის გამო დემოსი მას, ალბათ, თავის კაცად სთვლიდა. მაგრამ, რამდენადაც სოლონი არისტოკრატული წარმოშობისა იყო და თავის ელევგიებში დემოსსაც მიმართავდა დაშოშმინების მიზნით, ამდენად არისტოკრატთაც მას თავის კაცად სთვლიდა.

ამგვარად, სოლონი საერთო სიმპათიებით და ავტორიტეტით სარ-

<sup>1</sup> არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, თავი 2, ქართული თარგმანი სიმ. ყაუჩიშვილისა, ქუთაისი, 1936.

<sup>2</sup> არისტოტელე, დასახ. ნაშრ: თავი 5:

გებლობდა. მისი ავტორიტეტი გაზარდა აგრეთვე 610 წელს მომხდარმა ამბავმა. ამ წელს სოლონი სალამინელის ტანსაცმელში გამოცხადდა ათენის მოედანზე, აგორაზე, და მიმართა ხალხს ელეგიით, რომელშიც მოუწოდებდა ათენელებს ელაშქრათ კუნძულ სალამინისას აღებად.

ათენი პატარა ქალაქი იყო. წარმოებაც პატარა ჰქონდა. მაგრამ, ბერძენ ტომთა ცენტრში მოთავსებულმა და ზღვაოსნობის კარგად განმავითარებელმა შესძლო საერთო ბერძნულ საკოლონიზაციო მოძრაობაში სპატიო ადგილი დაეჭირა და მოწინავე პოლისად ქცეულიყო. მაგრამ ის უძლური იყო იმით, რომ თითქმის მთლად მოწყვეტილი იყო ზღვას: მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნავსადგური პირეო, რომლის აგება და გამაგრება VI საუკუნის შუა წლებიდან იწყება, ხოლო ფალერონის რეიდი დაკეტილი იყო კუნძულ სალამინით, რომელიც მეგარელების ხელში იყო. მაშასადამე, კუნძული სალამინი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ათენის განვითარებული აღებ-მიცემობის განმტკიცებისათვის. სოლონის გამხნეევებით ათენელებმა ილაშქრეს სალამინზე და ის ხელთ ჩაიგდეს. სალამინის შემეტებით იხეირა როგორც არისტოკრატია, ისე დემოსმა: არისტოკრატიაში მიიღო იქ მიწის ნაკვეთები, ხოლო მზარდმა სავაჭრო წრეებმა გაიჩინეს იქ კარგი მისადგომი თავიანთი ხომალდებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ სოლონი ორივე წრის, არისტოკრატისა და დემოსის, სიმპათიებით სარგებლობდა და 594 წელს იგი, როგორც ამბობს არისტოტელე, „საერთო თანხმობით აირჩიეს მომრიგებლად და არქონტად და მიანიჭეს მას პოლიტია“.<sup>1</sup>

ჩაიგდო თუ არა ხელთ სახელმწიფოს მესაქეობა, სოლონმა მოინდომა შეემსუბუქებინა დემოსის გაქირვებული მდგომარეობა. და რამდენადაც უპირველესი გასაჭირი დემოსისა იყო მისი მძიმე დაუალიანება არისტოკრატისათან, მან მოახდინა ვალების გაუქმება როგორც კერძოსი, ისე სახელმწიფოსი; მან ჩაატარა ე. წ. სეისახთეის რეფორმა (σεισάχνηα „სიმძიმის თავიდან მოშორება“). გარდა ამისა, მან შესცვალა არსებული წესები პოლიტიკური მმართველობისა და ამიერიდან შემოიღო პოლიტიკური უფლებების მინიჭება არა წარმოშობის, არამედ ქონების მიხედვით, ესე იგი, თუ წინათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მხოლოდ წარჩინებული წარმოშობის არისტოკრატია იღებდა მონაწილეობას, ამიერიდან მონაწილეობას მიიღებდა სავაჭრო წრეც იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა ქონების პატრონი იყო.

ასეთი ჩასიათის რეფორმებმა ვერ დააკმაყოფილეს ვერც დემოსი

<sup>1</sup> არისტოტელე, დასახ. ნაშრ., თავი 5:

და ვერც არისტოკრატია. სოლონმა დემოსი არსებული ვალებისაგან განათავისუფლა, მაგრამ ეს დემოსის წყლულს ვერ მოარჩინდა, ვინაიდან სამიწათმოქმედლო და ეკონომიური ურთიერთობა არისტოკრატისა და დემოსს შორის კვლავინდებური რჩებოდა: ცოტა ხნის შემდეგ დემოსი ისევ ვალებში ჩავარდა, რადგან სოლონმა ვერ მოარჩინა ის ძირითადი წყლული-მიზეზი, რომელიც იწვევდა დემოსის დაღლიანებას. თავისი მხრით არისტოკრატიაც იყო უკმაყოფილო სოლონის რეფორმით, ვინაიდან მან არისტოკრატისა ცოტაოდენი სახსრები დააკლო დემოსის სასარგებლოდ და ზოგიერთი უფლებებიც დემოსს გაუნაწილა; არისტოკრატისა ეგონა, რომ სოლონი დააწოშმინებდა დემოსს არისტოკრატის სახეიროდ; დემოსს კი ეგონა, რომ სოლონი ყველაფერს ჩამოართმევდა არისტოკრატისა დემოსის სასარგებლოდ.

ამით უნდა ავხსნათ ჩვენ ის, რომ სოლონი ორწლიანხვედრის შემდეგ უკვე არქონტად აღარ არის და ათი წლით მიდის ათენიდან სამოგზაუროდ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოლონი გაძევებულ იქნა ისეთივე საერთო თანხმობით, როგორც ის საერთო თანხმობითვე იქნა არჩეული. სხვანაირი დასკვნის გამოტანა, ვფიქრობთ, გაძნელებდა არისტოტელეს შემდეგი სატყვებიდან: „ორივე მხარემ შესცვალა მისდამი დამოკიდებულება, რადგან შექმნილი მდგომარეობა მათ არ აკმაყოფილებდა: დემოსს ეგონა, რომ სოლონი ზელახლა გაპყოფდა ყველაფერს, დიდებულთ კი — რომ ის კვლავ ძველ წესებს დასტოვებდა, ანდა მცირეოდნაღ შეცვლიდა. სოლონი კი ორივე მხარეს ეწინააღმდეგებოდა“ (თავი 11).

ათი წლის შემდეგ ის დაბრუნდა თავისი მოგზაურობიდან (იყო ლიდიაში, ეგვიპტეში, კვიპროსზე). გარდაიცვალა 559 წელს კვიპროსზე, დაახლოვებით 80 წლის ასაკში.

სოლონის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ გვაქვს მრავალი ნაწყვეტი მისი ელეგიებისა და იამბებისა.

თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში ის გვევლინება როგორც წარმომადგენელი ს ა ბ რ ძ ო ლ ო ე ლ ე გ ი ი ს ა. ასეთი ელეგიის ნიმუშია სალამინის ელეგიის ჩვენამდე მოღწეული ფრამენტი:

გავსწოთ სალამინს სწრაფად სანუკვარი კუნძულის გამო,  
ვებრძოლოთ ყოჩაღათ მტერს, სირცხვილი ვაცდინოთ თავს.

როგორც ვხედავთ, ამ ელეგიას ისეთივე მოტივი ახასიათებს, როგორც ჰქონდათ კალინეს და ტირტეოსის ელეგიებს: გამხნელება თანამოქალაქეებისა მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მისწრაფება — აცდენილ იქნეს სირცხვილი, რომელიც მოსალოდნელია, თუ ააუნელები მტერს არ შეებრძოლებიან.



მაგრამ სოლონის მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიაში მისი საბრძოლო ელევგიებით კი არ განისაზღვრება, არამედ იმით, რომ მან შესძინა ელევგიას ახალი მოტივი — პოლიტიკური მოტივი. სოლონი არის პოლიტიკური ელევგიის ფუძემდებელი. ის თავის ელევგიებს იყენებს პოლიტიკური მიზნებით და მათში მოქალაქეებს ელვაპარაკება სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის შესახებ. ის თავის ელევგიებში უმარტავს მოქალაქეებს, რომ თუ ქვეყანა უბედურებას განიცდის, თუ „უხუცესი იონია დაჩოქილია“, ამის მიზეზი ღმერთები კი არ არიან, არამედ თვით მოქალაქენი. გარდა ამისა, როდესაც ის დამარცხდა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში და ორივე მხარე, არისტოკრატია და დემოსი, მას აუჯანყდა, მან გამოიყენა ელევგია თავისი პოლიტიკური რეფორმების გასამართლებლად და დასაცავად. ის უხსნის მოქალაქეებს, რომ მას კეთილი ზრახვები ჰქონდა და სრულებითაც არ დაუსახავს მიზნად ემძლავრა და ეტირანა. მას უნდოდა ზომიერ ჩარჩობებში ჩაეყენებინა ორივე მხარის მოთხოვნები, რათა ისინი უსამართლოდ არ ჰკვეთოდნენ ერთმანეთს.

დემოსს მე ვაჩუქე იმდენი პატივი, რამდენიც კმარა:

არც რამე წავართვი მას, არც ჭარბად მივეცი რა.

შეჭურვილმა ძლიერის ფართი შემოვრკალე ორივე მხარე:

ნება არ მივეციოთ მათ უსამართლოდ ჰკვეთოდნენ სხვას.

აი, ასეთი სიტყვებით განმარტავს ის თავისი პოლიტიკური რეფორმების დედააზრს. მას საშუალო გეზი ჰქონია აღებული. დემოსს მიუზომა საბოძვარი — ჭარბად არაფერი ჰქონდესო. მართალია, ის ამბობს, თითქოს ორივე მხარეს აკავებდა მათ მისწრაფებებში, თანაბრად იცავდა ორივე მხარეს და იდგა როგორც „მოსაზღვრე ბოძი“ ორ მოქიშპეს შორის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ საბერძნეთის სინამდვილეში სოლონი პირველი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელმაც გააუმჯობესა დემოსის მდგომარეობა. როგორც ფრ. ენგელსი ამბობს, „სოლონმა გახსნა ევრეთწოდებული პოლიტიკური რევოლუციების რიგი“. სოლონის რეფორმებისა და კანონმდებლობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დემოსის შემდგომი წინსვლა, შეუძლებელი იქნებოდა ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

ასეთივე პოლიტიკური მიზნებით იყენებს სოლონი თავის იამ-

1 «Солон открыл ряд так называемых политических революций (Фр. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, М., 1932, стр. 115).

ბებს, რომლებშიც ის თავს ესხმის როგორც არისტოკრატებს, ისე დემოსს, და ჰყიხავს მათ მათი გაუმადლარი მისწრაფებებისათვის.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ სოლონი ერთისა და იმავე მიზნებისათვის იყენებს ორსავე მხატვრულ ფორმას — ელეგიურსა და იამბიკურს: აძლევს მოქალაქეებს პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ხასიათის რჩევა-დარიგებებს და უთვალისწინებს მათ სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის დასახულ ამოცანებს.

§ 41. თეოგნიდე მეგარელი. როგორც საბერძნეთის სხვა პოლისებში, მეგარაშიც VI საუკუნეში გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა არისტოკრატისა და დემოსს შორის; თეოგნიდე არისტოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა და ზიზღით უცქეროდა გაძლიერების გზაზე დამდგარ დემოსს: არისტოკრატები, თეოგნიდეს ტერმინოლოგიით, არიან *ἀριστοί* („კარგნი“, „კეთილნი“), ხოლო დემოსის წარმომადგენლები *κακοί* („ცუდნი“, „ბოროტნი“). მეგარაში დემოსმა გაიმარჯვა და სხვა არისტოკრატებთან ერთად თეოგნიდეც დაზარალდა: ჭონება დაკარგა და გაძევებულ იქნა (საარსებო საშუალებათა ძეხვნაში იხეტილა სიცილიაში, ევბეასა და სპარტაში). შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნებულა და, ძალაუნებურად, შერიგებია ახალს პოლიტიკურ წყობილებას, მაგრამ ბოლომდე დარჩენილა არისტოკრატის ერთვულ დამცველად.

თეოგნიდეს სახელით მოღწეულია ელეგიური დისტიქებით გამართული და 1389 ტაების შემცველი წიგნი. ამ წიგნის ავტორი მკაცრად ილაშქრებს დაბალი ხალხის წინააღმდეგ. ღირსეულად თვის მხოლოდ არისტოკრატებს „კარგებს“ და „კეთილებს“; ადიდებს სიმდიდრეს. ურომლისოდაც „კარგებს“ არ შეუძლიათ ცხოვრება; იძლევა რჩევა-დარიგებებს ვაჟკაცობასა და კეთილშობილებაზე, მეგობრობასა და ერთგულებაზე, სიყვარულსა და ღვინის სმაზე. წიგნი სავსეა მორალისტური სენტენციებით. გნომებით.

დასაწყისში პოეტი მიმართავს ღმერთებსა და მუზებს (ტ. 1 — 18) და, შემდეგ, თავის მეგობარ კირნეს, რომელსაც ეუბნება: მინდა გასწავლო ის, რაც მე, თეოგნიდემ, კარგი ადამიანებისაგან ვისწავლეო და აძლევს მას რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ მოიქცეს ამ ქვეყანაში; ვისთან იმეგობროს, როგორ გაარჩიოს „კარგი“ და „ცუდი“, „კეთილი“ და „ბოროტი“.

„კარგ კაცებს, კირნე, არასოდეს არ დაუღუპავთ ქალაქი; მაგრამ როდესაც ცუდები თავგასულობას იჩენენ და ხალხსაც რყენიან და სამართალს უსამართლობას აძლევენ ხელში პირადი ანგარებისა და ბატონობის გულისათვის, — მაშინ იცოდე, რომ ეს ქალაქი (რაც უნდა მშვიდი ცხოვრება არ ჰქონდეს მას ამჟამად) დიდხანს ვერ იბოგინებს, როდესაც ბოროტი კაცები იქითკენ მისწრაფვიან, რომ ხალხის უბედურებაში თვითონ ხეირი ნახონ“ (ტ. 43 — 50).

თეოგნიდეს მხედველობაში აქვს თავისი ქალაქის, მეგარის, აწინ-  
დელი მდგომარეობა: მესვეურება ხელში ჩაუგდიათ „ცუდებს“, რომ-  
ლებიც უკანონოდ მართავენ ქალაქს: „კირნე, ქალაქი იმავე ქალაქად  
დარჩა, ხალხი კი სხვაა: ვინც წინათ არა იცოდა-რა არც სამართლისა  
და არც კანონებისა, თხის ტყავი ჰქონდა ბეჭებზე მოგდებული და  
ქალაქ გარეთ დახეტილობდა მსგავსად საძოვარზე გასული ირემისა, -  
ის ახლა კეთილთა რიცხვშია: წინათ კეთილნი ახლა ბოროტე-  
ბად იქცნენ. ვის ძალუძს გულგრილად უცქიროს ამას: ისინი ერთ-  
მანეთს დასცინიან და ერთიმეორეს ატყუებენ, აღარ არჩევენ სიკეთესა  
და ბოროტებას“ (ტ. 53 — 60):

თეოგნიდე ვერ შერიგებია იმას, რომ ძალაუფლება „ცუდებმა“  
ჩაიგდეს ხელში, რომ „კეთილთა“ უბედურება თავიანთი ბედნიერების  
წყაროდ აქციეს „ბოროტმა“ ადამიანებმა, რომლებმაც „თავდაყირა  
დააყენეს კანონები და ისე მეთაურობენ: გაქრა სირცხვილი — მხო-  
ლოდ უსირცხვილობა და მედიდურობაა გაბატონებული მთელ ქვეყა-  
ნაზე“ (ტ: 289 — 292): საჭიროა ფრთხილად იყო ასეთ ადამიანებთან:  
არ უნდა დაუმეგობრდე მათ; გარეგნულად, სიტყვიერად მოეჩვენე  
მეგობრად, ხოლო გახსოვდეს მუდამ შურისძიება: „ტკბილად მიაძინე  
მტერი და, როდესაც ხელში ჩაგივარდება, შური იძიე: ნულარ დას-  
ძებნი საბაბს შურისას“: პოეტის აზრით არ უნდა დაზოგო „ცუდები“  
(ე. ი. დემოსი): „ქუთსლი დაადგი ჰქუთხელ დემოსს, ურტყე წვეტიან  
ჯოხი და უღელის ქვეშ ქედი უღრიკე: ვერსად, სადაც კი მზის სხივები  
წვდება, ვერ იპოვი ხალხს რომ ასე უყვარდეს ბატონი“ (ტ: 847 —  
850):

დემოსი, თეოგნიდეს აზრით, მდარე ღირსებისაა და, ამიტომ, ყოვე-  
ლი არისტოკრატი უნდა ერიდოს მის მეგობრობას: პოეტს აღელვებს  
ის წარჩინებული კაცი ან ქალი, რომელიც სიმდიდრის გულისთვის  
ქორწინებით უკავშირდება „ცუდს“. „დიდ პატივშია ფული. კარგ  
ცუღს თხოულობს, ცუდი — კარგს: ასე არია სიმდიდრემ სისხლი“  
(ტ. 183 — 192).

ყველა ამის გამო თეოგნიდე პესიმისტურად არის განწყო-  
ბილი და ნატრულობს სიკვდილს.

როგორც ჩანს, თეოგნიდეს ელევგები უკვე საკმაოდ დაშორებული  
ყოფილა ელევგის პირვანდელ სახეს და რომ ისინი უფრო გნომებისა  
და რჩევა-დარიგებებისათვის ყოფილა გამოყენებული. ოღონდ ისიც  
ჩანს, რომ ელევგას კიდევ უფრო გაუძლიერებია სოლონის მიერ შე-  
მოტანილი პოლიტიკური მოტივი.

§ 42. ხეშონიდე ამორგელი: VII — VI საუკუნეების იამბიკური  
პოეზიაც ცხოვრების აკარგვიანობის საკითხებს დასტრიალებს; გამ-  
წვავებული საშინაო (და საგარეო) ბრძოლები და ამით გამოწვეული

სიღუბსიერე პესიმისტურად განწყობენ იამბიკოსებსაც, და ისინიც, მსგავსად ელეგიკოსებისა, დარიგებით მიმართავენ — მეგობრებსა და მახლობლებს. თუ როგორ უნდა მოიქცნენ თავს დამტყდარი უბედურების დროს. თავისთავად ცხადია, იამბიკოსი ამ შემთხვევაში იმით განსხვავდება ელეგიკოსისაგან, რომ ცხოვრების სიღუბსიერით გაბოროტებულ იამბიკოსი ზოგჯერ გესლიანად მსჯელობს და სატირიკულ ტონით ასახავს ამ სიღუბსიერეს.

ამ დროის იამბიკოსთაგან განსაკუთრებით სახელი გაითქვეს სემონიდე ამორგელმა და ჰიპონაქტე ეფესელმა.

სემონიდე ამორგელი VII საუკუნის პოეტი. ზოგიერთები (ძველი და ახალი მკვლევარნიც) მას არქილოქეზე უფრო ადრინდელ მოღვაწედ სთვლიან, მაგრამ მისი ლექსების თემატიკა და სტილიც არ გვაძლევს ამისათვის არავითარ საბუთს: ამ მხრით სემონიდე უფრო სოლონის ეპოქას უახლოვდება და, ამიტომ, უფრო მართებული იქნება, იგი VII საუკუნის მეორე ნახევარს მივაკუთვნოთ.

სემონიდეს ნაწარმოებთაგან ჩვენამდე მოღწეულია: 1. იამბიკური ლექსების ოცდაათამდე ნაწყვეტი და 2. ერთი ელეგია.

სემონიდეს იამბები. მოღწეულ ნაწყვეტთაგან ორი საკმაოდ ღიღია (24-ტაეპიანი და 118-ტაეპიანი) და დამთავრებულ თხზულებებს უნდა წარმოადგენდეს. პირველ მათგანში სემონიდე მიმართავს ვილაც ყრმას და ესაუბრება მას ცხოვრების წარმავლობასა და მის ავკარგიანობაზე. ცხოვრებას განაგებს ზევსი, რომელიც თავისი ნებისდა მიხედვით წარმართავს ადამიანის ბედს. ადამიანებს აქვთ „იმედი“ და მასზე დაყრდნობით იწყებენ ყოველგვარ საქმიანობას, მაგრამ მათი მოლოდინი არ მართლდება: ყველაფერს სიკვდილი უღებს ბოლოს.

ფრგ. 1. ყრმაო, მკვქარე ზევის ბოლოს უღებს ყველაფერს, თავისი სურვილისდა მიხედვით, ადამიანზე არაა დამოკიდებული ივარაუდოს ეს: წარმავლია ჩვენი ცხოვრება: ეცხოვრობთ როგორც ცხერები და არაფერი ვიციოთ, თუ თითოეულ ჩვენგანს რას უშზადებს ღმერთი. იმედსა და სასოებას ვეყრდნობით და ფუჰ გვგვამებს ვადგენთ. ერთნი ელიან, რომ ღღესვე აუსრულდებათ, სხვები კი — წელთა სრბოლაში. არ არის კაცი, რომ არ ფეჭრობდეს, რომ დადგება სანატრელა ეამი, რომელიც მოუტანს სიმღღიდრესა და ღღელათს. მაგრამ ერთს ნაადრევედ იპყრობს სამწუხარო სიბერე; სხვებს ანადღურებს მძიმე სენი; ზოგიერთს კიღვე, არესის მიერ დათრგუნვის, ჰავი მიწის ქვეშ აგზავნის ჰადესი..:

ასე ელაპარაკება პესიმისტურად განწყობილი სემონიდე თავის მეგობარს იამბური ტრიმეტრებით იმგვარ საკითხზე, როგორიც, ჩვეულებრივ, სეედის ელეგიის თემად ითვლება.

თვით სემონიდე ამორგელსაც მოეპოვება ელეგია, რომლის არა თუ თემა, არამედ აზრებიც და გამოთქმებიც იგივეა, რაც მის იამბიკურ ლექსში. აქაც — იგივე „იმედი“, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს

ადამიანი და ავიწყებინებს მას, რომ არსებობენ სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი.

ფრგ. 29. საუკეთესოდ თქვა ქიოსელმა ვაჟაკმა: „როგორც არის ფოთოლთა მოდგმა, ისეთივეა ადამიანთა მოდგმა“<sup>1</sup>. მაგრამ მოკვდავი ყურით ისმენენ (ამას) და მხოლოდ ცოტანი იყარებენ გულში: თითოეულს აქვს იმედი, რომელიც ვაჟაკებსაც და ახალგაზრდებსაც გულში აქვთ ჩანერგილი. სანამ ადამიანი სიკვდავის სანუკვარ ასაკშია, ის გულბერყვილოა და მრავალ რამეს ფუჭად ოცნებობს: არც იმას ელის, რომ დაბერდება და მოკვდება, და არც — ჩანბრთულად მყოფი — ფიქრობს, რომ დასნეულდება. ასე ფიქრობენ, და სულელებმა არ იციან, რომ ადამიანს ქაბუკური ცხოვრების ცოტა დრო აქვს. შენ კი ისწავლე ეს და სიცოცხლის ბოლომდე ასიაშოვნე სული (ყოველგვარი) სიკვთით.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ელეგიასა და იამბს შორის მკვიდრო კავშირია და რომ იამბთან არ არის უთუოდ დაკავშირებული დაცინვა: ის ელეგიასთან ერთად გამოყენებულა სხვადასხვა (საბრძოლო, სევდის, სატრფიალო) მოტივისათვის და მასთან ერთად ადამიანის ცხოვრების ავკარგიანობაზე მღერის. მაგრამ ამის გვერდით იამბი სავტირიკული მიზნითაც არის გამოყენებული, როდესაც პესიმისტურად განწყობილი პოეტი თავის სასოწარკვეთილების მიზეზს ცხოვრების რომელსამე მხარეში ზედავს და დასცინის მას.

ამგვარ სატირიკულ იამბს წარმოადგენს სემონიდეს მეორე, ჩვენამდე მოღწეული, დიდი ლექსი, ეგრეთწოდებული „სატირა ქალვებზე“. ადამიანის უბედურების ძირითად მიზეზს სემონიდე ჰხედავს ქალში: ქალის სახით ზევსმა გაუჩინა ადამიანს უდიდესი ბოროტება — ამბობს ის.

ეს თემა ახალი არაა. ჭერ კიდევ ჰესიოდე თავის პოემაში „სამუშაონი და დღენი“ ამბობდა, რომ პანდორა იყო პირველი, რომელმაც ადამიანს მოუტანა უბედურებანი (ტ. 95). „თეოგონიაში“ ჰესიოდე უმატებს: პანდორასაგან მოდის ქალთა დამღუპველი მოდგმა, რომელიც მამაკაცთა შორის ბინადრობს როგორც უდიდესი ბოროტებაო: მხოლოდ ლზინშია ქალი კაცის მეგობარი, ჰირში კი არა (ტ. 591—593).

სემონიდე ამუშავებს ამ თემას სატირიკული ვესლიანობით და არკვევს იმის მიზეზს, თუ რატომ არის ქალი ბოროტება. მისი აზრით ქალები განიყოფებიან ათ ჯგუფად იმისდა მიხედვით, თუ რისგან არიან წარმოშობილნი: ღორის, მელის, ძაღლის, მიწის, ზღვის, ვირის, კვერნის, ცხენის, მაიმუნისა თუ ფუტკრისაგან. ღორისაგან წარმოშობილი ქალი ბინძურია, მას სახლი მუდამ დაულაგებელი აქვს, ქუჭყში გორაობს და სუქდება; მელისაგან წარმოშობილი ქალი ცბიერი და მატყუარაა; ზღვის ამინდით ცვალებადია ქალი, რომელიც ზღვისაგან წარ-

<sup>1</sup> ეს არის ციტატა ჰომეროსიდან („ილიადა“, VI, 146).

მოსდგა... ყველას სჯობს ის ქალი, რომელიც ფუტკრისაგან წარმო-  
იშვა: ბედნიერია მამაკაცი, ვისაც ასეთი ქალი შესვლება ცოლად; მისი  
წყალობით იზრდება ოჯახში დოვლათი; სიკვდილამდე ერთგულია თა-  
ვისი მეუღლისა, შვილებიც ლამაზები ჰყავს; არ უყვარს ქალებში ჩაჭ-  
დომა და სატრფიალო სიტყვების ლაპარაკი. მაგრამ, როგორც ჩანს,  
სემონიდეს განუხორციელებლად მიაჩნია მამაკაცისათვის ეს იდეალი  
(რომ მას ფუტკრისაგან წარმოშობილი ქალი ერგოს ცოლად). მიუხე-  
დავად იმისა, რომ მან ასე შეაქო შეათე ჭგუფის (ფუტკრის) ქალი, მა-  
ინც დაასკვნის: „ქალის სახით ზევსმა გაუჩინა ადამიანს უდიდესი ბო-  
როტება: თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქალში იპოვის სარგებლობას, ის  
შეცდება: ხელში ბოროტება შერჩება იმას, ვინც ცოლს შეირთავს“  
(ტ. 96—98).

ასე უპასუხისმგებლოდ მსჯელობს პოეტი ცხოვრების ურთულეს  
საკითხზე, ქალისა და ოჯახის დანიშნულებაზე, იმის მაგიერ რომ შე-  
ეცნო საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი დამარცხების მიზეზები და  
საკუთარი შეცდომების გამოსწორების საშუალებით გაპყროლოდა მოწი-  
ნავე ადამიანთა მიერ ნაჩვენებ გზას.

§ 43. ჰიპონაქტე ეფესელი. იამბიკური პოეზიის განვითარების ის-  
ტორიაში საგანგებო ადგილი უჭირავს VI საუკუნის მეორე ნახევრის  
პოეტს ჰ ი პ ო ნ ა ქ ტ ე ს. ის ითვლება: 1) დამცინავი იამბიკის რეა-  
ლ ის ტ უ რ ი მიმართულების წარმომადგენლად, 2) იამბური საზომის  
ახალი სახეობის, „კ ო ჭ ლ ი ი ა მ ბ ი ს“ შემომღებლად ლიტერატურაში  
და 3) პ ა რ ო დ ი ი ს მამამთავრად.

ჰიპონაქტე დაიბადა ეფესოში 575 წლის მახლობელ ხანებში. ტი-  
რანების მიერ გაძევებული, ის გადასახლდა კლაძომენეში: გაძევების  
მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ჰიპონაქტე პოლიტიკურ ოპოზიციაში  
ედგა ტირანიას. თავისი სოციალური მდგომარეობით ჰიპონაქტე, რო-  
გორც ჩანს, ეკუთვნოდა ქალაქის გაღარიბებულ წრეებს: ის მუდამ  
ჩივის გაჭირვებასა და ხელმოკლეობაზე, შიმშილსა და სიცივეზე.

ჰიპონაქტეს ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ  
მისი ი ა მ ბ ი კ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი. ამ ლექსებში ჰიპონაქტე დასცინის  
როგორც თავის პირად მტრებს, ისე სხვა პირებსაც, რომლებსაც უწუ-  
ნებს მათ მოღვაწეობას. პირად მტრად თვლიდა ის მოქანდაკე ბუპა-  
ლოსს, რომელსაც გარეგნობით მახინჯი ჰიპონაქტეს კარიკატურული  
ქანდაკება დაუმზადებია. თავის გესლიან იამბებში ჰიპონაქტე ბრალს  
სდებდა ბუპალოსს ბოროტმოქმედებაში და უზნეო საქციელში, მკვლე-  
ლობაში და მოუწოდებდა ყველას მორიდებოდნენ მას (19. ფრაგ.: „რა  
გაცხოვრებს ბილწ ბუპალოსთან?“).

მხატვარ მ ი მ ნ ე ს ჰიპონაქტე სურათებს უწუნებდა: „მზაკვარო  
მიმნევ, მრავალნიჩბიანი ტრიერის კედელზე ნუ დახატავ გველს, მე-

საჭისაკენ მიმსობავს: მესაჭისათვის საბედისწერო ნიშანი იქება, თუ ბრწყინო და რეგვენო, თუ გველმა მას წვივზე უტბინა“ (46. ფრგ.).

ჰიპონაქტეს იამბებში, რომელთა ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები ასამდეა (მეტწილად თითოტაეპიანი), ქალაქის ცხოვრების სინამდვილის სურათები იშლება: აქ გვხვდება ჩვენ მესობრტე. ბარბაროსი ფრიგიელები, ლენის ქურდი, სამართალში მიცემული მემრუმე და ბევრი სხვაც.

ჰიპონაქტეს იამბებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქალაქის ხელმოკლე მცხოვრებთა და, კერძოდ, თვით პოეტის გაჭირვებისა და სილატაქის აღწერას. ჰიპონაქტეს სცივა (22. 23 24. ფრგ.), შია (40. ფრგ.): გარდა ამისა გულქეა ბატონი ცემითა და ჩაქოლვით ემუქრება მას. ამიტომ ის თხოვნით მიმართავს ჰერმესსა და პლუტოსს (სიმიდლის ღმერთს) მისცეს მას ფული, ქერი, ტანსაცმელი...

ფრგ. 22. ჰერმეს, ძვირფასო ჰერმეს, შიას ძე, კილენველო, გემუდარები — მომხედე, მეტისმეტად მცოვა!

მიეცი ჰიპონაქტეს წამოსასხამი და ხალათი, სანდლები და თბილი ჩექმები და სამოცი სტატერი ოქრო.

ფრგ. 24. შენ არ მომეცი თბილი წამოსასხამი, ზამთრის სიცივის წამალ, არც თბილი ჩექმებით დამიფარე ფეხები, რომ მე სიცოვეს არ მოვესსე.

ფრგ. 25. მეტად ბრმა პლუტოსი ერთხელ არ მოვა ჩემთან სახლში და არ შეტუვის: „ჰიპონაქტე, ოდღათ ვერცხლის მნას მოგეცემ და ბევრ სხვა რამესაც“. ვერ მოისაზრებს ამას.

ფრგ. 40. მრავალტანჯული სული უბედურებათა ხვედრი გახდება, თუ მალე არ მომავლებს ერთ მედიმნ ქერს, რომ მოვიმზადო ფაფა, უბედურების წამალი.

ფრგ. 27. რად არ მომეცი ოქრო, თავადი ფულისა?

დამშეული მოქალაქეების გვერდით ბედოვლათი მოქალაქეებიც არიან: ისინი არაფერს არ აკეთებენ და სულ იმაზე ფიქრობენ, თუ რა სჭამონ და რა სვან. ასეთების წინააღმდეგ არის მიმართული ჰიპონაქტეს ირონია და გესლი.

ასეთია ჰიპონაქტეს იამბები, ყოველდღიური ცხოვრების სიღუბჭირის ამსახველი და უარყოფითი მხარეების განმაქიქებელი. ეს იამბები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, იამბური ტრიმეტრებით არის გამართული, სახელდობრ, იამბური ტრიმეტრის იმ სახეობით, რომელსაც ქოლიამბი, ანუ „კოჭლი იამბი“ ჰქვია.

ქოლიამბი. ეს სალექსო ზონა წარმოადგენს იამბური ტრიმეტრის ვარიაციას: უკანასკნელი, მეექვსე, იამბური მუხლი შეცვლილი ტროქეით და, ამგვარად იამბური ტრიმეტრის რითმული მსვლელობა, რომ ყოველ დაბალ მარცვალს (თეზისს) მაღალი მარცვალი (არსისი) მოსდევს, უცბად წყდება მეექვსე იამბზე და, მეხუთე მუხლის არსისის შემდეგ რომ მოველით მეექვსე მუხლის თეზისს, მოულოდნელად ისევ არსისი გვაქვს (უკვე ტროქეული მუხლისა):



რადგან ასეთი შენაცვლება იამბური მუხლისა ტროქეულით რით-  
მულ მიმდინარეობას მოულოდნელად არღვევდა, ბერძნებმა ასეთ  
ტაეპს „კოკლი იამბი“, ანუ ქოლიამბი (χολιδε „კოკლი“)   
უწოდეს.<sup>1</sup>

ქოლიამბის გამოგონებლად ბერძნები სთვლიდნენ ჰიპონაქტეს,  
მაგრამ ეს დებულება ისე უნდა გავიგოთ, რომ ჰიპონაქტემ კი არ გა-  
მოიგონა ქოლიამბი, არამედ ხალხურ გამეციცხავსა და საოხუნჯო სიმ-  
ღერებში უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებული საზომი მხატვრულ  
ლიტერატურაში შემოიღო<sup>2</sup>. ასეთი გაგებით ვთვლით ჩვენ ჰიპონაქ-  
ტეს ქოლიამბის მამამთავრად.

პ ა რ ო დ ი ა. ჰიპონაქტე ითვლება აგრეთვე პაროდის მამამთავ-  
რად. პაროდია (παρῳδία „გადამღერება“) ეწოდება რომელიმე სიმ-  
ღერის ისეთ მიბადვას, რომ მისაბაძი სიმღერის სერიოზული ფორმა  
დარჩეს, ხოლო შინაარსი სასაცილო გამოვიდეს. ჰიპონაქტემდე, თით-  
ქოს, არავის უცდია ასეთი მიბადვა და გადამღერება. ჩვენამდე მოღ-  
წეული რამდენიმე ნაწყვეტი მოწმობს, რომ ჰიპონაქტეს უწერია  
პაროდიები ჰომეროსის ეპოსზე. ეს მტკიცდება იმით, რომ ეს ნაწყვე-  
ტები: 1. დაწერილია დაქტილური ჰეგზამეტრით და 2. იწყება ისეთივე  
მიმართვით მუზისადმი, როგორითაც ჰ ო მ ე რ ო ს ი იწყებდა: *μοῦσ' ἄ  
μοι... ἔννεπε* (შეად. „ოდისეის“ დასაწყისი: *ἄμωρα μοι ἔννεπε, μοῦσα...*).  
ერთ ოთხტაეპიან ნაწყვეტში სასაცილოდ არის აგდებული ვინმე ევრი-  
მედონტიადე, ღორმუცელა, რომელიც დიდ-დიდ ლუკმებს ყლაპავს  
და შიგ მუცელში კრის დანით წვრილ ნაჭრებად (80. ფრგ.).

ამგვარად, ჰიპონაქტეს დამსახურებას მსოფლიო ლიტერატურაში  
მისი ქოლიამბები და პაროდიები შეადგენენ: მომდევნო საუკუნეების  
ბერძენ მწერლებზე ჰიპონაქტემ ამ მხატვრული ფორმებით მოახდინა  
გავლენა.

<sup>1</sup> ქართულში გრძელი და მოკლე ხმოვნების გაურჩევლობის გამო და აგრეთვე  
იმის გამოც, რომ ქართულში მახვილი (ხმის ამაღლება) თავისებური ხასიათისაა  
შეუძლებელია ტაეპის გამართვა ქოლიამბით. რუსულად ასეთი ტაეპი, მაგალითად,  
შემდეგ სახეს მიიღებდა:

Ну вот и мёрзну я, — знобит меня шибко.

<sup>2</sup> ამ თავისებურ საზომთან ერთად ჰიპონაქტემ თავისებური ენაც შემოიტანა:  
ჰიპონაქტეს ლექსები საკვია მდამბიო ხალხის სალაპარაკო ენიდან მოტანილი ფორმე-  
ბითა და ლექსიკური მასალით.

მცირე აზიის ქალაქებში ბერძნულ ელემენტს წარმოადგენდნენ მაღალი ფენები,  
რომელთაც მეთაური როლი ჰქონდათ ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულ-  
ტურულ ცხოვრებაში. მოსახლეობის ძირითადი მასა კი შედგებოდა უცხოურ ტომ-  
თაგან, რომლებიც დაიმორჩილეს ბერძნებმა და რომელთა ენის ხარჭე- იცებოდნენ  
ბერძნული ენის ლექსიკურ შემაღვენლობა.



კომიკური ეპოსი „მარგიტე“. იამბიკურ პოეზიაში დაციწვის მოტივის გაბატონებისა და პაროდული ჟანრის აღმოცენების ეპოქას ეკუთვნის, ჩვენის აზრით, ძველ ბერძნულ მწერლობაში მეტად პოპულარული პოემა „მარგიტე“, რომელშიც ავტორი მოგვითხრობდა ერთი ჩერჩეტი ახალგაზრდის, მარგიტეს, თავგადასავალს. ამ პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო რამდენიმე ეპიზოდს მარგიტეს თავგადასავლიდან გადმოგვცემენ პლატონი, სვიდა, ფოტიოსი და ცეცე.

მარგიტე ერთი ჩერჩეტი ახალგაზრდა იყო, სულელი, ბრიყვი, გონებაჩლუნგი; ღმერთებს ის უქნარ კაცად გაუჩენიათ: არც ხენა შეეძლო, არც თესვა. ბევრს რამეში უცდია მას თავი, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, თუმცა მდიდარი მშობლები ყოველთვის ხელს უწყობდნენ; მხოლოდ ხუთამდე იცოდა თელა თითებზე. ცხადია ამის გამო, რომ მისი მოკლე ჰკუა ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას; ასე, მაგალითად, მარგიტე, უკვე დაჰბუჰებულნი, დედას ეკითხება: ხომ მამამ დამბადა მეო? როდესაც ის დაეჟკაცდა და დააქორწინეს, იმან არც კი იცოდა, თუ რას ნიშნავდა ცოლქმრობა.

ამ კომიკურ ეპოსში გამოყვანილი ჩერჩეტი, როგორც ძველების მოწმობებიდან ჩანს, ძალიან იზიდავდა ხალხს თავისი სასაცილო თავგადასავლით და ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ამ ეპოსს, თითქოს, უკვე არქილოქე იცნობდა და ჰომეროსს მიაწერდა. მას იცნობს აგრეთვე ძველი კომედია. არისტოტელე თვლის მას ჰომეროსის ნაწარმოებად და კიდევაც თავისებურად ასაბუთებს ამას. „ჰომეროსი, — ამბობს არისტოტელე („პოეტიკა“, თავი IV), — მაღალი მიმართულების თხზულებათა უდიდესი შემოქმედი იყო, ვინაიდან მან, ერთადერთმა შექმნა სახეები არა მარტო მშვენიერი; არამედ დრამატულიც, — მან, ამრიგად, პირველმა მოხაზა კომედიის სქემები, ამოქმედა არა სამარცხვინო-საძაველი, არამედ სასაცილო: მარგიტეს ხომ ისეთივე მიმართება აქვს კომედიისადმი, როგორც „ილიადასა“ და ოდისეას“ ტრაგედიისადმი“.1 ამრიგად, არისტოტელე ფიქრობს, რომ ჰომეროსმა თავისი „ილიადა“ და „ოდისეით“ საფუძველი ჩაუყარა ტრაგედიას, ხოლო „მარგიტეთი“ — კომედიას. მართალია, ეს დებულება მცდარია და „მარგიტე“. ჰომეროსს არ ეკუთვნის, მაგრამ არისტოტელე ამ დასკვნამდე მიიყვანა იმ სწორმა შეხედულებამ, რომ ტრაგედია და კომედია ერთი წყაროდან მომდინარეობენ: ჰომეროსმა თავისი პოემებით დიდი მასალა მისცა

<sup>1</sup> არისტოტელე, პოეტიკა; ს. დანელიას თარგმანი, თბილისი, 1944, გვ. 10:

ტრაგიკოსებს, და ამიტომ ძველები ფიქრობდნენ, რომ ტრაგედია ჰომეროსისაგან მომდინარეობდა. არისტოტელე, რომელმაც ეს დებულება მიიღო და გაითვალისწინა ხალხში გავრცელებული შეხედულება „მარგიტეს“ შესახებ და რომელმაც იცოდა, რომ ტრაგედიასა და კომედიას ერთი საწყისი ჰქონდათ, სწორი მსჯელობის გზით. მაგრამ კვლავ ამოსავალ წერტილზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ პოემა „მარგიტე“ ჰომეროსს ეკუთვნოდა.

პოემა „მარგიტე“ ჰომეროსს არ შეიძლება ეკუთვნოდეს. ამას ამტკიცებს შემდეგი საბუთი. ჩვენამდე მოღწეული არის ამ პოემის სამი ტაეპი, რომლებშიც ნათქვამია:

- 1 ტ. — „მოვიდა კოლოფონში ერთი მოხუცი, ღვთაებრივი აედი“;
- 2 ტ. — „მასხური მუზებისა და შორსმსროლელი აპოლონისა“;
- 3 ტ. — „ძვირფას ხელებში ეჭირა კეთილშემოვანი ლირა“.

ამ სამი ტაეპიდან პირველი ორი დაქტილური ჰეგზამეტრით არის შედგენილი, ხოლო მესამე წარმოადგენს იამბურ ტრიმეტრს. იამბურ ტრიმეტრი კი სრულიად არ ეგუება ჰომეროსის ხანას: იგი პირველად ბერძნულ მწერლობაში მეშვიდე საუკუნეში გვხვდება. მაშასადამე, ეს სტრიქონები არ შეიძლება ეკუთვნოდეს ჰომეროსს და თვით პოემა „მარგიტე“ არ შეიძლება დაწერილიყო მეშვიდე საუკუნეზე ადრე.

ჯერჯერობით უძველესი მოწმობა იმისა, რომ „მარგიტე“ ცნობილი იყო, V საუკუნის მწერალს, კრატინეს, ეკუთვნის. ამასთანავე, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც: 1. რომ ამ პოემაში მოთხრობილია არისტოკრატი გმირის (ხოლო ჩერჩეტის) თავგადასავალი ისეთივე პათეტიკური ლექსით, როგორსაც რაფსოდები მღეროდნენ („მოვიდა კოლოფონში ერთი მოხუცი, ღვთაებრივი აედი“) და ამდენად ეს პაროდულ ხასიათს ატარებს, 2. რომ არისტოკრატიული წრიდან გამოსული გმირის სასაცილოდ აგდება მოსალოდნელია ისეთ ეპოქაში, როდესაც არისტოკრატიული წყობილებით გაბოროტებული მოქალაქე გესლიანად ლაპარაკობს „ლორმუცელა“ არისტოკრატებზე (და ასეთი გაბოროტებული პოეტია ჰიპონაქტე) და 3. რომ ჰეგზამეტრისა და იამბის შერეული ხმარება ჰიპონაქტეს ეპოქაზე ადრე მოსალოდნელი არაა — უნდა დავასკვნათ, რომ „მარგიტე“ VI საუკუნის ნაწარმოებია.

§ 44. ელეგიისა და იამბიკის განვითარების საერთო გზები. VII — VI საუკუნეების ელეგიის განხილვამ დაგვანახა ჩვენ, რომ საკოლონიზაციო მოძრაობით გამოწვეული ბრძოლების წიაღში წარმოშობილი ელეგია (როგორც საბრძოლო სიმღერა) თანდათან აფართოებდა თავის თემატიკას და ძირითადი, საბრძოლო, მოტივის გვერდით იჩენდა

ახალს, ბოლოს და ბოლოს, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოტივებს: ელეგია გადავიდა ცხოვრების ავკარგიანობის საკითხებზე, კარგისა და ცუდის გარჩევაზე და მკაფიოდ გამოთქმული დარიგებებით ცდილობდა გამოეყვანა ადამიანი ცხოვრების სიღუბლიდან. ხსნას ამ სიღუბლისაგან ზოგიერთი პოულობდა სიყვარულსა და მეგობრობაში (მიმნერმე), სხვები ლხინსა და განცხრომას ჰქადაგებდნენ (მიმნერმე, თეოგნიდე), ხოლო ზოგიერთენი სამართლიანობასა და კეთილშობილ ქვეყანაზე ამყარებდნენ იმედებს (სოლონი). ამგვარი დარიგებებით გამოდიოდნენ ელეგიკოსები როგორც კერძო ადამიანის მიმართ, ისე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების სფეროშიც.

იგივე გზა გამოიარა იამბიკურმა პოეზიამაც. თავდაპირველად ისიც წარმოიშვა როგორც საბრძოლო და მტრის განმაქიქებელი სიმღერა (არქილოქე), ხოლო შემდეგ პირადი და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხებზედაც გადავიდა (სოლონი, სემონიდე), ოღონდ იმ განსხვავებით ელეგიისაგან, რომ იგი (იამბიკა) ზოგჯერ სატირიკულ კილოს იშველიებდა. ეს უკანასკნელი, სატირიკული კილო და დაცივნის მოტივი, ბოლოს, გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს იამბიკაში (ჰიპონაქტე).

იამბიკის სატირიკულმა კილომ, თავისი მხრით, გავლენა მოახდინა ელეგიაზე, და ჩვენ ვამჩნევთ (თუმცა ეს ნაკადი ძლიერი არ არის ძველად), რომ ელეგიაც ითვისებს დაცივნის მოტივს. რომ ელეგიისთვისაც უცხო არ არის დაცივნის მოტივი, ამას ამტკიცებს VI საუკუნის ზოგიერთი ელეგიკოსის ლექსთა ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები.

გნომური პოეზიის წარმომადგენელი დინჯი დარიგებების გვერდით იძლეოდნენ დაცივნის კილოთი გამოთქმულ მოკლე ნაკვესებს.

ასე, მაგალითად, დემოდაქე ამბობს:

„ესეც თქვა ფოკილიდემ: ლეროსელნი ბოროტნი არიან; ისე კი არა, რომ ეს ბოგეგენნი“.

ფოკილიდესაც მოეპოვება ანალოგიური გამონათქვამი:

„ესეც თქვა ფოკილიდემ: ლეროსელნი ბოროტნი არიან; ისე კი არა, რომ ეს ბოროტია და ის არა, არამედ ყველანი, გარდა პროკლესი; მაგრამ პროკლესე ლეროსელია“.

მართალია, ძველი ელეგიისათვის დამახასიათებელი არ არის ეს კილო, მაგრამ თვით ფაქტი იამბიკის გავლენისა ელეგიაზე დამახასიათებელია იმ საერთო გზისა, რომლითაც ვითარდებოდა ლირიკის ეს ორი უძველესი დარგი.

განვითარების ამ საერთო გზაზე ელეგიაში, ბოლოს, გნომურ-სენ-

ტენციური მიმართულება გაბატონდება და ელევია გვიან საუკუნეებში გარდაიქცევა ცარიელ ფორმად (ელევგიურ დისტიქად) და შერჩება ეპიგრამატულ ჟანრს.<sup>1</sup> იამბს კი შერჩა ყველა ის მოტივი, რომლებიც წინათ ელევიასა და იამბს ჰქონდა.

ამგვარად, ელევია და იამბი, ერთსა და იმავე დროს წარმოშობილი და იმავე მოტივების მქონე, VI -- V საუკუნეებში ერთმანეთს დაშორდნენ და გაბატონდა იამბი როგორც ჟანრი და როგორც მეტრული ფორმა: VI -- V საუკუნეების წამყვანი მხატვრული ჟანრი (დრამა: ტრაგედია და კომედია) უპირატესად იამბს ხმარობს. თუ ჩვენ ელევიისა და იამბიკის განვითარების ამ გზებს გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ ელევიის არაბერძნულ წარმოშობას, შეიძლება იმ ჰიპოთეზას დავადგეთ, რომ უცხოური წარმოშობის ელევია (მისი უცხოური წარმოშობის დაქტილური ჰეგზამეტრ-პენტამეტრი) შესცვალა ბერძნული წარმოშობის იამბმა (როგორც ჟანრმა და როგორც მეტრულმა ფორმამ), რომ იამბიკა ელევიას იმ მხრით კი არ უპირისპირდებოდა, რომ პირველი დაციწვითი პოეზია იყო და მეორე დინჯი და აღზევებული, არამედ იმ მხრით, რომ ელევია უცხოურ დარგს წარმოადგენდა და იამბიკა — ბერძნულს, ამას ადასტურებს ორი გარემოება: 1. ელევიაც და იამბიკაც ერთისა და იმავე მოტივების მქონეა; 2. იამბი ერთადერთი სალექსო საზომია, რომელსაც ხმარობს ტრაგედია თავის ძირითადს, სადიალოგო ნაწილში; ტრაგედიას კი დაციწვის მოტივთან არავითარი კავშირი არა აქვს.

---

<sup>1</sup> ეპიგრამას ბერძნები ხმარობდნენ უძველესი დროიდან. „ეპიგრამა“ ნიშნავს „წარწერას“ და იგი ორნაირია: „საფლავისზედა“ და „შეწირვითი“. პირველი იჭრებოდა საფლავის ქვებზე და იმით გამოხატავდნენ მიცვალებულის შექებას; მეორე იწერებოდა ვისიმე ხსოვნის პატივსაცემად აღმართულ ძეგლზე და გადმოსცემდა იმ პირის ქებას, ვისდამიც იყო მიძღვნილი ძეგლი. ეპიგრამას ახასიათებდა სიმოკლე და სხარტულობა. უფრო გვიან ხანებში ეპიგრამას იყენებენ სხვა მოტივების დასამუშავებლადაც (ტრაგედიის მოტივი, დაციწვის მოტივი). სალექსო საზომად გამოყენებული იყო დაქტილური ჰეგზამეტრი, იამბური ტრიმეტრი და ელევგიური დისტიქი: უკანასკნელი გაბატონდა საბოლოოდ.

უძველეს ხანებში ეპიგრამები იწერებოდა ანთონიმურად: ასეთია, უმეტესად წარწერების სახით დაცული ეპიგრამები; ხოლო ლექსთა კრებულებში, ანთოლოგიებში, გადმოცემული ეპიგრამები სახელობითია, მაგრამ სახელობით ეპიგრამებში, რომლებიც როგორც მოსწრებული ნაკვეთები ფართოდ ვრცელდებოდა ზეპირი სახით, აეტრობის ვინაობა ხშირად იცვლებოდა და ნამდვილი აეტრობის ადგილს სხვა იჭრდა. ცნობილ პოეტთაგან განსაკუთრებით განთქმული იყო თავისი ეპიგრამებით სიმონიდეს ქეოსელი.

## თავი მეექვსე

### ლირიკა, მელიკა და ქორიკა

§ 45. ლირიკის ახალი დარგები. ელეგიისა და იამბიკის გარდა VII — VI საუკუნეებში საბერძნეთში განვითარდა აგრეთვე ლირიკის სხვა დარგები: მელიკა და ქორიკა. ეს ორი დარგი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: 1. მათი თემატიკა ერთი და იგივეა; 2. ლექსთწყობაც ერთსა და იმავე, სტროფულ სისტემაზე აქვთ აგებული; 3. ორივე დაკავშირებულია რთულ მუსიკალურ კომპოზიციასთან. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ 1. მელიკურ სიმღერებს ასრულებდა ცალკე პირი, ხოლო ქორიკულს — გუნდი და 2. ქორიკული სიმღერები, უპირატესად, განკუთვნილი იყო შესასრულებლად საერო დღესასწაულზე, მელიკური კი — კერძობითი შემთხვევებისათვის ითხზებოდა; ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ მათ უწოდებდნენ პიროვნულ მელიკას და ქოროსმიერ მელიკას.

ელეგია და იამბიკა აღმოცენდნენ და განვითარდნენ იონიურ საბერძნეთში, მელიკა და ქორიკა — საბერძნეთის ეოლიურსა და დორიულ მხარეებში.

§ 46. ეოლიური მელიკის განვითარება. მელიკა წარმოადგენს ლირიკული პოეზიის იმ დარგს, რომელიც ინტიმური გრძნობების გამოსახატავად იყენებს ნაირმუხლიან ტაეპებზე აგებულსა და რთული მუსიკალური კომპოზიციის შემცველ სტროფულ სისტემას. ესე იგი, მელიკის დამახასიათებელი ნიშნებია შემდეგი:

1. იგი, უპირატესად, პოეტის ინტიმური გრძნობების ასახავად არის განკუთვნილი. სეედა და სასოწარკვეთილება, სიყვარული და მეგობრობა, ლხინი და განცხრომა — შეადგენდნენ მის თემატიკას. ელეგიამ და იამბიკამაც, თავისი განვითარების გზაზე,

<sup>1</sup> მელიკა წარმოადგება ბერძნული სიტყვისაგან „მელოს“, რაც „სიმღერას“ ნიშნავს.

იგივე თემატიკა განავითარეს, მაგრამ მათი მხატვრული საშუალებები იმდენად მარტივი იყო, რომ მათ არ შეეძლოთ ჭეროვანი სიმძლავრით გადმოეცათ ის სიღრმე და მრავალფეროვნება, რომლებიც ინტიმურ გრძნობებს ახასიათებს. ელეგია და იამბიკა, მართალია, პირველ ხანებში მუსიკას იყენებდნენ, მაგრამ მალე ისინი წართმეითს რეციტაციასზე გადავიდნენ, რაც შეეფერებოდა აგრეთვე მათ ერთფეროვანსა და სადა მეტრულ საზომსაც.

2. მელიკა, განსხვავებით ელეგიისა და იამბიკისაგან, აგებულია არა ერთფეროვან ტაეპურ სისტემაზე, არამედ რთულ სტროფულ სისტემაზე. თუ, მაგალითად, იამბიკის სალექსო ერთეულს წარმოადგენდა ექვსი იამბისაგან ან რვა ტროქეისაგან შემდგარი ტაეპი, რომელიც ლექსში თავიდან ბოლომდე ერთგვარად მეორდებოდა. მელიკის სალექსო ერთეული იყო სტროფი, რომელიც რამდენიმე (ჩვეულებრივ, ოთხი) ტაეპისაგან შედგებოდა; სტროფის შემადგენელი ტაეპები კი შეიცავდნენ სხვადასხვანაირ მუხლებს. სხვადასხვაგვარი მუხლების გამოყენება, ცხადია, მეტ სიცხოველესა და ძალას ანიჭებდა ლექსში ასახულ გრძნობებს.

3. მელიკასთან დაკავშირებულია რთული მუსიკალური კომპოზიციის ელეგია და იამბიკა მარტივსა და ერთფეროვან ლექსწყობაზე იყო აგებული და მაშინაც კი, როდესაც ისინი მუსიკას მოითხოვდნენ, ეს მუსიკა მარტივი იყო; პოეტ-ელეგიკოსს, მაგალითად, უკვე ჰქონდა მზად სამუსიკო შაბლონი, რომელსაც ის უფარდებდა თავის სიტყვებს. პოეტ მელიკოსს კი ასეთი შაბლონური მუსიკა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან ის თავის ლექსს სხვადასხვა შემთხვევისათვის, სხვადასხვა ხასიათის გრძნობის გამოსახატავად, ნაირნაირ სტროფებზე აგებდა: როგორც ნაირნაირი და რთული იყო მეტრული აღნაგობა, ისევე ნაირნაირი და რთული იყო მუსიკალური კომპოზიციაც; პოეტი-მელიკოსი ყოველი ცალკეული სტროფული კომპოზიციისათვის თხზავდა სპეციალურ მუსიკას. ამგვარად, მელიკოსი პოეტი ამავე დროს კომპოზიტორიც იყო.

როგორც ვხედავთ, მელიკას უკავშირდება მეტად რთული და მრავალფეროვანი მუსიკა; იგი შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ისეთ მხარეში, სადაც ხალხი მუსიკალურად განვითარებული იყო. ასეთ ბერძნულ მხარედ ითვლებოდა ეოლია, რომლის კომპოზიტორები და სამუსიკო საკრავების ოსტატები საბერძნეთის სხვა მხარეებშიც სახელგანთქმული იყვნენ. მათ იწვევდნენ იქ საერო დღეობებში მონაწილეობის მისაღებად, მუსიკის მასწავლებლებად და კარის მგოსნებად.

მელიკური პოეზიის წარმომადგენელთაგან ჩვენამდე მოაღწიეს VII — VI საუკუნეთა ლესბოსელმა პოეტებმა ალკეოსმა და

ს ა ფ ო მ და იონიელმა ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ მ ა. მაგრამ მათზე უწინარესაც, მათ დროსაც და მათ შემდეგაც იყვნენ სხვა პოეტები, რომლებიც თავის დროზე არანაკლებ სახელგანთქმული ყოფილან, ზოგი კიდევ აღემატებოდა მათ.

§ 47. კუნძული ლესბოსი VII — VI საუკუნეებში. ალკეოსი და საფო ლესბოსელები არიან და VII საუკუნის დასასრულსა და VI ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდნენ. ამ დროს კუნძული ლესბოსი, ისევე როგორც საბერძნეთის სხვა მხარეები, საერთო ბერძნულ საკოლონიზაციო მოძრაობაში იღებდა ფართო მონაწილეობას და სხვებთან ერთად იბრძოდა უკეთესი ეკონომიური მომავლისათვის. ამ ნიადაგზე ის მეტოქეობას უწყვედა, მაგალითად, ათენს პელესპონტის (ახლანდელი დარდანელის) შესავალი კარის, სიგეიონის გამო, რომელიც 600 წლის მახლობელ ხანებში ათენელებმა დაიპყრეს. ამ ნიადაგზევე აიხსნება გააფთრებული ბრძოლა არისტოკრატისა და დემოსის შორის.

როგორც საბერძნეთის სხვა კუთხეებში, ლესბოსზედაც დემოსი ხშირად ჩაიგდებდა ხოლმე ხელში ძალაუფლებას მის მიერ არჩეული ხელმძღვანელის (ტირანის) შემწეობით. ეს ხელმძღვანელები, გამარჯვებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ზოგჯერ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ არისტოკრატთა წინააღმდეგ, ეს უკანასკნელნიც ცდილობდნენ დაემხთ ტირანების ბატონობა. ორივე პოეტს ამ ტირანების დროს განუცდია დევნა, სხვა არისტოკრატებთან ერთად, და სამშობლოსაგან შორს გახიზნულან.

კუნძული ლესბოსი კულტურულად დაწინაურებული მხარე იყო. გარდა იმისა, რომ ის იყო მემკვიდრე ძველი ეოლიისა, სადაც თავისი დამთავრებული სახე მიიღო იონიაში აღმოცენებულმა ეპიკურმა პოეზიამ, ის იყო აგრეთვე ის ქვეყანა, სადაც ხალხმა, უაღრესად მუსიკალურმა, ეპოსის მასალის საფუძველზე ლირიკული სიმღერები შექმნა იმავე მიზნებისათვის, როგორისთვისაც იონიამ ელეგია და იამბიკა შექმნა.

VII—VI საუკუნეთა ლესბოსზე არისტოკრატისა და დემოსის შორის წარმოებულ ბრძოლაში არისტოკრატიული მისწრაფებები მძლავრობდნენ და, თუ სპარტასავით სამხედრო-არისტოკრატიული არა, ყოველ შემთხვევაში ოლიგარქიულ-არისტოკრატიული იერი საზოგადოებრივი ცხოვრებისა იყო დამახასიათებელი ლესბოსისათვის. პოლიტიკური ცხოვრების მეთაურ არისტოკრატ მამაკაცთა განცალკევებული დარაზმვის გვერდით ვხედავთ არისტოკრატ ქალთა დაჯგუფებასაც ცალკე წრეებად. ამან მისცა ლესბოსელ ქალს საშუალება თავისუფალი მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ფართოდ გაეშალა თავისი ნიჭი და უნარი (როგორც ვიცით, ათენში ქალი მოკლე-

ბული იყო ასეთ საშუალებას: ის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მის ხაქმედ ითვლებოდა მხოლოდ „საჩივრი და თითისტარი“).

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ პირობებში მოუხდათ მოღვაწეობა ა ლ კ ე ო ს ს ა და ს ა ფ ო ს.

§ 15. ალკეოსი. ალკეოსი ეკუთვნოდა მიტილენის არისტოკრატიულ წრებს. მისი მოღვაწეობის აყვავების დრო ეკუთვნის 598 წლის მახლობელ ხანებს. ის სიგეიონის გამო ათენელებთან წარმოებულ ომში იღებდა მონაწილეობას და ამ ომში ფარაც დაუკარგავეს. სხვა არისტოკრატებთან ერთად იბრძოდა ტირანების, მელანქრეს და მირსილეს წინააღმდეგ, მირსილეს გამარჯვების შემდეგ გაიქცა მიტილენიდან და ცხოვრობდა ქალაქ პკრაში (იმავე ლესბოსზე). უფრო გვიან, როდესაც განახლებული საშინაო ბრძოლის დროს დემოსის ხელმძღვანელმა პიტაკემ გაიმარჯვა, არისტოკრატიის მეთაურები, ალკეოსი და მისი ამხანაგები, გაქვევებულ იქნენ და მეზობელი ქვეყნების სამხედრო სამსახურში შევიდნენ; რამდენიმე წლის შემდეგ პიტაკემ აწინააღმდეგა და ალკეოსიც თავის სამშობლოში დაბრუნდა.

ა ლ კ ე ო ს ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი. ალექსანდრიელმა ფილოლოგოსებმა ალკეოსის ლექსები თემების მიხედვით დაალაგეს შემდეგნაირად: 1. ჰიმნები ღმერთებისადმი, 2. საბრძოლო სიმღერები, 3. სატრფიალო სიმღერები, 4. სუფრული სიმღერები (ანუ სკოლიონები).

ჰ ი მ ნ ე ბ ი. ალკეოსის ჰიმნთაგან ჩვენამდე მოღწეულია ნაწყვეტები აპოლონის, ჰერმესის, ათენას, ჰეფესტოს და დიონისეს ჰიმნებისა.

ფრგ. 1. აპოლონ მეფე, დიდი ზევსის ძეო!

ფრგ. 2. გიხაროდეს კვლენის მბრძანებელი! ჩემი სული მიისწრაფვის გიმღეროს შენ, რომელც ოლიმპოს მწვერვალებზე დაგბადა კრონიდესთან, ყოველთა მეფესთან, შეუღლებულმა მიაამ.

ჰიმნები ორგვარი იყო: ისინი ან მხოლოდ ლოცვებს წარმოადგენდნენ, ღვთაებისადმი მიმართულს, ან ლოცვით მიმართვის შემდეგ შეიცავდნენ აგრეთვე ამ ღვთაების თავგადასავლის რომელიმე ეპიზოდის გადმოცემას, მსგავსად ჰომეროსის ჰიმნებისა.

ალკეოსის ჰიმნები მიმართული იყო არა მარტო ღმერთებისადმი, არამედ გმირებისადმიც.

ფრგ. 14. აქილეუსი, მბრძანებელი სკვითის ქვეყნისა:

ფრგ. 15. მეუფე კრონიდეს მოდგმას აიანტს, რომელიც, აქილეუსის შემდეგ, უმამაცესი გმირი იყო.

ბოლო ხანებში აღმოჩენილ ნაწყვეტებს შორის არის ერთი, რომელიც წარმოადგენს ჰიმნს დიოსკურებისადმი, კასტორისა და პოლიდეკესადმი (ზევისისა და ლედას ტყუპი ვაჟებისადმი). როგორც ცნობილია, დიოსკურები ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ ბრძოლაში მშვე-



ლელებად, განსაკუთრებით ზღვაში; გაქირვების ყამს, აბობოქრებული ზღვის ტალღებში მეზღვაურები ღამით რომ დაინახავდნენ ტყუპ თანავარსკვლავედს, მათ იმედი მიეცემოდათ; ალკეოსიც სთხოვს დიოსკურებს: დასტოვეთ ოლიმპო და გამოემართეთ ჩვენ საშველად, რომ თქვენი შუქის მოფენით გადავარჩინოთ განსაცდელში მყოფი ნავიო. აქ იგულისხმება განსაცდელში მყოფი არისტოკრატია, რომელსაც ასუსტებს გამარჯვებული დემოსი.

ამგვარად, ალკეოსის ჰიმნები უკავშირდება მის საბრძოლო სიმღერებს, ისევე როგორც სკოლიონები, სუფრული სიმღერების სახით, გაბატონებული ტირანების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო განკუთვნილი.

ს ა ბ რ ძ ო ლ ო ს ი მ ლ ე რ ე ბ ი. რომელი პოეტი ჰორაციუსი ალკეოსს, განსაკუთრებით, საბრძოლო სიმღერებს უქებს: ოქროს პლექტრით მღერი შენ, ალკეოს, ამბობს ჰორაციუსი, ზღვის ჭირვარამზე, ლტოლვაზე, ომის სიძნელებზე, უფრო ხარბად ისმენს ნალხი შენს სიმღერებს ბრძოლებზე და ტირანების გაძევებაზე. მართლაც, ყველაზე მეტი ნაწყვეტი ალკეოსის ლექსებისა საბრძოლო ხასიათისაა, ალკეოსი დაუძინებელი მტერია ტირანებისა და გესლიანად ლაპარაკობს მათზე როგორც ნაძირალებზე; საჭიროა მათთან დაუძინებელი ბრძოლა (მელანქრესთან, მირსილესთან, პიტაკესთან). პოეტი მოუწოდებს თავის ამხანაგებს იარაღი მზად ჰქონდეთ, თვით იარაღსაც უმღერის ჰიმნს და ჭებას ასხამს ბრძკვივალა მუზარადას, სპილენძის საბარკულებს, სქლად დაგრეხილი სელის ჭავშანს, მრგვალ ფარსა და ქალკიდურ ხრმალს (54. ფრგ). ალკეოსი მოუწოდებდა გარეშე მტერთან საბრძოლველადაც და თვითონაც მონაწილეობდა ამ ბრძოლებში. როგორც ტირტეოსი და სოლონი ელეგიებში (და იამბებში) თავიანთ პოლიტიკურ აზრებს ჰქადაგებდნენ, ასე ალკეოსიც თავის მელიკურ სიმღერებს პოლიტიკური ბრძოლისათვის იყენებდა.

ფრგ. 39. ახლა საჭიროა დავითერეთ და სხვებსაც მოუწოდოთ დალიონ, რადგან მოკვდა მირსილე.

ფრგ. 35 ბ. ეს თხოვნაც შემოიწყნაროს ზევსმა: ელვით გვანიშნა, რომ ხალხს, წინათ ტანჯვაში მყოფს, კვლავ შეუძლებუქდება უღელი. ახლა ზევსს ამას ვემუდარები: ნუღარ იხილავს მზის შუქს ნურავინ წყეულ კლვანქტილთავან, ნურც ჰირადელი, ნურც არქენაქტილი: მაშინ მაცხოვარს (ზევსს) ჰვ ისევ სიამოვნებით შეეწირავ მსხვერპლს, როგორც მირსილეს დაღუპვის დროს.

ფრგ. 54. სპილენძისაგან განათებულია დიდი სახლი: ის მთლიანად მორთულია აგრესისათვის ბრძკვივალა მუზარადებით: ირხევიან მათი თეთრი ბიბილოები. ვაეკაცთა სამკაული; ლურსმანზე ჩამოკიდებულია სპილენძის ბრძკვივალა საბარკულები, რომლებიც იცავენ (აღამიანს) მწარე შუბისაგან: ახალი ჭავშნები სელისა და ამობურცული ფარები აქვე ყრია. იქვეა გვერდით ქალკიდური ხრმლები, სარტყლები და

სათქმურები. არ უნდა დავივიწყოთ ესენი, როდესაც შევეუდგებით (საბრძოლო) საჯგებს.

ალკეოსი იბრძოდა ლესბოსის არისტოკრატიის ინტერესებისათვის და თავის ლექსებში დაუნდობლად ლანძღავდა მოწინააღმდეგეს. ძველებსათვის ალკეოსი სწორედ ასეთი ლექსებით იყო ცნობილი, ჰორაციუსისათვის, მაგალითად, ალკეოსის შემოქმედებაში დამახასიათებელია მისი „მრისხანე სიმღერები“ (minaces camenae: „ოდები“ IV, 9).

ლესბოსის არისტოკრატია და მისი ერთ-ერთი მეთაური ალკეოსი ამ ბრძოლაში დამარცხდა. დამარცხებული არისტოკრატია ღვინოსა და განცხრომაში ეძებს ნუგეშსა და ხსნას. და ალკეოსიც, პირველი პოეტთა შორის, ჰქმნის ლიტერატურულ „სუფრულ სიმღერას“ (სკოლიონს).

სკოლიონები („სუფრული სიმღერები“). ალკეოსი ღვინოში ეძებს წამალს იმ შხამისაგან, რომელიც მას პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებამ არგუნა. „არ არის საჭირო — ამბობს ის — სასოწარკვეთილებას მივეცეთ: ეს ვერ მოგვარჩენს ჩვენ, ო ბახუს! საუკეთესო წამალია — ღვინით დავითვრეთ“ (91. ფრგ). ღვინოში ჰპოვებს ალკეოსი ნუგეშს ყოველგვარი დარდისათვის, და ღვინით იკლავს წყურვილს ზაფხულში და თბება ზამთარში.

ფრგ. 94. ღვინით დაისველე ყელი: მზე თავის მწვერვალზეა! აუტანელი სიცხვა. ყველაფერი იხრჩობა წყურვილით. მხოლოდ კრიკინა მღერის... და ოქროშალა ყვავის. ამ დროს ქალები ავხორცინი არიან, კაცები კი მოღუწებულნი, რადგან სიროსი თავსაც ახურებს და მუხლებსაც სწვავს.

ფრგ. 90. ზევის წვიმას გზავნის; ციდან სუსხმა დაბერა. წყლები გაიყინა. გააგდე ყინვა: ცეცხლი დაანთე, თაფლივით ღვინო კარბად დაასხი და თავი მიაყრდნე ბალიშს.

სკოლიონებში ალკეოსი ისევე ფიცხი და მრისხანეა, როგორც „საბრძოლო სიმღერებში“, იქ მოცემული სურათები მარტივი და ლამაზია; ამ სიმარტივით ხიბლავს ის მკითხველს ისევე, როგორც თავის დროზე ხიბლავდა ის მსმენელს.

სატრფიალო სიმღერები. ალკეოსის სატრფიალო სიმღერებს ჰორაციუსი სთვლიდა ალკეოსის შემოქმედების არა ძირითად ნაწილად („ოდები“, I, 32).

სატრფიალო სიმღერები რომ ალკეოსის შემოქმედების დამახასიათებლად არ ითვლებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენამდე მოღწეულ ლექსთა შორის ტრფობის მოტივის შემცველად მოყვანილია მხოლოდ შვიდი თითოტაეპიანი ნაწყვეტი, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება სკოლიონებს ეკუთვნოდეს.

- ფრგ. 63. იისფერ ნაწნავიანო, ტკბილად მოლიმარო უმანკო საფო.  
 ფრგ. 64. მე ვერ ვიპოვი ამის დამადასტურებელთ.  
 ფრგ. 65. მიმრღე სალხინოდ, გთხოვ, მიმრღე — გემუდარები.  
 ფრგ. 66. ძვირფასო ყრმავ, ღვირო და ქეშმარიტება...  
 ფრგ. 67. მე უბედორი. მონაწილე უმძიმეს ბოროტებათა...  
 ფრგ. 68. კვაროს-შობალს (აფროდიტეს) ხელში ჩავევარდი.  
 ფრგ. 69. ყვავილი ნაზი ხილისა.

არსებობს გადმოცემა, რომ ალკეოსს საფო უყვარდა. ამ სიყვარულს ეხება ფრგ. 63; ამ ფრაგმენტის გაგრძელებაც მოჰყავთ და საფოს პასუხიც.

ალკეოსი: იისფერ-ნაწნავიანო, ტკბილად მოლიმარო უმანკო საფო მსურს რაღაც გითხრა, მაგრამ მრცხვენია.

საფო: თუ გსურს რაღაც კარგი და წმინდა და ენას ცული არაფერი შეურევია სათქმელად, თვალებს ნუ დახრი დარცხვენით და თქვი სიმართლე (Diehl, Anthologia lyrica IV, გვ. 386).

ეს გადმოცემა საყურადღებოა იმით, რომ ალკეოსის შემოქმედებაში საპატიო ადგილს უთმობს სიყვარულის მოტივსაც, მაგრამ ცხადია, რომ ალკეოსი პირველ რიგში მეომარი პოეტი იყო: ამაყი არისტოკრატი თავისი წოდების ინტერესებისათვის იბრძოდა მახვილითაც და მელიკური სიმღერებითაც. ძირითადი საბრძოლო სიმღერების გვერდით მან შექმნა სკოლიონები, რომლებშიც არსებითად იმავე პოლიტიკურ მოტივს ავითარებდა პოეტი, ოღონდ სხვა სახით, სუფრაზე სამღერი ლექსების სახით.

მეორე ლესბოსელმა პოეტმა კი, საფომ, თავის შემოქმედებაში უპირატესი ადგილი დაუთმო სატრფიალო მოტივს და საგნად გაიხადა ქალის გრძნობა და ხვედრი, მისი ბედი და უბედობა.

§ 40. საფო. ძველი ელინები უდიდეს ბერძენთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ საფოს და სთვლიდნენ მას არაჩვეულებრივი ნიჭის მგონად, რომელმაც ზეციურ სიმაღლემდე აიყვანა ადამიანის უსათუთესი გრძნობა, გრძნობა ტრფობისა, და უმღერა მას უტკბესი მელოდიით.

საფოს სამშობლო იყო ლესბოსის ქალაქი ერესო; თავისი ცხოვრება კი გაატარა ლესბოსის კულტურულსა და პოლიტიკურ ცენტრში, ქალაქ მიტილენში. საფო ეკუთვნოდა არისტოკრატთა წრეს. VI საუკუნის პირველ წლებში საფო მიტილენიდან სიცილიაში გაქცეულა, არისტოკრატთა დევნის დროს.

საფოს ლექსებში არავითარი კვალი არაა იმისა, რომ მას მიტილენის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიეღოს მონაწილეობა, ასე რომ მის განდევნას მიტილენიდან ვერ მივაწერთ მის პოლიტიკურ ბრძოლას. შეიძლება ის გადასახლებაში გაჰყვა თავის ქმარს, ლესბოსელ არისტოკ-

რატს, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლების დროს დევნა განიცადა (მისი სახელი ჩვენთვის ცნობილი არაა). 580 წლის მახლობელ ხანებში, როდესაც პიტაქემ ამინისტია გამოაცხადა, საფო ქმართან ერთად დაბრუნდა მიტილენეში.

საფოს დროს ლესბოსზე თავისებური იყო ქალის მდგომარეობა (იხ. ზემოთ, § 47). განსხვავებით საბერძნეთის სხვა კუთხეებისაგან ლესბოსზე ქალები ფართო მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ისინი აარსებდნენ ჯგუფებს და, რადგან ლესბოსზე ამ დროს განსაკუთრებით განვითარებული იყო მუსიკა და პოეზია, ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უპირატესად, მუსიკალურ-ლიტერატურული წრეების შექმნაში გამოიხატებოდა. ამ წრეებს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი პოეტი ქალები, რომელთა გარშემო იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ქალიშვილები: ამგვარად, იქმნებოდა სკოლები გარკვეული მხატვრული და პოეტური მიმართულებისა, ისინი, ერთიმეორეს ეცილებოდნენ წვერთა შერჩევაში და გადაბირებაში. წრის წევრები, მეთაურები და დობილები, მეტად დაახლოვებული იყვნენ ერთმანეთთან: დობილის ბედნიერება მეთაურის ბედნიერება იყო და მეთაურიც ცდილობდა დობილის ცხოვრება ბედნიერად მოეწყო. თავის გრძნობებს ერთმანეთისადმი წრის წევრები გამოსთქვამდნენ თავიანთ ლექსებში, რომლებიც უალრესად ნაზი გრძნობებით იყო გამთბარი.

ერთ-ერთი ასეთი წრის ხელმძღვანელი იყო საფოც. უფრო მეტის თქმაც შეიძლება; საფოს წრე ყველა დანარჩენებზე უფრო დაწინაურებული იყო და ლესბოსის გარეთაც სახელგანთქმული; მასთან შეჯიბრებასა და მეტოქეობას სასახლოდ სთვლიდნენ თავისთვის სხვა წრეების ხელმძღვანელი ქალები, რომელნიც სიხარულით ცას სწვდებოდნენ ხოლმე, როდესაც ისინი საფოს დობილების გადაბირებას მოახერხებდნენ. თავის ასეთ მეტოქეთაგან საფო კიდევაც ასახელებს ორს: ანდრომედასა და გოგოს.

საფოსათვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო დობილისთვის მღერა, მისი მწუხარების გაზიარება და მისი ბედნიერებისათვის ზრუნვა. მას სიამოვნებას გვრიდა ის ტანჯვა, რომელსაც განიცდიდა დობილისადმი სიყვარულის გამო: ვინც უფრო მეტად უყვარდა, ის უფრო მეტ ტკივილებს აყენებდა მას, მაგრამ ოქროსთმიან ელენეს ედარებოდა ასეთი დობილი, და საფო მოუწოდებდა მას — გვირგვინით მორთე შენი ლამაზი კულულები: ასე მორთული ნეტარ ღმერთთა გულსაც დაიმორჩილებ, მოურთავი კი ეზიზღებათ ღმერთებსო. საფო მოუწოდებდა თავის დობილს — რძისფერი კაბა ჩაიცვი, ისეთი მშვენიერი ხარ იმაში, რომ ყველანი აღტაცებაში მოგყავსო. დობილთაგან საფოს ზოგი თავის სინაზით იზიდავდა, ზოგი — სილამაზით; ზოგში მას ხიბლავდა

ტკბილი ხმა, ზოგისა — სიბრძნე. ზოგჯერ ექვიან საფოს ერვენებოდა, რომ დობილს ის არ უყვარდა: მაშინ ის საყვედურით მიმართავდა მას და, თუ საყვედური არ გასჭრიდა, აძაგებდა, მაგრამ ეს ძაგებაც ნაზი სიყვარულით იყო გამოთქმული; თუ ესეც ფუჭი აღმოჩნდებოდა, მაშინ აფროდიტეს მიმართავდა ლოცვითა და მუდარით. ასე ცხოვრობდა საფო დობილებისადმი სიყვარულით, უამისოდ არ არსებობდა მისთვის სიცოცხლე: როგორც სავსე მთვარის გამოჩენა მაშინვე ანელებს ვარსკვლავთა კაშკაშს, ისე საყვარელი დობილის (ატილდის, გონგილას, ღიკას, მნასიდიკას ან გვრინოს) დანახვა უმაღლე ავიწყებს საფოს ყველაფერს და იგი ბედნიერზე უბედნიერესია.

ფრგ. 11. ამ ტკბილ სიმღერებს ჩემს დობილებს ახლა ვუმღერებ მე ნეტარებით.

ფრგ. 12. და გრძნობა ჩემი თქვენდა მიმართ, დობილნო ჩემნო, უცვალებელი [ნუღამ იქნება]...

ფრგ. 80. ნაზი გვირგვინით, დრკავ ხემო, თმეზი შეიმეკ, სათუთი ხელით დასწან იგი ცერეცოს რტოთაგან: ლამაზად შექუულს სიამოვნებით უყურებენ ნეტარი ქარიტები, უგვირგვინოს კი ზურგს შეაქცევენ.

ფრგ. 36. გემულარები, გონგილა, გვეჩვენე რჩისფერი კაბით. ასეთად შორთულს ტრფობის სული ზედ დაგტრიალებს. ვინც შენ გიხილავს [ასეთ კაბაში], ხარობს უზომოდ; მეც იხიარია.

ფრგ. 63. მნასიდია უფრო ლამაზია, ვიდრე ნაზი გვრინო.

ფრგ. 91. [მიყვარს] ქალწული ტებილზნიანი.

ფრგ. 60. ვფიქრობ, მზის ნათელს არასოდეს არ უხილავს ქალწული ესოდენ ბრძენი.

ფრგ. 18. .... იქნებ ვინმე სხვა აღამიანთაგან შენ უფრო გიყვარს?

ფრგ. 137. კვლავ მაშფოთებს სახსრების ნომდუნებელი ეროსი, უძლეველი ტებილზნიანი ქვემძრომი: ატილდავ, შენი ფიქრები შორს არიან, მე აღარ გახსოვარ ანდრომედასკენ მიისწრაფვი.

ფრგ. 61. რომელმა დედაკაცმა ნოაჯადოვა შენი გონება? ალბათ ისეთმა, რომელმაც კაბის ჩაცმაც არ იცის...

საფოს ამგვარმა ტრფობამ დობილებისადმი საბაბი მისცა ზოგიერთებს (როგორც ძველი საუკუნეების ბერძნებსა და რომაელებს, ისე განსაკუთრებით ახალი საუკუნეების მკვლევართ) წამოეყენებინათ დებულება, თითქოს საფო გარყვნილი ქალი ყოფილიყოს. მაგრამ ეს დებულება ყოვლად უსაფუძვლოა.

ს ა ფ ო ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. ჩვენ მოგვეპოვება საფოს ლექსთა 160 ფრაგმენტამდე, რომელთა დიდი ნაწილი მეოცე საუკუნეშია ნაპოვნი. საფოს ლექსთა ნაწყვეტების შემცველ პაპირუსთა აღმოჩენამდე ჩვენ ვიცნობდით ორ მთლიან ლექსს, პაპირუსებმა კი შეგვიძინეს ხუთი ახალი ლექსი, თითქმის მთლიანად ან იმდენად კარგად შენახული, რომ მათი შინაარსიცა და ხასიათიც გასაგებია.

ალექსანდრიელ მეცნიერთ საფოს ლექსები ცხრა წიგნად დაუყვანათ, სალექსო საზომების მიხედვით. შინაარსის მიხედვით კი საფოს ლექსები სამ ჯგუფად განიყოფება: 1. ჰიმნები, 2. სატრფიალო სიმღერები და 3. საქორწინო სიმღერები, ანუ ეპითალამიები. ამ დაყოფას სამ ჯგუფად საფუძვლად უდევს მათი დანიშნულება (1. ღმერთთა კულტისათვის განკუთვნილი სიმღერები, 2. სატრფოსადმი მიმართული სიმღერები და 3. საქორწინო დღესასწაულათვის განკუთვნილი სიმღერები), ისე კი საფოს სიმღერები შინაარსით ერთადერთ, ტრფობის თემაზეა აგებული: საფოს პოეზია არის ტრფობის პოეზია.

ჰიმნები. თუ ალკეოსის შემოქმედებაში საპატიო ადგილი ეჭივრა ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს, მით უფრო საფოს შემოქმედებაში საკულტო პოეზიას თვალსაჩინო როლი უნდა ჰქონოდა დათმობილი. ჯერ ერთი, ამას მოითხოვდა ტრადიცია წინაღობისა და ტრფობის ლირიკისა; მეორეც, ეს ემსახურებოდა ქალთა იმ წრეების ძირითად მოთხოვნილებას, რომელთაც, პირველ ყოვლისა, აფროდიტეს კულტი აერთიანებდა: წრეში შემოკრებილი დობილები თავიანთი უფროსი ამხანაგის (წრის მეთაურის) ხელმძღვანელობით აფროდიტეს სცემდნენ თაყვანს.

ამგვარი საკულტო სიმღერის ხასიათისაა, უთუოდ, საფოს ის ლექსი, რომელიც პირველი წიგნის თავში იყო მოთავსებული საფოს ლექსთა ძველ (ანტიკურ) გამოცემებში.

„ჰრელ ტახტზე მჯდომო უკვდავო აფროდიტე, ხლართთა მქსოველო ასულო ზევსისა, გთხოვ და გემუდარებ: გულს ნუ დამიჩაგრავ, დედოფალო, ჭმუნვითა და მწუხარებით, არამედ მოდი აქ, ისევე როგორც კვლავაც ჩემს შორეულ ძახილზე დაგიტოვებია მამაშენის ოქროს სასახლე და ჩემთან მოსულხარ. შენ ეტლს შეაბამდი ხოლმე: ლამაზი ფრთამარდი ბელურები გადმოგატარებდნენ ზეციდან შავ მიწაზე და ფრთების ფარფატიტ სჭრიდნენ ჰაერს. სწრაფად მოვიდოდნენ ისინი, შენ კი, ნეტარო, დიმილით უკვდავ სახეზე შემეკოთხებოდი ხოლმე: რა გაწუხებს, რა გაქვს სათხოვარი?“

ამ ლექსში ნახმარი ეპითეტები უეჭველს ხდიან, რომ ის აფროდიტეს ჰიმნს წარმოადგენს: ეპითეტები „ჰრელ ტახტზე მჯდომო“, „ხლართთა მქსოველო“, „ასულო ზევსისა“, „დედოფალო“ — ოფიციალური გამოთქმებია, აფროდიტესათვის განკუთვნილი საკულტო გამოთქმებია.

საფოს ჰიმნები არ წარმოადგენდა განყენებული ხასიათის საკულტო სიმღერებს: ისინი კონკრეტული შინაარსის შემცველნი არიან. პოეტი ელაპარაკება ღვთაებას ტრფობის ცეცხლით დამწვარი ქალის სახელით და თხოვნით მიმართავს მას. ზემოთ მოყვანილი ჰიმნი, მაგალითად, შემდგენაირად გრძელდება: „... შემეკოთხებოდა ხოლმე: „რა გაწუხებს, რა გაქვს სათხოვარი? საფო, ვინ უნდა მოგიყვანოს ტრფო-

ბისათვის პეითომ? რომელმა დობილმა მოგაყენა ტკივილი? თუ გაგეკცა, (არა უშავს), მალე მოგაშურებს; თუ შენი ძღვენი არ მიიღო, თვითონ მოგიტანს ძღვენს; არ უყვარხარ? (არა უშავს,) მალე შეგიყვარებს, თავისდა უნებურად“. ახლაც მოდი ჩემთან და მიხსენ მძიმე დარღებისაგან, ამისრულე ის, რისი შესრულებაც ჩემს გულს სწადია, მეოხ მეყავ!“

აფროდიტეს გარდა, სხვა ღმერთებსა და მუზებსაც მიმართავდა თავისი ჰიმნებით საფო: ჩვენამდე მოღწეულია ჰიმნი ჰერასადმი, მიმართვა ქარიტებისა და მუზებისადმი, და ადონისის ჰიმნის ნაწყვეტი.

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ი მ ღ ე რ ე ბ ი. საფოს ჰიმნები რიტუალური სიმღერები იყო, აფროდიტეს კულტისათვის განკუთვნილი. ისინი წარმოადგენდნენ იდეოლოგიურ დაგვირგვინებას საფოს კონკრეტული, ინდივიდუალური სატრფიალო სიმღერებისას, რომლებიც პოეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დობილებთან ურთიერთობაში აღძრულ გრძნობათა ასასახავად არაან დანიშნული და „სახსრების მომღუნებელი ეროსის“ ძალას გვიჩვენებენ.

ზოგს ცხენოსანთა ჯარი მოსწონს, ზოგს — ქვეითა ჯარი, ზოგი კიდევ ხომალდებსა და საზღვაო ჯარს სთვლის საუკეთესოდ; საფოს აზრით კი საუკეთესოა ის, რაც გიყვარს. ასე ფიქრობდა ელენეც: განა ცოტა. ლამაზ ვეჟაკს იცნობდა ის? მაგრამ ყველაზე ძვირფასი და საყვარელი მისთვის აღმოჩნდა ის, რომელმაც ტროა დაღუპა (ე. ი. პარისი); იმის გულისათვის მან დაივიწყა საკუთარი ქალიშვილიც და საყვარელი მშობლებიც: მას, შეყვარებულს, კიპრიდა (აფროდიტე) ჰყავდა გზის მაჩვენებლად. „აჲ — განაგრძობს საფო — მეც ვიგონებ ანაქტორიას: ყველაფერს მიჩრევნია დამანახა მისი რხევა და სახის ნაზი ნაკვთები (ეშმაკსაც წაუღია); ლიდიელთა ეტლებიც და აბჯარასხმული ცხენოსნებიც!“ (ფრგ. 27).

ანაქტორია საფოს დობილია, რომელსაც ის სხვა ლექსებშიც იხსენიებს. ასევე ვენებანი სიყვარულით ლაპარაკობს საფო თავის დანარჩენ დობილებზე და ამხანაგებზე: ათტიდა, ავალისი, გონგილა, ჰერო, დიკა, გვრინო, მნასიდიკა, არიგნოტა — რიგრიგობით გვევლინებიან საფოს სიმღერებში როგორც მისი ტრფობის საზრუნავნი. მათდამი ტრფობა ხშირად აღელვებს საფოს, ძილს უტეხს მას; მაგრამ ეს მხოლოდ ნეტარებას აგრძნობინებს. საფოსთვის ტრფობა განყენებული კატეგორია როდია: ის არის ადამიანის სიცოცხლის ერთ-ერთი უძლიერესი მოვლენა, რომელიც მოიცავს მის სულიერსა და ხორციელ მხარეს. საფო მუდამ იმის ოცნებაშია, რომ იხილოს ნაზი, ტკბილხმიანი და იისფერ-ნაწნავიანი სატრფო; მაგრამ, როდესაც ხედავს, გულის ძგერა უჩერდება ხოლმე აღელვებისაგან, ენა ებჰება და მთელ ტანში ყრუანტელი უვლის.

ფრგ. 2. მე მეჩვენება, რომ ღმერთთა სწორია ის კაცი, რომელიც შენ პირდაპირ ზას ახლოს და გისძენს ტკბილად მოსაუბრეს და მომხიბვლელად მოლიმარს. მკერდ-ქვეშ ველი მიშვითავეს, როდესაც გხედავ მოკლე ხნით, ისე რომ ხნის ამოღებასაც ვეღარ ვახერხებ. ენა მიჩლუნგდება; ნელო ცეცხლი მივლის მაშინვე ტანში; თვალებს ეკარგებათ მხედველობა, ყურებში მიწივის; ოფლად ვიღვრები, მთლად ვკანკალებ, ბალახზე უფრო მწვანე ვხდები: ცოტადა ნაეღია და, მგონი, უსულოდ დავეცევი, ჩემო ავალს!

სატრფო დობილის განშორება (გათხოვების ან სამშობლოში დაბრუნების გამო) ისეთ ტკივილებს აგრძნობინებს საფოს, რომ ის სიკვდილს ამჯობინებდა... მაგრამ მას აგონდება დობილთან გატარებული ნეტარი დრო და ანუგეშებს დობილსაც და საკუთარ თავსაც.

ფრგ. 96. გულწრფელად ვნატრობ, ნეტავი მკვდარი ვიყო. როდესაც მტოვებდა, ბევრი იტირა და ეს მითხრა: „საფო, რა მწარედ ვიტანეებით. როდი მინდა მე შენი მოშორება.“ მე კი მას ეუპასუხე: „კეთილი იყოს შენი მგზავრობა, და ნუ დამივიწყებ: ხომ იცი როგორ ვხრუნავდიო შენზე, თუ არ იცი, მე მოგაგონებ. განა დაგავიწყდა რა კარგად ვატარებდიო დროს? იებისა და ვარდების მრავალი გვირგვინი დაგიწავს შენ, ჩემთან რომ იყავი, და კულულები და ნაწნაეები შეგიმკვია; გაზაფხულის ყვავილების მრავალი კონა შეგიკრავს შენი სხეულის დასანშვენებლად. ბევრჯერ სამეფო ბრენტოსიდან დამზადებული მირონით დაგიზღვლია... რბილ საწოლზე მოვისვენია... ბევრჯერ ტაძარში (ყოფილხარ ჩვენთან ერთად), წმინდა ჭალაში და დღეობებზე...“

ეს ლექსი კონკრეტულად გვატყობინებს, თუ რაში გამოიხატებოდა სიამოვნება და ნეტარება წრის წევრებისა, რომელნიც საფოს გარშემო იყვნენ შემოკრებილნი; ყვავილების კრეფა, სხეულის მორთვა გვირგვინებით, წმინდა ადგილებში (ტაძარი, ჭალა) სიარული და დღეობებში მონაწილეობის მიღება, რბილ სარეცელზე განცხრომა. ამ დროს ტარებაში მუსიკასა და პოეზიას ეკირა მთავარი ადგილი.

საფოს სატრფილო სიმღერების თემა მარტო დობილებთან ურთიერთობა როდია. 152. ფრაგმენტში, მაგალითად, საფო ლაპარაკობს საკუთარ ქალიშვილისადმი სიყვარულზე, ხოლო 25- ლექსი, საკმაოდ კარგად დაცული ახლად აღმოჩენილ ოქსირინქოს პაპირუსში, მის ძმას, ქარაქსს, ეხება.

ვისაც არ უნდა ეხებოდეს საფოს სატრფილო სიმღერა, პოეტის გრძნობა სუფთა და უბიწოა, მაღალი და უანგარო, იმ თვისებების მქონეა, რომელთათვისაც მთელი ანტიკური სამყარო სთვლიდა საფოს ადამიანის უსათუთესი გრძნობების ამსახველად.

ს ა ქ ო რ წ ი ნ ო ს ი მ ღ ე რ ე ბ ი. რომ საფოს სატრფილო პოეზიის საფუძველი წმინდა და უმწიკვლო გრძნობა იყო და რომ დობილთა წრეს აერთიანებდა სათუთი ტრფობა და არა რაიმე უკუღმარ-



თი მიდრეკილება, ამას ადასტურებს საფოს მიერ. პირველად ბერძნულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ახალი ლიტერატურული სახე, ე პ ი თ ა ლ ა მ ი ე ბ ი („საქორწინო სიმღერები“).

საფოს უყვარს დობილები ეპეიანი და მტიცივეული სიყვარულით: ის განრისხდება ხოლმე, როდესაც მეგობარი უღალატებს, ხოლო ნეტარებას. როდესაც ხედავს ერთგულ დობილს, წკრიალახმიანსა და ყვავილებით შემკულს, კარგად ჩაქმულსა და მორთულს. მაგრამ დობილი იმიტომ არის ქალი, რომ მას დაუდგება დრო გათხოვებისა; ამ წმინდა საქმისათვის ემზადება დობილი საფოს წრეში ყოფნის დროს აქ იწვრთნება იგი ნაზ გრძნობათა აღქმაში და აფროდიტეს სამსახურში ყალიბდება ის, ვითარცა ქალწული. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საფოს დობილი გათხოვებაზე ფიქრობს; პირიქით, ის ქალწულად დარჩენას ფიქრობს:

ფრგ. 102. მე მუდამ დავრჩები ქალწულად.

მაგრამ საფო ქალის რეალურსა და ნორმალურ ცხოვრებაზე ფიქრობს და ამიტომ ბუნებრივია, რომ პოეტს, რომელმაც გამოწრთო დობილი უბიწო ტრფობის ბრძმედში, უნდა შეექმნა აგრეთვე ისეთი სიმღერებიც, რომლებითაც ის აიყვანდა დობილს ამ უმანკო გრძნობის რეალური განხორციელების საფეხურზე. და აი საფო, მართალია, გულისტყვივით, მაგრამ ისეთივე მზრუნველობით ისტუმრებს დობილს „საქორწინო სიმღერებით“ აფროდიტეს წრიდან ჰერას განკარგულებაში.

„საქორწინო სიმღერებში“ საფო გვიხატავს დობილის განცდებს გათხოვების წინ, აგვიწერს ამხანაგების ზრუნვას ჩაფიქრებულ დობილზე, რომელიც უნდა გამოეთხოვოს თავის სიქალწულეს, და ამხნევებს ნეტე-დედოფალს ქორწილის წინ და ქორწილის შემდეგაც. როგორც მოღწეული ნაწყვეტებიდან ჩანს, საფო ხშირად დილოგის სახით შლიდა თავის საქორწინო აზრებს და ამით ერთგვარი დრამატის მიმართ შექმნიდა გასათხოვარი ქალის განცდათა ასახვაში.

ფრგ. 131. სიქალწულე, სიქალწულე, სად მიდიხარ რომ მტოვებ? — არასდროს აღარ დავბრუნდები მე შენთან. აღაას დროს!

ფრგ. 116. ტუბილი ვაშლივით წითლად ღვივის ზედ მაღალ მწვერვალზე: მებაღეებს იგი დაეიწყებათ...

— კი არ დავიწყებიათ, ხელი არ მიუწყდათ.

ფრგ. 124. შვიდადლიანი ფეხები აქვს მეკარეს (მაყარს), სანდლები მისი ხუთლანიანი. ათსა მეწალეს შეუყვარია.

ფრგ. 12. მაღლა ასწიეთ ჭერი, ო, ჰიმენე!

მაღლა ასწიეთ, ხურობო, ო, ჰიმენე!

სიძე მოდი, მსგავსი არესისა, ო ჰიმენე!

მაღალზე უფრო უმაღლესი, ო ჰიმენე!

ფრგ. 128. ბედნიერო სიძე! ქორწილი დამთავრდა, როგორც გინდოდა, ქალწულიც ვერგო, როგორც გინდოდა.

ლამაზი ხარ, პატარძალო, თვალები თაფლს გიგავს, შენს მიმზიდველ სახეზე ეროსი გამოკრთის... საგანგებოდ დაუსაჩუქრებიხარ აფროდიტეს. იხარე პატარძალო! იხარე შენც, ძვირფასო სიძე!

ფრგ. 127. რას შეგადარო, ძვირფასო სიძე? მე მგონია, ჰგავხარ ტანად რტოს.

ფრგ. 129. იხარე პატარძალო! იხაროს სიძემაც!

მოღწეული ფრაგმენტებიდან ძნელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საფოს ეპითალამიების კომპოზიციასზე, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტები დაახლოებით ასე შეიძლება გავანაწილოთ საქორწინო პროცედურის ცალკეული ეტაპების მიხედვით:

1. პატარძალთან შეკრებილი არიან მისი ამხანაგები და საქმროსა და მაყარის მოსვლის მოლოდინში საუბრობენ ქალის ბედზე (ფრგ. 102. 131).

2. იქვე არიან ვაყები, საქმროს ამხანაგები. იმართება დიალოგი ქალებსა და ვაყებს შორის.

3. გამოჩნდებიან საქმრო და მაყარი, ქალები გამხიარულდებიან, დასცინიან მაყარს (ფრგ. 124).

4. ქალებიცა და ვაყებიც აქებენ საქმროსა და პატარძალს (ფრგ. 127. 128. 129).

5. პროცესია მიდის საქმროს სახლში. შესვლის წინ მღერიან რიტუალურ საქორწინო ჰიმნს, რომლის დამახასიათებელია რეფრენი.  
ს̄μ̄ν̄ϋ̄ ὦ̄ σ̄:̄ν̄ϋ̄α:̄σ̄ν̄.

ეპითალამიებს უკავშირდება საფოს ის სიმღერები, რომლებშიც გადმოცემულია გ მ ი რ ე ბ ის ა და ღ მ ე რ თ ე ბ ის ეპიზოდები. ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ როგორც სიყვარულის მოტივის გაშლის დროს საფოსათვის აფროდიტეს კულტი წარმოადგენდა მთავარ საფუძველს, ისევე ქალის მდგომარეობის დამაგვირგვინებელი ქორწინების ასასახავად ის ღმერთთა და გმირთა თავგადასავალში მოსძებნიდა პარალელებს, რომელთა შემწეობითაც ის მეტის სიცხოველითა და დამაჭერებლობით წარმოუდგენდა დობილებს ქორწინების მაღალ დანიშნულებასა და მის რიტუალურ ხასიათს.

ასეთ სიმღერათაგან საუკეთესოდ არის მოღწეული ფრგ. 55, რომელიც ჰექტორისა და ანდრომაქეს ქორწინებას აგვიწერს.

„მაღემსობლი მაცნე იდაოსი გამოჩნდა (და თქვა): „იზიის ქვეყნებისათვის სასახელო ამბავი მოხდა: ჰექტორსა და მის ამხანაგებს მლაშე ზღვით ნაგებში მოჰყავთ

სახიერი და ნაზი ანდრომაქე ღვთაებრივი თებედან, წყალმარავალი პლაკიდან; თან მოაქვთ მრავალი ოქროს სამაჭერი, ძოწეული ქსოვილები, საუცხოოდ ნაქარგი ნაირნაირი სამკაულები, ვერცხლის სასმისები, ურიცხვი, და სპილოს ძვლები“. როგორც კი ეს თქვა მან, მსწრაფლ წამოიჭრა ძვირფასი მამა (პრიაპე). ეს ანბავი მთელ ქალაქს მოედო, (პეტრორის) მეგობრებმა, ილიონელებმა, მაშინვე შეაბეს ჯორები კარგთვლებიან ურავებში; ჩასხდნენ ქალები და ტანწერწერტა გოგონები; პრიაპეს ქალები ცალკე წაივინდნენ ვაეკაცებმა ეტლებში შეაბეს ცხენები... ფონიქსისა და საემეელის სუხი დადგა. დარბაიხელმა ქალებმა სიმღერა დაიწყეს, ვაეკაცებმა მომხიბვლელი მხიარული პეანი შემოსძახეს, უხმობდნენ ტებილ-ლირიან ჰეკებოლს (აპოლოსს), აღედებდნენ ღმერთთა-სწორ პეტრორსა და ანდრომაქეს“.

ასევე 135. ფრაგმენტი ჰვულისხმობს ჰერაკლეს და ჰებეს ქორწილს, რომელშიც ჰერმესი მწდედ იყო; 93. ფრაგმენტი თეზევსისა და არიადნეს სიყვარულის ეპიზოდს ეხება; სხვა ნაწყვეტებში მოჩანს კვალი სიმღერებისა ლეტოზე, ნიობეზე, ალკმენეზე.

ეს საკუთრივ საქორწინო სიმღერები კი არ იყო, არამედ მითოლოგიური სიმღერები, ეპოსის მონათესავე, რომლებშიც პოეტი მიზნად ისახავდა ღმერთთა და გმირთა სამყაროში მომხდარი საქორწინო ეპიზოდები გადმოეცა.

ამგვარად, საფოს სამივე დარგის სიმღერები (ჰიმნები, სატრაფილო სიმღერები, ეპითალამიები) აგებულია ეროსის მოტივზე. სიყვარულის ტკბილი სიმწარის მწვავე ძალამ დაანახვა საფოს გარემო ქვეყნის სიმშვენიერე, და ამ სიმშვენიერის გადმოცემა მსმენელისა და მკითხველისათვის შეუღდარებელი ოსტატობით შესძლო სიცოცხლით საესე, ბუნების მოვლენათა და ადამიანის გულის მესაიდუმლე პოეტმა. მისი ნიჭის საკვირველი ძალა იგრძნეს თვით ძველმა ბერძნებმა და მას მეთაე მუზად სთვლიდნენ, ხოლო რომაელ პოეტებს, კატულესა და ჰორაციუსს, თავის დიდ დამსახურებად და საამაყო საქმედ მიაჩნდათ, რომ ეოლიური ლირიკა იტალიურ ნიადაგზე გადანერგეს.

§ 50. ეოლიური ლირიკის საერთო ხასიათი. ალკეოსისა და საფოს წემოქმედების განხილვამ დაკვანახა ჩვენ, რომ ეოლიაშიც ლირიკას განუვითარებია იგივე თემატიკა, როგორც ახასიათებდა იონიურ ლირიკას: დაუნდობელი ბრძოლა მტერთან, ვაეკაცის საგმირო საქმეთა ქება, ცხოვრების ავკარგიანობაზე ფიქრი, სიყვარული და მეგობრობა, ლხინი და განცხრომა — აი თემები, რომლებსაც შლიან ალკეოსი და საფო თავიანთ სიმღერებში. ამ სიმღერებს არ აკლია დაცივის კილოც, რომელიც იონიური იამბიკის დამახასიათებელი იყო (შეად. ქალ-ვაეთა დამცინავი გასაუბრება საფოს ეპითალამიებში).

ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ მელიკის დანიშნულება იგივე იყო, როგორც ელეგიისა და იამბიკისა. ეოლიამ არ მიიღო იონიის ელეგია და იამბიკა, იმიტომ რომ მას იმავე დანიშნულებისათვის მოე-

პოვებოდა პოეზიის მელიკური სახე, საკუთარი (ეოლიური) ლექს-წყობისა და მუსიკალური კომპოზიციის საფუძველზე გახეოთარებული.

მელიკის მდიდარაჲ მეტრულაჲ და მუსიკალურაჲ კომპოზიციამ საშუალება მისცა პოეზიას განსაკუთრებულის სიცხოველით აესაზა ადამიანის უნაზესი გრძნობები — სიყვარული და მეგობრობა (და ამათი თანმზლები შვება და განცხრომა) და შეექმნა ჰიმნები სატოფოს და სახელოვანი ვაჟკაცის შესაქებად. არა-ეოლიელისათვის მელიკურ პოეზიაში სწორედ ეს ხოტბითი ხასიათი იყო ახალი, და ამიტომ გასაგებია, თუ მელიკის გავლენა საბერძნეთის სხვა მხარეებში რატომ გამოიხატა სახოტბო ლირიკის განვითარებაში: იონიაში ანაკრეონტმა გადანერგა სატრფოს საქები სიმღერები, ხოლო დორიულ ქვეყნებში საგუნდო სიმღერები შეიქმნა სახელოვან პირთა (კაცთა და ღმერთთა) შესაქებად. რომშიც (კატულე, ჰორაციუსი) ეოლიური ლირიკის იტალიურ ნიადაგზე გადამღერებად მიაჩნდათ სახოტბო სიმღერები სატრფოსათვის და სახელოვანი ვაჟკაცისათვის.

§ 51. ანაკრეონტი. ალკეოსისა და საფოს პოეზიის შესაბამისად ძველი ბერძნები ანაკრეონტტეოსელი ს პოეზიასაც მაღალი ღირსებისად სთვლიდნენ.

ანაკრეონტი იყო იონიის ქალაქ ტეოსიდან და ცხოვრობდა VI საუკუნეში. 545 წელს სპარსეთის სარდლის ჰარპაგის თავდასხმის დროს იონიაზე ანაკრეონტი სხვა ტეოსელებთან ერთად გადასახლდა თრაკიაში, ქალაქ აბდერაში. აქ მას მძიმე ბრძოლა უხდება საარსებო საშუალებათა ძებნაში და პირადი ცხოვრების მოწესრიგებისათვის: ანაკრეონტი იბრძვის მახვილითაც და საბრძოლო სიმღერებითაც. ბოლოს, აბდერაში ყოფნით უკმაყოფილო ანაკრეონტი სიამოვნებით თანხმდება კუნძულ სამოსის ტირანის, პოლიკრატეს (533 — 522 წწ.), წინადადებაზე და სახლდება მასთან. სხვა პოეტებთან და მომღერლებთან ერთად, რომელნიც პოლიკრატეს კარზე იყვნენ, ანაკრეონტიც ტირანის საკარო ცხოვრების მეხოტბე ზდება: ის ტირანის ბრწყინვალე საზოგადოების „ჭეიფის სულის ჩამდგმელია“ და უმღერის სიყვარულსა და ღვინოს.

522 წელს პოლიკრატე მოჰკლეს და მისი კარის მგოსნებიც იძულებული იყვნენ სამოსი დაეტოვებინათ. ანაკრეონტმაც დასტოვა კუნძული და გადასახლდა ათენში, ტირან ჰიპარქესთან. ანაკრეონტი დიდს პატივში იყო ტირანის კარზიდაც და ათენის საზოგადოებაშიც, როგორც სიყვარულისა და ღვინის პოეტი, მაგრამ 514 წელს ჰიპარქე მოკლეს და ანაკრეონტიც გასახლდა ათენიდან, იგი დაბინავდა ექვკრატესთან, თესალიის ტირანთან. მერე ცნობები მის შესახებ აღარ გვაქვს; ვიცით მხოლოდ, რომ მას ბოლომდე შერჩა ახალგაზრდული

გული, ღვინისა და განცხრომისადმი მისწრაფება და ტრფობის სიხალისე.

**ანაკრეონტის სიმღერები.** ძველი ბერძნული ტრადიცია ანაკრეონტს მელიკურ პოეტად სთვლიდა, მაგრამ იმავე ტრადიციამ კარგად იცოდა, რომ მელიკის გარდა ანაკრეონტი ელეგიებისა და იამბების ავტორიც იყო.

**მელიკური სიმღერები.** ანაკრეონტის სიმღერების ძირითადი თემაა ღვინო და სიყვარული. იგივე თემა ჰქონდათ ალკეოსსა და საფოსაც, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა: ანაკრეონტის სიმღერებში ვერ ვიპოვით ვერც ნაზ მგრძნობიარობას და ვერც აზრის სიღრმეს; მათ არც სულიერი ტანჯვის გადმოცემა შეუძლიათ და არც ტანჯულის ნუგეში; ანაკრეონტის მელიკა იმისათვის არის განკუთვნილი, რომ ამ ცხოვრებით კმაყოფილსა და განცხრომაში მყოფს კიდევ უფრო გაუმხიარულოს ლხინი და ბედნიერება, უფრო მიმზიდველი გაუხადოს ტრფობის ალი და ღვინის სიტკბო. ამ მიზანს აღწევს ანაკრეონტი თავისი ლექსის იშვიათი პარამონიულობისა და მხატვრული სახეების მსუბუქი სიმარტივის წყალობით: ლექსიც და სურათებიც თავიანთ ბუნებრივობით ხიბლავენ მკითხველს; ადამიანი ვერსად ვერ შეამჩნევს ხელოვნურ ძალდატანებას ან ყალბ პათოსს.

ანაკრეონტის აზრით, ადამიანის გზის მაჩვენებელია ეროსი, რომელიც მას წარმოუდგენია როგორც მკედელი: ის მძიმე უროთი სტემს მას თავში და შემდეგ ცივ წყალში აგდებს, როგორც გაბურბებულ რკინას. ეროსის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე.

ფრგ. 28. მსურს ვუმღერო ნებიერ ეროსს, ყვავილების გვირგვინებით შემკულს: იგი ღმერთთა მბრძანებელია და ადამიანთა მომთვინიერებელი.

ფრგ. 45. ვით მკედელმა, დიდი ურო დამკრა კვლავ ეროსმა და შემდეგ მახანავა ცივ წყალში.

როგორც ეროსის მსახური, ანაკრეონტი უმღერის ყველაფერს, რაც ტრფობასთან არის დაკავშირებული: სატრფოს (ქალსა და ვაჟს), ღვინოს, ტრფობისა და ღვინის ღმერთს. მისი ტრფობა არ არის საფოს ნაზი, ღრმა და მტანჯველი გრძნობა; ანაკრეონტის ტრფობა ნებიერი კაცის მსუბუქი ვნებიანობაა: მას სატრფოს ცეცხლი კი არ სწვავს, არამედ სიამოვნებას გვრის ახალგაზრდა გამოუცდელი გოგოს კრთობა (ფრგ. 39. 28). არც სატრფოს განშორება სტანჯავს მას: ის მხოლოდ ირონიულად ლაპარაკობდა თავის ეროტიკულ მარცხზე, როდესაც მას, ქალართმიანს, ახალგაზრდები გაუბრძიან (ფრგ. 52. 53. 5. 44).

ანაკრეონტის ღვინო და ნადიმიც არ ჰვავს ალკეოსის სუფრას, რო-

მელიც ლესბოსელი პოეტისათვის ჭრილობამიყენებული არისტოკრატიის მანუგეშებელია, ახალი ბრძოლებისათვის გამამხნეველები და გამარჯვებულთა მადიდებელი; ანაკრეონტისათვის კი ღვინო მხოლოდ დროსაატარებელი საშუალებაა და მისი სანადიმო სიმღერები ცივი და უვრძობია (ფრგ. 43. 27. 69).

დასასრულ, ანაკრეონტის ტრფობის ღმერთი არ არის ლესბოსელი პოეტების აფროდიტე. ის უფრო დიონისეა, სიყვარულისა და ღვინის ღმერთი ერთად, მომნიჭებელი ხორციელი განცხრომისა და სიამოვნებისა (ფრგ. 2. 37).

ფრგ. 39. მორიდებით (შემომკერი) როგორც ძუძუმწოვარა ჩვილი ნუკრი, რომელიც თავის რქა-მაგარ დედას ჩამორჩა ტყეში და თრთის.

ფრგ. 88. უხედნელო ფაშატ-ცხენო, რას ვაპირბი დაოთხვილი, და მიცქერი აღმაყვარად, ნუ თუ ვერ მცნობ ნაცად მხედარს? მალე ნახავ ჩკინის ლაგამს პირში მძლავრად რომ ამოვდებ, აღვირის ქვეშ ასპარეზზე მიჯნებს როგორ შემოგარბე, ჭერ კი ისევ შენ მინდვრად სძოვ და თამაშობ ნებიერად, ჩანს ჭერ კიდევ არ გიცდია დამგეშელის მძლე მარჯვენა.

ფრგ. 52. 53. გაშლილი ფრთებით მივფრინავ ზევით, ოლიმპოსკენ, ეროსის გულითვის: ჰაბუკს აღარ სურს ჩემი ტრფობა გაიზიაროს. ეროსმა დახედა ჩემს ჰალარა წვერს და მოოქროვილი ფრთების ქროლვით გამიფრინდა.

ფრგ. 5. ოქროსთმინამა ეროსმა კელავ მესროლა წითელი ბურთი და სათამაშოდ გამიწვია ჭრელ-სანდლიან გოგონასთან. მაგრამ გოგონამ — ის მდიდარი ლესბოსიდან არის — ზიზღით გადახედა ჩემს ჰალარა თმებს და სხეას დაუწყო ცქერა.

ფრგ. 44. ჰალარა გავხდი, თმა გამითეთრდა, ნეტარი სიჰაბუკე გაქრა, კბილებიც დამიბერდა. ტკბილი სიცოცხლის კოტლა დამჩნა. ამიტომ ვტირი გულ-მდღუარედ, რადგან მეშინია სიკედლისა. საზარელია ჰადესს მღვიმე, საშინელია მისკენ მიმავალი გზა: ვინც კი ერთხელ იქ ჩაეა, ვეღარ დაბრუნდება.

ფრგ 43. ყრმაო, მომე დიდი თასი!

რომ დავცალო უსვენებლივ...  
ღვინოს მხოლოდ ხუთ ფილას  
შეაზავებ ორ წილ წყალში!  
და ბახუსის სადიდებლად  
მამინ დავლევ გაბედულად.  
მაგრამ ქეიფს ჩვენ გავმართავთ  
არა სკვითურს: ჩვენ არ გვიყვარს  
ლხინში ჩხუბი, ფრიაშული,  
ნელა შევსავთ თასით ღვინოს  
და ვიმღერებთ ტკბილ სიმღერას!

ფრგ. 27. ყრმაო, მოგვიტანე წყალი, ღვინო და სურნელოვანი გვირგვინები. ჩქარა მომიტანე: ეროსთან ვაპირებ შებმას!

<sup>1</sup> ამ ლექსის თარგმანი ეყუთნის პოეტ გობრონ აგარელს (გ. ციქერ-შვილი).

ამგვარად ცხადია, რომ ანაკრეონტის სატრფიალო და სანადიმო (ს ი მ პ ო ს ი ო ნ უ რ ი) პოეზია თავისებური ჟანრია მელიკისა; განსხვავებული ეოლიური მელიკისაგან თავისი უდარდელი ტონით და განცხრომისა და ფიზიკური სილამაზისადმი მისწრაფებით.

ამ თავისებური მელიკური ჟანრის წარმომადგენლად იცნობდა მას ძველი საბერძნეთი, იცნობდა როგორც სიყვარულისა და ღვინის მგოსანს, რომლის „ტყბილი სიმღერა და ტყბილი ლექსი მუდამ საყვარელი იყო ყრმათათვის“ (ანაკრეონტი, ფრგ. 32).

ანაკრეონტის სიმღერების ამ ძირითადი (სიყვარულისა და ღვინის) ჭკუფის გარდა ჩვენამდე მოღწეულია მისი საბრძოლო სიმღერების, ელეგიებისა და იამბების ნაწყვეტებიც. საბრძოლო სიმღერები ასახავენ ანაკრეონტის მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც მას მოუხდა ტეოსელ კოლონისტებთან ერთად აბდერაში გადასახლება და ბრძოლა საარსებო საშუალებათათვის, გაჭირვების ატანა. ბრძოლით ხან აღფრთოვანება და ხან სასოს წარკვეთა.

ანაკრეონტის სიმღერების ამ ძირითადი (სიყვარულისა და ღვინის) როგორც საბრძოლო (82. ფრგ.), ისე სატრფიალო (იხ. ზემოთ 88. ფრგ.) და დამცინავი მიზნებისათვის. არქილოქეს მსგავსად ანაკრეონტიც გესლიანი და მოსწრებული ირონიით დასციინის მტრებს.

ანაკრეონტის სკოლა. ანაკრეონტის გარდა იონიაში ყოფილან სხვა პოეტებიც, რომლებიც მელიკური ჟანრის სიმღერებს თხზავდნენ. გარდა ამისა, ანაკრეონტს საკმაოდ ადრე გაუჩნდნენ მიმბაძველები, რომლებიც სანადიმო და სატრფიალო გასართობ სიმღერებს თხზავდნენ და ანაკრეონტის სახელით ავრცელებდნენ. ჩვენამდე მოღწეულია კრებული ასეთი სიმღერებისა, რომელთაც ანაკრეონტიანური (Anacreontea) ეწოდება.

§ 52. ანაკრეონტისებური სიმღერები. ჩვენამდე მოღწეული კრებული ამ სიმღერებისა შეიცავს 60 (62) ლექსს. XIX საუკუნემდე ეს ლექსები ანაკრეონტის ნამდვილ თხზულებებად იყო მიჩნეული. მაგრამ შედარებამ ანაკრეონტის სხვა სიმღერებთან დაანახვა ყველას, რომ ანთოლოგიებში შეტანილი გასართობი სიმღერები აათაურით „ანაკრეონტ ტეოსელის სანადიმო ნახევარიამბები“ ანაკრეონტს კი არ ეკუთვნის, არამედ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მახლობელ ხანებშია შეთხზული, უპირატესად მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში.

ანაკრეონტისებურ სიმღერათა თემაა ღვინო და სიყვარული; ეს სიმღერები უმეტესად ერთფეროვანი არიან და მხატვრულის მხრით საკმაოდ დაბალი ღირსებისა. სანიმუშოდ შეგვეძლო მოგვეყვანა შემდეგი სიმღერები:

5. ერთხელ გვირგვინს რომ ვწნავდი, ვარდებში ვიპოვე ეროსი. ფრთებში წავე-  
ლე ხელი და ლეინოში ჩავავდე: შექმდე ავილე და დავლიე იგი, და ახლა ჩემს სიმღე-  
რებში ის თავისი ფრთებით ფართხალებს.

6. ქალები შეუბნებთან: „ბებერი ხარ, ანაკრეონტ! სარკეში რომ ჩაიხედო, კარ-  
გად დაინახავ. რომ თმა აღარ გაქვს. მთლად გამელოტებული ხარ“. მაქვს თმა თუ არა,  
ეს მე არ ვიცი: ის კი ვიცი. რომ რაც უფრო უახლოვდება მოხუცი მოიხის  
(სიკვდილას) კარებს, მით უფრო ეძებს სიამოვნებას.

33 ერთხელ ეროსმა, ვარდს (რომ სწყევტდა), ვერ შენიშნა იქ ჩამალული ფუტ-  
კარი: ფუტკარმა მას თითში უტიხნა და ეროსმა მორთო ბლავილი. ის სწრაფად გაფ-  
რინდა მშვენიერ კვლავსთან (აფროდიტესთან) და უთხრა: „ეაივე დედა, ვაივე,  
ვკვდები: პატარა დროსანამ გველმა. რომელსაც მიწისმუშები ფუტკარს ეძახიან, მიკ-  
ბინა“. დედამ უპასუხა: „თუ ფუტკარის ნესტარი ასე მწარეა, როგორიდაა, ეროს, ის  
ტივილია, რომელსაც შენ (აღამიანებს) აყენებ“.

ასეთი სიმღერები საეცებით შეეფერებოდნენ ახალგაზრდობის მი-  
ერ გამართულ ნადიმებს.

ანაკრეონტიეზური სიმღერები ახალ საუკუნეებში. ამგვარი გა-  
სართობი სიმღერები, ანაკრეონტიეზურ სიმღერათა გავლენით, მრავ-  
ალი იწერება აგრეთვე ახალ საუკუნეებში. XVIII საუკუნის ევრო-  
პელ მწერლებს (სხეებთან ერთად აგრეთვე ეოლტერს, ლესინგს)  
მრავალი ანაკრეონტული ლექსი დაუწერია. რუსეთში XVIII საუ-  
კუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის დასაწყისში ამნაირ ლე-  
ქსებს სწერდნენ, მაგალითად, ლომონოსოვი, დერჟავინი  
და გნედიჩი, ხოლო პუშკინი ანაკრეონტს თავის მასწავლებლად  
სთვლიდა და ჰბაძავდა მას.

ქართულ მწერლობაში ანაკრეონტიეზური ლექსებით გა-  
ტაცებული ყოფილა ახალგაზრდობაში პოეტი ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძე. საქართველოს მუზეუმის ერთ ხელნაწერში (№ S—2483),  
რომელიც ალ. ჭავჭავაძის ხელითაა გადაწერილი, მოთავსებულია შემ-  
დეგი ლექსი.

#### ლექსნი ანაკრეონულნი

როსმე კუპიდონ გეჯითგან თაფლისა მღები წყნარადა,  
ერთმან ბორტმან ფუტკარმან დაისრა შეუწყნარადა.

პაწაწა ღმერთი კოდილი,  
თით-ტკინებული, ლმობილი,  
ხელს კბერავს, ფერხს ქსკვმს მიწასა,  
მაგრამ რას არგებს მით წვასა?

ფრინავს და მსწრაფლად შევნიერს ვენერას მიემართება:  
„დედავ, დედაო შესჩივის, — გავსთავდი, ცეცხლი მეღება,



„ერთმან მცირემან,  
 „გველმან მფრინემან,  
 „ვის მეგუთნენი უსმობენ ფუტკრად,  
 „გამგმირა თვისით  
 „მანების ისრით,  
 „ჩემის სიცოცხლის გლახ შესამუსრად“.  
 ვენერამ მშვენმან  
 სიამის მფენმან  
 ღიმილით უგო პასუხი მშვიდად:  
 „რისათვის ჰკვირობ,  
 „შენც ფუტკრებრ მცირობ,  
 „მარა ვისც ჰკოდავ, აჭირვებ დიდად“.

**§ 53. მელიკური პოეზიის სხვა წარმომადგენლები.** ალკეოსი, საფო და ანაკრეონტი იყვნენ ის კორინთელები, რომელთაც პოეზიის მელიკურ ქანრს მისცეს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე, შეუქმნეს მას ორიგინალური სტროფული ფორმები და დაუმკვიდრეს ხოტბის მოტივი, საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში მათ გაუჩნდნენ მიმდევრები, მაგრამ ამათი შემოქმედება არ ყოფილა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მეტოქეობა გაეწიათ მელიკური პოეზიის ფუძემდებლებისათვის, ან გვერდში ამოსდგომდნენ მათ. არც ერთის ნაწარმოებმა ჩვენამდე არ მოაღწია: მცირეოდენი ნაწყვეტები მხოლოდ იმის საშუალებას იძლევიან, რომ დაჯადიგნოთ, თუ რა თემებს ამუშავებდნენ ისინი თავიანთ სიმღერებში. ნიშანდობლივია ის, რომ ბევრი მათგანი პოეტიკალურია;

კორინა ტანაგრელი (ბეოტიიდან), V საუკუნის პოეტიკალი.

ტელესილარგოსელი: VI საუკუნის მეორე ნახევარის მწერალი.

პრაქსილასიკიონელი (V საუკუნე) ცნობილი იყო თავისი სასუფრო სიმღერებით.

**§ 54. საგუნდო მელიკა, ანუ ქორიკა.** ლირიკული პოეზიის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ქორიკა. იგი განვითარდა მელიკური სიმღერებისაგან მელიკის მიერ მოპოვებული თემატიკის, ლექსთწყობისა და მუსიკალური კომპოზიციის საფუძველზე, ხოლო მელიკისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ, იმ დროს როდესაც მელიკურ სიმღერებს ერთი პირი ასრულებდა, ქორიკულ სიმღერებს ცეკვით ასრულებდა გუნდი. ანუ ქორიკა

ისევე როგორც ბერძნული პოეზიის სხვა დარგები, ქორიკული სიმღერებიც წინაღობრივად ხალხური საგუნდო სიმღერებისაგან მომდინარეობენ. სიმღერების გუნდურად შესრულებას იწვევდა საერთო ყოველდღიური მუშაობა, საერთო ჭირი და ლხინი, საერთო შეს-

რულება ღმერთთა (აპოლონის, დემეტრეს, დიონისეს) თაყვანისსაცემად განკუთვნილი რიტუალისა.

ქორიკული სიმღერები ხოტბითი სიმღერები იყო და ისინი ორ ჯგუფად განიყოფებოდნენ: 1. ღმერთთა სადიდებელი სიმღერები და 2. ადამიანთა სადიდებელი სიმღერები.

§ 55. ღმერთთა სადიდებელი ქორიკული სიმღერები. ბერძნების (ისევე როგორც ბევრი სხვა ძველი ხალხის) წარმოდგენით ღმერთები საჭიროებდნენ საგანგებო ყურადღებას ადამიანის მხრით, რომელსაც თითოეული ღმერთისათვის უნდა მოეწყო მისთვის საგანგებოდ განკუთვნილი რიტუალით: ცალკეულ ღვთაებას შეეფერებოდა მისი სპეციალური მღვდელმსახურება, მსხვერპლშეწირვა და სახოტბო სიმღერა. ასეთ სიმღერათაგან გავრცელებული იყო, მაგალითად, ღითორამბები, პეანები და ჰიპორქემები.

ღითორამბი დიონისეს სადიდებელი სიმღერა იყო. დიონისეს სადიდებლად განკუთვნილი ხალხური სიმღერა სტროფულად იყო გამართული და სრულდებოდა ისე, რომ ერთი მონაწილეთაგანი იწყებდა სიმღერას, ხოლო დიონისელთა (დიონისე-ბახუსის მადიდებელთა) გუნდი უპასუხებდა მას.

მხატვრულ-ლიტერატურული ფორმა ღითორამბმა მიიღო VI საუკუნის დასასრულს, როდესაც ტირანმა პერიანდრემ რელიგიური რეფორმა მოახდინა კორინთში: ეს რეფორმა „ლიტერატურული საგუნდო ღითორამბის შექმნა, მიეწერება პოეტ არიონს“.

შემდეგ ღითორამბი დიონისედან გმირებზე იქნა გადატანილი. თუ როგორი იყო საგმირო ღითორამბი, ეს გავიგეთ ჩვენ მაშინ, როცა პაპირუსებში აღმოჩნდა ბაკილიდეს „ღითორამბები“: ასე, მაგალითად, ბაკილიდეს XVII სიმღერას დიალოგის ფორმა აქვს: ერთი მხრით, არის ათენის მეფე ეგეოსი, ხოლო, მეორე მხრით — ქორო, რომელიც ათენელ მოქალაქეებს გამოხატავს; ქორო კითხვებით მიმართავს მეფეს. კითხვები შეეხება გმირ თეზევსს, რომელიც ხომალდით უახლოვდება ათენს, და ქოროს (მოქალაქეების) შეკითხვაზე ეგეოსი აუწყებს მას ბუმბერაზი გმირის გარეგნობას, მის იარაღსა და ტანსაცმელს... (იხ. ქვემოთ § 136).

პეანი აპოლონის სადიდებელი სიმღერა იყო. სახელწოდება წარმომდგარია შეძახილისაგან, „იე პეან“, რომლითაც ქორო უპასუხებდა აპოლონის სადიდებელი სიმღერის დამწყებს; ეს იყო შესაწყალებელი და სამადლობელო შეძახილი აპოლონისადმი (და აგრეთვე არტემიდესადმი). რომელსაც დახმარებას სთხოვდნენ ქირის გაჩენის დროს და მადლობას უხდიდნენ ქირისაგან განთავისუფლების შემდეგ. ამგვარ პეანებს თან სდევდა ცეკვა, იგი ხორუმს წარმოადგენდა.

პეანი ჩამოყალიბებულია და განვითარებულია კუნძულ კრეტაზე, საიდანაც ის შემდეგ გავრცელებულია დელფოში, სპარტაში და სხვაგანაც.

თავდაპირველად პეანი აპოლონისა და არტემიდეს სადიდებელი სიმღერა იყო; შემდეგ ის სხვა ღმერთებზედაც ვაუერცელებიათ, ხოლო უფრო გვიან ხანებში ის ადამიანთა სადიდებლადაც უხმარიათ.

ადამიანთა სადიდებელი სიმღერები. ქორიკის მეორე სახეობას ეკუთვნის ის სიმღერები, რომლებიც საგანგებოდ ადამიანთა სადიდებლად იყო განკუთვნილი. ზოგადი სახელი ასეთი სიმღერებისა იყო „ენკომიონ“, და ამით აღინიშნებოდა ის სიმღერა, რომლითაც აქებდნენ მტერთან ბრძოლაში სახელგანთქმულს ან დღეობებზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ვაჟკაცს. ამ სიმღერებს ასრულებდა გუნდი საზეიმო პროცესიაში.

სახელგანთქმული ვაჟკაცის ქება შეიძლებოდა როგორც მისი გამარჯვების შემთხვევაში, ისე მისი გარდაცვალების დროს. პირველი სახის სიმღერებს ეწოდებოდა ეპინიკები, ხოლო მეორისას — თრენები.

ქორიკული სიმღერების სალექსო კომპოზიციას ახასიათებს, უპირატესად, სტროფების ტრიადული სისტემა. პირველი და მეორე ერთნაირი შედგენილობისაა, ხოლო მესამე განსხვავებულია. ორი მსგავსი სტროფიდან პირველს ეწოდება სტროფი, მეორეს — ანტისტროფი, მესამე განსხვავებული მეტრული შედგენილობის სტროფს კი ეწოდება ეპოდი. მამასადამე. საგუნდო ლირიკას განუვითარებია თავისი სალექსო ფორმა მელიკის სტროფული სისტემის საფუძველზე, მაგრამ მელიკური სიმღერები მონოსტროფულად იყო გამართული (ააა...) ქორიკული კი — ტრიადულად (ააბ აბ...): ის სქემა კი, რომელიც ტრაგედიის საგუნდო პარტიებშია გამოყენებული (სტროფი ანტისტროფი, სტროფი ანტისტროფი, სტროფი ანტისტროფი., ე. ი. აა ბბ გგ..), ქორიკულ სიმღერებში არსად არ გვხვდება.

ქორიკის ენა. ქორიკული სიმღერები მხატვრულად განავითარა დორიულმა არისტოკრატიამ სპარტაში, კორინთოში, არგოსში, და დორიული ქვეყნებიდან ქორიკა საბერძნეთის სხვა მხარეებშიც გადავიდა. ქორიკის ამ დორიული წარმოშობით აიხსნება ის, რომ ქორიკული სიმღერების დიალექტი, ძირითადად დორიულია.

§ 56. ქორიკის წარმომადგენლები. ქორიკული პოეზიის წარმომადგენელთა მოღვაწეობა, უპირატესად, დორიულ ქვეყნებში მიმდინარეობს, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დორიულ მხარეებში: მიუხედავად იმისა, თუ სადაურები არიან ისინი წარმოშობით, მათი

ლრტერატურული მომსახურება ამ მხარეებს ეხება. ალკმანი სარდელი იყო, ხოლო სპარტაში მოღვაწეობდა; ლესბოსელმა არიონმა თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი კორინთოში გაატარა, ტირან პერიანდრეს კარზე; ბაკქილიდე კუნძულ კეოსზე დაიბადა (იონიაში), ხოლო მისი პოეტური მოღვაწეობა სირაკუზის ტირანის, ჰიერონის კარზე გაიშალა.

ქორიკული პოეზიის წარმომადგენელთაგან ზოგი მელიკურ სიმღერებსაც სწერდა. ასე, მაგალითად, ალკმანისა და იბიკოსის პოეზიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პიროვნულ ეროტიკულ სიმღერებს, ხოლო ქორიკული „თრენების“ სახელგანთქმული წარმომადგენელი სიმონიდე კეოსელი ასევე სახელგანთქმული ავტორია ეპიგრამებისა, რომლებსაც არავეითარი კავშირი არა აქვთ საგუნდო პოეზიასთან.

VII — VI საუკუნეთა საგუნდო პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია: მართალია, ისინი, უპირატესად ქორიკული პოეზიის დარგში მოღვაწეობენ, მაგრამ ამის გვერდით ისინი პიროვნული ლირიკის წარმომადგენლებადაც გვევლინებიან. გარდა ამისა თვით მათი საგუნდო ლექსები ისეთი ზასიათისაა, რომ მართალია, მათ ასრულებდა გუნდი (ვაჟებისა ან ქალებისა), მაგრამ მტკიცედ არა ჩანს ყოველთვის, თუ სად სრულდებოდნენ და რა შემთხვევისათვის იყვნენ ისინი განკუთვნილი; ზოგი მათგანი, როგორც, მაგალითად, იბიკოსის სატრფიალო სიმღერები, ისეთი სტილით არის შეთხზული, რომ მათ უფრო ადვილად წარმოიდგენენ განმარტოებით, პოეტის ან პოეტურად განწყობილი ადამიანის გულში ჩუმად შესრულებულად, ვიდრე საჯაროდ.

შესაძლებელია, ჩვენი ასეთი შთაბეჭდილება იმის ბრალი იყოს, რომ VII — VI საუკუნეთა ქორიკოსების ნაწარმოებები მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტების სახით არის მოღწეული, მაგრამ მაინც იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ის, რაც მოღწეულია, ერთპიროვნული ლირიკის გუნება-განწყობას უფრო ამჟღავნებს.

სულ სხვა ხასიათისაა მეხუთე საუკუნის საგუნდო პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედება: ისინი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ქორიკოსები არიან. ბაკქილიდე და პინდარე, ამ თაობის ჩვენამდე მოღწეული პოეტები, სთხზავენ თავიანთ საგუნდო სიმღერებს (ნობილ საერო ღღესასწაულებისათვის და ამ ღღესასწაულებზე შესასრულებლად.

ბაკქილიდეს სიმღერები. 1896 წლამდე ჩვენ ვიცნობდით ბაკქილიდეს სიმღერათა მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს: ამათ შორის იყო ხუთიოდე ნაწყვეტი მისი ეპინიკებიდან, ორი პეანის ნაწყვეტები ორი — ჰიპორქემისა. 1896 წელს ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა პა-

პირუსის ორი გრაგნილი, რომლებშიც აღმოჩნდა ბაკქილიდეს 20 სი-  
პლერა: 14 ეპინიკი და 6 დითირამბი, შემდეგ, 1915 წელს, ამას დაე-  
მატა 2 სკოლიონი. ამგვარად, პაპირუსების წყალობით შესაძლებელი  
გახდა ბერძნული პოეზიის ერთი უბრწყინველესი წარმომადგენლის  
აღდგენა და ლირიკის ზოგიერთი დარგის შესახებ უფრო ნათელი სუ-  
რათის მიღებაც.

ეპინიკები ი. ბრიტანეთის მუზეუმის მიერ 1896 წელს შექე-  
ნილ გრაგნილთაგან ერთი შეიცავს თოთხმეტ ეპინიკს. ეს  
ეპინიკები იმდენად კარგად არის მოღწეული, რომ ჩვენ სრულიად  
ნათელ სურათს ვღებულობთ ეპინიკების კომპოზიციასზე. ეპინიკში  
გამორჩევა სამი ძირითადი ნაწილი და დასკვნა: 1. დასაწყისში პოეტი  
ქებას ასხამს გამარჯვებულის ვაჟაკობას, მის გვარსა და სამშობლოს;  
2. შემდეგ, ის იგონებს ამ გამარჯვებულის წინანდელ ვაჟაკურ საქ-  
მეებს; 3. გამარჯვებულის შექებასთან დაკავშირებით პოეტი გადმოვ-  
ცემს რომელსამე მითს; და ამთავრებს სიმღერას გნოპური სენტენ-  
ციით. სიმღერის ასეთი შედგენილობის პარალელურად დატულია  
ლექსთწყობის ტრიალული სისტემა (სტროფი-ანტისტროფი-ეპოდი).

ბაკქილიდეს ეს ეპინიკები დაწერილია ცნობილ პანელიურ დღე-  
სასწაულზე გამარჯვებულთა სადიდებლად: შექებულთა შორის გან-  
საკუთრებით გამოირჩევა სირაკუზის ტირანი ჰიერონი, რომლი-  
სადმი მიძღვნილია სამი სიმღერა (III, IV, V): ეს სიმღერებია სხვებ-  
ზე უფრო ვრცელი და მდიდარი მხატვრული სახეებითა და გრძობათა  
სიჭარბით; ჰიერონის კარზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბაკქილიდე და  
პინდარე.

ბაკქილიდეს დითირამბები ეპინიკებს ჩვენ 1896  
წლამდეც ვიცნობდით: პინდარეს სიმღერები, რომლებიც მრავ-  
ლადაც და კარგადაც არის შემონახული, საუკეთესო მასალას წარმოა-  
დგენდნენ ეპინიკების კომპოზიციისა და შინაარსის გასაცნობად. მაგ-  
რამ ჩვენ არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა იმ სიმღერათა ხასიათზე,  
რომლებიც აღმოჩნდა ბრიტანეთის მუზეუმის მიერ შექმნილ მეორე  
გრაგნილში. ამ მოთავსებულია ექვსი სიმღერა საერთო სათაურით  
„დითირამბები“.

პირველ ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეოთხე დითი-  
რამბი, რომელიც წყვილ-წყვილი სტროფებით არის წარმოდგენილი:  
გუნდი, ალბათ, მოხუცთაგან შემდგარი, შეკითხვებს აძლევს ათენის  
მეფეს ეგეოსს, და ისმენს მის პასუხს.

პირველი სტროფი (გუნდი)

— შეფეგ უწმინდესო ათენისა, მპყრობელო ბედნიერ იონთა! ახალს რას გვაუ-  
წყებს საბრძოლო ხმათა გამომცემი სპილენძის-ენიანი საყვირი? იქნებ ჩვენი ქვეყნის  
საზღვრებს ვერაგულად დაეცა ძლიერი ჯარით რომელიმე გმირი? ან იქნებ ბოროტ-

მზრახველმა ყაჩაღებმა ძალა იხმარეს მწყემსებზე და ცხვრის ფარა გარეკეს? მი-  
თხარი, რა დარდი მოსწოლია შენს გულს? ვფიქრობ, თუ ვინმე სხვას, შენც მხარში  
ამოგიდგებიან მამაცი ჭაბუკები, პანდიონისა და კრეუსას ძეო!

### მეორე სტროფი (ე გ ე ო ს ი)

— ახლახან მოვიდა გზირი, რომელსაც ფეხით გამოუვლია ისთმოს გრძელი გზა;  
ძლიერი გმირის ენით-უთქმელ ვაჟკაცობაზე გვიამბობს: მოუკლავს უძლეველი სი-  
ნისი, ქვეყნის მაზანზარებელი ლიტეოს-კრონიდის ნაშიერი, რომელიც ღონით ყვე-  
ლა მოკვდავს აღემატებოდა; მოუკლავს კაცთ-მჟღერტი ტახიც კრემიონის ხევში და  
საზარელი სკირონიც; კერკიონის პალესტრაშიც გაუმარჯვია და პოლიპემონის მაგა-  
რი უროც აუცდენია, თუმცა უფრო ძლიერ გმირს წასწყდომია. სწორედ ამისი მე-  
შინია, თუ როგორ დამთავრდება.

### მესამე სტროფი (გ უ ნ დ ი)

— რას ამბობს, სად არის ეს ვაჟკაცი, რა საჭურველით მოდის ის? სამტრო იარა-  
ღით შეჭურვილი დიდძალი ჯარი მოჰყავს მას, თუ ის მოდის ამხანაგებითურთ უცხო  
ქვეყანაში მხოლოდ როგორც მგზავრი მოხეტიალე, მაგრამ ძლიერი და მამაცი და  
იმდენად უშიშარი, რომ ვაჟკაცთა მაგარ მკერდასაც მოდრეკს? ან იქნებ იგი დღერ-  
თმა გამოგზავნა, რათა უსამართლო აღამიანებზე შური იძიოს? ვინაიდან ვინც მუ-  
დამ ბოროტებას სჩადის, ის ვერ აიცდენს ცუდ აღსასრულს, ჟამთა სიგრძეში აღს-  
რულდება ყველაფერი.

### მეოთხე სტროფი (ე გ ე ო ს ი)

— (გზირი) ამბობს, რომ მხოლოდ ორი ვაჟკაცი ახლავს თანო, მოყვანილ მხარ-  
ბეჭზე გადაკიდებული აქვს მახვილი, სპილოსძვლის-ბუნიაანი; ხელებში უჭირავს ორი  
პრილა შუბი, და ჭერა-თმიან თავზე ხურავს კარგად ნაკეთი ლაკონური მუზარადი;  
გერდს ჭფარავს ძოწიული ქიტონი და თესალიური მატყლის ქლაშილი; თვალებიდან  
მამოკრთის ლემნოსური წითელი ცეცხლი; ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ (მუდამ)  
ახსოვს არესის გასართობები ომისა და სპილენძის-მჟღერი ბრძოლისა; ის მოაშურებს  
დიდებულ ათენს.

როგორც ვხედავთ, ამ დითირამბის შინაარსს შეადგენს ცნობილი  
მითი თეზევსზე.

ათენის მეფეს ეგეოსს, პანდიონის ძეს, არ ჰყავდა შვილები. დელფოს სამისნოს  
ჩრევით ის ესტუმრა ტროიძენის მეფეს პითევსს, რომლის ქალიშვილიც, ეთრა, ცოლად  
შერთო. ეთრას შეეძინა ვაჟი თეზევსი. ეგეოსი უკან გაბრუნდა ათენში, თეზევსი კი  
დარჩა დედასთან ტროიძენში. წასვლის წინ ეგეოსმა დასტოვა თავისი მახვილი და  
სანდლები ერთ უზარმაზარ ლოდის ქვეშ და დაუბარა ეთრას: როდესაც ჩემი შვილი  
ისე დაევაჟკადება, რომ ამ ლოდის გადაგორებას ნესძლებს, მაშინ გამომიგზავნე  
ათენში. თქვენმეტი წლისა იყო თეზევსი რომ ტოლ-ამხანაგებში ევრაიენ ედრებოდა  
მას ღონითა და ვაჟკაცობით. დედამ მიიყვანა ის იმ უზარმაზარ ლოდთან და უთხრა:  
გადააგორე ეს ლოდი და აღე მახვილი და სანდლები. — ამ ნიეთებით გიცნობს შენ  
მამა, როდესაც მას შეხვდები. თეზევსმა ერთი ფეხის კერით გადააგორა ლოდი,  
ჩაიკვა სანდლები, გადაიკიდა მახვილი და ისთმოს გზით გასწია ათენისაკენ, გზაზე

მრავალი დაბრკოლება შეხვდა მას: მოუხდა შებრძოლება სინისთან, ტახთან, სკირონთან, კერკიონთან, პროკრუსტესთან. ბოლოს მიაღწია ათენს.

ეგეოსი უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო. მას ცოლად ჰყავდა გრძნეული მეღვინე, რომელიც კორინთში ჩადგინო მკვლელობათა შემდეგ ათენში გამოქცეულიყო და ეგეოსის მუდმივ გამხდარყო, მედემ იგრძნო, რომ ეგეოსის ვაჟი ახლოვდებოდა, ამასთანავე იგრძნო ისიც, რომ თეზეოსის მოსვლით ბოლო მოეღებოდა მის ღვიძლობას, და მოინდომა გმირის დაღუპვა. როდესაც თეზეოსი ეგეოსის სასახლეში მოვიდა, მედემ დაარწმუნა მოხუცი, ეს კაცი სასიკეთოდ არ არის მოსული, მტრის მხვერავი იქნებაო, და საწამლავი ჩაუსხა ღვინოში. თეზეოსმა რომ ხელში აიღო თასი ღვინის დასალევად ეგეოსმა თვალს მოჰკრა მახვილს და იცნო იგი; დახედა ფეხებზედაც და იცნო თავისი სანდლები. უმაღლესი ხელი აუკრა, და თეზეოსს ღვინით სავსე თასი დაუვარდა. ამის შემდეგ მედმა გააძევეს ათენიდან და თეზეოსი დარჩა თავისი მამის სამეფოში.

ეს მითი ყველა ბერძენს კარგად მოეხსენებოდა, ასე რომ ბაკილიდეს მიზანს ის კი არ შეადგენდა, რომ მსმენელისათვის თეზეოსის მითი გადმოეცა, არამედ დაეხატა სურათი ბუმბერაზი გმირისა, რომელიც ათენის ეროვნულ სიამაყედ ითვლებოდა და რომლის კულტი სწორედ ბაკილიდეს ღრის იყო ათენში დაწესებული. ამიტომ პოეტი მასალად თავისი დითირამბისათვის ღებულობს თეზეოსის თავგადასავლის იმ მომენტს, როდესაც გმირი, თავისი მამის საიბნეულად წამოსული, მრავალ-ომგადახდილი, ბოლოს მიაღწევს ათენს; მისი მოახლოება თავზარს სცემს ქალაქს: ათენელები შემფოთებული არიან იმით, თუ რის მაუწყებელია საყვირი, თუ რისი მომტანია ის უცხო ვაჟკაცი: სამტროდ უახლოვდება ის ათენს, თუ სასიკეთოდ? ეგეოსს უკვე სმენია ამ ვაჟკაცზე და ისიც პასუხს აძლევს შეკითხვებზე: აუწერს მოქალაქეებს გმირის გარეგნობას, მის ტანსაცმელსა და საჭურველს („მახვილი სპილოსძელისბუნიანი... ლაკონური მუზარადით“) და უამბობს მის საგმირო საქმეებზე.

დითირამბი დიალოგის სახით არის აგებული: მოქალაქეთა გუნდის ორ სიმღერა-შეკითხვას რიგრიგობით მოსდევს ეგეოსის პასუხის ორი სტროფი. ეს დითირამბი წარმოგვიდგენს იმ გარდამავალ საფეხურს, როდესაც ხდებოდა დითირამბის გადაზრდა ტრაგედიაში, როდესაც საგუნდო ლირიკის საფუძველზე დრამა იქმნებოდა.

პინდარეს სიმღერები. საგუნდო სიმღერების ყველაზე დიდ წარმომადგენლად ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებში ითვლებოდა პინდარე. მისი პოეზია მიაჩნდათ ქორიკული ჟანრის განვითარების უმაღლეს საფეხურად, ხოლო თვით პოეტი ფართო გაქანების შემოქმედად.

პინდარე სთხზავდა როგორც ღმერთთა, ისე ადამიანთა სადიდებელ სიმღერებს. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში საყოველთაოდ განთქმული ყოფილა პინდარეს ჰიმნები, დითირამბები, ეპინიკები და თრენები. ამათ გარდა სვილა იხსენიებს პინდარეს პროსო-

დიებს, პართენიებს, პეანებს, ჰიპორქემებს, სკოლიონებს, ენკომიონებს და „ტრაგიკულ დრამებს“. ალექსანდრიელ მეცნიერს არისტოფანე ბიზანტიონელს გამოუცია პინდარეს სიმღერები 17 წიგნად. ამათგან ჩვენამდე სრულად არის მოღწეული ეპინიკების ოთხი წიგნი: დანარჩენი 13 წიგნის მხოლოდ ნაწყვეტები გვაქვს.

ეპინიკები. პინდარეს ეპინიკების ოთხი წიგნი შეიცავს 45 სიმღერას და დალაგებულია იმ პანელინური დღეობების მიხედვით, რომლებზედაც გაიმარჯვეს პინდარეს მიერ შექმბულმა გამირებმა: ეს არის 14 ოლიმპიური ოდა, 12 პითიური, 11 ნემეური და 8 ისთმური.

როგორც ეს საზოგადოდ მიღებული იყო ეპინიკებში, პინდარეც აქებს გამარჯვებამოპოვებულ გამირს, რომელმაც შეუკეთა მას სიმღერა ან რომლისთვისაც მეგობრებმა და თვისტიმებმა დაავალეს მას სიმღერის შეთხზვა, აქებს მის გვარს, წინაპრებსა და ნათესავებს, ადიდებს მის სამშობლოს და ამ სამშობლოს მკველ ღმერთებს. მნიშვნელოვანი როლი აქვს მიკუთვნებული რომელსამე მითს, დაკავშირებულს გამარჯვებულის წინაპრებთან, ან მის სამშობლოსთან: ზოგჯერ შესაძლებელია მითი ჩაქსოვილი იყოს იმ ბრძნული აზრებისა და მითითებების საილუსტრაციოდ, რომლებითაც პოეტი მიმართავს თავის გამირს, გამარჯვებულს.

თავის ეპინიკებში პინდარე ღრმა მოაზროვნეა, და მისი აზროვნება ასახავს V საუკუნის არისტოკრატიის მსოფლმხედველობას, იმ რაინდული არისტოკრატიისა, რომლისთვისაც ოლიმპიურ, პითიურ, ნემეურ, ან ისთმურ დღეობაზე გამართული შეჯიბრება უბრალო გართობა კი არ იყო, არამედ ცხოვრების ფილოსოფიით ნაკარნახევი ძირითადი და აუცილებელი მოთხოვნილება. ოლიმპიასა და დელფოში, ნემეასა და ისთმოში (ან სხვაგან სადმე) საერო დღეობაზე მოპოვებული გამარჯვება ნიშნავდა არისტოკრატიისათვის იმას, რომ ის არა მარტო დღეობის მონაწილეთა თვალში, არამედ მთელი ბერძნული სამყაროს წინაშე ამტკიცებდა თავის სიძლიერესა და სიღიადეს, თავის სიმდიდრესა და ბედნიერებას: ამით ის სიხარულს იწვევდა მეგობრებსა და მახლობლებში, ნათესავებსა და თანამოქალაქეებში, რომლებიც ამიერიდან მასში ჰხედავდნენ თავიანთი სამშობლოს ნუგეშსა და ბურჯს: ზოლო მტერსა და ბოროტმზრახველს შიშის ზარსა სცემდა და აიძულებდა მათ გადაესინჯათ თავიანთი პოლიტიკა გამარჯვებულისა და მისი სამშობლოს მიმართ.

პინდარეს აზროვნება, პირველ ყოვლისა, ღრმა-რელიგიურია. მისი აზრით მსოფლიოში ერთმანეთს უპირისპირდებიან ღმერთი და ადამიანი. ყველაფერი კარგი — ღმერთისაგან მომდინარეობს. ცუდი — ადამიანისაგან. „ღმერთი აღწევს ყველა მიზანს თავისი სურვილისდა მიხედვით, ღმერთი, რომელიც ფრთამარდ არწივსაც დაე-



წევა და ზღვის დელფინსაც გაუწერებს, მაღალგონიერ ადამიანსაც ქედს ახრევენებს, ხოლო ზოგს — უბერებელი (საუკუნო) დიდებით აჯილდოებს“ (პითიური I, 49 — 54). ადამიანი კი არარაობაა: „ადამიანი — აჩრდილის მოჩვენებაა. მაგრამ როდესაც ღვთით-მოცემული სიბრწყინვალე მოვა, მაშინ ბრწყინვალე ნათელი დაუდგება ადამიანებს და საამური ცხოვრება“ (პითიური VIII, 96—99).

აქედან ადამიანმა უნდა გამოიტანოს ის დასკვნა, რომ საჭიროა თავისი არარაობის შეცნობა, საჭიროა ადამიანმა მისდიოს ღმერთების მიერ დადგენილ კანონებს. ამ კანონების მიხედვით საჭიროა ადამიანმა შეიმუშაოს „სივაცაკე“, რომელიც გულისხმობს არა მარტო ფიზიკური სიძნეს, არამედ აგრეთვე სულიერსა და გონებრივ სიკეთეს. მაშინ ღმერთი მიანიჭებს მას გამარჯვებას, არგუნებს „სიმდიდრესა და ბედნიერებას ერთად; და ეს არის საუკეთესო სიბრძნე“ (პითიური II, 101 — 102).

ამ საქმეში, სახელდობრ, რომ ადამიანმა მიაღწიოს „სივაცაკეს“. პინდარე დიდ როლს აკუთვნებს პოეტს. უკვე ჰორაციუსმა აღნიშნა პინდარეს შესახებ: გმირი „ცამდე აპყავს და უკვდავყოფს მის სახელსო“. მართლაც, თვით პინდარე ზშირად ლაპარაკობს იმაზე, რომ დიად საქმეებს სიმღერა, შექება ესაჭიროება, თუ არა და ისინი ღვიწყებას მიეცემიანო.

პოეტი ბრძენია, იგი ღვთით დაჯილდოებულია და ამიტომ მას აქვს უნარი „არეტეს“ შეცნობისა; რადგან „არეტე“ არის ის უმაღლესი რამ. რასაც უნდა ესწრაფებოდეს ადამიანი, ამიტომ პოეტის სიტყვას გულისყურით უნდა მოეპყრას იგი და ის გაიხადოს სახელმძღვანელოდ.

ეპინიკების კომპოზიცია. პინდარეს ეპინიკები სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, ჰიპოთესისი და ეპილოგი; მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიპოთესისი (ამასთანავე, ყველაზე ვრცელი). პროლოგში პოეტი, ჩვეულებრივ, მოგვითხრობს, თუ რა პირობებში მოხდა გამარჯვება, და ზოგადად ახასიათებს თავის გამარჯვებულ გმირს. ჰიპოთესისში კი ის გადმოგვცემს რომელსამე მითს, რომელიც დაკავშირებულია თვით გამარჯვებულთან, მის წინაპრებთან ან მის სამშობლოსთან, ან საჭიროა პოეტისათვის მისი აზრების ნათელსაყოფად. მითის დასრულებისას პოეტი (ეპილოგში) კვლავ მოიგონებს გამარჯვებულს, აღიდებს მას და ბრძნული დარიგებით მიმართავს.

პინდარეს ეპინიკები დაწერილია იმ წარჩინებულ მმართველთა სადიდებლად, რომელთა კარზე — საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში — გაატარა მან თავისი სიცოცხლე ან იმ პირთა სადიდებლად, რომელთა შექება მას დაავალეს. ესენი არიან: ჰიერონ სირაკუზელი, თერონ აკრაგანტელი და მრავალი სხვა.

პინდარე — საგუნდო ლირიკის ყველაზე დიდი წარმომადგენელია; ამავე დროს იგი საგუნდო ლირიკის უკანასკნელი წარმომადგენელიცაა. პინდარეს შემდეგ ქორიკას უკვე არა თუ მნიშვნელოვანი არაფერი მოუცია, არამედ ის, საზოგადოდ, გაქრა ასპარეზიდან როგორც დამოუკიდებელი ჟანრი. ამის მიზეზი ორგვარია:

1. საგუნდო ლირიკა (დითირამბები, პეანები, ეპინიკები, ...) დორიულმა არისტოკრატიამ განავითარა და მას ბოლომდე შერჩა ეს არისტოკრატიული ხასიათი. საგუნდო ლირიკის წარმომადგენლები დორიული ქვეყნების გარეთაც რომ მოღვაწეობდნენ, უპირატესად არისტოკრატიას ემსახურებოდნენ თავიანთი ეპინიკებით და სხვა სიმღერებით; როგორც გამოჩაქისი, შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობა, ისიც მოკლე ხნით, დემოკრატიულ ათენში. მეხუთე საუკუნეში გვაქვს ბერძნული სამყაროს კულტურული ცხოვრების განვითარების ის ეტაპი, რომელიც დემოკრატიულ ათენის პეგემონობითა და მეთაურობით ხასიათდება; მაშასადამე. მოსალოდნელი იყო, რომ არისტოკრატიული ხასიათის ქორიკას დემოკრატიული იდეების გაბატონებისას აღარ ექნებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი წინანდელი გამოძახილი.

2. ღმერთთა სადიდებელი დითირამბები და პეანები, რასაკვირველია, დემოკრატიულ ქვეყნებში ისევე გავრცელებული იყო, როგორც არისტოკრატიულ მხარეებში. ამ სიმღერათაგან VI საუკუნის შუა წლებიდან, დიონისეს კულტის გაბატონებასთან ერთად, დითირამბებმა მოიპოვეს უპირატესობა. დიონისეს საქებარი სიმღერიდან გმირთა შესაქებ სიმღერად გადაკეთებული დითირამბი გამოიყენა ჯერ არისტოკრატიულმა სამყარომ, შემდეგ დემოკრატიულმა ათენმაც. საგმირო დითირამბის საფუძველზე ათენში განვითარდა ტრაგედია, რომელიც V საუკუნეში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარ მხატვრულ საშუალებად იქცა; ტრაგედიაში მთლიანად შევიდა საგუნდო სიმღერა, როგორც მისი მთავარი და აუცილებელი ნაწილი. მაშასადამე, საგუნდო ლირიკას, როგორც დამოუკიდებელ ჟანრს, ადგილი უნდა დაეთმო პოეზიის ახალი, უფრო სრულყოფილი დარგისათვის (ტრაგედიისათვის).

## თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

### ტ რ ა გ ე დ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ლ ა ბ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

§ 57. ატიკის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა VI საუკუნეში. საკოლონიზაციო მოძრაობამ VII—VI საუკუნეების მანძილზე საბერძნეთის პოლისებს შეუქმნა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები ეკონომიური გაძლიერებისათვის. შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები და აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, ისევე როგორც ახლანდელი საფრანგეთისა და ესპანეთის სანაპიროები, ბერძნული პოლისებისათვის დიდი შემოსავლის წყაროდ იქცნენ. უამრავი ბერძნული პოლისი (მილეტი, ეფესო, სმირნა, ათენი, მეგარა, კორინთო და სხვები) ამ ახალ ქვეყნებში ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ პოზიციების დასაპყრობად.

საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარებას თან სდევდა პოლისებში საშინაო ბრძოლის გამწვავებაც. საკოლონიზაციო მოძრაობის დროს დაწინაურებული დემოსი ებრძვის არისტოკრატიას პოლიტიკური უფლებებისათვის, ამდროინდელი ბერძნული პოლისების განვითარების ისტორია გვესწავლის ჩვენ, რომ. რაც უფრო წარმატებით იყო პოლისის ეკონომიური დაწინაურება საკოლონიზაციო მოძრაობაში, მით უფრო გამწვავებული იყო შიგნით პოლისში კლასობრივი ბრძოლა.

ეს მოვლენა საუკეთესოდ მტკიცდება ათენის მაგალითზე. VII—VI საუკუნეების მანძილზე პოლისთა შორის წარმოებული მეტოქეობის დროს ათენი აღმოჩნდა დანარჩენ პოლისებზე უფრო გამძლე და ცხოველმყოფელი. შედარებით მოკლე ხანში ათენმა შესძლო საუკეთესო სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება: სალამინის დაპყრობა 610 წელს, ისევე როგორც ლესბოსსა და ათენს შორის ბრძოლა ჰელესპონტისათვის. ამის საუკეთესო მაჩვენებელია. VI საუკუნის შუა წლებისათვის ათენი უკვე საკმაოდ ძლიერია. ის უკვე ჰელესპონტშია გასული და შავი ზღვის სანაპიროთა პურის ბელლის გასაღები მის ხელშია. საკოლონიზაციო მოძრაობა პირველ რიგში ზღვაოსნობის განვითარებას იყარდნო-

პოდა. და VI საუკუნის შუა წლებში ათენი უკვე ზღვათმბრძანებელია. ათენი აგებს და ამაგრებს საკუთარ ნავსადგურს პირეოსს, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში პირველხარისხოვან საზღვაოსნო სიმაგრედ იქცევა.

ათენი იმდენად გაძლიერებულია, რომ მრავალი წვრილი პოლისი ხელავე მასში თავის ხელმძღვანელს, თავის წინამძღოლს. მრავალი უცხოელი მიისწრაფვის ათენში და კიდევაც სახლდება იქ, როგორც ისეთ ქალაქში, რომელსაც ფართო ეკონომიური და კულტურული აწმყო და მომავალი აქვს. მრავალი უცხოელი ადგილობრივ ათენელებთან ერთად საუკეთესო საარსებო საშუალებებს ღებულობს ათენში იმ დიდი აღმშენებლობის გამო, რომელსაც პისისტრატე აწარმოებს ათენში (აკროპოლისი, თესეონი და სხვ.).

გაძლიერებული ათენი, ამრიგად, იზიდავს ირავალ უცხოელსაც. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საერო დღესასწაულებს, რომლებიც იმართებოდა ათენში (ისევე როგორც დანარჩენ პოლისებში). ათენში გამართულ საერო დღესასწაულებს ესწრებოდნენ, გარდა ათენელებისა, სხვა ბერძნული პოლისების მოქალაქენიც. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დღესასწაულების ორგანიზებულად ჩატარებას, მდიდრულად მოწყობას და მხატვრულად გაფორმებას. პისისტრატემ გაითვალისწინა ეს და ათენის დღესასწაულების ორგანიზაციაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა.

საერო დღესასწაულთაგან ამ დროს ყველაზე ფართო გავრცელება და პოპულარობა ზალსში ჰქონდა დიონისეს დღესასწაულებს.

§ 58. დიონისეს დღესასწაულები. დიონისე ბერძენ ღმერთთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. იგი ვენახისა და ღვინის კულტურის დანერგავი ღვთაებაა. მან ისეთი ახალი კულტურა შემოიტანა საბერძნეთში, რომელმაც ბერძნების შემოსავალი გაზარდა და პირად ცხოვრებაშიც სიამოვნება შემატა.

დიონისეს თავგადასავლის შესახებ შემდეგი მითი არსებობდა. დიონისე ზევსისა და სემელეს ველია. ერთხელ ზევსმა — როგორც ეს მას არაერთხელ ჩაუდენია — ნიშნში ამოიღო ლამაზი ქალი სემელე და მას დაუახლოვდა. ჰერამ მალე გაიგო ზევსის ეს ღალატი და მოინდომა სამაგიერო გადაეხადა თავისი მებრძოლისათვის. იგი დედაბერის სახით გამოეცხადა სემელეს და, საუბარში რომ უთხრა სემელემ ჩემთან ზევსი დადისო, ურჩია მას: თუ ის მართლა ზევსია და არ გატყუებს, სთხოვე გამოგეცხადოს თავისი ნამდვილი სახითო. გულუბრყვილო სემელე ვერ მიუხედა ჰერას ვერაგობას და, როდესაც მახლობელ დღეებში მას ზევსი ესტუმრა, უთხრა მას: ერთი თხოვნა მაქვს და უთუოდ უნდა შემისრულო; ზევსმაც აღუთქვა და როდესაც ამის შემდეგ სემელემ თავისი სურვილი გაუმჟღავნა — შენი საკუთარი სახით მეჩვენეო. ზევსი, მართალია მიხვდა რომ ეს ჰერას ოინები უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღას იზამდა — უკვე პირობა ჰქონდა სემელესათვის მიცემული თხოვნას შეგისრულებო. ჩააღწიეო დღის შემდეგ ზევსი ეწვია სემელეს თავისი ნამდვილი სახით ე. ი. რო-

გორც ქვეაქუხილის ღვთაება. ეღვის მტყორცნელი ზევისს მოახლოებისს სემელე, სახლს ცეცხლი გაუჩნდა: იწორა სახლი, იწორა სემელეც. ზევისმა არ მოისურვა დაღუ- პულიყო მისი ნაყოფი (სემელე უკვე ორსულად იყო), ამიტომ მან მომავდაკი სემელეს საშოდან გამოიღო ნაყოფი და თავის თეძოში შეინახა. რომ გავიდა ცხრა თვე ზევისს თეძოდან დაიბადა დ ი ო ნ ი ს ე.

ამრიგად, დიონისე ორჯერ შობილია: ერთხელ სემელეს საშოდან, მეორეჯერ — ზევისს თეძოდან. დიონისეს ორმაგად შობა უკავშირდება ბერძნების წარმოდგენას დიონისეზე, როგორც ღვინის ღმერთზე: ღვინოც ორჯერ იბადება — ერთხელ მწიფ- დება ყურანის სახით, ხოლო მეორეჯერ დაღუღდება წვენის სახით.

დიონისე დაეკავდა. ის თავისი მხლებლებით დადის სოფელ-სოფელ და ავრცე- ლებს ვენახისა და ღვინის კულტურას. ამ გავრცელების დროს მას ხვდება უამრავი დაბრკოლება: ვენახის კულტურას, როგორც ხშირად ბერს ახალ კულტურას, მოახ- ლეობა მტრულად ხვდება. ხშირად სისხლის ღვრამდე მადის საქმე. დიონისე და მხლებლებს მისახლეობა სისტიკ წინააღმდეგობას უწევს, და ხშირად დიონისე და მისი მხლებლები საიკვდილის საფრთხის წინააღმდეგ დგან.

დიონისეს მხლებლები არიან სა ტ ი რ ე ბ ი. ისინი ბერძნებს წარმოდგენილ აკეთ ნახევართებად. ნახევარადმიანებად (ზედა ტანი ადამიანისა ჰქონდათ, ქვედა — თხისა). ბერძნების ეს წარმოდგენა უკავშირდება აგრეთვე მათ წარმოდგენას დიონი- სეზე, როგორც ღვინის ღმერთზე: ღვინო ხომ ინახებოდა თხის ტყავისაგან გაკეთებულ ტიკში (გავრცხენოთ ძველქართული სიტყვა „თხიერი“). ამიტომ, ცხადია, როგორც დიონისე თავის წარმოშობით ღვინის წარმოშობას უკავშირდებოდა, ისე მისი ნახე- ვართბა მხლებლები ღვინის შესანახ ჰურტელს უკავშირდებოდნენ.

მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, დიონისე მაინც მრავალ მომხრეს იძენდა ვენახის კულტურისათვის და ღვინის სმისათვის. ამ მომხრეთა შორის იყვნენ კაცებიცა და ქალებიც. ცხადია, დიონისე და მისი მხლებლები, და ყველა მისი მომ- ხრები, რომლებიც უერთდებოდნენ მას და მასთან ერთად განაგრძობდნენ ვენახის კულტურის დანერგვას, დროს ატარებდნენ მხიარულად. ეს დროსტარება ღვინით შექეიფიანებულ დიონისესი და მისი მომხრეების ხშირად ღვობად იქცეოდა, უშმა- წური სიტყვა-პასუხით ხასიათდებოდა და აღვირახსნილი მოქმედებითაც თავდებოდა. ასე, მაგალითად, ცნობილი არიან დიონისეს მომხრე ქალები, ე. წ. ბაკელი ქალები, რომლებიც დიონისეს ამალაში საკმაოდ თავისუფლად იქცეოდნენ. დიონისეს მოღვა- წეობა როგორც ვენახისა და ღვინის ღვთაებისა, გამოკვეთით დამთავრდა და ვენახის კულტურა შეიქნა საბერძნეთში ერთ-ერთ ძირითად კულტურად.

საბერძნეთის ყველა კუთხეში როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ამ უაღრესად შემოსავლიანი კულტურის დანერგველ დიონისეს ყოველ- წლიურად დღესასწაულს უმართავდნენ ბერძნები. სოფლად ეს დღე- სასწაული უფრო მცირე მასშტაბით ტარდებოდა, ქალაქად — უფრო ფართო მასშტაბით, ხოლო ათენში მას უაღრესად საზეიმო ხასიათი ჰქონდა.

დღესასწაულები შემდეგი გეგმით ტარდებოდა: ღვთაებას, ამ შემ- თხვევაში დიონისეს, წინასწარ საზვარაკოდ გასუქებულ ხარს უკლავ- დნენ. იმ დროს, როდესაც ქურთში ამ მსხვერპლსა სწირავდა დიონი- სეს, უკანასკნელს უმღეროდნენ მის სადიდებელ სიმღერას. თავდაპირ- ველად ეს სიმღერა, რომელსაც დ ი თ ი რ ა მ ბ ი ერქვა, იმპროვიზა-

ციული ხასიათისა იყო, ხოლო შემდეგ ხანებში დიონისეს დღესასწაულებისათვის დითირამბს საგანგებოდ უკვეთდნენ ხოლმე რომელსამე პოეტს. არსებობს გადმოცემა, რომ პირველი ბერძენი მოღვაწე, რომელმაც დითირამბს არაიმპროვიზაციული ხასიათი მისცა, იყო არიონი, კორინთელი პოეტი VII — VI საუკუნისა. მანვე, არიონმა, გადაქცია დითირამბი ერთპიროვნული სიმღერიდან საგუნდო სიმღერად და შემოსა მეგუნდენი თხის ქურჭით (იმის საჩვენებლად, რომ დიონისეს თანაშემწენი იყვნენ ნახევართხა სატირები).<sup>1</sup>

ამრიგად გაჩნდა საგუნდო სიმღერა, დითირამბი, რომლის დანიშნულება იყო დიონისეს დიდება, როგორც ახალი კულტურის დანერგვისათვის წამებული ღვთაებისა.

მსხვერპლშეწირვის შემდეგ დაკლული ბარის შიგნეულობას და ხორცს შესწავდნენ ხოლმე და შეექცეოდნენ. იმართებოდა სხვადასხვა სახის გართობაც (ეტლთა სრბოლა, რბენა, კრივი და სხვ.). შემდეგ შექეიფიანებული და შეზარხოშებული ხალხი მართავდა სამხიარულო პროცესიას: უმასპინძლებოდნენ უწმაწური სიტყვებით. ამ პროცესიას ორგანიზებული ხასიათი მიეცა: მას უყურებდნენ, როგორც დიონისეს პატივსაცემ რიტუალს, ხოლო რამდენადაც ეს რიტუალი სრულდებოდა შეზარხოშებული და გამხიარულებული ხალხის მიერ, ამდენად დღესასწაულის ამ ნაწილში ადიდებდნენ დიონისეს არა როგორც ვენახის კულტურისათვის წამებულ ღვთაებას, არამედ როგორც ღვინის, სიმთვრალისა და გარყვნილების ღვთაებას. ამიტომ აუცილებელი ატრიბუტი ამ სამხიარულო პროცესიისა იყო ფალოსი („ფალოს“ ეწოდება მამაკაცის სარტყვინელ ასოს).

პროცესიას წინ მიუძღოდა ფალოფორი, რომელსაც ხელში ეჭირა ჯოხზე წამოცმული ფალოსი, ხოლო უკან მოსდევდა, ტკბილეულით კალათებში, ხალხი, რომელიც მხიარულ უწმაწურ სიმღერებსა მღეროდა (ე. წ. ფალიკური სიმღერები).

დღესასწაულის იმ ნაწილმა, რომელშიც დიონისეს უმღეროდნენ დითირამბს, მისცა დასაბამი ტრაგედიას, ხოლო ფალიკური სიმღერები გახდა ერთ-ერთი საწყისი კომედიისა. ამის შესახებ არისტოტელე აპობს: „ტრაგედია და კომედია წარმოიშვა იმპროვიზაციული საწყისიდან: ტრაგედია წარმოიშვა დითირამბის დამწყებთაგან

<sup>1</sup> თხის ქურჭში გამოწყობილი გუნდის მონაწილეებს ეწოდებოდათ „ტრაგოა“, ხოლო მათ სიმღერას — „ტრაგოდია“ (ტრაგოს — „თხა“, ოდე — „სიმღერა“, ე. ი. „თხათა სიმღერა“).

ხოლო კომედია — ფალიკური სიმღერების დამწყებთაგან“ („პოეტიკა“, თავი IV).

§ 59. ტრაგედიის წარმოშობა. ტრაგედია წარმოიშვა; როგორც განმარტავს არისტოტელე, დითირამბის დამწყებთაგან. არისტოტელეს აზრით, იმ გუნდში, რომელიც მღეროდა დითირამბს, გამოირჩეოდა კორიფევისი, რომელიც სიმღერის დამწყები იყო. თუ პარველ ხანებში დითირამბის დანიშნულება მხოლოდ დიონისეს ქება იყო, შემდეგ ის გადაიქცა დიონისეს თავგადასავლის შესახებ მომთხრობელ სიძღე-რად. კორიფევისი უნდა ყოფილიყო განსახიერება ტანჯული დიონისესი, ხოლო დანარჩენი გუნდი — მისი მხლებელი სატირებისა.

ყოველი დღესასწაული წარმოადგენდა იარაღს გაბატონებული წრეებისათვის ხელსაყრელი იდეების საქადაგებლად. და ბუნებრივია, რომ იმ დროს, როდესაც ბერძნულ პოლისებში არისტოკრატია ბატონობდა, ის მოისურვებდა ეგზომ პოპულარული დიონისეს. დღესასწაულის გამოყენებას თავისი მიზნებისათვის. ამიტომ, არისტოკრატია დიონისეს დითირამბი შესცვალა საგმირო დითირამბით, ე. ი. დითირამბის საგნად, ნაცვლად დიონისესი, გახდნენ გმირები, რომლებიც არისტოკრატთა წინაპრებად ითვლებოდნენ. ამრიგად, დიონისეს დითირამბის გვერდით, გაჩნდა საგმირო დითირამბი: დიონისეს დღესასწაულზე შეკრებილი ხალხის წინაშე გუნდს ამღერებდნენ იმ გმირთა სადიდებლად (აგამემონი; აქილევისი, ადრასტე და სხვ.), რომლებმაც წარსულში დიდი ღვაწლი დასდეს საბერძნეთს.

რაკი დიონისეს დითირამბი საგმირო დითირამბმა შესცვალა, უნდა შეეცვლილიყო თვით გუნდის სტრუქტურაც: სატირების გუნდი აღარ შეეფერებოდა ამ საგმირო ქოროს, გაჩნდა სხვაგვარად შენიღბული გუნდი, რომელიც წარმოადგენდა იმ გარემოს, რომელიც აღებულ გმირს შეეფერებოდა.

დიონისეს ან გმირის განდიდებისაგან გადავიდნენ მისი თავგადასავლის თხრობაზე. დითირამბის დამწყებს შეეძლო გუნდს გამოცალკეებოდა, სიტყვებით მიემართა გუნდისათვის და გამოეწვია ქორეგტები (მეგუნდენი) სასიმღეროდ. თავგადასავლის თხრობიდან რომ გადავიდნენ დიონისეს ან გმირის თავგადასავლის ეპიზოდების: ასახვაზე, უკვე საჭირო შეიქმნა ახალი ცვლილებების შეტანა:

საჭირო შეიქმნა მსახიობის გამოყვანა, რომელსაც შეეძლო გუნდს სრულიად გამოცალკეებოდა (დამწყებს კი ეს არ შეეძლო) და განესახიერებინა დიონისე ან რომელიმე გმირი.

მსახიობს შეეძლო გამოეწვია გუნდი არა მარტო სასიმღეროდ, არამედ სამოქმედოდაც; მას შეეძლო საუბარი გაემართა გუნდის მეთაურთან, კორიფევსთან და მასთან გამართული საუბრით რამე ეპიზოდი განევითარებინა. ამგვარად, დითირამბის განვითარების ამ ეტაპზე

პირველად ჩნდება მოქმედება, რაც ტრაგედიის, როგორც დრამის ძირითად ელემენტს წარმოადგენს (ბეჰუჟ ფუძისაგან ბეჟ, ბეჟა „ემოქმედება“).

პირველი პოეტი, რომელმაც გუნდიდან გამოჰყო მსახიობი და დააკისრა მას ამა თუ იმ გმირის თავგადასავლის განსახიერება, იყო თესპიდო. თესპიდის ამ რეფორმამ (534 წელს) მისცა დასაწყისი ტრაგედიას.

ერთი პირი, ერთი მსახიობი, რასაკვირველია, მოქმედებას ვერ განავითარებდა. მოქმედება გულისხმობს ინტერესთა შეჯახებას, რამდენიმე, ყოველ შემთხვევაში, ორ მოპირდაპირეს შორის მაინც ინტერესთა სხვაობის არსებობას.

ამიტომ ერთი მსახიობი მოქმედებას ვერ განავითარებდა და, ცხადია, მას მოქმედების განვითარებაში დანარჩენი გუნდი შველოდა. გუნდი, ასე ვთქვათ, მსახიობთან ერთად მოქმედებას ავითარებდა, რაც რატომ უხდა, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა, რამდენადაც გუნდს თავისი საგუნდო პარტია ჰქონდა და თავისი სპეციალური დანიშნულება მოეპოვებოდა.

ამ სირთულეს სძლევს პოეტი ესქილე (525 — 456), რომელიც მოქმედების განსავითარებლად უმატებს მეორე მსახიობს, რაც მოქმედებას აძლევს, რასაკვირველია, ნორმალურ მსვლელობას.

პოეტი სოფოკლე (496 — 406) უმატებს მესამე მსახიობს და ამით კიდევ უფრო მეტად გააცხოველებს მოქმედებას.

როგორც დავინახეთ, ტრაგედიის ამოსავალი წერტილი იმ ბირთვში იყო, რომელსაც დითირამბის შემსრულებელი გუნდი ეწოდებოდა და, რამდენადაც ტრაგედიის, როგორც დრამის, მთავარი წინიშვნელობა მოქმედების განვითარებაა, იმდენად მისთვის უპირველესი მნიშვნელებისა არის მსახიობის გაჩენა. უმსახიობოდ დრამა არ იქნებოდა, რადგან დრამა არის „მოქმედება“, ზოლო მოქმედებას ავითარებს მსახიობი. მსახიობი კი, როგორც დავინახეთ, არის გუნდის დამწყების გამგრძელებელი, მისი განვითარების შემდგომი ეტაპი; მასთანადამე, მართალი იყო არისტოტელე, როდესაც ამბობდა: **ტრაგედია დითირამბის დამწყებისაგან განვითარდაო.**

როგორც ვხედავთ, მსახიობი გუნდის გამოჩაყოფია: გუნდს გამოეყო ჯერ ერთი, შემდეგ ორი და მერე სამი მსახიობი. ცხადია, მსახიობის როლის ზრდასთან ერთად მცირდება გუნდის როლი; თუ თავდაპირველად მთელი სანაბაობის ჩვენება გუნდის სიმღერას წარმოადგენდა. შემდეგ, როდესაც ერთი მსახიობი გამოეყო, გუნდი მას ეხმარებოდა და მოქმედებას ავითარებდა. თანდათან, რაც უფრო მატულობს რიცხვი მსახიობებისა, მოქმედების განმავითარებლები უპირატესად მსახიობები არიან, და გუნდის მონაწილეობა მოქმედების გან-



ვითარებაში უფრო და უფრო სუსტდება; გუნდი თანდათან იქცევა ისეთ ერთეულად, რომელსაც მოქმედების განვითარება კი არა აქვს დაკისრებული, შემდეგ ხანებში არც მისთვის ხელის შეწყობა, არამედ მსახიობთა მიერ განვითარებული მოქმედების მოწმედ ყოფნა და ნახული მოქმედების შესახებ თავისი აზრის გამოთქმა. გუნდი მის თვალწინ ჩატარებულ მოქმედებას თავის სიმღერაში ან იწონებს ან კიცხავს; გუნდი, ასე ვთქვათ, წარმოადგენს საზოგადოებრივ აზრს და, რამდენადაც საზოგადოებრივ აზრს მნიშვნელობა და გავლენა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამდენად გუნდი თავისი განვითარების ამ ეტაპზე მოქმედების განვითარების ხელისშემწყობია.

გუნდის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე მას ეს უკანასკნელი როლიც ეკარგება, ვინაიდან, მსახიობთა როლის გაზრდის გამო, მოქმედების განვითარებაცა და ამ უკანასკნელისათვის ხელის შეწყობაც მთლიანად მსახიობებს ეკისრებათ. გუნდი მოქმედების მხოლოდ მოწმეა, მისი სიმღერა მოქმედების განვითარებაზე გავლენას აღარ ახდენს და, თუ ის ტრაგედიაში კიდევ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ დიონისეს დღესასწაულებზე დასადგმელ ტრაგედიაში შეუძლებელია არ იყოს გუნდი, რომლის არსებობა მოაგონებს მაყურებელს ტრაგედიის წარმოშობას დიონისეს (დღესასწაულის მიზეზის) საიდუმლოდ განკუთვნილი სიმღერისაგან. გუნდი ტრაგედიაში ბოლომდე დარჩა და, რადგან მას მოქმედებაში მონაწილეობის როლი გაუქრა, იმიტომ ის გადაიქცა დეკორაციულ სამკაულად და საზოგადოების გამრთობად. ამით აიხსნება, რომ, თუ თავდაპირველად ტრაგედიის გუნდი 12 კაცისაგან შედგებოდა, შემდეგ ის რიცხობრივად გაიზარდა, 15 კაცი გახდა, რადგან რიცხობრივ ზრდას უნდა გაემშვენიერებინა გუნდი, როგორც გარეგნული სამკაული და საზოგადოების გამრთობი.

იცვლებოდა თანდათან მსახიობის მნიშვნელობაც. თავდაპირველად ის, როგორც გუნდის დამწყებთაგან წარმოშობილი, მხოლოდ გუნდის მეთაურს ემსგავსებოდა. გუნდის დამდგმელი პოეტი იყო და, მაშასადამე, გუნდის მეთაური, კორიფეესი — თვით პოეტი იყო. როდესაც გუნდის დამწყებისაგან მსახიობი განვითარდა, ცხადია, ამ მსახიობის როლს თვით პოეტი-ტრაგიკოსი ასრულებდა. მაგალითად, თე სპიდი თვით იყო მსახიობად თავის ტრაგედიებში. როდესაც ორი მსახიობი გაჩნდა და ერთ-ერთ მათგანს ჰქონდა დაკისრებული მთავარი გმირის როლი, ამ როლში, რასაკვირველია, თვით პოეტი-ტრაგიკოსი გამოდიოდა. ასე, მაგალითად, ესქილე თავის ტრაგედიებში თვითონ გამოდიოდა პირველ მსახიობად (პროტაგონისტად).

ესქილეს შემდეგ მსახიობს დაეკისრა უფრო მეტი მოვალეობა. სოფოკლემ გამოიყვანა სამი მსახიობი და თავის ტრაგედიებში მიზნად დაისახა მაშინდელი მზარდი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის სა-

ჭირო მტკიცე პიროვნება აესახა. ამიტომ საჭირო იყო მსახიობი თავისი შინაგანი განწყობით ზიარებულყო იმ პიროვნების ხასიათს, რომელიც მას უნდა აესახა. პოეტი-ტრაგიკოსი შეიძლება ვერ გამომდგარიყო ყოველგვარი როლის განსასახიერებლად. ამით აიხსნება ის, რომ სოფოკლეს დროიდან ჩნდებიან პროფესიონალური მსახიობები, რომლებიც სპეციალურად პიროვნებათა ასახვისათვის არიან განკუთვნილნი. რასაკვირველია. ეს ეხება, პირველ ყოვლისა, მთავარი მოქმედი პირის როლის შემსრულებელ მსახიობს, ე. წ. პროტაგონისტს, ანუ პირველ მსახიობს.

ასეთია ტრაგედიის წარმოშობისა და მისი განვითარების ისტორია.

§ 60. ტრაგედიის კომპოზიცია. ტრაგედიის განვითარების ისტორიის შესწავლამ დაგვანახა ჩვენ, რომ ის ძირითადი ბირთვი, საიდანაც ტრაგედია განვითარდა, საგუნდო სიმღერა იყო. შენდევ ამ საგუნდო სიმღერას ჩაერთო მსახიობთა სიტყვები, ანუ დიალოგი. ამგვარად, ტრაგედიაში განირჩევა ორი მთავარი ნაწილი: საგუნდო და სადილოგო. საგუნდო ნაწილი აგებული იყო ქორაეული მეტრული საზომებით, ხოლო სადილოგო ნაწილი, რომელიც სიმღერას კი არა, არამედ რეციტაციას წარმოადგენდა, აგებული იყო იამბური საზომებით.

ბუნებრივია, რომ თავდაპირველად ტრაგედია გუნდის გამოსვლით, ანუ პაროდისით<sup>1</sup> იწყებოდა. ორქესტრაში გუნდი რჩებოდა ტრაგედიის დამთავრებამდე. ტრაგედია ბოლოვდებოდა გუნდის სიმღერით, რის შემდეგაც გუნდი ორქესტრას სტოვებდა. გუნდის ამ უკანასკნელ სიმღერას ექსოდოსი<sup>2</sup> ეწოდებოდა.

ამგვარად, გუნდი ტრაგედიის დასაწყისიდან ბოლომდე ორქესტრაში იყო. მაგრამ მის სიმღერას მთელ ამ მანძილზე სხვადასხვა ხასიათი და დანიშნულება ჰქონდა. დასაწყისსა და ბოლოში (პაროდოსსა და ექსოდოსში) გუნდის სიმღერა დამოუკიდებელი ხასიათისა იყო. ხოლო შუა ნაწილში, აგონში<sup>3</sup>, ე. ი. იმ ნაწილში, სადაც მსახიობებმ მოქმედებას ავითარებდნენ თავიანთი დიალოგით, გუნდის სასიმღერო პარტიები თავისი თემატიკითა და სულიერი განწყობით დაკავშირებული იყო მსახიობთა მიერ განვითარებულ მოქმედებასთან.

მოქმედება ვითარდებოდა ტრაგედიაში ეპიზოდების სახით, მოქმედებას ჰქონდა თავისი აღმავალი და დაღმავალი საფეხურები:

<sup>1</sup> ბერძნულად „პაროდოსი“ ნიშნავს „გვერდიდან გამოსვლას“, ამით აღინიშნებოდა გუნდის გამოსვლა ორქესტრაში. გუნდი გვერდებიდან. ორქესტრის გვერდებზე არსებული გზით ამოდიოდა. „პაროდოსი“ ეწოდებოდა თვით სიმღერასაც.

<sup>2</sup> ბერძნულად „ექსოდოს“ ნიშნავს „გასვლას“

<sup>3</sup> ბერძნულად „აგონ“ ნიშნავს „ბრძოლას“; აქ იგულისხმება მოქმედ პირთა დავა

ჯერ ღრამატული ინტრიგა თანდათან ინასკვებოდა და უმაღლეს წერტილს აღწევდა; შემდეგ, იწყებოდა ნასკვის გახსნა. თითოეული ამ საფეხურისათვის და ინტრიგის განვითარების გზებისათვის განკუთვნილი იყო მსახიობთა შორის წარმოებული დიალოგი. მოქმედება რომ ერთ საფეხურს გაივლიდა (ამას ერქვა ერთი ეპიზოდი), გუნდი მოქმედების ამ განვლილი ნაწილის შესახებ თავის აზრს გამოსთქვამდა სიმღერით. შემდეგ, იწყებოდა მსახიობთა მიერ მოქმედების მეორე საფეხურის განვითარება (მეორე ეპიზოდი,<sup>1</sup>) რასაც მოსდევდა გუნდის მეორე სიმღერა და ა. შ. ეპიზოდების შემდეგ შესრულებულ საგუნდო სიმღერებს ეწოდებოდა სტასიმები (სიტყვისაგან „სტასიმოს“ — მდგომარე, უძრავი, რადგან ამ სიმღერების დროს გუნდი უძრავად იდგა ორქესტრაში).

ასეთი იყო თავდაპირველად ტრაგედიის ნაწილების შემადგენლობა. უფრო გვიან ამ ნაწილებს დაემატა კიდევ ერთი — პაროლოგი. ეს სამსახიობო პარტია იყო და ტრაგედიის დასაწყისში სრულდებოდა (πρόλογος „წინასიტყვა“), მისი დანიშნულება იყო მყუდროებისათვის გაეცნო ზოგადად მომავალი მოქმედების რაობა.

ამრიგად, ტრაგედიის შემადგენელი ნაწილებია: პაროლოგი, პაროდოსი, აგონი — მისი ეპიზოდებითა და სტასიმებით, და ექსოდოსი.

§ 60. ა. ტეტრალოგიის სისტემა. გარკვეული დროიდან პოეტები არქონტს უდგენდნენ დასადგმელად სამ-სამ ტრაგედიას (ტრილოგიას). ასევე, გარკვეული დროიდან ტრილოგიას დაემატა მეოთხე პიესა, ე. წ. სატირული დრამა და, ამგვარად მივიღეთ ოთხი დრამისაგან შემდგარი ნაწარმოები (ტეტრალოგია). ასე, მაგალითად, ესქილეს თებეს ციკლის ტეტრალოგიაში შედიოდა ტრაგედიები „ლაოსი“, „ოიდიპოსი“ და „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და სატირული დრამა „სფინქსი“.

სატირული დრამა. ამგვარად, ღრამატული წარმოდგენების აუცილებელ ნაწილს შეადგენდა V საუკუნეში სატირული დრამა, რომელიც ტრილოგიას ერთვოდა მეოთხე პიესის სახით.

იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რა კავშირია სატირულ დრამასა და ტრაგედიას შორის, საჭიროა მოვიგონოთ არისტოტელეს აზრი ტრაგედიის წარმოშობაზე. „პოეტიკის“ მეოთხე თავში არისტოტელე ჯერ ამბობს, რომ ტრაგედია წარმოიშვა დითირამბის დამწყებთაგან. და მერე ხაზს უსვამს იმასაც, რომ „იგი განვითარდა სატირული დრამი-

<sup>1</sup> მსახიობთა მიერ შესრულებულ მოქმედებებს ეპიზოდები იმიტომ ეწოდებოდა, რომ თავდაპირველი ბირთვი ტრაგედიისა ხომ მხოლოდ საგუნდო სიმღერა იყო და შემდეგ დამატებით ჩაურთეს (ἐπιεισθέντες „დამატებით ჩართული“) მსახიობთა დიალოგი.

დან“. არისტოტელეს ეს ორივე განმარტება გამოხატავს ტრაგედიის განვითარების ნამდვილ სურათს, სახელდობრ:

1. იყო ღიოთირამბი, ღიონისეს სადიდებელი სიმღერა, რომელსაც ღიონისეს დღესასწაულზე ასრულებდა პოეტი;

2. VI საუკუნის დასაწყისიდან ღიოთირამბს მღეროდა გუნდი, რომლის მონაწილენი სატირებად (ღიონისეს მხლებლებად) იყვნენ გამოწყობილი; გაჩნდა, მაშასადამე, სატირთა გუნდი და სატირთა სიმღერა და ცეკვა. რამდენადაც სატირები (წელზემთ ადამიანები, წელქვემოთ თხები; წინ ფალოსით, უკან კუდით) მხიარული არსებანი იყვნენ, მათ სიმღერა-ცეკვასაც მხიარული ხასიათი ჰქონდა;

3. სატირთა სიმღერაში ღიონისე თანდათან შესცვალა გმირმა; გუნდის დამწყები უკვე გმირის თავგადასავალზე მღეროდა, ასეთი გადასვლა გმირის თავგადასავალზე შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გმირობას შეეფერებოდა სატირთა სიმხიარულე და სიოხუნჯე (ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ჰერაკლეს ან ოდისეისის მიმართ);

4. სატირთა სიმღერის და მოქმედების არე გაფართოვდა, რკალში შემოვიდნენ დანარჩენი გმირებიც. რომელთაც უკვე აღარ შეეფერებოდა მხიარულ სატირთა ოხუნჯობა. ამიტომ სატირთა მოქმედება (ს ა ტ ი რ თ ა დ რ ა მ ა) უნდა ჩამოშორებოდა მას, რაც მისგან წარმოიშვა. ე. ი. ტრაგედიას.

5 ამის შემდეგ უკვე ნათელია, თუ რატომ აკბობს არისტოტელე, რომ 1. ტრაგედია წარმოიშვა ღიოთირამბის დამწყებთაგან, 2. ტრაგედია განვითარდა სატირული დრამიდანო.

---

## თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

### ანტიკური ტრაგედიის წარმომადგენელი

§ 61. ანტიკური ტრაგედია. დორიული ღითიარმებისაგან ატიკან (ათენმა) შექმნა პოეზიის ახალი სახე—ტ რ ა გ ე დ ი ა : ი მ დ ო რ ი უ ლ საგუნდო სიმღერაში, რომელშიც მომღერლები და მოცეკვავენი ღმერთთა და გმირთა თავგადასავალს გადმოსცემდნენ, გაჩნდა ი ო ნ ი უ რ - ა ტ ი კ უ რ ი რეციტაცია, რომლითაც გუნდიდან გამოყოფილი მსახიობი (ჭერ ერთი, მერე ორი და შემდეგ სამი), გუნდისავე დახმარებით, ამ ღმერთთა და გმირთა თავგადასავალს განასახიერებდა. ამგვარად, დ ო რ ი უ ლ ი საგუნდო სიმღერისა და ი ო ნ ი უ რ - ა ტ ი კ უ რ ი რეციტაციის შეერთებამ განსაზღვრა ტრაგედიის მხატვრული ფორმა: საგუნდო პარტიები მუდამ დ ო რ ი უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი თ იმღერებოდა, ხოლო მსახიობები თავის სადიალოგო რეციტაციას მუდამ ოინურ-ანტიკური დიალექტით ასრულებდნენ. ამავე დროს, საგუნდო სიმღერა დორიული ქორიკისათვის შექმნილი რ თ უ ლ ი ს ტ რ ო ფ უ ლ ი მ ე ტ რ ი თ იყო აგებული, სადიალოგო რეციტაცია კი — სასაუბრო ენისათვის შესაფერისი ი ა მ ბ უ რ ი ს ა ზ ო მ ე ბ ი თ.

ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიები. VI და V საუკუნეები წარმოადგენენ ბერძნული ტრაგედიის განვითარების კლასიკურ ხანას. ამ საუკუნეთა მანძილზე ბერძნულმა შემოქმედებებმა აზრმა წარმოშვა მრავალი პოეტი, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავისი იშვიათი ნიჭითა და სასცენო ოსტატობით დაწერილი ტრაგედიებით. მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ სამი პოეტის, ე ს ქ ი ლ ე ს (525 — 456 წწ.), ს ო ფ ო კ ლ ე ს (496 — 406 წწ.) და ე ვ რ ი პ ი დ ე ს (480 — 406 წწ.) სრული ტრაგედიები, ისიც არა ყველა მათი ტრაგედია, არამედ მხოლოდ რამდენიმე, სახელდობრ: ე ს ქ ი ლ ე ს — შ ვ ი დ ი, ს ო ფ ო კ ლ ე ს — შ ვ ი დ ი და ე ვ რ ი პ ი დ ე ს — თ ვ რ ა მ ე ტ ი ტ რ ა გ ე დ ი ა. დანარჩენ პოეტთა ტრაგედიებიდან ან სრულებით არაფერია მოღწეული, ან მხოლოდ თითო-ორილა ფრაგმენტი.

§ 62. ესქილეს ბიოგრაფია. ესქილე დაიბადა 525 წელს ელეცინში (ათენის მახლობლად). ბერძენ-სპარსელთა ომების დროს ის პომფიფიბული ვაჟაკი იყო. მონაწილეობა მიიღო მარათონის (490), სალამინისა (480) და პლატეის (479) ბრძოლებში, 499—496 წლებში პირველად მიიღო მონაწილეობა პოეტების შეჯიბრებაში, ხოლო პირველი გამარჯვება მიიპოვა 484 წელს.

ატეკაში განთქმულმა, სახელი მოიპოვა სხვა კუთხეებშიც და, მაგალითად, 470-იან წლებში ის მიიწვია ჰიერონმა, სირაკუზის მეფემ. აქ, სირაკუზში, ესქილეს დაუწერია ადგილობრივ სიუჟეტზე დრამა „ეტენელი“, რომელიც დანიშნული იყო ჰიერონის მიერ დაარსებულ ქალაქ ეტნის შექებისათვის. შემდეგ 472—468 წლებში ის სირაკუზს მეორეჯერაც ეწვია.

ესქილეს გამგზავრება სირაკუზში შემთხვევითი არ იყო: ესქილე, როგორც არისტოკრატიული წრეების წარმომადგენელი, მათი ინტერესების დამცველი იყო, ხოლო დემოსის ძლევაში მსვლელობა და დემოკრატიული სისტემის თანდათანობითი გამარჯვება მას მიაჩნდა საბერძნეთის დამღუპველად; დემოკრატიულ წრეებთან მას დიდი უთანხმოება ჰქონდა: ესქილე იცავდა ძველი არისტოკრატიული დაწესებულების, არეობაგის ინტერესებს და არეობაგის უფლებათა შეკვეცა დემოკრატიული მთავრობის მიერ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. აი, ამ ნიადაგზე ჰქონდა მას უთანხმოება მთავრობის წრეებთან და გაჯერებულმა დასტოვა ათენი და სიცილიაში გაემგზავრა. 459 წელს ის კვლავ წასულა სიცილიაში, საფიქრებელია, იმავე პოლიტიკური მიზნების გამო.

456/5 წელს ესქილე გარდაიცვალა ქალაქ გელის მახლობლად, სიცილიაში. ქალაქ გელის მცხოვრებლებმა მას ძველი დაუდგეს და ზედწაწერეს: „აქ ასაფლავია ესქილე, ძე ევფორიონისა და სიამაყე გელისა. თუ როგორი იყო მისი სივაჟაკე, ამაზე, დეე, გაამბონ მარათონმა და გრძელთმიანმა მიდიელებმა, რომლებმაც ეს სივაჟაკე კარგად გაიცნეს“.

§ 63. ესქილეს ტრაგედიები. ესქილეს უდიდესი დამსახურება იყო მის მიერ ორი მსახიობის გამოყვანა: ამით მან შესაძლებელი გახადა, რათა ტრაგედიის მოქმედება, რომელიც გულისხმობს ორი მოპირდაპირე მხარის ისტერესთა შეჯახებას, ბუნებრივად და ნორმალურად განვითარებულიყო. მართალია, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ

იყო სრულფასეული მოქმედების განსაზღვრებლად, მაგრამ ორი მსახიობით უკვე დაკმაყოფილებული იყო მოქმედების ძირითადი პრინციპი. მის შემდეგ, 468 წელს, სოფოკლემ აჯობა ესქილეს თავისი ტრაგედიათ, რომელშიც სამი მსახიობი გამოიყვანა. გენიალურმა ესქილემ თავისი დამარცხება სოფოკლესთან შეჯიბრებაში საკუთარი თავის დამარცხებად კი არ მიიჩნია, არამედ სოფოკლეს მიერ შემოტანილი სიხლის უპირატესობად. ამიტომ, მან ბრძოლა კი არ გაუმართა სოფოკლეს, არამედ ჩაუკვირდა ამ სიხლის უპირატესობას, თვითონაც აითვისა ის და, მაგალითად, 458 წელს დადგმულ ტრაგედიაში მან სამი მსახიობი გამოიყვანა და კიდევ გაიმარჯვა.

სკიდას მოწმობით ესქილეს 90 დრამა დაუწერია; მის ბიოგრაფიებში 70 ტრაგედიაზე ლაპარაკი, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია სათაურები 79 ტრაგედიისა, სრული ტრაგედიები კი მოღწეულია — შვიდი: „სპარსელები“, „მიჯაჭვეული პრომეთე“, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, „მავედრებელი ქალები“, „ავამენონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“.

ამ 7 ტრაგედიიდან 3 („ავამენონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“) წარმოადგენენ ერთ ტრილოგიას (სახელწოდებით „ორესტეა“). ეს არის ბერძნული დრამიდან ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ტრილოგია.

ტრაგედია „სპარსელები“ ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ტრაგედიაა, რომელიც ისტორიულ სიუჟეტზეა აგებული და არა მითოლოგიურზე.

ესქილეს ტრაგედიები თავისი კომპოზიციითა და არქიტექტონიკით ერთნაირი არ არის. რამდენადაც ესქილე პირველი ტრაგიკოსია, რომელმაც ორი მსახიობის გამოყენებით ნამდვილი მოქმედება მოგვცა, ამდენად მის ტრაგედიებში შეგვიძლია ვიპოვოთ კვალი ტრაგედიის განვითარების იმ ეტაპისა, როდესაც ტრაგედია ჯერ კიდევ მისი ძირითადი ბირთვის, საგუნდო სიმღერის, დიდ გავლენას განიცდის, როდესაც ის ჯერ კიდევ ლირიკის წიაღიდან გამოსული არ არის. ამის ნიმუშს იძლევა ესქილეს ტრაგედია „მავედრებელი ქალები“.

§ 64. „მავედრებელი ქალები“. ამ ტრაგედიის სიუჟეტად ესქილემ გამოიყენა არგოსის მითი.

მითი. ესქილეს „მავედრებელი ქალები“ აგებულია დანაიდების მითის საფუძველზე. ზეეს იოსთან კავშირისაგან ეყოლა შვილი ეპათე (იო იყო არგოსში ჰერას ტაძრის ქურუმი). ეპათე და მისი შვილები, ლიბია და ბელე, ცხოვრობდნენ ეგვიპტეში; ბელე ეგვიპტის მეფეა. მას ჰყავს ორი ვაჟი—ეგვიპტოსი და დანაოსი. პირველს ჰყავს 50 ვაჟი, მეორეს 50 ქალი. ეგვიპტოსი წაართმევს ტახტს დანაოსს, რომელიც თავისი 50 დანაიდით გარბის ეგვიპტიდან. დანაიდები გარბიან, რადგან მათ არ სურთ შეეუღლონ 50 ეგვიპტიდს (ამას მოითხოვდა მათგან გამარჯვებული მეფე ეგვიპტოსი).

ისინი წილიან არგოსში, რათა ჰპოვონ აქ თავშესაფარი და დახმარება. ეგვიპტიდები მათ დაეღვენებოდნენ და რადგან სხვა გზა არ არის, დანაოსი ურჩევს თავის ქალიძვილებს — გაჰყვნენ ეგვიპტიდებს ცოლებად, ხოლო იმ პირობით, რომ პირველ ღამესვე თავიანთ ქმრებს უღლები გამოსჰკრან. დანაიდებიც ასე იქცევიან: ისინი მ-სთხოვდებიან ეგვიპტელებს და იმ ღამესვე მოჰკლავენ მათ. მხოლოდ ერთმა დამ, პიპტომნესტრამ, არ მოჰკლა თავისი ქმარი ლინკესი და ამით მიცემულა პირობა დაარღვია. ამიტომ დანაოსმა იგი საპრობილეში ჩააგდო.

ტრაგედიის მოქმედება წარმოებს არგოსში, ჰერას ტაძრის წინ გვას გუნდი დანაიდებისა, რომელიც მიმართავს ჰერას ვედრებით მოაპოვებინოს აქ თავშესაფარი დევნილ ქალიშვილებს, რომელთა მიმართ ეგვიპტოსი და მისი ვაჟები ამდენ უსამართლობას სჩადიან: მათ წაართვეს სამეფო, სურთ კიდევ შეურაცხყოფა მიაყენონ იმით, რომ აიძულებენ მისთხოვდნენ თავიანთ დამპარცხებელთ და, ამგვარად, გარდაიქცნენ მათ მხეველებად. უსაზღვროა მათი მწუხარება, უზომოა მათი სევდა შექმნილი უბედურების გამო. ისინი მოსული არიან აქ თავიანთი მამის, დანაოსის მეთაურობით.

შემოდის არგოსის მეფე პელაზგე: მას დაუნახავს, რომ უცხოელები მოსულან მის ქვეყანაში, და სურს, როგორც სტუმართმოყვარე მეფეს, გაიგოს თუ რა გასჭირვებით ამ უცხოელებს. დანაიდები მიმართავენ მას თხოვნით: აუხსნიან თავიანთი მოსვლის მიზანს და სთხოვენ მისცეს მათ თავშესაფარი. თავდაპირველად უნდობლად ხვდება პელაზგე მათ თხოვნას, მაგრამ, როდესაც დანაიდები უამბობენ დაწვრილებით თავიანთ თავგადასაყალს, აუხსნიან მას, რომ ისინი წარმოშობით არგოსელი ქურუმის იოს შთამომავალნი არიან, და ემუდარებიან მეფეს მისცეს მათ თავშესაფარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ თავი უნდა მოიკლან (ეს ურჩევნიათ, ვიდრე ეგვიპტიდებთან დაბრუნება), — მაშინ პელაზგე აღუთქვამს მათ ყოველგვარ დახმარებას, ხოლო საბოლოო თანხმობისათვის ხალხს, თავის საბჭოს, უნდა შეეკითხოს.

გახარებული არიან დანაიდები: მათ მწუხარებას ბოლო ედება. სტუმართმოყვარე პელაზგე მათი მწყალობელია. მაგრამ მათი სიხარული კვლავ მწუხარებით შეიცვლება: ეგვიპტიდები დადევნებიან და მათ გამოუგზავნიან შიკრიკი, რომელიც გადმოსცემს დანაიდებს მათ სასტიკ ბრძანებას — ჩქარა უკან ხომალდებისაკენო. პელაზგეს მიერ დაპირებული დახმარებით გამხნეებული დანაიდები მედგრად უხვდებიან შიკრიკს და გააძევებენ. ამასობაში მოდის პელაზგე და გადმოსცემს საბჭოს დადგენილებას, რომ დანაიდებს უფლება ეძლევათ დარჩნენ აქ და რომ მათ დასახმარებლად, თუ საჭირო გახდება, გამოყოფილია 300 შეიარაღებული კაცი. ეგვიპტიდების წარმომადგენელი ემუქრება ომით. ტრაგედია თავდება გუნდის სიხარულით და



ამავე დროს შიშით, ეგვიპტიდების მუქარის გამო, რომელსაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს.

ამ ტრაგედიის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ტრაგედია ჯერ კიდევ ნამდვილი დრამატული ნაწარმოები არ არის. „მავედრებელ ქალებში“ მოქმედება საკმაოდ სუსტად არის განვითარებული. აქ ჩვენ ვაქვს უფრო მეტად გუნება-განწყობათა ცვალებადობა (სევდა, მწუხარება, იმედის მოცემა, კვლავ მწუხარება, სიხარული), ვიდრე მოქმედება, ე. ი. აქ უფრო მეტია ლირიზმი, ვიდრე დრამატიზმი. თუ ამ ტრაგედიაში რაიმე მოქმედება მაინც არის, იმასაც უფრო მეტად ავითარებენ დანაიდები, ე. ი. გუნდი, ვიდრე მოქმედი პირები (დანაოსი, პელაზგე, შიკრიკი).

ამგვარად, ტრაგედია „მავედრებელი ქალები“ უნდა ასახედეს ტრაგედიის განვითარების იმ ეტაპს, როდესაც ჯერ კიდევ ლირიკულ ელემენტს დიდი ადგილი ეჭირა, როდესაც საგუნდო პარტიები ტრაგედიის მთავარ ნაწილს შეადგენდნენ, მარტო გარეგნულადაც შესამჩნევია ეს ამ ტრაგედიაში: „მავედრებელ ქალებში“ სულ 1078 ტაეპია, რომელთაგან მხოლოდ დანაიდების გუნდის სიმღერას 650 ტაეპი უჭირავს.

როგორც ვიცი, ყველა ბერძნული ტრაგედია მითოლოგიურ სიუჟეტზეა აგებული, ხოლო ყოველ ახალ ტრაგედიაში მოცემულია თავისებური ვაგება ამ მითისა. შეფარდებით პოეტის თანამედროვე ეპოქასთან, შეფარდებით პოეტის წრის აზრებთან, ყოველი ტრაგედია ამსახველია პოეტის გარკვეული საზოგადოებრივი კონცეფციისა. ასევეა ესქილეს ტრაგედიებშიც. „მავედრებელ ქალებში“ პოეტი ატარებს ორ იდეას: სტუმართმოყვარეობის იდეას და სახელმწიფო უფლებების იდეას. იდეა სტუმართმოყვარეობისა უკვე თვით მითში იყო მოცემული (ყოველი მეფის მოვალეობაა მიიღოს უცხო სტუმარი, ყოველმხრივ იზრუნოს მასზე). ხოლო იდეა სახელმწიფო უფლებისა, ეს ესქილეს იდეა არის: ამით ის უპასუხებს თავისი დროის სახელმწიფო საჭიროებას.

„მავედრებელი ქალები“ დაიდგა 462 წელს, როდესაც ბერძნებს ათენელების მეთაურობით გარდამწყვეტი ბრძოლები ჰქონდათ ოდესლაც უძლეველობის სახელის მქონე სპარსელებთან. სპარსელების წინააღმდეგ შეკავშირდნენ ბერძნული სახელმწიფოები, საამისოდ ერთმანეთთან ხელშეკრულებები ჰქონდათ დადებული. საჭირო იყო ყველას დაეციო ხელშეკრულება: ხელშეკრულების დარღვევა გამოიწვევდა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დარღვევას. მეფე პელაზგე პირველად იმიტომ ხედება უნდობლად დანაიდების თხოვნას, რომ ისინი ეგვიპტიდან გამოქცეულები არიან და მის მიერ დანაიდებისათვის დახმარების აღმოჩენა იქნებოდა ეგვიპტის საწინა-

აღმდეგო ნაბიჯი, და თუ ის შემდეგ დახმარებას აღმოუჩინს, ეს აიხსნება იმით, რომ დანაილები მოაგონებენ მას, პელაზგეს, რომ ისინი უცხოელები კი არ არიან, არამედ აქაურები, არგოსელები, ქურუმ იოს შთამომავალნი.

ასევე სახელმწიფოს უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს ის ადგილი ტრაგედიისა, სადაც მეფე პელაზგე თვითონ უარს ამბობს დანაილებისათვის დახმარების აღმოჩენაზე და გადააქვს საკითხი უხუცესთა საბჭოში: სახელმწიფოს ბატონ-პატრონი უხუცესთა საბჭოა, მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა.

ასეთი იყო ადრეული ტრაგედია. ტრაგედიის განვითარების პირველ საფეხურს წარმოადგენს ესქილეს ტრაგედია „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“. მასში გვაქვს პროლოგი, რომელიც იწყება თებეს მეფის, ეტეოკლეს მონოლოგით: ეტეოკლეს ძმას პოლინიკეს, რომელიც ძმას ეცილება სამეფო ტახტს, თავის სამშობლოს წინააღმდეგ საბრძოლველად წამოუხსნამს უცხოელთა ჯარები, არგოსელები, რომლებიც შვიდი სარდლის მეთაურობით მოსდგომიან თებეს შვიდ კარიბჭეს. მტერი მომდგარია და, ეტეოკლეს აზრით, მთელი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს და დაიკვას ქალაქი, ღმერთთა საკურთხევლები, შვილები, ძვირფასი დედა — მშობლიური მიწა.

მტრის შვიდ სარდალთაგან ერთი — თვით პოლინიკეა. მტრის წინააღმდეგ ეტეოკლე გზავნის ექვს თებელ ვაჟაკს. მეშვიდე სარდალად თვითონ დგება და თავისი რაზმით შეებრძოლება მტრის იმ რაზმს, რომელსაც პოლინიკე სარდლობს. „მე თვით წავალ და შევებმები — ამბობს ეტეოკლე, — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო სამართლიანი? შევებმები მთავარი — მთავარს, ძმა — ძმას, მტერი — მტერს“.

ბრძოლა თავდება არგოსელების დამარცხებით, მაგრამ ამ ბრძოლაში იღუპება ორივე ძმა — ეტეოკლეც და პოლინიკეც.

ამ ტრაგედიაში მალალ დონეზეა აყვანილი დიალოგი. იმ დროს როდესაც წინადროინდელ ტრაგედიებში მოქმედი პირი ზშირად არც კი ჩანდა, „შვიდთა ლაშქრობაში“ შუაგულშია მოთავსებული ალგზნებით სავსე და ქმედებისაკენ მომწოდებელი დიალოგი ეტეოკლესა და მისტოვარს შორის.

§ 65. ტრილოგია „ორესტა“. ერთადერთი ბერძნული ტრილოგია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის ესქილეს „ორესტა“, რომელსაც შეადგენენ ტრაგედიები „აგამემნონი“, „ქოეფორები“ და „ეკმენიდეი“. ამ ტრილოგიაში დამუშავებულია თქმულება აგამემნონზე: ილიონის დამხობის შემდეგ თავის ქვეყანაში, არგოსში, დაბრუნებული აგამემნონი მოჰკლეს მისმა ცოლმა კლიტემნესტრამ და უკანასკნელის საყვარელმა ეგისტემ; როდესაც დავაჟკაცდა აგამემ-

ნონის შვილი ორესტე, რომელიც, მისი მამის მოკვლის შემდეგ, უცხო ქვეყანაში იზრდებოდა, იგი დაბრუნდა არგოსში და მოჰკლა ეგისტე და კლიტემნესტრა. დედის უფლების დამცველმა ერინიებმა დევხა დაუწყეს დედისმკვლელ ორესტეს, იგი გაასამართლეს ათენის არეოპაგში და გაამართლეს.

„ორესტის“ სიუჟეტი დამუშავებული ჰქონდათ უკვე ჰომეროსს, სტესიქორესა და პინდარეს.

ესქილემ წინამორბედების მიერ დამუშავებული ლეგენდა გამოიყენა და ატრიდების მოდგმის ბედის აღწერით გაშალა თავისი კონცეფცია სისხლის აღებაზე ტრილოგიაში „აგამემნონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“, რომელიც დაიდგა 458 წელს.

„აგამემნონი“. ამ ტრაგედიაში, რომელშიც ესქილემ პირველად გამოიყენა სამოქმედოდ სამი მსახიობი, დამუშავებულია მითის ის ნაწილი, სადაც გადმოცემული იყო აგამემნონის დაბრუნება სამშობლოში და მისი მოკვლა კლიტემნესტრასა და ეგისტეს მიერ.

„ქოეფორები“. ამ ტრაგედიაში დამუშავებულია მითის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია დრო, როდესაც დაეჟიკადა ორესტე, რომელიც აგამემნონის მოკვლის შემდეგ უცხოეთში იზრდებოდა, იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში და მოჰკლა კლიტემნესტრა და ეგისტე.

პროლოგი წარმოდგენილია ორესტეს მონოლოგით. არგოსში, აგამემნონის საფლავთან, დგას ორესტე (მასთან ერთად არის მისი გამზრდელის, ფოკიდელი სტროფიოსის, შვილი პილადე); თავის სიტყვაში იგი გვაუწყებს, რომ დაბრუნდა სამშობლოში აპოლონის ბრძანებით, რათა შური იძიოს მამის მკვლელებზე. ნიშნად პატივისცემისა მამის ხსოვნის წინაშე ორესტე თავის თმების ერთ ბლუქას აყრის აგამემნონის საფლავს. მალე შეამჩნევს ის, რომ საფლავისაკენ მოდის ქალთა პროცესია; ქალებს შორის არის მისი და ელექტრა. ორესტე და პილადე განზე დგებიან.

პაროდოსი. შემოდის გუნდი მხევალი ქალებისა. მათ ახლავს ელექტრაც. ისინი გამოუგზავნიან კლიტემნესტრას აგამემნონის საფლავზე მსხვერპლის შესაწირავად (სამსხვერპლო სითხის დასადგრე-ლად). მას საზარელი სიზმარი უნახავს, და სიზმრის ამხსნელებმა განმარტეს, რომ მკვდრები საფლავში თავის მკვლელებს ზიზღს უცხადებენ და რისხვას უთვლიან. კლიტემნესტრასაც მხეველები გამოუგზავნიან მსხვერპლის შესაწირავად, რათა დაღვრილი სისხლი გამოისყიდოს. გუნდის სიმღერაში გატარებულია ის აზრი, რომ მკვლელი ვერ აიცილენს სასჯელს.

აგონი შედგება ოთხი ეპიზოდისაგან. პირველ ეპიზოდში მთავარია „გამოცნობის“ სცენა ელექტრასა და ორესტეს შორის.

ელექტრა, რომელიც მხეველებთან ერთად სულ იმის ფიქრშია, თუ როდის დაჰკრავს საათი შურისგებისა, მსხვერპლის შეწირვის დროს ამჩნევს საფლავზე თმების ბლუჯას: თმები ელექტრასას წააგავს, და ეს აფიქრებინებს ყველას, რომ ალბათ, ორესტემ ვინმეს ხელით გამოგზავნა ისინი მამისათვის შესაწირავად. მაგრამ იქვე მოჩანს ორი ადამიანის ნაკვალევი: ერთი — აშბობს ელექტრა — ჩემი ფეხის ნაკვალევს ჰგავს და ეს უთუოდ ორესტესია. მართლაც, მოახლოვდებიან ორესტე და პილადე, რომელნიც აქამდე განზე იყვნენ მიმალულნი. ორესტე პირდაპირ უცხადებს ელექტრას: ასრულდა შენი სურვილი; ხედავ მას, ვის მოსვლასაც ნატრობდიო. დასამტკიცებლად იმისა, რომ ის მართლაც ორესტეა, უჩვენებს დას დაუკვირდეს თმების ბლუჯას („ეს თმები შენსას ჰგავსო“); გარდა ამისა, უჩვენებს თავის წამოსასხამს: „ეს ხომ შენი ხელით არის მოქსოვილი, ლომის სახე შენ არ ამოქარგეო?“ ამგვარად ხდება ძმისა და დის გამოცნაურება.<sup>1</sup>

მესამე ეპიზოდში ორესტე და პილადე სასახლის მეკარეს სთხოვენ შეატყობინოს სახლის უფროსს, რომ ისინი ჩამოსული არიან უცხოეთიდან სასწრაფო დავალებით. სასახლიდან გამოდის კლიტემნესტრა, რომელსაც მოსული „უცხოელი“ (ორესტე) აუწყებს: არგოსისკენ მოვდიოდი და შემომხვდა ვინმე სტროფიოსი, ფოკიდელი; ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ გაიგო არგოსისკენ გვქონდა გზა, დამავალა ამბავი გადმოგცეთ: ორესტე გარდაიცვალა და როგორ ისურვებენ ჭირისუფლები — მისი ნეშტი სამშობლოში გადმოვასვენოთ, თუ ფოკიდაში დავტოვოთ. კლიტემნესტრა დამწუხრებული დედის როლს თამაშობს (ნამდვილად კი მას ახარებს ეს ამბავი — აღარ არის ის, ვინც აგამემნონის სისხლს აიღებდა) და საყვედურით მიმართავს შურისძიების დემონს, სტუმრებს შინ შეიპატიუებს, ხოლო ძიძას უბრძანებს დაუძახოს ეგისტეს (გუნდი გაიგებს, რომ კლიტემნესტრას შეუთვლია ეგისტესთვის მორი შენი მხლებლებითურთ, და ავალებს გაოცებულ ძიძას მხლებლების წამოყვანაზე არაფერი უთხრას ეგისტეს). მესამე სტასიმში გუნდის სიმღერის თემაა: სისხლი სისხლისა წილ; სამართალმა უნდა გაიმარჯვოს; ზევსიც სამართლიანი საქმის მხარეზე იქნება.

მეოთხე ეპიზოდში გაჩქარებით მოდის ეგისტე, რომელსაც სურს დანამდვილებით გაიგოს ფოკიდელი სტუმრისგან ორესტეს ამბავი: მხოლოდ ხმებია, თუ თვითონ თავისი თვლით უნახავს მკვდარი

<sup>1</sup> გამოცნაურება, ანუ გამოცნობა (ἀναγνώρισις) იყო ერთ-ერთი მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებით ხდებოდა რთული მოქმედების გაშლა.

ორესტეო. ამ განზრახვით შედის ის სასახლეში, საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ მოისმის განგმირული ეგისტეს საზარელი ყვირილი: იგი მოჰკლა ორესტემ. ყვირილზე გაჩნდება კლიტემნესტრა; მასაც ორესტე მახვილს ჩასცემს. მართალია, გუნდი იწონებს ორესტეს მიერ ჩადენილ საქმეს, მაგრამ ორესტე მაინც შფოთავს, მას, დედის მკვლელს, სინდისი ქენჯნის და, ბოლოს, მას ელანდებიან ერინიები. გუნდის რჩევით, ცოდვისაგან გაწმენდის მიზნით ორესტე მიაშურებს აპოლონის ტაძარს დელფოში.

ამგვარად, არ ხერხდება ბოლომდე და ურყევად გატარება დებულებისა „სისხლი სისხლისა წილ“. ადაშიანის ბუნებრივი თვისების დამახინჩება იქნებოდა, რომ ორესტე დედისათვის მახვილის ჩაცემის წინ არ შემდრკალიყო; არც ის იქნებოდა ბუნებრივი, რომ დედის მოკვლის შემდეგ მას სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო. ამავე დროს იმავე დებულების („სისხლი სისხლისა წილ“) განვითარება მოითხოვს, რომ ორესტემ მის მიერ დაღვრილი სისხლის გამო ღვენა გახიციადოს. მას სდევნიან ერინიები, დაღვრილი სისხლისათვის შურისმაძიებელი ღვთაებანი. ეს თემა დამუშავებულია „ევმენიდებში“.

„ევმენიდები“. ტრილოგიის ამ დასკვნითს ნაწილში ორესტეს სდევნიან დედის მკვლელობისათვის ერინიები, ორესტე დახმარებისათვის მიმართავს აპოლონს დელფოში (პროლოგი, პაროდოსი და პირველი ეპიზოდი დელფოში წარმოებს). აპოლონი ანუგეშებს ორესტეს და წინადადებას აძლევს მას გაემგზავროს ათენში, სადაც მას გაასამართლებს ათენა (მეორე პაროდოსი და დანარჩენი ეპიზოდები უკვე ათენში წარმოებს). ორესტეს ასამართლებს ათენას მიერ ახლად შექმნილი სასამართლო — არ ე ო პ ა გ ი; არეოპაგის წევრთა ხმები შუაზე გაიყო: ათენამ თავისი ერთი ხმით გადაწყვიტა დავა ორესტეს სასარგებლოდ, ხოლო ამ განაჩენით უკმაყოფილო ერინიები დაამშვიდა: ნუ ცხარობთ, არავის გამოუტანია თქვენი საწინააღმდეგო განაჩენი: ზევსის ნება იყო ასეთი, რომ ორესტე სასჯელისაგან განეთავისუფლებინათო. რომ თქვენთვის პატივი არ აუყრიათ, ეს ჩანს იქიდან, რომ ხმები შუაზე გაიყო; ორესტესათვის იშუამდგომლა თვით მან (აპოლონმა), ვინც ბრძანება მისცა მკვლელობა ჩადინაო. ამიტომ ნუ ცხარობთ, ნურც ემუქრებით ჩემს ქალაქს; დარჩით აქ და მიგიჩინთ ტაძარს, სადაც მოქალაქენი პატივისცემას არ მოგაკლებენო. ასე დაიყოლიებს ათენა ერინიებს, რომელნიც ამიერიდან კეთილსმყოფელ ღვთაებებად (ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ა დ) გადააქცივან.

ტრაგედიის ორსავე ნაწილში (დელფოსა და ათენში) ერინიები იცავენ იმ დებულებას, რომ უნდა დაისაჯოს მკვლელობა სისხლით ნათესავისა: კლიტემნესტრა ორესტეს დელაა. მაშასადამე, მისი სისხლით ნათესავი; აგამემნონი კი კლიტემნესტრას სისხლით ნათე-

სავი არაა. გამარჯვებული, ბოლოს და ბოლოს, გამოდის ორესტე, და, ამრიგად, იმარჯვებს „მამის უფლება“ წინააღმდეგ ძველი „დედის უფლებისა“, რომელსაც ერიჩიები იცავდნენ. ესქილეს „ეგმენიდების“ დედაზრის ასეთ გაგებას იძლევა ბახოფენი, რაც ფრენგელს სწორად მიაჩნია. ენგელსი წერს: „ბახოფენი ესქილეს ორესტეას განმარტავს როგორც ღრამატულ ასახვას ბრძოლისას გადაშენების გზაზე დამდგარ დედის უფლებასა და გმირულ ეპოქაში აღმოცენებულსა და ძლევამოსილ მამის უფლებას შორის. კლიტემნესტრამ თავისი საყვარლის ეგისტეს გულისთვის მოჰკლა თავისი მეუღლე აგამემნონი, რომელიც ის იყო დაბრუნდა ტროადის ომიდან: მაგრამ მისი და აგამემნონის ვაჟი, ორესტე, შურს იძიებს მამის მოკვლისათვის და ჰკლავს თავის დედას. ამისთვის მას სდევნიან ერიჩიები, დედის უფლების დემონური დამცველები. იმიტომ, რომ ამ უფლების ძალით დედის მკვლელობა უმძიმესი, გამოუსყიდავი დაბაშაულია. მაგრამ ორესტეს იცავს ორი ღვთაება, რომელიც ამ ახალს, მამათ-უფლებრივ წესწყობილებას წარმოადგენენ: აპოლონი, რომელმაც თავისი მისნის შემწეობით მოუწოდა მას ამ მოქმედებისაკენ, და ათენა, რომელიც მსაჯულადაა მოწვეული; ათენა ორსავე მხარეს მოუსმენს. სადავო საკითხი მოკლედ არის ასახული ორესტესა და ერიჩებს შორის გამართულ კამათში. ორესტე მიუთითებს, კლიტემნესტრამ ორმაგი დანაშაული ჩაიდინაო: თავისი ქმარი და ამასთანავე ჩემი მამა მოჰკლაო. მაშ რატომ მე მდევნიან ერიჩიები და არა მას, ბევრად უფრო დამნაშავესო. პასუხი გასაოცარია:

„იგი მის მიერ მოკლული კაცის სისხლით ნათესავი არ ყოფილა“.

„არა სისხლით ნათესავის კაცის მკვლელობა, თუნდაც ეს უკანასკნელი — მკვლელის ქმარი იყოს, შეიძლება გამოისყიდოს; ეს არ ეხება ერიჩებს; მათი ვალდებულებაა შური იძიონ მკვლელობისათვის, რომელიც სისხლით ნათესავებს შორის ხდება; ამ მხრივ, დედის უფლების მიხედვით, ყველაზე მძიმე და ძნელი მისატყვებელი — დედის მკვლელობაა. და, აი, აპოლონი გამოდის ორესტეს დამცველად. ათენა კენჭს აყრევინებს არეოპაგის წევრებს — ათენელ ნაფიც მსაჯულებს; ხმები შუაზე იყოფა — ნახევარი ორესტეს გამართლებას მომხრეა, ნახევარი დასჯას მოითხოვს; მაშინ აოენა, როგორც თავმჯდომარე, თავის ხმას ორესტეს აძლევს და ამართლებს მას. მამის უფლებამ გამარჯვება მოიპოვა დედის უფლებაზე; „ახალი თაობის ღმერთებმა“, როგორც მათ თვით ერიჩიები ეძახიან, დაამარცხეს ეს

უკანასკნელნი და ისინი, ბოლოს და ბოლოს, თანხმდებიან ახალ წეს-  
წყობილებას ემსახურონ“.<sup>1</sup>

ერინიები, მართლაც, თავიანთ თავს უპირისპირებენ ახალ ღმერ-  
თებს და იმ კანონებს, რომელთაც ისინი იცავენ, სახავენ როგორც  
ძველ კანონებს.

მაშასადამე, ესქილე ძველ საწყისს („ღედის უფლებას“, მატრი-  
არქატს) უპირისპირებს ახალ საწყისს („მამის უფლებას“, პატრიარ-  
ქატს). პირველს მივყავდით ადამიანის მოღმდმის განადგურებამდე,  
ახალმა უნდა მოგვეცეს აღორძინება: უკანასკნელის აქტიურ დამცვე-  
ლად გამოდის ათენა თავისი არეოპაგით.<sup>2</sup> ამით ესქილე იცავს იმ არის-  
ტოკრატიულ დაწესებულებას, რომლის უფლებებს ჰქვეცავდა მისი.  
დროინდელი დემოკრატიული მთავრობა და რომლის დამცველადაც  
გამოვიდა იგი აგრეთვე „მავედრებელ ქალებში“.

§ 68. „მიჯაჭვეული პრომეთე“. „პრომეთეს“ სათაურით მოღწეუ-  
ლია ცნობა სამ ტრაგედიაზე: ესენია: „მიჯაჭვეული პრომეთე“, „განთა-  
ვისუფლებული პრომეთე“ და „ცეცხლოვანი პრომეთე“. ამთგან  
სრულად მოღწეულია მხოლოდ „მიჯაჭვეული პრომეთე“. რაც შეეხება დანარჩენ ორს, „ცეცხლოვანი პრომეთეს“ მხოლოდ  
ორი ტაეპია მოღწეული, ხოლო „განთავისუფლებული პრომეთეს“  
16 ფრაგმენტი.

ამ ტრილოგიაში ესქილემ დაამუშავა ის მითი, რომელიც გადმოგ-  
ვცემდა ტიტან პრომეთეზე, რომ მან ზევსს მოჰპარა ცეცხლი და ჩამო-  
უტანა ადამიანებს, ხოლო ზევსი გაურისხდა მას და მიაჯაჭვა კლდე-  
ზე: ზევსის მიერ მიჩენილი არწივი უკორტინდა პრომეთეს. ღვიძლს;  
შემდეგ ქვეყნიერებას მოევლინა ჰერაკლე, რომელმაც მოჰკლა ეს.  
არწივი და, ამგვარად, პრომეთე განათავისუფლა.

პრომეთეს მითი პირველად ჰესიოდემ ჩამოაყალიბა თავის.  
ორ პოემაში.

„თეოგონიაში“ ჰესიოდე გადმოგვცემს, რომ იაპეტი შეე-  
ულა კლიმენეს (ოკეანეს ასულს) და წარმოშვა ოთხი ვაჟი: ატლანტი,  
მენეტიოსი, მოხერხებული პრომეთე და გოსებადაბრეული ეპი-  
მეთე. როდესაც ზევსმა გაიმარჯვა და თვითმპყრობელი გახდა, მან ეს.

<sup>1</sup> შეად. ქართული გამოცემა „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ.,  
1937, გვ. 138—139.

<sup>2</sup> ახალი საწყისის დაცვა მაინც კატეგორიული არ გამოდის: არეოპაგის წევრთა.  
ხმები შუაზე იყოფა; მაშასადამე, ძველ საწყისს იმდენივე დამცველი ჰყავს, რამ-  
დენიც ახალს. გარდა ამისა ათენა ერინიებს (ე. ი. „ღედის უფლების“ დამცველებს)  
არ თვლის დამარცხებულად (ტ. 795: „თქვენ არ დამარცხებულხართ; სასამართ-  
ლოს განაჩენი ჰეშმარტად თანასწორხინიანი გამოვიდა“).

ოთხევე ძმა დასაჯა: ა) ეპიმეთეს ცოლად გაუგზავნა ქალი (პანდორა), რომელიც ადამიანთათვის უბედურებათა საწყისი გახდა; ბ) მენექტიოსს, მისი თავბეღობისა და გადაჭარბებული სიძლიერის გამო, მეხი დასცა და ბნელეთში გაისტუმრა; გ) ატლანტს მიუსაჯა თავითა და ხელუკით აქეოლა მუდამ ცაჲს კამარა; დ) პრომეთე კი შუა სვეტთან მიაკრა და მიუჩინა ფრთავრდელი არწივი, რომელიც მას უკვდავ ღვიძლს უქამს: რამდენსაც არწივი დღისით უქამს ღვიძლს, იმდენივე კვლავ ეზრდება ღამით; ალკმენეს ძლიერმა ვაჟმა, პერაკლემ, მოჰკლა ის არწივი და იაპეტის ძე განათავისუფლა ზევსის ნებაროვით. ზევსმა დააცხრო თავისი რისხვა პრომეთეს მიმართ. განრისხებული კი იმიტომ იყო, რომ პრომეთე ექიმპებოდა ზევსს ცოდნასა და სიბრძნეში; ორჯერ მოატყუილა: ერთხელ, როდესაც დაკლული ხარის ხორცი ორად გაანაწილა და კარგ ნაჭრებს, შეხვეულს, ზედ კუჭი დაადვა, ხოლო ცარიელ ძვლებს ქონები მიუწყო და ისე გაუწოდა ზევსს; ზევსმაც თავისთვის უკახასკნელი აირჩია და მოტყუვდა. ზევსმა საძულამოდ დაიმახსოვრა პრომეთეს ეს ვერაგობა და გადაწყვიტა ადამიანებისათვის დაემალა ცეცხლი. მაგრამ პრომეთემ მეორეჯერაც მოატყუილა ზევსი: მოჰპარა ცეცხლი, დამალა ის ლერწმის ღეროში და ისე ჩამოუტანა ადამიანებს („თეოგონია“ 507 — 567). აი, ამიტომ იყო ზევსი განრისხებული პრომეთეზე.

„სამუშაოებსა და ღლებშიც“ იმასვე გადმოგვცემს ჰეიოდე, მაგრამ უფრო მოკლედ (ტ. ტ. 42—58).

ეს მითი ესქილემ გამოიყენა თავისი ტრაგედიისათვის, რომელშიც პრომეთეს სახით კაცობრიობის კულტურის მესვეური გამოიყვანა. პრომეთემ, ესქილეს კონცეფციით, ადამიანი ველური მდგომარეობიდან განათავისუფლა და კულტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა და ტექნიკა, თავისი პირადი მოღვაწეობითა და თავგადასავლით უჩვენა მაგალითი შეუღრკეკელი მოქმედებისა, თავისუფალი აზრისა, ქედმოუხრელი პრინციპულობისა.

ტრაგედიის მოქმედება წარმოებს სკვითიაში, კავკასიის მთაზე.

პროლოგი იწყება ორი მოქმედი პირის დიალოგით: ესენი არიან ძალა და ჰეფესტო. „ძალა“ (რომელთან ერთად იგულისხმება მეორე პერსონაჟი — „ძალადობა“) ზევსის მსაჯურია. ზევსის ბრძანებით მან თან წამოიყვანა მჭედელი ღმერთი ჰეფესტო, რათა ბოროტმოქმედი პრომეთე მიაჯაჰვებინოს კლდეზე.

ჰეფესტო აგვიანებს პრომეთეს მიჯაჭვას, მას იგი ებრალება, როგორც მახლობელი; თანაც თვლის, რომ პრომეთეს არ დაუმსახურებია ეს სასჯელი (იგი ისჯება კაცთმოყვარეობისათვის).

ჰეფესტომ კარგად იცის, რომ პრომეთეც ღმერთია და ზევსიც ღმერ-



თია; რომ პრომეთე ადამიანებზე ზრუნავდა და ზევსი ამის წინააღმდეგი იყო; რომ ზევსი დიდ სისასტიკეს იჩენს, როგორც ეს სჩვევიათ ახალ მბრძანებელთ.

როგორც ვხედავთ, ჰეფესტო პრომეთეს ბანაკის ღვთაებაა; მაგრამ მას, სამწუხაროდ, შველა არ შეუძლია. „ძალა“ მოაგონებს ჰეფესტოს, რომ ზევსის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი, რომ „ნათესაობა და მეგობრობა“ უნდა დაივიწყოს ჰეფესტომ. ჰეფესტოც იძულებულია შეასრულოს „ძალადობის“ ბრძანება; იგი პრომეთეს კლდეს მიაკრავს ჯაჭვებითა და ლურსმნებით. ამის შემდეგ ჰეფესტო, ძალა და ძალადობა სცენას სტოვებენ. მართოდ დარჩენილი, კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე მძიმე ტყვილისაგან მწარედ კვნესის და თავის უბედურებას შესჩივის ცას, დედამიწას, ყოვლისმხედველ მზეს...

ამ ბორკილებით ეს შერცხვენა ჩემი ისურვა

ნეტარ ღმერთების მბრძანებელმა ახლად მობილმა (ტ. 96)

ამბობს იგი.

პ ა რ ო დ ო ს ი. ჯაჭვების ელარუნზე, უროს ცემაზე და პრომეთეს კვნესაზე მოფრინდება გუნდი ოკეანიდებისა, პრომეთეს ბიძაშვილებისა. გუნდი თავის სიმღერაში ანუგეშებს პრომეთეს (თუმცა არ იცის, თუ რით არის გამოწვეული პრომეთეს სასჯელი) და ზოლით იხსენიებს ოლიმპოს ახალ მფლობელს, გულქვა ზევსს, რომელიც სპობა ურანოსის მოდგმას.

პირველ ეპიზოდში პრომეთე უამბობს ოკეანიდებს, თუ რატომ დასაჯა იგი ზევსმა. ბრძოლა იყო ძველ ტიტანებსა და ზევსს შორის: ტიტანები ახდილად იბრძოდნენ, ლიქნა და ცბიერება არ სწამდათ მათ; პრომეთე კი თავისი დედის (თემიდა-გაიას) რჩევით მოუწოდებდა ტიტანებს ცბიერ გეზს დასდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ ამ გზას თვითონ პრომეთე დაადგა: ზევსის მხარე დაიჭირა, მასთან კავშირი შეკრა. ზევსმა დაამარცხა ტიტანები, ხოლო გამარჯვების შემდეგ დიდი სისასტიკე გამოიჩინა.

მალე როს ტახტი დაიმკვიდრა მამისეული,  
მაშინვე ღმერთებს მიანიჭა ზევსმა პატივი  
და საბოძვარი მრავალგვარა განუყო ყველას, —

კაცნი ბედშავნი დაივიწყა და კიდევ მეტიც:  
მან განიზრახა აღმოეფხვრა ძირფესვიანად

კაცთ ძველი მოდგმა, ახალ მოდგმის აღმოსაყენად (ტ. 234—239).

პრომეთეს უბედურების ამბავი გაუგია მის ბიძას და მეგობარს ოკეანეს; იგი ფასკუნჯით მოფრინდება პრომეთესთან და ურჩევს დაემორჩილოს ზევსს:

ზნე შეიცვალე, გონზე მოდი და თავი იცან!

განა ახალი არ მბრძანებლობს ღმერთებს ბატონი? (ტ. 316—317).

მაგრამ პრომეთე შეუდრეკელია; იგი მზად არის აიტანოს ტანჯვა-წვალება, ზევსის წინაშე კი ქედს არ მოიხრის; ოკეანეს კი ურჩევს — უკან გაფრინდეს, თვითონაც თავს არ ღაბიჯებოთ ზევსის რიახვა (ისიც ხომ პრომეთესთან ერთად იბრძოდა ზევსის წინააღმდეგ).

პირველ სტასიმში ოკეანიდების გუნდი უმღერის პრომეთეს იმაზე, თუ როგორ კენესის მთელი ქვეყანა და მისტირის დაკარგულ დიდებას.

სტირის და გოდებს ეგ დედამიწა.

დასტირის ყველა

გარდასულ ჟამის შენს ძველს დიდებას,

შენს ძმებს — ტიტანებს, პატივის ღირსთა...

დასტირის ყველა, ყველა ვინც ცხოვრობს

აზიის ახლო თქმულ სამოვრებზე...

კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,

ონში მამაცნი და უშიშარნი,

დედამიწისა შორსა მხარეში,

მეოტიის ტბის ბრაგა-კბოდებთან

მომთაბარენი სკვითთა ურდონი,

მზე და მშენება არიას ქვეყნის —

მკვიდრნი, მცხოვრებნი კავკასიონთან, —

მტირისა ლაშქარნი, ტყეებრ აჯარულ,

წამახულ შუბთა ზათქით და ზარით (ტ. 412—429).

მეორე ეპიზოდში ძირითად ნაწილს შეადგენს პრომეთეს მონოლოგი, რომელშიც იგი ლაპარაკობს თავის ღვაწლზე ადამიანის წინაშე: ადამიანი უმეტარი იყო და პრომეთემ ჩაუდგა მას აზრი; ასწავლა სახლების აგება, აზრიანი შრომა, მადნის მოპოვება და დამუშავება; ერთი სიტყვით, პრომეთემ გამოიყვანა ადამიანი პირველყოფილი მდგომარეობიდან.

მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ იტანჯება, პრომეთე მაინც იმედოვნად შეჰყურებს მომავალს; ბორკილებისაგან მაინც განვთავისუფლდები, ზევსი იძულებული იქნება დაუთმოს აუცილებლობას; იუ როგორ მოხდება ეს, ჩემს საიდუმლოებას შეადგენსო.

მეორე სტასიმში გუნდი მწუხარებას გამოსთქვამს პრომეთეს ტანჯვის გამო, მაგრამ უქებებს მას სიმედგრეს და გაუტეხლობას, ზევსის სიძულვილს და კაცთმოყვარეობას.

მესამე ეპიზოდში სცენაზე გამოდის იო, ინაქეს ასული; იგი დიდი ხანია, რაც დაეხეტება თეთრ ძროხად გადაქცეული.<sup>1</sup> ჰერას მიუჩენია მისთვის ბუზანკალი, რომელიც ჩხვლეტს იოს თავისი ნესტარით და იოც გარბის. ოკეანიდების თხოვნით და პრომეთეს წინადადებით, იო უამბობს თავის თავგადასავალს,<sup>2</sup> შემდეგ, თვით პრომეთე უწინასწარმეტყველებს მას, თუ რით დაბოლოვდება მისი ტანჯვით სავსე ხეტიალი: აქედან შენ ჯერ მომთაბარე სკვითების ქვეყანას გაივლი, შემდეგ კევრით-ხურო ხალიბები ცხოვრობენ, „მრისხანე“ მდინარეს რომ აჰყვები, კავკასიონის მაღალ მთას დაინახავ; მთას რომ გადალახავ, ამორძალების ჯარი შეგხვდება: თემისკირაში ცხოვრობენ, თერმოლონტის ნაპირას. იქ გზას მივითითებენ და კიმერიელთ სრუტეს მიღწევას სრუტე უნდა გადაიარო (მას დაერქმევა „ბოსპოროი“)<sup>3</sup> და ამით ევროპიდან აზიაში გადახვალ. აქ პრომეთე შეწყვეტს იოს მომავალ ხეტიალზე თხრობას, რადგან იოს კენესა აღმოხდება ამ საშინელი გზის მოსმენაზე, და ამშვიდებს მას: რად სწუხარ? შენი ტანჯვა ჩემ ტანჯვასთან შედარებით უმნიშვნელოა! შენს ტანჯვას სიკვდილით მაინც მოედება ბოლო, მე კი სიკვდილიც არ მიწერია (რადგან პრომეთე—ღმერთია): ჩემს წვალებას არ აქვს საზღვარი, სანამ ზევსის ტირანია არ და-

---

<sup>1</sup> სცენაზე ის, რასაკვირველია, ადამიანის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ მსახიობს შუბლზე რქები აქვს გაკეთებული.

<sup>2</sup> მითის მიხედვით, იო, ინაქეს ასული, შეუყვარდა ზევსს. რადგან მისი ექვიანი ცოლი (ჰერა) მუდამ თვალუფრს ადევნებდა თავის ქმარს, ზევსმა ერთხელ სატრფილო პავსანი დაუნიშნა იოს მდინარე ინაქეს ნაპირას, ზოლო ჰერას რომ არ დაენახა ისინი, ნისლში გახვია ის ადგილი. ჰერამ მაინც ეკვი აიღო და ინაქეს ნაპირთან მივიდა მაშინ, როდესაც ნისლი უკვე იფანტებოდა. ზევსმა იგრძნო ჰერას მოახლოება და, თავისი დანაშაული რომ დაეფარა, იო თეთრ ძროხად გადაქცევა და ჰერას უთხრა: აქ ამ ლამაზი ძროხის ცქერით ვტკეპობდიო. ჰერამაც სთხოვა — ეს ძროხა მარტყო, რომ დაესაჯა თავისი მეტოქე (იო), ჰერამ იგი ასთვალა არგოსს მიაბარა სანწყემსოდ. ზევსი ცდილობდა განეთავისუფლებინა იო და ჰერმესს დააევალა მოეკლა არგოსი. ჰერმესმა მართლაც შესძლო ჩაეძინებინა არგოსი (რომელიც, საზოგადოდ, ქოლოდ ორ თვალს ასვენებდა, დანარჩენებით კი სდარაჯობდა. იოს) და მოჰკვებთა მას თავი და, ამგვარად, იხსნა იო. მაგრამ ჰერა მაინც არ მოეშვა მას. მიუჩინა ერთ-ერთი თავისი ერჩნია (ფურია) კრაზანის სახით, რომელიც დასდევდა იოს და ნესტარით ჩხვლეტდა მას; ნაკბენით გამაწარებული იო ხან სად გარბოდა. ხან სად. ბოლოს ამ ხეტიალში მიღწვია სკვითების ქვეყანას, სადაც პრომეთე იყო მიჩაქვული.

<sup>3</sup> ნიშნავს „ზროხის სრუტეს“.

ეპიზოდა. გახარებული იოს შეკითხვაზე პრომეთე მოკლედ უპასუხებს: ზეჯი დაილუპება, მას ეყოლება შვილი, მამაზე უფრო ძლიერი. ის და-ამბობს ზევსის ტახტს; ზევსს შეუძლია გადაარჩეს, თუ მე ბორკილები შემეხსნება: ერთი შენი შთამომავალთაგანი იქნება ჩემი მხსნელი. ამის ბედი არაფერს ამბობს პრომეთე თავის ბედზე და განაგრძობს ისევ იოს მომავალ ბედზე.

ეჭოს დროს იოს თითქოს იოს გამოჩენამ და მასთან საუბარმა ძალა შემატა პრომეთესო (იოსაგან ხომ პრომეთეს მხსნელი — ჰერაკლე — წარმოიშვება), ის თამამად ლაპარაკობს იმაზე, რაზედაც ამის წინ ორ შემთხვევაში (მეორე და მესამე ეპიზოდებში) მან გაკვრით ჩამოაგდო სიტყვა: ფუჰია ზევსის სიამაყე და თავგასულობა; ის ერთ ქალთან შეუღლებას აპირებს, რაც მას ძალაუფლებას ჩამოართმევს; ღმერთთაგან ვერავინ ასწავლის, თუ როგორ შეუძლია გადაურჩეს უბედურებას. მხოლოდ მე ვიცი, თუ რა იხსნის მასო. უმაღლესზე გაჩნდება ჰერმესი და გადასცემს მას ზევსის ბრძანებას: თქვი რა საიღუმლოება იცი ქორწინების შესახებ, თუ არ გინდა კიდევ მეტი უბედურება დაგატყდეს თავზეო, მაგრამ პრომეთეს არ აშინებს მოსალოდნელი ტანჯვა-წვალება; იგი უარით ისტუმრებს ჰერმესს და თან დასძინს:

ნე არ გავცვლიდი ამ ჩემს ტანჯვას შენს მონობაზე,  
უმჯობესია მე ტყვე ვიყო ამ შავი კლდისა,  
ვიდრე ზევსის ყურმოჭრილი მონა, შიკრიკი.

პრომეთეზე არ მოქმედებს მუქარაც: თუ ზევსს არ დაემორჩილები, — ეუბნება ჰერმესი, ის ელვით და მეხით ამ კლდეს გააპობს და შიგ ჩავაგდება; დიდი ხნის შემდეგ კვლავ იხილავ მზისა სინათლეს; მაგრამ არწივი მოფრინდება, დაგიგლეჯს სხეულს და შენს გულ-ღვიძლს კორტნას დაუწყებს... მიუხედავად ასეთი მუქარისა, პრომეთე მაინც არ სთმობს... ჰერმესი გადის, ისმის ჭექა-ქუხილის ხმა, კლდე სკდება და თან ჩაიტანს პრომეთეს.

პრომეთეს მითისა და ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ ანალიზით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან პრომეთე და ზევსი. სახელდობრ:

1. პრომეთე ძველი თაობის ღმერთთა რიცხვს განეკუთვნება, ზევსი კი ახალი თაობისას. ეს მტკიცდება როგორც თვით პრომეთეს, ისე სხვათა სიტყვებით.

2. ესქილეს კონცეფციით ზევსი ისეთი ახალი ღმერთია, რომელსაც დაუმარცხებია ღმერთების ძველი თაობა; ამ თაობას პრომეთეც ეკუთვნოდა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრებით მან, ბოლოს და ბოლოს, მხარი დაუჭირა ზევსსა და გაამარჯვებინა; ზევსმა კი ეს მას არ დაუ-

მასსოვრა; ასეთია თვითმპყრობელის სენი: მეგობრებს არ ენდოს (ტ. 226—227). ზევსმა დიდი სისასტიკე გამოიჩინა ადამიანების მიმართ. როდესაც ძალაუფლება იგდო ხელთ, ძან გაანაწილა ღმერთებს შორის ხელისუფლება და პატივი. საწყალ ადამიანთა მოდგმა კი მთლად აბუჩად აიგდო: მან გადაწყვიტა აღმოეთხვრა ადამიანთა მთელი მოდგმა და ახალი აღმოეცენებინა. ვერავინ გაბედა გამოსარჩლებოდა ადამიანს: მხოლოდ პრომეთემ იკისრა ეს მძიმე ნოვალები.

სრულიად ნათელი სურათია: ზეკსი არის გამარჯვებული ახალი ხელისუფალი; მან არ დაინდო არც ძველი თაობის ღმერთები და არც ადამიანთა ძველი მოდგმა: თვით ახალმა ხელისუფალმა დაიწყო ზრუნვა ადამიანთა ახალ მოდგმაზე.

საბერძნეთის ისტორიის თვალსაზრისით შეგვეძლო ყველაფერი ეს ასე გავვეგო: პრომეთე არის წინაბერძნული მოსახლეობის ღვთაება; ეს მოსახლეობა დაამარცხა ახალმა ბერძნულმა მოსახლეობამ. ახალი ბერძნული მოსახლეობის ღვთაებაა ზევსი, რომელსაც როგორც ახალი დამპყრობელი მოსახლეობის ღვთაებას ბრძოლა გაუმართეს ძველმა ღმერთებმა, ტიტანებმა, მათ შორის პრომეთემაც. მაგრამ როცა დაუნახავს პრომეთეს, რომ ზევსს ვერ დაუპირისპირებდა თავის და ტიტანების ძალას, დედის (გეას) რჩევით დაუთმოა ზევსისათვის, შეუკრავს მასთან კავშირი (დედას ურჩევია — ძალა და ვაჟკაცობა კი არა, მოხერხებულობა უფრო ქმნის ძალაუფლებასო). ზევსმაც ტიტანებზე, წინაბერძნული მოსახლეობის ღმერთებზე, გაიმარჯვა, ე. ი. ბერძნებმა გაიმარჯვეს წინაბერძნულ მოსახლეობაზე.

ახალი მოსახლეობა უღმობელი აღმოჩნდა ძველი მოსახლეობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ძველი მოსახლეობის ნაწილმა ქედი მოიხარა ახალი დამპყრობელის წინაშე, ახალმა ძველი არ დაინდო, დევნა და მუსერა დაუწყო, პრომეთეც გამოესარჩლა ამ ძველ მოსახლეობას, რისთვისაც ის დასაჯეს: ზევსმა იგი კლდეს მიაჯაჭვა.

წინაბერძნული მოსახლეობა მაღალი კულტურის მქონე იყო: მასთან შედარებით ბერძნები უკულტურონი და ველურნი იყვნენ. ეს გარემოება თავის ასახვას ჰპოულობს თვით ძველი და ახალი ღმერთების დახასიათებაში. ზევსთან შედარებით პრომეთე მაღალი კულტურის მატარებელია: პრომეთემ ბევრად უფრო მეტი იცის. ვიდრე ზევსმა; პრომეთემ იცის ის, რაც ზევსმა არ იცის. ამის საბუთებია:

1. ერთხელ პრომეთემ ზევსის „სიბრძნე“ ასეთი ეშმაკობით, გამოსცადა; დაკლული ხარის ხორცი ორად გაანაწილა: შიგნეული და მსუქანი ნაჭრები ტყავში შეახვია და გარედან ხარის კუჭი დაადვა. ხოლო ძვლები ცალკე მოაქუჩა და ზედ ქონი დაადვა (კუჭი ცუდ კერძად ითვლებოდა, ქონი კი — საუკეთესოდ, ისევე როგორც საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა შიგნეული). ასე დალაგებული ხორცი გაუწოდა

ზევის: აირჩიე რომელიც გინდაო. ზევსმა ერთი კი უღბრა — არა-  
თანაბრად გაგინაწილებოა ხიარციო, და ხელს დაადო ქონით დაფა-  
რულ ნაწილს ხარის ხორცისას. რომ ასწია ქონი და ქვეშ ცარიელი  
ძვლები დინახა, განრისხდა. ასე მოტყუებული დარჩა ზევსი, და  
დაემუქრა პრომეთეს (კ ე ს ი ო დ ე , თეოგონია, ტ. 536 — 560). მაგ-  
რამ ზევსი, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე წვენი ნაჭამი ჰქონ-  
და პრომეთესაგან, კვლავ მოატყუა იაპეტის ძემ

2. ზევსი წინააღმდეგი იყო, რომ ადამიანს ცეცხლის ხმარება სცო-  
დნოდა; ამიტომ მან ცეცხლი დამალა. პრომეთემ ლერწმის გულში  
დამალა ცეცხლი და ისე გამოატარა ეს ლერწამი ღმერთთა სამყო-  
ველოდან და ჩამოიტანა დედამიწაზე, რომ ზევსი ვერც კი მიხვდა,  
რომ პრომეთეს ლერწმის ღეროში ცეცხლი ჰქონდა დამალული (კ ე-  
ს ი ო დ ე , სამუშაონი და დღენი 50—52; თეოგონია 565—568). გამარ-  
ჯებულ ბერძენთა ღმერთი (ზევისი) ხომ ყოვლისმპყრობელი და ყვე-  
ლაფრის მცოდნეა, და თუ ის იმთავითვე ასეთი იყო, რატომ არ იცოდა  
მან, რომ პრომეთეს ლერწამში ცეცხლი ჰქონდა დამალული!

3. პრომეთემ იცის ერთი საიდუმლოება ზევსზე: „ზევისს სურს  
იქორწინოს; მაგრამ ეს ქორწილი მას ხელიდან გამოაცლის სამეფო  
ტახტს... თუ როგორ შეუძლია გადაურჩეს ამ უბედურებას, ამას ვერც  
ერთი ღმერთი ვერ ეტყვის მას ჩემ გარდა: მხოლოდ მე ვიცი, რანაი-  
რად შეიძლება ის გადარჩეს...“ ასეთი უბედურება მოელის ზევსს და  
მან კი ეს არ იცის (ე ს ქ ი ლ ე , მიჯაჭვული პრომეთე, ტ. 907—917).

§ 67. პრომეთეს პრობლემა. პრომეთეს საკითხი კაცობრიობას  
იმთავითვე აინტერესებდა. პრომეთე საგულისხმოა როგორც ზოგად-  
საკაცობრიო სახება, პრომეთე საგულისხმოა როგორც ესქილეს  
პოეზიაზე შეხედულებათა ნიმუში, პრომეთეს საკითხი საგულისხმოა  
როგორც პრობლემა წინა აზიისა და ევროპის (ძველ და ახალ)  
კულტურათა შეჯახებისა და ურთიერთობისა.

1. როგორც ზოგადსაკაცობრიო სახება, პრომეთე კაცობრიობის  
კულტურის მესვეურად არის წარმოდგენილი: ესქილეს კონცეფციით,  
პრომეთემ (და არა ზევსმა) ასწავლა ხალხს ყოველგვარი ხელოვნება  
(„აქვს ხელოვნება ყოველგვარი ხალხს პრომეთესგან“: ტ. 506); პრო-  
მეთე — შეუდრეკელი მებრძოლია, იგი პრინციპულია და ქედს არ  
იხრის მოძალადის წინაშე. პრომეთეს ამ შეუდრეკელ ქედმოუხრელო-  
ბას უაღრესად აფასებდა კ. მარქსი, რომელიც თავისი დროის  
მშვიდარებს უემოარებდა იმას, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსა-  
ხურს, პერმესს:

მე არ გავცლიდი ამ ჩემს ტანჯვას შენს მონობაზე,  
უმჯობესია მე ტყვე ვიყო ამ შავი კლდისა,  
ვიდრე ზევსის ყურმოჭრილი მონა, შიკრიკი.

და დაასკენიდა: „პრომეთე — ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულთა ფილოსოფიურ კალენდარშიო“.<sup>1</sup>

2. ამგვარად, ესქილემ პრომეთე დაუპირისპირა ზევსს როგორც პროგრესი — ჩამორჩენილობას, როგორც კულტურა — ველურობას მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ესქილე არისტოკრატიული წრეების იდეოლოგია, ხოლო ამ წრეებისათვის ზევსი არის უზენაესი ძალა, რომელიც სამართლიანად აწესრიგებს ხალხის ცხოვრებას და უჩვენებს მას სიკეთის გზას. თვით ესქილეს თავის ტრაგედიაში არა ერთგან აქვს გამოთქმული ის აზრი, რომ ზევსი უზენაესი ნებისა და ზრახვის გამოხატულებას წარმოადგენს. „პრომეთეში“ კი ესქილე თითქოს საწინააღმდეგო აზრისაა: აქ ზევსი უსამართლობის განსახიერებაა, ადამიანის ცხოვრების მოწესრიგების მაგიერ — მას ჩამორჩენილობისაქენ ეზიდება.

ესქილეს შეხედულებათა ასეთ გაორებას არა ერთი მკვლევარი ჩაუგდია საგონებელში: მკვლევართა აზრით, ესქილეს არ მოეპოვება მტკიცე, ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა, მის რელიგიურ კონცეფციაში ერთგვარი დაბნეულობა მოჩანს. ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრსაც კი დაადგა, რომ აღიარა: „მიჯაჭვული პრომეთე“ იმ სახით, როგორც ეს ჩვენამდეა მოღწეული, არ შეიძლება ესქილეს ეკუთვნოდესო; მართალია, პროლოგი თავისი დიალოგით ძალასა და ჰეფესტოს შორის არავითარ ექვეებს არ იწვევს, მაგრამ ტრაგედიის დანარჩენ ნაწილებს დიდი ცვლილებები უნდა განეცადა, ბევრი რამ (მაგალითად, დიალოგი პრომეთესა და ოკეანეს შორის) შემდგომი რედაქციისა და ინტერპოლაციის ნაყოფია და V საუკუნის ოციან წლებს, ევრიპიდეს ხანას, უნდა მიეკუთვნოსო.

შესაძლებელია „მიჯაჭვულ პრომეთეს“ დროთა ვითარებაში, მართლაც, განეცადოს ცვლილებები, მაგრამ ცვლილებები შეეხება, ალბათ, მხოლოდ დეტალებს; ესქილეს ძირითადი კონცეფცია კი დაცული უნდა იყოს. ეს ძირითადი კონცეფცია კი არის — დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა. ესქილე თავისი ერის თავგადასავლის მაგალითზე უჩვენებს მაყურებელს, თუ რა უპირატესობა აქვს პროგრესულობას, პრინციპულობასა და სიმედგრეს ჩამორჩენილობის, უპრინციპობისა და სილაჩრის წინაშე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ესქილე

<sup>1</sup> კ. მარქსის სადოქტორო დისერტაცია „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“ (Сочинения К. Маркса и Ф. Энгельса, т. 1, Москва, 1928 стр. 26). მარქსი და ენგელსი ანტიურბის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 2.

როგორც გენიალური მოაზროვნე უნდა დამდგარიყო თავისი წრის, მიწისმფლობელი არისტოკრატის, ინტერესებზე მალა და უნდა ექადაგა ის იდეები, რომლებიც მის ერს აღმავლობის გზით წაიყვანდა. ამ კონცეფციის განსაზღვრებლად მან გამოიყენა ხალხში არსებული მითოლოგიური მასალა პროძეთეზე და ზევსზე, რომელშიც იყო ასახული ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მოწინავე და ჩამორჩენილ აზრებს შორის, და პოეტიკ დაადგა იმ გზას, რომელიც ბერძენ ხალხს საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებდა: ეს გზა იყო — გზა მოწინავე იდეების გამარჯვებისა, მაგრამ ისე, რომ ბრძოლაში მონაწილე ორივე მხარე (ჩვენს შეთხვევაში — პროძეთე და ზევსი) ერთ დასკვნამდე მიდიოდნენ, საბოლოოდ ხელისხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ. „ორესტეაშიც“ ესქილე ანალოგიურ გზას ადგას; ერთმანეთს უპირისპირებს ძველსა და ახალ საწყისს და მათ ბრძოლას ამთავრებს ახალი საწყისის გამარჯვებით, მაგრამ ისე, რომ ძველი საწყისის დამცველი ერიები ახალი საწყისისაკენ იბრებიან და ევმენიდებად გადაიქცევიან (იხ. ზემოთ § 65).

3. თავისი ძირითადი კონცეფციის გასაშლელად ესქილემ გამოიყენა მითი პროძეთეზე და ზევსზე. ესქილეს დროს (და მასზე უწინარესაც) ეს მითი ბერძნული რელიგიური შეხედულებების რკალში იყო მოქცეული და არავინ ფიქრობდა, რომ აქ პროძეთესა და ზევსის სახით სხვადასხვა ფორმაციის ღვთაებებთან ჰქონდათ საქმე. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ესქილეს განკარგულებაში არსებული მითოლოგიური მასალა შეიცავდა უხვ ცნობებს იმ ეპოქის შესახებ, როდესაც ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მოსახლეობას, და, ამგვარად, პროძეთეს პრობლემაში იგულისხმება აგრეთვე პრობლემა წინა აზიისა და ევროპის (ძველ და ახალ) კულტურათა შეჯახებისა და ურთიერთობისა<sup>1</sup>.

§ 66. ესქილეს სატირული დრამები. ესქილეს როგორც სატირული დრამების ავტორს, პირველი ადგილი ეჭირა. მას მიაწერდნენ 20 (ზოგნი — 25) დრამას. ჩვენამდის .ი 11 სატირული დრამის სათაურია მოღწეული, მეტად მცირე ნაწყვეტებით (სულ 35 ტაეპამდე).

1932 წელს გამოქვეყნდა ერთი აპირუსის ვრავნილი, რომელშიც აღმოჩნდა ტექსტი ახალი დრამისა (Διχτυοισαῖς). ახლად აღმოჩენილი ტექსტი შეიცავს ორ ფრაგმენტს: ა) 21 საკმარის კარგად შენახულ ტაეპს (თუმცა არც ერთი ტაეპი არაა სრული) და ბ) 11 ტაეპის ნაშ-

<sup>1</sup> შეად. С. Жебелев, Титан Иапет: Язык и литература, том V, стр: 19—28, Л., 1930.



თებს. პირველი ფრაგმენტი პროლოგს უნდა წარმოადგენდეს: საუბრობს ორი (თუ მეტი) მებაღურნი; ბადეს რალაც მძიმე დაუჭერია, მებაღურებმა არ იციან რა არის: ვეშაპი, ზვიგენი თუ სხვა ზღვის ცხოველი. მებაღურნი შეშინებულნი არიან რამე ურჩხული არ იყოს და ლოცვით მიმართავენ ზღვის ღმერთს პოსეიდონს: საწყალ ხალხს რამე ხეირიანი საჩუქარი მოგვიძღვენი ზღვიდან და ჩვენც ამ ბადეს მოგვიძღვენიო. ამასობაში ისინი სწევენ ბადეს, მაგრამ ვერაფერს გამხლარან. გაჭირვებულ მღვდელთაგანში ჩავარდნილი მებაღურები საშველად მოუხმობენ მეზობლებს, იქვე ყანებსა და ვენახებში მომუშავეებსა და მწყემსებს.

მეორე ფრაგმენტში, რომლის 11 ტაეპის მხოლოდ თითო სიტყვა-ღაა გადარჩენილი, სატირთა გუნდი უნდა შემოდიოდეს ორქესტრაში: ისინი მოვიდნენ მებაღურთა ძახილზე, რათა უშველონ ბადის გამოთრევა (Δ: τὸ ἀπὸ τῆς ἰσθμῆος „ბადის მთრეველნი“). რომ ეს ფრაგმენტი სატირული დრამისა უნდა იყოს და არა ტრაგედიისა, იმით მტკიცდება, რომ სალექსო საზომი იმ თავისებურებებს იჩენს, რომლებიც სატირული დრამისთვის იყო დამახასიათებელი ესქილეს დროს<sup>1</sup>. ამ ფრაგმენტში იხსენიება დიქტიისი, რაც უეპველს ჰყოფს, რომ მთელი სცენა, ახალ პაპირუსში აღმოჩენილი, ეკუთვნის პერსეუსის ტეტრალოგიას: ბადეს მოხვდა არა ვეშაპი ან სხვა რამ ზღვის ცხოველი, არამედ კიდობანი, რომელშიც იყვნენ მოთავსებული დანაე და მისი ვაჟი პერსეუსი. კიდობანი ზღვის ტალღებმა მოაუტრეს სერიფოსის ნაპირებთან, რომლის მეფის, პოლიდექტეს, ძმაა დიქტიისი; ჩანს. დიქტიისი ერთი იმ მებაღურთაგანია, რომელნიც პროლოგში საუბრობდნენ.

ამგვარად, ეგვიპტის პაპირუსმა შეგვიძინა ერთი ახალი, აქამდე უცნობი სატირული დრამა, ესქილეს „მებაღურნი“.

დასკვნა. ზემოთ განხილული მასალა ნათელყოფს ესქილეს უდიდეს მნიშვნელობას როგორც 1. ტრაგედიის მამამთავრისას, 2. უბაღლო ოსტატისას და 3. ზოგადაკაცობრიული იდეების მქადაგებლისას.

1. ესქილემ პირველმა შექმნა ნამდვილი ტრაგედია ორი მსახიობის გამოყვანით, გუნდისათვის მიჩენილი ნაწილების შეკვეცით და მთავარი მსახიობის სათქმელის განვითარებით (არისტოტელე, პოეტიკა, თავი IV). მანვე ჩამოაყალიბა მტკიცე ტეტრალოგიური სისტემა, რომლის ნაწილები მკიდროდ იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებული: ამავე დროს თავის შემოქმედებაში ესქილემ ასახა ტრაგედიის განვი-

<sup>1</sup> მაგალითად, ოთხი მოკლე მარცვლის შემცველი სიტყვის ხმარება ტრიმეტრის მეოთხე მუხლში.

თარების ის საფეხური, როდესაც ტრაგედია ჯერ კიდევ მთლად მოწყვეტილი არ იყო თავის საწყისს, საგუნდო სიმღერას: ა) მის ადრინდელ ტრაგედებში უფრო მეტია ლირიზმი, ვიდრე დრამატიზმი; ბ) სატირული დრამის კლასიკური სახე მოგვცა.

2. რამდენადაც მთლიანი ტეტრალოგიური სისტემა უდევს საუბრულად ესქილეს შემოქმედებას. ამდენად მისი გმირები ასაბუთო არიან იმ მთელი თავისი სიდიადით, როგორც ისინი მითებში იყვნენ წარმოდგენილი, ისინი რეალური ადამიანები კი არა, არამედ მითიური არსებანი არიან, — თვით საკუთარი არისტოკრატიული სულისკვეთება უკარნახებდა ესქილეს არისტოკრატთა წინაპრები, მითიური გმირები, წარმოდგინა ბუმბერაზებად, ზეადამიანებად. რომელთა მოქმედება ყოველთვის არ თავსდება სინამდვილეში მოსალოდნელ ამბავთა რკალში. ამიტომ ამბობს არისტოტელე: „არც ტრაგედიის ოთხი სახე... მეოთხეა ფანტასტიკური ტრაგედია, როგორც „ფორკიდები“, „პრომეთე“... („პოეტიკა“, თავი XVIIII).

3. ბუმბერაზების, ზეადამიანების სახით ესქილემ უმაღლესი იდეალების მატარებელი არსებანი დახატა: ისინი იბრძვიან მოწინავე იდეებისათვის: 1. მშობლიური მიწის წმიდათა-წმიდისათვის („შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“), 2. კაცობრიობის კულტურული ცხოვრებისათვის („პრომეთე“), 3. ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის („ორესტეა“)<sup>1</sup>.

## II. სოფოკლე

(496 — 406)

§ 69. სოფოკლეს ბიოგრაფია. სოფოკლე დაიბადა კოლონოში (ათენის დემში) 497/6 წელს. გარდაცვალების თარიღად უნდა იქნეს მიღებული 406/5 წელი, რადგან ყველა წყაროს მოწმობით იგი 90 წლისა გარდაიცვალა. მისი მამა სოფილე ყოფილა დურგალი თუ მჭედელი, ან ნალბანდი.

<sup>1</sup> ესქილეს ტრაგედიათაგან ქართულად თარგმნილია მხოლოდ „მიჯაჭვული პრომეთე“: თარგმანი ეკუთვნის პ. მირიანაშვილს (თბილისი, 1895); ახალი თარგმანი ეკუთვნის ალ. ქუთათელს (თბ., 1948).

რუსულად თარგმნილია ესქილეს შვიდივე ტრაგედია. იხ. Э с х и л, Трагедии М — Л., 1937; Греческий театр, М., 1949.

სოფოკლეს ჩინებული გიმნასტური და მუსიკალური აღზრდა მიუღია; დრამატურგობა ესქილესაგან (ე. ი. ესქილეს ტრაგედიებზე) უსწავლია. უკვე 468 წელს იშვიათი გამარჯვება რგებია: ამ წელს ის შეეჭიბრა ესქილეს და ჩვეულებრივ მსაჭულებს ვერ გადაუწყვეტიათ შეჭიბრების ზედი; საქმეში ჩარეულა თვით კიმონი თავისი თანასტრატეგოსებითურთ, და ამათ მიუყუთვნებიათ პირველობა სოფოკლესათვის.

სოფოკლე აქტიური პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო: 1. 443/2 წელს: მას ეჭირა ჰელენოტამიას თანამდებობა, ხოლო ეს უკანასკნელი მაშინ დიდი მნიშვნელობისა იყო, რადგან ამ წელს მოკავშირეთა გადასახადის რეფორმა მოხდა; 2. 441 — 439 წლებში, სამოსის ომის დროს, პერიკლესთან ერთად სტრატეგოსად იყო; 3. 440 წელს იგი სამხედრო დავალებით ლესბოსზეა გაგზავნილი; 4. 427 წელს სოფოკლე კვლავ სტრატეგოსია და ანაიელთა წინააღმდეგ იბრძვის; 5. გარდა პოლიტიკური და სამხედრო თანამდებობისა სოფოკლეს სჭერია ქურუმის თანამდებობაც: 420 წლის შემდეგ, როდესაც ასკლეპიოსის (მკურნალობის ღვთაების) კულტი აქარნედან ათენში გადაიტანეს, სოფოკლე ყოფილა აქ ქურუმაღ.

§ 70. სოფოკლეს დამსახურება დრამატურგიაში. სოფოკლეს პოეტური მოღვაწეობა წარმოადგენს შემდეგ საფეხურს ტრაგედიის განვითარების ისტორიაში. ჰერ კიდევ ძველი ბერძენი მეცნიერნი და კომენტატორნი აღნიშნავენ მის დიდ ღვაწლს ტრაგედიის განვითარების, გარეგანი სტრუქტურისა და შინაგანი კომპოზიციის დახვეწისა და ჩამოყალიბების საქმეში. ძველებს ასე აქვთ შეფასებული სოფოკლეს ეს ღვაწლი:

1. სოფოკლემ, წინანდელი ორი მსახიობის ნაცვლად, გამოიყვანა სამი მსახიობი.

2. მან გაზარდა გუნდის შემადგენლობა 12-დან 15 კაცამდე.

3. იმ დროს, როდესაც წინანდელი ტრაგიკოსები მსახიობებიც იყვნენ და პირველი მსახიობის (პროტაგონისტის) როლს თვითონ ასრულებდნენ, სოფოკლემ ამას თავი გაანება და მთავარი როლიც პროფესიულ მსახიობს მიანდო. ძველები გადმოგვცემენ: მან მსახიობობას იმიტომ დაანება თავი, რომ სუსტი ხმა ჰქონდაო. შეიძლება ესეც სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაგრამ პროფესიული პროტაგონისტის შემოყვანა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაკავშირებულია სოფოკლეს შემოქმედების ძირითად ხასიათთან.

<sup>1</sup> ჰელენოტამიები (რიცხვით ათნი) საბერძნეთის ხაზინის გამგეები იყვნენ; მათ ებარათ მოკავშირე სახელმწიფოთა გადასახადები სპარსელთა ომის დროიდან.

4. სოფოკლე თავისი ტრაგედიების გმირთა მოქმედების ასახვას უფარდებდა მსახიობის ნიქსა და უნარს, ე. ი. ამა თუ იმ ტრაგედიას რომ სწერდა, მხედველობაში ჰყავდა ესა თუ ის მსახიობი პროტაგონისტად ცნობილიც არის ორი ასეთი მსახიობის სახელი: ტლეპოლემოსი და კლეიდემიდე.

5. სოფოკლე შეჭიბრებაში მონაწილეობდა არა ტეტრალოგიით, არამედ ცალკეული დრამებით (ს ვ ი და). ტრაგედიების დადგმა ამ წესით შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ სოფოკლეს თითოეული ტრაგედია დამთავრებულ ერთეულს წარმოადგენდა და არ საჭიროებდა ტრილოგიის დანარჩენი ორი ნაწილის გათვალისწინებას (როგორც ამას საჭიროებდა ესქილეს ტრაგედია). ამის საფუძველზე უნდა შეცვლილიყო სამი პოეტის მიერ წარდგენილი სამი ტრილოგიის დადგმის წესიც: თუ წინათ ტრაგიკული აგონების სამი დღე რიგრიგობით ეთმობოდა თითო ტრაგიკოსს, ახლა ყოველდღე უნდა დადგმულიყო სამი ტრაგიკოსის თითო ტრაგედია: თუ წინათ ტრილოგია ტრილოგიას უპირისპირდებოდა, ახლა ტრაგედია უპირისპირდებოდა ტრაგედიას.

ყველა ზემოჩამოთვლილი სიახლე, სოფოკლეს მიერ შემოტანილი ტრაგედიის აგებულებაში და მისი დადგმის განხორციელებაში, გამოძინარეობს სოფოკლეს შემოქმედების ხასიათიდან.

სოფოკლეს მოღვაწეობის ხანა არის, არსებითად, პერიკლეს ეპოქა (469 — 429), რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ექსილეს ხანისაგან. ესქილეს დროს დემოსი იბრძოდა არისტოკრატიისა და არისტოკრატიული დაწესებულებების წინააღმდეგ, ჰკვეცდა არისტოკრატიის უფლებებს. მაგრამ რომ არისტოკრატია ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ესქილემ პროტესტის ნიშნად ორჯერ დასტოვა ათენი, ხოლო თავის ტრაგედიებში იგი არისტოკრატიული მმართველობის სისტემის აპოლოგეტად გამოდიოდა.

სოფოკლეს დროს კი დემოსი უკვე გამარჯვების გზაზეა დამდგარი; არისტოკრატიული რეჟიმი საბოლოოდ შერყეულია, მთავარ არისტოკრატიულ დაწესებულებას, არეოპაგს, წართმეული აქვს პოლიტიკური უფლებები და მხოლოდ რელიგიური ფუნქციები აქვს მიკუთვნებული. ამავე დროს გამარჯვების გზაზე დამდგარი დემოკრატიული რეჟიმი წარმოადგენს საფუძველს ათენის ძლევაშისილებისა ეკონომიურს. პოლიტიკურსა და კოლორატულ ცხოვრებაში. პერიკლემ იმ დროიდანვე, რაც ათენის სახელმწიფო მოღვაწეობას შეუდგა (469 წლიდან). განსაკუთრებით კი იმ დროიდან, რაც ის სტრატეგოსი გახდა (443 წლიდან), მთელი თავისი სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკური ნიჭი მონადრომა ძლიერი ფლოტის შექმნას, საზღვაო კავ-

შირის სახით ეგეოსის ზღვის პოლისების შემოკრებას ათენის ჰეგემონობით და ათენის ვაჭრობისა და წარმოების ასპარეზის გაფართოებას.

ისტორიკოსი თუკიდიდე ასე ახასიათებს პერიკლეს პირით ათენის დემოკრატიულ წყობილებას:

„ჩვენ ისეთი სახელმწიფო წყობილება გვაქვს. რომელიც უცხოელთა კაზონებს არ მბძავს, არამედ ჩვენ უფრო წარმოვადგენთ ნიჭურს სხვებისათვის, ვიდრე სხვებს ვბძავთ და მისი (ე. ი. ამ სახელმწიფო წყობილების) სახელიც დემოკრატია, ვინაიდან იგი ეყრდნობა არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. არსებული კანონების მიხედვით ყველას თანაბარი უფლება აქვს მიეუწუნებელი თავის პირად საჩივრებში, ხოლო სახელმწიფო საქმეებში ყველას აქვს მნიშვნელობა მისი საზოგადოებრივი ღირსების მიხედვით, იმასდა მიხედვით, თუ თითოეულს რა ნიჭი აქვს, არა მისი ამა თუ იმ ფენისადმი (პარტიიადამ) მიუთუხებების მიხედვით, არამედ მისი სიკეთისა და ვაყაყობის მიხედვით: აგრეთვე წარჩინებულობის უქონლობა ღარიბ კაცს არაფერში აბრკოლებს, თუკი მას შეუძლია რაიმე კარგი გაუკეთოს სახელმწიფოს. სახელმწიფო ცხოვრებაში არელი თავისუფლება გვაქვს, და ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთის მიმართ ექვიანობა არ გვახასიათებს; მეზობელზე არ ვჯავრობთ, თუ ის რამეს აკეთებს თავიი სიამოვნებისთვის. კერძო საქმეებში შეუზღუდედელნი ვართ, ხოლო საზოგადოებრივ საქმეებში არ ვარღვევთ კანონებს, (მათ წინაშე) შიშის გამო, ვემორჩილებით ხელისუფალთ და კანონებს, განსაკუთრებით იმ კანონებს, რომლებიც განკუთვნილია ჩაგრულთა დასახმარებლად და რომლებიც, მართალია, დაუწერელნი არიან, მაგრამ იწვევენ საყოველთაო დაგმობას (თუ მათ არ შეასრულებ).“

„ჩვენ მოწინააღმდეგეებისაგან განესხვავდებით სამხედრო საქმეებზე ზრუნვითაც. ჩვენი ქალაქის კარები ყველასათვის ღიაა, უცხოელებს არ ვაძეებთ; ჩვენი ქალაქი ღიაა ყველასათვის სასწაელებლად და სანაჯად, არ გვაწუხებს ის, რომ ვინმემ მტრის ბანაჯიდან შეიძლება რაიმე დამალული ნახოს და ისარგებლოს იმით; ჩვენი დასაყრდენია არა იმდენად (სამხედრო) მომზადება და ხრიკები, არამედ უფრო ჩვენი აკუთარი განჭრიახობა და (მაძულიშვილური) აღტყინება...“

„მოკლედ რომ მოვკრა სიტყვა, ჩვენი სახელმწიფო არის ელადის განათლების აკვანი და მე მგონია, რომ თითოეულ კაცს შეუძლია ჩვენში მოხერხებულად მისდიოს მრავალნაირ საქმიანობას და დამოუკიდებელ მდგომარეობას იიღწიოს... ამ თვისებების გამო მოიპოვა ჩვენმა სახელმწიფომ ძალა და მნიშვნელობა“<sup>1</sup>.

ასეთი გზით შექმნილ დემოკრატიულ ათენში ფართო ასპარეზი გაეშალა მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას. 447—438 წლებში აგებულ იქნა აკროპოლისზე ათენას ტაძარი „პართენონი“<sup>2</sup>, რომლისთვისაც სახელგანთქმულმა ფიდიასმა დაამზადა ათენას ქანდაკება (სპილოს ძვლისა და ოქროსაგან), ხოლო 437—432 წლებში აკროპოლისის შესავალი სტოა, „პროპილეები“<sup>3</sup>, იქნა აშენებული. — ათენის აკროპოლისის ეს სიამაყე; ამათ დღესაც განცვიფრებაში მოჰ-

<sup>1</sup> თუკიდიდე. პელოპონესის ომის ისტორია, II, 37—41.

<sup>2</sup> Παρθένος ნიშნავს „ქალწულს“.

<sup>3</sup> Προπύλαια ნიშნავს „წინაბაქს“.

ყავთ მნახველები თავისი ფრონტონებით და მეტოპებით. სვეტებითა და სვეტისთავეებით, თავისი არქიტექტურული მონუმენტალობითა და დამთავრებულობით. ექიმმა ჰიპოკრატემ შექმნა სამედიცინო სისტემა, ხოლო ამროინდელი მათემატიკოსები კვადრატულ გვერდებსა და დიაგონალზე სწერდნენ და წრის კვადრატუოაზე ძაჯვლობდნენ. დრამამ საბოლოოდ უკუაგდო არქაიზმები და რეალურ სინამდვილესთან დაახლოებით, სასცენო ტექნიკის დაწინაურებით და სამსახიობო ოსტატობით შესძლო გამხდარიყო აქტიური მონაწილე დემოკრატიის ძლევაგამოსილი წინსვლისა. დასასრულ, ამავე (პერიკლეს) ეპოქაში შეიქმნა პროზაული მწერლობა, სანიმუშო მომდევნო თაობებისათვის.

ათენის ძლევაგამოსილების საწინდარი იყო სახელმწიფოს ხელმძღვანელობა უდრეკი პიროვნების მიერ, დემოკრატიის მეთაურობა მედგარი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანის მიერ. სოფოკლეს თავის ტრაგედიებში მთელ თავის გულისყურს აქეთვენ მოაპყრობს: ის ასახავს მტკიცე ხასიათის ადამიანებს, რომელნიც არ დრკებიან იმის წინაშე, რომ შეებრძოლონ ძველ შეხედულებებს, თუკი ისინი სახელმწიფოს კეთილდღეობას ვნებას აყენებენ: არ ერიდებიან მახლობელთა მოსპობასაც, თუკი ისინი სამშობლოს ძლევაგამოსილებას რითიმე ასუსტებენ. შეიძლება სოფოკლე სინამდვილეში ასეთ ადამიანებს ვერც კი ხედავდეს, მაგრამ, მისი აზრით, სინამდვილისათვის საჭიროა, რომ ასეთი ადამიანები არსებობდნენ.

სოფოკლე არ არის რეალისტი მწერალი როგორც, მაგალითად, ევრიპიდე, რომელიც სინამდვილეში არსებულ ტიპებს ასახავს თავის ტრაგედიებში. ეს იცოდა ჯერ კიდევ არისტოტელემ, რომელიც თავისი „პოეტიკის“ XXV თავში წერდა: „თუ (ხელოვანს) უსაყვედურებენ, რომ მან არა ჭეშმარიტი ამბები ასახა, უნდა პასუხი გაეცეს: „მაგრამ რქნებ (ასახა) როგორც საჭიროა“, როგორც, მაგალითად სოფოკლემ თქვა, რომ იგი ასახავს ადამიანებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ხოლო ევრიპიდე -- როგორებიც ისინი არიან“. მართლაც, სოფოკლეს გმირები წარმოგვიდგენენ ადამიანებს, როგორნიც ისინი უნდა იყვნენ, ესე იგი იდეალურ ადამიანებს, ისეთ ადამიანებს, როგორებიც საჭირონი არიან პერიკლეს და სოფოკლეს ეპოქის სინამდვილისათვის, მტკიცე ხასიათის მქონე და უკომპრომისო ადამიანებს. ეს გარემოება იცოდა არა მარტო არისტოტელემ, ეს სცოდნოდა თვით სოფოკლესაც, რომელსაც, როგორც ჩანს, უსაყვედურებდნენ, რომ მისი გმირები არარეალური ადამიანები იყვნენ (იქნებ ამას უსაყვედურებდა თვით ევრიპიდეც, მისი უმცროსი თანამედროვე). ამიტომ წერს არისტოტელე: უნდა უპასუხო ისე, როგორც სოფოკლემ უპასუხაო.

ამგვარად, სოფოკლეს ტრაგედია არის „ხასიათის ტრაგედია“, მის

ყოველ ტრაგედიას ევალება გარკვეული ხასიათის, მტკიცე ხასიათის ადამიანი ასახოს. ამ პირობებში ერთი და იგივე მსახიობი არ გამოადგებოდა პოეტს ყველა როლებში. მას თავისი გმირებისათვის უნდა შეერჩია მისი ხასიათის შესაფერისი მსახიობი. მაშასადამე, უნდა შეცვლილიყო ძველი სასცენო წესი, როდესაც თვით ავტორი, ტრაგიკოსი, გამოდიოდა პირველ მსახიობად, მთავარი გმირის როლის შემსრულებლად; საჭირო იყო პროფესიონალური მსახიობი, ამა თუ იმ როლისათვის გამოსადეგი. სოფოკლემაც შეიტანა ეს ცვლილება დრამატურგიულ ტექნიკაში, და ამიერიდან მსაჯულთა მიერ გამოტანილი დადგენილება ეხებოდა არა მარტო ავტორს, არამედ პროტაგონისტსაც: ისიც ავტორთან ერთად ინაწილებდა პირველს, მეორე ან მესამე შეფასებას.

დრამატურგიული ტექნიკის განვითარება გამოიხატა მოქმედების გაცხოველებაშიც საბი მსახიობის გამოყვანის წყალობით (ნაცვლად წინანდელი ორი მსახიობისა). ყოველი ახალი მსახიობის გამოყვანა და, მაშასადამე, მსახიობის როლის გაზრდა, თავისთავად, მოასწავებდა გუნდის როლის შესუსტებას. მხოლოდ ერთი ან ორი მსახიობის არსებობის დროს მოქმედების განვითარებისათვის საჭირო პერსონაჟის როლს ასრულებდა გუნდი, რომელიც აქტიური მონაწილე იყო მოქმედებისა (მაგალითად, ესქილეს „მავედრებელ ქალებში“). ხოლო როდესაც სოფოკლემ მესამე მსახიობი შემატა დრამას, გუნდის როლი როგორც მოქმედი პერსონაჟისა უნდა შესუსტებულიყო. მართლაც, სოფოკლეს დრამებში გუნდი აღარ არის აქტიურად მოქმედი, იგი თავის სტასიმებში შესრულებული სიმღერებით მოქმედების მსვლელობას კი არ წარმართავს, არამედ გამოხატავს საზოგადოების აზრს წინა ეპიზოდში განვითარებული მოქმედების შესახებ. ხშირია შემთხვევა, როდესაც გუნდი სხვა აზრისაა იმ საკითხზე, რომელზედაც მსჯელობა ჰქონდა დრამის გმირს, მაგრამ იგი არ ერევა მოქმედებაში, არ ეკამათება გმირს. ესქილეს „აგამემნონში“, მაგალითად, მოხუც არგოსელთა გუნდი, განრისხებული კლიტემნესტრას ბოროტმოქმედებით, აღშფოთებით ეკამათება ქმრის მკვლელს (იქნებ „ვაჟაკი“ ეგისტეც იმიტომ გაჩნდება უმალ სცენაზე, რომ საჭირო შემთხვევაში მიეშველოს მას): მეორე მხრით, სოფოკლეს „ანტიგონეში“ მოხუც თებელთა გუნდი, როგორც ჩანს მისი სიმღერიდან, არ იზიარებს კრეონტის აზრს პოლინიკეს დამარხვის აკრძალვაზე და ანტიგონეს დასჯაზე, მაგრამ ის კრეონტს როდი ეკამათება: პირიქით, ყოველი სტასიმი ლირიკული დადასტურებაა განვლილი ეპიზოდისა.

გუნდის როლის ასეთ შესუსტებას თითქოს ეწინააღმდეგება ერთი გარემოება: სოფოკლემ გაზარდა გუნდის შემადგენლობა 12-დან 15 კაცამდე. ეს ფაქტი აიხსნება შემდეგი მიზეზებით. გუნდის როლის

თანდათან შესუსტება სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო იმის საბუთი, რომ გუნდის სახე დრამაში რამენაირად მიჩქმალულიყო. რამდენადაც გუნდი წარმოადგენდა იმ ბირთვის, რომლისგანაც ტრაგედია განვითარდა და რომელიც დიონისეს კულტის აუცილებელი ატრიბუტი იყო, ამდენად მისი მიჩქმალვა დიონისეს დღესასწაულზე ყოველად შეუძლებელი იყო; პირიქით, დიონისეს მოსაგონარ დღეებში მას თავისი სიღიაღე უნდა შეენახა: სწორედ ის (და არა მსახიობი) იყო, რომ მაყურებელს დიონისესთვის განკუთვნილ რიტუალს მოაგონებდა, ორქესტრაში ჩამწკრივებული ქორეგტები რომ ოდესღაც გარს უვლიდნენ დიონისეს საკურთხეველს და როკვით და სიმღერით ადიდებდნენ ტანჯულ ღვთაებას. და, აი, როდესაც შინაარსობლივ გუნდი დასუსტდა (მისი შინაარსი მსახიობებმა გაინაწილეს), საჯირო გახდა მისი გაძლიერება გარეგნულად. ეს გარეგნული გაძლიერება გამოიხატა გუნდის შემადგენლობის გაზრდაში.

§ 71. სოფოკლეს ტრაგედიები. სვიდას ლექსიკონის (X საუკ.) ცნობით სოფოკლემ დაწერა ელეგია, პეანები და პროზული ნაწარმოებები გუნდის შესახებ თესპიდთან და ქოირილესთან შეჯიბრების დროს... ხოლო დადგა 123 დრამა, ზოგიერთები კი ამბობენ — უფრო მეტიცო.

როგორც ვხედავთ, დრამების გარდა სოფოკლეს მწერლობის სხვა დარგებშიც უმუშავეს, მაგრამ ამ დარგებში მნიშვნელოვანი არაფერი შეუთხზავს. ძველი საბერძნეთიც მას იცნობდა მხოლოდ როგორც დრამატურგს. სვიდა ასახელებს სოფოკლეს 123 დრამას, მაგრამ იქვე დასძენს — სხვების აზრით კიდევ მეტიც უნდა დაეწეროსო. მართლაც. ჩვენამდე მოღწეულია შვიდი დრამა მთლიანად და 123 დრამის ფრაგმენტები ან მხოლოდ სათაურები.

მოღწეულია შემდეგი შვიდი ტრაგედია: 1. ანტიგონე, 2. აიანტი, 3. ოიდიპოს მეფე, 4. ტრაქინელი ქალები, 5. ელექტრა, 6. ფილოქეტე და 7. ოიდიპოსი კოლონოში. გარდა ამისა უკანასკნელი წლების პაპიროლოგიურმა აღმოჩენებმა შეგვიძინეს საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ფრაგმენტები დრამებისა: 1. ევრიპილე, 2. მეძებარნი (სატირული დრამა) და 3. ინაქე (სატირული დრამა).

„ანტიგონე“. „ანტიგონე“ 443 — 442 წლებში დაიდგა. ტრაგედიის შინაარსი ასეთია: თებეს კედლებთან ბრძოლაში დაიხოცნენ ძმები — ეტეოკლე და პოლინიკე (ოიდიპოსის ვაჟები: ეტეოკლე სამშობლოს, თებეს. იცავდა. პოლინიკე კი უცხოელი ჭარბით იბრძოდა სამშობლოს წინააღმდეგ). მეფედ დარჩა მათი ბიძა კრეონტი, რომელმაც განკარგულება გასცა არავის გაეხებდა სამშობლოს მოღალატის, პოლინიკეს, დასაფლავება. მიუხედავად ამ განკარგულებისა, პოლინიკეს დამ ანტიგონემ, რომლის აზრით ღვთაებრივი კანონით დაწესებულია, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ დამარხულ იქნეს, იგი დაკრძალა,



რისთვისაც კრეონტის ბრძანებით ანტიგონე საპყრობილეში ჩააგდეს. კრეონტის ვაჟი ჰემონი, რომელსც უყვარს ანტიგონე, სთხოვს მამას, არ დასაჯოს ანტიგონე. მაგრამ კრეონტი მტკიცედ ადგას თავის გადაწყვეტილებას. კრეონტთან მოდის ბრმა მისანი ტირესიაც, რომელიც ღვთაებრივი სამართლის საფუძველზე მოითხოვს კრეონტისაგან განაჩენის შეცვლას. მართალია, კრეონტი მეჩყვობს, მაგრამ ბოლოს იძულებულია დაუთმოს და მზად არის განათავისუფლოს ანტიგონე, მაგრამ გვიანაა: ანტიგონეს საპყრობილეში თავი მოუკლავს, ჰემონსაც ამის გამო მახვილით გაუგმირავეს გული. ამას რომ გაიგებს ევრიდიკე, კრეონტის მეუღლე, ისიც თავს მოიკლავს.

„ანტიგონეში“ სოფოკლემ უფრო მკაფიოდ, ვიდრე რომელსამე სხვა ტრაგედიაში, გვიჩვენა თავისი ოსტატობა მტკიცე ხასიათის ადამიანის ასახვაში სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ შეხედულებათა შეგახების ფონზე. ერთი შეხედვით ძნელია იმის თქმა, თუ რომელია ამ ტრაგედიაში მთავარი გმირი — ანტიგონე თუ კრეონტი. ორივე შეუდარეველი ხასიათის პატრონია, პრინციპული და ურყევი. ამ მხრივ უბადლოა მეორე ეპიზოდი: კრეონტის მრისხანე ბრძანების შემდეგ პირველ ეპიზოდში, რომ სასწრაფოდ ეპოვათ პოლინიკეს გვამის დამკრძალველი, დარაჯს შემოჰყავს დატყვევებული ანტიგონე, რომელმაც, რასაკვირველია, კარგად იცის, რა მოელის მას სახელმწიფო კანონის დარღვევისათვის. იგი წუნარად დგას ტირანის წინაშე და, როდესაც უკანასკნელი განმარტებებსა სთხოვს, იგი ამყაყად უპასუხებს.

კრეონტმა ჯერ კიდევ პირველ ეპიზოდში გაშალა თავისი, ვითარცა სახელმწიფოს მეთაურის, სამოქმედო პროგრამა: „

დე, მოწმედ მყავდეს მე ზევესი ყოვლისმხედველი:  
არ გაეჩუმდები, თუ ვინილავ, რომ მოქალაქეთ  
ბოროტი ზრახვა ამოქმედებს სათნოების წილ.  
არც ვერაგ კაცსა ვუმეგობრებ, ჩემს ქვეყანას რომ  
მტრობას უმზადებს...  
სამშობლო არის ჩვენი მსხნელი, მტკიცე და სწორი:  
მასზე დაყრდნობით მოვიპოვებთ ნამდვილ მეგობრებს.  
ესეუთარის კანონებით გააძლიერებ,  
მშობლიურ ქალაქს ერთი-ორად ძალას შევმატებ.  
და აწ ვაუწყებ მოქალაქეთ ჩემსა ბრძანებას  
ოიდიპოსის ვაჟთა გამო, ორთა მათ ძმათა:  
ე ტ ე ო კ ლ ე ს ი, სამშობლოსთვის რომ დაიღუპა,  
თავის მარჯვენით და მახვილით რომ გვასახელა,  
დაკრძალულ იქნეს, მას მიეზღოს ყველა პატივი,  
რაც განსვენებულ ნეტარ ვაჟკაცთ განეკუთვნება.  
მისსა ძმასა კა — მე ვგულისხმობ პ ო ლ ი ნ ი კ ე ს ა,  
მშობლიურ მიწას და თვის ღმერთებს რომ უღალატა,  
მშობელს გაექცა და ვერაგ მტერს რომ მიეკედლა,

და კვლავ დაბრუნდა, რომ ქალაქი ცეცხლს მიეცა.  
მომხმეთა სისხლი დაელია, მონებად ეყო, —  
ამ მოლაღატეს — მე ვუბრძანებ მოქალაქეებს —  
არ სცენ პატივი არც დაკრძალვით, არც დატირებით;  
დაუკრძალავი ვგდოს გვამი შეგინებული  
ფრინველთ და ძაღლთა საჯიჯგნელად. შესამუსრავად!  
(„ანტიგონე“, ტ. 184—206).

და აი, მეორე ეპიზოდში კრეონტს არც კი უნდა დაიჯეროს, რომ მეფის მიერ გამოცემული კანონი დაარღვია საძეფო ოჯახის წევრმა, და ეკითხება ანტიგონეს — მართლა მან დაკრძალა გვამი, თუ დარაჯი სტუქუს, როდესაც ამბობს ანტიგონემ დაასაფლავა გვამით, ან იცოდა თუ არა გამოცემული კანონის შესახებ, და, თუ იცოდა, რატომ იმოქმედა მის წინააღმდეგ. ანტიგონე ამაყად და გაბედულად უპასუხებს: ღიახ, მან დაკრძალა პოლინიკეს გვამი; მეფის მიერ გამოცემული კანონიც ცნობილია მისთვის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ კანონს: „ის ხომ არც ზევსს შეუქმნია, არც უწმინდეს სამართალს (Δίκη); ის ადამიანის მიერ დაწერილი კანონია, რომელსაც არ შეუძლია დაამხოს ღმერთთა დაუწერელი და ურყევი კანონი“ (ტ. 450 — 455). ეს უკანასკნელი მარადიულია, კაცმა არ იცის — როდის არის შექმნილი; რაც ადამიანი არსებობს, ისიც არსებობდა. ანტიგონეს არ ეშინია, რომ ამ კანონს მისდევს, მას, პირაქით, შეეშინდებოდა, რომ მას არ მისდევდეს. ამ საღვთო კანონით კი დადებულია, რომ მიცვალებული უნდა დამარხო.

ანტიგონე ბოლომდე ინარჩუნებს ხასიათის სიმტკიცეს, მაშინაც კი, როდესაც ის, კრეონტის ბრძანებით, მიჰყავთ სასიკვდილო საკანში. სწუხს, რა თქმა უნდა, ანტიგონე, რომ ის სიკვდილის გზაზე მიდის დაუქორწინებელი, დაუტირებელი, მაგრამ ის ბედნიერად გრძნობს თავს, რომ საღვთო ვალი შეასრულა, ამაყად გაისმის მისი უკანასკნელი სიტყვები:

სასჯელს მადებენ იმისთვის კაცნი,  
რომ სათნოება მე ვისათნოე (ტ. 942—943).

ასევე მტკიცეა თავის შეხედულებებში კრეონტიც. ის იოტისოდნადაც არ ღალატობს თავის სამოქმედო პროგრამას, რომელიც პირველს ეპიზოდში დასახა: სახელმწიფოს შეთაურისათვის ერთადერთი გზაა — არ დაუთმოს მტერს; სამშობლოს ღალატს ის ვერავის ვერ აპატიებს. მასზე არ მოქმედებს არც ისმენეს სიტყვები („ნუთუ საკუთარ ვაჟის საცოლეს შენ მოაკვდინებ?“ ტ. 568), არც თვით ჰემონის ვულახდელი აღსარება (მესამე ეპიზოდში).

<sup>1</sup> თარგმანი გვეკუთვნის ჩვენ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სოფოკლე გადაახვევინებს კრეონტს ამ პირდაპირი, პრინციპული გზისათვის, არის წარმოდგენილი მეხუთე ეპიზოდში: შემოდის მისანი ტირესია და უამბობს მეფეს, რომ მან მსხვერპლშეწირვით და მისნობით ცუდი შედეგები მიიღო; სამსხვერპლოები შებილწულია პოლინიკეს ლეშით გამძლარი ფრინველებისა და ძაღლების მიერ, რომ ღმერთები მსხვერპლებს აღარ იკარებენ; საჭიროა კრეონტმა შესცვალოს თავისი კანონი, კრეონტი აქაც მტკიცე ხასიათს იჩენს; მიუხედავად იმისა, რომ მან იცის, თუ რა ძალა აქვს მისნის სიტყვებს, ის აღშფოთებულია ტირესიას მისნობით, ანგარებასაც კი სწამებს მას: მიახანთა მოდგმა ვერცხლის მოყვარულია და ხშირად ტყუილებს მიმართავსო. მაგრამ როდესაც ტირესია მუქარით გადის სცენიდან, კრეონტი ჩაფიქრდება, თუმცა უმძიმს დათმობა, მაგრამ გუნდის მეთაურს მიმართავს თხოვნით: მირჩიე, როგორ მოვიქცეო. ისიც ურჩევს იესცვალოს განაჩენი, საკუთარი ხელით გაუღოს საპყრობილის კარები ანტიგონეს და განათავისუფლოს იგი. კრეონტიც ჯერ დასაფლავებს პოლინიკეს გვამს და მერე მიაშურებს საპყრობილისაკენ: მან შესცვალა თავისი განაჩენი.

აქ თითქოს უკვე დარღვეულია მთლიანობა კრეონტის ხასიათში. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს მოჩვენებითია. სინამდვილეში სოფოკლეს არავითარი ცვლილება არ შეუტანია მტკიცე ზეღოსუფლების სახეობაში. რომ ეს ასეა, ამას შემდეგი მოსაზრებები უნდა ნათელყოფდეს.

1. სოფოკლემ „ანტიგონეში“ ორი მტკიცე ხასიათის პიროვნება დაუპირდაპირა ერთიმეორეს: დაუწერელი (სალვთო) კანონის მიმდევარი ანტიგონე და დაწერილი (ადამიანის) კანონის დამცველი კრეონტი. დაუწერელი სალვთო კანონი მეტად მიმზიდველია: დაიცვა სათნოება, აპატიო ადამიანს მისი შეცოდებანი, სამშობლოს მოღალატესაც კი სცე უკანასკნელი პატივი და სამარემდე მიაცილო. ამ კანონის მიმდევარია ანტიგონე, რომელიც აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ვისიმე მტერი იყოს, ვინმე სძულდეს („მე მტრობისათვის კი არ ვარ გაჩენილი, არამედ სიყვარულისთვისო“; ტ. 523). ამიტომ მისთვის მიუღებელია ადამიანის მიერ დაწერილი კანონი, რომელიც ზოგჯერ გიბრძანებს — შენი ღვიძლი ძმა უნდა გძულდესო. მთელი ტრაგედიის მანძილზე ჩანს, რომ სოფოკლე შინაგანად დიდი სიმპათიით ეპყრობა ანტიგონეს; საზოგადოებრივი აზრიც ანტიგონეს მხარეზეა (ამას მოწმობს გუნდის განწყობილება). მაგრამ სოფოკლე განსაკუთრებული აზრისაა სახელმწიფოს მეთაურობაზე, მზარდი დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებზე, რომლებიც მოითხოვენ ხელისუფლებისაგან სიმტკიცეს: ურჩინი უნდა გაანადგურო, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი (დისწული, საკუთარი შვილი, ძმა). ამიტომაც არის, რომ საბოლოოდ, სოფოკლეს კონცეფციით, გამარჯვებული რჩება

დაწერილი კანონი: ანტიგონე დაიღუპა საპყრობილეში, დაიღუპა მისი მომხრე ჰემონიც. გაიმარჯვა კრეონტმა და არა ანტიგონემ.

2. კრეონტმა უკანასკნელ მოქმედებაში შესცვალა თავისი განაჩენი და გადაწყვიტა გამოეშვა ანტიგონე საპყრობილიდან. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ გადაწყვეტილებას. თუკი მას რეალური შედეგი არ მოჰყვება. აქ ჩვენ ვსვამთ საკითხს: უნდოდა თუ არა პოეტს. რომ კრეონტს გაეუქმებინა თავისი განაჩენი? ჩვენის აზრით, მას ეს არ უნდოდა; რომ ნდომოდა, კიდევაც შეაცვლევინებდა მას თავის დროზე და ანტიგონეს განათავისუფლებინებდა. ის ამას ვერ იზამდა, რადგან მისი კონცეფციით სახელმწიფოს მეთაურს უნდა გაემარჯვა და არა მის მტერს. მაგრამ, რომ სოფოკლემ მაინც შეაცვლევინა კრეონტს განაჩენი, ეს აიხსნება სულ სხვა გარემოებით. გუნდის სიმღერები ყველა სტასიმში ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი აზრი (და, მაშასადამე, მკაცრების აზრი) ანტიგონეს მხარეზეა (გუნდი, მიუხედავად ამისა, თავისი სიმღერის ბოლო ნაწილებში მაინც ყოველთვის ადასტურებს კრეონტის საპროგრამო აზრებს); როგორ შეუძლია პოეტს ანგარიში არ გაუწიოს საზოგადოებას და დაუკმაყოფილებელი გაუშვას იგი თეატრიდან. მთელი ოთხი ეპიზოდის მანძილზე მეტისმეტად იკუმშება ატმოსფერა, მკაცრებული დაძაბული განიცდის შექმნილ კოლიზიას, მოელის, რომ საცაა გაიმარჯვებს საღვთო კანონი და, აი, როდესაც არაფერი მოქმედებს კრეონტზე, სოფოკლე უკანასკნელ საშუალებას მიმართავს: მიგზავნის კრეონტთან უდიდეს ავტორიტეტს, სახელგანთქმულ ტირესიას, რომელიც შეაცვლევინებს მეფეს მის განაჩენს. საზოგადოებაც დაკმაყოფილებულია: მეფემ გააუქმა სასიკვდილო განაჩენი, ანტიგონეს მიმართ გამოტანილი. მაგრამ, ფიქრობს საზოგადოება, სამწუხარო შემთხვევა მოხდა, კრეონტმა ცოტათი დაიკვირანა — ანტიგონეს უკვე თავი მოუკლავს; ეს რომ არ მომხდარიყო, ანტიგონე ცოცხალი და თავისუფალი იქნებოდაო. ჩვენი აზრით, აქ გვაქვს სოფოკლეს ერთ-ერთი მხატვრული ხერხი, რომელსაც მიმართავს ის, რათა არც რეალურ სინამდვილეს უღალატოს (საზოგადოების აზრს დროებითი დაკმაყოფილება არგუნოს), და თავისი კონცეფციაც გაამართლოს (კრეონტს გაამარჯვებინოს).

რომ აქ მხატვრულ ხერხთან გვაქვს საქმე და არა სოფოკლეს სურვილთან — დაუწერელ კანონს გაამარჯვებინოს და ანტიგონე განათავისუფლებინოს, ამას ადასტურებს ტირესიას როლიც ამ ეპიზოდში. ტირესია ზომ მისანია და. მაშასადამე, მან მართო ის კი არ იცის თუ რა მოხდა, არამედ ისიც იცის, თუ რა მოხდება. სწორედ იმ დროს, როდესაც ტირესია კრეონტს ესაუბრებოდა, ანტიგონე თურმე საზრჩობელას იმზადებდა. შეიძლებოდა თუ არა არ სცოდნოდა ეს ტირე-

სიას? რასაკვირველია, მას ეს უნდა სცოდნოდა, და კიდევაც იცოდა, როდესაც ის სცენიდან გასვლის წინ კრეონტს ეუბნებოდა: ერინები უკვე გიგებენ მახესო. ასე რომ ტირესიას გამოსვლა და მისი საუბარი კრეონტთან დაუროთო სოფოკლემ ტრაგედიის ბოლოში იმიტომ კი არა, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ ანტიგონე გაიძარცვებდა, არამედ საზოგადოებრივი აზრის დასაკმაყოფილებლად.

3. სოფოკლე, ამგვარად, ბოლომდე მტკიცედ ატარებს თავის კონცეფციას. მართალია, მიმზიდველია მოსიყვარულე ანტიგონეს სახება; მართალია, საზოგადოების აზრიც პოლინიკეს დასაფლავების მომხრეა. მაგრამ, სოფოკლეს კონცეფციით, პერიკლეს ეპოქისათვის საჭიროა, რათა ადამიანი ასეთი კი არ იყოს, არამედ ისეთი, როგორც კრეონტა. ამიტომ ჰქონდა ევრიპიდეს თუ (სხვა მოწინააღმდეგეს) საბაბი ეთქვა - სოფოკლე თავის დრამებში არ ასახავს ნამდვილ ადამიანებსო. სოფოკლემ ასეთ მოწინააღმდეგეებს პასუხს აძლევდა: უნდა ასახო ადამიანები ისეთები, როგორებიც ისინი უნდა იყვნენო (არისტოტელეს „პოეტიკის“ XXV თავი).

„აიანტი“. ასეთივე ხასიათის ტრაგედია არის სოფოკლეს ერთი ადრინდელი დრამათაგანი „აიანტი“, რომელშიც ასახულია ძლიერი ნებისყოფისა და უღრვეი ხასიათის მქონე ადამიანი, ღირსების შენარჩუნებისათვის თავდადებული და ვაჟკაცის სახელის შეუბღალავად დამცველი.

„ოიდიპოს მეფე“. ეს ტრაგედია დაიდგა 429 — 426 წლებში და იქ აღწერილი ადამიანთა და ნადირთა მომსკრელი ჭირი მიუოლოებეს იმ უბედურებაზე, რომელიც თავს დაატყდა ათენს პელოპონესის ომის მეორე წელს (430 წ.) „შავი ჭირის“ სახით. მაშასადამე, ეს ტრაგედია დადგმული უნდა ყოფილიყო ამ წლის მახლობელ ხანებში.

სოფოკლე „ოიდიპოს მეფეში“, ისევე როგორც სხვა ტრაგედიებში, მთლიან მითს არ შლის: ეს მას მეტად შებოროტავდა, რადგან მთლიან მითში ძირითადად ხაზს ვერ შესცვლიდა, ხოლო დეტალების ვარიაცია ვერ მისცემდა გასაქანს ფართო კონცეფციის გასაშლელად. ამიტომ ის დებულობს მითის ერთს, ჩვეულებრივ, ბოლო ეპიზოდს. ოიდიპოსზე უკვე აღსრულდა გვაროვნული წყევლა-კრულვა; მას დანაშაული უკვე ჩადენილი აქვს (მამა მოუკლავს და დედა ცოლად შეურთავს), ის სახელგანთქმული მეფეა, ქვეშევრდომთაგან გაღმერთებული და შინაურთაგან პატივცემული; ის თავისი მეფური დიდების მწვერვალზეა და აინუნშიც არ მოსდის, თუ მას რაიმე დანაშაული შეიძლება ჰქონდეს ჩადენილი.

სოფოკლე აქედან იწყებს თავის ტრაგედიას და სურს გვიჩვენოს, თუ როგორ მოიქცევა ძლიერი პიროვნება, ყოველ მხრივ აღჭურვილი

დადებითი თვისებებით. როდესაც ის პირისპირ აღმოჩნდება კატასტროფულ მდგომარეობასთან. აი, ასეთ ფონზე სოფოკლემ დიდის ოსტატობით წარმოგვიდგინა მთლიანობა ძლიერი პიროვნებისა. ოიდიპოსი სახელმოხვეჭილი მეფეა, თავისი ხალხისა და თავისი ოჯახის უზომოდ მოყვარული და უაღრესად სინდისიერი ადამიანი; ხალხის უბედურებისათვის მოვლა მას, ქვეყნის მპყრობელს, თავის უწმინდეს კალად მიაჩნია: ვინც არ უნდა იყოს ხალხის უბედურების მიზეზი, თვით წევრიც სამეფო კარისა, ის მას არ დაინდობს:

თვით ვიყო წყველ-შეჩვენებული,  
თავსა დამატყდეს რისხვა ღმერთების,  
თუ ჩემთან ჭერ-ქვეშ აღმოჩნდა მკვლელი (ტ. 249—251)

და აკი ოიდიპოსი თვითონ კისრულობს ხალხის თავზე დამტყდარი უბედურების მიზეზის გამორკვევას და ერთიმეორეზე მიყოლებით არკვევს ყველა დეტალს. როდესაც საქმის ვითარებას ატყობს, რომ უბედურების მიზეზი თვით მისივე, ოიდიპოსისივე, იკვლევს გზას და უნიათო იოკასტეს სურს თავისი ქმარი შეაჩეროს კვლევა-ძიების შუაგზაზე, რათა ბოლომდე არ გამოძვლავდეს საიდუმლოება, ის მაინც ბოლომდე განაგრძობს მიზეზის რკვევას ის ქვეყნის მპყრობელია და, როდესაც დელფოს სამისნომ შემოთვალა — ხალხს ისინით შავი ჭირისაგან, თუ იპოვით ლაიოსის მკვლელს, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფლად დადის ქალაქშიო, ის ხმარობს ყოველ ღონეს, რომ ეს მკვლელი იპოვოს. გარდა ამისა, ოიდიპოსი სინდისიერი ადამიანია და ზნეობაზე უაღრესად მაღალი წარმოდგენის მქონე: ამიტომ, თუმცა ირკვივა, რომ მკვლელი თვითონ ყოფილა, მაგრამ მაინც ბოლომდე მიჰყავს გამოძიება. ასევე თანმიმდევარია ეს ძლიერი პიროვნება, როდესაც ტრაგიკული რგოლის უკანასკნელი ნასკვიც იხსნება, სახელდობრ, როდესაც მქლავნდება: გარდა იმისა, რომ ის ლაიოსის მკვლელია, იგი თავისი მამის მკვლელი და თავისი დედის ქმარი ყოფილა.

ამგვარად, პიროვნება კი ძლიერია, მაგრამ ისიც უძლურია იმ წინააღმდეგობის თავიდან აცილებაში, რომელიც სუფევს ბედისწერასა და ადამიანის რეალურ შესაძლებლობას შორის. გუნდიც ხომ მღერის:

კაცობრიობაჲ, რაღა ხარ?  
თვით სიცოცხლეში არარა!  
ბედნიერების მსურველი  
ვინ მისწვდომიხარ საწადელს?  
ბედ-კეთილობა ლანდია,  
მხოლოდ ჩვენება წუთისა...  
ვხედავ არა არს ამ ქვეყნად  
ბედნიერება. (ტ. 1186 — 1195).

ასეთი იყო საზოგადოების აზრი და სოფოკლეს მას იმეორებს. ხოლო მისი ვალი იყო ეჩვენებინა, რომ ძლიერი პიროვნება, ოიდიპოსი, ძლიერივე დარჩა კატასტროფის შემდეგაც: მან გამოიჩინა საკმაო ნებისყოფა, რომ გამოესყრდა დანაშაული, თუმცა ის თავისდა უნებურად ჰქონდა ჩადენილი.

§ 72. სოფოკლეს სატირული დრამები. სოფოკლე სრულიადაც არ წარმოადგენდა ავტორიტეტს როგორც სატირული დრამის ავტორი, ის უპირატესად თავისი ტრაგედიებით იყო სახელმძღვანელო. მიუხედავად ამისა, მის სატირულ დრამებს მაინც სიამოვნებით ისმენდნენ ძველი ბერძნები, რადგან ისინი, საზოგადოდ, დიდი ოსტატის, სოფოკლეს, დრამები იყვნენ. გარდა ამისა, სოფოკლეს სატირული დრამები ჩვენთვის იმითაც არის საგულისხმო, რომ ისინი წარმოადგენდნენ შემდგომ საფეხურს სატირული დრამის განვითარების ისტორიაში. სახელდობრ, უკვე სოფოკლეს დრამებს ეტყობათ, რომ ისინი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი და იჩენენ ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ ჩვეულებრივს ტრაგედიებს უახლოვებენ. ასე. მაგალითად, სატირული დრამის ძირითადი ნიშანი ხომ ის იყო, რომ გუნდი სატირებისაგან უნდა შედგენილიყო: სიუჟეტი შეიძლებოდა ყოველგვარი მითიდან ყოფილიყო აღებული, გუნდის როლი კი სატირებს უნდა შეესრულებინათ. სოფოკლეს სატირულ დრამებში კი ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგჯერ გუნდი სხვა შემადგენლობისაა. მაგალითად, სატირულ დრამაში „აქაველთა ნადიმი“ საგუნდო პარტიებს, როგორც ჩანს, აქაველთა გუნდი ასრულებდა. ამ მოვლენის დაგვირგვინებას წარმოვიდგენს ევრიპიდეს დრამა „ალკესტიდა“.

სოფოკლეს სატირულ დრამათაგან, რომელთა რიცხვი 30-მდე უნდა ყოფილიყო, უკანასკნელ ხანებამდე მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები მოგვეპოვებოდა. 1912 წელს გამოქვეყნდა ახალი, საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტები დრამისა „მეძე ბარნი“, ხოლო 1933 წელს ცნობილი გახდა „ინაქეს“ ახალი ნაწყვეტები.

დასკვნა. ამგვარად, სოფოკლეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ამჟამად მოგვეპოვება შეიდი სრული ტრაგედია და ორი სატირული დრამის მნიშვნელოვანი ნაწილები.

სოფოკლეს ტრაგედია არის ხასიათის ტრაგედია, რომელშიც ასახული არიან მტკიცე ხასიათისა და უდრეკი ნებასყოფის ადამიანები, ე. ი. ადამიანები ასახული არიან ისეთებად, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ. ამით სოფოკლემ გმირების ასახვაში, შედარებით ესქილესთან, გადადგა ნაბიჯი წინ. ესქილეს გმირები ზეადამიანები, ბუმბერაზები არიან; ამიტომ მათი მოქმედების წარმართვაში ღმერთებს აქვთ მიკუთვნებული გადამწყვეტი როლი; სოფოკლეს დრამაში კი გმირები რეალურ სინამდვილესთან არიან დაახლოვებული, ზეციდან მიწაზე არიან

ჩამოყვანილი: ამიტომ მათი მოქმედების წარმართვაში თვით მათ აქვთ მიყუთუნებული მთავარი როლი და არა ლმერთებს, მათ ხელთაა საკუთარი ტრაგიკული მდგომარეობის განასკვაც და გამოსხნაც.

სოფოკლეს გმირები, ამგვარად, იდეალური ადამიანები არიან, ღიადნი და კეთილშობილნი, პირდაპირნი და პრინციპულნი, ნაზად მოყვარული მშობლები და მგრძნობიარე შვილები, უღრეკი პატრიოტები და შეუპოვარი მებრძოლები, მოკეთეთათვის თავდადებულნი და მტრისათვის ზარის დამცემნი. — ამიტომ უაღრესად მიმზიდველნი და სათაყვანებელნი. იქნებ. არისტოტელეს ყველაზე უფრო მეტად სოფოკლე ჰყავდა მხედველობაში, როდესაც იგი ტრაგედიაზე წერდა: —ტრაგედია არის ასახვა დიადი და სრულყოფილი მოქმედებისა. რომელსაც გარკვეული სიდიდე აქვს... ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს“ („პოეტიკა“. თ. VI)<sup>1</sup>.

### III. ეპრიპიდე

(480 -- 406)

§ 73. ტრაგედიის განვითარების უკანასკნელი საფეხური. ბერძნული ტრაგედია. ტანჯული დიონისეს სახობობოდ შექმნილი დიოთრამბისა და სატირთა სიმღერისაგან აღმოცენებული და გმირთა სადიდებელ ნაწარმოებად გარდაქმნილი, თავისი განვითარების გზაზე თანდათან უახლოვდებოდა რეალურ სინამდვილეს. ესქილეს ზეადამიანის შემდეგ სოფოკლემ იდეალური ადამიანი ასახა, ხოლო V საუკუნის მეორე ნახევარში ტრაგედიამ იმით დაამთავრა თავისი განვითარება, რომ იგი საბოლოოდ დაუახლოვდა სინამდვილეს და ევრიპიდეს დრამების სახით მოგვცა რეალური ადამიანის ასახვა.

---

<sup>1</sup> სოფოკლეს ტრაგედიებიდან ქართულად თარგმნილია მხოლოდ ორი: „ანტიგონე“ (I. გ. გვაზუასი, ცალკე წიგნად, თბილისი, 1912, და 2. პ. ქავთარაძისა, ჟურნალში „ახალი კავასიონი“, № 1 -- 2, თბ., 1925) და „ოიდიპოს მეფე“ (I. პ. მერძანაშვილისა, თბილისი, 1910, 2. პ. ქავთარაძისა, კრებულში „გვირგვინი“, თბილისი, 1912 და 3. დ. გაჩეჩილაძისა, თბ. 1958). რუსულად მოიპოვება სოფოკლეს ტრაგედიების სრული კრებული: Софокл. Драммы, тт. I—III. Москва, 1941—1915, Греческая трагедия, М., 1950.,



ე ვ რ ი პ ი დ ე დაბადებულია სწორედ იმ წელს, როდესაც ბერძნებმა სპარსელები გააქციეს, ე. ი. 480 წელს (სალამინის ბრძოლა), ხოლო გარდაცვლილა 93 ოლიმპიადაში (408 - 405 წწ.) 75 წლის ასაკში, ე. ი. 406 — 405 წელს, კეთილშობილთა გვარს ჰკუთვნებია და დაახლოებული ყოფილა თავისი დროის რიტორებთან და ფილოსოფოსებთან. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ათენი დაუტოვებია და მაკედონიის მეფის კარზე უცხოვრია, აქ მეტად დიდ პატივში ყოფილა: ბიოგრაფოსები ამ გარემოებას აღნიშნავენ, ალბათ, იმის გათვალისწინებით, რომ ათენში დიდ პატივში არ იყო. რომ ის ათენში დიდ პატივში არ უნდა ყოფილიყო, მტკიცდება იმიტაც. რომ მას სიცოცხლეში მხოლოდ ოთხჯერ გაუმარჯვია: რომ მას ათენში სახარბიელო ცხოვრება არ უნდა ჰქონოდა, ამტკიცებს ისიც, რომ ის ურთიერთობას გაუბრბოდა, ქალთა მოძულეს ეძახდნენ (ალბათ, იმიტომ, რომ ტრაგედიაში ქალთა უარყოფითი ტიპები გამოკყავდა).

§ 74 ევრიპიდეს ტრაგედიები. როგორც ბიოგრაფოსები გადმოგვცემენ, ევრიპიდეს 92 დრამა დაუწერია. ამათგან ჩვენამდე მოღწეულია სრულად 17 ტრაგედია და ერთი სატირული დრამა; გარდა ამისა, შენახულია 841 ფრაგმენტი მისი ცნობილი დრამებისა და 250 ფრაგმენტი უცნობი დრამებისა. XX საუკუნეში ნაპოვნ პაპირუსებს შორის აღმოჩნდა. აგრეთვე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწყვეტი (მაგალითად, ტრაგედიისა „პიფსიპილე“). დასასრულ, ევრიპიდეს სახელით არის მოღწეული ტრაგედია „რესოსი“, რომლის მიმართ ევრიპიდეს ავტორობა მკვლევართა მიერ საეჭვოდ არის მიჩნეული.

ევრიპიდეს დრამების დასახასიათებლად, ჩვენი აზრით. ძირითად დასაყრდენს შეიძლება წარმოადგენდეს არისტოტელეს დებულებები, რომლებიც მას თავის „პოეტიკაში“ აქვს გამოთქმული ევრიპიდეს მიმართ: 1. „თვითონ სოფოკლემ თქვა, რომ იგი ასახავს ადამიანებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ხოლო ევრიპიდე — როგორებიც ისინი არიან“ („პოეტიკა“ თავი XXV); 2. „ევრიპიდე ყველაზე უფრო ტრაგიკულ პოეტად გვევლინება“ („პოეტიკა“ თავი XIII); 3. „გუნდიც უნდა იქნეს აღებული როგორც ერთ-ერთი მსახიობთაგანი. იგი უნდა იყოს მთელის ნაწილი და მონაწილეობდეს მის განვითარებაში — არა ისე, როგორც ეს არის ევრიპიდე სთან, არამედ ისე, როგორც ეს არის სოფოკლესთან“ („პოეტიკა“, თავი XVIII).

1. არისტოტელეს პირველი დებულება მიუთითებს ევრიპიდეს შემოქმედების რეალისტურ ხასიათზე. მართლაც, ევრიპიდეს გმირები მოქმედებენ და იტანჯებიან როგორც V საუკუნის სინამდვილის ადამიანები: ისინი ფიქრობენ და გრძნობენ როგორც ევრიპიდე და

მისი წრე, იზიარებენ ან აქსაგორას მოძღვრებას გონებაზე და სოკრატეს აზრებს სიკეთისა და ცოდნის მქიდრო კავშირზე, კარგად იცნობენ სოფისტიკურ რიტორიკას და მარჯვედ ფლობენ მის ზერხებს.

ევრიპიდეს ხანა დემოკრატიული იდეოლოგიის საბოლოო გამარჯვების ხანაა. ამ იდეოლოგიამ განამტკიცა დებულება, რომ ადამიანის ხელთ არის ცხოვრების წარმართვა და ამ საქმეში მისი დასაყრდენია ყაზღ („გონება“). გონების ძალით ადამიანი სწავლობს ბუნების მოვლენებს. ცოდნის გზით იგი სძლევს ბუნების მოვლენათა მიერ ადამიანისათვის შექმნილ დაბრკოლებებს. ან აქსაგორამ (500-428) შესძლო რაციონალისტური ჰიპოთეზები წარმოდგინა ბუნების ზოგიერთ მოვლენათა შესახებ, რომლებზედაც წინათ მხოლოდ რელიგიური ახსნა არსებობდა: მზის შესახებ მან თქვა — იგი სწრაფი ტრიალისაგან გავარჯარებული ქვააო, ხოლო მნათობთა დაბნელებისათვის მან გამოთქვა აზრი — დედამიწასა და მნათობს შუა რაღაც სხეული ჩადგება და ეს იწვევს მნათობის (მზის, მთვარის) დაბნელებასო. ბიოგრაფოსების ცნობით, ევრიპიდე ან აქსაგორას მოწაფე იყო. ან აქსაგორას მთავარი მოწაფე იყო არქელაოსი, სოკრატეს მასწავლებელი.

ამგვარი მოძღვრება უთუოდ არყევდა ძველ წარმოდგენებს ღმერთებზე და, თუმცა დემოკრატიული იდეოლოგიის წარმონადგენელნი (მაგალ.: ან აქსაგორა. ევრიპიდე) რელიგიური ინსტიტუტების წინააღმდეგ სრულიადაც არ იბრძოდნენ, მაგრამ მათი შეხედულებები მაინც ფასს უქარგავდნენ მნათობთა ღვთაებრიობას და ზევსის ყოვლისშემძლებლობას.

იმვე დემოკრატიული იდეოლოგიის პირმშოა სოფისტიკური რიტორიკა. ადამიანის პრიმატობის აღმსარებელია პროტაგორას დებულება „ადამიანი ყოველი საგნის საზომი, არსებულთა, რამდენადაც ისინი არსებობენ. და არაარსებულთა, რამდენადაც ისინი არ არსებობენ“. მაშასადამე, ადამიანზეა დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ის დაამტკიცოს რისამე არსებობა ან არარსებობა, რისამე სიმართლე ან უმართებულობა. ამ დებულებას იზიარებდა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის ათენი, რომლის მოქალაქენი ცდილობდნენ დაუფლებოდნენ რიტორიკის ზერხებს, რათა ამ ზერხების შემწეობით შესძლებოდათ ჭეშმარიტების ჭეშმარიტობისა და სიმართლის მართებულობის დამტკიცება.

ევრიპიდეს ტრაგედიაში დემოკრატიული ათენის იდეოლოგიის ეს მხარეც პოულობს საგრძნობ დასაყრდენს. ევრიპიდეს გმირების სიტყვები (მონოლოგებსა და დიალოგებში) ძალიან მოგვაგონებენ თავისი მხატვრული ფორმებითა და თქმებით, თავისი გაზვიადებულობითა

და რიტორიკული ხერხებით ევრიპიდეს დროინდელი ათენის რიტორიკულ სკოლებში მიღებულ ფორმებსა და თქმებს, ხერხებსა და სახეებს. გარდა ამისა, ევრიპიდეს გმირები თავიანთ დასაბუთებაში ხშირად იმეორებენ პროტაგორას დებულებიდან გამომდინარე აზრებს.

ამგვარად, რეალისტური ხასიათი ევრიპიდეს დრამებისა და, მაშასადამე, არისტოტელეს დებულების საფუძვლიანობა ნათელია. მაგრამ პოეტს თავისი ტრაგედიების სიუჟეტისათვის განკარგულებაში ჰქონდა მხოლოდ მითები: უკვე ტრაგედიის წარმოშობამ დიონისური დითირამბისაგან, რომელიც შემდეგ საგმირო დითირამბად გარდაიქმნა, შეაპირობა ტრაგედიის სიუჟეტის მითოლოგიური ხასიათი, და, მაშასადამე, ტრაგიკოსი შებორკილი იყო მითებში მოცემული მასალით. რეალური ადამიანის ასასახავად კი ევრიპიდეს, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა მითებში მოთხრობილ გმირების თავგადასავალი და მას უხდებოდა მითების არა თუ დეტალების, არამედ ზოგჯერ კონცეფციის იმგვარად შეცვლა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მითიური გმირისაგან რეალური ადამიანი მიეღო. ასე, მაგალითად, ევრიპიდეს შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა ქალის ტიპის ასახვა; ევრიპიდეს კონცეფციით ქალს ძლიერი სიყვარულიც შეუძლია და ძლიერი შურისძიებაც; ის თავს დასდებს საყვარელი არსებისათვის (მისი გულისთვის დასთმობს მშობლებს, სამშობლოსაც...), მაგრამ ასევე თავდადებით იბრძოლებს, რათა შური იძიოს მისი გრძნობის შეურაცხმყოფელზე. ასეთი სახეა, მაგალითად, მედეა, რომელიც, მითის მიხედვით, მოღალატე იაზონისათვის შურისსაძიებლად ჰკლავს მის ახალ საცოლეს კრეუზას და უკანასკნელის მამას კრეონტს. ევრიპიდემ კი, იმ მიზნით, რომ გაემძაფრებინა შურისძიების გრძნობა, შესცვალა ეს კონცეფცია: ევრიპიდეს ტრაგედიის მიხედვით მედეა (იმის გარდა, რომ ჰლუპავს კრეუზასა და კრეონტს) თავის შვილებს ჰკლავს. რათა ამით სასტიკად დასაჯოს იაზონი.

2. ევრიპიდეს გმირი იმიტომ იყო გაგებული საზოგადოების მიერ რეალურ გმირად, რომ ევრიპიდემ შესწლო ღრმად ჩასწვდომოდა გმირის სულიერ განცდებს, აესახა მისი სიძლიერე და სილამაზე; ევრიპიდეს მიერ მოხაზული ხასიათი გმირისა მუდამ ჩამაფიქრებელი ხდებოდა მაყურებლისათვის: ის თეატრიდან გამოდიოდა ერთი-ორად გაზრდილი, გათვითცნობიერებული და სულიერად ამაღლებული. მაყურებელზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა ფსიქოლოგიური სიღრმე ევრიპიდეს გმირთა განცდებისა, მაგალითად, ალკესტიდას განცდები სიკვდილის წინ შინაურებთან გამოშვებობების დროს, ანდა მედეას განცდები მის მიერვე სასიკვდილოდ განწირულ შვილებთან გამოთხოვების დროს. იმიტომ მართალია არისტოტელე-

ლ ე, როდესაც ამბობს: „ევრიბიდე ყველაზე უფრო ტრაგიკულ პოეტად გვევლინებაო“ („პოეტიკა“, თ. XIII). გმირის ტრაგიზმი — ამავე დროს მაყურებლის ტრაგიზმიც იყო: გმირთან ერთად მაყურებელიც დაძაბულ მდგომარეობაში იყო, მასთან ერთად განიცდიდა სიყვარულსა და თანაგრძნობას, შიშსა და შეცოდებას. მაგრამ ეს ტრაგიზმი იყო საშუალება ტანჯვათაგან გაწმენდისა. აქედან გასაგებია, რომ საზოგადოება ყველაზე უფრო მონათესავედ ტრაგიკოსთა შორის, თავისი განცდების შესაიდუმლედ, სთვლიდა ევრიბიდეს.

3. რადგან ევრიბიდეს შემოქმედება უმთავრესად გმირის ტრაგიზმს ემყარება, მის უსიქოლოგიურ განცდებსა და მისი ხასიათის სიმშვენიერეს. ამიტომ გასაგებია, რომ გუნდის როლი მის ტრაგედიაში მიჩქმალულია. ევრიბიდეს დრამის გუნდი არა თუ აქტიურად აღარ ერევა მოქმედებაში, არამედ ზოგჯერ მის სიმღერებს არავითარი კავშირი არა აქვს განვილილ მოქმედებასთან; გუნდი ზოგჯერ საზოგადოდ, სენტენციური ხასიათის სიმღერას ასრულებს. ევრიბიდეს გუნდი ასახავს დრამატურგიული ტექნიკის განვითარების იმ გარდამავალ საფეხურს, რომლის შემდეგ მხოლოდ ერთი ნაბიჯიღაა საჭირო, რომ გუნდი დეკორაციულ ელემენტად გადაიქცეს, მაყურებლის გასართობად რომ მღერის მოქმედებასა და მოქმედებას შუა.

„მედია“. ჩვენამდე მოღწეულ დრამათაგან ყველაზე უფრო აღრინდელგებია „აკესტიდა“ და „მედია“. პირველი წარმოდგენილ იქნა 438 წელს, ხოლო „მედია“ — 431 წელს.

„მედიაში“ ევრიბიდემ დაამუშავა ცნობილი მითი არგონავტების ციკლიდან: იაზონის მიერ გრძნეული მედეას სიყვარულის წყალობით ოქროს საწმისის მოპოვება; ევრიბიდემ დაამუშავა ამ მითის მეორე ნაწილი, რომელშიც გადმოცემული იყო, რომ კორინთოში დასახლებული იაზონი აპირებს უღალატოს მედეას: სურს შეირთოს კორინთოს მეფის ასული კრეუზა და გააძევოს მედეა, უკანასკნელი კი შურს იძიებს მოღალატე ქმარზე.

ჩვენს განხილვებაში არის სამი მითი. მოთხრობილია, რომ მედეა და იაზონი ეოლკოსიდან გარბიან კორინთოში; აქ მედეა ექვიაონობს იაზონზე და ამიტომ მოწამლავს კრეონტსა და მის ქალს კრეუზას (გლავკეს), რომელზედაც ექვიაონობდა; თვითონ კი გაიქცევა ათენში; კრეონტის ნათესაებმა მოჰკლეს ბავშვები. ასეთია მოქმედების განვითარება იმ სამი მითით, რომლებიც ჩვენ ძველი დროიდანვე გვაქვს. ევრიბიდემ კი თქმულებას მედეაზე მისცა თავისი ეპოქისათვის და თავისი მსოფლმხედველობისათვის შესაფერი რეალისტური გაგება.

პ რ ო ლ ო გ ი. ძიძა გვატყობინებს, თუ როგორ გამოიქცნენ მედეა და იაზონი კორინთოში. იაზონმა დასტოვა მედეა და გადაწყვეტილი აქვს ცოლად შეირთოს კრეუზა, მეფე კრეონტის ასული. შემოდის ბავ-

შეგების აღმზრდელი ბავშვებითურთ. იმართება დიალოგი. აღმზრდელის სიტყვებით, მეფეს სურს გააძევეს მედეა, რადგან მასში ხედავს თავის მოწინააღმდეგეს, თავისი ქალის მეტოქეს.

შორიდან მოისმის მედეას გოდება: იგი წყველის შვილებსაც და იაზონსაც.

პ ა რ ო დ ო ს ი. შემოდის კორინთელი ქალების გუნდი. იგი მწუხარებით მღერის მედეას ბედზე: ჩვენ გავიგონეთ, ძიძავ, მედეას ქვითინი; ჩვენ ეს ძალიან გვაწუხებს, და გვიამბე, რა მოხდაო. სცენის გარეთ მედეა მოსთქვამს, უხშობს სიკვდილს. გუნდი მას ამშვიდებს. მედეა განაგრძობს მძვინვარებას — იგი უხშობს თემიდას. გუნდი სთხოვს ძიძას გამოუძახოს მედეას: უნდათ მას მოელაპარაკონ. მედეა გამოდის.

ა გ ო ნ ი. პირველ ეპიზოდში მედეა უხსნის გუნდს ქალის საშინელ მდგომარეობას: უმწეოა ქალის ხედრი, კაცის ნებასურვილზეა დამოკიდებული მისი ბედი. ვერაგი აღმოჩნდა იაზონი; ულმობელად ეპყრობა ის მედეას, რომელმაც მისდამი სიყვარულს შესწირა სამშობლო, მშობლები, ძმა და საკუთარი თავი. მან გადაწყვიტა შური იძიოს ქმარზე, და ის სთხოვს გუნდს — დაიცვას ღუმელი, თუ ის, მედეა, იპოვის საშუალებას შურისძიებისას. გუნდი პირდება.

შემოდის კრეონტი. ის მოითხოვს მედეას და მისი შვილების განდევნას. მედეა იცავს გარეგნულ სიმშვიდეს, არაფრით მიახვედრებს მეფეს, რომ ის აღუფოთებელია მისი გადაწყვეტილებით; მხოლოდ სთხოვს მეფეს, ნება დართოს მას, დარჩეს კორინთოში დღამდე პირადი საქმეების მოსაგვარებლად. მეფე ნებას რთავს.

მედეა აუხსნის გუნდს თავისი შურისძიების რისხვას.

I სტასიმი. გუნდი მღერის შელახულ უფლებებზე, მამაკაცთა ვერაგობაზე, ქალის უმწეო მდგომარეობაზე.

II ეპიზოდი. საუბრობენ მედეა და იაზონი. იაზონი უსირცხვილო სიმშვიდით ელაპარაკება მედეას და ბრალსა სდებს მას მეფისადმი უპატივცემლობაში: შენი ბრალია, რომ გაძევებენ, უშვერი ლაპარაკი იცი მეფის წინააღმდეგ. რომ ეს არა — შენ აქ დაგტოვებდნენო; მაგრამ არა უშავს, ეუბნება ის, მე მაინც დაგეხმარები, ფულს მოგცემ, ზრუნვას არ დაგაკლებო.

აი, ასე უსირცხვილოდ და აღუფოთებლად ელაპარაკება იაზონი მედეას. როგორც ჩანს, ევრიპიდეს ვადაუწყვეტია იაზონის სახით მოეცა თავისი დროინდელი ათენელი მამაკაცი, რომელსაც სხვადასხვა საანგარო მოსაზრებებით ცოლი დაუტოვებია, სხვა ქალს ირთავს და ამით იქმნის თავის კარიერას, ხოლო პირველი ცოლის მოშორება სურს ფულის მიცემით და ზოგადი დაპირებით. მედეა მას ლანძღავს: ააშკარავენს მის ყოვლად ანგარებით სავსე საქციელს; მოაგონებს

მას, თუ რა მსხვერპლი გაუღია მედეას იაზონის გულისათვის: მან იაზონის საშველად ყოველგვარი ღონე იხმარა და მას კოლხეთის სიმდიდრე წამოაღებინა: მან გასწირა თავისი საკუთარი ძმა აფსირტე, როდესაც მათს ხომალდს მეფე აეტი დაედევნა. იაზონს, როგორც ანგარსა და პატავმოყვარე კაცს, არ ესმის მედეას ეს თავდადება. „შენ სიყვარულის გულსთვის ჩაიღინე ყველაფერი ეს და არა ჩემთვისო“. — უპასუხებს იაზონი, და შემდეგ, თავის გასამართლებლად, ასაბულებს მედეას წინაშე. თუ რატომ გადაწყვიტა მან კრეუზას შერთვა: ამით მინდა გავხდე ქვეყნის მეფე და ბავშვებს მომავალი შევუქმნაო. შენ გშორდები ჩვენი ბავშვების საკეთილდღეოდო.

II სტასიმი. გუნდი მღერის სამშობლოს შესახებ, სიყვარულის შესახებ. გუნდის აზრით, სიყვარული აღძრავს ადამიანში თავდადებულ ქცევას და სწორად ამ ქცევას სავალალო შედეგი მოჰყვება. ერთის სიყვარული მეორისათვის სიკვდილს იწვევს, ერთის გაბედნიერება მეორის უბედურებას იწვევს. „დეე, ნურასოდეს აფროდიტემ ნუ აღგვიძრას სიყვარული სხვათა ქმრები ისადმი“.

გუნდი მღერის სამშობლოს შესახებ. ყველაზე მტკიცე დასაყრდენი ადამიანისათვის საკუთარი სამშობლოა: უცხო ქვეყანაში ადამიანი მარტო გრძნობს თავს, იგი უმწეოა. „დეე, ნურასოდეს ნუ მოვწყდეთ სამშობლოსო“.

III ეპიზოდი. შემოდის ათენის მეფე ეგეოსი. მედეას უბედურება ძალიან სამწუხაროა ეგეოსისათვის, და იგი იწყნარებს მედეას თხოვნას — მისცეს თავშესაფარი თავის ქვეყანაში, ათენში. მედეა გახარებულია, რომ მას შეუძლია ათენის იმედი იქონიოს, და ლაპარაკობს თავის გეგმაზე — თუ როგორ გადასწყვიტა მან შური იძიოს მოღალატე ქმარზე. მისი დევიზია — „იყოს მოძულე მტრებისა და მოყვარული მეგობრებისა“.

III სტასიმი. გუნდი მღერის შურისძიების მსახვერელ საქმეზე, იგი შემფოთებულია, რომ მედეას მკაცრი გეგმა დაუსახავს, და სთხოვს შესცვალოს გადაწყვეტილება, მაგრამ მედეას ამაში ვერ დაარწმუნებს.

IV ეპიზოდი. მედეა ძალიან ღელავს, ის გრძნობს, რომ მისი გეგმა უღმობელი და მრისხანეა, მაგრამ რადგან მან თავშესაფარი იპოვა, იგი გადაწყვეტს სისრულეში მოიყვანოს გეგმა. მან გამოიძახა იაზონი; ახლა უფრო მშვიდად ელაპარაკება; თითქოს იგი შერიგებია თავის ბედს, მხოლოდ ერთი თხოვნა აქვს იაზონთან — მისცეს მას ნება გაუგზავნოს კრეუზას საჩუქარი ნიშნად მადლობისა, რომ მის შვილებს კარგად მოუვლის. აი, მან მოაყვანიდა თავისი შვილები, რომელთაც უნდა გაატანოს საჩუქარი კრეუზასთან. მედეამ ძალიან კარგად იცის, თუ რა სასიკვდილო შედეგები მოჰყვება ბავშვებისათვის ამ საჩუქრის

წაღებას, და ამიტომ იგი დიდი მღელვარებით ეალერსება ბავშვებს და... ატანს მათ საჩუქრებს.

IV სტასიმი. შეშფოთებული გუნდი სასოწარკვეთილ სიმღერას მღერის. ამ სიმღერის თემაა. „ბავშვები მიდიან სიკვდილის გზით“.

V ეპიზოდი. ბავშვები და მათი აღმზრდელი ბრუნდებიან. მათ შეასრულეს დაელება. მიუტანეს მეფის ასულს საჩუქრები და ნება მიიღეს აქ დარჩნენ. მედეა ეთხოვება ბავშვებს... შემოდის მონა იაზონისა და აუწყებს, რომ კრეუზა და კრეონტი საწამლავისაგან გარდაიცვალნენ. მედეამ კრეუზას საჩუქრად გაუგზავნა ძვირფასი წამოსასხამი, საწამლაით გაედენთილი; გახარებულმა კრეუზამ მანძივე მხრებზე მოიგდო წამოსასხამი და ცუდად იგრძნო თავი. მის კუნებაზე მოვარდნილი მამა, ქალს რომ შველოდა, აგრეთვე მოიწამლა.

ახლა უკვე მედეას უკან დასახვევი გზა აღარ აქვს: მას გაჰყავს ბავშვები და ჰკლავს მათ.

V სტასიმი. გუნდი გაკვირვებულია მედეას შურისძიებით. გუნდის სიმღერის თემაა: „შენ რკინის გული გქონია“.

ექსოლოსი. შემოდის იაზონი. უსაზღვროა მისი აღშფოთება მედეას საქციელით. მედეამ დაუმხვრია მას მისი რეალური გეგმები. მშვენიერი იყო იაზონის გეგმა: მას ცოლად სურდა ახალგაზრდა კრეუზა, რომლის წყალობითაც ის გახდებოდა სამეფოს პატრონი; მასვე ეყოლებოდა ძვირფასი შვილები. ორივე ეს იდეალი დაუმხვრია მედეამ: მან მოლაღატე ქმარს დაუქარგა მომავალი სამეფო და მოუსპო შვილები. ამ უკანასკნელი საუბრის შემდეგ მედეა ჩაჭდება გველეშაპებშებმულ ეტლში და გაფრინდება.

გუნდი მღერის ამ ქვეყნის უკულმართობის შესახებ: „ზევის ბევრ რამეს ქმნის, რაც საჭიროა; მაგრამ ღმერთები ბევრს მოულოდნელსაც სჩადიან. ასეთია ბოლო ჩვენი საქმისა“ (იგულისხმება დრამისა).

ვერიზიდემ დიდი ოსტატობით დავიხატა ღრმად-მგრძობიარე და ძლიერი ნებისყოფის პიროვნება: თითქოს იმისთვის არიან გამოყვანილი თვითმოყვარე ეგონისტი იაზონი, უფერული კრეონტი და უნიათო კორინთელი ქალები, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს შვილების ნაზად მოყვარული და მოლაღატე ქმრის უსაზღვროდ მოძულე მედეას შეუღრეკელი პიროვნება. მთელი ტრაგედიის მანძილზე ერთიმეორეს ებრძვის მასში გრძნობა და გონება: გრძნობა უკარნახებს იზრუნოს შვილებზე, ხოლო გონება უკარნახებს შური იძიოს მის შეურაცხყოფელ ქმარზე. გონება სძლევს გრძნობას: მედეას არ შეუძლია აპატიოს იაზონს მისი სულმდაბლობა და ვერაგობა. მედეას უსაზღვროდ უყვარდა იაზონი, მისდამი სიყვარულს შესწირა მან მამა, ძმა, სამშობლო; იაზონმა კი იმით გადაუხადა, რომ კარიერის გულისთვის ირთავს მეფის ასულს, მედეას კი კორინთოდან გაძევებას უპი-

რებს. მედეაც შერს იძიებს: მისი დევიზია — მტრები სძულ-  
დეს და მეგობრები უყვარდეს. ამიტომ ის მტერს,  
მოლაღატე და სულმდაბალ იაზონს, საბოლოოდ ანადგურებს: სიცოც-  
ხლეს უსპობს მის საცოლეს კრეუზას და ჰკლავს თავის შვილებს.  
მაგრამ შეიძლება ადამიანმა იკითხოს: რა შურისძიებაა შვილების  
მოკვლა? განა უფრო საზრიანი შურისძიება არ იქნებოდა, რომ მე-  
დეას თვით იაზონი მოეკლა და არა შვილები? — ჩნებ ამის დამაბრკო-  
ლებელი ის იყოს პოეტისთვის, რომ მითში არ იყო მედეას მიერ  
იაზონის მოკვლა: მაგრამ მითში არც შვილების მოკვლა იყო (ეს  
ევრიპიდეს მიერ შემოტანილი სიახლეა). პასუხს ამ კითხვაზე თვით  
ტრაგედია გვაძლევს: იაზონს შვილები უყვარს, ამავე დროს იგი კარი-  
ერისტია — სურს კრეუზას შერთვით სამეფო ტახტის მემკვიდრე  
გახდეს; მედეაც მხოლოდ მაშინ ჩათვლიდა შურისძიებას სრულყოფი-  
ლად, თუ ის იაზონს ამ ორივე იდეალს დაუმსხვრევდა; და დაუმსხვრია  
კიდევ: საცოლევ მოუწამლა და შვილებიც მოუკლა.

„მედეაში“ მეტად მკაფიოდ გამომჟღავნდა ევრიპიდეს რეალის-  
ტობა.

1. პირველ რიგში რეალისტურად არის ასახული მედეა. ევრიპიდეს  
წარმოდგენით, მისი დროის ქალს ახასიათებს როგორც თავდადებული  
სიყვარული, ისე უზომო სიძულვილი: ორივე გრძნობა, ერთიმეორის  
საპირისპირო, ერთად თავსდება ქალში ერთისა და იმავე პიროვნების  
მიმართ. როგორც სიყვარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად გას-  
წირა მედეამ მამა, ძმა და სამშობლო, ისე მისი გრძნობის შეუტაც-  
ხმყოფელზე შურის საძიებლად მან არ დაინდო თავისი შვილებიც.  
ასეთი ქალი ასახა ევრიპიდემ „მედეას“ გარდა სხვა ტრაგედიებშიც  
(„იპოლიტე“, „ჰეკაბე“ და სხვ.). აკი თანამედროვე ქალებს სძულდათ  
კიდევ ევრიპიდე, რომელსაც უსაყვედურებდნენ, საზიზღარ ბოროტ-  
მოქმედებას ჩაადენინებს ხოლმე ქალსო. ასე, მაგალითად, არის-  
ტოფანეს კომედიაში „თესმოფორიაძესები“ ერთი ქალი უჩივის  
ევრიპიდეს, იმან ისე გალანძლა და ლაფში ამოსვარა ქალები, რომ  
ქმრები, თეატრიდან დაბრუნების შემდეგ, ეჭვით აღსაყვანი მივარ-  
დებიან თავიანთ ცოლებს და ათასნაირ ბოროტმოქმედებაში სდებენ  
ბრალსო. ჩვენ არ გვაიწყუდება, რომ ასეთი მსჯავრი ევრიპიდეს შემოქ-  
მედებაზე მომდინარეობს არისტოფანესაგან, მაგრამ კომედიის მიერ  
ასეთი გალაშქრება მოწმობს იმას, თუ როგორ რეალისტურად ესმო-  
დათ თანამედროვე ქალებს ევრიპიდეს მიერ ასახული ტიპები. მიუხე-  
დავად ასეთი მსჯავრისა და მიუხედავად იმისა, რომ ევრიპიდემ საზი-  
ზღარი ბოროტმოქმედება ჩაადენინა მედეას, ეს უკანასკნელი მაინც  
ჰხიბლავს მაყურებელს თავისი ტანჯული პიროვნების მთლიანობით  
და ხასიათის სიმტკიცით.



2. ევრიპიდეს იაზონიც სინამდვილიდან აღებული პიროვნებაა. ევრიპიდეს შებედულებით, მეხუთე საუკუნის ათენის მამაკაცი მსჯელობდა ისე, როგორც იაზონი მსჯელობს: მამაკაცის ცხოვრებაში სიყვარული კი არ არის მთავარი, არამედ ცხოვრების კეთილმოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ იაზონმა ცოლს უღალატა, ის მაინც ეუბნება მედეას:

ქალი შევირთე, უკეთ გვეცხოვრა  
გაკვირვება, რამ აღარ გვენახა...  
მამ იცოდე, რომ ქალის გულისთვის  
როდი ავსულვარ სეფის საწოლსა;  
არ ერთელ მითქვამა, ნსურდა შენი ხსნა  
და ბავშვებისთვის ოჯახის ბურჯად  
მეფის გვარისა ღმების გაჩენა.  
. . . . . მაგრამ თუ გინდა  
შენი თავისთვის, ბავშვებისთვისაც  
მიიღო შეველა ჩემის ფულითა,  
მითხარი მზად ვარ, უხვად მოგმადლო.  
მოყვასთ მიგიწერ, შეელას მოგცემენ (ტ. 547 — 613).

ასეთია მამაკაცის პასუხი ქალის სიყვარულზე: მედეამ იაზონის სიყვარულს შესწირა მშობლები და სამშობლო, იაზონი მას სამაგიეროდ მაძლარ ცხოვრებას ჰპირდება: ფულით სურს აუნაზღაუროს შეგინებული სიყვარული. მისთვის გაუგებარია მედეას მიერ უარყოფა ასეთი „ბედნიერი“ ცხოვრებისა. როდესაც მედეა უპასუხებს: „მადლობას მოგახსენებ ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც შხამიანი იქნება, მადლობას მოგახსენებ სიმდიდრისათვის, რომელიც ჩემს სულს პატივს აპყრისო“ (ტ. 598 — 599), იაზონი თავმოწონებით წამოიხერის სენტენციას: „რასაც სარგებლობა მოაქვს, ის არ უხდა ჩასთვალო შხამიანად, ბედნიერებაში მყოფი უბედურად არ უნდა რაცხდე თავსო“ (ტ. 601 — 602).

3. რეალისტიკა ევრიპიდე მაშინაც, როდესაც იაზონს ოსტატურად გამართულ სიტყვებს წარმოათქმევინებს. მეხუთე საუკუნის სოფისტიკური რიტორიკის მსგავსად იაზონიც ლაპარაკობს კითხვა-პასუხით და უყვარს კონკრეტულიდან ზოგადი მსჯელობის გამართვა. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი სიტყვა (ტ. 522 — 575), სადაც ის განაყენებულადაც ლაპარაკობს სამართალზე და კანონზე, ქორწინების „სამწუხარო“ მოვლენაზე და შვილების ყოლის აუცილებლობაზე. სწორედ ამ სიტყვის შემდეგ არის, რომ გუნდი ეუბნება იაზონს: „რამაზად შეამვე სიტყვაო“, ხოლო მედეა სასტიკად ჰკიცხავს რიტორიკულ ხერხებს, რომელთა საშუალებებითაც ხდება სიცრუის გასაღება სიმართლიდ: „ჩემის აზრით, — ამბობს მედეა, — უდიდესი სასჯელის ღირსია ის, ვინც უსამართლობა ჩაიდინა და ბრძნულად ლაპარაკობს.

ვისაც თავი მოაქვს იმით, რომ ცუდ საქმეებს ლამაზი სიტყვების ბურუსში ახვევს და თამამად სჩადის ბოროტებას, მას სიბრძნესთან არაფერი აქვს საერთო“ (ტ. 580 — 583).

ამგვარად, „მედეას“ ავტორი რეალისტია და დემოკრატიული იდეოლოგიის დამცველი. ამ მხრივ ჩვენ ის მიგვაჩინია არა ისეთ პოეტად, რომელიც უპირისპირდებოდეს იდეალური ადამიანის ამსახველ სოფოკლეს, არამედ უკანასკნელის გამგრძელებლად, ძლევამოსილი ათენის მედროშედ. ორივე პოეტს საერთო აქვს ასახვა მტკიცე ხასიათის პიროვნებისა, მტერთან დაუნდობელი ბრძოლისა, ათენის სამართალისა და კანონიერებისა. ეს არის საფუძვლები სახელმწიფოს ძლიერებისა. საბოლოოდ, მედეა დამარცხდა; მაგრამ იგი დამარცხდა არა იმიტომ, რომ საკმაოდ მტკიცე ხასიათი ვერ გამოიჩინა, არც იმიტომ რომ მტერთან ბრძოლის უნარი ვერ გამოიჩინა, არამედ იმიტომ, რომ იგი მოწყვეტილი იყო მშობილურ მიწას. მეორე ეპიზოდში, იაზონთან საუბრის შემდეგ უკვე გამორკვეულია, რომ მედეას ბოლო ტრაგიკული იქნება, და გუნდიც შესანიშნავად ხსნის ამ ტრაგიზმის მიზეზს იმით, რომ მედეამ დაჰკარგა ის დასაყრდენი, რომელიც ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში მტკიცე — სამშობლო და მშობლიური კერა. შორეული კოლხეთიდან საბერძნეთში გადახვეწილ მედეას გუხდი უმღერის: „სამშობლოვ, კერავ, ნუმც მოვესწარი მე იმ დღეს, როს უსამშობლოდ (ἀπατρις) ვილოდე ტანჯულ ცხოვრების გზაზედა. მწარე ბედისა შემეყურე. ამ დღისა მომსწრე უმალ სიკვდილს ვარჩევდი. მე თვით ვიხილე, სხვის თქმით არ ვამბობ, რომ არც ერთ ქალაქს და არც ვისმე მეგობართაგანს ეგზომ ტანჯული ვინება-ვაისგან შენ არასოდეს ებრალებოდი“ (ტ. 642 — 657).

„იპოლიტე“. ამ ტრაგედიაში იგივე დებულებაა წამოყენებული, როგორც „მედეაში“: ქალი ძლიერია სიყვარულშიც და სიძულვილშიც; ქალის ღრმა სიყვარული შეიძლება გადავიდეს ღრმა სიძულვილში, თუ მისი სიყვარულის გრძნობას შეურაცხყოფენ.

„იპოლიტე“ წარმოდგენილ იქნა 428 წელს. ამ ტრაგედიით ევრიპიდემ გაიმარჯვა, პირველი ჯილდო მიიღო.

ზოთის მიხედვით, ათენის მეფეს თეზევსს პირველი ცოლისაგან, ამორძალ ანტიოქესაგან (სხვა ვარიანტით ჰიპოლიტესაგან), ჰყავდა ვაჟი იპოლიტე. დედის გარდაცვალების შემდეგ იპოლიტე იზრდებოდა ტროიძენში (ქალაქია არგოლიდაში). თეზევსმა შეირთო კრეტის მეფის მინოსის ასული ფედრა, და, ათენში რომ მიჰყავდა, გზად ტროიძენში გაჩერდა თავისი ვაჟის სანახავად. ფედრას შეუყვარდა იპოლიტე. უმანკო ყმაწვილი და სახელგანთქმელი მონადირე (შემასადამე, უმანკობისა და ნადირობის ეტოების არტემიდეს თაყვანისმცემელი), მაგრამ იპოლიტემ უარყო მისი სიყვარული. ეს დამარცხება ვერ გადაიტანა ფედრამ და თავი მოიკლა, ხოლო სიკვდილის წინ წერილი დასტოვა, რომელშიც თავია გერს ბრალსა სდებდა: ჩემი გაუპატიურება მოინდობა და ამიტომ მოვიკალი თავიო. განრისხებულმა თეზევსმა

დასწევლა თავისი შვილი, მისი თხოვნით პოსეიდონმა დალუპა იპოლიტე. ხოლო არტემიდემ გამოამვლანა სიმართლე, აღადგინა იპოლიტეს პატიოსნება. ამის შემდეგ იპოლიტეს კულტი დაწესდა ტროიძენში.

ევრიპიდეს ამ მასალაზე ჰქონია დაწერილი ორი ტრაგედია, ორივე „იპოლიტეს“ სახელწოდებით. პირველში ევრიპიდეს თავისი თემა ასე ჰქონია გაშლილი: ფედრამ, ვნებიანმა და ავხორცმა ქალმა, თვითონ გაუმხილა თავისი სიყვარული იპოლიტეს და უარი მიიღო. საზოგადოებას არ მოსწონებია უსირცხვილო და უნამუსო დედოფლის ასახვა, და პოეტიც შეჭიბრებაში დამარცხებულა.

ევრიპიდეს ამ ტრაგედიის მაგალითზე საუცხოოდ არის ნაჩვენები, თუ როგორ უყურებდა ბერძნული მოწინავე საზოგადოება მსატერული ლიტერატურის დანიშნულებას. როდესაც ევრიპიდემ უჩვენა საზოგადოებას „იპოლიტეს“ პირველი ვარიანტი, სადაც ანახული იყო ვნებიანი და ავხორცი ფედრა, რომელმაც თვითონ გაუმხილა თავისი სიყვარული იპოლიტეს, საზოგადოებამ ეს არ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში, შეიძლება, ხშირი იყო შემთხვევა, რომ დედოფალი ავხორცი და გარყვნილი იყო, საზოგადოებას ასეთი რამ არ მიაჩნდა ტიპიურად და მსატერულ ლიტერატურაში გამოსატანად, თუნდაც რომ ის ყველაზე გავრცელებული და ჩვეულებრივი ყოფილიყო. ბერძნული სახელმწიფოებრივობის შემბლალველი იყო, უთუოჯ როდესაც დედოფალი, რომლის მაღალი ზნეობა მისაბამ მაგალითად უნდა ჰქონოდათ დანარჩენ მოქალაქეებს, ვნებიანი სიყვარულით ალტყინებული თავის გერს სიყვარულს უხსნიდა. ბერძნული საზოგადოება ვერ გაკიცხავდა ახალგაზრდა ფედრას, რომ მას სიყვარულის გრძნობა ჩაესახა, მაგრამ ვერ აპატიებდა დედოფალს, რომ იგი ვნებათა ღელვას აპყვა, მკლავებში ჩაუვარდა იპოლიტეს და ამით ჩირქი მოსცხო სახელმწიფოებრივობის იდეას.

ევრიპიდემ ანგარიში გაუწია ამ აზრს, დასწერა ახალი ტრაგედია (ამ მეორე ტრაგედიას ეძახიან „გვირგვინიან იპოლიტეს“, რადგან იპოლიტეს დრამის დასაწყისშივე გვირგვინი აქვს ხელში არტემიდეს ქანდაკების შესამკობად) და საქმის ვითარება ასე წარმოადგინა: ფედრა უაღრესად ნაშუსიანი ქალია, უზომოდ უყვარს იპოლიტე, მაგრამ როგორც კეთილშობილი და მაღალი ზნეობის ადამიანი ვერ ბედავს გაუმვლავნოს იპოლიტეს თავისი გრძნობა. მხოლოდ შემთხვევით, ფედრას სურვილის გარეშე, შეიტყობს იპოლიტე, რომ იგი ფედრას უყვარს.

პ რ ო ლ ო გ შ ი აფროდიტე თავის რისხვას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მას, სიყვარულის ღვთაებას, ყველგან, სადაც კი მზე ანათებს, პონტოდან ატლანტიდამდე, თაყვანს სცემენ; იპოლიტე კი მას უგულუ-

ბელჰეზოს და სენობს აბოლოდ არტემიდეს, უმანკობის ღვთაებას. ამიტომ იპოლიტე უნდა დაისაჯოს. სცენაზე შემოსული იპოლიტე, ნადირობიდან დაბრუნებული, მართლაც, გვირგვინით ხელში მიემართება არტემიდეს ქანდაკებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ მსახურმონადირეთა გუნდი აფრთხილებს მას, ყველასაგან აღიარებულ აფროდიტესაც უნდა სცე თაყვანიო, იპოლიტე უმანკო უბრალოებით უპასუხებს: „არ მხიბლავს ის ღმერთი, რომელიც მხოლოდ ღამით არის საკვირველთ-მოქმედიო“ (ტ. 106).

პაროდოსში ტროიძენელ ქალთა გუნდი თავის სიმღერაში ვეაუწყებს, რომ ქალბატონი ავად არის. თუ რა სჭირს — არავინ იცის.

პირველ ეპიზოდში, სადაც მოქმედი პირნი არიან ფედრა და ძიძა, ჩვენ ვტყობილობთ ფედრას დაავადების მიზეზს. ფედრა გონებადაკარგული წევს სარეცელზე. ძიძა გვიამბობს, რომ რალაც მძიმე სენს შეუპყრია: ის ბოდავს, პაერზე გაყვანას თხოულობს, კვლავ ოთახში შეყვანას, მერე მთაში გასვლას... ფედრა რომ გონს მოვა, ძიძა ემუდარება მას უთხრას, თუ რა სტკივა. ფედრა უთარხეა — შეუძლებელია ამ სენის განმარტებაო. მაგრამ ძიძა დაჟინებითი შეკითხვებით, ფრთხილი მიდგომით და მოფერებით ახერხებს სენის საიდუმლოების ვაგებას: ფედრას უყვარს იპოლიტე, მაგრამ, ფედრას აზრით, უნუგეშოა ეს სიყვარული: ის ცდილობდა ჩაენშო თავის გულში ეს გრძნობა, დაეცვა თავისი ღირსება, არ შეერცხვინა ოჯახი, მაგრამ ვერ მოახერხა. ძიძა ჭერ თავზარდაცემულია ამ ამბის შეტყობით, მაგრამ შემდეგ, რომ ზედავს თავისი გაზრდილის საცოდავ მდგომარეობას, სედავს რომ ფედრას, უნუგეშოდ შეყვარებულს, სიკვდილი გადაუწყვეტია, გულს მოიბრუნებს მისკენ და სურს დაეხმაროს: მე მაქვს სიყვარულის წამალი და მოგიტანო — ამ სიტყვებით ვადის სცენიდან.

მეორე ეპიზოდში ჩვენ ვტყობილობთ, თუ რა წამალს გულისხმობდა ძიძა. ის გასულა იპოლიტესთან მოსალაპარაკებლად. სცენაზე მყოფ ფედრას ესმის რალაც ხმაურობა, ყვირილი: იპოლიტე ღანძლავს ძიძას. მალე იპოლიტეც შემოდის სცენაზე და განრისხებული, თავის გრძელ სიტყვაში (ტ. 616 — 668), წყევლის ქალთა მოდგმას, რომელმაც მოიტანა ამ ქვეყანაზე მატყუერობა და ბოროტება, უსირცხვილობა და უნამუსობა. ფედრა იქვე წევს და ესმის ყველაფერი. მისთვის უკვე ნათელია, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი: სასოწარკვეთილი ფედრა გადაწყვეტს თავი მოაკლას.

მესამე ეპიზოდი იწყება ძიძის მოტყობით: „ფედრამ თავი ჩამოიხრჩო“. ამ ღრის ბრუნდება სასახლეში თეზევსი, რომელიც ქალაქ გარეთ იყო წასული: გუნდი გადასცემს მას სასახლეში დატრიალებულ უბედურებას. უსაზღვროა თეზევსის მწუხარება, იგი დასტურის თავის და შვილების დაობლებას. მიცვალებულის ხელში თე-

ზევისი შეამჩნევს რაღაც წერილს. ფედრას წერილი დაუწერია და ატყობინებს ქმარს, რომ იპოლიტემ ნამუსის ახლა მოუნდომა, მან ვერ აიტანა ეს შეურაცყოფა და თავი მოიკლა. განრისხებული თეზევსი სწყევლის თავის ვაჟს და თხოვნით მიმართავს პოსეიდონს, რომელიც ოდესღაც შეპირებია მას სამი სურვილის შესრულებას. თეზევსი სთხოვს პოსეიდონს: საღამომდისაც ვერ იცოცხლოს იპოლიტემო. ამ დროს შემოსული იპოლიტე გაკვირვებულია მამის რისხვით, და არა თუ თავს იმართლებს, მან არც კი იცის, თუ რა მოხდა. მამა დასცინის მას, მის ვითომდა უმანკოებას, ბრალს სდებს მამის სარკელის შებილწვაში და სწყევლის მას. სასოწარკვეთილი იპოლიტე გადის სცენიდან (მიდის ცხენებით ზღვის ნაპირისაკენ).

მეოთხე ეპიზოდში მაუწყებელი გვატყობინებს ახალ უბედურებას: პოსეიდონს ზღვის წიაღიდან საშინელი ხარი ამოუშვია, მის დანახვაზე იპოლიტეს ცხენები დამფრთხალან და გაუთელავთ იპოლიტე.

ექვსო დოსი. შემოდის არტემიდე, რომელსაც სურს გაფანტოს ჩამოწოლილი ბურუსი და სიმართლე აღადგინოს: თეზევსმა ნაადრევად დაუჭერა ფედრას წერილს და დაღუპა თავისი ვაჟი. თეზევსი თავზარდაცემულია ამ ამბის გაგებით და მოუხმობს სიკვდილს. სცენაზე შემოჰყავთ ცოცხალ-მკვდარი იპოლიტე, რომელიც თავის უკანასკნელ სიტყვაში კიდევ ერთხელ იმეორებს თავის შეხედულებას უმანკოებაზე: მისთვის ცხადია, რომ აფროდიტეს რისხვამ იმსხვერპლა სამი ადამიანი: ფედრა, იპოლიტე, თეზევსი. არტემიდე ამშვილებს მამაც და თეზევსსაც: იპოლიტეს ჰპირდება, რომ მისი სახელი განთქმული იქნება მთელ ტროიძეში; თეზევსს კი უმაუხუჩებს მშუხარებას იმით, რომ მან თავისდა უნებურად მოჰკლა შვილი: მოკვდავს კი განა შეუძლია ცოდვა არ ჩაიღინოს, როდესაც ამას ღმერთი მოიხუტრებს? მოუწოდებს მამა-შვილს შერიგდნენ. იპოლიტეც ათავისუფლებს მამას დანაშაულისაგან და კვდება.

ათენელი ქალები ევრიპილეს ლანძლავდნენ — სახელი გაავიტეხა. ათასნაირ ბოროტმოქმედებას გვაწერსო. რომ ისინი მართალნი არ იყვნენ, ამას „იპოლიტე“ ამტკიცებს. ევრიპილემ, პირიქით, ფედრას სახით წარმოგვიდგინა დარბაისილი ქალი, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა ქმრისა და ბავშვების წინაშე, ნათესაეებისა და საზოგადოების წინაშე. ამ შეგნებამ უკარნახა მას არ გაემჟღავნებინა თავისი გრძნობები. ხოლო, როდესაც მისდა უნებურად გამოძვლავნდა მისი სიყვარულის ამბავი, ორმაგად ტრაგიკული შეიქმნა ფედრას მდგომარეობა: ერთი მხრით, დაშარკება მისი სიყვარულისა (ფედრას სიყვარული უარყო იპოლიტემ, რომელიც ფედრას უნამუსო ქალად

სთვლის), მეორე მხრით, შერცხვენა ქმრისა, შეილებისა, მთელი ოჯახისა, სწორედ ის, რასაც გაუბოდა ფედრა, რის გულისთვისაც გულში იკლავდა სიყვარულის გრძნობას. ამ ორმაგად ტრაგიკულმა მდგომარეობამ მისი სიყვარული სიძულვილად აქცია და გადაადგმევინა მას ის საბედისწერო ნაბიჯი. ამიტომ მკითხველი, უთუოდ, თანაგრძნობით ეპყრობა ფედრას და არა ზიზღით.

ასევე მიმზიდველია ფედრას ანტიპოდი — იპოლიტე თავისი უმანკობით, უბრალოებით და გულუბრყვილობით. ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ის რაღაც უხერხემლო ვაჟია. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ყალბი იქნება. იპოლიტე ლამაზი და ჯანსაღი ვაჟია, გართული ნადირობაში. მას უყვარს თავისი ცხენები, უყვარს ნადირობის შემდეგ ქეიფი, ის ძალიან კმაყოფილია ამ თავისი დროსტარებით; აფროდიტე მხოლოდ შებოროტავდა მის თავისუფლებას, მაგრამ რამდენადაც იპოლიტე აფროდიტეს უარყოფელია, ის, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს რეალური ადამიანი, და თუ რეალისტ ევრიპიდეს დასჭირდა ამ არარეალური ადამიანის გამოყვანა (ისიც მთავარი გმირის როლში) — რეალური ფედრას სიყვარულისა და სიძულვილის ასახავად. ხოლო იპოლიტეს ასახვაში ევრიპიდეს რეალიზმი იმაში გამოიხატა, რომ მან დაგვიანახა ასეთი *δυναμική*-ის უნიადავობა რეალურ სინამდვილეში.

ევრიპიდეს რეალისტური შეხედულების მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს აგრეთვე ტრაგედია „ელენე“ (დაიდგა 412 წელს). ამ ტრაგედიაში ევრიპიდემ დაამუშავა ელენეს მოტაცების მითის ის გვიანი ვარიანტი, რომელიც გადმოგვცემდა, რომ პარისმა მოიტაცა არა ნამდვილი ელენე, არამედ მისი ლანდი; ნამდვილი ელენე კი ჰერმესმა, ჰერას დეალებით, ეგვიპტეში გახიზნა და მეფე პროტეოსს გადასცა მოსავლელად. როდესაც ომის დამთავრების შემდეგ მენელაოსი თავისი ელენეთი (მაგრამ ლანდით) ეგვიპტეში მოხვდა, აქ მას დახვდა ნამდვილი ელენე (ელენე-ლანდი გაქრა): ჩახსდნენ ხომალდში და მშვიდობით დაბრუნდნენ სპარტაში.

ძველი გაგება ელენის სახეობისა სპარტის დედოფალს მიაწერდა სამშობლოს, ქმრისა და შეილების ღალატს. ტრაგედიაში „ელენე“ ევრიპიდემ მოახდინა საბერძნეთის დედოფლის რეაბილიტაცია. ევრიპიდე, ცხადია, უთუოდ იზიარებდა ჯერ კიდევ კიკლიკურ პოემებში მოცემულ კონცეფციას ტროადის ომის მიზეზების შესახებ და ელენეს მოტაცება ომის მხოლოდ უბრალო საბაბად ჰქონდა წარმოდგენილი: დედოფალი ელენე გაჰყვა პარისს, მან დასტოვა სამშობლო, ქმარი და შეილები, ისინი გასცვალა ბრვე ვაჟკაცზე, ლამაზზე და მდიდარზე. მაგრამ ევრიპიდეს პატრიოტული და რეალისტური სულისკეთება ვერ შეურიგდებოდა ბერძნეთა დედოფლის ასეთ დამდაბლებას: ჩვენს ტრაგე-

დიაში ელენე პატიოსნებისა და ერთგულების განსახიერებაა; იგი უზომოდ იტანჯება, რომ მეუღლის მოღალატის წყევულ სახელს ატარებს და რომ იგი დიდი ომის მიზეზი გახდა. ძაგრამ წყევულია და მოღალატე მხოლოდ მისი სახელი, თვით ელენე კი, ნ ა მ დ ვ ი ლ ი ე ლ ე ნ ე, ერთგული თავისი ქმრისა და სამშობლოსი, ჩირქმოცხებული არაა: ჩირქმოცხებულია ე ლ ე ნ ე ს ა ჩ რ დ ი ლ ი, რომელიც პარისმა მოიტაცა.

§ 75. ევრიპიდეს სატირული დრამები. სატირული დრამის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ 1. სატირთა სიმღერა თავდაპირველად იყო ის ბირთვი, საიდანაც ტრაგედია განვითარდა; 2. სატირთა დითირამბიდან განვითარებულმა ტრაგედიამ თანდათან ჩამოიშორა სატირები და დიონისეს სადიდებელი სიმღერიდან გარდაიქცა საგმირო დრამად, რასაც უკვე „არაფერი ჰქონდა საერთო დიონისესთან“; 3. ამგვარად, განვითარებულმა და დიონისეს ჩამოშორებულმა ტრაგედია, შემდეგ, მოითხოვა დამატების სახით შექმნა „სატირული დრამისა“, რომელიც ტრაგედიულ ტრილოგიას მეოთხე პიესის სახით ერთვოდა და რომლის ძირითადი ნიშანი იყო სატირებისაგან შემდგარი გუნდი და მხიარული ცეკვა-სიმღერა; 4. დამოუკიდებელ ხასიათს მოკლებული და ტრაგედიებზე მიკერებული სატირული დრამა ზოგჯერ ჰკარგავდა თავის სპეციფიკურ სახეს და, ასე თუ ისე, ემსგავსებოდა ტეტრალოგიაში შემავალ ტრაგედიებს იმით, რომ, მაგალითად, სატირთა გუნდის მაგიერ აქ სხვა შემადგენლობის გუნდი გამოდიოდა; 5. დასასრულ, სატირულმა დრამამ ძალზე შეამცირა მხიარული ელემენტი და მანაც ტრაგიზმზე ააგო თავისი მოქმედება: დამასასიათებელ ნიშანთაგან მას დარჩა მხოლოდ ერთი — მეოთხე ადგილი ტეტრალოგიაში:

ევრიპიდეს სატირული დრამებიდან ჩვენამდე მოღწეულია ორი: „კიკლოპი“ და „ალკესტიდა“; ამათგან პირველი ნამდვილი სატირული დრამაა, ხოლო მეორე — ტრაგედიაა, რომელსაც მცირეოდნად მხიარული ელემენტიც აქვს შერჩენილი და ტეტრალოგიაში მეოთხე ადგილი უჭირავს.

„კიკლოპი“: ამ დრამის სიუჟეტად აღებულია „ოდისეის“ IX სიმღერაში გადმოცემული ეპიზოდი — ოდისევსი კიკლოპ პოლიფემის მღვიმეში, ხოლო ევრიპიდემ აქ მოთხრობილ ამბავს დაუმატა სატირების მიერ დიონისეს ძებნის ეპიზოდი.

დრამაში მოქმედი პირები არიან პოლიფემი, ოდისევსი და სილენოსი (სატირთა გუნდით). დიონისე მოუტაციათ მეკობრეებს და სატირები სილენოსის მეთაურობით წამოსულან მის საძებრად. ქარიშხალმა გამოორიყა ისინი სიცილიის სანაპიროზე, კიკლოპ პოლიფემის მღვიმესთან: ისინი პოლიფემმა თავის მონებად აქცია და იმსახურებს, მღვიმეს ასუფთავებინებს და ჯოჯს ამწყემსვინებს. ამავე სანაპიროს მოადგა

ოდისევის ხომალდიც, რომელიც აგრეთვე ქარიშხალმა გამოიყა აქ: სილენოსი და სატირები მხიარულად ელაპარაკებიან ოდისევსს, ჰკითხავენ ლამაზ ტროადელ ქალებზე, სთხოვენ დააღვიძონ მათ ღვინო, რომელიც ტკით აქვს ზურგზე მოკიდებული, სამაგიეროდ აძლევენ ხორცსა და ყველს (პოლიფემის ქონებიდან). მოდის პოლიფემი, გაუჩავრდება ოდისევსს, რომ მისი ბატკნები და ყველი მოუტაცია, ოდისევსის ორ ამხანაგს დაკლავს და შესწვავს. ოდისევი აწყობს გემას. თუ როგორ გამოთხაროს თვალი პოლიფემს და დახმარებას სთხოვს სატირებს: იმათ კი ეშინიათ, თავს იკავებენ. ხოლო როდესაც ოდისევსი მინც გაიმარჯვებს პოლიფემზე და სატირებსაც განათავისუფლებს, სატირები ტრაბახობენ და თავი მოაქვთ თავიანთი გამარჯვებით

„ალკესტიდა“. წარმოდგენილ იქნა 438 წელს და შედიოდა ტეტრალოგიაში: „კრეტელი ქალები“, „ალკმეონი“, „ტელეფოი“ და „ალკესტიდა“.

ზევსმა კიკლოპების მოკვლისათვის აპოლონს მიუსაჯა მეფე ადმეტსთან მოჯამაგირეობა ერთი წლით ამ წლის განმავლობაში აპოლონი დაუმეგობრდა, ადმეტეს, მისთვის კეთილიც მოისურვა და მოახერხა. რომ ადმეტეს სიკვდილის ვადა გადაიწიოდა, თუ ვინმე მისი მახლობელთაგანი ისურვებდა მის მავიერ მომკვდარიყო. არც მოხუცმა მამან არც სხვა ვინმემ არ ისურვა: მხოლოდ ადმეტეს ცოლმა ალკესტიდამ გადაწყვიტა თავი გაეწირა საყვარელი ქმრის გულისთვის. პირველ ეპიზოდში გადმოცემულია მგრძნობიარე გამოთხოვება ალკესტიდასი შინაურებთან, ქმართან, შვილებთან, ალკესტიდა კვდება. ემზადებიან დასაფლავებისათვის. ამ დროს ადმეტეს სასახლეში მოდის ჰერაკლე. გზად იყო და შემოიარა მეგობრებთან. ადმეტე უმაღლავს მას, რომ მიცვალებული ცოლი უსვენია სახლში: ერთი ნათესავი გარდამეცვალა და იმიტომ ვარ დამწუხრებულიო — ეუბნება ადმეტე ჰერაკლეს, და უბრძანებს მონას პატივისცემა არ მოაქლოს სტუმარს.

ჰერაკლე ზის სასახლეში და ნებივრობს. თავი მოურთავს მირტის შტოთი და ღვინით სავსე თასს ერთიმეორეზე სცლის, ჰამს უზომოდ. ყველაფერი ეცოტავება და მონას აგინებს — არ გცოდნია შინი ბატონის მეგობრის მომსახურებაო: სიამს და მღერის, კი არ შოერის — მონის თქმით, ღრიალებს, ყეფს. ხოლო როდესაც მოთმინებადაკარგული მონისაგან გაიგებს, რომ დეიოფალს ასაფლავებენ, ადმეტეს მეუღლეს, ჰერაკლე გადაწყვიტს გამოაღიჯოს ალკესტიდა სიკვდილს და ამით გადაოხადოს ადმეტეს მეგობრობა. და კიდევაც ახერხებს: ჰერაკლემ უკან მოჟყავანა ადმეტეს ცოლი.

„ალკესტიდა“, რასაკვირველია, ტრაგედიაა: ქმრისთვის თავიანთი მოსიყვარულე ცოლისა. ორმა ფსიქოლოგიური განცდები სასიკვდილოდ გამზადებული დედის შვილებთან გამოთხოვების დროს, ტი-



რილი ქმრისა და ბავშვებისა უდროოდ დაღუპულ ალკესტიდას ცხედართან — ყველაფერი ეს მხოლოდ ტრაგედიის დამახასიათებელი შეიძლება იყოს. მაგრამ, მეორე მხრით, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ დრამაში გადმონაშთის სახით ჩარჩენილი ჰერაკლე — ქეიფი და ყვირილი, ყუფით მღერა და ლანძღვა-გინება. ისევე როგორც არატრაგიკული ფინალი დრამისა, მოწმობს „ალკესტიდას“ შორეულ კავშირს სატირულ დრამასთან. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ მას ტეტრალოგიაში მეოთხე ადგილი ჰქონდა მიკუთვნებულ.

დასკვნა. ამგვარად, ევრიპიდეს დრამებიდან ამჟამად მოგვეპოვება სრულად 16 ტრაგედია და 2 სატირული დრამა. თავისი დრამებით ევრიპიდემ სამართლიანად დაიმსახურა მსოფლიო ლიტერატურაში სახელი რეალისტისა, დემოკრატიული ათენის მხურვალე პატრიოტისა და ადამიანის განცდების ღრმა მცოდნისა.

1. რეალური ადამიანის ამახველი ევრიპიდე პირველ რიგში ცდილობს წარმოგვიდგინოს კეთილშობილი პიროვნება, მტკიცე თავის წმინდა მისწრაფებებში, დამცველი ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების სიწმინდისა. სამშობლოს. ქმრისა და შვილების თავდავიწყებით მოყვარული და მათთვის თავის გამწირველი.

2. ევრიპიდეს გმირი თავისი წმინდა მისწრაფებებისათვის იბრძვის თავგამოდებით, მისი დევიზია „მტრები სიულღეს და მეგობრები უყვარდეს“: ამიტომ იგი არ ინდობს მტერს, ებრძვის მას ყოველ საშუალებით: მიმართავს ცბიერებას (ელენე), მტრის შეტყუებას (ელექტრა), მკვლევლობას (მედეა, ჰეკაბე, ორესტე); მეგობარსა და მახლობელს უწიეს ყოველგვარ დახმარებას (თეზესი), მზად არის საყვარელი არსებისათვის თავი გასწიროს (ფიგენია, ანდრომაქე, ალკესტიდა).

3. რეალური ადამიანის ასახვაში ევრიპიდე ზოგჯერ იჭრება ცხოვრების ყოველდღიურობაში, ამოაქვს იქიდან ადამიანთა წვრილმანი თვისებები და შეცდომები, ააშკარავენ მას. რასაც არც ეს ქილე და არც სოფოკლე გარეთ არ გამოიტანდნენ. მაგრამ ეს ბუნებრივი იმ პოეტისათვის, რომლის მიზანია ასახოს ადამიანები „როგორებიც ისინი არიან“. ამას მიჰყავს ევრიპიდე, ზოგიერთ შემთხვევაში, იქამდე, რომ მითიური გმირის მიწაზე ჩამოყვანის დროს ის ჰმოსავს მას ამქვეყნიური მდაბიური სამოსით. ამით ევრიპიდე აშადებს ნიადაგს დრამაში საყოფაცხოვრებო ელემენტის დასამკვიდრებლად (რაც IV საუკუნეში განახორციელა ატიკურმა კომედიამ).

§ 76. ბერძნული ტრაგედიის სხვა წარმომადგენლები. ესქილეს, სოფოკლის და ევრიპიდეს გარდა ბერძნებს ჰყავდათ სხვა ტრაგიკოსებიც. მათ შორის ყოფილან ისეთებიც, რომელნიც თანამედროვეთა შეფასებით არა თუ არ ჩამოუვარდებოდნენ გამოჩენილ სამ ტრაგიკოსს, არა-

მედ ზოგჯერ სჯობნიდნენ კიდევ მათ ტრაგიკულ აგონებში: დიდას-კალიებმა შემოგვინახეს მრავალი ცნობა, რომ მათ არა ერთხელ დაუ-მარცხებიათ შეჯიბრებაში ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე. ამ ტრაგი-კოსთაგან გამოირჩეოდნენ, პირველ რიგში, იონი და აქეოსი, იონი კიოსელი იყო, 452 — 449 წლებში მან წარმოადგინა ათენში თავისი პირველი დრამები: სწერდა ტრაგედიებსაც და სატირულ დრამებსაც. აქეოსი ერეტრიელი იყო, სოფოკლეს და ევრიპიდეს ხშირად შეჯი-ბრებია, 11-ჯერ გაუმარჯვია. ცნობილია აგრეთვე ტრაგიკოსი აგათონ-ნი (პლატონის „სიმპოსიონის“ მოქმედი პირი), რომელსაც 416 წელს „ლენებზე“ გამარჯვება მოუპოვებია.

ამ ტრაგიკოსთა ნაწერების მხოლოდ თითო-ოროლა ფრაგმენტია ვადარჩენილი. სამაგიეროდ მოღწეულია ერთი მთლიანი ტრაგედია, რომლის ავტორი უცნობია და რომელსაც კარგა ხნის განმავლობაში ევრიპიდეს მიაწერდნენ. ეს არის ტრაგედია „რესოსი“.

ტრაგედია „რესოსი“. სიუჟეტი აღებულია „ილიადის“ X სიმღერი-დან, ეგრეთწოდებულ „დოლონიიდან“, და შემდეგნაირად არის გაშ-ლილი. ბერძენთა ბანაკს რაღაც მოძრაობა ეტყობა. ჰექტორი ამბის ვასაგებად გზავნის მზვერავს, დოლონიეს. ამასობაში ტროადელე-ბის დასახმარებლად მოდის თრაკიელი მეფე რესოსი. ჰექტორს მისი მოსვლა არ ესიამოვნა, რადგან სურდა დამოუკიდებლად გაემარ-ჯვა ბერძნებზე, სხვის დაუხმარებლად: რესოსი კი ტრაბახობს — ერთ დღეში მოვსპობ ბერძნებსო. ღამით რესოსი თავისი განთქმული ცხე-ნებით ტროადელთა ბანაკის გვერდით თავსდება. ბერძნებს ტროადე-ლთა ბანაკის დასაზვერავად გამოუგზავნიათ ოდისევსი და დიომედე: გზაში ისინი წააწყდნენ დოლონეს, შეიპყრეს, გამოჰკითხეს ტროა-დელთა ამბავი, გამოსტყუეს პაროლი და მოჰკლეს იგი. შემდეგ გაემარ-თნენ იქითკენ, სადაც რესოსი იყო დაბანაკებული: მოჰკლეს იგი და მის ცხენებს დაეპატრონენ. ასე მოხერხებულად შეასრულეს ოდისევსმა და დიომედემ დავალება და ბერძენთა ბანაკში დაბრუნდნენ... ტროა-დელთა ბანაკში აურზაურია: გამოირკვა, რომ ვილაცას მოუკლავს რე-სოსი და მისი ცხენები გაურეკავს. არავის აზრად არ მოსდის, რომ შე-იძლებოდა ბერძნებს ჩაედინათ ეს. რადგან ჰექტორი რესოსს ექიშვე-ბოდა, ფიქრობენ, რომ აქ ჰექტორის ხელი ურევია. ვერავითარი სა-ბუთით ვერ არწმუნებს ჰექტორი მოწინააღმდეგეებს თავის სიმარ-თლეში. გაუგებრობას ხსნის რესოსის დედა მუსა, რომელიც იქ გამოჩნდება და განმარტავს, რომ ბოროტმოქმედება ბერძნებმა ჩაი-დინეს.

გმირების ასახვით, ისევე როგორც დრამატურგიული ტექნიკით, „რესოსი“ მეხუთე საუკუნის ტრაგედიების სიმალღეზე დგას.

§ 77. ბერძნული ტრაგედია მომდევნო საუკუნეებში. მეოთხე. სა-

უკუენეშიც იწერებოდა საბერძნეთში ტრაგედიები: ცნობილი არიან ტრაგიკოსები კრიტიასი, მელეტოსი, თეოდექტე, ქაი-რემონი და სხვები, რომელთაც საკმარისად უწევს ანგარიშს არისტოტელე თავის „პოეტიკაში“, მაგრამ ისინი ვერ ედრებოდნენ მეხუთე საუკუნის გამოჩენილ ტრაგიკოსებს. რამდენადაც ტრაგედია პითოლოგიურ სიუჟეტთან იყო დაკავშირებული, მეოთხე საუკუნის ტრაგიკოსებს აღარაფერი დარჩათ ამ მითებიდან ისეთი, რაც სხვადასხვა ვარიაციით არ ყოფილიყო გამლილი მეხუთე საუკუნის ტრაგიკოსთა მიერ: მათ შეეძლოთ მხოლოდ ზოგიერთი წერილმანების შეცვლაში გამოეჩინათ ორიგინალობა, რაც მაყურებელში ნაქლებ ინტერესს იწვევდა. ასე რომ, დრამატურგს უნდა მიემართა ისტორიული ან საყოფაცხოვრებო თემებისათვის, რაც დიონისეს კულტთან დაკავშირებული ტრაგედიისათვის შეუწყნარებელი იყო. მეორე მხრით, ევრიპიდეს ტრაგედიამ თავისი რეალიზმით უკვე მოამზადა ნიადაგი, რათა დრამა საყოფაცხოვრებო წერილმანებამდე მისულიყო, რაც წარმატებით გამოიყენა მეოთხე საუკუნეში კომედიამ. ამრიგად, მეოთხე საუკუნეში ტრაგედიას სარბიელი ჩამოართვა კომედიამ, რომელსაც პისი საწყისების კვალობაზე შეეფერებოდა საყოფაცხოვრებო დრამად გამხდარიყო.

---

## თავი მეცხრე

### კომედიის წარმოშობა და განვითარება

§ 78. კომედიის სამი საწყისი. კომედიის წარმოშობა უკავშირდება საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში არსებულ სამი სახის გასართობ სიმღერას: ფალიკებს, კომოსსა და დორიულ სცენას.

ფალიკური სიმღერები. არისტოტელეს თქმით (თ. IV, 1449), ტრაგედია წარმოიშვა ავტოსქედიასტიკური (იმპროვიზაციული) საწყისისაგან, ისიც და კომედიაც; ხოლო პირველი (ტრაგედია) დითორამბის დამწყებთაგან წარმოიშვა, მეორე კი (კომედია) ფალიკების დამწყებთაგან, დღესაც რომ მრავალ ქალაქში დარჩენილანო. რა არის „ფალიკები“ ან ფალიკური სიმღერები? ფალიკური — ის სიმღერებია, რომლებსაც ასრულებდნენ დიონისეს დღესასწაულების დროს გამართულ პროცესიებზე. პროცესიაზე შეკრებილთ წინ მიუძღოდა ფალოსით (φᾶλος) ხელში საგანგებო ფალოფორი (ფალოსი — სიმბოლო ბუნების მწარმოებელი ძალებისა). ამ სიმღერების დანიშნულება იყო სიმხიარულე შეეტანათ ხალხში საოხუნჯო თქმებისა და უწმაწური ნაკვეთების საშუალებით. თუ რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო ეს ფალიკური სიმღერები, — ამის შესახებ ცნობებს იძლევა არისტოფანის კომედიის „აქარნელების“ ერთი ადგილი. ვინმე დიკაიოპოლისი სოფლის დიონისიებს დღესასწაულობს. იგი თავის ქალიშვილშესაწირავებით სავსე კალათს მისცემს ხელში, თავის მონას ქსანთიას — ფალოსის წაღებას უბრძანებს. თვითონ კი აპირებს ფალიკების მღერას. ხოლო ცოლს წინადადებას აძლევს სახლის სახურავიდან უცქიროს.

პროცესია, მამასადამე, მიიმართება ასე: წინ დიკაიოპოლისის ქალიშვილი, მის შემდეგ მონა, რომელსაც ხელში ძელზე აღმართული ფალოსი უჭირავს, უკან მიჰყვებიან თვით დიკაიოპოლისი და სხვები. დიკაიოპოლისი მღერის თავის ფალიკურ სიმღერას.

— ფალოს, ბახუსის მოძმე, არიფო, ღამის მტკობბელო, მრუშო, მოგასალმები სიმღერით წელსა შეეჭეს ნმვიდობით ჩემსა მამულში მოსული“ (ტ. 264 შმდ.).

ამ უწმაწურ სიმღერას მოსდევს კიდევ უფრო უწმაწური რეციტა-  
ცივი:

„უფრო ტკბილია ო ფაღეს ფაღეს წააწყდუ შეშის მარაჲ ქალს ტყეში, ნშვენსა  
თრაკელსა, სტრიმდორეს ასულს, მოხვიო წელში, აიღო მადლა, ქვე დანარცხო და  
სხვ.“ (ტ. 271 შმდლ.).

ეს სცენა საკმაო მასალას იძლევა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ  
ფალიკური სიმღერის რაობა. ეს სიმღერა დაკავშირებულია დიონი-  
სეს დღესასწაულებთან და ხასიათდება თავაშეებულობით, ცხოველუ-  
რი ინსტიქტების გამოძეგნებით და უსაზღვრო უწმაწურობით. რომ  
მართლა ასეთი იყო დიონისეს დღესასწაულებთან დაკავშირებული  
სამხიარულო პროცესიები, ამას ადასტურებს პ ლ უ ტ ა რ ქ ე ს („სიმ-  
დიდრის მოყვარულობის შესახებ“) ცნობაც: „ძველად, — ამბობს  
პლუტარქე, — დიონისეს დღესასწაული ტარდებოდა მთელ ხალხში  
და მხიარულად: ამფორით ღვინო მიჰქონდათ, მიჰყავდათ თხა, ვინმეს  
კალათით ლელვი მიჰქონდა, — თავში მიუძღვოდა ფალოსი“. ასეთ  
ფალიკურ პროცესიების შემდეგ ხანებშიც ჰქონდა ადგილი: ფალოფო-  
რები თურმე თეატრში დიონისეს საპატივეცემლო სიმღერებით შედი-  
ოდნენ, შემდეგ კი მიირბენდნენ მაყურებელთა ადგილებთან და დაუ-  
წყებდნენ დაცივნას იმას, ვისაც მოიხურვებდნენ.

კ ო მ ო ს ი. არსებობდა აგრეთვე დიონისეს სადღესასწაულო გასარ-  
თობების სხვა პროცესიაც, რომელსაც ეწოდებოდა კომოსი. ამ პრო-  
ცესიასთანაც დაკავშირებული იყო ლანძღვა და დაცივნა, ასე, მაგ.,  
ჩამოივლიდა ღვინით დატვირთული ურმების პროცესია (ღვინო სოფ-  
ლელებს ბაზარზე მიჰქონდათ გასაყიდად), მიმავალნი ერთმანეთს გეს-  
ლიანი სიტყვებით უმასპინძლებოდნენ. შინ დაბრუნებისას იმარ-  
თებოდა საერთო ჭეიფი, რომლის შემდგომ მონაწილენი მხიარული  
პროცესიათ (აშაქით) გაემართებოდნენ ქუჩისკენ: მოიხუშნიდნენ  
სახეს ღვინის ნალექით თუ თხლით, რომ ისინი არ გამოეცნოთ, და  
ჩგუფ-ჩგუფად გაიფანტებოდნენ ქუჩაში. ისინი ილანძღებოდნენ ან  
მიადგებოდნენ იმ პირის სახლს, რომელსაც რაიმე დანაშაული მიუძ-  
ლოდა თემის წინაშე და მას უმასპინძლებოდნენ ლანძღვა-გინებით  
და დამცინავი სიტყვებით.

ჩვენის აზრით, კომოსში, შედარებით ფალიკებთან, მოცემულია  
შემდგომი საფეხური კომიკური ბირთვის განვითარებისა: თუ „ფალი-  
კებში“ რელიგიურ ექსტაზს პირადი ავხორცობა უკავშირდება, „კო-  
მოსში“ უკვე არის ელემენტი საყოფაცხოვრებო დეფექტების დაცინ-  
ვისა, უარყოფითი თვისების მატარებელი პირების მასხარად აგდე-  
ვისა.

ამრიგად, ფალიკური სიმღერები და კომოსი წარმოადგენენ საწყისებს იმისას, რაც შემდეგ კომედიას წარმოშობს. მაგრამ მათ აკლიათ ის, რაც კომედიისათვის უმთავრესია — სახელდობრ: დრამატულობა, მოქმედება.

დორიული დრამა. ასეთი მომენტი დრამატიზმისა უნდა იყოს მოცემული იმ კომიკურ სცენებში, რომლებიც გავრცელებულ იყო დორიელებით დასახლებულ ტერიტორიაზე. პოლუქსის (II ს. ახ. წ.) „ონომასტიკონში“ აღწერილია მრავალი დორიული მიმიკური ცეკვა, რომლებთან დაკავშირებითაც მოხსენებულია ორი ტიპი: გიპონები და ჰიპოგიპონებისა: ჰიპოგიპონები ცეკვავდნენ ყავარჯნებზე დაყრდნობით და ამით ჰბაძავდნენ მოხუცებს, ხოლო გიპონები, გამპკვირვალე (ქალის) კაბებში გამოწყობილნი და ოჩაფეხებზე შემდგარნი ცეკვავდნენ და ამით დასცინოდნენ ქალაჩუნა კაცებს.

გარდა ამისა, იმავე ლაკონიაში გავრცელებული ყოფილა ისეთი ფარსები, რომლებშიც გამოჰყავდათ უცხოელი ექიმი, რომელიც ავადმყოფთან მოუყვანიათ, მაგრამ ბერძულს ძლივს ლაპარაკობს და უცხო ჟარგონით სიცილ-ხარხარს იწვევს მაყურებელში; ან ქურდი, რომელიც სხვის ვენახში შეპარულა და ყურძენს იპარავს. მაგრამ მას ზედ მოასწრებენ. ყველაფერი ეს მაყურებელში დიდ სიცილს იწვევდა.

ასეთი ტიპების (მოხუცი ყავარჯნით, კოჭლი, ქურდი და სხვ.) ამსახველი მსახიობები ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

მამსაღამე, ჩვენი კომედიის საწყის მომენტს, მის ქმედურს. მიმიკურ მხარეს ვღებულობთ ლაკონიაში, დორიული სცენებიდან. ფარსებიდან. და რამდენადაც დრამატული მხარე კომედიისათვის მთავარია, ამდენად მართალი იყო არისტოტელე, როდესაც წერდა („პოეტიკა“, თ. V, გვ., 1449 ბ.): „ფაბულების თხზვა (დაიწყეს) ეპიქარმემ და ფორმისმა. დასაბამიდან (ეს საქმე) სიცილიიდან მოვიდა (ათენში)“. ასე რომ დორიული წარმოშობა კომედიისა აშკარაა.

§ 78. ეპიქარმე სირაკუზელი. დორიული სცენები უმაღლეს დონემდე განავითარა და მათ მტკიცე მხატვრული ფორმა მისცა ეპიქარმემ. იგი დაიბადა 550 წლის მახლობელ ხანებში კუნძულ კოსზე: შემდეგ გადასახლდა სიცილიაში და დიდ ხანს ცხოვრობდა სირაკუზში. ეპიქარმე სირაკუზელის დრამები ორ ჯგუფად განიყოფება: საყოფაცხოვრებო დრამები და მითოლოგიური დრამები.

საყოფაცხოვრებო დრამების ჯგუფი. ამ ჯგუფის დრამებში ეპიქარმეს გამოჰყავს სხვადასხვა ტიპები, უმთავრესად დაბალი წრეებიდან, ოსტატები, ხელოსნები და სხვები, რომელნიც სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილან თავიანთი გულუბრყვილო-

ბით ან უგუნურობით. ასე, მაგალითად: კომედიაში „მაყურებელნი“ გამოყვანილი არიან პროვინციელები, რომელნიც გულუბრყვილოდ შესცქერიან ქალაქის ტაძრებს, ალტაეებზელი არიან მათი მდიდრული მორთულობით. კომედიაში „ქურჭლები“ გამოყვანილი ყოფილა მეჭურჭლე, რომელიც თავისი ნახელარი ქურჭლით ფიქრობს ფულის შოვნას, მაგრამ თავისი გაუფრთხილებლობით ყველაფერს ჰკარგავს (არ უფრთხილდება არაფერს, სულ ოცნებობს).

მითოლოგიური ჯგუფი. გაცილებით უფრო მეტი პიესა ეკუთვნის მითოლოგიურ ჯგუფს. ამ ჯგუფის კომედიებში გამოყვანილი იყვნენ ღმერთები და გმირები, პირველ რიგში ჰერაკლე. მაგრამ ეს მითოლოგიური ამბები გაშლილი იყო ხალხური რეალიზმის ფონზე. მაგალითად: ხშირად გამოხატავდა ეპიქარმე ღორმუცელა ჰერაკლეს. ერთ ფრაგმენტში ნათქვამია: „შენ შიშით მოკვდებოდი, ის რომ ჰამის დროს გენახა; როხროხებს მისი ყანყარათო, ყბები ტყაცანს აღენენ, ძირის კბილები კრაჭუნებენ, არც სხვა კბილები ჩამორჩებიან მათ, ნესტოები ქმინავენ, ყურები სტან“. ამ სიტყვებით დააბეზლებენ ჰერაკლეს ბუზირისთან, რომელსაც ჰერაკლე შემდეგ შეებრძოლება.

ასეთივეა ჰერაკლე მეორე კომედიაში: „ჰებეს ქორწინება“.

ამგვარად, მასალას თავისი კომედიებისათვის ეპიქარმე ლებულობდა, ერთი მხრით, ყოფა-ცხოვრებიდან, ხოლო, მეორე მხრით, მითებიდან. ორივენიანი მასალა უკვე ცნობილი იყო დორიული სცენებისათვის, რომლებიც ხალხურ ფარსებს წარმოადგენდნენ და რომლებშიც დასცინოდნენ როგორც ხილის ქურდს, ისე ღორმუცელა ჰერაკლეს; ეპიქარმემ კი ამ სცენებს მისცა მხატვრული ნაწარმოების სახე, მან დორიული ხალხური სახუმარო ნაკვესებიდან შექმნა მხატვრული უანრი დორიული კომედიისა. გარდა ამისა, თუ დორიული ფარსი უბრალო დაცინვასა და ხუმრობას წარმოადგენდა. ეპიქარმეს კომედია რეალურ ცხოვრებას ასახავდა და ადამიანის (თუ მითიური გმირის) სასაცილო მხარეების ჩვენებით საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულევაწებაზე მიუთითებდა.

§ 80. პრიმიტიული კომედია ატიკაში. ამგვარად, დორიული ფარსის ზრდამ და განვითარებამ მოგვცა დორიული კომედია, რომელიც ეპიქარმეს კალმის წყალობით, თავის სრულყოფას აღწევს V საუკუნის დასაწყისში.

რა მდგომარეობაშია ამ დროს ატიკური კომედია. რომლის გაფორმება დაიწყო ფალიკური სიმღერებით და კომოსით? ფალოფორთა სიმღერებს შეუერთდა დორიული ფარსი, ფალიკურ ფორმას დორიულმა ფარსმა მისცა შინაარსი და, ამრიგად, კომედია მიიღო ის დიალოგური ელემენტი, ურომლისოდაც კომედია ვერ შეიქ-

კნებოდა. მაგრამ ეს შინაარსი მხოლოდ სიუჟეტით უზრუნველყოფდა ატიკურ კომედიას, აძლევდა მას პერსონაჟებად პარაზიტს, ქურდს ან ამგვარებს; ნამდვილი ინტრიგა, ნამდვილი დრამატულობა კი ჯერ არ იყო. ასეთ დრამატულობას მისცემდა ატიკურ კომედიას ეპიქარმეს კომედია, რომელმაც — დორიული ფარსის ნიადაგზე განვითარებულმა, — ჩამოაყალიბა დრამატულობის უმძაფრესი მომენტი, ა გ ო ნ ი, და, მთელი მოქმედების ტონის მიმცემი, პ რ ო ლ ო გ ი.

მაგრამ ეპიქარმეზე ადრე ატიკის გლეხები სდგამდნენ მხიარულ დიონიურ სცენებს, სახელდობრ, ქალაქგარეთ, იმ უბნებში, რომელსაც „ლენეონი“ ერქვა. რომ ძვ. წ. VI საუკუნის შუა წლებში, პისისტრატეს დროს, კომიკური გუნდები არსებობდა, რომლებიც მხიარულ როკვას ასრულებდნენ, ამას ადასტურებს ვაზების მხატვრობა: ბრიტანეთის მუზეუმის ერთ შავსურათიან ვახაზე, რომელიც 50 წლის წინა ხანებით თარიღდება, დახატული არიან ფრინველებად ჩაცმული ქორევეტები, ხოლო ბერლინის მუზეუმის (№ 1697) VI საუკუნის შუა წლების ვახაზე გამოსახულია ორი ატიკელი მხედარი, რომელთაც ცხენებად მონები ჰყავთ (იქვე წარწერაა „აჰუ, აჰუ, ცხენო!“). ორივე გუნდი ფლეიტის მხიარული მელოდის აკომპანემენტით ცეკვავს. რომ ასეთი გუნდები (ფრინველებისა, ცხენებისა) ატიკაში გავრცელებული იყო, ჩანს იქიდან, რომ არისტოფანეს ორი კომედია მათ სახელსაც კი ატარებს („ფრინველები“ და „მხედრები“).

ეს გლეხური კომედია შედგებოდა ანაპესტური სიმღერებისაგან, ლირიკული სტროფებისაგან და, ბოლოს, ტროქეებისაგან, რომლებშიც ამა თუ იმ მოქალაქეს დასცინოდნენ, ან რომელიმე მოხელის საქმიანობას აკრიტიკებდნენ. ამგვარად, დორიული ფარსისაგან განსხვავებით ამ ატიკურ კომედიას უკვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა.

ეს სცენები სრულდებოდა სოფლად, დემებში ან ქალაქის კარიბჭესთან. სახელმწიფო დიდ ხანს ყურადღებას არ აქცევდა მათ. აკი არისტოტელე ამბობს: „ტრაგედიის ცვლილებანი და ისინი, ვისი მეოხებითაც ეს ცვლილებანი წარმოიშვნენ, კარგად არიან ცნობილი: კომედიის შესახებ კი ეს არ არის ნათელი, ვინაიდან მას თავიდანვე არ აქცევდნენ დიდს ყურადღებას. გუნდის მოცემაც კი კომედიებისათვის არქონტმა გვიან იწყო“ („პოეტიკა“, თავი V). სახელდობრ, კომედია დაუშვეს დასაღმელად „დიდ დიონისიებზე“, და ეს მოხდა 488/7 წელს (სხვა ცნობით 472 წელს). ამ დროიდან მოკიდებული მთელი მეზუთე საუკუნის მანძილზე კომედიას არ შეუწყვეტია სცენიდან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ნაკულევეანებათა მსილება, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებზე თავდასხმა. კომედიის განვითარება V საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა პ ო ლ ი ტ ი -



კური თემის საფუძველზე; ამიტომ ძველ ატიკურ (მეხუთე საუკუნის) კომედიას „პოლიტიკური კომედიაც“ ეწოდება.

§ 81. კომედიის კომპოზიცია. როგორც დავინახეთ, კომედია ჩამოყალიბდა საბერძნეთში ნაწილობრივ იმავე დიონისეს კულტის საფუძველზე, რამაც მისცა ტრაგედიას საწყისი. კომედიის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენდნენ დიონისეს დღესასწაულები, რომლებზედაც უკვე ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტრაგედიები იდგმებოდა. ამიტომ, ადვილი გასაგებია, რომ კომედიას კომპოზიციურად იგივე აგებულება ახასიათებს, რაც ტრაგედიას, ე. ი. კომედიას აქვს შემდეგი ნაწილები: პ რ ო ლ ო გ ი, პ ა რ ო დ ო ს ი, ა გ ო ნ ი (თავისი შემადგენელი ეპიზოდებითა და სტასიმებით) და ე ქ ს ო დ ო ს ი. განსხვავებით ტრაგედიისაგან კომედიას მოეპოვება ერთი ახალი ნაწილი, რომელსაც ჰქვია პ ა რ ა ბ ა ზ ა. პარაბაზაში პოეტი თავს ანებებს დრამის მოქმედებას და მაყურებელს ესაუბრება ან სხვა რამეზე ლაპარაკობს დრამის შინაარსის გარეშე. არისტოფანეს ძველ კომედიებში პარაბაზის შინაარსი სრულიად არ არის დაკავშირებული კომედიის ფაბულასთან. კორიფევის ავტორის სახელით ესაუბრება საზოგადოებას და ეკამათება თავის მეტოქეებს. ასე, მაგალითად, „მხედრების“ პარაბაზაში კორიფევი უსაყვედურებს საზოგადოებას — ცუდად ეპყრობით მწერლებს: როდესაც ისინი ბერდებთან და თქვენ ველარ გართობენ, უყურადღებოდ სტოვებთ მათ, და ისინი მშიერ-მწყურვალნი დადიანო; ო ნ ი მ უ მ ა დ მოჰყავს პოეტებს მაგნეტის, კრატინეს და კრატეტის ბედი.

რაც შეეხება საგუნდო პარტიებს, კომედია აქ იჩენს შემდეგ თავისებურებას: გუნდი შედგება 24 წევრისაგან და გაყოფილია ორ ნახევარგუნდად, რომელთა შეტაკება განააზიერებს მოქმედ პირთა შორის არსებულ ანტაგონიზმს.

§ 82. ატიკური კომედიის უძველესი წარმომადგენლები. ატიკური კომედიის უძველეს წარმომადგენლებად, ფრამგენტებისა და მერმინდელი ავტორების ჩვენებათა მიხედვით, გვევლინებიან ქ ი ო ნ ი დ ე, მ ა გ ნ ე ტ ი, ე კ ფ ა ნ ტ ი დ ე და სხვები. უფრო ცნობილი არიან: ა მ ე ი ფ ს ი ა, რომელიც სოკრატეს ესხმოდა თავს; ლ ე ვ კ ო ნ ი, რომელიც არისტოფანეს ეჭიბრებოდა; განსაკუთრებით კი კ რ ა - ტ ი ნ ე და ე ვ პ ო ლ ი ს ი.

ასეთია, მოკლედ, ძველი ატიკური კომედიის განვითარების ისტორია. სამწუხაროდ, ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე ს გარდა, ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთი კომიკოს-მწერლის (არც არისტოფანეს წინააღმდეგობის და არც მისი თანამედროვის) ნაწარმოებებს. გადარჩა მხოლოდ

უმნიშვნელო ნაწყვეტები, რომელთა შემწეობით შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ზოგადი ხასიათი არისტოფანეს წინადროინდელი ატიკური კომედიისა.

## არისტოფანე

(446—388)

§ 83. არისტოფანეს ბიოგრაფია. არისტოფანეს ცხოვრების შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით. როგორც ერთი წარწერიდან ჩანს, ის ყოფილა ფილიპეს შვილი, სოფ. კვიდათენიდან.

არც მისი დაბადების წელია ცნობილი. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ მან პირველად გუნდი გამოითხოვა თავისი კომედიისათვის „მხედრები“, რომელიც პირველად დაიდგა სცენაზე 424 წელს. გუნდის გამოთხოვა კი მხოლოდ სრულწლოვან მოქალაქეს შეეძლო. ამის მიხედვით, მისი დაბადების წლად 446-ს სთვლიან.

მას მიუღია საფუძვლიანი განათლება. მისი კომედიებიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა თავისი ეპოქის კომედიების მწერალთ და იამბოგრაფებს: კარგად იცნობდა აგრეთვე ესქილეს ტრაგედიებს და პინდარეს ოდებს, და თანამედროვე პოეზიის საკითხებში ზედმიწევნით ერკვეოდა. თავის კომედიებში ის ბევრ ადგილას იყენებს ევრიპიდეს. ახლოს იყო გაცნობილი აგრეთვე თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობას, სოფისტების მოღვაწეობას; ერთ-ერთი კომედია ამ მიმართულების გააპკრიტიკებლადაც კი არის განკუთვნილი („ღრუბლები“).

ძალიან აინტერესებდა მას მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება. ეს იყო პელოპონესის ომის (431—404) ეპოქა. ყოველ წელიწადს ის გამოდის სცენაზე, კომედიებში, მიმდინარე პოლიტიკური ამბების კრიტიკით. ემხრობა ზაქს და მიწისმთლობელთა პარტიას, რომლისთვისაც სავაჭრო წრეების წარმომადგენლები, როგორც კლეონი, მხოლოდ უზურპატორები და ნაძარალები იყვნენ. იგი ილაშქრებდა აგრეთვე თანამედროვე რიტორულ-სოფისტიკური მიმართულების წინააღმდეგ. თავისი ჭუმორის შემწეობით არისტოფანემ შესძლო კომედიისათვის დიდი პოლიტიკური ძალა მიეტა.

§ 84. არისტოფანეს კომედიები. ჩვენამდე მოღწეულია არისტოფანეს თერთმეტი კომედია:

1. „აქარნელები“ — დაიდგა 425 წელს.
2. „მხედრები“ — დაიდგა 424 წელს.
3. „ღრუბლები“ — დაიდგა 423 წელს.
4. „კრაზნები“ — დაიდგა 422 წელს.
5. „ზაფი“ — დაიდგა 421 წელს.
6. „ფრინელები“ — დაიდგა 414 წელს.
7. „ლისისტრატე“ — დაიდგა 411 წელს.
8. „თე.იოთ.ორიძესები“ — დაიდგა 411 წელს.
9. „ბაყაყები“ — დაიდგა 405 წელს.
10. „ქალთა კრება“ — დაიდგა 359 წ. (392 წ.).
11. „პლუტოსი“ — დაიდგა 388 წელს.

არისტოფანეს კომედიების თემა არის მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება. არ არის მართებული, როდესაც ზოგიერთი ბურჟუაზიული მკვლევარი აღნიშნავს — არისტოფანეს არა აქვს არავითარი პოლიტიკური შეხედულებებიო, და მხოლოდ იმას აღიარებენ, რომ მის შემოქმედებას ამოძრავებდა ესა თუ ის პოლიტიკური გუნება-განწყობა, რომელიც ისევე ცვალებადი იყო არისტოფანეში, როგორც ხალხის მასების გუნება-განწყობაო. რომ მას მტკიცე შეხედულებები ჰქონდა ათენის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე და ამ შეხედულებების კვალობაზე ჰქონდა წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზები, ამას ამტკიცებენ მისი კომედიები.

1. არისტოფანეს დროინდელი ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითადი საკითხი იყო — საკითხი ომისა და ზავისა. პელოპონესის ომი (431 — 404), რომელშიც მონაწილეობდნენ, ერთი მხრით, ათენის საზღვაო კავშირი ათენის მეტაფიზიკით, ხოლო, მეორე მხრით, პელოპონესის კავშირი სპარტის მეტაფიზიკით, მაშინდელი მასშტაბით წარმოდგენდა მსოფლიო ომს. ამ ომის შედეგებზე იყო დამოკიდებული ბერძნული სამყაროს ბედი, მისი წინსვლის შემდგომი შესაძლებლობა, იმ კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა, რომლებიც შექმნა ბერძნულმა სამყარომ. ათენში ამ ომის წინააღმდეგ განწყობილი იყო, პირველ რიგში, მიწისმფლობელი. ამის მთავარი მიზეზები იყო შემდეგი:

1. პელოპონესის ომი წარმოებდა ათენსა და სპარტას შორის როგორც ორს, ერთიმეორის საწინააღმდეგო პოლიტიკური სისტემის მქონე, სახელმწიფოს შორის: არისტოკრატიული სპარტა ებრძოდა დემოკრატიულ ათენს. ათენიდან განდევნილი არისტოკრატიული იდეოლოგიის წარმომადგენელი მოღვაწეები თავს აფარებდნენ ხოლმე სპარტას, და, პირიქით, სპარტელი დემოკრატები თავშესაფარს პოულობდნენ ათენში. მეორე მხრით, დემოკრატიული ათენის ძლევა მოსილი წინსვლა დიდ გავლენას ახდენდა სპარტის საზოგადოებრივ აზროვნება-

ზე და ძირს უთხრიდა მის არისტოკრატიულ იდეოლოგიას. ამიტომ ვასაგებია, რომ წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ორ სისტემას შორის — არისტოკრატიულსა და დემოკრატიულ სისტემებს შორის.

2. პელოპონესის ომში დემოკრატიული ათენის გამარჯვების შემთხვევაშიც პირადად მიწისმფლობელი ქონებრივად არაფერს იგებდა: ზედმეტი მიწების დაპყრობა სრულიადაც მოსალოდნელი არ იყო, რომ ამით მიწისმფლობელთა წრეებს ქონებრივად რამე შემატებოდათ. პირიქით, ბრძოლები წარმოებდა მიწისმფლობელთა მამულებში, რომლებიც საბრძოლო პირობებში მეტის-მეტად ნადგურდებოდა: სოფლის მეურნეობა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა ომის მიზეზით.

უქანასკნელი გარემოების გამო ომის წინააღმდეგი იყო არა მარტო მიწისმფლობელი არისტოკრატია, არამედ, საერთოდ, სოფლის მოსახლეობა, რომელიც ბრძოლების დროს მოწყვეტილი იყო თავის მიწებებსა და ყანებს.

არისტოფანე ომის მოწინააღმდეგეთა მხარეზეა; ის სწორედ იმ მიწისმფლობელთა წრეების შეხედულებებს იცავდა, რომელნიც ომის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ არისტოფანე, საერთოდ, როგორც ჩანს მისი კომედიიდან „ზავი“, სოფლური ცხოვრების დიდი მოტრფიალე იყო, აქებდა მის ბუკოლიკურ გარემოს, მის წყნარ ცხოვრებას, შემდეგ, როდესაც ათენში დასახლდა, ის მოხვდა ახალგაზრდათა იმ წრეში, რომელშიც შეკრებილი იყვნენ პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები (ასეთი წრე ასახულია, მაგალითად, პლატონის „სიმპოსიონში“). ეს იყო ახალგაზრდა არისტოკრატების წრე, და ამ წრეში გაატარა არისტოფანემ მთელი თავისი სიცოცხლე. ამიტომ ვასაგებია, რომ არისტოფანემ თავის კომედიებში ასახა ამ წრის შეხედულებები. ეს წრე კი დემოკრატიის წინააღმდეგი იყო. აკრიტიკებდა მის მოქმედებას და ბრალს სდებდა მას ომი გამოწვეულ უბედურებებში. არისტოფანეც თავის კომედიებში გამოდის ომის წინააღმდეგ და მოითხოვს ზავს. ამ თემას უძღვნა მან სამი კომედია: „აქარნელები“ „ზავი“ და „ლისისტრატე“.

2. ომი, არისტოკრატების აზრით, იყო ერთ-ერთი გამოვლენა დემოკრატიის პოლიტიკისა. დემოკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელთ მიაწერდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძველი, მტიყციე საფუძვლების შერყევას, პათიოსნებისა და უანგარობის შეღახვას, ზნეთა დაცემას. ამიტომ ბუნებრივია, რომ არისტოფანემ თავისი ბასრი ენა მოიმარჯვა ზოგიერთ მესვეურთა მოღვაწეობის განსაჩიქებლად და კომედიებში თავს ესხმოდა დემოკრატიის იდეოლოგიებს როგორც პოლიტიკის, ისე კულტურის დარგში. ამ თემას უძღვნა არის-

ტოფანემ თავისი ოთხი კომედია: „მხედრები“ და „კრაზანები“ — დემაგოგ კლეონის წინააღმდეგ, „თესმოფორიასუსები“ და „ბაყაყები“ უმთავრესად პოეტ ევრიპიდეს წინააღმდეგ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კომედია „ლრუბლები“: იგი მიმართულია ფილოსოფოს სოკრატეს წინააღმდეგ, რომელიც მიაი ანტი-დემოკრატიული აზრებისათვის ათენის დემოკრატიამ სიკვდილით დასაჯა 399 წელს.

3. დანარჩენი სამი კომედია: „ფრინველები“, „ქალთა კრება“ და „პლუტოსი“ („სიმდიდრე“) ერთი შეხედვით თითქოს სრულიად არ არის დაკავშირებული არისტოფანეს ძირითად თემასთან. „ფრინველებში“ წარმოდგენილია ადამიანის ცდა შექმნას ახალი სამყარო ღმერთთა სამეფოსა და საქაო დაკნინებულ ქვეყანას შორის, სადაც ადამიანი შესძლებს მოაწყოს ნეტარი ცხოვრება; „ქალთა კრებაში“ ქალები აპირებენ ახალი სახელმწიფოს შექმნას, რადგან ძველმა სახელმწიფომ დაღუპვის კარამდე მიიყვანა მოქალაქეები — ამ ახალ სახელმწიფოში ყველაფერი თანასწორად იქნება განაწილებული მოქალაქეთა შორის; ხოლო „პლუტოსში“ გატარებულია აზრი სიმდიდრის თანაბრად განაწილების აუცილებლობის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სამივე კომედია იდეურად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ისევე როგორც ისინი, ცალ-ცალკე აღებული, ენათესავებიან არისტოფანეს დანარჩენ კომედიებს. არისტოფანეს მიერ ისეთი ახალი სამყაროს ძებნის ასახვა, სადაც მოქალაქე ნეტარ ცხოვრებას ჰპოვებდა, დაკავშირებულია პელოპონესის ომის დროინდელ ათენის სინამდვილესთან, განსაკუთრებით კი 404 წლის კატასტროფით გამოწვეულ სულსიკვეთებასთან. ომმა დიდი გარდაცვალება მოუტანა საზოგადოების ერთ ნაწილს და გამოიწვია მასში რეაქცია არსებული პოლიტიკური წყობილებისადმი და, საზოგადოდ, ცხოვრების არსებული წესებისადმი. საზოგადოებრივი აზრი ეძებს გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან და ჰქმნის „უტოპიებს“, რომელთაც კარიკატურულად აგვისახავს არისტოფანე თავის სამ კომედიაში.

ამგვარად, თემატიკის თვალსაზრისით, არისტოფანეს კომედიები შეიძლება სამ ჯგუფად დავეყოთ: 1. კომედიები, რომლებშიც არისტოფანე ილაშქრებს ომის წინააღმდეგ; 2. კომედიები, რომლებშიც თავს ესხმის დემოკრატიის წარმომადგენელ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეებს, და 3. კომედიები, რომლებშიც ავტორი ასახავს უტოპიური სამყაროს ძიებას. თითოეულ ამ ჯგუფში თავსდება ესა თუ ის კომედია იმდენად, რამდენადაც ის მთლიანად მისთვის განკუთვნილ თემას ეხება; მაგრამ არის შემთხვევები, რომ იმავე თემას გაკვირვებით ეხება პოეტი სხვა ჯგუფის კომედიებშიც.

განვიხილოთ ზოგიერთი კომედია.

„აქარნელები“. ჩვენამდე მოღწეულ კომედიათაგან ეს არის უძველესი. დაიდგა 425 წელს ლენეების დღესასწაულზე და პირველი ჯილდოც მიიღო. ამ კომედიაში ავტორი პირველად გამოდის მიწათმფლობელთა წრეების დამცველად და ნიკიასის პარტიის მომხრედ, რომელიც მოითხოვდა ზავს. ეს ის ძირითადი თემაა, რომელსაც არისტოფანემ რამდენიმე კომედია უძღვნა („მხედრები“, „ზავი“, „ფრინველები“, „ლისისტრატე“). „აქარნელები“ ჰქვია ამ კომედიას იმიტომ, რომ გუნდი შედგება დიდი სოფლის, აქარნეს, მცხოვრებლებისაგან, რომლებიც აქ მენახშირეებად არიან წარმოდგენილი.

ამ კომედიაში მოცემულია წინააღმდეგობა ორ ბანაკს შორის: ერთი მხრით, მიწისმოქმედთა პაციფისტური განწყობილება, მათი მისწრაფება რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ომს, რომელიც ანადგურებს მათ ყანებს; ხოლო მეორე მხრით — აღვირახსნილი დემაგოგობა ვაქართა წრეებისა, რომლებიც ამ ომისაგან გამდიდრებას მოელოდნენ.

პირველი პარტიის წარმომადგენელია დიკაიოპოლისი, რომელიც ექვსი წელიწადია განიცდის ომის საშინელებას და ახლა განუზრახავს კერძობითი ზავი ჩამოაგდოს სპარტელებთან. მან კიდევაც შეკრა ზავი, მაგრამ ეს არის ზავი ათენის მტრებთან, სპარტელებთან, და ამიტომ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ ნახშირით მოვაჭრე აქარნელები.

„აქარნელების“ მნიშვნელობა მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რომ იქ ზავის საკითხი დაღებივითად არის გადაწყვეტილი. იქ გამოყვანილია ის ნაწილი გლეხობისა, რომელიც დემოკრატიას ემხრობოდა ომის საკითხში და საომარდ იყო განწყობილი. გლეხების ამ ნაწილსაც არწმუნებს არისტოფანე, რომ ომი — უბედურებაა. მაგრამ კომედიაში ნათელყოფილია არა მარტო ზავის უპირატესობა ომის წინაშე, არამედ დემოკრატიის წარმომადგენელთა მავნე საქმიანობა არის საკმაოდ განქიქებული. ასე, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური კლეონი კომედიის დასაწყისშივე (6. ტაეპში) დახასიათებულია როგორც მექრთამე, ხოლო ომის მიზეზად გამოყვანილი არიან ათენელი ლოთი ქაბულები, პერიკლე და მისი ცოლი ასპაზია.

ტრაგიკოსი ევრიპიდე დახასიათებულია როგორც დაბალი ღირსების პოეტი, რომელიც თავისი ტრაგედიების გმირებად ირჩევს მათხოვრებს, უზნეობებს... დასცინის მათ სოფისტიკურ დიალექტიკას. თვით დიკაიოპოლისი, ვიდრე აქარნელების დარწმუნებას შეუდგებოდეს, მიღის ევრიპიდესთან, რათა მისგან მიიღოს მისი გმირის ტელეფოსის მათხოვრული ტანისამოსი და ქუდი და ევრიპიდესაგან ისწავლოს ისეთი სიტყვის წარმოთქმა, რომ შესძლოს აქარნელთა გუნდის გასულელება.

დასასრულ, „აქარნელები“ იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ

იქ არისტოფანემ შემოგვინახა ნიმუში ფალიკური სიმღერისა, რომელიც ჩვენთვის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა კომედიის საწყისების შესასწავლად (იხ. ზემოთ, გვ. 204).

„ლისისტრატე“ 411 წელს დაიდგა ე. წ. „ოთხასის“ გადატრიალების დროს. კომედია მიმართულია იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც პელოპონესის ომს აწარმოებდა. აქ ომის მოწინააღმდეგეებად გამოყვანილი არიან ქალები. საბერძნეთის ყველა მხრიდან იკრიბებიან ქალები ათენში, აკროპოლისის ფერდობზე. მათ მეთაურობს ათენელი ქალი ლისისტრატე, რომელიც წინადადებას აძლევს ქალებს აიძულონ მამაკაცები ზავი შეკრან. იძულების მეთოდად გამოიყენონ ის საშუალება, რომელიც მათ ხელთ არის: უარი უთხრან ქმრებს ცოლობაზე. სხვადასხვა კურიოზული შემთხვევების შემდეგ ქალები აღწევენ ზავს სპარტელებსა და ათენელებს შორის. ქორო შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი — ქალებისა, მეორე — მოხუცთა.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ის გარემოება, რომ ქალების როლებს კაცები ასრულებდნენ. აგრეთვე ისიც, რომ სხვადასხვა მხრიდან მოსული ქალები (ათენელი, ბეოტიელი, მეგარელი, კორინთელი, ლაკედემონელი) თავთავის დიალექტზე ლაპარაკობდნენ. წარმტაცი იყო ქალთა ქოროს საფერხულო სიმღერები.

„ბაყაყები“. 406 წელს სოფოკლე და ევრიპიდე გარდაიცვალნენ. ათენელები საგონებელში ჩაეარდნენ: დიონისები კარს მოგვადგა და რა გვეშველება, ტრაგედიებს ვინ დაგვიდგამსო. დიონისეს სურს დაეხმაროს მათ. ამიტომ დიონისე და მისი მსახური ქსამთია მიდიან ევრიპიდეს მოსაყვანად საიჭიოდან. რა გზით უნდა წავიდნენ ისინი? ამისთვის რჩევას სთხოვენ ჰერაკლეს, რომელმაც ოდესღაც კერბერი მოიყვანა ჰადესიდან. საინტერესოა ეს გზა: მდინარეს რომ მიადგებიან, ქარონი გადაიყვანს მათ და გადაყვანის დროს ბაყაყები უყიენებენ, ე. ი. მღერაინ. ბაყაყების კონცერტი თავისთავად მინამღერით „ბრეკეკეკე კოაქს კოაქს“ იშვიათ, მხიარულ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

დიონისე სწორედ იმ დროს მიადგა ჰადესს, როდესაც კამათი ჰქონდათ ტახტის მპყრობელ ესქილეს და ახალმოსულ ევრიპიდეს. მაშინვე მედიატორად დიონისე ინიშნება, რომელმაც პაექრობაში გამარჯვებული დედამიწაზე უნდა წაიყვანოს.

არისტოფანე, რასაკვირველია, ესქილეს მხარეზეა. იცავს ესქილეს, როგორც ძველი, პატიოსანი დროის წარმომადგენელს, ევრიპიდეს კი დრამატული ხელოვნების, ტრაგედიის დაცემის სიმბოლოდ თვლის. დიონისე ჩავიდა ჰადესში, როგორც ევრიპიდეს თაყვანისმცემელი, მაგრამ იძულებულია წამოიყვანოს ესქილე, რომელმაც პაექრობაში გაიმარჯვა.

ესქილეს და ევრიპიდეს პაექრობის დროს სოფოკლემ, რომელსაც ტახტის პრეტენზიები არ აქვს, გაჩუმებულია. ესქილე რომ მოდის დედამიწაზე, პლუტონს ავალებს: „ჩემი სავარძელი გადაეცი დასაცავად სოფოკლეს, შემინახოს მოსვლამდე, მას ვთვლი ჩემ შემდეგ ბრძნადო. გახსოვდეს, არ გაბედოს ამ სავარძელზე დაჯდომა ურცხვმა სალახანამ, მატყუარა ევრიპიდემო“.

ხალხს ისე მოეწონა ეს კომედია, რომ არა თუ პირველი ჯილდო მისცეს, არამედ მეორეჯერ დაადგმევინეს და ზეთისხილის გვირგვინითაც შეამკეს ავტორი. მოეწონათ სწორედ იმ სცენის გამო, რომელიც ნაჩვენები იყო სტიქსზე გადასვლისას ჰადესში, და ამნისტიისაკენ მომწოდებელი პარაბაზით.

ევრიპიდეს წინააღმდეგ არის მიმართული აგრეთვე მეორე კომედიაც („თესმოფორიაძუსები“).

ამ კომედიებში („თესმოფორიაძუსები“, „ბაყაყები“) ევრიპიდე გაკრიტიკებულია როგორც მოქალაქე და როგორც პოეტი.

როგორც მოქალაქე, ევრიპიდეს ბრალი ედება იმაში, რომ ის ქალების მოძულეა, რომ ის მხოლოდ ქალის უარყოფით თვისებებს ასახავს და განზრახ ჩქმალავს მის დადებით თვისებებს. „მელანიპეზე და ფედრაზე წერს ევრიპიდე თხზულებებს, — ამბობს ერთი ქალი „თესმოფორიაძუსებში“, — ხოლო პენელოპეზე არაფერს წერს, ეს ხომ მაინც წესიერი ქალიაო“ (ტ. 547—548). ბოლოს და ბოლოს, ქალები მაინც იძულებული არიან აღიარონ, რომ ევრიპიდეს მთლად ტყუილები არ უთქვამს; ხოლო, გუნდის თქმით, არ არის საჭირო ასე უსიცივნეოდ სააშკარაოზე გამოიტანო ის, რაც ქალის საიდუმლოებად უნდა დარჩესო (ტ. 524—527).

„ბაყაყებშიც“ უსაყვედურებენ ევრიპიდეს, რომ მას დაჩაივებული კაცები გამოჰყავს თავის ტრაგედიებში და არა ვაჟკაცები. „მე შენ ვაჟკაცები გადმოგეცი, — ეუბნება ესქილე ევრიპიდეს, — ძარღვიანი ვაჟკაცები, არა გაიძვერები და მლოქვენელები, არც არამზადები, არამედ ისეთები, რომლებიც სუნთქავენ შუბით, მუზარადით და აბჯრით...“ (ტ. 1013—1017).

ევრიპიდეს ბრალი ედება იმაშიც, რომ ის თავისი ტრაგედიებით ხალხში ავრცელებს სკვპტიკურ შეხედულებებს ღმერთებზე („თესმოფ.“, ტ. 450—451).

როგორც პოეტს, არისტოფანე თავს ესხმის ევრიპიდეს მის მიერ შემოღებული ახალი მიდგომისა და ხერხების გამო. „ბაყაყებში“ გამართული პაექრობის დროს ესქილე უწუნებს ევრიპიდეს:

პირველ რიგში, მის რეალისტურ მიდგომას; ესქილეს აზრით, ევრიპიდეს მიერ ასახული ცხოვრება სინამდვილეა, მაგრამ პოეტი ვალდებულია დამალოს სისაძაგლე, არ უნდა დასწეროს მასზე



და არც წარმოადგინოს; „ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ყოველთვის მხოლოდ მშვენიერზე“ (ტ. 1056), „ღიადი სიტყვები უნდა მოვახმაროთ ღიად აზრებს“ (ტ. 1059); „შენ კი მეფეებს ძონძები ჩააცვიო“ (ტ. 1063).

უწუნებს მას პროლოგის გამართვას: ევრიპიდეს პროლოგები ერთფეროვანია.

ასევე უწუნებს ესქილე ევრიპიდეს ლექსისა და გამოთქმების სიმჩატეს.

ესქილეს დასკვნა ევრიპიდეს პოეზიაზე ასეთია: „ჩემი პოეზია არ მომკვდარა ჩემთან ერთად, მისი კი — მასთან ერთად მოკვდა“ („ბაყაყები“, ტ. 868—869).

„ღრუბლები“. ეს კომედია არისტოფანეს ორი რედაქციით ჰქონია. პირველი „ღრუბლები“ მას დაუდგამს 423 წელს, მაგრამ საზოგადოებას იგი არ მოსწონებია. შემდეგ გადაუკეთებია. ჩვენამდე მოღწეულია ეს გადაკეთებული რედაქცია.

კომედია მიმართულია სოფისტთა ფილოსოფიური მიმდინარეობის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ის, რასაც აქ არისტოფანე აკრიტიკებს, ნაწილობრივ მართლაც წარმოადგენდა ათენის მაშინდელი სინამდვილის ნაკლულევან მხარეს, მაგრამ ამას არაფერი ჰქონდა საერთო იმ ფილოსოფიასთან და იმ მეცნიერებასთან, რომელიც, ადამიანის გონების პრიმატობის აღიარებით, ცდილობდა ბუნების მოვლენების შესწავლას ადამიანის განკარგულებაში არსებულ საშუალებათა შემწეობით და არა ძველი რელიგიური შეხედულებების წყალობით.

ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობის დებულება, რომ ადამიანი ყველაფრის საზომია, რომ ადამიანის ხელთ არის დაამტკიცოს მართებულის სიმართლე და ჰეგემონიების ჰეგემონიტობა, არისტოფანეს მიერ დამახინჯებულია შემდეგნაირად: ადამიანის ხელთაა დაამტკიცოს უმართებულოს მართებულობა, დაამტკიცოს, რომ თეთრი შავია და ა. შ. ეს აზრები კომედიაში მიეწერება სოკრატეს.

კომედიაში სამი მთავარი მოქმედი პირია: ვაჰარი სტრეფსიადე-მისი ვაჟი (ახალგაზრდა არისტოკრატებში აღზრდილი) ფიდიპიდე და ფილოსოფოსი სოკრატე. ფიდიპიდე თავის ამხანაგებთან ერთად მხიარულ ცხოვრებას ეწევა და ვალებში ჩავარდნილა. მევალებები აწუხებენ სტრეფსიადეს, ძუნწსა და კრიყანგს. ამიტომ მან გადაწყვიტა სოკრატესთან ისწავლოს ის მეცნიერება, რომელსაც ასე კარგად ფლობს სოკრატე და რომლის საშუალებითაც სტრეფსიადე შესძლებს დაუმტკიცოს თავის მევალებებს, რომ მას არაფერი ჰმართებს მათი.

სოკრატესთან წასვლის წინ სტრეფსიადე ფანჯრიდან უჩვენებს ვაჟს სოკრატეს სახლს და ეუბნება: „ხედავ იმ სახლს? ეს არის ბრძენი სულების სააზროვნო; იქ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა აზ-

რით ზეცა — ლუმელია ჩვენ გარშემო, ჩვენ კი — ნაღვერდლები ვართ; თუ მათ ფულს მისცემ, ისინი გასწავლიან, თუ როგორ გაიმარჯვო მართალ საქმეშიც და უსამართლო საქმეშიც“ (ტ. 94 — 99).

სტრეფსიადე მიდის სოკრატესთან (რადგან ვაეი არ დათანხმდა წასვლაზე), რათა ისწავლოს ეს მეცნიერება, მაგრამ, რადგან ის უნიჭო გამოდგა ახალი მეცნიერების შესათვისებლად, შემდეგ შვილი მიჰყავს სოკრატესთან, თუმცა ფიდიპიდე აფრთხილებს — ნუ მგზავნი სასწავლებლად, შენვე ინანებ ბოლოსო, ფიდიპიდე სწავლობს სოკრატესთან. სწავლის დაწყების წინ ფიდიპიდეს წინაშე კამათობენ „მ არ თ ა ლ ი“ და „მ რ უ დ ი“: უქანასკნელი იმარჯვებს და ფიდიპიდეც თავის მამას გააცნობს ზოგიერთ ხერხს, რომელთა შემწეობითაც ის თავის მევალებზე გაიმარჯვებს, მაგრამ ამ სწავლამ არ გამოიღო ის ნაყოფი, რომელსაც სტრეფსიადე მოელოდა: ფიდიპიდე სეფრაზე ცემას დაუწყებს თავის მამას (დედასაც ცვემო — იმუქრება). და უმტკიცებს კიდევ სოკრატესთან შეთვისებული ხერხებით, რომ ის მართალია. ახლა კი მიხვდება სტრეფსიადე, თუ რა ყოფილა ეს ახალი მოძღვრება; გუნდი (ღრუბლებისა) ხელს უწყობს მას ამის შეცნობაში, და ის მიდის და სოკრატეს სახლს გადასწავს.

ამ კომედიაში, ნაცვლად ძველი ღმერთებისა გამოყვანილი არიან ახალი ღმერთები — ღ რ უ ბ ლ ე ბ ი, რომლებიც ახალი მეცნიერების მფარველებად ითვლებიან (ტ. 252 — 253); მხოლოდ ღრუბლების წიაღშია, სოკრატეს თქმით, შესაძლებელი მიწიერ საკითხებზე აზროვნება. ასევე დაპირისპირებული არიან ერთიმეორეს ძველი და ახალი მსოფლმხედველობა ორი მოქმედი პირის, „მართლისა“ და „მრუდის“ სახით. საბოლოოდ იმარჯვებს ძველი მსოფლმხედველობა; თვით ღ რ უ ბ ლ ე ბ ი, რომლებიც მთელი კომედიის მანძილზე ახალ ღმერთებს განასახიერებდნენ, ექსოდოსში აღიარებენ, რომ ის გზა, რომელსაც სტრეფსიადე დაადგა, ვალებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ყალბი იყო. სტრეფსიადეს შეკითხვაზე, თუ რატომ სხვანაირად ლაპარაკობდა წინათ გუნდი, გუნდის მეთაური უპასუხებს: „ჩვენ ასე ვმოქმედებთ ყოველთვის. როდესაც ვინმეს უკეთურ საქმეებში ჩაფლულს შევამჩნევთ, მას ჩავადებთ ბოროტებათა ქსელში, რათა შეიცნოს, რომ ღმერთებისა უნდა ეშინოდეს“. (ტ. 1458 — 1461).

დასკვნა. ამგვარად, არისტოფანეს ვიცნობთ მისი თერთმეტი კომედიით როგორც ძველი ატიკური კომედიის უდიდეს წარმომადგენელს, რომელმაც მოგვცა პოლიტიკური სატირა, რეალისტურად აგვისახა მეხუთე საუკუნის ათენის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება და იშვიათი ოსტატობით მოიმარჯვა დრამატურგიული ტექნიკა, კომიკური ხერხები და ხელოვანის ფანტაზია.

1. როგორც ყოველი პოლიტიკური სატირა, არისტოფანეს კომედიაც მიმართულია მაშინდელ ხელისუფალთა წინააღმდეგ. არისტოფანე მტკივნეულად განიცდის თავისი ეპოქის ათენის ნაკლებად მხარეებს, განაჩივებს მათ და „დაჩივებულ აწმყოს“ უპირისპირებს „ღიად წარსულს“. აწმყოა — კლეონის ათენი, იმ კლეონისა, რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დემოსის ხაზინა ფულით აავსო, მაგრამ მოქალაქეებს მუხრუჭი მოუჭირა, მოახრჩო და გაძარცვა“ („მხედრები“, ტ. 775 — 776), ხოლო ქვეყანაში გაამეფა მლიქვნელობა და მექრთამეობა; აწმყოა — იმ პერიკლეს ათენი, რომელმაც თავისი ცოლის, ასპაზიას ორი მრუში გოგოს გატაცების გამო სამმათაშორისო ომი გააჩაღა („აქარნელები“, ტ. 526 — 530). ამას უპირისპირდება მართონის ეპოქა, როდესაც მიდიელთა ურდოებს ბერძნები თავზარსა სცემდნენ („მხედრები“, ტ. 781); ამ ეპოქის დამახასიათებელი იყვნენ კეთილშობილი და ქარღვიანი ვაჟაკები, რომელთაც სული ედგათ წამახული შუბით და თეთრჩაბალახიანი მუზარადით, აბჯრითა და საბარკულებით („ბაყაყები“, ტ. 1013 — 1017).

2. არისტოფანეს კრიტიკა მკაცრი და გამანადგურებელია: ის არ ინდობს არც პოლიტიკურ და არც საზოგადოებრივ მოღვაწეს, არც პოეტსა და არც ფილოსოფოსს, რომლის საქმიანობა არ მოსწონს. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ ხვდებოდა საზოგადოება ასეთ კრიტიკას იმ ომის დროს, რომლის შედეგებზედაც დამოკიდებული იყო ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს ბედი? ან როგორ ითმენდა ის ისეთ კრიტიკას, რომელსაც შედეგად შეიძლებოდა მოჰყოლოდა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება მტრის, სპარტის, სასარგებლოდ?

ის გარემოება, რომ არისტოფანე უფრო ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა შეჯიბრებაში, მოწმობს მისი კომედიების ჯანსაღ ხასიათს, მოწმობს იმას, რომ მაყურებელი, რომელიც ისმენდა არისტოფანეს კრიტიკას, თეატრიდან გამოდიოდა კმაყოფილი და გათვითცნობიერებული, კიდევ უფრო მეტად მოძულე მტრისა და მოყვარული მშობლიური ათენისა, განრისხებული არა სამშობლოზე, არამედ მის მახინჯ შვილებზე, რომლებიც თავიანთი უპატიოსნობით, უსირცხვილობითა და მატყუფრობით მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ჩვენის აზრით, არისტოფანეს პატრიოტიზმის დამახასიათებელ და, საპროგრამო სიტყვად უნდა ჩაითვალოს დიკაიოპოლოსის გამოსვლა სახალხო კრებაში:

ნუ მიჯავრდებით, ვაჟაკებო, რომ გამოვდივარ და მე, გლახაკი, ათენელებს სიტყვით მივმართავ ჩვენი ქალაქის ჭირ-ვარაზზე, ტრიგოლიაში!  
სიმართლის თქმა ხომ შეუძლია ტრიგოლიასაც!

თუმც საწმინდო სიტყვებს გეტყვით, მაგრამ მართლაც.  
 ვერ გამაწმინდებს მე კლეონი იმის გულისთვის,  
 თითქოს უცხოთა თანდასწრებით ქალაქს ვლანძღავდე:  
 ჩვენ ხომ ლენის დღეობაზე შეკრებილი ვართ,  
 არ ესწრებიან მას სტუმრები, მოკავშირენი,  
 ქალაქებიდან გადასახადს რომ გვაწოდებენ;  
 გამტკიცუნ ვართ, აქ რომ ვუივართ ამამად ჩვენა,  
 მეტეკები კი მხოლოდ ქ ა ტ ო ს წარმოადგენენ.  
 მამ, გეტყვით, ზიზღით მე ვუყურებ ლაკედემონელთ,  
 დალახვროს ღმერთმა ტენარისამ, პოსეიდონმა,  
 წამოუქციოს მათ სახლები, თავზე დაამსოს:  
 ჩემი ბაღებზე ხომ მტრისაგან გათელილია!  
 მაგრამ — აქ ჩვენ ხომ მეგობარნი შეკრებილნი ვართ, —  
 რატომ ვაბრალებთ ჩვენ ყველაფერს ლაკედემონელთ!  
 მოქალაქენიც, — არ გეგონოსთ ქალაქს ვამბობდე,  
 დაიმანსოვრეთ, მე ქ ა ლ ა ქ ე ა რ მ ო გ ა ხ ს ე ნ ე ბ თ,  
 არა! კაცუნებს მოგახსენებთ, უსინდისოებს,  
 პატიოსნება, წესი, რაგი რომ დავიწყიათ. —  
 მეგარულ ქლანიდს იპარავენ და იტაცებენ.  
 („აქარნელები“, ტ. 496 — 519).

ასე მოწიწებით ლაპარაკობს არისტოფანე მშობლიურ ქალაქზე.  
 ათენზე, რომლის პატიოსან მოქალაქეებს ის გამტკიცულ პურს ადარებდა და რომელსაც, მისი აზრით, ჰბილწავენ უღირსი კაცუნები. თავისი ანგარი ზრახვების გამო ქალაქს განსაცდელში რომ აგდებენ. მტკივნეულია მისთვის, რომ ქალაქში ბევრი ჰუჭყია, სამარცხვინოა ეს, მაგრამ ამ ჰუჭყზე თუ ბედავს ლაპარაკს მხოლოდ თავისიანებს შორის, შინაურ „ლენეურ“ დღეობაზე, რომელსაც უცხოელები არ ესწრებიან.

უთუოდ პატრიოტული გრძნობებით არის ნაკარნახევი, როდესაც არისტოფანე დიონისეს პირით უსაყვედურებს ესქილეს: „ცუდი საქმე ჩაიდინე, რომ თებელები სხვებზე უფრო უკეთეს მებრძოლებად გამოიყვანეო“ (ტ. 1023 — 1024, იგულისხმება ესქილეს ტრაგედია „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“).

ასევე ხაზს უსვამს არისტოფანე თავის სიყვარულს ათენისადმი, როდესაც ის „ფრინველებში“ ეველპიდეს ათქმევინებს: „სსვისი დაში-

<sup>1</sup> „ტრიგოლია“ არის კომედიის ძველი სახელწოდება. „ტრიგ-“ არის „მაჰარი“ და „თხლე“, ხოლო ტრიგოლია „მაჰარის სიმღერა“ ან „თხლის სიმღერა“. სახელწოდება აიხსნება ან იმათ. რომ პროცესიის მონაწილეებს „მაჰარს“ ურიგებდნენ, ან იმათ, რომ ისინი „თხლით“ თხუნიდნენ სახეს, რომ არავის ეცნო.

ნებით კი არ გამოვფრინდით მშობლიური ქალაქიდან; ეს ქალაქი კი არ გვქულს, თითქოს ის არ იყოს დიდი, კეთილმოწყობილი... მაგრამ კრიკინები ერთი თუ ორი თვე კრიკინებენ ხეებზე, ათენელები კი მუდამ, მთელი თავისი სიცოცხლე, სასამართლოებში კრიკინებენ“ („ფრინველები“, ტ. 34 — 41).

3. არისტოფანეს სატირის ძალა იმაში იყო, რომ იგი ეყრდნობოდა ათენის ცხოვრების რეალისტურ ასახვას. არისტოფანეს კომედიების ტიპები ათენის სინამდვილიდან არიან აღებული, თუმცა, როგორც ეს კომიკურ ეპოსს შეეფერებოდა, კომიკური თვისებებით არიან წარმოდგენილი. ამ გმირების დამახასიათებელია ძლიერი ნებისყოფა, გარკვეული მიზნისაკენ მისწრაფება და ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვის უნარი. ასეთია, მაგალითად, დიკაიოპოლისი („აქარნელებში“), რომელიც ზავის მოსაპოვებლად უდრეკად მიმართავს ყოველგვარ საშუალებას და ლაყედემონელი მისნის, ამფითეოსის, მეშვეობით ჰყიდულობს ბოთლს ოცდაათი წლის ღვინით, ე. ი. ოცდაათწლიან ზავსა ჰკრავს; მიუხედავად იმისა, რომ აქარნელები ჩაქოლვას ემუქრებიან, ხოლო ომის გამჩაღებელ დემოკრატთა მეგობარ ევრიპიდესთან სწავლობს სოფისტიკური ხერხებით გამართულ სიტყვას, რომ აქარნელები დაარწმუნოს ზავის უპირატესობაში. ასევე მედგარი და შეუპოვარია თავისი მიზნების მიღწევაში ლისისტრატეც, რომელიც მთელი ელადის ქალებს დარაზმავს ომის მოტრფიალე კაცებთან შესაბრძოლებლად და ბრწყინვალედ გაიმარჯვებს („ლისისტრატე“).

4. არისტოფანეს რეალიზმი იმაშიც გამოიხატება, რომ ის გმირებს ალაპარაკებს იმ ენით, რომელსაც მეზუთე საუკუნის ათენელი ლაპარაკობდა: ეს არის — ყოველდღიური სალაპარაკო ატიკური ენა. არისტოფანეს ყოველი გმირი მეტყველებს იმ ენით, რომელიც შეეფერება მის სოციალურ ვითარებას, ძია პროფესიულ მდგომარეობას. გარდა ამისა, როდესაც დრამატული ინტრიგის განვითარებისათვის ეს აუცილებელია, არა ათენელ მოქმედ პირებს ის ალაპარაკებს თავ-თავიანთ დიალექტზე (მაგალითად, „ლისისტრატეში“). ასევე, როდესაც ის კომიკური ხლართის გასანასკვავად პაროდიას მიმართავს, არისტოფანე აჯავრებს იმ მწერლისა და ჟანრის ენასა და სტილს, რომელზედაც ის პაროდიას სწერს (მაგალითად, პაროდია ევრიპიდეს ტრაგედიებზე „ბაყაყებში“),

5. დასასრულ, არისტოფანეს სატირის ძალა იმაში იყო, რომ პოეტმა ბრწყინვალედ გამოიყენა ძველი ატიკური კომედიის მხატვრული საშუალებანი, უაღრესად ეფექტური გახადა კომიკური ხერხები და ხალხური კომიკური პოეზიიდან ნაანდერძევი და არისტოფანეს წინა-

მორბედთა მიერ გამოყენებული ფანტასტიკური გარემო  
მარჯვედ შეუგუა რეალურ სინამდვილის ასახვას.<sup>1</sup>

§ 85. არისტოფანეს თანამედროვე კომიკოსები. არისტოფანეს კომედიათა დიდსაკალიებში იხსენიება მრავალი გამოჩენილი პოეტი, რომლებიც თვით არისტოფანესაც ეტოლებოდნენ და ზოგჯერ მასაც სჯობნიდნენ შეჯიბრებაში. ასე. მაგალითად, მოხსენებული არიან ევპოლისი, არისტომენე, ფილონიდე, ლევკონი, ამეიფსია, ფრინიქე, პლატონი, ნიკოქარე და ნიკოფონტი. ზოგი მათგანის თითქმის არაფერია მოღწეული, ზოგიერთისა კი — საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწყვეტებია დარჩენილი. ამ ნაწყვეტებისა და აგრეთვე ძველ ბერძენ მკვლევართა მოწმობათა მიხედვით ჩანს, რომ ისინიც, არისტოფანეს მსგავსად, პოლიტიკური თემის საფუძველზე ჰქმნიდნენ კომედიებს და იმავე მიზნებს ისახავდნენ, როგორც არისტოფანე. მათ 'მორის გამოირჩეოდა თავისი ნიჭით, დრამატურგიული ვირტუოზობითა და შემოქმედებითი ფანტაზიით — ევპოლისი, რომელსაც ძველი ბერძნები არისტოფანეს ტოლ პოეტად სთვლიდნენ (ზოგი მასზე მალეაც კი აყენებდა).

§ 86. საშუალო ატიკური კომედია. ძველ-ატიკურ კომედიაში უმთავრესი ადგილი ეჭირა პოლიტიკურ თემას. ძველი ატიკური კომედიის არსებობა შეიძლებოდა მაშინ, როდესაც ძლიერი იყო საზოგადოების ინტერესი პოლიტიკური საკითხებისადმი.

პელოპონესის ომის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ათენელების დამარცხებას მოჰყვა პოლიტიკური და რელიგიური რეაქცია.

1. სახელმწიფოს აღარ შეეძლო მოეთმინა ის ადვირაშვებული კრიტიკა, რომელსაც წინათ ჰქონდა ადგილი. მართალია, კომედია ასე ადვილად ვერ დასთმობდა ოხუნჯობას და უწმინაშობას. მაგრამ ის იძულებული იყო უარი ეთქვა სახელმწიფო მოღვაწეთა და მოხელეთა კრიტიკაზე და მთელი თავისი ენერჯია გადაეტანა პოეტებზე. მუსიკოსებზე და სხვა კერძო პირებზე. ამიერიდან კომედია აღარ არის პოლიტიკური ფაქტორი, იგი მხოლოდ მხიარული გაბაასების საშუალებაა.

2. ათენის დამარცხებას შედეგად მოჰყვა მოქალაქეთა გაღარიბება. ამ გარემოებას ძირითადი ცვლილებები უნდა შეეტანა კომედიის გაფორმებაში. სახელდობრ, ქოროს ხარჯები ხომ აწვა მდიდართა ფენების წარმომადგენლებს. ის წრე, რომელიც დაინტერესებული იყო კომედიის გამოყენებაში პოლიტიკური თვალსაზრისით, კიდევც

<sup>1</sup> არისტოფანეს კომედიებია ქართულად თარგმნილი არაა. რუსულად, გარდა ცალკეულ კომედიათა თარგმანებისა, არსებობს სრული კრებულიც: Аристофан, Комедии, I — II, М. — Л., 1934.

ინახავდა მას, და ეს ხომ წესი იყო, რომ ვინმე მდიდართაგანს უნდა შეედგინა ქორო, შეენახა ის, მისი მასწავლებელი და მესიკოსი, და თავისი ხარკით დაემზადებინა კოსტიუმები, ნიღბები და მთელი მოწყობილობა-დეკორაცია. ასეთი ქორეგოების შოვნა ახლა ძნელი საქმე იყო მოქალაქეთა გაღარიბების გამო.

ამ გარემოებებით აიხსნება, რომ მეოთხე საუკუნეში: 1. ქორო თანდათან ქრება კომედიაში; 2. კომედია პოლიტიკური მომენტების გამოკლებით (ქოროს შესუსტება-დაკარგვასთან ერთად) უახლოვდება იუმორისტულ-პაროდისტულ დორიულ დრამას; 3. სასცენო ტექნიკაც იცვლება. არადრამატული (ქორული) ელემენტია შესუსტებით და დრამატული ელემენტების წინ წამოწევით აიხსნება ამალღებული სცენის განმტკიცება და მუსიკოსებისა და რეციტატორების დამკვიდრება ორქესტრაში.

მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის კომედიას ეწოდება საშუალო ატიკური კომედია, ხოლო მეორე ნახევრისას — ახალი ატიკური კომედია.

საშუალო კომედიის დამახასიათებელი თვისებებია:

1. გუნდის როლის შესუტება. „კომედიის განსხვავებულებათა შესახებ“ ტრაქტატის ავტორის პლატონიოსის დროიდან (II საუკ. ?). განმტკიცდა აზრი, თითქოს მთავარი დამახასიათებელი თვისება საშუალო კომედიისა იყოს გუნდის გამოვარდნა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ ეს სიტყვა-სიტყვით გაგვეგო. გუნდი ატიკურს კომედიას არასდროს არ გამოუვლია, ვინაიდან ის დიონისეს დღესასწაულებზე საზოგადოების, თემის, დემოს, იდეური წარმომადგენელი იყო, ის იყო გამარჯვების ოფიციალური მატარებელი.

მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ, ზემოხსენებული მიზეზების გამო, საშუალო კომედიაში ქორო პარაგრესულად სუსტდება. ამას ჩვენ ვამჩნევთ თვით არისტოფანეს უკანასკნელ კომედიაში. ასე, მაგ., კომედიაში „პლუტოსი“ (388 წ.) ქოროს მხოლოდ ლანდილა შერჩენილი. ქოროს მთელი როლი განისაზღვრება სულ 50 ტაქტით, რომელთაგან მხოლოდ 13-ია სასიმღერო. მართალია, თვით ამ კომედიაში არის მითითებები და ნიშნები იმისა, რომ ქოროს მონაწილეობა გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავტორის მიერ განზრახული საგუნდო პარტიები, ჩანს, არ ყოფილა შესრულებული.

2. საშუალო კომედია თავის გამოთქმებში უფრო წეინიერია. არისტოტელე („ეთიკა ნიკ.“ IV, 14, 1128a) ხაზს უსვამს ამ ნიშნულ თვისებას საშუალო კომედიისას ძველისაგან განსხვავებით: თუ ძველს კომედიაში, მისი აზრით, სასაცილო მიღწეულია ცუდსიტყვაობის საშუალებით და ტლანქი დამამკირებელი უქმანუ-

რობით არის ესა თუ ის პირი ან მოვლენა გამასხარავებელი, საშუალო კომედიის იგივე მიზანი მიღწეულია მიხვედრის საშუალებით. IV საუკ., ჩანს, არისტოტელეს დროს მსახიობებმაც თავი გააძებეს დიონისური ატრიბუტების — ფალოსისა და ფაშვის ხმარებას.

3. არისტოტელეს სიტყვით („პოეტიკა“, თ. 9, 1451-ბ), კომედია აიღებს ხოლმე ფაბულას რეალური სამყაროდან, მაგრამ განსაზღვრულ პირებს მათი საკუთარი სახელებით კი არ გამოიყვანს, არამედ მოგონილი სახელებით. არისტოტელეს ეს განმარტება ეხება, რასაკვირველია, არა ძველ კომედიას (აქ ხომ პირდაპირ იყვნენ დააახელებული პერიკლე, კლეონი, ევრიპიდე, დემოსთენე, ნიკიასი და სხვები), არამედ საშუალოსა და ახალ კომედიას.

არისტოტელეს განსაზღვრა კრიტიკულად არის მისაღები. იმის თქმა, თითქოს IV საუკუნეში კომედიამ საბოლოოდ თავი გაანება ცალკეული მოღვაწის პირადულ დაცინვას და გადავიდა ზოგადი ტიპების უპიროვნო გამოყვანაზე, რასაკვირველია, არ შეიძლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალო კომედია წავიდა ამ გზით და თანდათან განახორციელა ეს. საშუალო კომედიის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები აღასტურებენ იმ გარემოებას, რომ ცოცხალი მოღვაწენი იყვნენ მათი საკუთარი სახელებით გამოყვანილნი საშუალო კომედიისში.

საშუალო კომედია და, მათსადამე, IV საუკუნის საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო მომენტებს, სახელმწიფო და მისი მოღვაწენი თეატრში შეცვალეს მეთევზეებმა და მზარეულებმა, განსაკუთრებით ჰეტერეებმა, როგორცა ჩვენება სცენაზე დიდ ინტერესს იწვევდა. თუ V საუკუნეში პირველ რიგში იდგა პოეზია და მუსიკა, — IV საუკუნეში მათი ადგილი დაიჭირა: ჭამამ, სმამ, სიყვარულმა.

4. მაგრამ ეს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო სიუჟეტი არ არის ერთადერთი საშუალო კომედიისში. ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია აგრეთვე მითების პაროდია. ზოგიერთი კომედია ეხება იმ შითებს, რომლებიც ტრაგედიას არასოდეს არ გამოუყენებია („ათენას დაბადება“, „აფროდიტის დაბადება“ და სხვ.). მეტი წილი კი ეხება ტრაგიკოსების მიერ გამოყენებულ მითებს, განსაკუთრებით კი ევრიპიდეის მიერ გამოყენებულებს. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები ამგვარი კომედიისა იმდენად ღარიბია, რომ ძნელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე. მხოლოდ გადმოცემებით ვიცით, თუ რა იყო ეს. მაგრამ ბერძნული საშუალო კომედიის მერმინდელ მიმბაძველთა (მაგ.: რომაელ კომიკოსთა) საშუალებით შეგვიძლია უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ. ავიღოთ, მაგ., მითი ამფიტრიონზე, რომელიც რომაელ კომიკოსს პლატეს აქვს თავის კომედიისში („ამფიტრიონი“) გამოყენებული.



მ ი თ ი. ზეესმა მოინდომა ერთხელ წარმოეშვა ისეთი გმირი, რომელიც ღმერთებსაც და ადამიანებსაც დაეხმარებოდა. ამ მიზნით ის დაეშვა დედამიწაზე და დაიწყო ღირსეული ქალის ძებნა. მან აირჩია ამფიტრიონის ვეულლე ალკმენე. რადგან ალკმენეს ძალიან უყვარდა თავისი ქმარი, ამიტომ ზეესმა ნიილო ამფიტრიონის სახე და ისე შევიდა და შეეუღლა ალკმენეს, აქედან წარმოიშვა ჰერაკლე, ორი ბუნების მქონე. ერთსა და იმავე დროს ღმერთიცა და ადამიანიც.

კო მ ე დ ი ა (პლავტესი). თებელი ამფიტრიონი წინამძღოლობს ჯარს, ის მიდის მტერთან (ტელებოებთან) საომრად. მისი მეუღლე ალკმენე (ორსულადაა) რჩება მარტო. ალკმენეს მისი ქმრის სახით გამოეცხადება ზევსი (იუპიტერი), მას თან ახლავს ჰერმესი (მერკური). რომელსაც ამფიტრიონის მსახურის, სოძეს, სახე აქვს მიღებული ამასობაში ბრუნდება ანფიტრიონი და სოძეს (უკვე ნამდვილს) გზავნის თავის მეუღლესთან შესატყობინებლად. მაგრამ მერკური მას არ უშვებს, ამფიტრიონის მსახური მე ვარო. მოდის თვითონ ამფიტრიონიც. მაგრამ ალკმენე მას არ უშვებს; ის არწმუნებს — ჩემი ქმარი დიდი ხანია დაბრუნდაო. დასამტკიცებლად იმისა, რომ ის მართლა ქმარია, ამფიტრიონს მოჰყავს მოწმეები, მაგრამ მერკური მას სახელიდან გააგდებს. როდესაც ღმერთები უკვე საკმაოდ იმხიარულებენ, ერთს იპეჭებს და... ალკმენე დაბადებს ტყუპს. ზევსი (იუპიტერი) აუხსნის ამფიტრიონს საქმის ვითარებას, შეარიგებს ცოლთან და თვითონ ოლიმპოს დაუბრუნდება.

აქ, სხვათა შორის, პაროდიაა ევრიპიდეს „ჰერაკლეზე“.

5. მ ე ტ რ ი და ე ნ ა. საშუალო კომედიის ლექსწყობა უფრო მარტივი და ერთფეროვანია, რაც თავისთავად გამოძღინარეობს საგუნდო პარტიების შესუსტებისაგან, ძირითადაა: 1. იამბური ტრიმეტრი და 2. ტროქეული ტეტრამეტრი, რომელსაც საშუალო კომედიაში, უფრო მეტი გამოყენება აქვს, ვიდრე ძველს ატიკურ კომედიაში. სხვა ზომები (ანაპესტი, დაქტილური ჰეგზამეტრი ან სხვ.) ძალიან იშვიათია.

ენაც შედარებით დარიბია; ენა გადადის წმინდა ატიკურ დიალექტზე.

§ 87. საშუალო კომედიის წარმომადგენელი. ანონიმური ავტორი ტრაქტატისა „კომედიის შესახებ“ ასახელებს საშუალო კომედიის 57 პოეტს, რომელთაც მიაწერს 607 კომედიის დაწერას. სხვა ბერძენ მკვლევართა, კომპილატორთა და ლექსიკოგრაფთა ცნობებითაც საკმაოდ დიდი რიცხვი კომიკოსებისა და მათი თხზულებებისა არის დასახელებული. განსაკუთრებით თვალში ეცემა ადამიანს დიდი რაოდენობა კომედიებისა, რომლებიც ზოგიერთ მათგანს დაუწერია: ასე, მაგალითად, ანტიფანეს მიაწერენ 365 (ან 280) კომედიას, ალექსისის — 245-ს, ხოლო ევბულეს — 104-ს. რამდენადაც არ უნდა

იყოს გადაჭარბებული ნაჩვენები რაოდენობა, ერთი კი ცხადია: ავტორები უაღრესად პროდუქტიულნი ყოფილან და მათი რიცხვიც საკმაოდ ჭარბი. ამის მიზეზად, სამართლიანადაც, დასახლებულია ორი გარემოება:

1. თუ ძველი ატიკური კომედიის გავრცელების არე, უმთავრესად, შემოიფარგლებოდა ატიკით, საშუალო კომედია, როგორც მასალებიდან ჩანს, ატიკის გარეთ არის გასული, ის პანელიური გამხდარა. ამით აიხსნება, რომ საშუალო კომედიის ბევრი ავტორი არათელია. ასე მაგალითად, ალექსისი დაბადებულია თურქიში (ლუკანიაში), ალექსანდრიდე — როდოსზე (თუ კოლოფონში).

2. საშუალო კომედიის ავტორები უხვად სარგებლობდნენ თავიანთი ძველი კომედიებით, საიდანაც ახალ კომედიებში იმეორებდნენ ხოლმე მთელ სცენებს. გარდა ამისა, ისინი უხვად სარგებლობდნენ აგრეთვე სხვა პოეტთა კომედიებითაც. ასე, მაგალითად, ალექსისის მთელი რიგი კომედიები ყოფილა ანტიფანეს კომედიების გამომუშავებული რედაქცია. ასეთი შეზღუდულება „პლაგიატობაზე“, რასაკვირველია, შესაძლებლობას ჰქმნიდა პოეტს ბევრი კომედია დაეწერა.

საშუალო კომედიის წარმომადგენელთაგან ყველაზე უფრო განთქმული იყო სამი: ანტიფანე, ევბულე და ალექსისი.<sup>1</sup>

§ 88. ახალი ატიკური კომედია. ახალი კომედია საშუალო კომედიის გავრცელებას წარმოადგენს. როგორც საშუალო კომედია, შედარებით ძველ ატიკურთან. დიონისური და ფანტასტიკური ელემენტი საგრძნობლად შეასუსტა და საყოფაცხოვრებო ელემენტს მისცა უპარატესობა, ისე ახალმა კომედიამ მთლიანად გააძევა დიონისური და ფანტასტიკური გარემო და საბოლოოდ გააბატონა საყოფაცხოვრებო სიუჟეტი.

1. საშუალო კომედიაში მითიურსა და ფანტასტიკურს ჯერ კიდევ ჰქონდა დათმობილი საპატიო ადგილი; მხოლოდ ალექსისმა, როგორც საშუალო კომედიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, ძალზე შეასუსტა იგი. ახალ კომედიაში კი მითიური ელემენტი საბოლოოდ ქრება და, მაგალითად მენანდრესთან ჩვენ არ გვხვდება არც ერთი ნაწარმოები, რომ მითიურ სიუჟეტზე იყოს აგებული.

2. დიონისურ-ფანტასტიკური გარემოდან მომდინარეობს აგრეთვე გუნდი. ამ მხრივაც ახალი კომედია გვიჩვენებს კომედიური აგონის

<sup>1</sup> საშუალო კომედიის არც ერთი ავტორის კომედია ჩვენამდე მოღწეული არაა. მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები გამოცემულია: Kock, Comicorum Atticorum Fragmenta, ტ. II.

განვითარების უკანასკნელ საფეხურს. სახელდობრ: ა) თავდაპირველად, გუნდი ხომ ის ერთეული იყო (ფალიკურ სიმღერებში, კომოში), როგორცა და რამატულობისა არაფერი გააჩნდა; ბ) შემდეგ, ის გახდა ნაწილი კომედიური მოქმედებისა (იმის მსგავსად, როგორც ეს მოხდა ტრაგედიაშიც), თვით იყო ისეთივე მოქმედი პირი, როგორც მსახიობები: ასე იყო, მაგალითად, ძველ ატიკურ კომედიაში; გ) საშუალო კომედიაში მას, გარკვეული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიზნების გამო, როლი საკმაოდ შეუსუსტდა, თუმცა საბოლოოდ არ გამქრალა; მოქმედებაში ის მონაწილეობას მაინც იღებს; დ) დასასრულს, ახალ კომედიაში გუნდი თითქოს უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას, იმ მდგომარეობას, რომელიც მას ჰქონდა კომოსის დროს, ე. ი. ის წარმოადგენს ახალგაზრდათა კრებულს, რომელიც გართობის მიზნით დროგამოშვებით გამოჩნდება ხოლმე. ის მოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, მსახიობთა მიერ მოქმედების განვითარების დროს ის არც კია სცენაზე, ხოლო მოქმედებასა და მოქმედებას შუა გამოჩნდება ხოლმე ორქესტრაში და თავისი ცეკვითა და სიმღერით აართობს საზოგადოებას, ე. ი. წარმოადგენს მუსიკალურ-ვოკალურ ინტერმედიას. თუ ეს ასეა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მოღწეული იყოს ახალი კომედიის რომელიმე საგუნდო პარტია: არავითარი ასეთი პარტია არ არსებობდა, იყო მხოლოდ მუსიკალურ-ვოკალური გამოსვლა გუნდისა მოქმედების ბოლოს.

ასეთი გამოსვლა გუნდისა მითითებულია ახალ კომედიაში ორნაირად: ა) მოქმედების ბოლოს ერთ-ერთი მსახიობი (მოქმედი პირი) ამბობს — აი, მოდის გუნდიო, მაშასადამე, გავეცალათ, გავათავოთ მოქმედებაო; ბ) ანდა ხელნაწერში მოქმედების ბოლოს მიწერია „ხორაუ“. რადგან გუნდს არავითარი სამოქმედო როლი არა აქვს. ამიტომ მოქმედ პირთა სიაში გუნდი შეტანილი არაა.

3. საშუალო კომედია ჭერ კიდევ უხვად მიმართავდა პერსონალურ და ცინვას, თანამედროვე მოღვაწეთა პირადულ განქიქებას. ახალ კომედიაში ესეც ჭრება თანდათან. კომედია უკვე საბოლოოდ თავს იკავებს ცნობილ პირთა განქიქებისაგან და, ამრიგად, იგი ხასიათისა და ინტრიგის რეალისტურ კომედიად გადაიქცევა.

4. თავისი რეალიზმით ახალი კომედია ძალიან ახლოს დგას ტრაგედიასთან, უკეთ რომ ვთქვათ, რეალისტური ტრაგედიის შემქმნელ ევრიპიდესთან; ახალ კომედიის ევრიპიდესთან საერთო აქვს: ა) სინამდვილიდან აღებული ადამიანის ხასიათის ასახვა; ბ) ინტრიგის განასკვა სიყვარულის მოტივი: საფუძველზე და გ) გამოცნობის სცენების მომარჯვება. ჩვენ არ გამოვუდგებით ყველა ამ, ახალი კომედი-

ისა და ტრაგედიის, საერთო თვისებაზე დაწერილებით მსჯელობას; ამჟამად მიუეთითებთ მხოლოდ ახალდაბადებულ ბავშვთა, როგორც აკრძალული სიყვარულისა და უკანონო შეუღლების ნაყოფის, გადაგდებასა და მათთან დატოვებული ნივთების მიხედვით მომხდარ გამოცნობაზე. ეს მოტივი ძალიან ხშირია ახალ კომედიაში: მე ნ ა ნ დ რ ე ს გადარჩენილი ხუთი კომედიიდან ოთხი („პეროსი“, „სამედიატორო სასამართლო“, „მოჭრილი ნაწნავი“ და „სამოსელი ქალი“) ამ მოტივზეა აგებული, და აქ არ შეიძლება არ გავგახსენდეს ევრიპიდეს მეტად პოპულარული ტრაგედია „იონი“, რომელიც აგრეთვე ამ მოტივზეა დაწერილი.

5. ახალი კომედიის ლექსთწყობა კიდევ უფრო გამარტივებულია, ვიდრე საშუალო კომედიაში: იამბური ტეტრამეტრი საბოლოოდ უკუგდებულია: იამბური ტრიმეტრის გვერდით გვხვდება ტროქეული ტეტრამეტრიც, მაგრამ საყურადღებოა, რომ „სამედიატორო სასამართლოს“ 600 ტაეპზე მეტია მოღწეული და არც ერთი ტეტრამეტრი იქ არაა.

§ 89. ახალი კომედიის წარმომადგენელია. ანონიმური ავტორი ტრაქტატისა „კომედიის შესახებ“, ასახელებს ახალი კომედიის 64 მწერალს და ამბობს: «ამათგან ყველაზე შესანიშნავნი იყვნენ ფილემონი, მენანდრე, დიფილე, ფილიპიდე, ჰოსეიდიპოსი და აპოლოდორეო» (სხვა დამატებითი წყაროებით მათი რიცხვი 74 იყო). ახალი კომედიის ავტორების მოღვაწეობაც საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა: ასე მაგალითად, ბიოგრაფოსებისა და გრამატიკოსების გამოკვლევით ფილემონს 90 კომედია დაუწერია, დიფილეს — 100, მენანდრეს — 105.

ზემოთ დასახელებულ პოეტთაგან თვით ძველი ბერძნები განსაკუთრებით არჩევდნენ სამს — ფილემონს, დიფილეს და მენანდრეს და სთვლიდნენ მათ ახალი კომედიის უნიკიერეს ოსტატებად. ჩვენამდე მხოლოდ მენანდრეს კომედიებია მოღწეული.

მენანდრე (343 — 292). ავტორი ტრაქტატისა „კომედიის შესახებ“ მენანდრეს უწოდებს „ახალი კომედიის ვარსკვლავს“. მართლაც, რომ შევადაროთ მენანდრე ახალი კომედიის სხვა წარმომადგენლებს, დავინახავთ, რომ მან კომედია განათავისუფლა იმ გადმონაშთებისაგან, რომლებიც მას გადმოჰყვა ძველი და საშუალო კომედიიდან და რომლებიც მას ხელს უშლიდნენ დამოუკიდებელ გზაზე გამოსულიყო და ეპოქას შესაფერისი ორიგინალურ-რეალისტური, მითიურ-ფანტასტიკური ელემენტისაგან თავისუფალი, ყანრი შეექმნა: მენანდრემ მისცა კომედიას ის საბოლოოდ ჩამოყალიბებული კომპოზიცია და შეუქმნა მას ის ენა და სტილი, რომელმაც ახალ კომედიას მრავალი საუკუნის მანძილზე შეუნარჩუნა სცენაზე საპატიო ადგილი.

მენანდრეს დრამებიდან ცნობილია 96-ის სათაური და ფრაგმენტები. უკანასკნელ აღმოჩენებამდე არა თუ არც ერთი მთლიანი კომედია არ გვექონდა ამ გამოჩენილი დრამატურგისა, არამედ არც ერთი კომედიის იმდენად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შინაარსის მიახლოვებით მაინც აღდგენა. დღეს, კი, პაპირუსებში აღმოჩენილი მასალების წყალობით, შესაძლებლობა გვაქვს ხ უ თ ი კ ო მ ე დ ი ი ს შინაარსი მაინც ზედმიწევნით აღვადგინოთ. ამ აღმოჩენების ისტორია შემდეგია:

1. 1844 წელს სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში აღმოჩნდა IV საუკუნის ეტრატის ხელნაწერის ფურცელი. ეს ფურცელი 1855 წელს პეტერბურგში ჩამოიტანა არქ. პ. უ ს ჰ ე ნ ს კ ი მ, ხოლო ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ჰოლანდიელმა მეცნიერმა კოზეტმა 1876 წ., საფუძვლიანად კი გამოკვლია აკად. ვ. კ. იერნშტეტმა 1891 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში Порфирийевские отрывки из аттической комедии. ტექსტში აღმოჩნდა მენანდრეს ორი კომედიის ნაწყვეტები: „მოჩვენება“ და „სამედიატორო სასამართლო“.

2. 1897 წელს შეიეცარიელმა მეცნიერმა ე. ნ ი კ ო ლ მ ა შეიძინა ეგვიპტეში პაპირუსის ორი ფურცელი, რომელიც შეიცავს ორ სცენას კომედიიდან „მიწისმუშა“.

3. 1905 წელს ფრანგმა მეცნიერმა გ. ლ ე ფ ე ვ რ მ ა ეგვიპტეში, ძველ ქალაქ აფროდიტოპოლისში წარმოებული გათხრების დროს იპოვა თიხის ქილა, რომელშიც VI საუკუნის ბიზანტიური დოკუმენტები იყო, პაპირუსზე ნაწერი. დოკუმენტები რომ არ დაზიანებულყო, მათ პატრონს რაღაც ძველი წიგნის ფურცლებით თავი მოუკრავს ქილისათვის. ეს ფურცლები აღმოჩნდა მენანდრეს კომედიათა კრებულიდან ამოგლეჯილები. გადარჩენილი ფურცლები შეიცავენ დაახლ. 1600 ტაეპს მენანდრეს ხუთი კომედიიდან: პეროსი, სამედიატორო სასამართლო, სამოსელი ქალი, მოჭრილი ნაწნავი და ერთიც უცნობი კომედია. აღმოჩენილი მასალა გამოაქვეყნა ლ ე ფ ე ვ რ მ ა 1907 წელს (განმეორებით, დამატებითურთ 1911 წელს) კაიროში. ეს არის ძ ი რ ი თ ა დ ი მ ა ს ა ლ ა მენანდრეს კომედიებისათვის.

4. მომდევნო წლებში ამ ძირითად მასალას დამატა ეგვიპტეშივე აღმოჩენილი ნაწყვეტები, რომლებმაც ნაწილობრივ შეავსეს კაიროს პაპირუსის მასალა, ნაწილობრივ კი ახალი კომედიების ნაწყვეტები მოგვცეს. ეს ახალი პაპირუსები მოხვდნენ ევროპის სხვადასხვა ბიბლიოთეკებში: ლონდონში, ბერლინში, ჰაიდელბერგში, ფლორენციაში, დორპატში. ერთი ნაწყვეტიც აღმოჩნდა ლაიფციგის ეტრატის ფურცელზე.

ავგვარად, ამ აღმოჩენების წყალობით, ჩვენ დღეს მოგვეპოვება საკმარის მდიდარი მასალა მენანდრეს თერთმეტ კომედიაზე (სულ 16 ხელნაწერი, დაახლ. 2000 ტაეპი).

ეს მასალა დიდი წარმატებით დაამუშავეს ბერძნული ლიტერატურის სპეციალისტებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომები გერმანელი მკვლევარის ა. კერტესი და ქართველი მეცნიერის გრ. წერეთლისა. პროფ. გრ. წერეთელმა (1870 — 1938), მსოფლიოში სახელგანთქმულმა პაპიროლოგმა, რომელიც 1920 — 1938 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეთაურობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, თავის სადოქტორო დისერტაციაში აღადგინა, პაპირუსებში მოპოვებული მასალების საშუალებით, მენანდრეს ხუთი კომედია და უძღვნა მათ ფუძემდებელი ლიტერატურულ-ფილოლოგიური გამოკვლევა (Г. Ф. Церетели, Новые комедии Менандра Юрьев, 1914, стр. 495).

„სამედიატორო სასამართლო“. მოღწეულია ამ კომედიის 591 ტაეპი, რომლებიც შეიცავენ პროლოგის სცენა-დიალოგს და ხუთივე მოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს.

კომედია იწყება ქარისიეს მონის ონისიმეს და მზარეულის საუბრით. ამ საუბრიდან ვტყობილობთ, რომ ქარისიეს და მის ცოლს პამფილეს შორის უსიამოვნება ჩამოვარდნილა, ქარისიე გადასულა აბროტონთან, მეზობელ ჰეტერასთან, და მთელ დროს ქეიფში ატარებს. ამ უსიამოვნების მიზეზი იყო შემდეგი.

ქარისიე და პამფილე სულ ხუთი თვის ჭვარდაწერილები არიან და პამფილეს უკვე ვაჟი შეეძინა: მან სწორედ იმ დროს მოილოგინა, როდესაც ქარისიე ათენში არ იყო, ის სხვა ქალაქში იყო წასული საქმეებზე. რადგან შეილი უკანონო იყო, პამფილემ ბავშვი თავის მოხუც ძიძას, სოფრონეს, გადააგდებინა ტყეში, რათა ქმრისაგან დაემალა კვალი თავისი ძველი შეცოდებისა. ეს შეცოდება კი შემდეგნაირად მომხდარა: ცხრა თვის წინათ არტემიდე ტავროპოლეის დღეობაზე, ღამისთევასზე, პამფილესზე ძალა უხმარია ერთ მთვრალ ახალგაზრდას. პამფილეს არც კი დაუნახავს ვაჟის სახე; ხელში შერჩა მხოლოდ მისი ბეჭედი, რომელიც მას შემთხვევით წაძვრა თითიდან. აი, ეს ბეჭედი და ზოგი სხვა ნივთიც ჩაალაგა ყუთში პამფილემ და ძიძას გაატანა ბავშვთან ერთად.

პამფილეს ეგონა, რომ ამით დაუმალავდა ქმარს თავის საიდუმლოებას, მაგრამ ქარისიეს მონას ონისიმეს, დაუნახავს, ძიძას რომ ახალდაბადებული ბავშვი მიჰყავდა, და ყველაფერი უამბო თავის ბატონს, როცა ის ათენში დაბრუნდა. ქარისიე პატიოსანი ახალგაზრდა იყო. ცოლის სახელის გატეხვას ერიდებოდა და ამიტომ იგი არ გაშორდა მას, მაგრამ არც შინ დარჩა; გადასახლდა ერთ ამხანაგთან. ხოლო გა-

სართობად კავშირი დაიჭირა აბროტონონთან, ართაზე დამკვრელ ქალთან.

პამფილეს მამას, სმიკრინეს, გაუგია, რომ მისი სიძე ქეიფში ატარებს დროს, და მოდის ამბის შესატყობად. მაგრამ ვერაფერი შეიტყო (ქალიშვილი არაფერს ამბობს, ქარისიე შინ არ არის) და გაბრუნებას აპირებდა, რომ ამ დროს სახლთან გაჩნდა ორი მონა — დაოსი და სირისკე. ამათ დაეაქვთ ერთმანეთში და სმიკრინეს სთხოვენ მედიატორობას. დაეაგამოუწვევია შემდეგ გარემოებას: მწყემსმა დაოსმა ტყეში იპოვა ბავში და მასთან ერთად ნიეთები. მის ამხანაგს, მენახშირე სირისკეს, მოეწონა ბავში და სთხოვა დაოსს — დამითმეო; იმანაც დაუთმო. მაგრამ ახლა იმ ნიეთებსაც სთხოვს, რომლებიც ბავშვთან ერთად იპოვა დაოსმა ტყეში. მედიატორად დამდგარი სმიკრინე სირისკეს სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას.

გახარებული სირისკე ნიეთებს ათვალეირებს, მის ყურადღებას მიიქცევს ბეჭედი რაღაც ცხოველის გამოხატულებით. ამ დროს ქარისიეს ბინიდან გამოდის ონისიძე, რომელიც მაშინვე იცნობს ამ ბეჭედს: ეს ქარისიეს ბეჭედი, რომელიც მან ტავროპოლელის დღეობაზე დაჰკარგა. იმ ბეჭდის საშუალებით ირკვევა ყველაფერი. სახელდობრ ის, რომ უცნობი ვაჟი, რომელმაც პამფილე გააუპატიურა, არის ქარისიე, მაშასადამე, ბავშვის მამაც ის არის. ქარისიე ცოლს დაუბრუნდება, ხოლო აბროტონონი, რომელიც ამ საქმის გარკვევაში ეხმარებოდა ქარისიეს, თავისუფლებას მიიღებს (იგი მონა იყო). კმაყოფილია ძუნწი სმიკრინეც, რომელსაც იმის დარდი ჰქონდა, რომ სიძე მისი ქალის ნაშბიფეს ქეიფში ხარკავდა.

ეს კომედია უთუოდ ამჟღავნებს ავტორის დახვეწილ მხატვრულ გემოვნებას, ხასიათის მოხაზვის დიდ ოსტატობას და ცხოვრების საკითხებში ღრმა ჩაფიქრების უნარს. მისი ქარისიე მგრძნობიარე და ფაქიზი ვაჟია; მან ვერ აიტანა სირცხვილი, რომელშიც მისი ცოლის საქციელმა ჩააგდო იგი, და გადასახლდა ამხანაგთან; დარდის გასაქარვებლად ჰეტერა მოიყვანა, მაგრამ არ ეკარება მას; ნაყიდი სიყვარული ეზიზღება.

შესანიშნავია სცენა ორი მონის პაექრობისა. დაოსი და სირისკე — გაუნათლებელი ადამიანები არიან, მაგრამ საკმარისია, რომ ისინი ათენელები არიან: მათ არ აკლიათ ორატორული ნიჭი, რომ დამარწმუნებლად ამტკიცონ, თუ რატომ ეკუთვნის ტყეში ნაპოვნი ნიეთები მას და არა მეორეს. განსაკუთრებით მიმზიდველია სირისკე თავის ნაზი გრძნობებით ბავშვისადმი, მასზე ზრუნვით; მას ტრაგედიები უნახავს თეატრში — უნახავს როგორ იპოვა ერთხელ მწყემსმა ნელევაი და პელევსი... იქნებ ეს ბავშიც წარჩინებულთა შთამომავალია; რომ გაიზრდება, იქნებ ლომებზე ნადირობა დაიწყოს, შეჭიბრებებში მონა-

წილები მიიღოს... ამიტომ, ყველაფერი ის, რაც მასთან ერთად იქნა ნაპოვნი, მას უნდა ჰქონდეს, სანამ გაიზრდებოდეს. ამგვარად, ავტორი იცავს უფლებებო ბავშვის უფლებებს (ათენის მაშინდელი კანონით უპატრონოდ გადაგდებულ ბავშვს არავითარი უფლებები არ ჰქონდა).

ევრაპიდეს ტრაგედიის გავლენა „სამედიატორო სასაწარმოლოზე“ აშკარაა. ევრაპიდეს ჰქონდა ტრაგედია „ალოპე“, სადაც გადმოცემული იყო, რომ კერკიონის ქალიშვილმა ალოპემ პოსეიდონთან კავშირისაგან დაბადა ვაჟი, რომელიც თავის ძიძას გადააგდებინა: ბავშვს თან თავისი ძვირფასი წამოსასხამი გააყოლა. ბავშვი ერთმა მწყემსმა იპოვა და თავის ქოხში მიიტანა. მეორე მწყემსმა სთხოვა მაჩუქეო, მისცა, მაგრამ წამოსასხამი არ გაატანა: მწყემსებს დავა შეექმნათ და მეფე კერკიონს მიმართეს — გაგვასამართლო. როცა კერკიონმა წამოსასხამი დაინახა, იცნო ის, თავისი ქალი სატრუსალოში ჩაადგო, ბავშვი კი ისევ გადააგდებინა. ამგვარად, ევრაპიდეს ტრაგედიასა და მენანდრეს კომედიას შორის მსგავსება დიდია: უკანონოდ შობილი ბავშვის გადაგდება, ორი მწყემსის დავა ბავშვთან ერთად ნაპოვნი ნივთის გამო. ქალის მამა — მედიატორი... მაგრამ საკითხი გადაწყვეტილია სულ სხვადასხვანაირად. კერკიონმა მოდავენი კი არ გაასამართლა, თავისი შვილი და შვილიშვილი დალუბა; სმიკრინეს კი მენანდრემ განაჩენი გამოატანინა და შვილიც და შვილიშვილიც გადაარჩინინა. არ არის საეჭვო, რომ მენანდრე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა მონების დავის სცენას: ამ სცენის მიხედვით დაარქვა მან სახელი მთელ კომედიას.

„მოჭრილი ნაწნავი“ (უფრო ზედმიწევნით „ქალი შეჭრილი ნაწნავით“). ჩვენამდე მოღწეულია ამ კომედიის 495 ტეპი, რომლებიც შეიცავენ შესავალ მონოლოგს და ხუთივე მოქმედების თითქმის ნახევარს.

შესავალ მონოლოგში ღმერთი ა გ ნ ო ი ა („არ-ცოდნა“) გვაუწყებს, თუ რა მოხდა 18 წლის წინათ: მდიდარი ვაჭრის პ ა ტ ა ი კ ე ს ცოლი მშობიარობას გადაჰყვა; დარჩა ტყუილი ქალ-ვაჟი. იმავე ხანებში პატაიკეს ხომალდი, საქონლით დატვირთული, ზღვაში ღაიშსხვრა. გაღარბებულმა ვაჭარმა ბავშვები ტყეში დაადგო. თან ბავშვების ნივთები დასტოვა იქ. ბავშვები იპოვა ერთმა ქალმა და შინ წამოიყვანა აღსაზრდელად: ქალი, გ ლ ი კ ე რ ა, თვითონ დაიტოვა, ხოლო ვაჟი, მ ო ს ხ ი ო ნ ი, მდიდარ მეზობელს მ ი რ ი ნ ე ს დაუთმო. გლიკერას დედობილი ღარბი ქალი იყო; გლიკერა რომ წამოიზარდა, ველარ შესძლო მისი მოვლა-პატრონობა და საყვარლად მისცა ათენში ჩამოსულ კორინთელ მეომარს პ ო ლ ე მ ო ნ ს. დედაბერი მალე გარდაიცვალა: სიკვდილის წინ მან უამბო გლიკერას მისი პოვნის ამბავი, ნაპოვნი ნივთებიც გადასცა. პოლემონი ათენში დასახლდა, სახლიც შეიძინა სწორედ მირინეს სახლის გვერდით. მოსხიონი მდიდრულად ცხოვრობს,



ქეიფში ატარებს დროს. ერთხელ მან თვალი მოჰკრა ლამაზ გლიკერას, მივიდა მასთან, დაუწყო ლაპარაკი და ალერსი. ქალმა უარი არ უთხრა ალერსზე, მან იცოდა, რომ მოსხიონი მისი ძმა იყო (ხოლო არ უმელავენებდა ამას, რომ არ შეებღალა მისი წარჩინებული მდგომარეობა); მოსხიონმა კი ეს მიიჩნია იმის ნიშნად, რომ შეიძლებოდა დაჰპატრონებოდა ლამაზ ქალს. სწორედ იმ დროს, როდესაც და-ძმა ერთმანეთს ეალერსებოდნენ სახლის წინ, შინ დაბრუნდა პოლემონი, ჭევენა-კოცნა მიიჩნია საყვარლის ლალატად, განრისხებულმა ნ ა წ ნ ა ვ ი შე ა ჭ რ ა გლიკერას (ეს დიდი შეურაცხყოფა იყო, ამით გლიკერა ჰეტერას ედრებოდა) და შინიდან გააგდო.

აი, ასეთი განმარტებითი პროლოგის შემდეგ მოქმედება იმით იწყება, რომ პოლემონი, თუმცა განრისხებულია, მაგრამ უყვარს გლიკერა და გზაენის თავის ჯარისკაცს სოსიას იმის შესატყობად, თუ რას შვრება გლიკერა. ეს კი, შეურაცხყოფილი პოლემონის საქციელით, აღარ აპირებს მასთან დარჩენას, გადაუწყვეტია შეეხაზნოს მეზობელ მირინეს (მოსხიონის დედობილს). პოლემონი და სოსია ამ ფაქტს, რასაკვირველია, იმით ხსნიან, რომ გლიკერა მოსხიონისთვის ვადასახლდა მისი დედის სახლში (ასევე ხსნის ამას მოსხიონიც). ამიტომ პოლემონს გადაწყვეტილი აქვს ძალით დაიბრუნოს თავისი საყვარელი. ამ დროს მასთან მოდის მისი მეგობარი პატაიკე, რომელიც უმტკიცებს მას, რომ უფლება არა აქვს ძალით დაიბრუნოს გლიკერა, სჯობს მოლაპარაკება გამართოს მასთან. პოლემონის თხოვნით პატაიკე თვითონ მიდის გლიკერასთან მოსალაპარაკებლად. გლიკერა უჩივის პოლემონს, ტლანქად მეპყრობა, თუ ჰგონია მას, რომ დაბალი წარმოშობისა ვარო. იმის დასამტკიცებლად, რომ ის კეთილშობილი წარმოშობისაა, გლიკერა უჩვენებს პატაიკეს ყუთს იმ ნივთებით, რომლებიც მის მშობელს მასთან ერთად დაეგდო ტყეში. პატაიკე მაშინვე იცნობს ამ ნივთებს, ჯალიან გახარებულია, რომ შვილები იპოვა. პოლემონი კი შეძრწუნებულია ამ ამბით: როცა შეიტყო, რომ გლიკერა პატაიკეს შვილი ყოფილა, მან დაჰკარგა იმედი, რომ გლიკერა მას დაუბრუნდებოდა (მან იგი შეურაცხყო, თანაც ის კეთილშობილი ყოფილა...). მაგრამ საქმე სულ სხვანაირად ბოლოვდება: გლიკერას უყვარს პოლემონი და გადაწყვეტა აპატიოს პოლემონს; პატაიკეც თანახმაა ცოლად მისცეს მას თავისი ქალი, სამ ტლანტსაც საჩუქრად უძღვნის, ხოლო უჩივის: ქალთან ურთიერთობისას დაივიწყე, რომ ჯარისკაცი ხარო (ე.ი. ტლანქ ჩვენებს თავი გაანებო)!

ისევე როგორც „სამედიკატორო სასამართლოში“, აქაც ჩვენ გვხიბლავს მენანდრეს ნაზი მოპყრობა ადამიანისადმი; მისი ღირსებისა და გრძნობებისადმი. პოლემონი ჯარისკაცია და ტლანქი, მაგრამ ის არ არის ძველებური გულქვა ადამიანი, ის დაბალი წრის კაცია, მაგრამ

როგორც აღამიანი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მდიდრულ ცხოვრებას დაჩვეული მოსხიონი. გლიკერა პოლემონის საყვარელია, მაგრამ ცოლად მიაჩნია; იგი იტანჯება, რომ მას შეუტაცხოვდა მიაყენა და ნაწნავი შეაქრა; მოსხიონი კი, მეორე მოქმედების მთელ მანძილზე, თავის მონასთან, დაოსთან, საუბარში სულ იმის ცდაშია, რომ ხელთ იგდოს ლამაზი გლიკერა, თვალები უბრწყინავს განცხრომის მოლოდინში და სულელურად უჯერებს დაოსის მიერ მოჭორილ შესაძლებლობას. ასევე მიმზიდველია სათუთი გრძნობების პატრონი გლიკერა, მოყვარული ძმისა, ქმრისა და მამისა.

„ჭეროსი“ („გმირი“). ამ კომედიის მხოლოდ ჰიპოთესისი და პირველი მოქმედების (პროლოგის) 52 ტაეპია მოღწეული. დანარჩენი სცენები თითო-ოროლა ტაეპის სახით არის წარმოდგენილი.

ვინმე მი რ ი ნ ე ს, ახალგაზრდა ქალს, ერთ-ერთ ღლეობაზე ნამუსი ახალა უცნობმა ვაჟმა: მი რ ი ნ ე ს ეყოლა ტყუპი ქალ-ვაჟი: პ ლ ა ნ გო და გო რ გ ი ა, რომლებიც აღსაზრდელად გადაეცა მწყემსს ტი ბ ი ო ს ს (ძიძის სოფრონეს მეშვეობით, ბავშვებს თან გააყოლეს ნიშნად ბეჭედი, რომელიც, როგორც ჩანს, თითიდან წასძრომია მი რ ი ნ ე ს გამაუბატიურებელ ვაჟს): ტი ბ ი ო ს ი ზრდიდა მათ როგორც საკუთარ შვილებს.

გავადა რამდენიმე ხანი, მი რ ი ნ ე გათხოვდა, მისი ქმარია — ვაჟარი ლ ა ქ ე ს ი. როგორც ჩანს, ტი ბ ი ო ს მა მისგან ვალი აიღო (ერთი მინა ვერცხლი, მერე მეორეც), რომელიც ვერ დაფარა; და ამ ვალის ანგარიშიში თავისი შვილები უყმო ლ ა ქ ე ს ს, ხოლო რადგან ის (ტი ბ ი ო ს ი) შიმშილისაგან დასუსტებული იყო და სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, გორგიას გაუმხილა საიდუმლოება მისი და მისი დის აღზრდის შესახებ და ბეჭედიც გადასცა მას. ბეჭდის წყალობით ლ ა ქ ე ს ი გაიგებს სინამდვილეს, — რომ პლანგო და გორგია მი რ ი ნ ე ს შვილები არიან: გაიგებს იმასაც — რაც მათეურებისათვის მოულოდნელია, — რომ ლ ა ქ ე ს ი ის უცნობი კაცია, რომელმაც თავის დროზე მი რ ი ნ ე შეაცდინა, რომ, მამსადამე, იგი პლანგოს და გორგიას მამაა. ყველაფერი ეს გაიკვვევა ბეჭდის საშუალებით. რადგან გამოიკვვევა ეს ამბავი და პლანგოს არამონური წარმოშობა ნათელი გახდება, მისი შემცდენელი ფიდიასი მას ცოლად შეირთავს დიდის სიამოვნებით.

საგულისხმოა ამ კომედიაში მოსიყვარულე და თავდადებულ მონის ტიპი (დ ა ო ს ი). მის გვერდით აქ გამოყვანილია მეორე მონა, გარყენილი, გამოქეჩილი და სრულიად არარომანტიკულად განწყობილი გე ტ ა, რომლის საუბრიდან დაოსთან მაშინდელი ყოფაცხოვრების საინტერესო შტრიხები ირკვევა. როცა გე ტ ა გაიგებს დაოსისაგან, რომ იგი შეყვარებულია, მას უკვირს, როგორ შეუძლია მშვიდ მონას სიყვარული, და ცინიკურად ეუბნება:

ჩანს, ბატონი ჭარბად გაჭმევს, ორ ქინიკზე მეტს გაძღვეს,  
შეგპარეია, დას ჩემო, შენ სიმსუქნე და სიმაღლე!

გამოქეილ გეტას წარმოდგენით სიყვარული მხოლოდ მოქარბებული  
სიმსუქნისაგან განეზივრებული ადამიანის ხედვრია.

„მიწისმუშა“. აქაც მენანდრე დიდის მოწინებით ასახავს მდაბიო  
სოფლელს, კლეინეტეს, რომელიც გულისხმიერად ეპყრობა მასთან  
მომუშავე ღარიბ გორგიას, მის დასა და დედას, ახლო მონაწილეობას  
ღებულობს მოტყუებული ჰელიას, (გორგიას დის) მომავლისათვის  
ზრუნვაში. ბავშვების დედაც, მ ი რ ი ნ ე, გამოყვანილია როგორც  
შვილებისათვის თავდადებული; ღარიბია, მაგრამ შვილებს პატიოსანი  
მოქალაქის მოვალეობის გრძნობებს უნერგავს.

„სამოსელი ქალი“. თუმცა ამ კომედიის 341 ტაეპია შოლწეული,  
მაგრამ სრულიად არ მოიბოვება არც პროლოგი, არც პირველი მოქმე-  
დება, არც უკანასკნელი მოქმედება, ამიტომ მოქმედების განვითარე-  
ბის წარმოდგენა ძნელდება. გამოყვანილია ჰეტერა ქ რ ი ს ი დ ა,  
კუნძულ სამოსის მცხოვრები, რომელიც საყვარლად ჰყავს მდიდარ  
ათენელ დ ე მ ე ა ს ს. ერთი გაუგებრობის ნიადაგზე, რომელიც თვით  
ქრისიადამ შექმნა, რათა სირცხვილისაგან და მამის რისხვისაგან ეხსნა  
მეზობლის ქალიშვილი პ ლ ა ნ გ ო, დემეასს ექვეები აღძრება, რომ  
მისმა ჰეტერამ, მის (დემეასის) ვაჟთან უღალატა მას და სახლიდან  
გაადებს ქრისიდას. მაგრამ უკანასკნელი იტანს ყოველგვარ დამცირე-  
ბას, ოლონდ ხიფათისაგან იხსნას პლანგო, და ამით ააშკარაებს  
თავის კეთილშობილებას. მაგრამ ბოლოს გაუგებრობა აიხსნება და  
ქრისიდას სიმართლეც დადასტურდება.

„დისკოლონია“. 1958 წელს ცნობილი გახდა მენანდრეს კომედიის Dyskolos  
შემკველი პაპირუსი. ეს კომედია უკვე ორჯერ გამოიცა. უკანასკნელად M e n a n -  
d r o s, Dyskolos hrsg von H. Melle. Göttingen 1960, 32 გვ. ჩვენამდე, სამწუხა-  
როდ, ჯერჯერობით არ მოუღწევია ბერძნული ტექსტის გამოცემას (რუსული თარგ-  
მანი იხ. Менаандр 1964, 37 — 99). მაგრამ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის მიხედ-  
ვით ვიცით შემდეგი:

- 1) ეს კომედია დაუდგამს მენანდრეს 316 წელს და პირველი ჯილდოც მიუღია.
- 2) ეს არის მენანდრეს ერთადერთი კომედია, რომელიც თითქმის მთლიანად  
არის მოღწეული (შეიცავს 1000 ტაეპამდე, აკლია მხოლოდ 9 ტაეპი).
- 3) ამ კომედიას დიდი გავლენა მოუხდენია მსოფლიო ლიტერატურაში: ძუნწის  
და მიზანთროპის ასახვით მიდის გზა პლატესკენ და ტურენციუსისაკენ, აგრეთვე  
მოლიერისაკენ.

(იხ. R. Schottlaender: Deutsche Literaturzeitung, 1960; გვ. 1076—1078).

მენანდრეს დანარჩენი კომედიების შინაარსის აღდგენისა და მათი  
სტრუქტურის შესახებ მსჯელობა ძნელია მასალების სიმცირის გამო.  
მაგრამ ზემოთ განხილული კომედიებიც საკმარისია იმისათვის, რომ  
წარმოვიდგინოთ ძირითადი ხასიათი მენანდრეს დრამატურგიული  
მოღვაწეობისა.

1. მენანდრეს არც ერთი კომედია არ აუგია მითოლოგიურ მასალაზე. თუ ზოგიერთი კომედიის სათაური მითურ ხასიათს ატარებს, ეს არ ამტკიცებს თვით კომედიის მითოლოგიურობას.

2. არც ერთ კომედიას არა აქვს სათაურად ცოცხალი პიროვნების სახელი. თვით კომედიებშიც გამოყვანილი არიან არა ცნობილი პირები, არამედ ზოგადად სინამდვილიდან აღებული ტიპები; მხოლოდ აღრინდელ კომედიებში მენანდრე, როგორც ჩანს, ეხებოდა თანამედროვეებს.

3. მენანდრეს კომედიის სიუჟეტებს საფუძვლად უდევს სამი მოტივი: ქალის გაუპატიურებისა, უკანონოდ შობილი ბავშვის გადაგდებისა და მშობლების მიერ შვილების გამოცნობისა. ყველაფერი ეს გამომდინარეობს ასალი კომედიის ძირითადი მოტივისაგან — სიყვარულის მოტივისაგან.

4. მენანდრეს კომედია (და ამით საბოლოოდ ჩამოყალიბებული „ახალი კომედია“) ენათესავება ევრიპიდეს ტრაგედიას როგორც სიუჟეტურად, ისე სტრუქტურულად.

5. ევრიპიდეს გავლენასვე უნდა მიეწეროს ის, რომ მენანდრეს ემარჯვება ხასიათის ფსიქოლოგიური ანალიზი. მენანდრეს გმირები ღრმად განიცდიან მახლობლის უბედურებას, რომელიც, მართალია. კომედიური ხლართით შექმნილი გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული, მაგრამ მოქმედი პირებისათვის იმ ზომამდე მძიმეა, რომ ზოგჯერ მათ თვითმკვლელობასაც კი აფიქრებინებს. მენანდრემ შესძლო ეჩვენებინა უბრალო ადამიანების გულისხმიერება, კეთილშობილება და დიდბუნებოვნება.

ასე დაამთავრა თავისი განვითარების გზა ბერძნულმა კომედიამ: ხალხური საგუნდო მხიარული სიმღერებიდან (ფალიკური სიმღერებიდან და კომოსიდან) მეხუთე საუკუნის დასაწყისში მან შექმნა გუნდურ-დრამატული ჟანრი, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე ბასრიარალს წარმოადგენდა გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეების საქადაგებლად როგორც მითურა და ფანტასტიკური, ისე რეალური სინამდვილის ფონზე, ხოლო მეოთხე საუკუნეში მან თანდათან ჩამოიშორა მითურ-ფანტასტიკური ელემენტი, ისევე როგორც პოლიტიკური სატირა, და, ბოლოს, იქცა რეალისტურ საყოფაცხოვრებო დრამად, რომელსაც ახლდა გუნდი როგორც მხოლოდ მუსიკალურ-ვოკალური ელემენტი.

ამ გზით ემსახურებოდა კომედია განუწყვეტლივ ორი საუკუნის მანძილზე ბერძნების პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. სააშკარაოზე გამოჰქონდა ამ ცხოვრების მახინჯი და სასაცილო მხარეები და მათ უპირისპირებდა კეთილშობილურსა და გულისხმიერს.

## თ ა ვ ი მ ე ა თ ე

### ბერძნული პროზა

#### § 90. ბერძნული პროზის განვითარების პირობები.

პროზა — მწერლობის ის დარგია, რომელიც პოეზიისაგან განსხვავებით თავისი რიტმიულობისათვის სალექსთწყობო ხერხებს კი არ მიმართავს, არამედ შინაგან რიტმზე აგებულ წყობილსიტყვაობას. რამდენადაც პოეზია ლექსთწყობას ემყარება, უკანასკნელი მას ხელს უწყობს მისი განვითარების გზაზე; სალექსო ფორმა აადვილებს თხზულის დამახსოვრებას; იგი დიდხანს რჩება ხალხში და ადვილად გადადის თაობიდან თაობაში ზეპირი გზით, და ამ გადასვლის პროცესში კიდევაც ახერხებს განვითარებას. პროზული თხზულება კი ძნელი დასამახსოვრებელია და, თუ მას ზურგს არ უმაგრებს დამწერლობა, მისი დაცვა და, მაშასადამე, განვითარებაც ძნელდება.

ამრიგად, დამწერლობის არსებობა და საწერი მასალის სიჭარბე აუცილებელი პირობაა პროზის განვითარებისათვის, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა, პროზის განვითარებისათვის საკმარისი; უფრო ღრმა სოციალური პირობები სწყვეტენ საკითხს პროზის განვითარების გზებისას.

ბერძნული ლიტერატურის აღმოცენება ხომ უკავშირდება ბერძენთა ცხოვრების იმ ეპოქას, როდესაც აზროვნებას უაღრესად მითოლოგიური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და ბუნების მოვლენათა ახსნას საფუძვლად ედვა ბერძენთა რელიგიური მებედულებები ღმერთების მიერ ამ მოვლენათა განსახიერების შესახებ. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ პირველი ნაწარმოებები ბერძენთა მხატვრული აზროვნებისა უკავშირდებიან ღმერთთა და გმირთა კულტებს, რომელთა თაყვანისცემის (და მათი სახით ბუნების მოვლენათა თაყვანისცემის) მიზნით ითხზებოდა სხვადასხვა სიმღერები.

ღროთა ვითარებაში ბერძენთა შორის ფეხს იკიდებს კრიტიკული მიდგომა ბუნების მოვლენებზე ძველი წარმოდგენებისადმი და საფუ-

ძველი ეყრება რეალისტურსა და მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. ჩნდება ე. წ. „პირველყოფილი სტიქიური მატერიალიზმი“, რომლის მიზანი იყო გაეგო ბუნება ისე, „როგორც ის არის, ყოველგვარი უცხო დანაშაულის გარეშე“.<sup>1</sup>

ეს გარდატეხა უნდა მომხდარიყო VIII — VII საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ბერძნებში დაიწყო საკოლონიზაციო მოძრაობა: ზღვაოსნობის განვითარება და უცხო ქვეყნების გაცნობა გადაასინჯვინებს ბერძნებს მათ ძველ წარმოდგენებს ბუნების მოვლენებზე და ხალხთა წარმომბაზე, აიძულებს მათ შეისწავლონ ბუნების მოვლენები და შესცვალონ ძველი ტრადიციული მითოლოგიური წარმოდგენები ახალი, მეცნიერული დასკვნებით. ამგვარად, საკოლონიზაციო მოძრაობის წიაღში ჩაისახება მეცნიერება, რომელიც გამოიყენებს პროზულ მეტყველებას წინაღობაზე ძველი მითოლოგიური ასროვნებისა. რომელიც ღმერთთა და გმირთა კულტს და მათ თაყვანის საცემად შეთხზულ პოეზიას უკავშირდებოდა.

ამავე საკოლონიზაციო მოძრაობას უკავშირდება საჭიროება სხვადასხვა ქვეყნების გაცნობისა, იმ ქვეყნებისა, რომლებშიც მიდიან ბერძნები საკოლონიზაციო მიზნით, საჭიროება ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების და ისტორიული წარსულის შესწავლისა.

ასე გაჩნდა საკოლონიზაციო მოძრაობასთან დაკავშირებით ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებები: და ბუნებრივია, რომ ეს თხზულებები გაჩნდებოდა საბერძნეთის იმ კუთხეში. რომელიც პირველი ჩაება საკოლონიზაციო მოძრაობაში. ეს ქვეყანა იყო იონია (იხ. ზემოთ, გვ. 77). მართლაც, პირველი ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებები იწერება იონიაში.

VII — VI საუკუნეებში ეს თხზულებები საკმაოდ პრიმიტიულია. ფილოსოფიურ თხზულებებში „დიალექტიკური აზროვნება ჯერ კიდევ პირველყოფილი უბრალოებით გამოდის... ვინაიდან ბერძნები ჯერ კიდევ არ მისულან ბუნების დანაწევრებამდის, ანალიზამდის, ამიტომ ბუნებას ისინი ჯერ კიდევ განიხილავენ როგორც მთელს, საერთოდ და მთლიანად. ბუნების მოვლენათა საყოველთაო კავშირი ცალკე ნაწილებში არაა დამტკიცებული: ბერძნებისათვის იგი უშუალო ჰერკეტის შედეგია“.<sup>2</sup>

ისტორიული თხზულებებიც ვერ დგას ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე: ისინი არ წარმოადგენენ „ისტორიას“ ამ სიტყვის იმ

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XVI. გვ. 498, 651; „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1937, გვ. გვ. 208, 233.

<sup>2</sup> ფრ. ენგელსი: „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 226.

მნიშვნელობით, როგორც დაუმკვიდრდა მას V საუკუნიდან. VII — VI საუკუნეთა ისტორიული თხზულებები პირველ ხანებში აღწერდნენ ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებსა და ისტორიულ წარსულს მითების მიხედვით და არა საისტორიო წყაროების და მათი ანალიზის საფუძველზე.

ასეთი ხასიათისა იყო საფილოსოფიო და საისტორიო პროზა VII — VI საუკუნეებში. V საუკუნიდან როგორც ერთი, ისე მეორე აღწევს განვითარების მაღალ დონეს. ფილოსოფიურ აზროვნება ქმნის V — IV საუკუნეებში ძირითად ფილოსოფიურ სისტემებს და ამ დროს „ბერძნული ფილოსოფიის მრავალფეროვან ფორმებში მსოფლმხედველობის თითქმის ყველა შემდგომი ტიპია მოცემული ჩანასახში, წარმოშობაში“.<sup>1</sup> ხოლო ისტორიოგრაფია მკვიდრ საფუძველზე აგებს ისტორიულ პროცესთა გადმოცემას: აღწერას უძღვის წინ მასალების ანალიზი, ისტორიულ მოვლენათა მიზეზების გამორკვევა და შედეგების დაკავშირება ამ მიზეზებთან.

პროზის ამ ორი დარგის, საფილოსოფოსო და საისტორიო პროზის გარდა განვითარდა აგრეთვე მესამე დარგიც — რიტორიკული პროზა. ის განვითარდა შედარებით უფრო გვიან, პოლისების განვითარების შედეგად.

§ 21. უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები. ძველი ბერძნული ფილოსოფიის მიზანი იყო ბუნების მოვლენათა გარდაქმნის შეცნობა, შეცნობა მათი აღმოცენებისა, გაქრობისა და გარდაქცევისა ერთიმეორეში. ეს მიზანი ჰქონდა მითოლოგიასაც („მითოლოგიური ფილოსოფია“) და იმ მეცნიერებასაც, რომელიც VII — VI საუკუნეებში მითოლოგიური აზროვნების შესაცვლელად გამოდის ასპარეზზე. თუ მითოლოგიური ფილოსოფია სვამდა კითხვას, თუ რა იყო წინათ, და პასუხად მოუთხოვდა ღმერთთა შორის წარმოებულ ბრძოლაზე და ამ ბრძოლის წიაღში წარმოქმნილ ბუნების მოვლენებზე (ასეა, მაგალითად, ჰესიოდეს „თეოგონიაში“), მეცნიერულ ფილოსოფიას აინტერესებდა არა წარსული, არამედ შეგრძნებადი ყოფის არსებითი საფუძველი და მიზნად ისახავდა, ცალკეულ მოვლენათა მუდმივი ცვალებადობის გამო, მოეძებნა ის საწყისი (ἀρχή), რომელიც ამ ცვალებადობაში მარადიული რჩებოდა. ამ მეცნიერებამ წამოაყენა ცნება მსოფლიო მატერიისა, რომელიც ყველა ნივთად გარდაიქცევა ხოლმე და რომელსაც ყველა ნივთი უკან უბრუნდება.

ამგვარად, ეს მეცნიერება პირველ რიგში არის ბუნების მეცნიერება, ბუნებისმეტყველება. და მისი უძველესი წარმომადგენლები (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე) — ბუნებისმეტყველნი არიან.

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი: „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 226.

თალესი მოღვაწეობდა VII საუკუნის მეორე ნახევარში და VI საუკუნის პირველ ნახევარში. მსოფლიოს საწყის და ძირითად ნივთიერებად მან გამოაცხადა წყალი. არისტოტელეს თქმით (მეტაფიზიკა I, 3. 983 ბ 28 შმდ.) თალესის ეს დებულება დაკავშირებული უნდა იყოს ძველ კოსმოგონიურ წარმოდგენებთან, რომელთა მიხედვით ოკენანე უძველესი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. სიმართლესთან ახლო იქნება, თუ ვიტყვით, რომ თალესის ეს დებულება უკავშირდება იონიელთა საერთო წარმოდგენას: მეზღვაური იონიელისათვის მთავარ ძალას წარმოადგენდა ზღვა-წყალი, რომლის ორი დერივატი (მაგარი — მიწა, აირებრი — ჰაერი) წყალთან ერთად ხსნიდა მთელი მსოფლიოს შემადგენლობას. ასეთი იყო თალესის ფიზიკა.

მეორე იონიელი, ანაქსიმანდრე (611 — 547, მილეტელი), იძლევა უფრო სხვაგვარ ახსნას. მან მსოფლიო საწყისის ძებნა სამყაროში არსებულ რომელიმე განსაზღვრულ ნივთიერებაში კი არ დაიწყო, როგორც თალესმა; მისი აზრით, მსოფლიოს საწყისი განუზომელია (ἀπειρος რიცხობრივად, ხოლო თვისობრივად განუსაზღვრელია, უკვდავია. ამ რაღაც გაურკვეველი საწყისიდან, რომელიც ერთსა და იმავე დროს) სითბოსაც და სიცივესაც შეიცავს, წარმოქმდგარია სისველე, საიდანაც ვღებულობთ: გაშრობით მიწას, აორთქლების გზით ჰაერსა და შემდეგ ცეცხლს. ამრიგად, მსოფლიოს ვღებულობთ წინააღმდეგობათა შეერთების გზით.

ანაქსიმენეს სახით (დაახლ. 588 — 524 წწ.) იონიური ფილოსოფია ისევ ძველებურ ფიზიკას უბრუნდება. ანაქსიმენე კვლავ ემპირიაში ეძებს მსოფლიოს საწყისს. მაგრამ ანასიმანდრეს აზრებმა გავლენა მოახდინეს: რახან საწყისი უსაზღვრო ყოფილა, მაშ ასეთი შეიძლება იყოს არა წყალი, როგორც თალესი ამბობდა, არამედ ჰაერი, რომელიც გაფართოების გზით იძლევა ცეცხლს, ხოლო შეკუმშვის გზით იძლევა წყალს, მიწას, ქვებს.

ამ პირველ იონიელ ბუნებისმეტყველთა („ნატურ-ფილოსოფოსთა“) უშუალო გამგრძელებელია ჰერაკლიტე ეფესელი (VI — V საუკ.). ის თავის თხზულებაში „ბუნების შესახებ“ (Περὶ φύσεως) იყენებს თეორიას ყველაფრის ცვალებადობის, დენადობის, მოძრაობის შესახებ, გამოთქმა ყველაფერი მიმდინარეობს ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ძირითად დებულებად ითვლებოდა ძველადვე და პლატონიც „კრათილში“ (402a) გადმოგვცემს: «ჰერაკლიტე ამბობს, რომ ყველაფერი მოძრაობს და არაფერი არ რჩება».

თუ ყველაფერი მოძრაობაშია, მაშასადამე, ის არსებობს და არც არსებობს; ყველაფერი, რაც არსებობს, მუდმივ ცვალებადობაშია,



ჯადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში, თავის საწინააღმდეგო მდგომარეობაში.

ასეთი შეხედულება სამყაროზე, მის მუდმივ ცვალებადობაზე და იქ მსუფვე მარადულ მოძრაობაზე მართებულად არის აღიარებული ჩვენს მეცნიერებაში. „თუ ჩავუყვირდებით ბუნებას, ადამიანის ისტორიას, ან ჩვენს საკუთარ სულიერ მოძრაობას, ერთი შეხედვით წარმოგვიდგება სურათი იმ შეერთებათა და ურთიერთ ქმედობათა უსასრულო ხლართისა, რომლებშიც არაფერი არ ინარჩუნებს თავის პირვანდელ ხასიათს, ადგილსა და ძღებარეობას, არამედ ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, აღმოცენდება და ისპობა. ეს პირველყოფილი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე უკვე ძველმა ბერძნულმა ფილოსოფიამ შეიმუშავა და თავდაპირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოთქვა: „ყოველივე არის და არც არის, იმიტომ, რომ ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, მუდმივ იქმნება და ისპობა“.<sup>1</sup>

ამგვარად, ჰერაკლიტეს აზრით, ბუნება წინააღმდეგობათა მრავლობაა, მაგრამ ამ წინააღმდეგობათა შეცნობა იმიტომ ხდება შესაძლებელი. რომ გარდა მოწინააღმდეგეთა წევრებისა არის რაღაც მესამე, რაც ამ შეცნობის საშუალებას იძლევა. ამ რაღაც მესამეს ჰერაკლიტეს ფრაგმენტებში ეწოდება ხან „ლოგოსი“, ხან „ზევისი“, ხან „ბრძნული“ ან „სიბრძნე“.

ეს ლოგოსი ან სიბრძნე, ესე იგი ის ერთი. რომელიც ბუნებაში არსებულ წინააღმდეგობათა შეცნობას შეგვაძლებინებს და რომელიც საზოგადოა ყველა მოვლენისა და საგნისათვის და, მაშასადამე, მსოფლიოს საფუძველს წარმოადგენს, არის ცეცხლი (πῦρ): მისგან წარმოიქმნება ყველაფერი, მასში ჯადადის ყველაფერი.

ჰერაკლიტეს მოძღვრების ისტორიული მნიშვნელობა დიდია. ეხება რა ძველი დროის ფილოსოფოსის — ჰერაკლიტეს მატერიალისტურ შეხედულებას, რომლის მიხედვით «სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, შექმნილი არ არის არც ერთი ღმერთისაგან და არც ერთი ადამიანისაგან, არამედ იაო, არს და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება», — ლენინი ამბობს: ეს «ღიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა».<sup>2</sup>

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი: „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“. გვ. 204 — 207.

<sup>2</sup> ლენინი, ფილოსოფიური რვეულები, გვ. 318 [1947 წლის გამოცემა გვ. 294].

## მოგვყავს ჰერაკლიტეს ზოგიერთი გამონათქვამი:

ფრგ. 49. ჩემთვის ერთი უდრის ათათასს, თუ იგი საუკეთესოა.

ფრგ. 49ა. ერთსა და იმავე მდინარეში ჩავდივართ და კიდეცა არ ჩავდივართ; ვარსებობთ კიდეცა და არც ვარსებობთ.

ფრგ. 61. ზღვის წყალი უწმინდესიც არის და უწმინდურიც; თევზთათვის სასამელია და სასიცოცხლო, ადამიანთათვის არასასმელა და მომაკვინებელი.

ფრგ. 99. მზე რომ არ ყოფილიყო, მიუხედავად სხვა მნათობებისა, დამე იქნებოდა.

ფრგ. 101 ა. თვალები უფრო სანდო მოწმეები არიან, ვიდრე ყურები.

ფრგ. 116. ყველა ადამიანს შეუძლია შეიცნოს თავისი თავი და გონიერი იყოს.

ფრგ. 127. თუ ღმერთები არსებობენ, რატომღა დასტორით მათ? თუკი დასტორით მათ, ნუღარ თვლით ღმერთებად.

ფრგ. 135. უმოკლესი გზა სახელის მოსახვევად ის არის, რომ კარგი იყო.

ზემორე განხილულ უძველეს ფილოსოფოსებთან ერთად ჯონდს მოვიხსენიოთ ის ფილოსოფოსებიც, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ლექსით სწერდნენ: ქსენოფანე, პარმენიდე და ემპედოკლე.

ქსენოფანე კოლოფონელი (VI საუკ.) წერდა ელეგიური დისტიქებით. მოღწეულია ნაწყვეტები მისი პოემისა „ბუნების შესახებ“.

პარმენიდე (VI — V საუკ.), ქ. ელეიდან (სამხრეთ იტალია), თავის მოწაფეებთან, ძენონთან და მელისოსთან ერთად, ელეის სკოლის მოძღვრების ჩამომყალიბებელია და იყენებს თავის შრომაში „ბუნების შესახებ“ დაქტილურ ჰეგზამეტრს.

ემპედოკლე აკრაგანტელი (485 — 425) უძველეს იონიელ მატერიალისტთა მოძღვრების გამგრძელებელია და მსოფლიოს საუფუძვლად თვლის ოთხ ელემენტს: ცეცხლს, წყალს, მიწას და ჰაერს. მისი შრომაც („ბუნების შესახებ“) დაქტილური ჰეგზამეტრით არის დაწერილი.

ამ ოთხ ელემენტს კარგად იცნობს ნეოპლატონიკოსების ფილოსოფია, იცნობს ქართული ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწიც, რომელიც თავის „განმარტებაში“ ხშირად ეყრდნობა მოძღვრებას ოთხ ასოზე, ოთხ იუმირზე;

„არა რომელი ამით ოთხთა კჳოვო უზადო და უზიარებელ ერთი ერთსაგან. რამეთუ ქუეყანასაჲ შორის იხილვების ცეცხლი, ვითა ქუთთა და რკინასა, და ცეცხლსაჲ შორის ნაწილი ქუეყანა ისაჲ, და ესთავე აირსა და წყალსაჲ... (იოანე პეტრიწის შრომები, II 12, 24 — 27);

„და უღალდ ოთხნიცა ესე ასონი ნაწილებით ექმნებიან და იხრწნებიან და არა ყოვლობით; რამეთუ ნაწილი იხრწნა ცეცხლისაჲ, და გაქუეყანდა, დაივსო რაჲ მის შორის სიმხურვალე; და ნაწილი იხრწნა წყლისაჲ გაჰაერდა რაჲ და დაავდო თვისი სიგრილე; და აგრეთვე ნაწილი იხრწნა აირისაჲ და არა ყოვლობა, დაავდო რაჲ თვისი სიმხურვალე“ (იქვე II 119; 3 — 8).

ემპედოკლე ამ ოთხი ელემენტიდან გამოჰყოფდა ცეცხლს და უპირისპირებდა მას დანარჩენ სამს (არისტოტელე, მეტაფიზიკა, I, 4: 985-ა 32). ამ აზრის ანარქელი იოანე პეტრიწისაც მოეპოვება: „მქმნელად იტყვის, რომელსაჲცა უფროას არსთადა დრასტირიაჲ ჰქონდის მოქმედებაჲ და უძქობესი, ვითარ ყოველთა

ციერთა ქუეყნიერთაჲსა და ვითარ ცეცხლსა სხუათა კავშირთაჲსა“ (იქვე, II 41, 15—18). საგულისხმოა, რომ ემპედოკლეს შემდეგ სხვა დაჯგუფებაჲ მოუხდენია: მას გამოუყვია ცალკე ცეცხლი და ჰაერი, როგორც სითბოს და სიმძირალის მატარებელი, და ისინი დაუპირისპირებია დანარჩენი ელემენტებისათვის. ასევე მსჯელობს პეტრიწი: „...ვითარ ესე ამათ ოთხთა ასოთა მიერთა ზედა ინილ-ვების; რამეთუ ცეცხლი და აირი უმჯობეს შედგამილთა შორის, და მათ მიერთა რომელთაჲ უმატებულეს ვითარ უფრო დრასტირიაჲ“ (იოანე პეტრიწის შრომები, II 106, 21 — 24).

§ 92. ბერძნული ფილოსოფიური პროზა V — IV საუკუნეებში. წინა საუკუნეების ფილოსოფიური პროზის განსილვამ დაგვანახვა, რომ ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება ჩაისახა და განვითარდა მცირე აზიის იონიელებში, რომელთაც, დანარჩენ ბერძნულ მხარეებთან შედარებით, ყველაზე აღრე გაუჩნდათ საჭიროება ბუნების მოვლენები მეცნიერულად შეესწავლათ და, საკოლონიზაციო მოძრაობასთან დაკავშირებით, ამის შესაძლებლობაც უფრო ძეტი ჰქონდათ, ვიდრე სხვებს.

მეექვსე საუკუნის ბოლოდან მოკიდებული მცირე აზიის იონიას მეცნიერებისა და იდეოლოგიის სფეროში შესცვლის ბალკანეთის საბერძნეთი და, უპირატესად, ათენი.

ამ პერიოდის ბერძნულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და საფილოსოფიო პროზაში დამახასიათებელია: 1. ჩამოყალიბება გარკვეული მიმართულებებისა — მატერიალიზმისა და იდეალიზმისა, ისევე როგორც მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა მერყევი მიმართულებისა; 2. საფილოსოფიო პროზის განმდიდრება მხატვრული ელემენტებით; 3. ახალი პროზული ფორმის — დიალოგის შემოტანა.

მატერიალისტური მიმართულების წარმომადგენლები არიან: ლევკიპე, დემოკრიტე, ეპიკურე.

ლევკიპე ატომისტური სკოლის დამაარსებლად ითვლება.

ლევკიპეს ნაწარმოებები, რომელთაგან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია მოღწეული, ყოფილა *Μέγας δόξασμος* „დიდი სოფლშენება“ და *Πείρισυς* „გონების შესახებ“. მისი ფილოსოფია ემყარება ერთი მხრით მოძღვრებას ელემენტების სკოლისას, მეორე მხრით — იონიელ (მილეტელ) ფიზიკოსებისას. არისტოტელე ასე ახასიათებს ლევკიპეს მოძღვრებას: «ლევკიპე და მისი მეგობარი დემოკრიტე ელემენტებად. (σπειραί, „კავშირნი“, „ასონი“) აღიარებენ „სრულსა“ და „ცარიელს“. ერთს უწოდებენ მყოფს, მეორეს — არმყოფს; ამათგან სრული და მკვრივი არის მყოფი, ცარიელი არის არმყოფი, ხოლო მყოფთა მიზეზია ესენი როგორც ნივთიერება (მატერია, *μήτηρ*)!»<sup>1</sup>. მატერია კი

<sup>1</sup> არისტოტელე, მეტაფიზიკა, I, 4; 985 ბ 4; ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა („მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 231).

შედგება უამრავი, უხვი და განუყოფელი ნაწილებისაგან, ატომები ისაგან (ბერძ. ἄτομος „განუყოფელი“). ეს ატომები წარმოადგენენ რეალობას, ნივთთა წარმოშობის მიზეზს. „ლევკიპემ პირველმა იგულისხმა, რომ ატომები ელემენტებია... ის ამბობს, რომ მათგან უსაზღვრო სამყარონი წარმოიშვებიან და ისევ იმადვე იშლებიან“<sup>1</sup>.

ლევკიპეს მოძღვრება ატომების შესახებ უფრო ღრმად განავითარა დემოკრიტემ.

§ 93. დემოკრიტე დაიბადა 460 წ. აბდერაში (თრაკიაში). ქვეყნების გაცნობისა და თავის ცოდნის გაღრმავების მიზნით მას ბევრი უმოგზაურია: ყოფილა ეგვიპტეში, ბაბილონიში; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოუწინააღმდეგებია ათენიც. მისი მასწავლებელი ყოფილა ლევკიპე. გარდაცვლილა დაახლოებით 380 წელს.

არისტოტელეს წინადროინდელ ფილოსოფოსთაგან დემოკრიტე აღიარებულია ყველაზე უფრო ღრმა და მრავალმხრივ მეცნიერად, მახვილგანიერ მოაზროვნედ და იშვიათი ნათელი მსჯელობის ადამიანად. არისტოტელეს ხშირად მოჰყავს მისი აზრები და მალაღ შეფასებას აძლევს მათ (პლატონს კი არსად არ ჰყავს მოხსენებელი დემოკრიტე); კ. მარქსმა სპეციალური გამოკვლევაც კი უძღვნა მას, თავისი სადოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

დემოკრიტეს მეცნიერული მუშაობა მრავალმხრივი იყო: მას ჰქონდა შრომები ეთიკის, მათემატიკის, მედიცინისა და სხვა დარგებიდან; უწერია აგრეთვე მუსიკაზე და პოეზიაზე. მაგრამ ყველაფერი ეს კერძო ხასიათის გამოკვლევები იყო; მთავარი კი დემოკრიტეს შემოქმედებაში იყო მისი ატომისტური თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო მის დანარჩენ გამოკვლევებს.

დემოკრიტე ატომისტური თეორიის მთავარი წამომადგენელია. ლევკიპეს მიერ საფუძველჩაყრილი თეორია მან იმდენად განავითარა და მრავალმხრივ გაშალა. რომ მოწაფემ დაჩრდილა მასწავლებელი და ლევკიპეს აზრებიც დემოკრიტესეულ სამოსელში გადმოგვცა.

თუ პარმენიდე ამტკიცებდა — ბუნება არ არსებობს, იგი მხოლოდ მოჩვენებააო, დემოკრიტე საწინააღმდეგო დებულებას აყენებდა: ბუნება ნამდვილად არსებობს და ქემმარტიად არსებობენ ის საგნებიც, რომლებისგანაც ბუნება შედგება. სინამდვილეა და არა მოჩვენება აგრეთვე მოძრაობა და მრავლობა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია საგნები. ხოლო მოძრაობა და მრავლობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის ცარიელი სივრცე, სიცარიელე (არარაობა).

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა („მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 231).

დემოკრიტეს აზრით, საგანთა საფუძველია მატერია, რომელიც შედგება უამრავი მცირე ნაწილაკებისაგან, ატომებისაგან: ეს ატომები მუდმივ მოძრაობაშია და ერთიმეორისაგან გამოყოფილია სიციარიელთ. ნივთიერების ყოველ ნაწილში, ამგვარად, არის ატომებიც და სიციარიელეც. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიციარიელეს ატომებისათვის: ატომთა მოძრაობის აუცილებელი პირობაა სიციარიელე. მაშასადამე, სიციარიელეც (არარაობა) ისეთივე რეალობაა, როგორც ატომი.

დემოკრიტეს ეთიკა ბუნების კანონთა ცოდნაზეა დამყარებული. ცოდნა შეგნებინებს ადამიანს ბუნების მოვლენათა სინამდვილეს, ცოდნის შემწეობით გაქრება შიში ამ მოვლენების წინაშე, გაქრება ის ტრუმორწმუნეობაც, რომელიც ადამიანს ეგზომ უშლის ხელს ცხოვრებაში.

ცხოვრების მიზანია კარგად ყოფნა; კარგად ცხოვრება ნიშნავს იმას, რომ გქონდეს მეტი სიხარული და ნაკლები მწუხარება; ამვე დროს კარგად ყოფნას ესაჭიროება სულიერი სიმშვიდე. კარგად ყოფნის პირობაა ზომიერება.

დემოკრიტეს მოძღვრების მიმდევარი იყო ეპიკურე (341 — 270), რომლის მოღვაწეობა უკვე ელინისტურ ეპოქას განეკუთვნება (იხ. ქვემოთ, § 119).

§ 114. პლატონი (427—347). ზემოთ განხილულ მატერიალისტ-ფილოსოფოსებს უპირისპირდება პლატონი, ავტორი იდეალისტური მოძღვრებისა და მოსისხლე მტერი ათენის დემოკრატიისა.

პლატონი, ძე არისტონისა და პერაქტიონისი, დაიბადა ათენში 427 წელს. წარჩინებული შთამომავლობისა იყო. მისი წინაპრები მეფე კოდრეს სთვლიდნენ თაიანთ მამამთავრად. სწავლობდა მუსიკას, მათემატიკას, ხატვას; სიყრმეშავე სწერდა ლექსებს, დითირამებსა და ტრაგედიებს. 408—399 წლებში სწავლობდა სოკრატესთან, რომლის უახლოესი მეგობარი და მოწაფე იყო. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ გაიქცა მეგარაში. შიმდეგ იმოგზაურა; მოიარა კვირენე, ეგვიპტე-იტალია და სიცილია. ათენში დაბრუნებისას, 386 წელს, სკოლა გახსნა აკადემოსის ქალაში, ე. წ. აკადემია: აქ იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და მოწაფეები და მსჯელობდნენ ფილოსოფიურ საკითხებზე მსგავსად იმისა, როგორც სოკრატე თავის მოწაფეებთან საუბრობდა. პლატონი გარდაიცვალა 347 წელს.

პლატონის სახელით ჩვენამდე მოღწეულია 42 დიალოგი, 12 წერილი და რამდენიმე შპოი („განსაზღვრებანი“).

პლატონის მოძღვრებით, შეგარძნებადი საგნები და მოვლენები სინამდვილეში კიდევაც არსებობენ და კიდევაც არ არსებობენ. ეს საგ-

ნები იბადებიან და ისპობიან, იცვლებიან და მოძრაობენ, მათში არაფერია მყარი და ჭეშმარიტი. ეს შეგარძნებადი საგნები არსებულად გვეჩვენება იმ მიზეზების გამო რომელთა შეცნობა მხოლოდ გონებით შეიძლება. ამ საგნებსა და მოვლენებს ჩვენ შევიგარძნობთ იმიტომ, რომ არსებობენ ამ საგნებისა და მოვლენების მიზეზები, ე. წ. ი დ ე ე ბ ი (მათი მიწვდომა მხოლოდ გონებით შეიძლება), რომელთა ანარეკლსაც წარმოადგენენ ჩვენ მიერ შეგარძნებული საგნები და მოვლენები. ამ უკანასკნელებთან შედარებით „იდეები“ მუდმივი და მყარია: ისინი არ წარმოიშვებიან და არც ისპობიან, მათი არსებობა არ არის დამოკიდებული არც დროზე, არც სივრცეზე. თითოეული „იდეის“ ერთეობა განსახიერდება შეგარძნებადი ნივთების სიმრავლეში. ამგვარად. პლატონის კონცეფციაში ჩამოყალიბებულია ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი სამყარო: „იდეები“ და „ნივთები“ („მატერია“), ყოფიერება და არაყოფიერება. მაგრამ ეს ორი სამყარო არა თუ დაპირისპირებულია ერთიმეორეს, არამედ აღიარებულია, რომ ყოფიერება („იდეები“) პირველია.

ეს ურთიერთობა „იდეებსა“ და შეგარძნებად ნივთებს შორის მიუყენა პლატონმა ცხოვრების ყველა მოვლენასა და საკითხს. და თითოეულ მოვლენასა თუ საკითხს უძღვნა ცალკე დიალოგი. აი, მაგალითად, დიალოგში „სახელმწიფო“ პლატონმა შექმნა თავისი იდეალისტური კონცეფცია სახელმწიფო წყობილების შესახებ და მოგვცა თეორია იდეალური სახელმწიფოსი, ამ თეორიაში პლატონი გვევლინება როგორც სოციალური უტოპიის შემქმნელი. მისი აზრით, დემოკრატიამ დაღუპა ათენი, ვინაიდან დემოკრატიას აკლია სრულყოფა. რომ შექმნა კარგი სახელმწიფო, უნდა იყო აღჭურვილი სიკეთით, სამართლიანობით, ვაჟკაცობით. ემპირიულ სამყაროში კი, სადაც საქმე გვაქვს ცვალებად ნივთებთან, არ შეიძლება არსებობდეს აბსოლუტურად სამართლიანი ადამიანი, ვაჟკაცი, სათნო. ადამიანის შეგარძნება ასახავს მხოლოდ აჩრდილს ჭეშმარიტი არსისას, უკვდავისას. აბსოლუტურად არსებობს მხოლოდ იდეა, ეს არის არსი თავისთავად, ურომლისოდაც ცოდნა საფუძველმოკლებულია, იდეათა სამყაროა მხოლოდ რეალური. სხვა არაფერი. ხოლო ის, რასაც ჩვენ რეალობას ვეძახით, ეს არის მუდმივ იდეათა შეგარძნება და ასახვა. ამ იდეათა სათავეშია სიკეთის იდეა. ამ იდეათა შეცნობა არის ნამდვილი ცოდნა; ის გონება მიიღებს ნამდვილ ცოდნას, რომელიც განთავისუფლდება გარძნობების საშუალებით მიღებული წარმოდგენებისაგან. თუ გონება დიალექტიკის გზით იდეათა შეცნობას მიაღწევს, ეს იქნება ნამდვილი ცოდნა, თუმცა ზოგი რამ ადამიანს ეცნობება გარეშე ასეთი ცოდნისა, ინტუიციით ან ღმერთის ნების შეტყობინებით.

ამ იდეებით უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა პრაქტიკულ ცხოვ-

რებაში. სახელმწიფოც, ადამიანთა კოლექტივიც, უნდა მოეწყოს ამ იდეათა საფუძველზე, ხოლო ვინაიდან იდეათა გაგება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შესწევს უნარი ფილოსოფიური კვრეტისა, ამიტომ სახელმწიფოს აგებაც შეუძლია მხოლოდ ფილოსოფოსს, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს იდეალურ სახელმწიფოს.

პლატონის კონცეფცია „იდეათა“ შესახებ მშვენიერად დაახსიათა არისტოტელემ თავის „მეტაფიზიკაში“ (I 6). ის ამბობს: ახალგაზრდობაშივე დაუახლოვდა პლატონი კრატელს და შეითვისა პერაკლიტეს აზრები, რომელთა მიხედვით ყველა შეგარძნებადი საგანი მუდმივ დენდობაშია: ცოდნა მათ შესახებ არ არსებობს... შემოგვაც პლატონი ამ აზრებს მისდევდა. მაგრამ რადგან სოკრატე ეთიკის საკითხებს იკვლევდა, ხოლო ბუნებას, მის მთლიანობაში, არ ეხებოდა, აღნიშნულ საკითხებში იძიებდა საერთოს და პირველმა წარმართა მსჯელობა ზოგად განსაზღვრებებზე — პლატონმაც შეითვისა სოკრატეს აზრი და აღიარა, რომ ასეთი განსაზღვრებათა საგანი რაღაც სხვაა და არა შეგარძნებადი საგნები ვინაიდან არ შეიძლება მისცე ზოგადი განსაზღვრება შეგარძნებად საგნებს, რამდენადაც ეს საგნები ზედმიერ ცუდლებიან. ასეთმა მსჯელობამ მიიყვანა პლატონი იმ დასკვნამდე, რომ ასეთ მყოფობას (რეალობას) უწოდა „იდეა“. ხოლო რაც შეეხება შეგარძნებად საგნებს, მათ შესახებ თქვა — ამ საგნებზე ლაპარაკია ხოლმე იდეებისაგან განცალკევებით და ამავე დროს მათთან (იდეებთან) შეფარდებით, ვინაიდან საგანთა სიმრავლე არსებობს იმის ძალით, რომ ეს საგნები ეზიარებიან იდეებსო.

ამგვარად, არისტოტელეს აზრით, პლატონი პერაკლიტეს მოძღვრებას დაცმარა ხოლო თვით შეუძლებლად სცნო შეგარძნებადი საგნების შეცნობა; ზოგადი ცნებების კვლევამ მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ არსებობს საგანგებო რეალობა — იდეა, რომელიც განსხვავდება შეგარძნებადი საგნებისაგან. ხოლო შეგარძნებადი საგნები არსებულად გამოაქვდა მხოლოდ იდეებთან ზიარების საფუძველზე. ეს არის, როგორც აღნიშნა ლენინმა, «мистический вздор», архиподпорная мистика идей» («Философские тетради», изд. 1947 г., стр. 26).

არისტოტელეს სიტყვებიდან ჩანს, რომ პლატონის ფილოსოფიის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენდა სოკრატეს (470 — 399) მოძღვრება. რამდენადაც სოკრატეს არაფერი არ დაუწერიდა, ამდენად მას ლიტერატურის ისტორიაში სპეციალურ ადგილს არ უთმობენ; მაგრამ ცნობილია რომ სოკრატე პირველი იყო, რომელმაც მატერიალისტურ მოძღვრებას იდეალისტური კონცეფცია დაუპირისპირა და ამ კონცეფციას ენერგიულად აერცულებდა თავის მერა შექმნილ ფილოსოფიურ წრეში: ყველგან მოედნება და ქუჩებზე, და კერძო ბინებში უნერგავდა ის მის გარშემო შემოკრებულ ახალგაზრდა არისტოკრატებს თავის ახალ აზრებს. სოკრატეს მოძღვრებაში ახალია შემეცნების თეორიის პრობლემის დასმა ამ პრობლემას სოფისტებიც აყენებდნენ, მაგრამ იპინი რელატივისტურად სწყვეტდნენ მას. სოკრატე კი ამტკიცებდა ობიექტური კვების არსებობას და პირველ ყოვლისა, ეთავის სფეროში აღიარებდა ამ ობიექტური კვების არსებობის საჭიროებას: მაღალი ზნეობა და ობიექტური კვშიარიტება, სოკრატეს აზრით, ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო მაღალი ზნეობის მიღწევა და, მაშასადამე, შეცნობა სამართლიანობისა, კანონიერებისა, სიკეთისა შეიძლება ორი დებულების აღიარებით: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“ და „შეიციან საკუთარი თავი“. რაც მიიყვანს კაცს უმაღლესი სიკეთის შეცნობამდე. აღიარებდა რა საფუძველად ზოგად ეთიკურ ცნებებს, სოკრატე უპირისპირებდა მათ შეგარძნებად საგნებს.

როგორც „სახელმწიფოში“ პლატონი სახელმწიფო წყობილების თემაზე ლაპარაკობს, სხვა დიალოგებშიც შლის თავის იდეალისტურ კონცეფციას ამა თუ იმ თემაზე. მაგალითად, „სიმპოსიონი“ მიძღვნილი აქვს სიყვარულის თემას, „კრიტოსი“ კანონიერებას ეხება, „გორგია“ — ზნეობასა და რიტორიკას, „თეეტეტი“ — შემეცნების თემას, „ფედონში“ სულის საკითხზე ლაპარაკობს და სხვ.

ნათქვამის თვალსაზრისით ყველაზე უკეთეს დიალოგად ითვლება „სიმპოსიონი“, რომლის თემა ტ რ ფ ო ბ ა.

საუბარი სიყვარულის თემაზე მომხდარა ტრაგიკოს აგათონის სახლში. აგათონს 416 წელს ტრაგიკოსთა შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვების გამო გაუძარტავს ნადიმი.

სოკრატე დაპატრონიებული ყოფილა აგათონთან, გზად შეხვედრია არისტოლემ და თან წაუყვანია. აგათონთან შეკრებილი ყოფილან ამხანაგები: ფედროსი, პავსანია, ერკსიმაქე, არისტოფანე. ალკიბიადე. ფედროსს წინადადება შემოუტანია — ე რ ო ს ი ვადიდოთო (ყველა ღმერთს ასხამენ ხობტას, ეროსის ქება კი არავის უფიქრია, იმ დროს, როდესაც ეროსი, ჩემის აზრით, ყველაზე დიდი ღმერთიაო) და დამსწრენაც რიგ-რიგობით წარმოსთქვამენ სიტყვებს ეროსის სადიდებლად.

„სიმპოსიონის“ მთავარი ადგილი, სადაც გატარებულია პლატონის კონცეფცია, მოცემულია დიოტიმას და სოკრატეს საუბარში. ტრფობა — დიოტიმას განმარტებით — არის მისწრაფება სიკეთისაკენ; ამავე დროს ტრფობა არის მისწრაფება წარმომობისა და დაბადებისაკენ მშვენიერებაში. ამით მოკვდავის ბუნება ცდილობს გახდეს უკვდავი და მუდმივი. ამის მიღწევა კი მას შეუძლია მხოლოდ ახალი თაობის გაჩენით, რომ მუდამ სტოვებდეს სხვა ახალ არსებას ნაცვლად ძველი არსებისა. ამიტომაც არის, რომ ყოველ არსებას ამ უკვდავების მისაღწევად თან სდევს ტრფობა („სიმპოსიონი“, 206ა — 208ბ).<sup>1</sup>

საუბრადღებოა პლატონის აზრები ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე, რომლებიც მას გამოთქმული აქვს დიალოგში „სახელმწიფო“. პლატონის აზრით ხელოვნების ნაწარმოებო არის მიბაძვა ცხოვრებისადმი, მიბაძ-

<sup>1</sup> პლატონის „სიმპოსიონში“ დიოტიმასა და სოკრატეს საუბარში განვითარებული ეს დებულება ჩამოყალიბებული აქვს იოანე პეტრიწს თავისი „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში, როდესაც ამბობს: დაწიხილვე მესქემან, რამეთუ ტრფილება გჳრენშორისა მბადმან ჩოენმან ღმერთმან ორთა სამიზებრთათჳს: რათავეტრფილნეთ და აღვეკრნეთ მამასა სულთა ჩუენთასა, ღმერთსა, და კუალად რათა ბუნებასა მონაცლეთა ჩუენთა უშთენდეთ. ვითარ მედინნია (იოანე პეტრიწის შრომები. ტ. II 214, 8 — 12). პეტრიწი თვით დიოტიმას და სოკრატეს საუბარსაც იმორწმებს.



ვა შეგრძნებადი საგნებისადმი. მაგრამ, რამდენადაც თვით საგნები არის ანარეკლი შესატყვისის „იდეებისა“, ამდენად ხელოვნება ყოფილა ანარეკლის მიბაძვა; ამიტომ ჩვენ მას ვერ მივაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობასო. მართალია, ფილოსოფოსსაც საქმე აქვს შეგრძნებად საგნებთან, მაგრამ დიალექტიკური მსჯელობის საშუალებით ის არკვევს ამ საგნების რაობას, ცდილობს გასცილდეს საგანთა ინდივიდუალობას და მისწვდეს მათ შესატყვისის „იდეას“, ცდილობს მისწვდეს „სიკეთეს“. ხელოვანი კი ისედაც გაყალბებულ შეგრძნებად საგანს კიდევ უფრო აყალბებს: იმ დროს, როდესაც ფილოსოფოსი აჩრდილიდან მალა იწევს რეალობისაკენ, მოჩვენებიდან — ნამდვილისაკენ, ხელოვანი თავის ნაწარმოებში იძლევა ამ აჩრდილის აჩრდილს, მოჩვენების მოჩვენებას.

ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის პოეზიის მნიშვნელობას უარყოფდა. თავისი „სახელმწიფოს“ რამდენსავე ადგილას ის ქებით იხსენიებს პომპროსს, მაგრამ ამტყუნებს მას იმაში, რომ ის ზოგჯერ ისეთი უარყოფითი თვისებებით ახასიათებს ღმერთებსა: და გმირებს, რასაც უთუოდ ცუდი გავლენა შეუძლია მოახდინოს ყმაწვილებზე. არ ვარგა, მაგალითად, როდესაც ღმერთები ჭმუნვასა და მწუხარებას ეძლევიან; არც ის ვარგა, რომ ფენიქსი ეუბნება აქილეუსს — თუ მოგიტანონ აქაველებმა საჩუქრები, რისხვას თავი დაანებე და მიეშველე მათო. პლატონის აზრით, შეუწყნარებელია, რომ აქილეუსი ანგარ და ვერცხლისმოყვარე კაცად ასახო. ამიტომ თავის იდეალურ სახელმწიფოში ის არ კრძალავს ისეთ პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც მოქალაქეთა ზნეობრივ ამაღლებას ემსახურებიან; ასეთებია, მისი აზრით, სახოტბო სიმღერები ღმერთთა და გმირთა პატივსაცემად.

ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, პლატონის მოღვაწეობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან პირველმა დაამკვიდრა ლიტერატურაში დ ი ა ლ ო გ უ რ ი ფ ო რ მ ა თხრობისა. პლატონის ყველა ნაწარმოები, ვარდა ერთისა („სოკრატეს აპოლოგია“), დიალოგური ფორმით არის დაწერილი: საუბრობენ, თითქმის ყოველთვის, ისტორიული პირები, მაშინდელი ათენელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ფილოსოფოსები და რიტორები, ტრაგიკოსები და კომიკოსები; ყველა დიალოგში საუბრის წამყვანი და მთავარი აზრისა და დებულების დამამტკიცებელი სოკრატეა.

§ 05. არისტოტელე (384 — 322). ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება უმაღლეს საფეხურზე აიყვანა არისტოტელე სტაგირელმა, რომლის შესახებ ფრ. ე ნ გ ე ლ ს მ ა თქვა: „ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით დაბადებიდანვე დიალექტიკოსები იყვნენ, და ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანმა მათ შორის, არის-

ტოტელემ უკვე დიალექტიკური აზროვნების არსებითი ფორმებიც გამოიკვლია“.<sup>1</sup>

არისტოტელე დაიბადა 384/3 წელს სტაგიროში (ქალკიდიკეში, ათონის მახლობლად). მისი მამა ნიკომაქე იყო მაკედონიის მეფის ამინტას III-ის ექიმი; თვით არისტოტელე იყო მასწავლებელი ალექსანდრე მაკედონელისა. მეტწილად ცხოვრობდა ათენში; 367 — 347 წწ. პლატონის სკოლაში იყო; 355 წელს დააარსა საკუთარი ლიკეონი (ლიკეუმი). 323 წელს, ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ, ათენში გადატრიალება მოხდა მაკედონელთა წინააღმდეგ და არისტოტელე იძულებული იყო გაქცეულიყო კუნძულ ევზებაზე, სადაც 322 წელს გარდაიცვალა.

არისტოტელემ თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ისტორიოგრაფია, სამართლის მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა), ითვლება ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის სისტემატიზატორად, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებელად, ეთიკისა და სოციოლოგიის უდიდეს წარმომადგენლად.

ელინურისა და ელინისტური პერიოდის მიჯნაზე არისტოტელე ძველი ბერძნული ქალაქის, პოლისის, წყობილების მომხრეა. მისი აზრით, არსებობს წესიერი და არაწესიერი ფორმები სახელმწიფო წყობილებისა:

წესიერი:

მონარქია არისტოკრატია პოლიტია

არაწესიერი:

ტირანია ოლიგარქია დემოკრატია

ამ აზრებს ავითარებს ის თავის „პოლიტიკაში“. არისტოტელესთვის აუცილებელი იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა წილ ეესწავლა და განეხილა, რათა თავისი თეორიული დასკვნები გაეკეთებინა. ამ მიზნით ის ამზადებდა მასალებს ბერძნული პოლისების სახელმწიფო წყობილებათა შესასწავლად. ერთ-ერთი ასეთი „სახელმწიფო წყობილობის“ ტექსტი, სახელდობრ „ათენელთა პოლიტია“, მთლიანად აღმოაჩნდა 1890 წელს.

„ათენელთა პოლიტია“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი, თავები 1 — 41, შეიცავს ათენში დასაბამითგან არსებულ სახელმწიფო წყობილებათა ისტორიას, ხოლო მეორე ნაწილი, თავები 42 — 63, გადმოგვცემს ათენის სახელმწიფო წყობილების ვითარებას არისტოტელეს დროს, მეოთხე საუკუნეში. ამ ტრაქტატის მნიშვნელობა

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, ქართ. გამოც., თბ., 1933 („მარქსი და ენგელსი ანტიურაბის შესახებ“, გვ. 206).

საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის განუზომელია: მისი აღმოჩენის შემდეგ ბევრი რამ შესწორდა საბერძნეთის ისტორიის ცალკეულ თავებში. ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენ უურადლებას მივაქცევთ განსაკუთრებით თავებს V — XII, რომლებშიც მეტად დაწვრილებითი ცნობებია მოცემული სოლონის ელევგიებსა და იამბებზე, მის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. „ათენელთა პოლიტიაში“ მოყვანილი ელევგიებისა და იამბების საშუალებით საკმარისად შეივსო ჩვენი ცოდნა სოლონის პოეზიაზე, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ უფრო ნათელი წარმოდგენა მივიღეთ თვით სოლონის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე.

არისტოტელე, ამ ტრაქტატის მიხედვით, არ არის დემოკრატიის მომხრე; ის ირჩევს ზომიერებას, მისი აზრით საშუალო ფენა სახელმწიფოს დასაყრდენი. ეს ნათლად ჩანს განსაკუთრებით მეხუთე თავში, სადაც ის სოლონის დადებით თვისებად თვლის იმ გარემოებას, რომ ის თავისი სოციალური მდგომარეობითაც საშუალოთა რიცხვს ეკუთვნოდა და თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაშიც საშუალო ხაზს მისდევდა.

არისტოტელე არ არის, ამგვარად, დემოკრატიის მომხრე, მაგრამ მისი აზრით ოლიგარქია უფრო ცუდია, ვიდრე უკიდურესი დემოკრატია. მონები, მისი აზრით, სახელმწიფოს კეთილდღეობის წყაროს წარმოაოიანინ

მეორე თხზულება, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობას აინტერესებს, არის არისტოტელეს „პოეტიკა“. ეს არის პირველი ლიტერატურათმცოდნეობითი ტრაქტატი, რომელიც ევროპაში დაიწერა (მეორეა I საუკუნეში დაწერილი ჰორაციუსის „პოეტიკა“).

ამავე დროს „იგი ყველაზე უფრო კაპიტალური ტრაქტატია ესთეტიკაზე, რომელიც სოლონიუს წარმოადგინდა ყველა ესთეტიკური ცნებისათვის“ თვით XVIII საუკუნის ბოლომდე.<sup>1</sup>

თომას არისტოტილს „პოეტიკა“ ფრაგმენტული სახით არის მოღწეული, მაგრამ ავტორს მანინც მოუხერხებია და მოუცია აქ ფუძემდებელი შიხილოლიბები, ყოველ შემთხვევაში, ეპოსის, ტრაგედიისა და კომედიის შესახებ.

არისტოტელე პირველი მეცნიერია, რომელმაც მოგვცა საფუძვლიანი შეფასება ჰომეროსისა. ჰომეროსი — წერს არისტოტელე — მრავალსხვა საკითხშიც ღირსია ხოტბისა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სხვა პოეტებს შორის მარტო მან იცის, თუ რა უნდა გააკეთოს (პოემაში):

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. О поэзии Аристотеля. Избр. соч., 1950 стр. 473.

საჭიროა რომ თავისი სახელით პოეტი რაც შეიძლება ცოტას ლაპარაკობდეს, ვინაიდან ამის მიხედვით როდი არის იგი შემოქმედრი. სხვა პოეტები თვითონ გამოდიან მთელი თავისი ნაწარმოების მანძილზე, ამავე დროს კი ასახავენ ცოტას და იშვიათად; ჰომეროსი კი, დაიწყებს თუ არა თხზულებას, შემოჰყავს მაშინვე ან კაცი ან ქალი ან სხვა ვინმე და არც ერთი მისი გმირი არ არის უხასიათო, არამედ ყველას აქვს ხასიათი“ („პოეტიკა“, თავი XXIV). ზოგადი მსჯელობის გარდა ჰომეროსზე, არისტოტელე ჰომეროსის შემოქმედების კონკრეტულ საკითხებსაც ეხება.

მაგრამ „პოეტიკაში“ მარტოოდენ კერძობითი ხასიათის საკითხები კი არ არის განხილული; არისტოტელე ეხება აქ ესთეტიკისა და ხელოვნების ძირითად საკითხებს: ხელოვნების წარმოშობას, ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობას და სხვას.

ხელოვნების წარმოშობაზე არისტოტელე ამბობს: „ვეფიქრობ, პოეზია საზოგადოდ ორმა მიზეზმა შექმნა, ორმა ბუნებრივმა მიზეზმა: ჯერ ერთი, მიზაძვა აღამიანის თვისებაა ბავშვობიდანვე, სხვა ცოცხალი არსებისაგან აღამიანი იმით განსხვავდება, რომ მას მიმბაძველობა ახასიათებს, და პირველ ცოდნას აღამიანი მიბაძვის გზით იძენს. მეორე ისაა, რომ მიბაძვა სიამოვნებას ჰგვრის აღამიანს. ამის დამამტკიცებელია ის, რასაც ხელოვნების ნაწარმოებთა წინაშე ვგრძნობთ: ჩვენ სიამოვნებით ვუცქერით იმის გამოხატულებას, რაც სინამდვილეში უსიამოვნებას გვგვრის, მაგ., საზიზღარი მხეცებისა და ლეშების გამოხატულებას. ამის მიზეზია ის, რომ ცოდნის შეძენა მარტო ფილოსოფოსს კი არ ჰგვრის სიამოვნებას, არამედ სხვასაც, ხოლო სხვა ამისათვის ცოტა დროს ხარჯავს“ („პოეტიკა“, თავი IV).

საყურადღებოა აგრეთვე არისტოტელეს აზრი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობაზე. ხელოვნება, არისტოტელეს აზრით, სინამდვილის მიმბაძველობითი ასახვაა. თუმცა ხელოვნება მიბაძვია, მაგრამ ის ნამდვილს კი არ ასახავს, არამედ შესაძლებელს, იმას: რაც შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარეობს განსხვავება პოეზიასა და ისტორიას შორის: „პოეტის საქმა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით: ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო, მაგრამ ის ლექსადაც არა ნაკლებ იქნებოდა ისტორია, ვიდრე ულექსოდ. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ერთი მოგვითხრობს მომხდარ ამბებს, მეორე კი იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელო-

ვანი, ვიღრე ისტორია; პოეზია წარმოგვიდგენს უფრო საერთოს, ისტორია კი — უფრო კერძობითს“<sup>1</sup>.

ეს განსაზღვრა პოეზიისა ნათლად ამტკიცებს, რომ არისტოტელე არ ეთანხმება პლატონს პოეზიის დანიშნულებიასა და მნიშვნელობის საკითხში. პლატონის აზრით, ხელოვნება კონკრეტული სიამაღვილის ამსახველია, ხოლო რადგან ეს კერძობითი, კონკრეტული სინამდვილე ნამდვილი რეალობის (ზოგადი „იდეის“) აჩრდილია, პოეტური ასახვა ვერ მოგვცემს საჭირო სურათს და ამიტომ იგი უმნიშვნელოა, არისტოტელეს თეორიით კი პოეზია შემთხვევით კონკრეტულობას კი არ აგვიწერს, არამედ გაცილებით უფრო ფართოს, ზოგადს, საერთოს, მაშასადამე, ღრმად სწვდება სინამდვილეს.

არისტოტელე არ ეთანხმება პლატონს პოეზიის მნიშვნელობის შეფასებაშიც. პლატონის აზრით ხელოვნებას ზიანი, მოაქვს ადამიანისათვის: შეგრძნებადი საგნები ხომ ისედაც აჩრდილია ნამდვილი რეალობისა („იდეისა“), და პოეზია რომ ამ აჩრდილის მიბაძვას იძლევა, ის ისედაც ბუნდოვან საგნებს კიდევ უფრო აბნელებს. თანაც, მისი აზრით, უმეტესი ნაწილი პოეტური ნაწარმოებებისა მახინჯ ადამიანებს აგვისახავს, მათ ტანჯვას, წვალებას, უზნეო საქციელს და სხვას: ყველაფერი ეს რყვნის მკითხველსა და მაყურებელს. არისტოტელეს აზრით კი — პირიქით: პოეზია ახდენს მკითხველისა და მაყურებლის განწმენდას<sup>2</sup>. კერძოდ ტრაგედიაზე ამბობს ის (თავი VI): «ტრაგედია არის... ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს». ეს აღვილი შეიძლებოდა ასე გაგვეგო: ადამიანი ხედავს ტრაგედიის გმირის ტანჯვა-წვალებას, რაც მასში იწვევს, ერთი მხრით, შეცოდებას, მეორე მხრით — მიშს (დრძივ): შეცოდებას იმის გამო, რომ გმირი იტანჯება, შიშს კი — საკუთარი თავის გამო, რადგან ასეთივე ტანჯვა შეიძლებოდა შეხვედროდა და შეიძლება შეხვდეს მასაც. ასეთი მოზღვავება გრძნობებისა და განცდებისა გამწმენდ გავლენას ახდენს მაყურებელზე.

არსებობს სხვადასხვა გაგება არისტოტელეს მიერ ნახმარი ცნებისა „კათარსის“: მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ამ ცნების გაგება, ერთი კი ცხადია: არისტოტელე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტურ ნაწარმოებს ადამიანის გაკეთალშობილების საქმეში, ვინაიდან პოეზია უმსუბუქებს ადამიანს ტანჯვას და ჰგვრის მას სიამოვნებას.

ამგვარად, არისტოტელეს „პოეტიკაში“ პოეზიის ძირითადი საკითხ-

<sup>1</sup> „პოეტიკა“, თავი IX; შეად. ს. დანელიას თარგმანი: „არისტოტელი. პოეტიკა“, თბ. 1944, გვ. 20.

<sup>2</sup> განწმენდა — Καθάρσις.

ებია გარჩეული და ზოგიერთ საკითხებში ისეთ დასკვნებამდე ავტორი მისული, რომელთაც დღესაც ვიზიარებთ ჩვენ (მათ ძირითად ნაწილში).

ასევე მნიშვნელოვანი აზრები აქვს გამოთქმული არისტოტელეს მხატვრული სახეების შესახებ: „პოეტიკაში“ წამოყენებული დებულებები მეტაფორის, ანალოგიის, წინადადების, მარცვლის, ბგერის და სხვა საკითხებზე უაღრესად საყურადღებოა.

ასეთი ხასიათისაა არისტოტელეს ეს ორი ტრაქტატი: „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ და „პოეტიკა“, რომელთა მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიისათვის განუზომელია. მაგრამ არისტოტელე უმთავრესად ლიტერატურათმცოდნე კი არ იყო: მას, პირადად უფლისა, მეცნიერება აფასებს, როგორც ფილოსოფიას, რომელმაც შეაჯამა ბერძნული ფილოსოფიის მიღწევები წინა სამი საუკუნის განმავლობაში, ანალიზი გაუკეთა მათ და გაამდიდრა ფილოსოფია ფუძემდებელი შრომებით: არისტოტელე ითვლება ლოგიკის მამამთავრად (მან შექმნა მოძღვრება სილოგიზმზე) და აღწერითი ბიოლოგიის ფუძემდებლად; პლატონის „იდეებისაგან“ განსხვავებით (და მათ საწინააღმდეგოდ) მან დაადგინა ყოველი საგნისათვის მისი შესატყვისი შინაგანი არსი, რომელიც საგნის ფორმას წარმოადგენს (ფორმა და მატერია განუარეღნი არიან) და, ამრიგად ლენინის თქმით. «Аристотель вплотную подходит к материализму!» მაგრამ არისტოტელე, თუმცა მან ძლიერ გააკრიტიკა პლატონის იდეალიზმი, მაინც არ მისულა მატერიალიზმამდე: მისი მოძღვრება მერყეობს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა.

§ 96. საისტორიო პროზა. როგორც ვიცით, ლიტერატურის ყველა უანრი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: მომსახურება გაუწიოს გაბატონებულ ფენებს, ასახოს უკანასკნელთა იდეოლოგია.

როდესაც ეპოსი თავის თეოგონიურ თხზულებებში ღმერთების გენეალოგიებზე ლაპარაკობდა, მათგან წარმოშობილად მიჩნეულ გაბატონებულ მიწისმფლობელ არისტოკრატას ემსახურებოდა ამით. როდესაც მეშვიდე საუკუნის ელეგია საბრძოლო ჰანგებს მღეროდა, ბერძენთა მომავალ სავაჭრო ფენებს ახალი სავაჭრო გზების დასაპყრობად ეხმარებოდა და დაპყრობილ სავაჭრო პუნქტებს მათ დედაქალაქთან აკავშირებდა.

სწორედ ამის პარალელურად საისტორიო პროზა, ახლად ფეხადგმული და დამწერლობის განმტკიცების შემდეგ მეტყველების ხერხებით შეიარაღებული, ამეტყველებს ძველ თქმულებებს და როდესაც უკვე საკოლონიზაციო პოლიტიკა ძირითადი ღერძი ხდება ბერძენთა

<sup>1</sup> В. И. Ленин, Философские тетради, Огиз, 1947, стр. 267.

სახელმწიფოებრივობისა, საისტორიო მწერლობა ამ პოლიტიკას ასახვრდოებს ძვირფასი მასალებით იმ ქვეყანათა და ხალხთა ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, რომლებიც კოლონიზაციის ობიექტები გახდნენ ან ხდებოდნენ.

ამ დანიშნულებას ასრულებდნენ ძველი მეისტორიენი, ანუ ლოგოგრაფოსები (ასე უწოდებს თუკიდიდეს უძველეს ისტორიკოსებს).

ლოგოგრაფოსების თხზულებები ისტორიულ-მითოლოგიური და გეოგრაფიული ხასიათისაა და მოგვითხრობენ განატონებულ გვართა წარმოშობაზე, ქალაქთა დაარსებაზე და სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მასალად ისინი იყენებენ არსებულ მითებს, თქმულებებს, ეპოსში მოცემულ გენეალოგიებს. მათ მონათხრობში არ არის კრიტიკა; ხშირად ბრმად არის გამეორებული ის, რაც თქმულებებშია მოცემული. „ლოგოგრაფოსები — თუკიდიდეს სიტყვით (I, 21) — მოგვითხრობენ უფრო კეთილსმენისათვის, ვიდრე ჭეშმარიტებისათვის, ისეთ ამბებს, რომლებიც დაუმოწმებელია და რაც დროთა ვითარების გამო დაუჭერებელი და მითიური გამხდარა“.

მაგრამ მართო ამით არ კმაყოფილდებოდნენ ლოგოგრაფოსები: ისინი თანამედროვე პოლიტიკას ემსახურებოდნენ არა მართო მითების გადმოლაგებით, არამედ თანამედროვე ამბების მოთხრობითაც. ბერძენ კოლონიზატორებს ისინი აწვდიდნენ ეგვიპტისა და ეთიოპიის გეოგრაფიას, კოლხებისა და სარმატების ყოფაცხოვრების აღწერას.

ზოგიერთი ლოგოგრაფოსი, როგორც, მაგალითად, ჰეკატემილი, კრიტიკულადაც ეპყრობოდა ძველ გამოცემებს.

უძველეს ლოგოგრაფოსად მიჩნეულია კადმოს მილეტელი VI საუკ.). მის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. ის კი არა: ექვია შეტანილი მის რეალობაშიც; მას ზოგიერთები სთვლიან ლეგენდარულ პიროვნებად, აიგვებენ იმ კადმოს ფინიკიელთან, რომელიც ბერძნული ანბანის გამოგონების მონაწილედ არის აღიარებული. გადმოცემით კადმოსს დაუწერია „მილეტის დაარსება“.

სკილაქს კარიანდელი. ისტორიულად დამოწმებული პიროვნებაა. მას იხსენიებს ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“: ის ვაგზავნილი ყოფილა დარიოს I-ის მიერ (მეფობდა 521 — 485 წწ.) მდ. ინდოსის მხარის, ინდოეთის ოკეანის და მეწამული ზღვის მოსავლელად, ინდოსის შესართავიდან ვიდრე სუეცის ყელამდე. სკილაქსის ცნობებით ისარგებლეს ჰეკატემილეტელმა და ჰეროდოტემ, ისევე როგორც მომდევნო დროის ისტორიკოსებმა და გეოგრაფოსებმა.

სკილაქსის შრომას უნდა ჰქმნეოდა „პერიპლუსი“<sup>1</sup> („ზღვით მოვლა [ქვეყნებისა]“). მოღწეულა ამ თხზულების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. თვით ძრომა დაიკაოვა. იგი გამოვიდა სმარებიდან, ალბათ, იმის გამო, რომ იგი დაჩრდილა ჰეკატეს თხზულებამ, რომელშიც შევიდა დიდი ნაწილი სკილაქსის შრომისა.

სკილაქს კარიანდელის სახელით ხელნაწერებში მოთავსებულია აგრეთვე „დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვის აღწერა“, რომელიც როგორც დღეს დამტკიცებულია, ეკუთვნის არა სკილაქს კარიანდელს, არამედ სხვა ავტორს, რომელსაც IV საუკუნეში (ძვ. წ). უნდა ეცხოვრა. ეს ის „პერიპლუსია“, რომელშიც მრავალი ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებ<sup>2</sup>.

ჰეკატე მიღებელი — უდიდესი ლოგოგრაფოსთაგან, ცხოვრობდა VI საუკუნის მეორე ნახევარში და V საუკუნის პირველ მეოთხედში, მომსწრე იყო იონიელთა აჯანყებისა სპარსეთის წინააღმდეგ. მას ეკუთვნოდა „გენეალოგიები“ და „დედამიწის აღწერა“, ორივე მშრომა უკვე დამთავრებული იყო დაახლ. 490 წელს.

„გენეალოგიებს“ საფუძვლად უდევს მითიური გადმოცემები: აქ ავტორი აგვიწერს წარჩინებულ გვართა ისტორიას, მითებზე დაყრდნობით. მაგრამ უკვე ჰეკატეს ემჩნევა მითებისადმი კრიტიკულად მოპყრობა. ის გვეუბნება, მაგალითად: „მე ვწერ ისე, როგორც მე სწორად მიმაჩნია, ვინაიდან ბერძნებს ბევრი მოთხრობა აქვთ, მე კი მათ სასაცილოდ ვთვლიო“.

---

<sup>1</sup> ალბათ, სკილაქსის ამ შრომის წყალობით სახელწოდება „პერიპლუს“ იხმარებოდა იმ გეოგრაფიული შრომების აღსანიშნავად, რომლებშიც ზღვით მოვლილი ქვეყნები იყო აღწერილი (შეად. მაგალითად, არიანეს „პერიპლუსი“ II საუკუნეში, მარკიანეს „პერიპლუსი“ IV საუკუნეში, ანონიმური ავტორის „პერიპლუსი“ V საუკუნეში და მრავალი სხვ.); ხმელეთით მოვლილი ქვეყნების აღწერას ეწოდებოდა „პერიოდოსი“.

<sup>2</sup> იოკუა ს ამ გვიანი პერიპლუსიდან ნიმუშები:

ს ა ვ რ ო მ ა ტ ე ბ ი. მდინარე ტანისიდან იწყება აზია და პირველი მისი ხალხი პონტოს ზღვაზე — სავრომატებია. სავრომატების ტომს მართავენ ქალები.

ს ი ნ დ ე ბ ი. მეოტელების შემდეგ ცხოვრობენ სინდები; მათი საცხოვრებელი ადგილებია ტბის იქითაც; მათი ქალაქები, ელინური შემდეგია: ფანაგორის ქალაქი, პალეზი; სინდის ნაესადგური. პატუსი (ბათუმი თუ ანაპა!)

კ ო ლ ხ ე ბ ი. მელნიენები<sup>3</sup> შაჰოჯ არის კოლხთა ტომი; ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გვენოსი, გვენის წყალი, ქერობის წყალი, ქორსის წყალი, მდ. არიოსი; მდინარე ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი, და ზევით მდინარის გაყოფებით. 180 სტადიონის. მანჩილზე. ვიდრე იმ ბარბაროსულ ქალაქამდე, სადაც იწყება მიდია; აქ არის მდინარე რისი, მდინარე ისისი, ყაჩაღთა წყალი, მდინარე აფსაროსი.



თავის „დედამიწის აღწერაში“ ჰეკატეს მრავალი ძვირფასი ცნობა აქვს დაცული ევროპისა და აზიის ქვეყნებზე, მათ შორის ბევრია საქართველოზედაც.

მოგვეყავს ნიმუშები:

ფრგ. 18-ა. პეროდორე „არგონაეტებში“ ამბობს: (არგონაეტები) იმავე ზღვით დაბრუნდნენ, რომლითაც მივიდნენ კოლხეთშიო. ჰეკატე მილეტელი კი ამბობს. რომ ისინი ფაზისიდან ოკეანეში გადავიდნენ, შემდეგ აქიდა — ნალოსში, ნილოსიდან კი ჩვენს ზღვაში. არტემიდორე ეფესელი ამბობს — ეს არ არის მართალიო.

ფრგ. 185. მელანქლენები: სკვითური ტომი. ჰეკატე ამბობს „ვეროპაში“: ეს სახელი ეწოდათ მხო ტანსაცმელისაგან, რომელსაც ატარებდნენ („შუი წამოსახამი“), როგორც, მაგალითად, ჰიპომოლოგებს იმიტომ ეწოდებოდათ ეს სახელი, რომ ისინი ცხენებს წველიდნენ, ხოლო მოსინიკებს მათი საცხოვრებელი ბინების მიხედვით.

ფრგ. 205. მარკერი: მოსინიკების მეზობელი ტომი. ჰეკატე „აზიაში“.

ფრგ. 206. მაკრონები: ამეამად სანები ეწოდებთ. ასე ამბობენ სტრაბონი X II წიგნში (3, 18), ჰეკატე „აზიაში“. აპოლონი მეროე სიმლერაში (II, 394).

ფრგ. 209. კოლენები: ტომი კავკასიონთან. ჰეკატე „აზიაში“ ამბობს: კავკასიონის ძირში მდებარე მთებს ეწოდებთ „კოლს მთები“. ქვეყანას ჰქვია კოლიკე.

ფრგ. 210. კორაკსები: კოლხთა ტომი კოლენის მახლობლად. ჰეკატე „აზიაში“, [აქედან] კორაქსის ზღუდე და ქვეყანა კორაქსიკე.

ლოგოგრაფოსებს მიეკუთვნება, თუმცა ქრონოლოგიურად პეროდორტეს დროინდელი მწერალია, ჰელანიკე მიტილენელი (ლესბოსელი). მისი სამწერლო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. ძველი ბერძნები მას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ და სხვა დიდი ისტორიკოსების გვერდით იხაენიებდნენ; ერთ-ერთ სიაში ვკითხულობთ: «ისტორიკოსი ათი: თუკიდიდე, პეროდორტე, ქსენოფონტი, ფილიატოსი, თეოპომპე, ეფოროსი, ანაქსიმენე, კალისტენე, ჰელანიკე, პოლიბიოსი».

ჰელანიკეს ეკუთვნის რამდენიმე მითოგრაფიული თხზულება, რომლებშიც ის გენეალოგიურ პრინციპზე აგებულ, ამა თუ იმ კუთხის ისტორიას იძლევა. ასე, მაგალითად, „ფორონიდი“ არის არგოსის ისტორია, რამდენადაც ფორონესმა პირველმა აუგო საკურთხეველი ჰერას (არგოსში); „ასობიდი“ ასობის მოდგმაზე, მის ქალიშვილებზე და უკანასკნელთაგან შთამომავალ თაობებზეა ლაპარაკი. ჩვენი ინტერესი ამ მითოგრაფიული თხზულებებისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მათში დაცულია მრავალი ძვირფასი ცნობა საბერძნეთში მოსახლე უძველეს ტომთა შესახებ.

არც ერთი ლოგოგრაფოსის თხზულება ჩვენამდე მოღწეული არაა. ნაწყვეტები მათი შრომებიდან მოუყანილი აქვთ გვიანი დროის ისტორიკოსებს, კომპილატორებს, ლექსიკოგრაფოსებსა და სქოლიასტებს (მაგალითად, მრავლად აქვთ ეს ნაწყვეტები

ლექსიკოგრაფოს ს ტ ე თ ა ნ ე პ ი ზ ა ნ ტ ი ო ნ ე ლ ს და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტს). ეს ფრაგმენტები თავმოყრილია და გამოცემული ცალკე კრებულებში.

§ 97. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (484 — 425). ჰეროდოტეთი იწყება ბერძნულ საისტორიო პროზაში ახალი ეტაპი:

1. თუ წინადროინდელი მეისტორიენი („ლოგოგრაფოსები“) ხალხთა თავგადასავალის მითიურ ხანას ეხებოდნენ და, მაშასადამე, მათი ისტორიოგრაფია მითოგრაფია იყო, ამიერიდან. ჰეროდოტე და მისი მომდევნო ისტორიკოსები ეხებიან თავის თანამედროვე ეაოქას, ბერძენთა და სხვა ხალხთა თავგადასავალს უკანასკნელი, ავტორიან მახლობელი, ეპოქისას.

2. ლოგოგრაფოსები ეხებოდნენ თავიანთ შრომებში ბერძნულ სამყაროს ცალკეული კუთხის, ქალაქის ან ტომის თავგადასავალს („მილეტის დაარსება“, „არგოლიკა“, „ლესბიაკა“ ან სხვა), — ისტორიკოსები კი ეხებიან მთელი ბერძნული სამყაროს თავგადასავალს, ბარბაროსთა სამყაროს თავგადასავალთან დაკავშირებით. ისტორიკოსებს კარგად ესმით, რომ ჯერ ერთი, ბერძნულ სამყაროს, მიუხედავად იმისა რომ ის ცალკეულ დამოუკიდებელ პოლისებად არის დაყოფილი, აქვს ერთიანი სახე; მეორეც ის, რომ ბერძნულ სამყაროს სვე-პედი გადაჭაჭვულია მეზობელი ქვეყნების ინტერესებთან, რომ ბერძნული სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება შეპირობებულია იმ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებით, რომლებთან ურთიერთობითაც იქმნებოდა ელინური სამყარო

3. რამდენადაც ლოგოგრაფოსები, უმთავრესად, ხალხთა თავგადასავლის მითიურ ხანას ეხებოდნენ, მათთვის წყაროს წარმოადგენდნენ მითები და ეპიკური ნაწარმოებები; მართალია, ზოგიერთ ლოგოგრაფოსს ხანდახან ეკვი შეჰქონდა მითებში მოთხრობილ ამბებში და ასწორებდა მათ საკოლონიზაციო მოძრაობის დროს მიმოხილულ ადგილებში თვით მის ან სხვების მიერ ნახულის მიხედვით, მაგრამ ძირითადად ეს მაინც მითოგრაფია იყო. ჰეროდოტეს დროიდან კი ისტორიკოსები თავიანთ მოთხრობას, უმთავრესად, ისტორიულ მასალაზე აგებენ: ისინი იკვლევენ ხალხთა შორის, სახელმწიფოთა შორის დაღებულ ხელშეკრულებებს, თვითონ პირადად ნახულობენ იმ ადგილებს, სადაც მომხდარა ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, თანამედროვე ისტორიულ მოვლენას უძებნიან მის წარმომშობ მიზეზებს და, ამგვარად, ისტორიული პროცესის შედეგს უკავშირებენ მის მიზეზებს.

როდის შეიძლებოდა მომხდარიყო ყველაფერი ეს? მხოლოდ მაშინ, როდესაც ელინურმა სამყარომ თავისი განვითარების იმ დონეს მიღწია, რომ პოლისებად დაქუცმაცებული ქვეყანა, არსებითად, გაერთიანებული იყო ათენის ჰეგემონობის ქვეშ. იმ ათენის, რომელმაც

თავისი, გამარჯვების გზაზე დამდგარი, დემოკრატიული სისტემის წყალობით შესძლო შეექმნა კონცეფცია მთლიანი ბერძნული სამყაროსი და დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოს მოვლენათა განვითარებას გეზს აძლევს არა ცალკეული ქალაქის თავგადასავალი, არამედ მთელი მოწინავე მსოფლიო თავისი საერთო ინტერესებითა და ამოცანებით. როდესაც, მაგალითად, სპარსელებმა VI — V საუკუნეთა მიჯნაზე მცირე აზიის იონიაზე გააძლიერეს აგრესია (და 493 წელს კიდევაც გაანადგურეს მილეტი), ბერძნული სამყარო, ათენის მეთაურობით, მიხვდა, რომ ეს არ იყო მარტო აგრესია მილეტის ურჩობისათვის: ეს იყო დესპოტური სპარსეთის შემოტევა დემოკრატიულად განწყობილი ელინური სამყაროს წინააღმდეგ. და ჩვენ შემთხვევითად არ მივგაჩნია ის გაოგნობა, რომ იონიელი ჰეროდოტე თავისი კონცეფციით ათენელია, ე. ი. ზოგად-ელინი და არა კერძობით-იონიელი.

ჰეროდოტე დაიბადა 484 წელს ჰალიკარნასში, გარდაიცვალა 425 წლის მახლობელ ხანებში; ცხოვრობდა, მაშასადამე, ბერძენ-სპარსელთა ომების დროს, მოესწრო აგრეთვე პელოპონესის ომის პირველ წლებს, გადმოცემით ჰეროდოტე ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა თავისი ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იბრძოდა ტირანიის წინააღმდეგ და იძულებული იყო კუნძულ სამოსზე გაქცეულიყო. გაძევებიდან დაბრუნების შემდეგ რამდენსამე ხანს ჰალიკარნასში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ გადასახლდა ათენში, რომელიც მას მიაჩნდა მთელი ელადის ცენტრად, და დიდი სიმპათიებითაც იყო მიჩადები განწყობილი. 444 წელს სამხრეთ იტალიაში ათენელებმა დააარსეს ქალაქი თურიე, სადაც ჰეროდოტე საბოლოოდ დასახლდა (აკი, ამიტომ, ჰეროდოტეს ზოგჯერ „თურიელს“ უწოდებენ).

ჰეროდოტეს შრომას ეუწოდებთ „ბერძენ-სპარსელთა ომებს“. თვითონ ავტორი კი უწოდებს მას „ისტორიას“<sup>1</sup> (=გამოკვლევა) და ასე განმარტავს მის დანიშნულებას: „ჰეროდოტე ჰალიკარნასელის გამოკვლევა მოგვითხრობს ამბებს, რათა დროთა ვითარებაში არც წარიშალოს ადამიანთა მიერ შესრულებული საქმეები და არც მიეცეს დავიწყებას დიდი და საკვირველი საქმეები, გამოვლინებულნი როგორც ელინთა, ისე ბარბაროსთა მიერ, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მიზანია გამოარკვიოს, თუ რა მიზეზის გამო ეომებოდნენ ისინი (ელინები და ბარბაროსები, ე. ი. სპარსელები) ერთმანეთს“ (კარი I, თავი1).

ჰეროდოტეს „ისტორია“ შედგება ცხრა წიგნისაგან (ჩვენებურად

<sup>1</sup> ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა ჰეროდოტეს შრომას უწოდეს „ἱστορία“, გაჰყვეს იგი ცხრა წიგნად და თითოეული წიგნი დაასათაურეს თითო მუზის სახელით (მუზა სულ ცხრა იყო): ალიო, ეკტერპე, თალია, მელომენე, ტერფსიქორე, ერატო, პოლიმნია, ურანია, კალიოპე. პირველ წიგნს კლიოს სახელი უწოდეს. ალბათ, იმიტომ, რომ კლიო ისტორიის მუზაა.

„კარისაგან“). თავის თემას, „ბერძენ-სპარსელთა ომს“, ჰეროდოტე მეხუთე წიგნიდან იწყებს; პირველ ოთხ წიგნში კი დაწვრილებით არის მოთხრობილი ევროპისა და აზიის, ბერძნული სამყაროსი და ბარბაროსთა ქვეყნების ურთიერთობის ის ამბები, რომლებიც წინ უძღოდა ბერძენ-სპარსელთა ომებს: შეტაკებები ევროპასა და აზიას შორის (იმ დროიდან რაც ფინიკიელებმა მოიტაცეს ბერძენთა მეფის ასული იო, ხოლო ბერძნებმა — კოლხეთის მეფის ასული მედეა); ისტორია ლიდისა, მიდიისა და ბაბილონისა; სპარსელთა მეფის კამბიზეს ლაშქრობა ეგვიპტეში, დარიოსის ლაშქრობა სკვითთში... გზადაგზა აღწერილია ია ქვეყნები, სადაც სპარსელთა მეფეებმა ილაშქრეს: ეგვიპტე, შავი ზღვის სანაპიროთა ქვეყნები. მეხუთე წიგნიდან ბოლომდე მოთხრობილია ბრძოლების შესახებ ბერძნებსა და სპარსელებს შორის, დაწყებული იონიის აჯახებებიდან (500 წელს) და ვათავებული მიკალეს ბრძოლით (479) და სესტის გარემოცვით (478).

მართალია, ჰეროდოტე „ისტორიის მამამთავრად“ ითვლება, მაგრამ მისი „ისტორია“ მაინც ძალიან ჰგავს ლოგოგრაფოსების მოთხრობებს. ეს მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი სჯერა მითებისა; იგი ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს „ღვთის განსჯას“ და ბედისწერას, რომლებიც მართავენ, მისი აზრით, ამ ქვეყანას; წყაროებს შორის უხვად იყენებს მისანთა თქმების ჩანაწერებს.<sup>1</sup>

მაგრამ ჰეროდოტეს მსოფლმხედველობაზე არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ რაციონალისტურ მიმართულებას, რომელმაც მეხუთე საუკუნეში სოფისტური მიმდინარეობის სახით ბრძოლა გამოუცხადა გაბატონებულ აზრებს რელიგიისა და მორალის შესახებ. ძველი მეტაფიზიკის განყენებულ თეორიებს, სოფისტების აზრით, არ შეუძლიათ მოგვეცნენ ჭეშმარიტი ცოდნა. მსოფლგაგებისათვის ძირითადი მნიშვნელობა ღმერთებს კი არა აქვთ, არამედ ადამიანს: ადამიანის ბუნება განსაზღვრავს ჩვენს წარმოდგენებს მსოფლიოზე. ერთ-ერთი სოფისტის თქმით (პ რ ო ტ ა გ ო რ ა), „ადამიანი — ყველაფრის საზომია, ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, უნდა მივიღოთ ისე, როგორც ჩვენს გრძნობები გვინახტავენ“.

მორალის საკითხებშიც ადამიანია უკანასკნელი ინსტანცია იმის გადასაწყვეტად, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, და არა ღმერთი. მსოფლიო: ძველი განმგებლნი, ღმერთები, ახლა აღარ სარგებლობენ თავისი ძველი ავტორიტეტით. ღმერთები — ეს ადამიანის აზრის პროდუქტია, ადამიანის მოგონილია, ზოგიერთების აზრით, ღმერთე-

<sup>1</sup> В. Бузескул, Введение в историю Греции, гл. 63 — 82.

ბი გაბატონებულმა ყყენებმა მიიგონეს ადამიანის შესაკავებლად ბი-  
როტი საქმეებისაჲან.

ასეთი იყო მოკლედ „განათლების“ საუკუნის სოფისტური მოძრა-  
ობა, რომელმაც ძველთაგან ნაანდერძევი რწმენა კრიტიკის ქარ-ცეც-  
ხლში გაატარა. გაბატონებულმა ფენებმა, რომელთათვისაც ძველი  
რელიგია და ზორალი მათი ბატონობის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო,  
სოფისტები მატყუერებად და სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაც-  
ხადეს.

ამ მოძრაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა პეროდოტესათვის. ის საზო-  
გადოდ დიდ ადგილს უთმობდა ღმერთებს, ღმერთის რისხვას, ბედის-  
წერას და სხვას. მაგრამ რაციონალისტურ შეხედულებებსაც აქვთ  
ადგილი მის „ისტორიებში“. ასე, მაგალითად:

1. სიზმარს პეროდოტე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სიზმარი, მისი  
აზრით (I, 43), ხშირად შომავალ უბედურებას ამცნებს ადამიანს (სიზ-  
მარში ღმერთები ატყობინებენ ადამიანს მისი მომავალი მოქმედების  
შინაარსს). ერთ ადგილას კი (VII, 16) ის ამბობს: სიზმარში მოგვევ-  
ლინება ხოლმე ის, რასაც დღისით ვფიქრობთო.

2. მისანთა მკითხაობას პეროდოტეს ნაწერებში გარდამწყვეტი  
მნიშვნელობა აქვს მოვლენათა განვითარებაში: მიანის ნათქვამი ჩვეუ-  
ლებრივ ზორციელდება. მაგრამ აი როგორ ხანის იქ ქარიშხლის და-  
ცხრომას: „ქარიშხალი სეპიადთან (კონცი თესალიის მაგნეზიაში,  
სადაც ბერძენ-სპარსელთა ბრძოლა იყო და სპარსეთის ფლოტი განად-  
გურდა) მოგვებმა დააცხრეს შელოცვებისა და მსხვერპლების შემწე-  
ობით, თუმცა შესაძლებელია ის თავისთავად დაცხრაო“ (VII, 191).

3. სპარსეთის მეფეს კამბიზეს ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა. ამას  
ხსნიდნენ იმით, რომ ღმერთებმა დასაჯეს ის, რადგან მან ეგვიპტეში  
ლაშქრობისას 524 წელს მოკლა საღმრთო ხარი აპისი, როდესაც ეგვიპ-  
ტელები მას დღესასწაულს უხდიდნენ. პეროდოტე კი ამბობს (III,  
39), რომ კამბიზე დაბადებიდანვე ეპილეფსიით იყო შეპყრობილი და  
ცხადია, მისი გონებაც საღი არ იქნებოდაო.

წყ ა რ ე ბ ა დ პეროდოტე იყენებს: 1. ზეპირ ტრადიციას (ბერ-  
ძენ-სპარსელთა ომების ადრეული ნაწილისათვის, რომლის მომსწრე  
პეროდოტე არ იყო, ის ემყარება ცოცხალ ტრადიციას); 2. პირად  
დაკვირვებას იმ ქვეყნებში მოგზაურობის დროს. სადაც საომარ ოპე-  
რაციებსა და „ისტორიაში“ მოთხრობილ ამბებს ჰქონდა ადგილი;  
ცნობილია პეროდოტეს ბიოგრაფიიდან, რომ მან ბევრი იმოგზაურა  
საბერძნეთის გარდა მცირე აზიის სანაპიროებზე, ეგვიპტეში, ფინიკია-  
ში, სირიაში, არაბეთში, ბაბილონში; ფიქრობენ, რომ მან მიმოიარა  
პონტოს სანაპიროები, კოლხეთი, თრაკია, მაკედონია და სიცილია; ამ  
მოგზაურობის კვალი ბევრი ჩანს მის „ისტორიაში“; 3. პეროდოტემ

გამოყენა აგრეთვე წერილობითი წყაროები: ჰომეროსი, ლოგოგრაფოსთა თხზულებები, ოფიციალური ნუსხები და აღწერები, წარწერები ქანდაკებებზე და სხვა ძეგლებზე.

თავისი წყაროებისა მას ხშირად გადაჭარბებით სჯერა, მაგრამ მაინც საკმაოდ კრიტიკულად ეპყრობა მათ და ზოგჯერ პირდაპირ აცხადებს — მოგონილი ამბავიაო.

მიუხედავად ჰეროდოტეს „ისტორიის“ მრავალი ნაკლისა, მისი ზღაპრულობისა ბევრ შემთხვევაში, მოვლენების ახსნისა ლეთაებრივი ძალით და სხვ., მისი მნიშვნელობა მაინც დიდია ისტორიისათვის. ჰეროდოტემ მრავალი ცნობა შემოგვინახა ძველი ხალხების შესახებ და ძვირფასი მასალა მოგვცა ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათისა. კერძოდ, საქართველოს შესახებაც მრავალი ფასდაუდებელი მასალა და ცნობა დაგვიტოვა: კოლხთა წარმოშობის შესახებ (II წიგნი), წინადაცვეთის წესზე კოლხებსა და მაკრონებში (II წიგნი), ქართველური ტომების (მოსხების, ტიბარუნების, მაკრონების, მოსინიკებისა და მარების) მდგომარეობაზე სპარსეთის სახელმწიფოს XIX სატრაპიაში ყოფნის დროს (III წიგნი) და ბევრი სხვაიც.

დასასრულ ჰეროდოტეს მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება მხატვრული პროზის განვითარების ისტორიაში. თავისი „ისტორიის“ რაძდენსამე ადგილას ამა თუ იმ ისტორიულ პირზე მსჯელობის დროს ჰეროდოტე ურთავს ამ მოღვაწის პირადი ცხოვრებიდან ზოგიერთ ეპიზოდს. ამ ეპიზოდების გადმოცემა ჰეროდოტეს „ისტორიაში“ სცილდება ისტორიის ფარგლებს და ბელეტრისტიკის სფეროში გადაეყვართ. როგორც ჩანს, ამ პირების თავგადასავალის ზოგიერთი შემთხვევები იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევიათ, რომ მათ საფუძველზე შეუქმნიათ ნოველები, ე. ი. მოთხრობები, რომლებშიც ისტორიული პიროვნების თავგადასავალი გამოყენებულია ზოგადადამიანური აზრებისა და გრძნობების ასახავად. ეს ნოველები, უკვე მზამზარეულად არსებული, შეუტანია ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში“. ასეთია, მაგალითად, მოთხრობები: „გიგესი“ (I, 8 — 15), „სოლონი და კრაზე“ (I, 29—34), „პერიანდრეს ვაჟი“ (III, 50—53) „პოლიკრატეს ბეჭედი“ (III, 39 — 46, 120 — 126, 139 — 142), „კლისთენე სიკიონელის ქალის აგარისტეს ქორწილი“ VI; 126 — 131) და სხვები.

ასეთი სახის მოთხრობები, ნოველები, პირველად ჰეროდოტეს „ისტორიაში“ გვხვდება.

§ 98. თუკიდიდე ათენელი (დაახლ. 461 — 396<sup>1</sup>). მართალია, ჰეროდო-

<sup>1</sup> ამ პარაგრაფის დაწერის დროს, თვით თუკიდიდეს „ისტორიის“ ტექსტის გარდა, უპირატესად გამოყენებულია: В. Бузескул, Введение в историю Греции, გვ. 82 — 112.

დოტეს დაუმკვიდრდა სახელი „ისტორიის მამამთავრისა“, მაგრამ, რამდენადაც ისტორიას მთლიანად ჩამოაცილა მითითური ელემენტი და იგი (ისტორია) მეცნიერების დონეზე აიყვანა თუქიდიდემ, ამდენად პირველ ნამდვილ ისტორიკოსად სწორედ თუქიდიდე უნდა იქნეს აღიარებული.

თუქიდიდე დაიბადა 461 — 455 წლებს შუა; ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დაწყებისას (431 წ.) უკვე დავაჟაკებული იყო. იგი ეკუთვნოდა თრაკიული წარმოშობის ოჯახს; თრაკიაში, ამფიპოლისის მიდამოებში, ოქროს საბადოებიც ჰქონდა; იყო მდიდარი და გავლენიანი და ბევრ გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწესთან (მაგალითად, პერიკლესთან) დაახლოებული. პელოპონესის ომის პირველ წლებში ათენში ცხოვრობდა; მას შეეყარა ის მძიმე სენი (შავი ჭირი), რომელმაც აუარებელი ათენელი იმსხვერპლა. თუქიდადე ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოს ცხოვრებაში; ერთ დროს სტრატეგოსის თანამდებობაც ეჭირა, მაშასადამე, სამხედრო ტექნიკასთან კარგად გაცნობილი იყო. 424/3 წლის ზამთარში თრაკიის სანაპიროებთან ბრძოლის დროს თუქიდიდე სარდლობდა და დამარცხდა, რის გამოც გაძევებულ იქნა. ომის დამთავრების შემდეგ (404 წ.), ამინსტიის წყალობით, თუქიდიდე დაბრუნდა ათენში. გარდაიცვალა 396 წლის მახლობელ ხანებში.

თუქიდიდეს „ისტორიას“ ვეძახით „პელოპონესის ომის ისტორიას“. ასეთი სათაურის შესაძლებლობაზე მიგვითითებს თვით თუქიდიდე თავისი „ისტორიის“ პირველ წინადადებაშივე: «თუქიდიდე ათენელმა — წერს იგი — აღწერა ომი პელოპონესელთა და ათენელებს შორის, თუ როგორ ეომებოდნენ ისინი ერთმანეთს». აქვე წერს იგი, რომ ამ აღწერას შეუდგა მაშინვე, როგორც კი ომი დაიწყო, რადგან ფიქრობდა, რომ ომი ხანგრძლივი იქნებოდა და წინათ მომხდარ ომთაგან ყველაზე უფრო ღირსი აღწერისა, რომ ამ ომს ღირსი ძვრები უნდა გამოეწვია, როგორც ელინებში, ისე ბარბაროსებში (იგულისხმებთან: თრაკიის, მაკედონიის, ეპირის და სიცილიის ხალხები, აგრეთვე სპარსელები), და აგრეთვე კაცობრიობის უდიდეს ნაწილში.

იმის გამო, რომ ის უდროოდ გარდაიცვალა, მან „ისტორია“ ვერ დაამთავრა: აღწერა წყდება 411 წლის ამბებზეთ.

თუქიდიდეს ისტორია შედგება რვა წიგნისაგან. პირველ წიგნში, მოკლე შესავლის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს საბერძნეთის ძველ ისტორიას, ტროადის ომის წინა დროიდან დაწყებული. ეს არის ე. წ. „არქეოლოგია“, სადაც გვიხატავს ბერძენთა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების სურათს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძველ დროში საბერძნეთში არ ყოფილან ძალიან

ბლავერი სახელმწიფოები და არც ისეთ ომებს ჰქონიათ ადგილი, რომლებიც პელოპონესის ომს შეედრებოდეს თავისი მნიშვნელობით. შემდეგ თუკიდრე არკვევს პელოპონესის ომის მიზეზსა და საბაბს, რისთვისაც მას სჭირდება მიმოიხილოს „რომოცდაათწლედის“ ამბები, ე. ი. ეპოქა, რომელიც წინ უსწრებდა პელოპონესის ომის დაწყებას. თუკიდრე კარვად არჩევს ცნებებს: „მიზეზი“ და „საბაბი“. ომის ხამდვილ მიზეზად მას მიაჩნია ათენის ძლიერების ზრდა ბერძენ-სპარსელთა ომის დროს და შემდეგ ხანებში და ამით გამოწვეული მეტოქეობა და შუღლი სპარტისა და მის მოკავშირეთა ათენისადმი. მეორე წიგნიდან იწყება ქრონოლოგიური გადმოცემა ომის ამბებისა: ომის პირველი წელი, ომის მეორე წელი... და მ ე რ ვ ე წიგნი თავდება ომის ოცდამეერთე წლით (411 წლით).

წყაროები თუკიდრეს „ისტორიაში“ ძირითადად ორნაირია: 1. თვით პელოპონესის ომის ეპიზოდების გადმოცემა და იმ ამბების გადმოცემა, რაც უშუალოდ ომის დაწყების წინ მოხდა, ემყარება ავტორის მიერ ნახულსა და მის მიერ გამოკვლეულ ფაქტებს; 2. უფრო ძველი ხანებისათვის გამოყენებულია წარწერები, ზეპირი გადმოცემა და ლიტერატურული მასალა.

წყაროების გამოყენების საქმეში ჩანს თუკიდრეს კრიტიკული მიდგომის უნარი. თუკიდრემ პირველმა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში გამოიყენა ისტორიული კრიტიკის ხერხები. თუკიდრე ზედმიწევნით ამოწმებდა თავის წყაროებს და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებდა მათ.

დიდი ადგილი უჭირავს თუკიდრეს „ისტორიის“ წყაროებს შორის დოკუმენტებსა და წარწერებს. პელოპონესის ომთან დაკავშირებით ათენი სამხედრო თავდაცვისა და დახმარების ხელშეკრულებებსა სდებდა თავის მოკავშირეებთან. ასეთი ხელშეკრულებები თუკიდრეს მრავლად მოჰყავს თავის „ისტორიაში“, ისევე როგორც საზავო ხელშეკრულებები, მოწინააღმდეგესთან დადებული.

წარმოშობით თუკიდრე არისტოკრატიას ეკუთვნოდა და დემოსს ქედმაღლურად დაჰყურებდა. მრავალი ადგილის დასახელება შეიძლება „პელოპონესის ომის ისტორიიდან“, სადაც თუკიდრე დემოსს, ხალხს, თვლის ისეთ ბრბოდ, რომელსაც არ შეიძლება ენდო. მის „ისტორიაში“ ჩვეულებრივია გამოთქმა: «როგორც ამას, ჩვეულებრივ, სინადის ბრბო», «როგორც ეს სჩვევია ბრბოს», ხოლო დემოკრატიულ წყობილებას თუკიდრე, ალკიბიადეს პირით, თვლის «საყოველთაოდ ცნობილ უგუნურებად». თუკიდრესათვის მისაღები ფორმა სახელმწიფო წყობილებისა არის ზომიერი დემოკრატია. 411 წელს რომ მოხდა ოლიგარქიული გადატრიალება, მოიხატა „ოთხასის“ მმართველობა და ძალაუფლება გადაეცა 5000 მოქალაქეს, თუკიდრემ



ეს სასიამოვნოდ ჩათვალა. «ჩემს მახსოვრობაში, — ამბობს თუკი-  
დიდე, — ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ათენელებს კარგი სახელ-  
მწიფო წყობილება ჰქონდათ».

როგორც ცნობილია, ათენის დემოკრატიული წყობილება განვი-  
თარების მაღალ დონეზე აიყვანა პერიკლემ. მიუხედავად თავისი  
ანტიდემოკრატიული განწყობილებისა, თუკიდიდე დიდის სიმპათიით  
ეხება ყოველთვის პერიკლეს მოღვაწეობას. თუკიდიდეს სწორედ იმი-  
ტომ მოსწონს პერიკლე, რომ იგი არ მიაჩნია ნამდვილ დემოკრა-  
ტიულ მოღვაწედ, მას სთვლის ზომიერ ხელმძღვანელად. თუკიდიდეს  
თქმით, სახელმწიფო საქმეებისათვის პერიკლე უაღრესად ღირსეული  
კაცი იყო: «სანამ ის ედგა სათავეში ქალაქს მშვიდობიანობის დროს.  
ზომიერად ხელმძღვანელობდა მას და იცავდა მის უშიშროებას, და  
ქალაქიც მის დროს შეიქმნა მეტად ძლიერი; ხოლო როდესაც ომი  
დაიწყო, მან, როგორც ჩანს, იმთავითვე განჭვრიტა მისი მნიშვნე-  
ლობა». თავისი პირადი თვისებების წყალობით — განაგრძობს თუკი-  
დიდე — პერიკლეს მთელი «ხალხი ხელში ეჭირა და ხალხს კი არ  
მიჰყავდა იგი, არამედ მას მიჰყავდა ხალხი... სიტყვით ეს იყო დემოკ-  
რატია, საქმით კი ძალაუფლება ჰქონდა უპირველეს ვაჟაკს».

თუკიდიდეს „ისტორიის“ დიდი მნიშვნელობა აღიარებულ იქნა  
მაშინვე, როგორც კი იგი გამოქვეყნდა: მას გაუჩნდნენ გამგრძელებ-  
ლები და მიმბაძველები არა მარტო საბერძნეთში, არამედ რომშიც;  
იგი გავლენას ახდენდა ისტორიკოსებზე არა მარტო ანტიკურ ეპოქაში,  
არამედ საშუალო საუკუნეებშიც.

თუკიდიდეს მიერ 411 წლამდე მიტანილი „პელოპონესის ომის ის-  
ტორია“ გააგრძელა ქსენოფონტმა თავის „ჰელენიკაში“;  
რომელიც მან დაიწყო ისე, თითქოს თუკიდიდე განაგრძობსო, მიიტანა  
მოთხრობა ომის ბოლომდე (404 წლამდე) და მას მიაყოლა ბერძენთა  
შემდგომი ისტორია ვიდრე 362 წლამდე.

თუკიდიდე პირველი მწერალია, რომელმაც პროზაში ატიკური  
დიალექტი გამოიყენა (პერიოდოტეს ისტორია იონიური  
დიალექტით არის დაწერილი).

§ 99. **ქსენოფონტი ათენელი (444 — 354).** შემდგომ საფეხურს  
ბერძნული საისტორიო პროზის განვითარების ისტორიაში წარმოად-  
გენს ქსენოფონტი, მოწაფე სოკრატესი და უშუალო გამგრძელე-  
ბელი თუკიდიდესი.

ქსენოფონტი ეკუთვნოდა მხედართა წოდებას და დაბადებული  
უნდა იყოს 444 წლის მახლობელ ხანებში. ჩანს, მისი მამა საკმაოდ  
შეძლებული კაცი ყოფილა და შეილისათვის საფუძვლიანი განათ-  
ლება მიუცია. ამ განათლებაში მისი სამხედრო გაწვრთნაც შედიოდა

და დელიასთან ბრძოლაში (424 წ.) ის ცხენოსანთა რაზმში მსახურობდა. რომ მას საკმაო სამხედრო განათლება და გაწვრთნა ჰქონდა მიღებული, იქიდანაც ჩანს, რომ შემდეგ, კიროსის ლაშქრობაში მონაწილეობის დროს, იგი დიდ სამხედრო გამოცდილებას ამჟღავნებს.

მისი ახალგაზრდობის წლები დაემთხვა პელოპონესის ომის წლებს (431 — 404); ამავე დროს ეს წლები დაემთხვა ათენელთათვის უბედურების მომტან ამბებს: ლაშქრობას სიცილიაში (415 — 413) და ამ ლაშქრობაში ათენელთა დამარცხებას და პელოპონესის ომის დამთავრებას (404) სპარტის გამარჯვებით. ათენის დამარცხებამ ამ ომში დემოკრატიულ სისტემას ნდობა დაუკარგა ხალხში: ათენში გაჩნდნენ ოლიგარქიული სპარტის მოტრფიალენი. დემოკრატიული მმართველობა შეიცვალა ოლიგარქიულით და სახელმწიფოს სათავეში მოექცა „ოცდაათი ტირანი“. როგორც ჩანს, ქსენოფონტი, რომელიც წინათაც ამჟღავნებდა თავის ანტიდემოკრატიულ სულისკვეთებას, ოცდაათის მმართველობას ემსახურებოდა და, როდესაც 401 — 400 წელს „ოცდაათის“ მმართველობა დაემხო და დემოკრატიული რეჟიმი აღდგა, ოლიგარქიული პარტიის მომხრენი, და მათ შორის ქსენოფონტიც, იძულებული იყვნენ ათენს გასცლოდნენ.

401 წელს ქსენოფონტი შევიდა სპარსელი უფლისწულის, კიროსის, ჯარში და მონაწილეობა მიიღო კიროსის ლაშქრობაში მისი ძმის, მეფე არტაქსერქსეს, წინააღმდეგ.

დარიოს II-ის უმცროსი ვაჟი კიროსი მცირე აზიის სატრაპად იყო 407 წლიდან. მან თავის გარშემო შემოიკრიბა დაქირავებული ბერძენი ჯარისკაცები. თვით ბერძნული ქვეყნების პოლიტიკურ საკითხებშიც ერეოდა და, მაგალითად, პელოპონესის ომში სპარტელებს ეხმარებოდა. ასეთ პირობებში ათენელი ქსენოფონტის მხრით, რასაკვირველია, სამშობლოს ღალატს უდრიდა მისი შესვლა კიროსის ჯარში, გარდა იმისა, რომ იგი ამით თავის ანტიდემოკრატიულ სულისკვეთებასაც ამჟღავნებდა.

კუნაქსის ბრძოლაში (401 წლის გაზაფხულზე) კიროსი მოკლეს. ბერძენთა ჯარმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო სამშობლოში. ამ უკან ლაშქრობის მთავარი ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი. რვა თვის შემდეგ ბერძენთა ჯარმა მიიღწია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, გადავიდა თრაკიაში და შევიდა თრაკიის მეფის სამსახურში. ქსენოფონტმა თავისი ჯარი სპარტელების სამსახურში გაგზავნა, თვითონ კი მცირე აზიაში დარჩა.

სპარტის წინაშე დამსახურებისათვის ქსენოფონტმა მიიღო სახლი და მიწის ნაკვეთი და დასახლდა ელიდაში, ოლიმპიის მახლობლად. 370 წელს იგი კორინთოში გადასახლდა. სამშობლოში (ათენში) დაბ-

რუნებას ქსენოფონტი ვერ ელირსა (მას გაძევება ჰქონდა მისჯილი). ქსენოფონტი გარდაიცვალა კორინთოში 354 წლის მახლობელ ხანებში.

ქსენოფონტის თხზულებები სამ ჯგუფად განიყოფება: 1. ისტორიული, 2. პოლიტიკური და 3. დიდაქტიკური. ჩვენამდე მოღწეულია, როგორც ჩანს, ქსენოფონტის ყველა თხზულება; არის ზოგიერთი თხზულება (მაგალითად, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“), რომელიც ქსენოფონტს მიეწერება, ნამდვილად კი მას არ ეკუთვნის.

1. ისტორიული თხზულებებია „ანაბაზისი“, „საბერძნეთის ისტორია“ და „აგესილაე“.

„ანაბაზისი“ წარმოადგენს მემუარულ თხზულებას და შედგება 7 წიგნისაგან. ამ თხზულებაში აღწერილია კიროს უმცროსის ლაშქრობა (401 წელს) მისი ძმის არტაქსერქეს წინააღმდეგ ლაშქრობა, რომლის მონაწილე იყო ბერძნული ჯარიც (10.000 კაცი) და თვით ქსენოფონტიც, იწყება ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან და მიემართება მცირე აზიის შიგნითა მხარეებისაკენ. მაგრამ ამ ლაშქრობას ბოლო ედება კუნაქსის ბრძოლით (ბაბილონის მახლობლად). პირველ წიგნში და ამის შემდეგ გადმოცემულია ამბები, თუ როგორ ემზადებიან ბერძნები უკან დასაბრუნებლად, და თვით უკან დაბრუნება: ქსენოფონტი მიუძღვის 10.000 ბერძენს და ჯერ ტიგროსის აყოლებით, მერე არმენიაზე, ხალიბების, ტაოხების, მაკრონების, მოსინიკების და ტიბარენების ქვეყნებზე გავლით მიიყვანს ბერძნებს შავი ზღვის ნაპირამდე, საიდანაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროთი მიემგზავრებიან თრაკიისაკენ.

როგორც ვხედავთ, „ანაბაზისის“ მეტი ნაწილი მოგვითხრობს ბერძენთა ჯარის უკან დაბრუნებას ქსენოფონტის ხელმძღვანელობით და ქსენოფონტის მიზანი იყო თავისი როლიც გამოემხურებინა ამ ლაშქრობის საქმეში. ამით აიხსნება, რომ ავტორი თავის თავზე მესამე პირით ლაპარაკობს, ხოლო თავის მეორე შრომაში („საბერძნეთის ისტორია“, III, 1, 2) იგი „ანაბაზისის“ ავტორად ასახელებს თემისტოკენეს ირაკლუსელს: მართლაც, ამ გარემოებამ ერთ დროს კამათი შექმნა მეცნიერებაში — „ანაბაზისი“ ქსენოფონტისაა თუ თემისტოკენესიო, მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია, რომ ავტორი ქსენოფონტია, ხოლო თემისტოკენეს ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებულმა ქსენოფონტმა მოინდომა თავისი თავი განედიდებინა ბერძენთა ლაშქრობის საქმეში.

რამდენადაც ქსენოფონტი ლაშქრობის ამბების გადმოცემის დროს ცდილობს პირველ რიგში დაგვანახოს თავისი დამსახურება და განდიდებულად წარმოგვიდგინოს თავისი როლი, ამდენად „ანაბაზისი“, როგორც საისტორიო წყარო, სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. ავტორის მონათხრობი გავცხრილოთ და სუბიექტური წიაღსვლე-

ბი გამოვარჩიოთ ობიექტური სინამდვილისაგან. არის ქსენოფონტის მონათხრობში ისეთი ადგილები, რომლებიც სრულიად სანდოა. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მასალაზე, რომელიც უხვად არის გაბნეული „ანაბაზისში“ და ეხება მცირე აზიის ხალხთა ბინადრობასა და ყოფა-ცხოვრებას. ამ მხრივ ჩვენთვის უალრესად მნიშვნელოვანია „ანაბაზისის“ IV და განსაკუთრებით V წიგნი, სადაც სამხრეთ საქართველოში და შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ ქართველ ტომებზე უხვი მასალაა მოცემული.

„ს ა ბ ე რ ძ ე თ ი ს ი ს ტ ო რ ი ა“ („ჰელენიკა“) დაწერილია „ანაბაზისის“ შემდეგ. იგი წარმოადგენს თუკიდიდეს ისტორიის გაგრძელებას და შედგება 7 წიგნისაგან და მიიტანს მოთხრობას ომის ბოლომდე (404 წლამდე). ის არ კმაყოფილდება ამით და განაგრძობს ბერძენთა თავგადასავალის ამბებს და 362 წლამდე, მანტინეის ბრძოლამდე, აგვიწერს საბერძნეთის ისტორიას.

მიუხედავად მიკერძოებითი მსჯელობისა და ზოგჯერ ზერელობისა. ქსენოფონტის „ჰელენიკა“ მაინც საყურადღებო საისტორიო წყაროდ არის მიჩნეული; ასეთი შეფასების დროს მხედველობაშია მიღებული, პირველ ყოვლისა, ქსენოფონტის, ვითარცა მომთხრობელის, ნიჭი: იგი მეტად მიმზიდველად გადმოგვეცემს ამბებს, განსაკუთრებით ემარჯვება, როგორც ეს „ანაბაზისშიც“ იყო, პიროვნებათა დახაზაობა. გარდა ამისა, ნახულსა და განცილდ მოვლენებს იგი აგვიწერს სამხედრო საქმის საფუძვლიანი ცოდნით, რაც მკითხველში ღიდი დამაჯერებლობის გრძობასა სტოვებს.

2. ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ს ეკუთვნიან: „მოგონებანი სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია“, „ოიკონომიკოსი“, „სიმპოსიონი“ და „ჰიერონი“. უკანასკნელის გარდა ყველა დანარჩენი ეხება ფილოსოფოს სოკრატეს, ქსენოფონტის მასწავლებელსა და მეგობარს. ამ თხზულებების მიზანია სოკრატეს დაცვა მის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებათაგან. ვერც თავისი ფილოსოფიური სიღრმით. ვერც ასახული ამბების ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისით ქსენოფონტის ეს „სოკრატული თხზულებები“ ვერ შეედრებიან პლატონის სწორუპოვარ დიალოგებს.

3. ქსენოფონტის დ ი დ ა ქ ტ ი კ უ რ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ი ა „ჰიპარქიკოსი“ (რჩევა-დარიგება ათენის ცხენოსანთა ჯარის უფროსისადმი — ცხენოსანთა ჯარის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით), „ცხენოსნობის შესახებ“ (რჩევა-დარიგებანი ცხენის შერჩევისა და გახედნის შესახებ) და „კინეგეტიკოსი“ (ტრაქტატი ძაღლებით ნადირობაზე).

დიდაქტიკური ელემენტები არის „კ ი რ ო პ ე დ ი ა შ ი ც“ („კიროსის აღზრდა“), მაგრამ ზოგიერთი თავისი თვისებებით ეს თხზულებ-

ბა შეიძლებოდა ისტორიულ თხზულებათა ჯგუფსაც მიჰკუთვნებოდა, ხოლო უფრო მეტი უფლებით შეიძლებოდა მისთვის ისტორიულ-პოლიტიკური რომანი გვეწოდებინა.

„კიროპედია“ მ წიგნისაგან შედგება. იქ აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა სპარსელთა სამეფოს დამაარსებელი კიროს უფროსი (VI საუკ.) და რაში მდგომარეობდა მისი სიდიადე როგორც სახელმწიფო მოღვაწისა, მეფისა და მხედართმთავრისა. თუ კიროსი კარგი სახელმწიფო მოღვაწე დადგა, ეს მიეწერება, ქსენოფონტის აზრით, მის კარგ აღზრდას.

ამ თხზულებაში ჩვენს საგანგებო ინტერესს იწვევს ეპიზოდი, რომელიც ჩართულია იქ აბრადატეს და პანთიას ტრფობის შეახებ. პანთიას უანგარო სიყვარული ქმრისადმი, თავდადება და ერთგულება, ბძოლაში მისი დაღუპვის შემდეგ მის საფლავზე თავის განგმირვა — აძლევს „კიროპედიას“ ბელეტრისტული ნაწარმოების ხასიათს; მოთხრობა ამ სიყვარულზე სატრფიალო ნოველის უძველესი ნიმუშია ევროპის ლიტერატურაში.

ქსენოფონტს როგორც მწერალს ძალიან დიდად აფასებდნენ ძველი ბერძნები და ძველი რომაელები. აფასებდნენ მის მარტივ მეტყველებას, უბრალო მაგრამ მიმზიდველ სტილს, ტკბილ საუბარს. მას უწოდებდნენ «ათიკურ მუზას» და «ათიკურ ფუტკარს».

---

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძენთა სახელმწიფოების ფართოდ განვითარებულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წარმოშვა მეხუთე საუკუნეში, სხვა დარგებთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი, შინაარსობლივად და ენობრივად სანიმუშო საისტორიო მწერლობა. ჰეროდოტე, თუკიდიდე და ქსენოფონტი წარმოგიდგენენ თავიანთი თხზულებებით ამ საისტორიო მწერლობის განვითარების სამ საფეხურს. ჰეროდოტე ასახავს ბერძნული ისტორიული შემეცნების იმ ეტაპს, როდესაც ბერძნული სამყაროს საუკეთესო შვილთა მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ შექმნილიყო უცხოელ ძალმომრეთაგან თავისუფალი საბერძნეთი, რომელიც მოწინავე იდებით შეიარაღებული ათენის ხელმძღვანელობით დაიცავდა საუკუნეთა მანძილზე შექმნილ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. თუკიდიდე ს მიერ აღწერილი საბერძნეთი გაიგივებულია ათენის სახელმწიფოსთან: უკანასკნელის ინტერესები მთელი საბერძნეთის ინტერესებია; ამიტომაც არის, რომ თუკიდიდე, ათენის პატრიოტი, დემოკრატიულ ათენში ღირსად სცნობს იმას, რაც, მისი აზრით, ზოგადბერძნულ კეთილდღეობას ემსახურება. ქსენოფონ-

ტი ს თხზულებებში კი ასახულია დემოკრატიული ათენის დამარცხების შემდეგ (404 წ.) დამდგარი კრიზისი ბერძენთა საზოგადოებრივ აზროვნებაში: ამ კრიზისის შედეგებს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ თბიქტური სინამდვილის წინაშე სასოწარკვეთილი ისტორიკოსები ჰკარგავენ უნარს კვშმარტი ვითარების შეცნობისას, თავიანთ საისტორიო თხრობაში ფაქტებს ამახინჯებენ და, რიტორიკული ზვიადობით დატვირთულნი, უფრო გარეგან ეფექტს მისდევენ, ვიდრე ნამდვილ ისტორიულ ცოდნას.

ამ სამი ისტორიკოსის გარშემო, უნდა ვიფიქროთ, შემოკრებილი იყო V — IV საუკუნეებში მთელი პლეადა ისტორიკოსებისა, რომელთა ნაწარმოებების ნაწყვეტები მრავლად არის მოღწეული ჩვენამდე. ზოგიერთი ამ ისტორიკოსის სახელი ფართოდ იყო ცნობილი მომდევნო ეპოქებშიც და მათ ჰბაძავდნენ ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების ისტორიკოსები.

ამ ისტორიკოსთაგან შედარებით კარგად არიან მოღწეული ეფროსი და თეოპომპე, ხოლო ერთი უცნობი ისტორიკოსის თხზულება მთლიანად არის დაცული („ათენელთა პოლიტია“).

§ 100. რიტორიკული პროზის განვითარების პირობები. პროზის მესამე დარგი, რომლის განვითარებას V საუკუნის დემოკრატიული სისტემის გამარჯვების პირობებში შეეწყო ხელი, არის რიტორიკული პროზა.

მჭევრმეტყველება უკვე კარგა ხანია გამოყენებული იყო ბერძნულ სამყაროში. მაგრამ რიტორიკული ლიტერატურის განვითარებისათვის გარდამწყვეტი გახდა მეხუთე საუკუნეში შექმნილი პირობები. ამ საუკუნეში განვითარებულმა პროზულმა ლიტერატურამ, ერთი მხრით, და ათენში გამარჯვებული დემოკრატიული სისტემის ნიადაგზე შექმნილ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებმა, მეორე მხრით, ხელი შეუწყო რიტორიკული პროზის განვითარებას.

ათენის დემოკრატიულმა სისტემამ ორნაირად შეუწყო ხელი მჭევრმეტყველების განვითარებას. ის დემოკრატიული უფლებები, რომლებიც ათენის მოქალაქეს ჰქონდა, საშუალებას აძლევდნენ მას მონაწილეობა მიეღო ქალაქის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახალხო კრებაში, საბჭოში და სხვაგან. ეს კი მას ავალლებდა შეიარაღებული ყოფილიყო მსმენელთა დასარწმუნებლად საჭირო მჭევრმეტყველური ხერხებით.

მეორე მხრით, ათენის სახელმწიფოში (და საბერძენთის სხვა პოლისებშიც) სასამართლო საქმეების წარმოებისათვის არსებული წესები ავალბდნენ მოქალაქეს თვითონ ეწარმოებინა სამოსამართლო ძიება

თუ მოპასუხეობა. სახელდობრ, ყოველგვარ სასამართლო საქმეში თვით სისხლის სამართლისაშიც, სახელმწიფო კი არ თავობდა დამნაშავეის მიცემას სამართალში, არამედ თვით დაინტერესებული მოქალაქე: იგი აღძრავდა საქმეს, შეადგენდა საბრალდებო ოქმს და მოიწვევდა მოწმეებს. როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე თვითონ უნდა გამოსულიყვნენ საბრალდებო და თავისდასაცავი სიტყვით: ვეჭილის საშუალებით საქმის წარმოება წესად არ იყო. ხოლო ცოტა უფრო გვიან დამკვიდრდა ასეთი ჩვეულება: ზოგიერთები გამოცდილ რიტორს დააწერინებდნენ სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვებს (ასეთ რიტორს ეწოდებოდა „ლოგოგრაფოსი“, ე. ი. სიტყვის დამწერი)<sup>1</sup>. ასეთ პირობებში მოქალაქე, რასაკვირველია, ცდილობდა დაუფლებული ყოფილიყო რიტორიკულ ხერხებს, რათა სასამართლო საქმეები წარმატებით წაეყვანა.

განსაკუთრებული როლი შეასრულებს რიტორიკული პროზის განვითარების საქმეში ე. წ. სოფისტებმა. მათი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი იყო რელატივიზმი, მოძღვრება იმაზე, რომ ადამიანის ყველა წარმოდგენა და ეთიკური ნორმა შეფარდებითია, ე. ი. ის მოძღვრება, რომელიც გამოხატულია პროტაგორას გამონათქვამში: «ადამიანია ყოველი საგნის საზომი, არსებულთა რამდენადაც ისინი არსებობენ, და არარსებულთა რამდენადაც ისინი არ არსებობენ». ასეთ მოძღვრებასთან დაკავშირებით საგანგებო მნიშვნელობა მიეკუთვნა რიტორიკულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქე შესძლებდა დამაჯერებლად ლაპარაკს. სოფისტები ცდილობდნენ ესწავლებინათ თავიანთი მოწაფეებისათვის, თუ როგორ დაესაბუთებინათ ყოველგვარი დებულება.<sup>2</sup>

სოფისტებს შორის თავისი მნიშვნელობით რიტორიკული პროზის შექმნაში გამოირჩევა გორგიას ლეონტიელი.

§ 101. გორგია ლეონტიელი (483 — 375). გორგია 483 წ. მახლობლად უნდა იყოს დაბადებული და 375 წ. მახლობლად გარდაცვლილი, წარმოშობით ლეონტიელია (სიცილიელი), ქარმანტიდეს შვილი.

<sup>1</sup> სულ სხვა მნიშვნელობისაა საისტორიო მწერლობაში ხმარებული ტერმინი „ლოგოგრაფოსი“ (იხ. ზემოთ).

<sup>2</sup> ასე სუბიექტურად გამოყენებულმა დიალექტიკამ მიიყვანა ეს ბერძენი განმანათლებლები სოფისტიკამდე, რომელიც მეცნიერებაშიც და პოლიტიკაშიც რეაქციულ როლს ასრულებდა. სოფისტიკისა და დიალექტიკის შესახებ იხ. В. И. Ленин, Философские тетради, М., 1947, стр. 254 — 256, 328; Социализм; т. VI 326, изд. 3-ье.

აკრავანტელ ფილოსოფოს ემპედოკლესთან ის ახლო ურთიერთობაში ყოფილა, რაც მტკიცდება ემპედოკლეს გავლენის ნიშნებით გორგიას რიტორიკაზე და ფილოსოფიაზე. მის დიალექტიკაზე გავლენა მოუხდენია აგრეთვე ძენონს.

ფილოსოფიური ნაწერებიდან ჩვენ ვიცნობთ ერთადერთს: „ბუნებისათვის, ანუ არარსისათვის“, რომელშიც ის კვეცილებს ძენონის სექტიკური აზრების განმავითარებლად: 1. არ არსებობს არაფერი; 2. თუ რამე არსებობდეს. მაინც მისი შეცნობა შეუძლებელი იქნებოდა; 3. შესაძლებელიც რომ იყოს მისი შეცნობა, შეუძლებელი იქნებოდა სხვებისათვის გადაცემა. ყოველ შემთხვევაში, გორგიას საფილოსოფიო მოღვაწეობა უმნიშვნელოა შედარებით იმ დეაწლთან, რომელიც მან დასდო ბერძნულ მხატვრულ პროზას, ბერძნულ რიტორიკულ პროზას.

427 წელს გორგია თანამოქალაქეთა მიერ გამოგზავნილ იქნა ათენში. რომ უკანასკნელისაგან გამოეთხოვა დახმარება სირაკუზის წინააღმდეგ (და კიდევ მიაღწია ამ დახმარებას).

იშვიათი შთაბეჭდილება მოუხდენია გორგიას ათენელებზე; «როდესაც ის ათენში მოვიდა — წერს დიოდორე სიცილიელი (I საუკ. ქვ. წ.) — და ხალხის წინაშე წარსდგა, ელაპარაკა ათენელებს კავშირის შესახებ და განცვიფრებაში მოიყვანა მსმენელები თავისი მეტყველების ხერხებით; ათენელები ხომ მეტყველების მოტრფიალენი იყვნენ. მან პირველად იხმარა საგანგებო და თავისი ხელოვნებით გამორჩეული მეტყველების ფორმები, რომელთა ძალაც მათი სიუცხოვის გამო დიდი იყო (დიოდორე, XII, 53). დიონისე ჰალიკარნასელიც (I ს. ოვ. წ.) აღასტურებს ამას: «ათენელი ორატორები შეიპყრო პოეტურმა და მხატვრულმა სამეტყველო ხერხებმა, რომლებიც გორგია მ შემოიტანა პირველად, როდესაც ათენში ელჩად მოსვლინას სახალხო კრების მამენელები განცვიფრებაში მოიყვანა».

შინაარსზე უფრო მეტად ფორმა იზიდავდა გორგიას. მისთვის საგულისხმო იყო მსმენელთა დაჭერება და არა იმის კუმშვობა, რასაც უმტკიცებდა. ამ მიზნის მისაღწევად მას უხმარია მხატვრული საშუალებანი, რომელთაგან მოხსენებულია შემდეგი: 1. „ანტითეტები“ — დაპირისპირებანი, ანტითეტები. 2. „ისოკოლები“ — ნაწილების თანაბრიანობა. 3. „პარისები“ — მიხმარება. 4. „პომოლოტელევტები“ კიდურმსგავსებანი, ბოლო ნაწილების გარითმვა.

ყვლა ეს ხერხი გორგიას ერთად უხმარია და სწორედ ამით, ხერხთა უჩვეულო დაგროვებით, განუცვიფრებია ათენელები; თუ არა — ეს ხერხები ცალკე წინათაც უხმარიათ სხვებს: პერაკლიტეს, ემპედოკლესა და დემოკრიტეს.



ამ მხატვრულმა ხერხებმა მოუპოვეს გორგიას დიდი ავტორიტეტი, მისი ხერხები მიბაძვის საგანი გახდა ათენელებში და საუკეთესო თრატორად ითვლებოდა ის, ვისაც შეეძლო გორგიას ხერხების ხმარება, ვისაც შეეძლო გორგიასებურად ლაპარაკი („გორგიაძე“). ამიტომ იყო, რომ მას ძალიან ეტანებოდა ახალგაზრდობა. ათენში თავისი დიპლომატიური მისია რომ დაამთავრა, დარჩა იქ, და ხელი მიჰყო ახალგაზრდათა სწავლებას, რამაც დიდძალი ქონება შესძინა.

ქვეშარიტება არ არის არსად — ასწავლიდა ის — ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაარწმუნებ, დარწმუნების ხერხები უმთავრესია.

პლატონი („პროტაგორა“) არ ეთანხმება გორგიას. მისი აზრით, ორატორი ქვეშარიტების ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, მას უნდა ჰქონდეს შეცნობა კარგისა და სამართლიანისა. უნდა იყოს ნამდვილი ფილოსოფოსი. პლატონის დასურათებით გორგია უფრო მკვებარა და ტრამბახა ადამიანად არის გამოყვანილი (დიალოგი „გორგია“).

გორგიას მოღვაწეობამ ათენში უდიდესი მნიშვნელობა იქონია რიტორიკის განვითარებაზე. იმ გარემოებამ, რომ ეს სახელგანთქმული ორატორი ატიკურ დიალექტს ხმარობდა, დიდად შეუწყო ხელი ამ დიალექტის გავრცელებას რიტორიკაში.

§ 102. რიტორიკული პროზის დარგები და მათი წარმომადგენლები. რიტორიკული პროზის სამი დარგი არსებობდა: სათათბირო-პოლიტიკური, სამოსამართლო და საზოგადოებრივი, ანუ საზეიმო.<sup>1</sup> პირველი განკუთვნილი იყო დემოსის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის; მეორე ემსახურებოდა სასამართლოში მოდავეთა შორის გამართულ პაექრობას („მეპაექრობისა“); ხოლო მესამე, შედარებით სხვებთან უფრო გვიან განვითარებული, საზოგადო და საზეიმო კრებებზე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის იყო დანიშნული.

ამ სამი დარგიდან მკვეთრად ჩამოყალიბებულია მეორე, სამოსამართლო რიტორიკა. რომელიც სასამართლო პროცესებისათვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება პირველსა და მესამეს, მათი გამოიყვნა ერთიმეორისაგან ძნელია; შეგვეძლო ეს ორი დარგი გავვეერთიანებინა ერთ, პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ, დარგად.

ათენში რიტორიკის განვითარების პერიოდად უნდა ჩაითვალოს 430 — 320 წლები. ამ პერიოდს ეკუთვნიან სწორედ რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შემადგენლობის „კანონში“ ძველმა გრამატიკოსებმა 10 ორატორი შეიტანეს: ანტიფონტი, ანდო-

<sup>1</sup> იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიითაც რიტორიკა „სამად განიყოფების: თ ა ნ ა მ ზ რ ა ხ ე ა ლ ო ბ ი ს ა, მ ე პ ა ე ქ რ ო ბ ი ს ა და დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბ ი ს ა“. იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II (1937), გვ. 223.

კიდე, ლისია, ისოკრატე, ისეოსი, ესქინე, დემოსთენე, ჰიპერიდე. ლიკურგოსი და დენარქე (სინამდვილეში მათი რიცხვი. რასაკვირველია, გაცილებით მეტი იყო). ამათგან ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთებს, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დასტოვეს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ლისია (459 — 380 წწ.). სამოსამართლო რიტორიკის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელია მდიდარი სირაკუზელი მოქალაქის, კეფალოსის, შვილი ლისია. პერიკლეს დროს კეფალოსი გადმოსახლდა ათენში, სადაც იგი მრეწველობასა და ვაჭრობას მისდევდა. ამგვარად, იგი გახდა მეტეკი (ე. ი. უცხოელი). შვილებს, ლისიას და პოლემარქოსს, კარგი განათლება მისცა: ფილოსოფია და რიტორიკა მათ საუკეთესო მასწავლებლებთან შეითვისეს. მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები გადასახლდნენ ათენელების მიერ სამხრეთ იტალიაში დაარსებულ ქალ. თურიეში. 413 წელს, სიცილიის ექსპედიციაში ათენელთა დამარცხების შემდეგ, თურიეში მოხდა გადატრიალება და გამარჯვებულმა ოლიგარქებმა დევნა დაუწყეს დემოკრატიის მომხრეებს. ლისია და პოლემარქოსი იძულებული იყვნენ თურიედან გაქეულოყვნენ, და დასახლდნენ ათენში. აქაც მათ დევნა განიცადეს: როგორც ცნობილია, 411 წელს ათენში დემოკრატია შესცვალა ოლიგარქიამ, ოთხასის საბჭომ. მართალია, ამ უკანასკნელის ბატონობა მხოლოდ ოთხ თვეს გაგრძელდა და დემოკრატია კვლავ მოექცა გამგებლობის სათავეში, მაგრამ 404 წელს, სპარტის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ოლიგარქიამ ხელთ იგდო სახელმწიფოს სადავეები სპარტელების დახმარებით, დამკვიდრდა ე. წ. „ოცდაათი ტირანის“ ბატონობა და დემოკრატებთან ერთად დევნა დაუწყეს მეტეკებსაც: ლისიას და პოლემარქოსს მთელი ქონება ჩამოართვეს, ერთი „ოცდაათთაგანის“, ერთოსთენეს, წინადადებით სამართალში მისცეს ლისია და მისი ძმა. ლისიამ მოახერხა გაქცევა, ხოლო პოლემარქოსი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ლისია, ათენიდან გაქეული, რაც შეეძლო ეხმარებოდა დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლთ; ასე, მაგალითად, მან ნიკთიერი დახმარებაც გაუწია თრასიბულეს, რომლის მეთაურობით 403 წლის შემოდგომაზე დემოკრატიამ გაიმარჯვა. მიუხედავად თრასიბულეს ყოველგვარი ცდისა, ლისიამ ვერ მიიღო ათენელი მოქალაქის უფლებები და იგი ბოლომდე მეტეკად დარჩა.

სილარიბეში ჩავარდნილმა ლისიამ ხელი მოჰკიდა ვექილობას (მანშინდელი ვაგებით) და „ლოგოგრაფოსობით“ ირჩენდა თავს. განსაკუთრებით თავი ისახელა ლისიამ იმ პროცესით, რომელიც მან დაიწყო თავისი ძმის მკვლელის, ერთოსთენეს, წინააღმდეგ: მისმა ბრწყინ-

ვალე სიტყვამ „ერატოსტენეს წინაღმდეგ“ მიიზიდა მისკენ უამრავი კლიენტი.

ლისიას სახელით ცნობილი იყო 425 სიტყვა. ამათგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 34 სიტყვა; გარდა ამისა, ვიცნობთ 127 სიტყვის სათაურებს და წვრილ ფრაგმენტებს.

მოღწეულ სიტყვათაგან მხოლოდ ერთია საზეიმო ქანრისა; ერთიც სათათბირო-პოლიტიკური ქანრისა. ყველა დანარჩენი სიტყვა სასამართლო რიტორიკას ეკუთვნის.

ლისიას სიტყვების დამახასიათებელია, პირველ ყოვლისა, მათი დახვეწილი ატიკური ენა; იგი თავისუფალია მოძველებული სიტყვებისაგან და აგრეთვე ჭარბი ნეოლოგიზმებისაგან. ლისია (უკეთ რომ ვთქვათ, მისი კლიენტები, ვისთვისაც ის სიტყვებს სწერდა) ლაპარაკობს ჩვეულებრივი სიტყვებით და მარტივი კონსტრუქციებით. ამ მხრივ ძველი გრამატიკოსებივე უქებდნენ მას სიტყვის იმ ნაწილს, რომელსაც ერქვა „დიეგისი“, სადაც მოკლედ და გასაგებად მოთხრობილი იყო სასამართლო პროცესის გამომწვევი ფაქტები.

ლისია, როგორც ყველა ლოგოგრაფოსი, იძულებული იყო აეგო სიტყვა კლიენტის სოციალური და ინტელექტუალური თვისებების შესაბამისად, რათა ამ კლიენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მსმენელებზე, მოსამართლეებზე და მსაჯულებზე, დამაჯერებელი შთაბეჭდილება მოეხდინა.

საგანგებოდ აღსანიშნავია აგრეთვე ლისიას ერთი რიტორულ-მორალური ხერხი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ მხატვრულ ლიტერატურაში ავტორები არ ერიდებოდნენ უწმაწური და უხამსი შემთხვევების გადმოცემას, ლისია არასდროს არ სცილდება მაღალხეობრივი გამოთქმების ფარგლებს და თვით მაშინაც, როდესაც მას შეეძლო ამით მოწინააღმდეგე განსაკუთრებულს სირცხვილში ჩაეგდო, არ აშიშვლებს ფაქტებს და ასეთი ფაქტის ოდნავი მითითების შემდეგ უმაღვე წერტილს სვამს.

დასასრულ, ლისია საგულისხმოა ჩვენთვის როგორც შესანიშნავი წყარო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად. ლისია მხატვრული სტილით გვაცნობს ათენის მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, კულტურულ ვითარებას, საზოგადოებრივი წრეების ურთიერთობასა და ყოფა-ცხოვრების დეტალებს. ასე, მაგალითად, ის გვიხატავს: ვაიძვერა მოქალაქეებს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ოლიგარქიული გადატრიალების მონაწილენი იყვნენ, დემოკრატიული რეჟიმის აღდგენის დროსაც ცდილობენ თბილი აღგილები მიიღონ; პურით მოვაკრე სპეკულანტებს, რომლებიც პანიკას ჰქმნიან ქალაქში; მდივან-მწიგნობარს ნიკომაქეს, მექრთამეს და სახაზინო ფულების მიმთვისებელს, და მრავალ სხვას.

ისოკრატე (430 — 338). საზოგადოებრივ-საზეიმო რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენელია ისოკრატე, ფლეიტების ფაბრიკანტის თეოდორეს ძე. ისოკრატემ საფუძვლიანი განათლება მიიღო: სწავლობდა სოფისტ პროდიკესთან და ორატორებთან: გორგიასთან, ტეისიასთან და თერამენესთან. თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ის ლოგოგრაფოსობდა, ხოლო მალე ამას თავი გაანება და გახსნა ორატორიკის სკოლა, ჭერქიოსზე, შემდეგ 388 წლის მახლობელ ხანებში, ათენში. დიდია ისოკრატეს ღვაწლი რიტორიკული განათლების საქმეში: მან შეიმუშავა ახალი პროგრამა მომავალ რიტორთა განათლებისა. ეს პროგრამა, რომელიც გაშლილია მის სიტყვაში „სოფისტების წინააღმდეგ“, ითვალისწინებს არა მარტო რიტორიკის როგორც ფორმალური დისციპლინის სწავლებას, არამედ მოსწავლისათვის, ზირველ ყოვლისა, ზოგადი განათლების მიცემას, ხოლო რიტორიკის სწავლებას პრაქტიკულ ვარჯიშობასთან დაკავშირებით.

თავისი მსოფლმხედველობით და პოლიტიკური შეხედულებებით ისოკრატე მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენელია, დემოკრატიის მტერი და მონარქიის მომხრე. ცნობილია, რომ IV საუკუნეში ათენის საზოგადოებრივი აზრი კრიზისს განიცდიდა. პელოპონესის ომში ათენის დამარცხებამ და გააფთრებულმა შინაკლასობრივმა ბრძოლამ არახელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა ათენის დემოკრატიას. ათენის ინტელიგენციაში გაჩნდნენ ისეთები, რომელნიც ათენის ძველი სიდიადის აღდგენის იმედებს ამყარებდნენ სხვა ძლიერ სახელმწიფოებზე; ისინი მზად იყვნენ ამ სახელმწიფოთა ხელში გადაეცათ ათენი, ოღონდ კი მისი ძლიერება აღდგენილიყო და ათენის საუკუნეებრივი მტერი, სპარსეთი, დამარცხებულიყო. ინტელიგენციის ამ ბანაკს ეკუთვნოდა ისოკრატეც, რომელიც ხან დიონისე სირაკუზელს მიმართავდა წინადადებით ათენი თავის კალთებს ქვეშ შეეფარებინა. ხან არქიდამე სპარტელს და უკანასკნელად ფილიპე მაკედონელს.

როგორც რიტორი-სტილისტი ისოკრატე მაღალი სტილის შემქმნელი და პროზული პერიოდების დამხვეწელია. მართალია, ის გორგიას მიმდევარა, მაგრამ მის ფიგურებს ზომიერად იყენებს. მის პერიოდის ნაწილები სიმეტრიულად არის დალაგებული და შეთანხმებული მათში გამოთქმულ აზრებთან: ერთნაირი აზრის გამომხატველი გამონათქვამები ზომითაც ერთნაირი არიან, თანაბარმარცვლოვანი. ამ გზით აღწევს ისოკრატე ევრითმიას.

ისოკრატეს ენა დახვეწილი ატიკური დიალექტია.

დასასრულ, ისოკრატეს რიტორიკის თავისებურებად მიჩნეული იყო მისი მოსწრებული ბრძნული გამოთქმები, ე. წ. „აპოფთეგმატა“.

ბერძენ და ბიზანტიელ გრამატიკოსებსა და სქოლიასტებს მრავლად მოჰყავთ ასეთი აპოფთეგმები.<sup>1</sup>

ჩვენამდე მოღწეულია ისოკრატეს 21 სიტყვა და 9 წერილი; ამთ-  
გან ექვსი სიტყვა სასამართლო რიტორიკის დარგს ეკუთვნის და ისოკ-  
რატეს მოღვაწეობის იმ პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, როდესაც  
იგი ლოგოგრაფოსობდა. დანარჩენი სიტყვები საზეიმო რიტორიკას  
განეკუთვნებიან და, მეტწილად, რეალურად წარმოთქმულ სიტყვებს  
კი არ წარმოადგენენ, არამედ შეთხზული არიან რიტორიკულ-პედა-  
გოგიური მიზნით, მოწაფეთათვის სავარჯიშოდ. მაგრამ რამდენადაც  
ეს სიტყვები მაშინდელი ცხოვრების საყურადღებო მოვლენებს ეხე-  
ბიან. ამდენად მათი მნიშვნელობა დიდია იმ დროის პოლიტიკური და  
საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად. ამ სიტყვათაგან განსაკუთ-  
რებით გამოირჩევა: „პანეგირიკოსი“, „არეოპაგეტიკოსი“ და „პანათ-  
ენაიკოსი“.

**დემოსთენე (384 — 322).** პოლიტიკური რიტორიკის საუკეთესო  
წარმომადგენელია დემოსთენე, რომელმაც საზოგადოდ ბერძნული  
შქევრმეტყველება განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და  
თავის რიტორიკულ ხერხებში ბერძნული რიტორიკის მიღწევათა შე-  
ჯამება მოგვცა.

დემოსთენე დაიბადა 384 წელს მდიდარი მამის ოჯახში. მის  
მამას (მასაც დემოსთენე ერქვა) იარაღის საწარმო ჰქონდა. მამა რომ  
გარდაეცვალა, დემოსთენე შვიდი წლისა იყო; ბავშვების მეურვეებმა  
მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ჭონება დაიტაცეს. 364 —  
363 წლებში, როდესაც დემოსთენე სრულწლოვანი გახდა, მან აღძრა  
საქმე ყოფილი მეურვეების წინააღმდეგ. დემოსთენეს კარგი რიტორი-  
კული სკოლა ჰქონდა გავლილი და დაუფლებული იყო რიტორიკულსა  
და იურიდიულ ხერხებს. მართალია, მას ჰქონდა მეტყველების ზოგი-  
ერთი ნაკლი, მაგრამ მუყაითი მუშაობის შემწეობით სძლია ამ ნაკლს  
და ჩინებული ორატორი დადგა. პირველმა სიტყვებმავე (მეურვეების  
წინააღმდეგ) მას სახელი მოუხვეჭა, თუმცა მეურვეთა ხრიკების  
გამო მაინც ვერ მიიღო მატერიალური დაკმაყოფილება. ამის შემ-  
დეგ დემოსთენე შეუდგა ლოგოგრაფოსობას და ამით ირჩენდა თავს

---

<sup>1</sup> ერთ აპოფთეგმაში ნათქვამია: «ისოკრატემ თქვა: აღზრდის ძირი მწარეა, ნა-  
ყოფი კი ტკბილია». შეად. დავით გურამი შეილის

სწავლის ძირი მწარე არის  
კენწეროში ვატკბილდების (29).  
ისმინე, სწავლის მძებნელო!  
მოვევ დავითის მცნებასა,  
ჭერ მწარე სკამე, კელავ ტკბალი  
თუ ეძებ გემოვნებასა (30).

(351 — 355 წლები). მაგრამ მისი მოწოდება მაინც, ჩანს, პოლიტიკური მიზნით იყო. 355 — 354 წლებს ეკუთვნის დემოსთენეს პირველი პოლიტიკური სიტყვები.

საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობა ამ დროს მეტად გართულებული იყო. როგორც ზემოთ ისტორიის მოღვაწეობის განხილვის დროს ნათქვამი იყო, IV საუკუნის შუა წლებში საბერძნეთის საზოგადოებრივი აზრი კრიზისის ვახიცდიდა; ბერძნულ პოლისებს შორის, 404 წლის კატასტროფის შემდეგ, ჩამოვარდნილი შინაური ბრძოლა და ქიშპობა ბერძნულ სამყაროს ასუსტებდა, ხოლო გარეშე მტერს, სპარსეთს, აძლიერებდა: სპარსეთი უკარნახებდა ბერძნულ პოლისებს თავის ნებას. ათენის ინტელიგენცია ოცნებობდა ათენის (და, მაშაადამე, ბერძნული სახელმწიფოებრიობის) სიღიადის აღდგენაზე: ინტელიგენციის ერთ ნაწილს ამ აღდგენის საიმედო გზად მიანდა რომელიმე უცხო და ძლიერი სახელმწიფოს კალთებს ქვეშ ამოთარება. ბოლო ხანებში, IV საუკუნის შუა წლების მიწურულში, ასეთ სახელმწიფოდ მიჩნეული იყო მაკედონია.

მაკედონია ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა. მეოთხე საუკუნემდე მაკედონიას მეტად პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობები ახასიათებდა: მაკედონია შედგებოდა რამდენიმე დამოუკიდებელი ოლქისაგან, რომელთაც განაგებდნენ „ბასილეგები“ (ბერძნული ტერმინოლოგიით) და რომელთა წყობილება ჰგავდა ძველ ბერძნულ „პატრიარქალურ მონარქიას“. საგვარეულო ურთიერთობათა რღვევას ვამჩნევთ V საუკუნიდან, როდესაც კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების საფუძველზე იწყება მაკედონიის გაერთიანება, მისი პოლიტიკური ცენტრალიზაცია.

მაკედონიის პირველ მეფედ ითვლება ალექსანდრე I ამინტას ძე (V საუკუნის პირველ ნახევარში), „ბერძნების მეგობარი“, რომელმაც გააერთიანა თავისი ბატონობა სტრიმონამდე, საზღვაო ზონამდე, და კავშირი დაიჭირა საბერძნეთის სავაჭრო ქალაქებთან. ალექსანდრეს შემდეგ გრძელდებოდა მაკედონიის ელინიზაცია და ოლქების გაერთიანება. მეფე არქელაე (V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) იწვევს თავის კარზე ბერძნული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებს (მაგ., ევრიპიდეს), იღწვის ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე, ავითარებს ფულად მეურნეობას. იმ ბერძნული კოლონიების წყალობით, რომლებიც მაკედონიაში არსებობდა, მაკედონიანი ვითარდება ფულადი მეურნეობა და მონათმფლობელობა.

ცალკეული ოლქების მთავრები, რასაკვირველია, წინააღმდეგობას უწევენ როგორც მაკედონიის გაერთიანებას, ისე ბერძნული კულტურის გავლენას. მწვავე ბრძოლა წარმოებს მეფესა და მთავრებს შორის.

ეს ბრძოლა დაგვირგვინდა ახალი სისტემის გამარჯვებით, ფილიპე II დროს (359 — 336 წწ.). ფილიპე საბერძნეთში აღიზარდა და კარგად იცნობდა ბერძნულ კულტურასაც და ბერძნული პოლისების სტრუქტურასაც. მან თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ფართოდ გამოიყენა ბერძნული სახელმწიფოების ცოდნა და ჩაატარა მაკედონიაში სხვადასხვა რეფორმები: შექმნა ძლიერი მაკედონიური არმია, აავსო ციხე-სიმაგრეები, ჩააბა სამხედრო საქმიანობაში მაკედონიის დიდებულნი, ჩაატარა საფინანსო რეფორმები და სხვა. საშინაო ცხოვრებაში ჩატარებულმა რეფორმებმა საშუალება მისცეს ფილიპეს ფართოდ გაეშალა საგარეო პოლიტიკა: დაიმორჩილა ილირიისა და თრაკიის დიდი ნაწილი და, ამგვარად, გააფართოვა მაკედონიის სახელმწიფოს ტერიტორია, შეებრძოლა თრაკიის სანაპიროზე მდებარე ბერძნულ კოლონიებს და დაიწყო აგრესიული პოლიტიკა სამხრეთისაკენ — თესალიისკენ და შიდა საბერძნეთისაკენ.

ათენის საზოგადოების ერთი ნაწილი, უპირატესად მდიდარი მონათმფლობელები, დიდ იმედებს ამყარებდნენ მაკედონიაზე და მის მეფეზე, ფილიპეზე: თინი ფიქრობდნენ, რომ ფილიპეს ღახმარებით ბოლოს მოუღებდნენ შინა-პოლისურ ქიშპობას და საბერძნეთის სიძლიერეს აღადგენდნენ. ორატორი ისოკრატე ზომ მთელ რიგ სიტყვებში ამ პოლიტიკას ადგა; ამავე გზას ადგნენ აგრეთვე IV საუკუნის ორატორები და პოლიტიკური მოღვაწეები: ესქინე, რომელზედაც ამბობდნენ ფილიპემ ოქროთი მოისყიდაო, და დენარქე.

მაკედონიური პარტიის გვერდით იყო ანტიმაკედონიური პარტიაც, რომელსაც მეთაურობდა დემოსთენე და რომელსაც ეკუთვნოდნენ აგრეთვე ჰიპერიდე და ლიკურგე.

თუმცა ათენსა და ფილიპეს შორის 346 წელს ხელშეკრულება აღდგა (ე. წ. ფილოკრატეს ზავი), მაგრამ ფილიპე მაინც განაგრძობდა აგრესიას საბერძნეთის მიმართ. დემოსთენე გამოდის ფილიპეს წინააღმდეგ მთელი რიგი სიტყვებით, რომლებშიც ახელს მაკედონელთა ოინებს და ფილიპეს „ტირანობას“ (მისი ეს სიტყვები ცნობილია „ფილიპიკების“ სახელწოდებით).

დემოსთენეს მოღვაწეობა ააშკარავებს მის ღრმა პატრიოტულ გრძნობებს და სწორ შეხედულებას ათენის მდგომარეობაზე: მართალი იყო ის, როდესაც აფრთხილებდა ათენელებს და მოუწოდებდა შებრძოლებოდნენ მაკედონიის აგრესიას; მართალი იყო ის, როდესაც მოითხოვდა ათენის არსებული მდგომარეობის გადახალისებას. მაგრამ რას უპირისპირებდა დემოსთენე იმ მონარქისტულ ტენდენციებს, რომლებიც ემჩნეოდა საზოგადოების ერთ ნაწილს, მაკედონიური პარტიის წარმომადგენლებს? ის უპირისპირებდა ძველი საბერძნეთის იდეალებს, საბერძნეთის გმირულ წარსულს, პერიკლეს დროინდელ

მდგომარეობას და მოითხოვდა მის აღდგენას, იმ დროს როდესაც IV საუკუნის საბერძნეთში სრულიად ახალი ვითარება იყო: შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობები, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება და მონათმფლობელური მეურნეობის კრიზისი ჩამორჩენილ აგრარულ პოლისებშიც შეიჭრა და გამოიწვია ძველი წყობილების დაშლა, კერძოდ გლეხების გალატაკება, უმიწაწყლოდ დარჩენა. ამ ახალ ვითარებას შეეფერებოდა ათენის სახელმწიფოს (და საზოგადოდ ბერძნული პოლისების) წყობილების გადახალისება ახალ საფუძველზე და არა ძველისკენ, პერიკლეს დროინდელ ვითარებისკენ დაბრუნება.

მიუხედავად იმისა, რომ დემოსთენეს პოლიტიკა, ამგვარად, სუსტი იყო. მისი მოწოდებები მაინც დიდ გამოძახილს ჰპოულობდა საზოგადოებაში, რადგან ძლიერი იყო დემოსთენეს ორატორული ნიჭის და მისი რიტორიკული ხელოვნების გავლენა. დემოსთენეს სიტყვებში ჰარმონიულად არის შეხავებული პოლიტიკური მებრძოლის მგზნებარება და მკვერმეტყველების ხერხები. მან, ასე ვთქვათ, შეაჯამა ბერძნული რიტორიკული ხერხებისა და პროზაული რიტმული მეტყველების მიღწევები და ბუნებრივი ატიკური სიტყვის სახით წარმოგვიდგინა რთული, მაგრამ ოსტატურად დალაგებული პერიოდებისაგან აგებული რიტორიკული ნაწარმოებები.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, თუ რა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ბერძნული პოლისების (უმთავრესად, ათენის) დემოკრატიულმა სისტემამ რიტორიკის განვითარებას. პოლისების დაშლამ IV საუკუნის ბოლო წლებში ნიადაგი გამოაცალა რიტორიკას როგორც საზოგადოებრივი ბრძოლის იარაღს: ამიერიდან მას აღარ ჰქონდა დასაყრდენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სახალხო კრებამ, საბჭომ, აგორამ დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, ხოლო სასამართლოში წარმოსათქმელი სიტყვებისათვის მრავლად მოიპოვებოდნენ მათი დამწერნი და უფრო გვიან ხანებში ვექილებიც. ასე რომ მოქალაქე აღარ გრძნობდა საჭიროებას სპეციალური რიტორიკული განათლება მიეღო, როგორც ეს იყო V — IV საუკუნეებში. მაგრამ ამავე დროს რიტორიკა აღიარებული იყო ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ადამიანის განათლებისა და უკვე არისტოტელემ, რომელსაც ეკუთვნის უძველესი საფუძვლიანი გამოკვლევა მკვერმეტყველებაზე („რიტორიკა“ 3 თუ 2 წიგნად), თავისი სკოლის სასწავლო გეგმაში შეიტანა რიტორიკის სწავლება. და იმ დროიდან მოკიდებული ვიდრე ბიზანტიური პერიოდის დასასრულამდე რიტორიკა ძირითადი საგანი იყო საშუალო და უმაღლეს სკოლებში.



§ 103. ბელეტრისტიკული პროზის ჩანასახი ელინურ მწერლობაში. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ბერძნული პროზის სამი დარგი: საფილოსოფიო, საისტორიო და რიტორიკული პროზა. ეს იყო ბერძნული პროზის ძირითადი დარგები, რომლებიც V — IV საუკუნეებში წამყვან როლს ასრულებდნენ პოლისების პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ამ ძირითადი დარგების გვერდით ხალხში გავრცელებული ყოფილა სხვა პროზაული სახეებიც, რომლებიც, მართალია, არ ჩამოყალიბებულან მყარი მხატვრული კომპოზიციის მქონე ლიტერატურულ ქანრებად, მაგრამ მაინც საკმაოდ პოპულარული ყოფილან. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ: ი გ ა ვ ე ბ ი, მ ი მ ე ბ ი და ნ ო ვ ე ლ ე ბ ი.

§ 104. ესოპეს იგავები. ჯერ კიდევ ჰეროდოტე იცნობს არაკების მთხზველს ესოპეს. თავისი „ისტორიის“ მეორე წიგნში ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ ესოპე იყო იადმონ სამოსელის მონა, რომ [იგი დელფოში იყო კრებეს მიერ სარდედან გაგზავნილი, მას დელფელებმა ოქროს ფიალის მოპარვა დააბრალეს ტაძრიდან და მოკლეს უდანაშაულოდ, ხოლო შემდეგ] დელფელებმა მისნის მათითებით შეკითხვები დააგზავნეს, თუ ვინ იქნებოდა ესოპეს მოკვლისათვის სისხლის ამლები, და ასეთად გამოცხადდა მხოლოდ იადმონი, იმ იადმონის შვილიშვილი. საყურადღებოა, რომ ჰეროდოტე უწოდებს ესოპეს „ლოგოპოზოს“. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ბერძენები იმ მწერალს, რომელიც პროზით წერდა: მისი საპირისპირო ტერმინი იყო „ეპოპოზოს“ („ლექსით მწერალი“, „პოეტი“). მაშასადამე, უკვე ჰეროდოტეს დროს ცნობილი ყოფილა, რომ ესოპეს იგავები პროზულ ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ. ჩვენთვის აქ საყურადღებოა თვით ის ფაქტი, რომ V საუკუნეში გავრცელებული ყოფილა პროზით შეთხზული იგავები. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყო ავტორი, იყო ეს ესოპე თუ სხვა ვინმე, ეს საცილობლად არის გამხდარი მეცნიერთა შორის: ზოგიერთი მეცნიერი ესოპეს ლეგენდარულ პიროვნებად თვლის. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ არის ცხადი: ბერძნული სამყარო არაკების ავტორად იცნობს მხოლოდ ესოპეს და მის ვრცელ ბიოგრაფიას ჰქმნის.

ანტიკური ცნობებით ესოპე სარდელია, ზოგიერთების გადმოცემით თრაკიელი ან ფრიგიელი. დაახლოებული ყოფილა კრებესთან. გარეგნობით მახინჯი ყოფილა.

ესოპეს ბიოგრაფიაში მრავალნაირად არის გადმოცემული მისი თავგადასაჯალი; ის ხან მიწათმოქმედის მონაა, ხან ვაჭრია, ხან ფილოსოფოსისა; ყველგან იჩენს თავის ჭკუას, ცოდნას და გამოცდილებას; უყვარს საწყალი ხალხი, სძულს ბოროტნი; სუსტს ექომაგება, ძლიერს მეტოქეობას უწევს.

ესოპეს იცნობს IV საუკუნის ბოლო წლების მწიგნობარი დემეტროს ფალერელი რომელსაც შეუდგენია ესოპეს იგავთა კრებულები (პროზად). კრებულები შეუდგენიათ სხვა მწიგნობრებსაც, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია ესოპეს იგავები პოეტურად გადამუშავებული ფედროსის (I საუკ.), ბაბრიოსის (II საუკ.) და ავიანეს (IV — V საუკ.) მიერ. ბიზანტიურ პერიოდში ესოპეს იგავთა პროზული თხრობა შეტანილ იქნა ე. წ. „სინტიპას იგავებში“, ხოლო იგნატი დიაკონოსმა (IX საუკ.) ისინი კოკლი იამბებით გალექსა. XI საუკუნეში შეკრებილ იქნა პროზული იგავები და ჩვენ გვაქვს მათი სამი რედაქცია. ამ კრებულიდან სკოლაში სახმარებელი ტექსტები იგავებისა დაამუშავა მაქსიმე პლანუდემ (XIII საუკ.).

მაქსიმე პლანუდეს მიერ შერჩეული 144 იგავი წარმოადგენს ძირითად მასალას, რომელიც საფუძვლად უდევს ესოპეს იგავთა გამოცემას, ხოლო მას ემატება 136 ახალი იგავი, რომელიც მერმინდელმა გამოცემლებმა შეარჩიეს ძველი კრებულებიდან.

ესოპეს ყოველი იგავი შედგება ორი ნაწილისაგან: არაკი და თარგმანი. ესე იგი, არაკის გადმოცემის შემდეგ ავტორი ურთავს განმარტებას, თუ რას გვასწავლის ეს არაკი.

მაგალითად:

#### ვირისათვის და მელისა

პოვა უკვე ოდესმე ვირმან ტყავი ლომისა და აღიღო იგი და მოიკვა და ვიდოდა და აშინებდა ვერეთ ყოველთა მხეცთა. მაშინ რხილა მელი ერთი, დაემართა მისდაცა შეშინებად. ხოლო მელსა მას პირველად ესმა ხმა მისი და ცნა, რამეთუ ვირი იყო და პრქვა მას:

— ისმინე ჩემი, ვირო ჭეშმარიტად მეშინოდამცა მე შენი, უკეთუმცა არა მესმინა ხმა შენი.

თარგმანი: იგავი ეს გამოაცხადებს კაცთა უსწავლულთა, რომელნიცა ეჩვენებიან სხვათა ბრძნად და მრავლის მეტყველებითა მათითა იმხილებიან.

ქართულად უთარგმნიათ ძველადვე ესოპეს 40 იგავი. მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არაა, ხოლო თარგმანს მიაკუთვნებენ XVII — XVIII საუკუნეს. გარდა ამისა XIX ს. იტალიურიდან უთარგმნიათ 95 იგავი: „იგავნი იეზებოს ფოლოსოფოზისანი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“ (ვენეტისკ, წიგნთაბეჭდავსა შინა წმ. ლაზარესი, 1859 წ.).

§ 105. სოფრონის მიმები. ბელეტრისტიკულ პროზას უნდა მიეკუთვნოს, ჩვენის აზრით, მიმებიც. მიმი (დაკავშირებული ზმნაათან „მიმომოა“ „ვბაძავ“) წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო სცენას, რომელშიც ასახული იყო ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე და გამოყვანილი იყვნენ რიგითი ადამიანების ტიპები. მიმებში ასახული ტიპები მდაბიური ხალხური ენით. ლაპარაკობდნენ, მეტად

ხშირად ხმარობდნენ ანდაზებსა და ზმებს; მათი საუბარი ხშირად ეხებოდა ყოველდღიური ცხოვრების უბრალო შემთხვევებს (მეზობლების შეხვედრა, ერთიმეორისათვის რომანიული თავგადასავლის გაზიარება, დღეობა და სხვ.). მეხუთე საუკუნემდე სცენები ხალხური სიტყვიერების ფარგლებს არ სცილდებოდა. მხოლოდ სოფრონმა აიყვანა იგინი ლიტერატურული ქანრის სიმაღლეზე.

სოფრონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შემდეგნაირად აგვიწერს ლექსიკოგრაფი სვიდა: «სოფრონ სირაკუზელი, აგათოკლეს და დამნასილიდას შვილი; ცხოვრობდა ქსერქსეს და ევრიპიდეს დროს და დასწერა მიმები მამაკაცების შესახებ და დედაკაცების შესახებ. წერდა პროზით, დორიულ დიალექტზე. ამბობენ, რომ ფილოსოფოს პლატონს მუდამ თან ჰქონდა ეს მიმები, მაშინაც, კი, როდესაც ეძინა». სოფრონის მოღვაწეობა V საუკუნის მეორე ნახევარში უნდა ვიგულისხმოთ.

სოფრონის არც ერთი მიმი არ მოღწეულა მთლიანად. ვაკქეს მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები, საკმაოდ მოკლე, რიცხვით 172 (ნაწყვეტების სიმოკლე იმით აიხსნება, რომ ისინი მოყვანილია გრამატიკოსების მიერ, უმთავრესად, როგორც დორიული დიალექტის ნიმუშები). ამ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ სოფრონის მიმების სათაურები ყოფილა: „დედამთილი“, „მებაღური და მიწის მუშა“, „ქალები ისთმოს დღეობაზე“, „ქალები, რომლებიც საუზმობენ“, „მკერავი ქალები“ და სხვა.

როგორც სათაურებიდან ჩანს, სოფრონის მიმების სიუჟეტი ავტორის სამშობლოს ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს ეხებოდა. იყო ცდა სოფრონის ფრაგმენტებში მითოლოგიური და ფანტასტიკური სიუჟეტებიც ეპოვათ, მაგრამ ასეთმა ცდამ წაყოფი ვერ გამოიღო: არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ სოფრონი მითების პაროდებს სწერდა ან ზღაპრულ სიუჟეტებს ეხებოდა. სოფრონის შემოქმედებაში მითოლოგიური სიუჟეტების მცდარი ძიება იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ სოფრონს უნათესავედნენ იმავე სირაკუზის მწერალს ეპიქარმეს, რომელიც VI — V საუკუნეთა მიჯნაზე მართლა სწერდა სცენებს, როგორც საყოფაცხოვრებოს, ისე მითოლოგიურს, და რომელიც თვით ძველ ბერძნებსაც ერეოდათ ხოლმე სოფრონში. მაგრამ უანრობრივად ეპიქარმეს არავითარი კავშირი არა აქვს სოფრონთან.

სოფრონის შემდეგ მიმი აღარ განვითარებულა. მომდევნო ელინისტურ ხანაში სოფრონის შემოქმედების საფუძველზე წარმოიშვა ორი ახალი მხატვრული ქანრი: ჰერონდას „მიმიაზები“ და თეოკრიტის „იდილიები“.

§ 106. ნოველები. მართალია, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა

ნოველის ისტორიას იწყებს საშუალო საუკუნეებიდან, როდესაც ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია გამოდის ლიტერატურაში პაროდითა და სატირით ფეოდალურ წყობილებაზე (ქმ 8,119), მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩხია ხოველებს მივაკუთვნოთ ის მოკლე მოთხრობები, რომლებიც ადრიდანვე გავრცელებული ყოფილა ხალხში ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებაზე ან შემთხვევაზე და რომლებშიც კონკრეტული ეპიზოდი მხატვრულად არის გადმოცემული ზოგადადამიანური აზრებისა და გრძნობების ასახვის მიზნით. ასეთი მოთხრობების კვალი შემოგვინახეს ბერძენმა ისტორიკოსებმა, პეროტემ და ქსენოფონტმა, რომლებმაც თავიანთ „ისტორიებში“ ალაგ-ალაგ ჩაურთეს „გრძნობიერი“ დღევით აღწერილი ეპიზოდები ზოგიერთი ისტორიული პიროვნების თავგადასავლიდან (იხ. ზემოთ).

---

ჩვენი განხილვის გარეთ დარჩნენ ელინური ეპოქის ის მწერლები, რომელთა თხზულებები სპეციალური მეცნიერების ამა თუ იმ დარგს განეკუთვნება: მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას, ტექნიკას. ცნობილი არიან ამ დარგების ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ მათემატიკოსი ჰიპოკრატე ქიოსელი (ესქილეს მასწავლებელი, რომელიც წრის კვადრატურაზე მსჯელობდა), ექიმები ჰიპოკრატე კოსელი, V საუკუნის ცნობილი ავტორი მრავალი სამედიცინო ტრაქტატისა, და დიოკლეკარისტელი, ათენის სამედიცინო სკოლის მეთაური IV საუკუნის დასაწყისში, და მრავალი სხვა. ელინური პერიოდის თვალსაზრისით ეს მწერლები ფილოსოფიის დარგს ეკუთვნიან: ამ პერიოდში ფილოსოფია შეიცავს მეცნიერების ყველა დარგს, და, მაშასადამე, მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვა სპეციალური დისციპლინების წარმომადგენლებს საფილოსოფიო პროზაში გულისხმობენ ხოლმე.

---

## თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

### ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა

§ 107. ელინისტური პერიოდის განსაზღვრა. ტერმინი ელინიზმი (და მასთან დაკავშირებით „ელინისტური“) დამკვიდრდა ამ 100 წლის წინათ, როდესაც იოჰან გუსტავ დროიზენმა საბერძნეთის ისტორიაში გამოჰყო ხანა ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ვიდრე ოქტავიანე ავგუსტემდე. (323 — 30) როგორც მსოფლიო კულტურის საგანგებო ხანა.

334 — 324 წლებში ალექსანდრე მაკედონელმა ჩაატარა ძლევამოსილი ლაშქრობები და შექმნა მაკედონიური იმპერია, რომელაც ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან დაწყებული ვრცელდებოდა აღმოსავლეთით ვიდრე ირანამდე და ინდოეთამდე, სამხრეთით — ვიდრე ეგვიპტემდე, სირია-პალესტინამდე და შუამდინარემდე.

მაკედონიის ექსპანსიას, აღმოსავლეთით და სამხრეთით, შედეგად ის მოჰყვა, რომ ელინური კულტურის რეალში შემოვიდნენ მცირე აზიის, სირიის, პალესტინის, ეგვიპტისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. ეს უკანასკნელნი, თვითონაც მქონენი ძველი წელმაგარი კულტურისა, ეზიარებიან ელინურ კულტურას და ბერძნებთან ერთად მონაწილეობას იღებენ კულტურის შემდგომ განვითარებაში. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებისა, რომლებიც ამ პერიოდში გულისხმობენ მხოლოდ ბერძნების გავლენას აღმოსავლეთის ხალხებზე, ხაზი უნდა გაესვას პირუკუ მოვლენასაც: აღმოსავლეთის ხალხთა გავლენას ბერძნულ კულტურაზე, საზოგადოებრივ ყოფაზე, ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ამგვარად, ყალიბდება ახალი კულტურა, ახალი საზოგადოებრივი ყოფა, ახალი ეკონომიური ცხოვრება როგორც შედეგი ელინურობისა და აღმოსავლურობის შერევისა. ამ ახალ კულტურას, ახალ სამყაროს ჩვენ ვუწოდებთ ელინისტურს, განსხვავებით ელინურისაგან, რომლითაც იგულისხმება „წმინდა ბერძნული“.

ელინისტური პერიოდი გრძელდება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, როდესაც უკვე საფუძველი ეყრება ცხოვრების ახალ ფორმაციას, ფეოდალურ წყობილებას. ზოგიერთი მკვლევარი ელინის-

ტურ პერიოდს ორ ქვეპერიოდად ჰყოფს: I-II — I საუკუნეებს (30 წლამდე ძვ. წ.) მიაკუთვნებს ელინისტურს (ან ალექსანდრიულს, რადგან ამ დროს კულტურის ცენტრია ქალაქი ალექსანდრია), ხოლო 30 წლის შემდგომ ხანას „რომის ბატონობის“ პერიოდად თვლის (რადგან ამ დროიდან ელინისტური სამყარო რომის პოლიტიკურ გამგებლობაში გადადის). ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ ელინისტური პერიოდი დავშალოთ ორ ქვეპერიოდად: ეს პერიოდი მთლიანია როგორც თავისი ეკონომიური საფუძვლებით, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურით (განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოკლებულ ბერძნულ ქვეყნებს I საუკუნემდე, 30 წლამდე, ელინისტური მეფეები მბრძანებლობენ, ხოლო 30 წლის შემდეგ — რომაელი იმპერატორები).

ამგვარად, დადგა ბერძენთა ცხოვრებაში ახალი ხანა, რომელიც შეაპირობეს IV საუკუნის ეკონომიურმა კრიზისმა და მაკედონიის ექსპანსიამ.

§ 108. ეკონომიური კრიზისი IV საუკუნეში. მეხუთე საუკუნეში საბერძნეთში არსებობდა ორი დაჯგუფება: პელოპონესის კავშირი სპარტის მეთაურობით და ათენის საზღვაო კავშირი ათენის მეთაურობით. საბერძნეთის მთელი ისტორია გვასწავლის იმას, რომ ბერძნული სამყაროს შედარებითი წონასწორობა და სიმყარე შეპირობებული იყო დემოკრატიული ათენის სიძლიერით. 404 წლის კატასტროფამ ეს წონასწორობა დაარღვია. მართალია, მალე მოხდა დემოკრატიული აჯანყება თრასიზულეს მეთაურობით (401 წ.), რომელმაც ბოლო მოუღო ოლიგარქიულ მმართველობას, მაგრამ დემოკრატის არ შეეძლო დაებრუნებინა თავისი ძველი მდგომარეობა, ვინაიდან ამისთვის მას აღარ გააჩნდა ის საფუძვლები, რომელთაც ემყარებოდა ძველი დემოკრატიული რეჟიმი ათენში, მას აღარ გააჩნდა ძველი მატერიალური ბაზა.

ძველი ათენის ჰეგემონობა, ანუ არქე, თავისი ძალით აერთებდა და ექსპლოატაციას უწევდა საკავშირო გაერთიანებებს. V საუკ. ათენის დემოკრატიის ანგარიშები დამყარებული იყო მოკავშირეთა (ათენის საზღვაო კავშირის) შემოსატან თანხებზე; გარდა ამისა, ეს მოკავშირეები ვალდებული იყვნენ შეენახათ ღარიბი ათენელები. ვის უნდა გაესწორებინა ახლა ეს ანგარიშები ათენში? ამ ანგარიშების გასწორება შეიძლებოდა მხოლოდ მონის შრომის ექსპლოატაციით. მაგრამ ეს გზა ანგარიშების გასწორებისა — გაცილებით უფრო სწელი იყო, ვიდრე გზა მოკავშირეთა ექსპლოატაციისა. მონის შრომის ექსპლოატაციას არ შეეძლო აენაზღაურებინა შემოსავლის ის წყაროები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იყო V საუკუნეში ათენის აყვავება, არ შეეძლო არა მარტო იმიტომ, რომ მონის შრომა პროდუქციული არ

იყო, არამედ იმიტომაც, რომ პელოპონესის ომმა დიდი მახვილი ჩასცა მონათმფლობელურ სისტემას (მან გამოიწვია მონათა მასობრივი მოძრაობები; გავიხსენოთ 413 წელს სპარტელების მიერ ალბა დეკელეისა და მათთან გაქცევა 20.000 ათენელი მონისა).

მონათმფლობელური სისტემა შეიძლებოდა გაფურჩქვნილიყო და აყვავებულიყო მხოლოდ იმ პირობებში, რომლებშიც იყო ათენი V საუკუნეში, ე. ი. როდესაც მას ჰქონდა ეგეოსის ზღვის აუზში მონოპოლიური ბატონობა და უზარმაზარი ტერიტორიის ექსპლოატაცია შეეძლო. ის მარცხი, რომელიც მოუვიდა ათენს 404 წელს, იყო მარცხი მთელი მონათმფლობელური სისტემისა.

V საუკუნეში ჩვენ ვხედავთ მსხვილ მონოპოლიურ მონათმფლობელურ ცენტრებს, რომლებშიც განხორციელებულია „უფლება ძლიერისა“, ვხედავთ თუ როგორ გროვდება ამ ცენტრების ხელში (და პირველ რიგში ათენში) მთელი ეკონომიური და კულტურული დოვლათი. IV საუკუნეში კი, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ეთიშებიან ამ ცენტრებს ცალკეული ერთეულები, ეს არის სანა პოლისების განცალკევებისა; და ათენის დემოკრატიის ცდა შეაჩეროს ეს ცენტრიდანი მოძრაობა — ფუკი და ამაოა. ზედმეტია ასლა იმაზე ლაპარაკი, რომ ვინმემ საბერძნეთში შეძლოს ისეთი კონცენტრაცია ძალებისა, როგორიც იყო ბერძენ-სპარსელთა ომის დროს: ათენელი ორატორი ისოკრატე ტყუილბრალოდ იღწვის იმისათვის, რომ გააერთიანოს ბერძნული ძალები სპარსელების წინააღმდეგ.

ახლა, როდესაც ათენი თავის საკუთარ მონათა ძალების ექსპლოატაციის ამარა დარჩა, ის, რასაკვირველია, უღონო იყო როგორც თავის საგარეო, ისე საშინაო ცხოვრებაში.

ს ა გ ა რ ე ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა. საგარეო პოლიტიკაში ათენი ამოდ ცდილობს აღადგინოს საზღვაო კავშირი. ცენტრიდანი მოძრაობა მეტად ძლიერი იყო და ძველი პოლისების (საზღვაო კავშირის წევრების) მოზიდვა კავშირში არ მოხერხდებოდა. საგარეო პოლიტიკის სფეროსვე ეკუთვნის ათენის ბრძოლა თავისი გარეშე სამფლობელოებისათვის. მართალია, ამ ბრძოლაში ზოგიერთი წარმატება მოიპოვა ათენმა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ სხვების დახმარებით. ასე, მაგ., ათენმა დაამარცხა სპარტა საზღვაო ბრძოლაში კნიდოსთან (394 წელს) ფინიკიისა და სპარსეთის ფლოტის დახმარებით. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი: სპარსეთი მოურიგდა სპარტას და ათენის წარმატებასაც ბოლო მოეღო: ე. წ. ანტალკიდას ზავი (387 წლისა), რომელიც მთლიანად სპარსელების ნაკარნახევია, საგრძნობლად ასუსტებს ათენს: აღდგენის გზაზე დამდგარი კავშირი საბოლოოდ დაიშალა; მცირე აზიის ქალაქები გადავიდნენ სპარსეთის ხელში; კუნძულის ქალაქები გამოცხადდა ავტონომიურად. კუნძულებიდან მას დარჩა მხოლოდ იმბროსი, სკიროსი, ლემნოსი.

ამავე საგარეო პოლიტიკას ეკუთვნის ათენის ბრძოლა საკუთარი დამოუკიდებლობისათვის: უშედეგო ბრძოლა გაძლიერებულ მაკედონიასთან. ფილოპესთან, მერე ალექსანდრესთან.

ს ა შ ი ნ ა ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა. მიძიმა აგრეთვე ათენელების საშინაო მდგომარეობა. რიცხვი ღარიბებისა, რომელთაც სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებოდა, კიდევ უფრო გაიზარდა. ღარიბთა რიცხვი გაიზარდა იმიტომ, რომ ათენში დაბრუნდნენ კლერუხები,<sup>1</sup> და აგრეთვე იმიტომაც, რომ ომის დროს განადგურდნენ გლეხები. სწორედ ამ დროს ძალიან გავრცელდა შესყიდვა წვრილი მიწის ნაჭრებისა, რომელთა ფასი მეტად დაეცა მათი განადგურებულობის გამო. ამით აიხსნება ის, რომ გლეხოზა მასობრივად აწყდება ქალაქს, რომ სასამართლოში მონაწილეობით იშოვოს დღიური სარჩო 3 ობოლი (დაახლ. 15 კაპ.).

ამგვარად, საშუალო კლასი IV საუკ. თანდათან ქრება და იზრდება ღარიბი მასები. ნ. ტ ი უ მ ე ნ ე ვ ი ს გამაანგარიშებით,<sup>2</sup> თუ წინაო, პელოპონესის ომის დროს, ღარიბი ფენა მოსახლეობისა 40% შეადგენდა, ახლა, IV საუკ. პირველ მეოთხედში, ის 60% აღწევს.

როგორია ამ ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობა? მისი არსებობის ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს დახმარება. მისი მოთხოვნილებები არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ომის პირობებში ხალხმა ბევრი გაჭირვება და ხელმოკლეობა გადაიტანა, და ახლა მისი მოთხოვნილებები, რასაკვირველია, გაიზარდა. მის გამოყენებას წარმოებაში არავინ ფიქრობდა. ის ხომ წარმოებიდან გააძევა მონის შრომამ და, ამრიგად მთლიანად სახელმწიფოს დააწვა. ამას ის უყუარებდა, როგორც თავის უფლებას, რომელსაც არავის დაუთმობდა.

პელოპონესის ომის დროს ამ ღარიბი მოსახლეობისათვის დაწესებულ იქნა 2 ობოლი (8 — 10 კაპ.). დემოკრატის აღდგენის პირველ ხანებში, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სახალხო კრებაზე დასწრებას, ხოლო შექმნილი მდგომარეობის გამო მოსახლეობაში დიდი პოლიტიკური ინდიფერენტობა სუფევდა და ხალხი კრებას არ ესწრებოდა, შემოღებულ იქნა აგრეთვე ქირა დასწრებისათვის: ჯერ 1 ობოლი, მერე — 2, შემდეგ (392 წლის მახლობელ ხანებში) — სამი ობოლი.

განახლებულ იქნა ქირა საბჭოში და სასამართლოში მონაწილეობისათვის; აღდგენილ იქნა აგრეთვე თეორიკონი (სანახაობებისათვის).

<sup>1</sup> Κληρονομία — მოქალაქე, რომელსაც ახლად დაპყრობილ ადგილებში მიეცა მიწის ნაკვეთი.

<sup>2</sup> Н. Тюменев, Очерк экономической и социальной истории древней Греции, 167, М, 1934.



ერთი სიტყვით, სახელმწიფოს ხარჯები გაიზარდა. ამიტომაც არის, რომ პლატონი ათენის დემოკრატიას ეძახის — თეატროკრატიას, ხოლო არისტოტელე — უძირო კასრს, რომელიც ვერასდროს ვერ გაივსება. სახელმწიფოს ყველა ამ გადასახადებზე ეხარჯებოდა 150 — 200 ტალანტი (ათენში ტალანტი=60 მინას=6000 დრაქმას=1500 მ.) იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს შემოსავალი 400 ტალანტს უდრიდა (ხოლო ცუდ წლებში — 130 ტალანტს). ამგვარად, შემოსავლის 50 % ამ ხარჯებს უნდებოდა.<sup>1</sup>

ასეთივე მდგომარეობაა საბერძნეთის სხვა კუთხეებშიც: სპარტაში, ბეოტიაში, თესალიაში და სხვაგან. მეოთხე საუკუნის ასეთმა კრიზისმა ნიადაგი მოამზადა ელინიზმისათვის: გალატაკებული ხალხი იმედიანად შესცქეროდა აღმოსავლეთს, მის დოვლათსა და სიმდიდრეს და მასობრივად მიდიოდა, მაგალითად, სპარსეთში, სადაც ის თავს ირჩენდა ან ჯარში სამსახურით, ან რამე ხელობით. სპარსეთის იმპერიაში აქა-იქ ჩნდებოდა დაბა-ქალაქები ჭარბი ბერძნული მოსახლეობით.

§ 109. საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ. ზემოაღნიშნულმა ვითარებამ ბევრნაირად ხელი შეუწყო ბერძნული პოლისების პოლიტიკურ დაცემას და მათ გადასვლას ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილ იმპერიაში. ბერძნული პოლისები, რომლებიც IV საუკუნეში ერთიმეორის ასუსტებდნენ ერთმანეთში წარმოებული ქიშობით, ან სრულიად მოისპნენ, როგორც, მაგალითად, თებე, ან ნომინალურად შეინარჩუნეს თავიანთი პოლისური მდგომარეობა, როგორც, მაგალითად, ათენმა და სპარტამ.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ (323 წ.) მაკედონიის იმპერია დაიშალა. ეს ბუნებრივიც იყო: ეს იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე, მეტად ჭრელი იყო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად; მხოლოდ მისი შემქმნელის, ალექსანდრეს, პირადი ავტორიტეტი თუ აერთიანებდა მას. ი. ბ. სტალინი თავის გამოკვლევაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ამბობს: „ამრიგად, ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და არა რასობრივი და ტომობრივი ერთობა. მეორე მხრივ, უეჭველია, რომ კიროსის ან ალექსანდრეს დიდ სახელმწიფოებს არ შეიძლებოდა ერები დარქმეოდათ, თუმცა ისინი ჩამოყალიბდნენ ისტორიულად, ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ტომებისა და რასებისაგან. ესენი იყვნენ არა ერები, არამედ ჯგუფთა შემოსევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერა-

<sup>1</sup> История древнего мира, III, М., 1937, III—117.

ტები. რომელნიც ირღვეოდნენ ან ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ დამპყრობელის წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით“.<sup>1</sup>

დიდი და მწვავე ბრძოლების შემდეგ ალექსანდრეს იმპერია გაინაწილეს მისმა ყოფილმა სარდლებმა, რომელთაგან თითოეული თავის თავს სოვლიდა ალექსანდრეს მემკვიდრედ (ბერძნ. „დიადოხოს“): პტოლემაიოსი ვახდა ეგვიპტის მფლობელი, სელევკოსი — აზიისა, ანტიგონოსი — მაკედონიისა.<sup>2</sup> საკუთრივ საბერძნეთის ყოფილი პოლისები, რომელთაგან ზოგიერთებმა კავშირები შექმნეს, ხან ეგვიპტის მოკავშირენი იყვნენ, ხან მაკედონიისა. ამგვარად, ალექსანდრეს იმპერიისაგან შეიქმნა ცალკე სამეფოები, ე. წ. ელინისტური სამეფოები, რომლებიც III — I საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს გამუდმებით ექიშებოდნენ და ასუსტებდნენ. II — I საუკუნეებში ეს სამეფოები თანდათან დაიპყრო რომმა.

ამ ელინისტურ სამეფოში ახალი ეკონომიურ-საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარდა. მცირე აზიაში, სირიაში, შუამდინარესა და ირანში გაჩნდა ბერძნულ-მაკედონიური კოლონიები. დაარსდა ქალაქები, რომლებიც მალე გადაიქცნენ მდიდარ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად. თუ წინათ საკუთრივ საბერძნეთი (ათენი თავისი ნავსადგურით, პირეოთი) იყო ბერძნული სამყაროს როგორც გეოგრაფიული. ისე ეკონომიური ცენტრი, ახლა ასეთ ცენტრებად ხდებიან აღმოსავლეთში წარმოქმნილი ქალაქები.

ამგვარად, ბერძნულმა კულტურამ, აღმოსავლეთით გასულმა და აღმოსავლურ კულტურასთან შერეულმა, შეიცვალა თავისი განვითარების გზები: გაჩნდა ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ახალი ცენტრები. თვით დედა საბერძნეთმა (და მისმა ცენტრმა ათენმა), რომელიც ელინისტური სამყაროს პერიფერიაში აღმოჩნდა, დაჰკარგა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. დედა საბერძნეთის ადგილი დაიჭირეს ეგვიპტემ, მცირე აზიამ, სირიამ და პალესტინამ; ათენის ადგილი დაიჭირეს ალექსანდრიამ — ეგვიპტეში, პერგამონმა — მცირე აზიაში, სელევკიამ და ანტიოქიამ — სირიაში და სხვა ქალაქებმა.

§ 110. ელინისტური მწერლობის ხასიათი. არსებობს აზრი, თითქოს ელინისტური მწერლობა გაცილებით უფრო დაბლა იდგეს, ვიდრე ელინური მწერლობა, რომ ელინისტურ ეპოქას აღარ ჰყავს ჰომეროსები და ჰესიოდები ან ესქილეს და სოფოკლეს მსგავსი ტრაგიკო-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2., თბილისი, 1947, გვ. 315.

<sup>2</sup> 184 წლიდან ამათ მიემატა ლისიმაქეს (თრაკიის) სამეფოდან გამოყოფილი პერგამონის სამეფო.

სები. ისიც კია ნათქვამი, რომ თვით საზოგადოებაში აღარ არიან ის სულიერი კულტურით მაღალი წრეები, რომლებზედაც შეეძლოს პოეზიას ძველინდებური კვალი დააჩნოს თავისი ნაზი პანგებით. მაგრამ ასეთი მიდგომა მწერლობის შეფასებისადმი ჩვენ არ მივაჩნევა მართებულად, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ თავისთავადაც არ არის სწორი ელინისტური მწერლობის ასეთი შეფასება.

ელინისტური მწერლობა როგორც ახალი ეკონომიურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი, რასაკვირველია, განსხვავდება ელინური მწერლობისაგან.

1. ელინისტური სამეფოების წვრილ-საქალაქო ცხოვრებამ თავისი მოთხოვნები წაუყენა პოეზიას. ელინური პერიოდის ბერძენებისათვის პოეზია დაკავშირებული იყო მათ სამიწათმოქმედო ცხოვრებასთან და მათ წარმოდგენაში ამ ცხოვრების ამსახველ კულტურებთან, და მათ შექმნეს მონუმენტალური ჟანრები; მაგალითად, მონუმენტალური ეპოსი და მონუმენტალური დრამა. ელინისტური პერიოდის, ასე ვთქვათ, წვრილმწარმოებელურმა ცხოვრებამ მოითხოვა წვრილი ჟანრები: რომელიმე გვირის მოკლე თავგადასავლის გადმოცემა პოემა, ქალაქის ან სოფლის ცხოვრების ამსახველი პატარა სცენა. ძველი ელინთავისი წარმოდგენებისა და მიხედვით მსოფლიოზე, მზად იყო მოესმინა რაფსოდებისაგან ჰომეროსის რამდენიმე ათასტაქვიანი სიმღერები ან თეატრში 6000 ტაქვის შემცველი ტეტრალოგიების საშუალებით გარკვეულიყო ცხოვრების აკარგიანობაში; ელინისტური სამეფოს მოქალაქეს კი ესაჭიროებოდა საღამო ჟამს გართობის მიზნით რომელიმე წვრილი სცენა წაეკითხა.

რამდენადაც ელინისტური პერიოდის ადამიანს წვრილი ჟანრები აკმაყოფილებდა, ამდენად ცხადია, რომ ელინური პერიოდის ჟანრთაგან ყველაზე მეტად განვითარდა ელინისტურ პერიოდში ლირიკა. ლირიკის მასაზრდოებელი, სხვა მოტივთა შორის, ყოველთვის იყო სატრფიალო მოტივი. ეს მოტივი განსაკუთრებით ფეხს იკიდებს ელინისტურ პოეზიაში, როდესაც წვრილმწარმოებელურ საზოგადოებაში ამ ცხოვრებით მოღლილსა და განცხრომის მსურველ ადამიანს იზიდავს ტრფობის აღზე და ღვინის სიტკობზე მომღერალ ნაწარმოებებისკენ.

ტრფობის მოტივის გაბატონებას პოეზიაში უნდა მიეწეროს ისიც, რომ ელინისტურმა მწერლობამ მისცა მსოფლიო ლიტერატურას სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ჟანრი — რ ო მ ა ნ ი.

2. ელინურ პერიოდში ლიტერატურული ნაწარმოებები იწერებოდა სამ დიალექტზე: ეოლიურზე, იონიურზე და დორიულზე; საერთო ლიტერატურული ენა ამ პერიოდში ბერძენებს არ გააჩნდათ. მიუხედა-

ვად დიალექტთა სხვადასხვაობისა, თხზულებები გასაგები იყო ყველა განათლებული ბერძნისათვის.

ელინისტურ პერიოდში ეს დიალექტები ქრება: მუშავდება საერთო ბერძნული ენა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ ლაპარაკში სახმარებლადაც. ამ საერთო ენას ეწოდება კოინე („კოინე დიალექტოს“ — „საერთო დიალექტი“): იგი ჩამოყალიბდა იონიური ენის განშტოების, ატიკური დიალექტის, საფუძველზე. ატიკურ დიალექტს ქონდა ერთგვარი უპირატესობა მოპოვებული IV საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის წყალობით იგი მოედვა მთელ აღმოსავლეთს, სადაც იგი გახდა მაღალი წრეებისა და განათლებული საზოგადოების ლიტერატურული ენა. ისეთი ძალა მოიპოვა ამ საერთო ბერძნულმა ენამ ელინისტური კულტურის რკალში შესულ ხალხებს შორის, რომ არა მარტო თანაბარი უფლებით იხმარებოდა იგი ადგილობრივი ენის გვერდით, არამედ ზოგჯერ ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ბერძნულით სარგებლობდნენ.<sup>1</sup>

აი, ამ კოინე-დიალექტზე არის დაწერილი ელინისტური პერიოდის ლიტერატურული ძეგლები.

ჰ. როგორც ალექსანდრე მაკედონელის ყოველი სარდალი თავის თავს თვლიდა ალექსანდრეს მემკვიდრედ, ისე ყოველი ელინისტური სამეფო ჩემულობდა, რომ ის იყო ელინური სამყაროს მემკვიდრე. ეს სამეფოები ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ელინური კულტურის მონაპოვართ და განეგრძოთ ძველ მოღვაწეთა მიერ გაკვალული გზა. ამიტომ ამ სამეფოთა მეთაურები არ ზოგავდნენ არც ენერგიას და არც თანხებს, რომ თავი მოეყარათ ელინური პერიოდის ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, შეეწავლებინათ ისინი და მეცნიერული მუშაობაც გაეჩაღებინათ. ამ მიზნით ისინი ჰქმნიდნენ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს, თავიანთ კარზე იზიდავდნენ მწერლებსა და მკვლევარებს და სამეცნიერო ექსპედიციებშიც აგზავნიდნენ. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ამ მხრით ეგვიპტისა და პერგამონის სამეფოებმა: ალექსანდრია და პერგამონი გახდნენ მწიგნობრობისა და

---

<sup>1</sup> ამ კულტურის რკალში შესული იყო საქართველოც და გასაკვირველი არაა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც ქართველები ბერძნულ ენას ხმარობდნენ (იხ. არმაზში და მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები). ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მაშინ საქართველოში ქართულად არ წერდნენ. რომ ბერძნულ ენას მთელ ელინისტურ აღმოსავლეთში ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა. იმიტად მტკიცდება, რომ რომელიც კეისრის, ვესპასიანეს, წარწერაც საქართველოში ბერძნულად არის ამოკრილი და არა ლათინურად (რომის იმპერიის სახელმწიფო ენა: ხრძმ ლათინური იყო).

მეცნიერების ცენტრები. იქ ჩაისახა და განვითარდა მეცნიერების სრულიად ახალი დარგი, ფილოლოგია, რომელიც იკვლევდა წინაღობინდელ ბერძენ მწერალთა ნაწარმოებებს: აგროვებდა ხელნაწერებს, ამრავლებდა მათ, ტექსტუალურად აღგენდა ძეგლებს, გრამატიკულად იხილავდა მათ. ალექსანდრიისა და პერგამონის ბიბლიოთეკებში შეიქმნა ზუსტ მეცნიერებათა (მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვათა) მძლავრი სკოლები.

4. ერთი მხრით, საბერძნეთის წარსულისადმი მეცნიერულმა ინტერესმა და, მეორე მხრით, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ფართო ხასიათმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს საისტორიო პროზის განვითარებისათვის. აღმოსავლეთით ლაშქრობათა წყალობით ბერძნული (ელინისტური) სამყაროს გაფართოებამ და ახალი ხალხების ჩარევამ ბერძნული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებაში წამოჭრა საკითხი ამ სამყაროს წარსულისა და აწმყოს შესწავლის შესახებ. გარდა ამისა თვით ალექსანდრე მაკედონელი და მისი მემკვიდრე სარდლები (დიადოხოსები) დაინტერესებულნი იყვნენ, რათა მათი მოღვაწეობა აღწერილი ყოფილიყო: ალექსანდრეს ხომ, ამ მიზნით, ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა ბერძენი მწერლები.

კიდევ უფრო მეტად ხელშემწყობი პირობები შეექმნა ისტორიოგრაფიას რომაელთა ბატონობის ხანაში (I — III საუკუნეებში), როდესაც რომის სახელმწიფოებრიობის ინტერესები და თვით მოწინავე ბერძნების სახელმწიფოებრივი შეხედულებები მოითხოვდნენ რომის იმპერიის შესწავლას ისტორიულად და გეოგრაფიულად. I — III საუკუნეებმა მოგვცეს ჩვენ გამოჩენილი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები (სტრაბონი, დიონ კასიოსი, არიანე და სხვები); რომაელთა ნაშრომებზე, ისევე როგორც ელინისტური პერიოდის პირველი ხახეერის ისტორიკოსთა (არისტობულე, პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი) თხზულებებზე, აღიზარდა მთელი პლეადა ისტორიკოსებისა როგორც თვით ელინისტურ სამყაროში, ისე მის მეზობელ ქვეყნებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

5. რაც შეეხება პოეზიას, ზოგიერთი ქანრი ელინური პოეზიის ნაკრძობს არსებობას ელინისტურ პერიოდშიც, მაგრამ, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლები შეცვლილი იყო, შეიტკვალა ამ ქანრების ფორმაც და შინაარსიც.

ელინისტური პოეზიის დასახასიათებელი, მაგ., უზს პრინს; რომს გუნდი სრულიად გამქარალია პოეზიის იმ დარგებში, რომლებშიც ელინურ ეპოქაში საგუნდო ქანრებს წარმოადგენდნენ, ქ. ი. ღრამაში და ქორიკაში;

6. ელინისტურ ეპოქაში დრამის ადგილი დაიჭირეს წვრთნა-სცენებში; მსხუთები იყვნენ სოფლის (ცხოველების) ამსახველი პ. დ. ი. ე. ბ. ჩ.

და ქალაქის ცხოვრების ამსახველი მ ი მ ი ა მ ბ ე ბ ი. ერთიც და მეორეც წარმოადგენდა ორ-სამ პირს შორის გამართულ დიალოგს, და ამ დრამას არა თუ გუნდი აღარ ჰქონდა, არამედ ის სცენაზე დასადგნელადაც არ ყოფილა განკუთვნილი: ის მხოლოდ საკითხავად იწეობდა.

ბ. ელინისტურ ეპოქაში ითხზებოდა 'შევიბრებაში გამარჯვებულთა' წესაქები ლექსებიც, ე. წ. ე პ ი ნ ი კ ი ო ნ ე ბ ი. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია კალიმაქეს ლექსი ვინმე სოსიბიოსის, დიოსკურიდეს ვაჟის, გამარჯვების გამო სარაპისის დღეობაზე. მაგრამ ლექსი ე ლ ე გ ი ა ს წარმოადგენს და არა სტროფული სისტემით აგებულ ქორიკულ ნაწარმოებს (პინდარეს და ბაკქილიდეს ნაწარმოებთა მსგავსს) და ის არა თუ გუნდის მიერ შესრულებას არ გულისხმობს, არამედ სასიმღეროდაც კი არ არის განკუთვნილი; როგორც ჩანს, ის რეციტაციით სრულდებოდა.

გ. იმავე კალიმაქეს ეკუთვნის საკულტო ჰ ი მ ნ ე ბ ი, რომელთა მსგავსნი ელინურ ეპოქაში ქორიკულ სიმღერებს წარმოადგენენ; კალიმაქეს დროს კი ეს ჰიმნები რეციტაციით სრულდებოდა და იწერებოდა ან ეპიკური ჰეგზამეტრებით, ან ელეგიური დისტიქებით. გარდა ამისა, ეს ჰიმნები ღმერთთა დღეობაზე კი არ იმღერებოდა (როგორც ძველად, ელინურ ხანაში), არამედ ნადიმზე წარმოსატქმელად ითხზებოდა.

ასეთია, ზოგადად, ელინისტური მწერლობის ხასიათი.

§ 111. ელინისტური პოეზიის დარგები. ბერძნები არა თუ ელინისტურ ეპოქაში, არამედ მომდევნო ბიზანტიურსა და ახალ პერიოდებშიც თავიანთი კულტურის დასაყრდენს ყოველთვის ხედავდნენ ძველ ელინურ კულტურაში. კერძოდ, მწერლობის დარგშიც ისინი მუდამ სთვლიდნენ ამოსავალ წერტილად იმ მწერლობას, რომელიც შექმნეს ძველმა ბერძნებმა, და, ამდენად, ჰომეროსის ეპოსი, არქილოქეს და ალკეოსის ლირიკა და ესქილე-სოფოკლე-ევრიპიდეს დრამები ყოველთვის მიაჩნდათ მათ გზისმკვლევ ჩირაღდნებად. მაგრამ ყოველ ახალ პერიოდში, პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლილი პირობების შესაბამისად, მათ უჩნდებოდათ ახალი თემები, რომელთა წყალობითაც მემკვიდრეობით გადმოცემული მწერლობის ძველი დარგებიდან ზოგი იჩრდილებოდა, ზოგიც, პირიქით, უფრო ვითარდებოდა, ხოლო ზოგიერთი დარგი იმდენად 'ცვლიდა თავის სახეს, რომ დღეს მკვლევარებმა არც კი იციან, თუ რომელ დარგს მიაკუთვნონ რომელიმე ნაწარმოები — ლირიკას თუ დრამას, ან რომელიმე სხვა ჟანრს.

რამდენადაც საქმის ვითარება ასეთია, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ელინისტური მწერლობაც განვიხილოთ იმ გეგმით, რომელიც

ჩვენ საფუძვლად დავუდეთ ელინური პერიოდის მწერლობის შესწავლას. კერძოდ, ელინისტურ პოეზიასაც განვიხილავთ სამი ძირითადი დარგის — ეპოსის, ლირიკისა და დრამის — თვალსაზრისით, ისევე როგორც ელინისტურ პროზასაც მისი ოთხი მთავარი დარგის (საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული და ბელეტრისტიკული პროზის) სახით წარმოვადგენთ.

§ 112. ეპოსი და ეპილიონი. ბერძნულ ლიტერატურას არასდროს არ გაუწყვეტია კავშირი ეპოსთან. ჰომეროსის შემდეგ ხომ (VIII — VII საუკუნეებში) იყო მთელი პლეადა ეპიკოსებისა, რომლებიც „ილიადისა“ და „ოდისეის“ მიბაძვით თხზავდნენ პოემებს ტროადისა და თებეს ციკლის მითების მიხედვით: ისინი შევიდნენ ე. წ. „კიკლოურ ეპოსში“ და დიდი ხნის განმავლობაში ჰომეროსს თვლიდნენ ავტორად.

VII — VI საუკუნეებშიც გრძელდებოდა ეპიკური პოემების თხზვა. ელინისტური ეპოქაც აგრძელებს ეპიკურ ტრადიციას. ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ დაპყრობითს გეგმებს, ერთი შეხედვით შეეძლოთ იმის იმედი წარმოეშვათ, რომ აღდგებოდა ძველი ეპოსი, რომელიც ახალი დროის „აქილევის“ საგმირო საქმეებს შეაქებდა. ჩანს, ალექსანდრეც ოცნებობდა იმაზე, რომ თავისი „ჰომეროსი“ ჰყოლოდა. ამის დამამტკიცებელია ის თქმულება, რომელიც გადმოგვცემს, რომ თავის ლაშქრობათა დროს ალექსანდრემ ინახულა ტროადაში აქილევის საფლავი, ყვავილებით შეამკო იგი, ხოლო აქილევის სიტყვით მიმართა და უთხრა: „შენ კი არ იყავი იმდენად დიდი, არამედ დიდი მაქებელი ჰომეროსი შეგხვდაო.“<sup>1</sup> აქი მის ამაღაში იყო აგრეთვე პოეტი ქოირილე იასოსელიც (კარიელი), რომელსაც ალექსანდრე მაკედონელზე პოემა შეუთხზავს.

მაგრამ ეს იმედები ფუჭი იყო: არც დრო იყო ჰომეროსისა და არც ალექსანდრე მაკედონელი შეედრებოდა აქილევს, რომელიც ჰომეროსის დროინდელ ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც მამაცთა შორის უმამაცესი, მტრის შემმუსვრელი და მახლობლებისთვის თავდადებული, უბადლო გმირი და გულისხმიერი მეგობარი. ამ იმედების ამაოებას გამოხატავს თვით ის გარემოება, რომ ქოირილე იასოსელის, ამ თავისი დროის სახელგანთქმული პოეტის, ლექსები, ჰორაციუსის თქმით, საკმაოდ მოუხეშავი და უნიჭო, არცთუ ძალიან მოსწონდა ალექსანდრეს, თუმცა ქოირილეს ამ ლექსებში ბევრი „ფილიპური ოქრო“ მიუღია მისგან: ალექსანდრეს უთქვამს ქოირი-

<sup>1</sup> „არა დიდ იყავ აქილეე, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროს“, როგორც გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 342, 12).

ლუხე: „მირჩენდა ჰომეროსის თერსიტე ვიყო, ვიდრე ამის აქილევსიო“.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ელინისტურ ეპოქაში ზოგიერთი მწერალი ცდილობდა ძველი ეპოსი აღედგინა. მაგრამ ეპოქის მიერ ნაგრძნობი იყო ისიც, რომ ეპოსი იმ სახით, როგორც ის ელინურ ეპოქაში არსებობდა, აღარ შეეფერებოდა ცხოვრების შეცვლილ პირობებს და, თუ ეპოსი იარსებებდა ახალ ეპოქაში, ის „ახალი ეპოსი“ უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ამ ეპოქაში წარმოიშვება ორი მიმართულება. ერთი მიმართულების წარმომადგენლები დაჟინებით იცავენ ძველი ეპოსის საკუთრებას და მოითხოვენ კიკლიკური პოემების მსგავსი თხზულებების წერას, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენლები ბრძოლას უცხადებენ „სქელტანიან პოემებს“, „კიკლიკურ პოემებს“ და მოითხოვენ „ახალი ეპოსის“ შექმნას, წერილი პოემების (ეპიკონიები) წერას.

ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება ეპოსი და ეპილონი. ელინისტური გაგებით. ეპოსი ისეთი ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია გმირის თავგადასავალი მთლიანად, ხოლო ეპიკონი ასახავს გმირის თავგადასავლის რომელსაღმე ერთ ეპიზოდს.

ეპოსის ნიმუში იქნება, მაგალითად, „ოდისეა.“ რომელშიც გმირ ოდისეუსს თავგადასავალია მთლიანად გადმოცემული (ოდისეუსი და მისი ამხანაგები კიკლადების ქალაქში, ლოტოფაგების ქვეყანაში. პოლიფემის მღვიმეში, ეოლოსის საეფოში. ოდისეუსი ნიმფა კალიფოსთან, ფეაქების ქვეყანაში, ოდისეუსის ბრძოლა სანდროტთან.); ხოლო ეპიკონი კოსელის „პერმესი“, სადაც ოდისეუსს თავგადასავლიდან მხოლოდ ერთი ეპიზოდია გადმოცემული (სანდროტის ოდისეუსის სატრაფილო ურთიერთობა ეოლოსის ქალიშვილთან, პოლიმელესთან), ეპილონის ნიმუში იქნება.

ბრძოლა ამ ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის მეტად მწვავე იყო. მათ წარმომადგენლები, დაჯგუფებულნი ლიტერატურულ წრეებში, გამმაგებით ებრძოდნენ ერთიმეორეს და, რამდენხანაც ისინი მეტწილად ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მუშაკები იყვნენ, ეს ბრძოლა მათ პრაქტიკულ საქმიანობაზე, ბიბლიოთეკაში წარმოებულ სამეცნიერო მუშაობაშიც გადაჰქონდათ.

ეპოსის დარგში ამგვარ ბრძოლასა მეთაურობდნენ III საუკუნეში კალიმაქე და აპოლონიოსი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამორჩენილი მოღვაწენი: კალიმაქე „ახალი ეპოსის“ მიმართულებას მეთაურობდა, ხოლო აპოლონიოსი — „ძველი ეპოსისას“.

აპოლონიოს როდოსელი (205 — 215) მნატურულ ნაწარმოებთაგან



ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ მისი „არგონავტიკა“. პოემა აგებულია მითზე ოქროს ვერძის შესახებ და შედგება ოთხი სიმღერისაგან.

პოემა აგებულია ძველი ელინური საგმირო ეპოსის მსგავსად. აპოლონიოსს განუზრახავს ისევე დაწერილებით გადმოეცა იაზონისა და მისი თანამოლაშქრეების თავგადასავალი, როგორც ჰომეროსმა გადმოგვცა ოდისეისა და მისი ამხანაგების მგზავრობა. შეიძლება მრავალი დეტალის ჩამოთვლა, რომლებითაც აპოლონიოსის „არგონავტიკა“ ენათესავება ჰომეროსის პოემებს; მაგრამ არ იქნებოდა მართებული გვემტკიცებინა: 1. რომ აპოლონიოსმა შესძლო შეექმნა ჰომეროსის პოემების ბადალი თხზულება, რომელიც შეკრული იყოს ერთიანი პოეტიკური კონცეფციით, ან 2. რომ იგი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ბრმა მიმბაძველი ძველი ელინური საგმირო ეპოსისა.

1. „არგონავტიკა“ მოცულობითაც ნაკლებია, ვიდრე ჰომეროსის პოემები („ილიადა“ 15.693 ტაეპია, „ოდისეა“ — 12.110 ტ.); და თავისი მხატვრული ღირსებითაც „ილიადა“-„ოდისეის“ მხოლოდ აჩრდილი თუ არის. იმ დროს, როდესაც ჰომეროსის პოემებს ახასიათებს ერთიანი მხატვრული კონცეფცია და პირველი სიმღერიდანვე დაწყებული ყველა ეპიზოდი ემსახურება ძირითადი თემის („ილიადაში“ — მაგალითად, აქილევის რისხვის) განვითარებას, „არგონავტიკას“ ასეთი ერთიანობა არ ახასიათებს.

საკმარისი იქნება მიუთითოთ იმაზე, რომ პოემის ოთხი სიმღერიდან მხოლოდ მესამეში იწყება ძირითადი თემის („იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოპოვება მედეას სიყვარულის წყალობით“) გაშლა: პირველი ორი სიმღერა (2647 ტაეპი) შიძენილი აქვს არგონავტიკის მზადებას ლაშქრობისათვის და მათ მგზავრობას კოლხეთისაკენ. ამ ორ სიმღერაში მრავალი ისეთი ეპიზოდია მოთხრობილი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ძირითად თემასთან.

2. მართალია, აპოლონიოსის „არგონავტიკა“ ბევრ რამეში ენათესავება ჰომეროსის პოემებს, მაგრამ იგი არ არის მხოლოდ ბრმა მიმბაძველ ძილი საგმირო ეპოსისა. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ის გარემოება, რომ „არგონავტიკა“ მიუხედავად კალმეძეს მეთაურობით წარმოებულ ლიტერატურული ბრძოლითა, ძალიან პოპულარული იყო როგორც თვით საბერძნეთში, ისე მის გარეთაც: „არგონავტიკას“ დიდის ხალხით კითხულობდნენ და ბერძენი მწიგნობარნი ფართო კომენტარებმსაც, სქოლიოებმს, უერთავდნენ; რომელიც

პოემის ქართული თარგმანი იხ. აქ უნდა იქნას, აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა თბილისი, 1948. პოემის რუსული თარგმანი ლექსად ენუთენის პროფ. ვ. კ. უსტრუევის (დამბეჭდა 1965 წელს; ხაზინის შეკრებილი ტექსტი) მიერ

იგი ჯერ გადათარგმნის იქმნა, ხოლო შემდეგ მისი მოკლე ვარიანტიც შეიქმნა.

ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ „არგონავტიკა“ ბრმა მიბაძვა კი არ იყო ჰომეროსის პოემებისა, არამედ (თავის მეორე ნაწილში) ისეთი ორიგინალური მხატვრული კონცეფციის მქონე, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას ეხმაურებოდა და ელინისტური საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას შეეფერებოდა. მთავარი ღირსება ამ პოემისა ის არის, რომ ავტორმა პირველად ბერძნულ ლიტერატურაში ეპიკური სიუჟეტის განვითარება დაუმორჩილა სიყვარულს მოტივს. არც „ილიადაში“, არც „ოდისეაში“ ტრფობა არ ასრულებდა წამყვან როლს: საგმირო საქმეების ბედს სწყვეტს გმირის სიმამაცე, თავდადება და უმწიკვლობა. „არგონავტიკაში“ კი საგმირო დავალების შესრულება მთლიანად დამოკიდებულია ტრფობაზე. თუ იაზონმა წარმატებით შეასრულა დავალება და ოქროს საწმისი მოიპოვა, არა თავისი მხნეობით და გმირული სივალეობით, არამედ მედეას სიყვარულის წყალობით. თვითონ იაზონი, პირიქით, ზოგჯერ ისე წარმართავს ლაშქრობას, რომ არა ჩანს არც მისი პირადი სიმამაცე და არც დაკისრებული მოვალეობის შეგნება: ლემნოსის კუნძულზე, მაგალითად. მან პირველმა დაივიწყა არგონავტების ლაშქრობის ძირითადი ამოცანა და ლემნოსელ ქალებთან დროსტარებას მიჰყო ხელი; მას არც კი გაახსენდებოდა თავისი მოვალეობა, ჰერაკლეს რომ არ შეერცხვინა იგი. ამ ძირითად მოტივს, ტრფობის მოტივს, უმორჩილებს პოეტი თავისი პოემის ყველა ეპიზოდს.

3. ასეა შედუღებული ერთიმეორეში აპოლონიოსის რეალისტობა და ჰომეროსისადმი მიბაძვა. რომ ჰომეროსისებურად პოემის აგება თანამედროვეობას არ შეეფერებოდა, ეს კარგად იგრძნეს აპოლონიოსის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც უწუნებდნენ მას ეპიკურობას (კიკლიკურობას), თუმცა მათ ვერ შენიშნეს, რომ ჰომეროსისებურობის გვერდით მაღალღირსებიანი მხატვრული პასაჟებიც ბევრი იყო ამ პოემაში.

კალიმაქე კვირინელი (ca, 315 — 240). ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც ერთგვარად უპირისპირდებოდა აპოლონიოს როდოსელის ძველ-ეპიკურ მიმდინარეობას, მეთაურობდა კალიმაქე კვირინელი.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, სადაც მას მეორე ბიბლიოთეკარის თანამდებობა ეჭირა, კალიმაქე ფართო სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა. განსაკუთრებით ცნობილია მისი „პინაკეს“ („ფირფიტები“), რომელიც 120 წიგნისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნთა მეცნიერულ კატალოგს. აქ მოცემული იყო: 1. მწერალთა კლასიფიკაცია (პოეტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ორატორები, კანონმდებლები); 2. ყველა საჭირო ბიოგრაფიული

და ბიბლიოგრაფიული ცნობა; 3. ძირითადი ლიტერატურულ-კრიტიკული ცნობები (მაგალითად, ნაწარმოებთა ავტორკუთვნილობა და ნამდვილობის საკითხის შესახებ). ამ წიგნში წარმოდგენილი ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური ცნობები მეტად მნიშვნელოვანია და მათ დღესაც ფართოდ იყენებენ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი; სრულიად მართებულად კალიმაქეს „პინაქებს“ თვლიან არა მარტო „კატალოგად“, არამედ „ლიტერატურის ისტორიადაც“ (ამ სიტყვის ძველი ფილოლოგიური გაგებით).

ასეთმა გაღრმავებულმა სამეცნიერო მუშაობამ დიდძალი მასალა მისცა კალიმაქეს შივი პოეტური ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ამ მეცნიერულმა ერუდიციამ კიდევაც საგრძნობლად დაამძიმა.

კალიმაქეს მხატვრული შემოქმედება კალიმაქეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია მისი: 1. ექვსი ჰიმნი; 2. ეპიგრამები; 3. „მიზეზების“ ფრაგმენტები; 4. „ჰეკალეს“ ფრაგმენტები; 5. იამბების ნაწყვეტები. მთავარ ნაწარმოებად, რომელშიც გამოვლენილი იყო კალიმაქეს ძირითადი ლიტერატურული „მეხედულელები და მისი მიმართულება, მიჩნეული იყო კრებული „აბტია“ („მიზეზები“). მაგრამ XX საუკუნემდე ამ კრებულის მხოლოდ მცირეოდენი ნაწყვეტები გვქონდა, ასე რომ არა თუ ზედმოწევნით, მიახლოებთაც კი ძნელი იყო იმაზე მსჯელობა, თუ რა ჟანრის ნაწარმოებს წარმოადგენდა „მიზეზები“. დღეს, ეგვიპტეში აღმოჩენილი ბერძნული პაპირუსების წყალობით, ჩვენ გვაქვს რამდენიმე დიდი ნაწყვეტები ამ კრებულისა და სრული საშუალებაა გავითვალისწინოთ კალიმაქეს ამ ნაწარმოების შედგენილობა და ხასიათი.

„მიზეზნი“ შედგებოდა ოთხი წიგნისაგან (თითო 700 — 800 ტაეპიანი), რომლებშიც მოთხრობილი იყო კულტებისა და ადათების დღეობებისა და გასართობების, ქალაქებისა და წმინდა ადგილების წარმოშობაზე. თითოეულ ამ საკითხს არკვევდა კალიმაქე ხალხში დარჩენილი მითების შემწვობით, ხოლო ეხებოდა ისეთ მითებს, რომლებიც ახალს, აქამდე უცნობ მასალას არკვევდნენ: კალიმაქე წინააღმდეგი იყო ცნობილი, გაცვეთილი მასალის დამუშავებისა; მას იზიდავდა ახალი მასალა და ამას პპოულობდა ის გრამატიკოსთა და ისტორიკოსთა კრებულებში, რომლებსაც ის იკვლევდა როგორც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მუშაკი. გარდა ამ წერილობითი წყაროებისა, კალიმაქე მიმართავდა ხალხში გაბნეულ უხვ ზეპირ წყაროებსაც.

თუ როგორი იყო თითოეული წიგნის შემადგენლობა, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ის კი ცხადია, რომ ამ წიგნებში პოეტურად იყო გადმოცემული ძველი, შედარებით ნაკლებად დამუშავებული თქმულებები. ზოგიერთების ვარაუდით პირველ წიგნში იყო გადმოცემული ლინოსისა და კოროიბოსის ამბავი, მეორეში — არგო-

ნავტებისა, მესამეში — კიდიებს და აკონტიოსისა (აგრეთვე ჰერაკლე-  
თეიოლამა-მოლორქოსისა) და მეოთხეში — დელფინეს და აპოლონისა.  
ეს თქმულებები, მოთხრობილი კალიმაქეს მიერ „მიზეზების“ სხვადა-  
სხვა წიგნებში, ერთმანეთთან არაფრით არ არის დაკავშირებული:  
თითოეული მათგანი ეხება თითო ეპიზოდს გმირთა თავგადასავლიდან.  
ყველაზე მეტი მასალა მოგვეპოვება „მიზეზების“ იმ წიგნიდან, რომ-  
ელშიც მოთხრობილი იყო აკონტიოსისა და კიდიებს თავგადასავალი.

ქუნულ დელოსზე არტემიდას დღეობა იყო სხვა დამსწრეთა შორის იყო  
ნაქსოსიდან მშობლებთან ერთად ჩამოსული ახალგაზრდა ლამაზი ქალი კიპი დე-  
იგი დანახა კეოსელმა ახალგაზრდამ აკონტიოსმა და შეუყვარდა. კიდიზე  
უცხოელი იყო და შეიძლებოდა აკონტიოსს დაბრკოლებები შეხედროდა, რომ  
საყვარელი არსება ცოლად გაეხადა. ამიტომ მან შემდეგ ხერხს შიშართა: ვაშლზე  
ამოკარა სირყეები: „ფიცად არტემიდას, რომ მე აკონტიოსს, გავყვები; ცოლად“  
და ვაშლი მიწაზე დაადგო: კიდიემ აიღო ვაშლი და წარწერა ხმამალა წაიკითხა.  
ამრიგად, კიდიემ ფიცი დასდო, თავისდა უნებურად, არტემიდას წინაშე, რომ აკონ-  
ტიოსისა ცოლი გახდებოდა. კიდიე ხაქსოსზე დაბრუნდა; მან მშობლებს არაფერი  
უამბო ამ შემთხვევის შესახებ. გავიდა დრო. მამამ კიდიეს საქმრო აურჩია; ქორ-  
წინების დღეც დაიხიზნა. მაგრამ სწორედ ქორწილის დღეს კიდიე ავად გახდა, ამი-  
ტომ ქორწილი გადაიდგა; კიდიე რომ გამოკეთდა, ხელმოკრედ დაინიშნა ქორწილი;  
ახლაც ავად გახდა ქალი, ციებ-ცხელებამ შეიპყრო, მესამეყვარაც რომ არ შთხვარხდა  
ქორწილის გაღახდა, კიდიეს მამამ დელფოს სამისნოში გაემგზავრა და შეეკითხა  
აპოლონს, თუ რა ემართება კიდიეს. სამისნოში უთხრეს: კიდიეს ფიცი აქვს დაღე-  
ბული არტემიდას წინაშე, რომ კეოსელ აკონტიოსის ცოლი უნდა გახდესო. არტემი-  
და ჩაერობს, რომ ფიცის გატყუებას აპირებთ; და მისმა რისხვამ განადა კიდიესა და ცო-  
მეტ გზა არ იყო: აკონტიოსი ჩაიყვანეს ნაქსოსზე და ქორწილი გადაიხადეს; აკონ-  
ტიოსი და კიდიე გახდნენ მამამთავარნი კეოსელთა ბრწყინვალე მოღვაწისა.

ესეთი იყო აკონტიოსისა და კიდიებს სიყვარულის ამბავი, რომელ-  
იც დაუმუშავებია კალიმაქეს თავის „მიზეზებში“.

პირველ ყოვლისა, გადასაწყვეტიან საკითხი, თუ რომელ ლიტერა-  
ტურულ ენარს უნდა მივაკუთვნოთ „მიზეზები“. მოთხრობები დაწე-  
რილია ელეგიური დისტიქით (დაქტილური ჰექსამეტრით და დაქტი-  
ლური პენტამეტრით); ესე იგი იმ საზომით, რომელსაც ხმარობდა  
ელეგია. მაგრამ, შიგნით დროს, უფროდ თვალში ეცემა აღმნიშნა, რომ  
ავტორი გადმოგვცემს ამბებს სრული ეპიკური სიმშვიდით, არსად არ  
მოჩანს ავტორის გრძობათაღმდეგე; ალბათ ამით იხსენებთ, რომ  
ზოგი მკვლევარი უწრდებს „მიზეზებს“ ელეგიურ მოთხრობებს. (ან  
მოთხრობის ელეგებს: Повествовательная элегия) იხილეთ ეს  
„ამ საკითხის“ გადასაწყვეტად უნდა გაეჩხენოთ შემდეგი გარკვეულ-  
ებები: 1. ენა, რომელიც მოთხრობის ენაა, უნდა იყოს ეპიკური ენა, რომელიც  
დაწერს თვლიდნენ იგივეს „შესაფრთხისა“ და „მოგვებისა“ ენაა.

ფართო მასალაზე; მას არ მოსწონდა კიკლიკური ეპოსი; მას არ მოსწონდა დიდი ნაწარმოებები, რომლებიც ათასობით ტაეებს შეიცავდნენ; მას არ იზიდავდა ეფფრატი, რომელსაც, სუფთა წყალთან ერთად, ჭუჭყი და ნაგავიც მოაქვს თან. რა უნდა დაეპირისპირებინა ყველაფერ ამისათვის კალიმაქეს? ჩვენის აზრით, მონუმენტალური ეპოსისათვის მას უნდა დაეპირისპირებინა წვრილი ეპოსი (ეპილიონი); იგი არ შეიცავდა ათასობით ტაებს და, ამდენად, ეპოქისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა; იქ არ იქნებოდა გმირთა მთელი თავგადასავალი, რადგან გმირის თავგადასავლის ყველა ეპიზოდს რომ გადმოსცემ, უთუოდ გავრევა ისეთი ფაქტები, რომლებიც გმირის სახებას ერთგვარად ჩირქს მოსცხებენ (წმინდა წყალთან ერთად ჭუჭყიც იქნება), ხოლო პოეტმა — ასე ფიქრობს კალიმაქე — უნდა აიღოს გმირის თავგადასავლიდან რომელიმე ერთი ეპიზოდი ან ნაწილი, რომელიც გმირს მიმზიდველი სახით და დახვეწილი ფორმით დაგვისურათებს.

2. აპოლონიოსმა თავისი პოემისათვის ფართო ეპიკური მასალა აიღო: იაზონისა და მისი თანამოლაშქრეების თავგადასავალი თავიდან ბოლომდე, დღიდან სალაშქროდ მზადებისა ვიდრე კოლხეთიდან იოლკოსში დაბრუნებამდე. იგივე თემა, არგონავტების ლაშქრობა, აუღია კალიმაქესაც და „მიზეზების“ მეორე წიგნში ყოფილა არგონავტების შესახებ ნაწარმოებიც, ხოლო აქ არგონავტების მთელი თავგადასავალი კი არ უმღერია პოეტს, არამედ მხოლოდ მათი დაბრუნება კოლხეთიდან, მის შემდეგი ამბავი, როდესაც იაზონს უკვე მოუპოვებია ოქროს საწმისი. მე ვფიქრობ, რომ კალიმაქე, ლიტერატურული პაექრობის შედეგად, აპოლონიოსის დიდ ნაწარმოებს დაუპირისპირებდა იმავე ეპოსის პატარა ნაწარმოებს, ე. ი. მის დიდ პოემას (ეპოსს) დაუპირისპირებდა პატარა პოემას (ეპილიონს). მაშასადამე, „მიზეზები“ უნდა ვიგულისხმოთ ეპილიონების და არა ელეგიების კრებულად.

ეპილიონი „ჰეკალე“. თუ „მიზეზების“ ეპიკური ხასიათის შესახებ ჭერ არც ერთს მკვლევარს დაბეჯითებით არაფერი უთქვამს, და ისინი ზოგჯერ მიჩნეულია ელეგიურ თხზულებად, არსებობს კალიმაქეს რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც აღიარებულია ეპილიონებად. ამათ რიცხვს ეკუთვნის, პირველ რიგში, ძველიდანვე სახელგანთქმული პოემა „ჰეკალე“.

ატიკის გმირის თეზევსის საგმირო საქმეებს შორის მითებში მოხსენებულია აგრეთვე გმირის შებრძოლება მართონის ხართან: ეს ხარი კრეტიდან მიყენში მოიყვანა ჰერაკლემ და თავისუფლად გაუშვა. ხარმა დასტოვა მიყენი და გაიქცა ატიკაში, სადაც აობრებდა იქაურ ყანებსა და მიწღერებს; ატიკის მცხოვრებლები მებრძო შეწუხებული იყვნენ ამის გამო. თეზევსმა გადაწყვიტა შებრძოლებოდა ამ

ბორცვებს და გაეშავებოდა პარათონისაყენ, სადაც ეგულებოდა ამ ხარის საწყო-  
ფელი. გზაზე ავღარი შეესწრო და დაისვენა ერთ ღელაბერთან, ჰეკალესთან. ჰეკა-  
ლეა კარვად მიიღო თეზესი, ზევსს ლოცვით მიმართა და შეევედრა დახმარებოდა  
თეზესს; აღაქმაც დაუდო, რომ თუ თეზესი გამარჯვებული დაბრუნდებოდა, ზევსს  
მსხვერპლს შესწირავდა; თეზესსაც ურჩია ხართან შებოძოების წინ მსხვერპლი  
შეეწირა ზევსისათვის. თეზესმა დაუჭერა ჰეკალეს და ყველა მისი დარიგება შეას-  
რულა. მარათონში ხარს რომ შეხვდა, გაეშინა შესაბრძოლებლად. ხარი უმაღლე  
ეკა თეზესს. ამან რქებში სტავა ხელი; ბევრს ეცადა ხარი, მაგრამ გმირის მძლავრ  
ხელს ვერ გაუხსნტა. თეზესმა (ეფიქრობო, ჰეკალეს რჩევის მიხედვით) ძირს  
დაუხსნა ხარს თავი. რითაც ხარს რალა მოაყლდა და, ამგვარად, აღილად დაიმორ-  
ჩილა იგი. უკან რომ ბრუნდებოდა თეზესი, კვლავ შეუარა ჰეკალეს, მაგრამ ცოცხალ-  
აღარ დახვდა: იგი გარდაცვლილყო. ძადლოთია ხიმნად თეზესსა ჰეკალეს სახელო-  
ბის კულტი დააწესა: გარშემო მდებარე ღემუბიდან იკრიბებოდნენ და მსხვერპლსა  
სწირავდნენ ზევს-ჰეკალესს.

აი, მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდი თეზესის საგმირო საქმეებიდან გა-  
მოიყენა კალიმაქემ თავისი პოემის სიუჟეტად და, ამგვარად, მან ერთი-  
ანი „დიდი პოემა“ კი არ დასწერა თეზესის მთელ თავგადასავალზე,  
როგორც მოითხოვდნენ დიდი ეპოსის მომხრენი, არამედ ეპილონი.

კალიმაქეს ლირიკა. ძველი კომპილატორებისა და გრამა-  
ტიკოსების გაგებით კალიმაქემ, მაინცდამაინც, უპირატესად ცნობილია  
როგორც ლირიკოსი. რომელი გრამატიკოსი და რიტორი კვინ-  
ტილიანე თვლის მას ელეგიის ოსტატად.

კალიმაქეს წმინდა ლირიკულ ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა  
მოვიხსენიოთ მისი ეპიგრამები. ეპიგრამები პოეტის ანაღგაზრდობის  
ნაწარმოებებია უპირატესად და საფიქრებელია, რომ პირველად სწო-  
რედ თავისი ეპიგრამების კრებულით მიიქცია საზოგადოების ყურად-  
ღება.

კალიმაქეს ეპიგრამებში გამოირჩევა ორი მოტივი: სიღარიბე და  
ტრფობა, რომელთა შესახებაც ელაპარაკება პოეტი თავის ნაცნობებსა  
და მეგობრებს, მოკეთებებსა და სატრფოებს.

კალიმაქეს ეკუთვნოდა აგრეთვე პოემა „იბისი“, რომელიც მიმარ-  
თული იყო მისი ლიტერატურული მოწინააღმდეგისა და პირადი  
მტრის, აპოლონიოს როდოსელის, განსაქიქებლად.

ჩვენ ვნახეთ, რომ კალიმაქეს შემოქმედებაში პოეტის დიდი მის-  
წრაფება ჩანს იყოს ორიგინალური, იაროს საკუთარი და არა გათე-  
ლილი გზით, აჩვენოს მკითხველ საზოგადოებას, რომ არანაკლებ მი-  
მზიდველი არიან ლიტერატურის მიერ დავიწყებული, მაგრამ ხალხში  
დარჩენილი გმირები (აკონტიოსი, კიდიპე, ჰეკალე); მას უფრო იტაცებს.  
თანამედროვე ცხოვრება, ვიდრე წინაისტორიული ყოფა: თვით ღმერ-  
თები, რომელთაც ის უმღერის თავის ჰიმნებში, იმდენად რელიგიურ  
არსებებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც საყოფაცხოვრებო მომენ-

ტებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასასახავად გამოყენებულ მასალას. კალიმაქე ყოველთვის გულწრფელია: თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებს მხატვრული მიმზიდველობის პრინციპს და ცდილობს თითოეულ ტაეპს, თითოეულ ლიტყვას არ დააკლოს ჩამონაკეთილობა; მასში უთუოდ მოჩანს სიტყვისა და ლექსის ოსტატი.

მაგრამ კალიმაქეს პოეზია მეცნიერული პოეზია იყო: რაგინდ დახვეწილად არ ჩამოესხა მას თავისი ლექსები, რაგინდ თანადროულთა ცხოვრების შესაფერისი თემები არ დაემუშავებინა და ახალი საზოგადოების მხატვრული გემოვნება არ დაექაყოფილებინა, მის პოეზიაში მაინც შესამჩნევი იყო იგივე მწიგნობრულობა, რომელიც ეგზომ ამძიმებდა აპოლონიოსის პოეზიასაც. ამ მხრივაც, კალიმაქე ელინისტური პოეზიის ნამდვილ ხასიათს გამოხატავს: სწორედ ელინისტური პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისიც არის, რომ იგი მწიგნობრული პოეზიაა. ხოლო კალიმაქეს უპირატესობა ელინისტური პოეზიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით (ფილეტასი, ჰერმესიონაქტი, პართენიოსი და სხვები) ის არის, რომ მან მიუხედავად მწიგნობრულობისა შესძლო თავისი მხატვრული ხერხებიან ხმარებით, თავისი დახვეწილი ლექსით, ამ ლექსში ჩაქსოვილი გრძნობებით და მხატვრული გემოვნების შემწეობით ეჩვენებინა პოეზიის მშვენიერი მხარე. მომდევნო საუკუნეებში მრავალი პოეტი ცდილობდა მიეზაძა მისთვის. რომშიც მრავალი პოეტი (ენიუსი, პროპერციუსი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი) აფასებდა კალიმაქეს.

**§ 113. ელინისტური ლირიკის ორი მიმართულება.** ელინისტურ ლირიკაშიც ვამჩნევთ: ისევე როგორც ეპოსის მიმართ, ორ მიმართულებას. ერთი ნაწილი ლირიკის წარმომადგენელთა მისდევს მსხვილ ლირიკულ ჟანრებს, მეორე მიმართულების ლირიკოსები კი — წვრილ ლექსებს, ორივე მიმართულების ნაწარმოებთა ძირითადი მოტივია ტ რ ფ ო ბ ა.

ვრცელი ლირიკული ნაწარმოებები წარმოდგენენ ელეგიების წიგნს, რომლებშიც გადმოცემულია საგმირო ეპოქის სატრაფიალო ეპიზოდები, როგორც ბედნიერი, ისე უბედური შემთხვევებით. მოკლე ლირიკული ნაწარმოებები კი გადმოსცემდნენ ერთ რომელსავე სატრაფიალო ეპიზოდს, რომელსაც პოეტზე საბედისწერო გავლენა მოუხდენია. რასაკვირველია, გამარჯვება ხვდა მცირე ფორმის ლირიკას, რომლის მთავარი წარმომადგენელია კ ა ლ ი მ ა ქ ე.

ლირიკულ ჟანრთაგან ელინისტური პოეზიის ძირითად ჟანრად გარდაიქცა ეპიგრამა, რომელმაც III საუკუნის ბოლოდანვე დაჩრდილა წინათ გაბატონებული ე ლ ე გ ი ა.

ელინისტური ეპიგრამის მთავარი წარმომადგენელია ა ს კ ლ ე -

3 ი ა დ ე ს ა მ ო ს ე ლ ი (111 საუკ. პირველი ნახევარი), რომელიც სწერდა საფლავისზედა და მიძღვნიტს ეპიგრაშებს, მაგრამ უშთავრესად ცნობილია როგორც ავტორი ეროტიკული ეპიგრაშებისა.

ელინისტური პერიოდის ლირიკოსთაგან საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მ ე ლ ე ა გ რ ე გ ა დ ა რ ე ლ ი (II საუკ.). იგი ცნობილია, როგორც ავტორი ეპიგრაშებისა და სხვა ლირიკული ლექსებისა, მაგრამ ლიტერატურის ისტორიას მეღეაგრე, პირველ რიგში აინტერესებს როგორც „ანთოლოგიის“ შემდგენელი. მეღეაგრე პირველი პოეტი იყო, რომელმაც შეადგინა ეპიგრაშების დიდი კრებული „გ ვ ი რ - ვ ვ ი ნ ი“.

§ 114. ელინისტური დრამა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ, საზოგადოდ, ელინისტური პოეზიის განვითარება წ ვ რ ი ლ ი ე ა ნ რ ე ბ ი ს გაბატონების გზით წარიმართა, და, კერძოდ, განვითარების ასეთი ხასიათი დაეტყო ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ეპოსსა და ლირიკას, წინდაწინვე უნდა ვივარაუდოთ, რომ დრამის განვითარებაც წვრილი ეანრების გზით წარიმართებოდა. მართლაც, 111 — I საუკუნეებში ვაშჩნევთ ცდას განგრძობილ იქნეს ძველებური ტრაგედიისა და კომედიების წერა, მაგრამ ეს ცდა მარცხით მთავრდება: ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მწერალს, ტრაგიკოსს ან კომიკოსს, რომელსაც დაეწეროს ეპოქის ამსახველი დრამა და ლიტერატურას შერჩენოდეს. სამაგიეროდ, ელინისტურმა პოეზიამ შექმნა წ ვ რ ი ლ ი ს ც ე ნ ე ბ ი, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ქალაქისა და სოფლის ყოფა, ასახული იყო წვრილმწარმოებლური ქალაქის მცხოვრების სულისკვეთება, გლეხისა და მწყემსის ბუკოლოკური განწყობა. ეს წვრილი სცენები არის ი დ ი ლ ი ე ბ ი და მ ი მ ი ა მ ბ ე ბ ი, რომლებიც, ჩვენის აზრით, დრამის განვითარების შედეგს წარმოადგენდნენ, თუმცა ისინი მაინცდამაინც, სცენაზე დასადგმელად კი არ იყვნენ განკუთვნილი, არამედ საკითხავად.

თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: რას წარმოადგენდა ელინისტურ ეპოქაში თეატრი? თუ დრამამ თავისი განვითარების გზაზე წვრილი სცენები, იდილიები და მიმიამბები წარმოშვა, რაღა დარჩა თეატრს დასადგმელი ან წარმოსადგენი? ამ საკითხის წამოყენება მით უფრო მართებულია, რომ თეატრის შენობებმა საბოლოო კლასიკური ფორმა სწორედ ელინისტურ ეპოქაში მიიღეს. ის გარემოება, რომ სწორედ ამ ეპოქაში ყველა ქალაქმა, დიდმა და პატარამ, აიშენეს თეატრები, იმას მოწმობს, რომ თეატრი დიდ როლს თამაშობდა ელინისტური საზოგადოების ცხოვრებაში. თუ წინათ, ელინურ ეპოქაში, ხალხის შეკრება დღეობის გადასახდელად (ღმერთების თაყვანისსაცემად, გამარჯვებულთა სადიდებლად, ფალავნების შესაჩიბრებლად) სხვადასხვა ადგილას ხდებოდა, ახალა ყველაფერი ეს თავმოყრილი იყო



თეატრში, სადაც ყველა ზემოჩამოთვლილ სანახაობას ემატებოდა მეფეთა და დედოფალთა თაყვანისცემა სხვადასხვა შემთხვევების გამო.

სათეატრო სანახაობა ორი ნაწილისაგან შედგებოდა.

პირველ ნაწილში სამსხვერპლო ადგილას მრგვალ ორქესტრაში ხდებოდა შეჯიბრება მემუსიკეთა და მომღერალთა, ფლეიტისტებისა და კითარისტების, ავლოდებისა და კითაროდების: რაფსოდები და პოეტები ქებას ასხამდნენ ღმერთს ან მეფეს მათი ზრუნვისათვის აღმკვიდრებულ, მოქალაქეებზე სანახაობის ეს ნაწილი იწყებოდა საზეიმო პროცესიით („პროსოდით“); საკურთხევლისაგან მიმავალნი მღეროდნენ საკულტო სიმღერას; ამგვარი საკულტო სიმღერები, სხვადასხვა საზომით შესრულებული, მრავალი ნოველებზეა I-II საუკუნეთა წარწერებში.

მეორე ნაწილი შედარებით პირველთან, უფრო მოკლე იყო. შეჯიბრებები ხდებოდა არა ორქესტრაში, არამედ მაღალ სცენაზე: აქ დგამდნენ ტრაგედიებსა და კომედიებს ან სხვა დრამატულ სანახაობას. სათეატრო გასართობის ამ მეორე ნაწილში ძველი ტრაგედიები და კომედიები იღვებოდა, უპირატესად, ევრიპიდეს და მენანდრეს ნაწარმოებები. იყო ცდა ძველი დრამის ტრადიციების გაგრძელებისა, მაგრამ ახალი, ელინისტური საზოგადოება უძლური აღმოჩნდა ამისათვის.

ერთადერთი ტრაგედია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ამ ეპოქიდან, არის ლიკოფრონის „ალექსანდრა“.

ეგვიპტის ხელისუფლებმა და ალექსანდრიის პოეტებმა სცადეს კომედიის დანერგვაც ელინისტურ სცენაზე. თუმცა პტოლემეიოზ I სოტერის მიერ მიპატივებული მენანდრე არ ეწვია ალექსანდრიას, მაგრამ აღმოჩნდნენ ეგვიპტეში პოეტები, რომელთაც მოისურვეს მენანდრეს კვალს დასდგომოდნენ. ეგვიპტეში აღმოჩენილ პაპირუსებში მოიპოვება რამდენიმე ნაწყვეტი კომედიებიდან, რომლებშიც აღქერილია ეგვიპტის ცხოვრება და გამოყვანილი არიან ეგვიპტელი მოხელეები, მაგრამ ეს ნაწყვეტები, სხვა მხრივ, ატიკურ იერს ატარებენ: მათი კომიკური ინტრიგაც და ენაც ახალ ატიკურ კომედიას იმეორებს და, როგორც სჩვევია ყოველგვარ განმეორებას, რომელიც არ ემყარება ახალი ადგილისა და ახალი ეპოქის პირობებს, ეს განმეორებაც უსიცოცხლო აღმოჩნდა.

ალექსანდრიელთა ცდა — ატიკური კომედია ნილოსის ნაპირებზე დაენერგათ, წარმატებით ვერ დამთავრდა. თითო-ოროლა გეოგრაფიული სხელის გარდა, ყველაფერი ატიკური რჩებოდა: ტიპები და ხასიათები არაფრით არ იყვნენ დაკავშირებული ელინისტურ ეპოქასთან, ისინი იმეორებდნენ IV საუკუნის ატიკის ტიპებსა და ხასიათებს, ისევე როგორც ელინისტური ტრაგედიები იმეორებდნენ ძველ ატიკურ ტრაგედიებს. მაგრამ სიყვარულის მოტივი, რომელიც ელინისტურმა ეპო-

ქამ ამ დრამებში გაამახვილა, და მხიარული განწყობა, რომელიც კომედიას საზოგადოდ ახასიათებდა, ელინისტური ცხოვრების ნოყიერ ნიადაგს მოხვდნენ და საზოგადოება დიდი ხალისით ისმენდა მხიარულ ლირიკულ სცენებს, რომლებშიც ტრფობის მოტივზე აგებული პიკანტური დრამატული გართულებებიანი ინტრიგა იყო წარმოდგენილი.

ამგვარი სცენები, ხალხური პოეზიიდან მომდინარე, მეტად ეგუებოდა ელინისტური ეპოქის მხატვრულ გემოვნებას: ამ ენოით გადმოიციმოდა ყოველდღიური ცხოვრების მიერ დასმული საკითხები, სინამდვილით აღძრული გრძნობები და მისწრაფებები, ღრმა განცდები და იმედები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარ სცენებზეა აღმოცენებული ჰერონდას „მიმიაშვები“ და თეოკრიტეს „იდილიებიც“. პირველმა ასახა უპირატესად ქალაქის სინამდვილე, ხოლო თეოკრიტემ — სოფლის ცხოვრება.

§ 115. ჰერონდა და მისი მიმიაშვები. XIX საუკუნის დამლევამდე ჰერონდას თხზულებებზედაც ბუნდოვანი წარმოდგენა გვექოდა და პოეტის ბიოგრაფიაც ბურუსით იყო მოცული. მის შემდეგ, რაც 1889 წელს ეგვიპტეში იქნა ნაპოვნი ახ. წ. II საუკუნის პაპირუსი, ჩვენ გავიცანით ჰერონდას რვა სცენა.

ჰერონდა მოღვაწეობდა III საუკუნის პირველ ნახევარში და იყო ცნობილი პოეტების — ფილეტასის, კალიმაქეს და თეოკრიტეს თანამედროვე, იყო მათთან ახლო ურთიერთობაში და ლიტერატურული პაექრობაც ჰქონდა მათთან.

ჰერონდას ღროს კ. კოსზე არსებულა სალიტერატურო წრე, რომელშიც გაერთიანებული ყოფილან ბუკოლიკური განწყობის პოეტები ფილეტასის მეთაურობით. ამ წრის ძირითად დებულებებს იზარებდა თეოკრიტე. ჰერონდა კი, როგორც ჩანს, ამ სალიტერატურო წრეში „უცხო კაცად“ ითვლებოდა, მას სწუნობდნენ როგორც პოეტს. იმის გასარკვევად, თუ რას უწუნებდნენ კოსელი ლიტერატორები ჰერონდას, ჩვენ მოგვეპოვება თვით ჰერონდას ერთი სცენა „სიზმარი“.

ჰერონდას მიმიაშვები დაწერილია ქოლიამბებით, ე. ი. კოჭლი იამბებით, და მათში ასახულია ქალაქის ყოფა-ცხოვრება. ხოლო „სიზმარში“ გადმოცემულია ერთი ეპიზოდი სოფლის ცხოვრებიდან.

ამ სკონიდან ცხადია, რომ კ. კოსის ლიტერატორთა ერთ ბანაკში ყოფილან ბუკოლიკური ჟანრის პოეტები, ერთი მოხუცის (ფილეტასის) მეთაურობით, რომელნიც პირველობას არ უთმობდნენ ჰერონდას და რომელნიც მას „უცხო კაცად“ თვლიდნენ. ჰერონდა თავისი გზით მიდიოდა, ის თავის ნაწარმოებში რეალისტურ მიმართულებას მისდევდა: მოწინააღმდეგეებს კი, ბუკოლიკური განწყობის პოეტებს, უპირატესად სინამდვილის გაიდუალება ახასიათებდათ და

მათ არ მოსწონდათ, რომ ჰერონდა თავის მიმიამბებში ასე ტლანქად აშიშვლებდა სინამდვილეს. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეებს არც ის მოსწონდათ, რომ ჰერონდა წერდა არა ჩვეულებრივი, არამედ კოჭლი იამბებით.

ჰერონდა თავის თავს (ჰიპონაქტის შემდეგ) მეორე პოეტად თვლის. ამით მარტო ის კი არაა ნათქვამი, რომ კოჭლი იამბი მან პირველმა იხმარა ჰიპონაქტის შემდეგ, არამედ ისიც, რომ მან ჰიპონაქტის მსგავსად საზოგადოების საშუალო და დაბალი წრეები, ქალაქის დემოკრატიული ფენები, ასახა თავის მიმიამბებში და არა გაბატონებული ფენები, რომელნიც ძველ ელინ გმირებს უკავშირებდნენ თავიანთ წარმოშობას.

ამგვარად, ჰიპონაქტი ჰერონდას შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა: მან მისცა ჰერონდას მიმიამბებს დემოკრატიული სულისკვეთება და კოჭლი იამბი. ჰერონდას შემოქმედების ორ სხვა წყაროს წარმოადგენენ: 1) სოფრონი და 2) ატიკური კომედია.

პოეზიის ის უანრი, რომელსაც მიმი ეწოდებოდა და რომელიც წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო სცენას, სადაც ასახული იყო ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე, პირველად ლიტერატურაში შემოიტანა სოფრონი (იხ. ზემოთ). სოფრონის მიმების რეალისტური ხასიათი და მათი სიახლოვე ყოველდღიურ ცხოვრებასთან ჰერონდამ გამოიყენა და თავის მიმიამბებში კიდევ უფრო გაამახვილა მიმების ეს თვისებები. ჰერონდას მიმიამბებში ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ სოფრონის გავლენას.

თავისი მიმიამბებისათვის ჰერონდა ატიკური კომედიიდანაც ბევრ რამეს სესხულობს. პირველ რიგში ეს ითქმის ზოგიერთ ტიპებზე: მაქანკალი, ვაჭარი, ზარმაცი მონა — კომედიისათვის კარგად ნაცნობი ტიპებია; ზოგჯერ ჰერონდას ენობრივი მასალაც აქვს ნასესხები არისტოფანეს და მენანდრეს კომედიებიდან. მაგრამ ეს ჰერონდას მიმიამბებს სრულიად არ უკარგავს ორიგინალურობას. ჰერონდამ სხვებისაგან მხოლოდ ის ისესხა, რაც შეიძლება გამოჰყვეს ყოველ მოწაფეს თავისი მასწავლებლის მოძღვრებიდან. ძირითადი წყარო კი ჰერონდასთვის თვით ცხოვრება იყო, საშუალო და დაბალი ფენების ყოფა-ცხოვრება; რომელმაც აღუძრა პოეტს კეთილშობილი მისწრაფება ამ ცხოვრების უკუღმართ მხარეებს შებრძოლებოდა მათი გამომწეურების საშუალებით და საწყალი ხალხის ბეჩავე მდგომარეობა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

ჩვენამდე მოღწეულია ჰერონდას რვა მიმიამბა.

„მაქანკალი“ (90 ტაეპი). ამ მიმიამბში წარმოდგენილია ახალგაზრდა კეთილშობილი ქალის, მეტრიქეს, ნათელი სახე. იგი უკვე ცხრა თვეა მარტოა. მისი კაცი მანდრისი ეგვიპტეში საქმეზეა

წასული; მეტრიქე კი ერთგულად ელოდება მას, ოჯახს უვლის. მუდამ საოჯახო მუშაობაშია გართული. მისი მარტოობით სარგებლობს გაქნილი დედაბერი, მაჰანკალი გილისი, რომელიც ცდილობს შეაციდოს მეტრიქე. მაგამ უქანასკნელი მტკიცე და ერთგული ჩიება მანდრისისა.

ამ სცენაში მშვენივრად არის გადმოცემული ყოველდღიური ცხოვრების სურათი; დამაჩერებლად არის წარმოდგენილი ორივე ქალი, ერთგული მეტრიქე და მაჰანკალი, ის მაჰანკალი, რომელიც ოსტატური ხერხებით და რეალისტური დამარწმუნებლობით აუწერს მის მიერ ზვარაკად არჩეულ მეტრიქეს მანდრისის შესაძლებელ გართობებს ალექსანდრიაში. მხოლოდ ერთგან ღალატობს პოეტი თავის რეალიზმს, სახელდობრ, როდესაც ის გილისს ალაპარაკებს ფილადელფოსების სასახლეზე, ფილოსოფოსებზე და მუზეუმზე: მაჰანკლისაგან ამგვარ საბუთებს ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა მოველოდეთ. ეს უფრო ალექსანდრიული პოეზიის მწიგნობრულობაა, რომელსაც რეალისტი ჰერონდაც უხდის ხარკს.

ასეთივე რეალისტური დამარწმუნებლობით აგვიწერს ელინისტური საზოგადოების ცხოვრების სხვა მხარეებსაც მიმიაშებებში „მასწავლებელი“, „ეპქიანი დედაკაცი“, „მეწაღე“ და სხვ.

ჰერონდას მიმიაშებების რეალისტური ხასიათი, მათში აღწერილი სურათების მიმზიდველობა, ავტორის გონებამახვილობა და დახვეწილი მხატვრული გემოვნება იმთავითვე იპყრობდა მკითხველის ყურადღებას.

§ 116. თეოკრიტე და მისი იდილიები. მიმების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ის სცენები, რომელთაც სწერდა თეოკრიტე და რომელთაც, მათი სპეციფიკური ხასიათის გამო, იდილიები ეწოდება.

თეოკრიტე დაიბადა 305 წლის მახლობელ ხანებში. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია სირაკუზთან, კ. კოსთან და ალექსანდრიასთან.

ალექსანდრიაში თეოკრიტე კალიმაქეს დაუმეგობრდა. კალიმაქეს შსგავსად ისიც წვრილი ჟანრების უპირატესობას აღიარებდა. მას ამაო შრომად მიაჩნია ზოგიერთების სწრაფვა ჰომეროსისებურად იმღერონ.

თეოკრიტეს სახელით ჩვენამდე მოღწეულია 32 „იდილია“ და 24 ეპიგრამა. თეოკრიტეს შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეკავა ბუკოლიკურ მიმებს, მაგრამ მის თხზულებათა კრებულში, სადაც შიოიოდა სხვა ბუკოლიკური მწერლების — მოსქოსის და ბიონის — ნაწერებიც, მერმინდელმა გამომცემლებმა შეიტანეს თეოკრიტეს სხვა, არა ბუკოლიკური, ნაწარმოებებიც და აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც საზოგადოდ, თეოკრიტეს არ ეკუთვნის.

თეორიტიეს შემოქმედებაში ძირითადია ბუკოლიკური მიმე-  
ბი, რომლებშიც დრამატულადაა ასახული მწყემსთა ცხოვრება, მათი  
გრძნობები და თავგადასავალი, მათი სიხარული და მწუხარება. მწყემ-  
სები ერთმანეთში საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აყუ-  
ხებს. ერთიმეორეს უზიარებენ თავიანთ განცდებს, ხშირად სიმღერით  
და სალამურზე დაკვრით ამქლავებენ თავიანთ გრძნობებს; ზოგჯერ  
ყველაფერი ეს გადმოცემულია არა დიალოგის, არამედ გაბმული  
თხრობის სახით.

სამწყემსო სიმღერის კარგ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს პირველი  
იდილია „თირსისი“. საუბრობენ მენახირე თირსისი და ერთი  
თხის მწყემსი. ისინი ერთმანეთს უქებენ სალამურის დაკვრას და  
სიმღერას. თირსისის აზრით. მისი მეგობარი, თხის მწყემსი, ისე ტკბი-  
ლად უკრავს, რომ პანის შემდეგ მას მოცილე არავინ ჰყავს. თხის  
მწყემსი, თავის მხრით, თირსისის ოსტატობას უფრო მაღლა აყენებს  
და სთხოვს მას იმღეროს დაფნისის ტანჯვათა შესახებ, საჩუქრად  
ჰპირდება საუკეთესო თხას, რომელიც ტყუპ თიჯანს იგებს და დღე-  
ში სამჯერ იწველება, და დიდის ხელოვნებით ნახელარ სასმისს.  
თირსისიც უსრულებს ამხანაგს თხოვნას და მღერის ღვთაებრივი და-  
ფნისის თავგადასავალზე.

დაფნისი კარგი მწყემსი და მონადირეა, შესანიშნავად იცის აგრეთ-  
ვე სიმღერების შესრულება. ერთხელ ახალგაზრდობაში მას უთქ-  
ვამს, რომ არასდროს ეროსის ძალას არ დაემორჩილებოდა. გაჯავ-  
რებულმა აფროდიტემ გადაწყვიტა იგი დაესაჯა: მან აღუძრა დაფნისს  
ტრფობა ერთი ქალწულისადმი. ეს ქალიც უკან დასდევს დაფნისს,  
მოსვენებას არ აძლევს მას; დაფნისი, აღმოდებული, გაურბის ვნე-  
ბის ისრებს, მაგრამ სასტიკად ისჯება: ტრფობის აღისაგან იწყის,  
იღუმალად იმარხავს გულში თავის გრძნობებს, არ ამქლავებს; ამასო-  
ბაში იგი სუსტდება, ძაღლონეს ჰკარგავს. აფროდიტეც ნიშნს უგებს:  
„შენ დასცინოდი, დაფნის, ეროსს, და იკეხინოდი, მაგრამ ახლა შენ  
თვითონ დაგციანის უწყალო ეროსი“ (ტ. 97 — 98). დაფნისი შინც  
შეუღრეკელია, იგი ზიზღით მიმართავს აფროდიტეს: „საზიზღარი ხარ.  
ბოროტო კიპრიდავ, საძულველი ხარ შენ მოკვდავთათვის. დაფნისი  
ეროსის მტრად დარჩება ჰადესშიც“. უღრეკია დაფნისი სულიერად.  
მაგრამ ხორცი მას არ ემორჩილება: იგი ღნება. ცარიელი ძვალი და  
ტყავი ხდება. ირგვლივ ყველა შეშფოთებულია, დამწუხრებულია:  
„ტიროღნენ ტურები, მგლებიც სწუხდნენ, ცხარე ცრემლებით ტიროღ-  
ნენ ლომები უღრან ტყეში. ზმუღნენ ხარები, მოზვრები, ბლაღნენ  
ძროხები და ხბორებიც... ყველა მწყემსი, ძროხებს, ცხვარს და თხას  
რომ ამოვებენ, ყველანი ეკითხებოდნენ, თუ რა დარდი სტანჯავდა  
მას“ (ტ. 71—81). ახლა აფროდიტეც შეწუხდა, სცადა დაებრუნებინა

მისთვის სიცოცხლე. მაგრამ ამაო იყო მისი ცდა: მუზეუმის საყვარელი ვაჟაკი შთანთქენს საიქიო მდინარის ტალღებმა (ტ. 138 — 141).

თორისმა სიმღერა დაამთავრა და მოსთხოვა ამხანაგს დაპირებულ-ლი საჩუქარი: „მომიცი სასმისი, მომიყვანე თხა: უნდა მოვწველო და მუზეუმს სამსხვერპლო დაუღღვარო. სალამი თქვენდა მუზეუმო! სალამი! კვლავ გიმღერებთ ტკბილ სიმღერებს“.

ამ იდილიაში, რომელშიც წარმოდგენილია ხალხური სამწყემსო სიმღერის ლიტერატურული დამუშავება, ჩვენ ყურადღებას იპყრობს ერთგვარი სტროფული დანაწევრება სიმღერისა და სტროფების დაწყება მინამღერით, რ ე ფ რ ე ნ ი თ. იმ ადგილიდან, სადაც თორისის სიმღერა იწყება (ტ. 64), ყოველ სტროფს, ჯერ ორტაეპიანსა და შემდეგ ოთხტაეპიანს, უძღვის რეფრენი:

დაიწყეთ სიმღერა მწყემსისა, საყვარლო მუზეუმო, დაიწყეთ!

ხოლო როდესაც დაფნისის ტანჯვა დასასრულს უახლოვდება (ტ. 127), პოეტი სცვლის რეფრენს:

დაამთავრეთ სიმღერა მწყემსისა, საყვარლო მუზეუმო, დაამთავრეთ!

ასეთია თეოკრიტეს ის მიმები, რომლებიც ს ო ფ ლ ი ს ცხოვრებას. უპირატესად მწყემსების ცხოვრებას ასახავდნენ. ამით გვერდით არის სამი მიმი, რომლებშიც ქ ა ლ ა ქ ი ს ცხოვრება არის წარმოდგენილი.

ამგვარად, ჰერონდას მსგავსად თეოკრიტეც რეალისტური ხასიათის სცენებს სწერს. თეოკრიტეს იდილიებსა და ჰერონდას მიმიამბებს შორის; საზოგადოდ, ბევრი რამ არის საერთო. არსებითად კი მათ შორის დიდი განსხვავებაა. ჰერონდა ვერ ჩასწვდა მის მიერ ასახულ სინამდვილეს და იმის მაგიერ, რომ ამ სინამდვილის სურათები გამოეყენებინა სოციალური მოტივებით მდიდარი ცხოვრების ნათელსაყოფად, მან ეს სურათები ფოტოგრაფიულად გადმოიღო და, ამგვარად, რეალისტურად განზრახული მხატვრული სურათის მაგიერ ის ზოგჯერ მხოლოდ ნატურალისტურ წვრილმანებს გადმოგვცემს. თ ე ო კ რ ი ტ ე მ კი მართლაც რეალისტურად აგვისახა როგორც ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური ყოფა და სულსკვეთება, ისე სოფლის მცხოვრებთა შრომისადმი სიყვარულით გამთბარი საქმიანობა, მათი ხელმოკლე მაგრამ განცდებით მდიდარი და ალალ-მართალი ცხოვრება.

თეოკრიტემ განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი სამწყემსო სიმღერებით, ბუკოლიკებით: თეოკრიტე ითვლება ბ უ კ ო ლ ი კ უ რ ი პ ო ე ზ ი ის მამამთავრად. თავის სამწყემსო სიმღერებში მან უხვად გამოიყენა სახალხო პოეზიის მხატვრული ხერხები, კერძოდ, ხერხი რ ე ფ რ ე ნ ი ს ხმარებისა, რომელიც ამ იდილიებში ჩაქსოვილ მგრძნო-

ბელობას კიდევ უფრო მეტ სინაზეს ანიჭებს და მომჯადობლად მოქმედებს მკითხველზე და მსმენელზე. ხალხური პოეტიკის საგანძობრიდან უნდა მოძღვინარეობდეს, ჩვენის აზრით, ის განსხვავებული ფორმა დაქტილური ჰეგზამეტრისა, რომელიც დაუმკვიდრა თეოკრიტემ ბუკოლიკურ პოეზიას. სახელდობრ, მან შემოიღო ბუკოლიკური ცეზურა, ე. ი. ტაეპში შესვენება მეოთხე ტერფში, რითაც თავის იდილიებს ეპიკური იერი შეუენელა და უფრო მეტად ლირიკული გახადა. ხალხურობას ანიჭებს თეოკრიტეს სიმღერებს ისიც, რომ მისი გმირები და მოქმედი პირები ხშირად ჩვეულებრივი, სალაპარაკო ენით მეტყველებენ; ძალაღფარდოვანი მეტყველება გვხვდება თეოკრიტესთან მხოლოდ სახობტო სიმღერებში და ეროტიკული ლექსების პათეტიკურ ადგილებში.

თეოკრიტეს მიერ პოეზიაში შემოტანილი ბუკოლიკური მოტივის დამუშავება განაგრძეს მომდევნო თაობათა პოეტებმა როგორც საბერძნეთში, ისე რომში: საბერძნეთში თეოკრიტეს უშუალო მიმდევრები იყვნენ ბიონი და მოსქოსი მეორე საუკუნეში (ძვ. წ.), ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის 1<sup>საუკუნის</sup> მწერალმა ლონგემ ბუკოლიკურ მოტივზე ააგო თავისი რომანი „დაფნისი და ქლოე“. რომში ვერგილი ბიონისა, თეოკრიტეს მიბაძვით დასწერა თავისი სამწყემსო სიმღერები, ე. წ. „ეკლოგები“.

ამით ვამთავრებთ ელინისტური პოეზიის განხილვას. როგორც დავინახეთ, ელინისტურმა პერიოდმა განაგრძო წინა პერიოდში საფუძველჩაყრილი დარგების — ეპოსის, ლირიკისა და დრამის — განვითარება. მაგრამ ელინისტური პოეზია მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, პოლისების დაშლისა და წერილი მონარქიების წარმოშობის პირობებში თავისებურად წარმართავს ამ დარგების განვითარებას. ელინისტური ეპოქის ცხოვრების თავისებური ხასიათი იწვევს პოეზიის წერილი ჟანრების გაბატონებას, ნაცვლად ელინური პერიოდის მონუმენტალური ჟანრებისა: ეპოსის გვერდით — ვითარდება ეპილიონი, ტრაგედიისა და კომედიის გვერდით — მიმეზი (მიმიამეზი და იდილიები). ძველ ჟანრთაგან ლირიკა როგორც თავისთავად წერილი ჟანრი და ელინისტური საზოგადოების გემოვნებისათვის დამახასიათებელი ეროტიკული მოტივის შემცველი უპირატესად, თვითონაც ვითარდება აღმავალი გზით და პოეზიის სხვა დარგებსაც მოიმწყყედებს თავისი გავლენის ორბიტში: ძველი ეპოსიდან წარმოშობილ ეპილიონში და ძველი დრამიდან მიღებულ წერილ სცენებში (მიმიამეზებსა და იდილიებში) იმდენად ქარბობს ლირიკის, რომ ზოგჯერ ძნელია საზღვარი დავუდოთ, თუ სად თავდება ეპილიონი ან იდილია და სად იწყება ლირიკული ნაწარმოები.

§ 117. ელინისტური პროზის დარგები. პოეზიის მსგავსად, ელინისტური პროზაც განაგრძობს წინა პერიოდში აღებულ გეზს: ელინისტურ პერიოდშიც გვაქვს პროზის იგივე დარგები, რომლებიც ელინისტური პერიოდში გვქონდა — საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული და ბელეტრისტიკული. მაგრამ ახალი პოლიტიკური პირობები, შეცვლილი სოციალური ვითარება და ლიტერატურული გემოვნება ძველისაგან განსხვავებული გზით წარმართავენ ამ დარგების განვითარებას. ასე, მაგალითად, პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა — ჯეო ელინისტური საფეოდალის წარმოშობამ და შემდეგ რომის იმპერიაში შესვლამ ყოფილი საბერძნეთის ტერიტორიისა — განააკუთრებთ ხელშემწყობი პირობები შეუქმნეს საისტორიო პროზის განვითარებას; რიტორიკული პროზა, პირიქით, საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და პოლისური წყობილების დაშლამ უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენეს. ხოლო, მეორე მხრით, იგივე რიტორიკული პროზა, რომელსაც ქვეყნის ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საფუძველი გამოეცალა პრაქტიკული გამოყენებისათვის, ერთ-ერთი წყარო გახდა ბელეტრისტიკული პროზის სრულიად ახალი, აქამდე უცნობი ჟანრისა — რომანისა, რომლის გაჩენა შეაპირობა, პირველ რიგში, ტრფობის მოტივის გაბატონებამ პოეზიაში.

რაც შეეხება საფილოსოფიო პროზას, აქაც განაგრძობენ მუშაობას ძველი მიმართულებების (მატერიალისტური, იდეალისტური და ეკლექტიკური ფილოსოფიის) წარმომადგენლები. ხოლო ამ პერიოდის მეორე ნახევარში, ქრისტიანობის წარმოშობასთან დაკავშირებით, ვითარდება ახალი მოძღვრება, ქრისტიანული ფილოსოფია.

დასასრულ, ელინისტურ პერიოდში განსაკუთრებულის სიმძლავრით ვითარდება მეცნიერება და სამეცნიერო პროზა, რომელიც ძველად, ელინურ პერიოდში, საფილოსოფიო პროზაში იგულისხმებოდა. ზუსტ მეცნიერებათა (მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვათა) მძლავრი სკოლების გვერდით ჩნდება მეცნიერების სრულიად ახალი დარგი — ფილოლოგია.

§ 118. ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობანი. ორი ძველი სკოლის (პლატონის აკადემიისა და არისტოტელეს სკოლის) გვერდით, ელინისტურ პერიოდში ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდ როლს ასრულებს, განსაკუთრებით, სტოელთა მოძღვრება და ეპიკურეს ფილოსოფია.

პლატონის აკადემია განაგრძობდა პლატონის იდეალისტური მოძღვრების განვითარებას, უპირატესად მისტიციზმის მიმართულებით, სულის უკვდავებისა და სულთა გადასახლების შესახებ.



არისტოტელეს სკოლის წარმომადგენელი, ეგრეთწოდებული პერიპატოელი, განაგრძობდნენ თავისი მასწავლებლის მოძღვრების განვითარებას ცალკეულ სამეცნიერო დარგებში: მათემატიკაში, ასტრონომიაში, ბოტანიკაში და სხვ.

მაგრამ ელინისტურ პერიოდში გადაწყვეტი მნიშვნელობისა არყოფილა არც პლატონიზმი და არც არისტოტელიზმი. საზოგადოებრივ აზროვნებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი გავლენისა იყო ეპიკურეიზმი და სტოელთა მოძღვრება.

§ 119. ეპიკურე. (342 — 271) არის უდიდესი მატერიალისტი და ათეისტი ელინისტური პერიოდისა. მან 306 წელს ათენში დააარსა სკოლა (ე. წ. „ეპიკურეს ბაღი“), რომელშიც განაგრძობდა დემოკრიტესეული მოძღვრების განვითარებას და მის დაცვას პლატონის მიმდევართა და პერიპატოელთაგან. ეპიკურეს აზრით, ბუნების მოვლენები აიხსნება ატომთა სხვადასხვა შეერთებით, იმ განუყოფელი მატერიალური ნაწილაკების შეერთებით, რომლებიც სიცარიელეში მოძრაობენ: „ეპიკურე მიაწერდა ატომებს — ამბობს ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკაში“ — არა მარტო სხვადასხვა ოდენობას, არამედ აგრეთვე სხვადასხვა წონასაც, ე. ი. თავისებურად უკვე იცნობდა ატომურ წონასა და ატიკურ მოცულობას“.1 ეპიკურეს ფილოსოფიას სამი ნაწილი შეადგენს: 1. ლოგიკა და შემეცნების თეორია; 2. ფიზიკა და 3. ეთიკა.

ეპიკურეს მოძღვრების მატერიალისტურ ხასიათს ჩქმ:ლავდა ჰეგელი. ვ. ი. ლენინი ამბობს: «Говоря об Эпикуре (342—271 до Р. X.) Гегель сразу (до изложения взглядов) становится в боевую позицию против материализма».2 ხოლო ჰეგელი მალავს ეპიკურეს მთავარ მიღწევასო. «Вовсе скрал Гегель главное: бытие вещей вне сознания человека и независимо от него — все это Гегель скрадывает...».<sup>3</sup>

ლენინი დაწვრილებით იხილავს ეპიკურეს ფილოსოფიას და შენიშნავს: «Это почти вплотную подход к диалектическому материализму».<sup>4</sup>

ეპიკურე „დემოკრიტეს ნატურფილოსოფიიდან გამოდის“. მარამ დემოკრიტეს და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის განსხვავებაა. ამ საკითხს კ. მარქსმა უძღვნა თავისი სადოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“, სადაც ის ამბობს: „ეპიკურეს სრულიად თან-

1 „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ., 1937: გვ. 226.

2 В. И. Ленин, Философские тетради, Москва, 1947, стр. 271.

3 В. И. Ленин, ц. с. стр. 273.

4 В. И. Ленин, ц. с. стр. 276.

მიმდევნად აქვს გატარებული და დამთავრებული ატომისტიკა ყველა თავისი წინააღმდეგობით, როგორც თვით შეგნების ბუნების მეტყველება, ხოლო ეს უკანასკნელი აბსტრაქტული ერთეულადობის ფორმით არის აბსოლუტური პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ატომისტიკის გაუქმებას და შეგნებულ წინააღმდეგობას საყოველთაოსადმი. დემოკრიტესთვის, პირიქით, ატომი არის მხოლოდ საერთოდ ბუნების ემპირიული გამოკვლევის ზოგადი ობიექტური გამოსახულება. ეპიკურეული ფიზიკის „უფრო ღრმა დალაგებას ჩვენ ვპოულობთ“ ლუკრეციუსთან.

ატომისტურ მატერიალიზმს ემყარება ეპიკურეს ეთიკა. ეპიკურე ცდილობს თავისი ეთიკური მოძღვრებით განათავისუფლოს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან, აგრეთვე შიშისაგან ღმერთების წინაშე; ადამიანის განთავისუფლება ტანჯვისაგან — ეს არის უდიდესი სიამოვნება, განცხრომა; ხოლო ყოველი ვნებიერი განცხრომა უნდა ემსახურებოდეს უფრო მაღალი კატეგორიის, უფრო გონიერ განცხრომას. ტანჯვათაგან განთავისუფლებას და, მაშასადამე, განცხრომას ადამიანი მიადრწევს თავისი სიმშვიდით, აუღელვებლობით (ἀταραξία) და სათნოებაზე დამყარებული სიამოვნებით.

მიმდევნო თაობებმა დაამახინჯეს ეპიკურეს ეს ეთიკური მოძღვრება და აღვირახსნილი სიამოვნების ქადაგება დაიწყეს, რასაც არაფერი აქვს საერთო ეპიკურეს ფილოსოფიასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია აგრეთვე ეპიკურეს შნიშვნელობა როგორც ათეისტისა. ეპიკურე თავს ესხმოდა ანტიკურ რელიგიას: მისი აზრით, ღმერთები თუმცა არსებობენ, მაგრამ ისინი სრულიად არ ერევიან მსოფლიოს განვითარების საქმეში. ამიტომ ლუკრეციუსი ხოტბას ასხამდა ეპიკურეს „როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გათელა რელიგია“ (მარქსი და ენგელსი, Социал. IV, 121).

§ 120. სტოელთა ფილოსოფია. არისტოტელეს შემდეგდროინდელ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის ყველაზე უფრო გავლენიანი იყო სტოელთა მიმდინარეობა. სახელწოდება „სტოელი“ ამ მიმდინარეობას მიეკუთვნა იმ შენობის გამო, სადაც ასწავლიდა. ამ სკოლის დამაარსებელი ზენონი. ეს იყო „ჭრელი სტოა“ შუაგულ ათენში, პორტიკიანი („სტოა=პორტიკა“), ე. ი. სვეტებიანი წინაბჭის მქონე დარბაზი.

სტოელთა სკოლა გაჩნდა ეპიკურეს მოძღვრების პარალელურად და, შეიძლება ითქვას, მის საკონკურენტციოდაც.

სტოელთა მოძღვრებას წინ უსწრებს კვინიკოსთა მოძღვრება; რომელიც შეიქმნა სოკრატეს ეთიკურ შეხედულებათა გავლენით. კვინი-

კოსები ფილოსოფიაში აფასებდნენ მის პრაქტიკულ და არა თეორიულ ღირებულებას, სახელდობრ, ისინი ფილოსოფიაში ეძებდნენ მოძღვრებას იმაზე, თუ როგორ იცხოვროს ადამიანი. იმისათვის რომ ადამიანი ბედნიერად იცხოვროს, საჭიროა მას ჰქონდეს სათნოება: ბედნიერება და სათნოება ერთი და იგივეა. ხოლო თვით ეს სათნოება კვინიკოსებს ესმოდათ, როგორც პიროვნების განთავისუფლება ყოველგვარი გარეგანი შემზღვეველი პირობებისაგან; მხოლოდ სათნოებაა მყარი სულიერი სიმდიდრე, ყველაფერი ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ძვირფასად ითვლება, კვინიკოსების აზრით, ანგარიშგასაწევი არაა. აქედან გამომდინარეობს კვინიკოსთა მიერ უარყოფა სიმდიდრისა, ფუფუნებისა და განცხრომისა: ისინი დახეტილებდნენ მათხოვრის ჩანთით და ჰქადაგებდნენ ადამიანთა ბიწიერებისა და არსებულ სიამოვნებათა არარობის შესახებ: რიტორიკული ხერხების მომარჯვებით ისინი დასცინოდნენ ადამიანის ცოდვებს. ისინი ჰგმობდნენ, ამიტომ, სოციალურ უთანასწორობას, მონობას, პოლისურ წყობილებას, მაგრამ, რამდენადაც ისინი ბედნიერებას ხედავდნენ მხოლოდ ადამიანის შინაგან თავისუფლებაში, უძლურნი აღმოჩნდნენ არსებულთა მათ მიერ დამგობილი, სინამდვილე შეეცვალათ.

კვინიკოსთა მამამთავარია სოკრატეს მოწაფე ანტისთენე ათენელი (დაახლ. 440 — 364). იგი სცნობდა მხოლოდ ცალკეული საგნების რეალურ არსებობას, მათი გვარი და სახე რეალურად არსებული კი არაა, არამედ ჩვენნი ვონების წარმონაქმნია. ამიტომ იგი დასცინოდა პლატონის თეორიას და ამბობდა: „მაგიდას ვხედავ, ხოლო მაგიდობას (ე. ი. მაგიდის იდეას) ვერ ვხედავ“.

სტოელთა ფილოსოფია უშუალოდ უკავშირდება კვინიკოსთა მამამთავრის, ანტისთენეს, მოძღვრებას: მას საფუძვლად დაედო, ერთი მხრით, კვინიკოსთა ეთიკა, ხოლო, მეორე მხრით — პერიპატოელთა ლოგიკა და მეტაფიზიკა. მსგავსად კვინიკოსებისა სტოელებიც უმაღლეს სიკეთედ აღიარებდნენ სათნოებას, რის საშუალებითაც ადამიანს შეეძინება ვნებათგან განთავისუფლება, გონიერება, სიმამაცე და სამართლიანობა. თუ კაცს არა აქვს საშუალება ეს სათნოება ჰქონდეს, უმჯობესია თავი მოიკლასო — ამბობდნენ სტოელები. ამასთანავე, ანტისთენეს მოძღვრებისდა მიხედვით, სტოელებიც აღიარებდნენ ცალკეული საგნების არსებობას. ხოლო ამ საგნებს ადამიანი შეიცნობს შეგრძნებათა საშუალებით. წარმოდგენა საგანზე მაშინაა ჭეშმარიტი, როდესაც ის საგანს იმნაირად შეგაცნობინება, როგორც არის ის ნამდვილად. ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი გაარჩიოს საგნის ნამდვილი და არანამდვილი თვისებები. საგნის შეცნობა მეცნიერულია, როდესაც ლოგიკურად შეგიძლია ეს დაადასტურო. ამიტომ ლოგიკის ამოცანაა შექმნას ჭეშმარიტ მსჯელობათა სისტემა.

მსოფლიო, სტოელთა აზრით, ერთიანი და ცოცხალი მატერიაა, ხოლო მსოფლიოს ყველა ძალებს პირველწყაროდ აქვთ შემოქმედი ცეცხლი, რომელიც იგივეა რაც ღმერთი. ყველაფერი ვითარდება ცეცხლის საშუალებით: ცეცხლი და სითბოა რომ საგნებს ცხოველმყოფელობას ანიჭებს, მათ წარმოქმნის და ამოძრავებს. ასეთია სტოელთა ფ ი ზ ი კ ა.

§ 121. საისტორიო პროზა. ელინისტურ პერიოდში საისტორიო პროზის განვითარებას ხელი შეუწყევს, ერთი მხრით, საბერძნეთის წარსულისადმი მეცნიერულმა ინტერესმა და, მეორე მხრით, იმ ლაშქრობებმა, რომლებიც წარმოებდა ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დროს, ხოლო შემდეგ რომაელთა ექსპანსიის ხანაში.

ბერძნული სამყაროს გაფართოებამ აღმოსავლეთის მიმართულებით თვით ინდოეთამდე და ახალი, აღმოსავლური, ხალხების მონაწილეობამ ელინისტური კულტურის განვითარების საქმეში აუცილებელი გახადა ამ სამყაროს წარსულისა და აწმყოს შესწავლა. გარდა ამისა, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ფართო ხასიათი, გამოჩენილი სარდლის ზღაპრული წარმატებები და მისი გარდაცვალების შემდეგ ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები დიადოხოსებს შორის დიდ ინტერესს იწვევდნენ ისტორიკოსებში. დასასრულ, თვით ალექსანდრე მაკედონელი და მისი მემკვიდრე სარდლები (დიადოხოსები) დაინტერესებული იყვნენ, რომ მათი მოღვაწეობა აღწერილი ყოფილიყო.

ერთი პირველთაგანი, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობანი აღწერა და შეაქო, იყო კალისტენე ოლინთელი (370 — 327), არისტოტელეს დისწული და მისივე მოწაფე.

კალისტენეს დაუწერია „საბერძნეთის ისტორია“, რომელიც შეიცავდა 387 — 357 წლების ამბებს, და „ალექსანდრეს ისტორია“, რომელშიც ღიღის ხოტბით და საკვირველებათა ჩართვით იყო აღწერილი ალექსანდრეს ლაშქრობა ვიდრე 329 წლამდე. კალისტენე იმთავითვე მაკედონიური ორიენტაციის ბერძენი იყო; იაოკრატეს მსგავსად ისიც მაკედონელ მეფეებში ხედავდა საბერძნეთის ხსნას. ალექსანდრეს იგი უყურებდა არა როგორც მაკედონიის მეფეს, არამედ როგორც გაერთიანებული ბერძნების სარდალს. ამიტომაც მან თავის „ისტორიაში“ ალექსანდრეს ლაშქრობა აზიაში აღწერა როგორც პანელინური მოძრაობა.

ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე უფრო პოპულარული ისტორიკოსია არისტობულე (375 — 285). იგი თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდა ალექსანდრეს ლაშქრობაში, ხოლო არა როგორც სამხედრო პირი, არამედ როგორც ტექნიკოსი, ინჟინერი. მან დასწერა ალექსანდრეს „ისტორია“. არისტობულე „ისტორიის“ დაწერის დროს სარგებლობდა უკვე ამ დროს ალექსანდრეს შესახებ არსებული

მდიდარი ლიტერატურით (კლიტარქე, კალისტენე, ნეარქოსი, ონესიკრიტე, პტოლემეაიოსი) და კრიტიკულად ეპყრობა მათ. ამ წყაროებს ზედ ერთვოდა არისტობულეს საკუთარი მოგონებები. არისტობულეს „ისტორიაში“ განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული გეოგრაფიულსა და ენთოგრაფიულ მასალას.

მეორე საუკუნიდან საისტორიო მწერლობაში ფეხს იკიდებს „მსოფლიო ისტორიის“ ჟანრი. ელინისტური სამეფოების პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში ჩამოვარდნილი კრიზისი, ცალკეულ სამეფოებს შორის წარმოებული გაუთავებელი შუღლის გამო ამ სამეფოების დასუსტება, ხოლო, მეორე მხრით, დასავლეთით გაძლიერების გზაზე შემდგარა რომის გამოჩენა ჰქმნის ბერძნულს საზოგადოებაში დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობას, როგორც იყო IV საუკუნეში მაკედონიის ძლიერი სახელმწიფოს გამოჩენის დროს: ბერძნული საზოგადოების ერთ ნაწილს იმედებს აღუძრავს გაძლიერება ახალი ჭანსალი სახელმწიფოსი, რომისა, რომლის მიერ შექმნილ „მსოფლიოში“ ბერძნებს საპატიო ადგილი ექნებოდათ. ამ დროიდან მოკიდებული, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან დაწყებული ვიდრე რომის იმპერიის დაშლის პროცესის დაწყებამდე (ახ. წ. IV საუკუნეში), ბერძნები მიზნად ისახვენ ისეთი ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომები სწერონ, რომლებიც გაითვალისწინებენ ერთ დიდ მსოფლიოს, რომსა და რომის იმპერიას, ისტორიკოსები და გეოგრაფოსები პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი, სტრაბონი, დიონ კასიოსი, აპიანე და არიანე ამ მიზანს ემსახურებიან.

პოლიბიოსის მთავარი ნაშრომია „ისტორია“ 40 წიგნად. ეს არის „მსოფლიო ისტორია“ (და არა კერძობითი ისტორია); დამახასიათებელია თიორია ანაკილოსისა („ანაკილოსის“ — ირგვლივ ტრიალი კაცობრიობის ბედისა): მმართველობის ფორმები იცვლება. ერთ ფორმას ცვლის მეორე, და კვლავ ბრუნდება „ბუნების წესისდა მიხედვით“. ყოველი მარტივი სახელმწიფო წყობილება მერყევი და სუსტია. ის მალე გადაგვარების გზას ადგება და გადადის მეორე ფორმაში, რომელიც მისი მონათესავეა და რომელიც მას თან სდევდა. „როგორც რკინას თან სდევს ქანგი და ხეს ჭია როგორც მათი თანშეზრდილი წყლული, რომლისაგანაც ისინი იღუპებიან, ისე ყოველ სახელმწიფო წყობილებას ბუნებით თან დაყოლილი აქვს მისი მორღნელი წალული“ (VI, 10). ამის მიხედვით ისტორიკოსმა შეიძლება თითქოს შეიმუშავოს ისტორიული პროცესის კანონები და კიდევაც იწინასწარმეტყველოს მომავალიო.

პოლიბიოსის მნიშვნელობა, ვითარცა ისტორიკოსისა, უაღრესად დიდია. თუ წინა პერიოდებში ისტორიკოსები სწერდნენ ამა თუ იმ

ისტორიული ეპოქის კერძობით ისტორიას (ჰეროდოტემ, მაგალითად თავის „ისტორიაში“ ბერძენ-სპარსელთა ომი აგვიწერა, თუქიდიდემ — პელოპონესის ომის ისტორია), პოლიბიოსი არის პირველი, რომელმაც შექმნა „მ ს ო ფ ლ ი ო ის ტ ო რ ი ა“. პოლიბიოსის ისტორია, მართალია, არ იტაცებს მკითხველს თავისი მხატვრულობით და სტილით. მაგრამ ბევრს ასწავლის მას: თისი მსჯელობა ისტორიული მოვლენების განვითარებაზე საღია საფუძვლიანი და ზედმიწევნითი.

სტრაბონი (64 ძვ. წ. — 23 ახ. წ.) არის ავტორი ერთი ისტორიული და ერთი გეოგრაფიული შრომისა. თვითონ ის თავის თავს არც ისტორიკოსს ეძახის, არც გეოგრაფოსს, არამედ ფილოსოფოსს.

გეოგრაფიული თხზულება სტრაბონისა, სახელწოდებით „გეოგრაფიკა“, შედგება 17 წიგნისაგან: I — II წიგნებში სტრაბონი ეხება ფიზიკური გეოგრაფიის ზოგად საკითხებს; III — X წიგნებში აღწერილია ევროპის ქვეყნები; XI — XVI წიგნები მიძღვნილი აქვს აზიის ქვეყნებს; XVII წიგნი აფრიკის გეოგრაფიას შეიცავს.

სტრაბონი სარგებლობს როგორც თანამედროვე, ისე წინააღმდეგ ავტორთა თხზულებებით. რასაკვირველია, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოთავსებულ ცნობათა გამოსაყენებლად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნა, თუ რა დროისაა ის წყარო, საიდანაც მომდინარეობს ესა თუ ის ცნობა, რათა, მაგალითად, სტრაბონის დროინდელი მდგომარეობის ამსახველად არ მივიჩნიოთ ის მასალა, რომელიც ავტორს შეიძლება ამოღებული ჰქონდეს წინა საუკუნეების ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა შრომებიდან.

სტრაბონის „გეოგრაფია“ მიუხედავად მისი მშრალი თხრობისა და მხატვრულობას მოკლებული სტილისა, მდიდარია ცნობებით ევროპისა და აზიის ქვეყნებზე და ეს ცნობები ამოღებულია უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროებიდან, ზოგი უშუალოდ და ზოგიც სხვათა მეშვეობით. გარდა ამისა, სტრაბონის „გეოგრაფია“ სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიული შრომების ფარგლებს; მასში უხვად არის ისტორიული ექსკურსები: სტრაბონი ამა თუ იმ ქვეყნის აღწერის დროს დაწვრილებით ჩერდება ამ ქვეყნის ისტორიაზე, ფილოსოფიაზე. მეცნიერებაზე, რიტორიკასა და პოეზიაზე. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ, რომ „გეოგრაფიის“ XI წიგნში იბერიის აღწერის დროს<sup>1</sup> ის, გარდა გეოგრაფიული ცნობებისა, გვაწვდის მდიდარ მასალას იბერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცნობები შეძენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ხასიათის წყაროებიდან, რომელთაგან ზოგი სტრაბონის დროინდელია, ზოგიც უფრო ადრინდელი. უნდა ვივა-

<sup>1</sup> იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ო, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

რაუდოთ ისიც, რომ ბევრი ამ ცნობათაგანი ავტორის მიერ მოპოვებულა მის მიერ მოგზაურობის დროს.

პლუტარქეს (46 — 120 წწ.) ეკუთვნოდა მრავალი ნაწარმოები; ერთ-ერთ კატალოგში ჩამოთვლილია მისი 227 ნაშრომი, ჩვენამდე მოღწეულია 154. ყველა მისი თხზულება თავმოყრილია ორ კრებულში: ერთი წარმოადგენს „პარალელური ბიოგრაფიების“ კრებულს, ხოლო მეორეში თავმოყრილია მისი ფილოსოფიურ-მორალისტური თხზულებები და ეწოდება „მორალია“.

პლუტარქეს საისტორიო თხზულებას ეწოდება „პარალელური ბიოგრაფიები“, რადგან ავტორი სწერს ძველი მოღვაწეების ბიოგრაფიებს ისე, რომ თითოეული ბერძენი მოღვაწის გვერდით გადმოგვცემს მისი ტოლი რომაელი მოღვაწის ცხოვრებას, ხოლო ბოლოში ხშირად ერთმანეთს ადარებს, კიდევ ამ ორ მოღვაწეს (სულ 23 წყვილია). ასე, მაგალითად, წყვილ-წყვილად არის დაწერილი: სოლონი და პუბლიკოლა, ალკიბადაე და კორიოლანე, პერიკლე და ფაბიუს მაქსიმე და სხვ.

„პარალელურ ბიოგრაფიებში“ პლუტარქე, ვადმოგვცემს გამოჩენილ კაცთა ცხოვრებას, ხოლო უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ამ ცხოვრების წვრილმან ეპიზოდებს: ხშირად მოღვაწეთა საქმიანობის მთავარი ფაქტები გაკვრით არის მოხსენებული და, სამაგიეროდ, მოყვანილია უამრავი ანეგდოტური შემთხვევა, მოღვაწეთა ხუმრობა-ოხუნჯობა ან მოსწრებული სიტყვა. და ეს პლუტარქესთვის შემთხვევითი კი არ არის, არამედ გამომდინარეობს მისი თეორიული დებულებიდან, მისი ფილოსოფიური შეხედულებიდან. სახელდობრ: პლუტარქე განასხვავებს „ისტორიას“ და „ცხოვრებას“. ალექსანდრე მაკედონელისა და იულიოს კეისრის ბიოგრაფიათა დასაწყისში ის ამბობს: უმთავრეს ამბებსა და მოვლენებს მე მოკლედ მოგიხსრობთ, რადგან ჩვენ ისტორიას კი არა ვწერთ, არამედ ბიოგრაფიასო; ადამიანის ხასიათი უფრო ნათლად გამოვლინდება არა სახელოვან საქმეებში, არამედ წვრილმანებში, სიტყვებში და ხუმრობაშიო. მაშასადამე, პლუტარქეს აზრით, „ისტორია“ ვადმოგვცემს ხალხთა და პიროვნებათა საქმეებს, ხოლო „ცხოვრება“ — ადამიანის ხასიათს. ამიტომ ფაქტები, საქმეები, იმდენად არის ვადმოცემული „ცხოვრებაში“, რამდენადაც ისინი საჭირო არიან ამა თუ იმ მოღვაწის „დასახასიათებლად“, მისი ხასიათის გამოსამჟღავნებლად. აქედან ცხადია, რომ თუ რომელიმე ისტორიული ფაქტი არ სჭირდება ავტორს პიროვნების „დასახასიათებლად“, იგი ამას არც მოიხსენიებს. ანდა ვადმოგვცემს იმ სახით, როგორც ეს შეეფერება მისი გმირის საერთო ხასიათს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ პლუტარქე უფრო განწყობილია თავისი გმირი აქოს, ვიდრე ამაგოს; ამიტომ ის გმირის ხასიათის დადებით მხარეებს უფრო მეტი გულისყურით ეკიდება, ვიდრე უარყოფითს.

პლუტარქე ძალიან პოპულარული მწერალი იყო ძველ საუკუნეებშიც და ახალ ეპოქაშიც. ავტორის ოპტიმისტური შეხედულებები, მისი ჰუმანურობა და კეთილშობილება, დიდი ერუდიცია და სადა თხრობა, მიმზიდველ მხატვრულ სახეცთან დაკავშირებული, უქმნიდნენ მას ამ პოპულარობას. მრავალ მწერალს გამოუყენებია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ თავისი ნაწარმოებებისათვის. ასე, მაგალითად, შექსპირის „კორიოლანე“, „იულიოს კეისარი“, „ახილანუს და კლეოპატრა“ დაკერილია პლუტარქეს „ბიოგრაფიების“ მიხედვით.

პლუტარქეს იცნობდნენ, როგორც ჩანს, ქართველი ისტორიკოსები თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ასახელებს პლუტარქეს თხზულებას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. თამარ მეფეზე ისტორიკოსი ამბობს: „რომლისა შესხმაჲ ხამს ჰიშიროსისა მიერ. რაბამ იგი აღიდა სიტყუაჲ ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომმღვლელმან ისტორიათა მწერლობასა შინა ხელმჭიფეთა შემასხმელობისასა?“.!

არიანე. მეორე საუკუნის მრავალმხრივი მწერალი, მაგრამ უპირატესად გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, არის არიანე (95 — 175 წწ).

არიანე განსაკუთრებით ცნობილია თავისი ორი ნაშრომით: „მოგზაურობა პონტოს ზღვაზე“ და „ალექსანდრეს ანაბაზისი“.

„მოგზაურობა პონტოს ზღვაზე“, ანუ, როგორც მას შემოკლებით ვეძახით, „პერიპლუსი“ (Περιήγος Εὐξείνου Πόντου) დაწერილია დაახლოებით 131 წელს და წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს; არიანემ როგორც კაპადუციის მმართველმა, როგორც კი იგი შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას 131 წელს, მოიარა თავისი პროვინციის სანაპირო, ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე, და მოსწენებითი ბარათი გაუგზავნა იმპერატორს, რომელშიც აოუწერა თავის უფროსს სანაპიროზე მცხოვრები ხალხები. როგორც ჩანს, მას მმართველის კანცელარიაში უკვე დახვდა, ალბათ ოფიციალური მოხელეების მიერ შედგენილი, ამ სანაპიროს სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერა, მანძილების აღნიშვნით ქალაქებსა და მდინარეთა შესართავებს შორის და ეს აღწერა ჩაურთო თავის მოხსენებაში.

არიანეს „პირიპლუსი“ ძირითადი წყაროა დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ტოპოგრაფიის შესასწავლად.<sup>2</sup>

„ალექსანდრეს ანაბაზისი“ წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას დაწვრილებული მისი ლაშქრობით აზიაში და გათავებული ალექსანდრეს გარდაცვალებით; იგი შედგება შვიდი

<sup>1</sup> იხ. პლუტარქე აკ. ურუშაძის თარგმანი. თბ. 1955.

<sup>2</sup> იხ. ნათ. კეკელიძე, ფლავიუს არიანე; თბ. 1961.



წიგნისაგან და ითვლება ალექსანდრეს მოღვაწეობის საუკეთესო აღწერად. არიანესთვის, რასაკვირველია, ცნობილია ფანტასტიკური ეპიზოდები ალექსანდრეს რომანისა, მაგრამ იგი, როგორც საღად მოაზროვნე სამხედრო პირი და გამოცდილი სახელმწიფო მმართველი, ახერხებს ნამდვილის გამორჩევას ზღაპრულისაგან, ისტორიულად მომხდარი ამბისა — ფანტასტიკურისაგან

არიანეს „ალექსანდრეს ანაბაზისი“ სამართლიანად ითვლება ძვირფას წყაროდ: მართალია, ის ზოგჯერ მიკერძოებით მსჯელობს ალექსანდრეზე, მაგრამ, რამდენადაც მან შემოგვიჩინა პტოლემეაიოსისა და არისტობულეს ჩვენამდე მოუღწეველ თხზულებათა ნაწყვეტები, ამდენად იგი ალექსანდრეს ისტორიის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

კასიოს დიონს (155 — 235 წწ.) ეკუთვნის „რომის ისტორია“. რომელიც 80 წიგნად იყო დაწერილი და ძეიცავდა რომაელთა ისტორიის ლეგენდარული ეპოქიდან (ენეასის დროიდან) ვიდრე 229 წლამდე. ჩვენამდე მოღწეულია მთლიანად მხოლოდ 36 — 60 წიგნები, დანარჩენი წიგნების ნაწყვეტები და შემოკლებული მიმოხილვები (ეპიტომები) შემონახულია ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებში.

ფასდაუღებელ წყაროს მეორე საუკუნის ისტორიის შესასწავლად წარმოადგენენ გეოგრაფოსები: პტოლემეაიოსი და პავსანია.

პტოლემეაიოსი დაიბადა ქ. პტოლემეაიდში (ეგვიპტეში), ხოლო ცხოვრობდა ალექსანდრიაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ეხება ასტრონომიასა და გეოგრაფიას; ამ დარგებში კვლევა-ძიება მან დააწყა რა მეცნიერულ საფუძვლებზე, რომლებიც შემდეგ, საშუალო საუკუნეებში, დამკვიდრდა პტოლემეაიოსის წყალობით და ძალაში იყო თვით XVI საუკუნემდე (კერძოდ, ასტრონომიაში კოპერნიკის დრომდე).

გეოგრაფიულ მეცნიერებაში კლ. პტოლემეაიოსმა შემოიღო კოორდინატების (განედისა და გრძედის) დადგენა გეოგრაფიული პუნქტებისათვის (მდინარეებისა, ტბებისა, მთებისა და დასახლებული ადგილებისათვის). სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ასტრონომიული ცნობები გეოგრაფიული კოორდინატების დასადგენად მოიპოვებოდა მხოლოდ რომისათვის, ალექსანდრიისათვის და ზოგიერთი სხვა დიდი ქალაქებისათვის. პტოლემეაიოსმა დანარჩენი პუნქტებისათვის კოორდინატების დასადგენად გამოიყენა მოგზაურობათა აღწერაში და იტიწერარებებში, ისევე როგორც მოხელეთა ოფიციალურ მოხსენებებში მოყვანილი ცნობები მანძილის შესახებ სხვადასხვა პუნქტებს შორას. ასე დადგენილი კოორდინატების მიხედვით გადაიტანა პტოლემეაიოსმა გეოგრაფიული პუნქტები გრადუსიან ბადეზე და შეადგინა ტაბულები. მიუხედავად მრავალი შეცდომისა, რომლებიც დაუშვა პტოლემეაიოსმა, მის ნაშრომს საშუალო საუკუნეებში დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოჰქონდა.

პტოლემეოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ რვა წიგნისაგან შედგება, რომელთა სამი-მეოთხედი ტაბულებს შეიცავს. ტაბულა-რუკების გარდა არის ცნობები ცალკეულ მხარეთა საზღვრების შესახებ და მოსახლეობის შემადგენლობაზე.

კერძოდ, „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ V წიგნში (თავეები IX — XI) მოიპოვება უაღრესად ძვირფასი მასალა კოლხიდის, იბერიისა და ალბანიის ისტორიული გეოგრაფიისათვის.<sup>1</sup>

სულ სხვა ხასიათისაა პავსანიას (II საუკ. ახ. წ.) „საბერძნეთის აღწერილობა“: იგი წმინდა გეოგრაფიულ მიმოხილვას კი არ წარმოადგენს, არამედ საბერძნეთში მოგზაურობის აღწერას და ამ მოგზაურობის დროს ნახული ძეგლების დაწვრილებით დახასიათებას. რასაკვირველია, ავტორი ყოველ ცალკეულ პუნქტში მოსვლიას გვაწვდის ცნობებს ამ პუნქტის მდებარეობაზე, ამ ქვეყნის ისტორიაზე, მის ვმირებზე, მის პოეზიაზე, და ამდენად, ცხადია, ასეთი აღწერილობა ისტორიულ-გეოგრაფიულა ნაშრომის ხასიათსაც ღებულობს, მაგრამ ავტორისათვის მთავარია მაინც ხელოვნების ძეგლების აღწერა. ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ პავსანია მხოლოდ სამხრეთსა და შუა საბერძნეთს აგვიწერს, ხოლო დასავლეთსა და ჩრდილო საბერძნეთს, სადაც მოგზაურთათვის საინტერესო ხელოვნების ძეგლები მცირეოდენი მოიპოვებოდა, „აღწერილობის“ გარეშე სტოვებს.

ზემთ განხილულ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა გარდა ელინისტურ პერიოდში იყვნენ კიდევ სხვებიც, რომელნიც ეპოქის შესაბამისად სწერდნენ „მსოფლიო ისტორიებსა“ და „მსოფლიო გეოგრაფიებს“. უმეტესი მათგანი ჩვენამდე მოღწეული არაა, ხოლო ზოგიერთის ნაშრომები გათვალისწინებული აქვთ მერმინდელ ისტორიკოსებს.

§ 122. რიტორიკული პროზა. რიტორიკული პროზის განვითარება ელინისტურ პერიოდში სულ სხვა გზით წარიმართა, ვიდრე ელინურ პერიოდში. V — IV საუკუნეებში ბერძნული რიტორიკის განვითარებას ხელი შეუწყვეს პოლისურმა წყობილებამ, საზოგადოდ, და, განსაკუთრებით, ათენის დემოკრატიულმა სისტემამ. პოლისური წყობილების პირობები მოქალაქეებს ფართოდ უღებდნენ ქარებს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში (სახალხო კრება, საბჭო და სხვ.), ხოლო ბერძნულ სახელმწიფოებში არსებული სასამართლოს წესები ავალებდნენ მოქალაქეებს თვითონ ეწარმოებინათ თავიანთი საქმეები სასამართლოში. ამიტომ ყველა მოქალაქეს უნდა ეზრუნა იმაზე, რომ დაუფლებოდა მქვერმეტყველების წესებს.

<sup>1</sup> იხ. ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეოსი: მასალები საქ. ისტორიისათვის, ნაკვ. 32.

ელინისტურ პერიოდში საბერძნეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და პოლისური წყობილების დაშლამ მოსპეს როგორც პირველი, ისე მეორე პირობა: 1. ელინისტურ მონარქიებში ძველ პოლისურ დაწესებულებებს წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი მნიშვნელობა: სახალხო კრებები და საბჭოები მხოლოდ ნომინალურად არსებობდნენ, ასე რომ ორატორებს არავითარი ასპარეზი არ ჰქონდათ თავიანთი მოღვაწეობის გასაშლელად; 2. სასამართლო საქმეების წარმოების წესიც შეიცვალა: მოქალაქეს შეეძლო დაქირავებული ვეჭილის საშუალებით წარემართა თავისი საქმე, ხოლო აქაც ვეჭილის მოღვაწეობის ასპარეზი ძალზე შეკვეცილი იყო.

იყო დარჩენილი მხოლოდ ორი წყარო რიტორიკისა: 1. ელინისტური სამეფოების მონარქები იყენებდნენ მკვერმეტყველ ორატორებს ელჩებად უცხო ქვეყნებში. უპირატესად რომში; 2. რიტორიკის სამი დარგიდან (სათათბირო — პოლიტიკური, სამოსამართლო და საზეიმო) სარბიელი დარჩა კიდევ მხოლოდ მესამეს — საზეიმო რიტორიკას, რომელიც გამოყენებული იყო მეფე-მონარქის სადიდებლად. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ორატორებს მოკლებული ჰქონდათ საშუალება ფართოდ გაეშალათ თავისი ნიჭი, რადგან წარმოსათქმელი სიტყვის შინაარსი წინდაწინვე იყო სხვების მიერ (და არა თვით ორატორის მიერ) განსაზღვრული. ასეთ პირობებში ორატორებს მთავარი ყურადღება უნდა მიექციათ სიტყვის ფორმისათვის, რათა ამით მაინც მოეხდინათ სათანადო ეფექტი.

სიტყვის ფორმა გულისხმობდა ორ მხარეს: რიტორიკულ ხერხებს და ენის სტილს. V — IV საუკუნეების შემდეგ ბერძულმა ენამ, რასაკვირველია, შეიცვალა თავისი სახე. ელინური პერიოდის ორატორების გორგია ლეონტინელის, ლისიას, ისოკრატეს და დემოსთენეს — შემდეგ, როდესაც პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრები გადაინაცვლა მცირე აზიაში, სირია-პალესტინაში და ეგვიპტეში, აღმოსავლური ელემენტები მძლავრად შეიჭრა ენასა და სტილშიც. რიტორიკაში შეიქმნა მიმართულება, რომელიც აზიანაზმიის სახელით არის ცნობილი და რომელიც გამოხატავდა ძველი ბერძული რიტორიკის ხერხებში აღმოსავლური ელემენტების შერწყმას. ამ ახალ მიმართულებას დაუპირისპირდა ატიციისტიკური სკოლა, რომელიც იცავდა ელინური პერიოდის რიტორიკულ ხერხებს და მაშინდელ ორატორთა სტილს.

ბურჟუაზიული ფილოლოგოსები ახასიათებენ აზიანაზმს, როგორც რიტორიკული ხელოვნების დეგრადაციას; ისინი სთვლიან, რომ აზიანისტებმა „უგულბელყვეს“ რიტორული ხელოვნების მტკიცე კანონები და წინანდელი კანონზომიერება უწყსრიგო თვითნებობით შესცვალეს; რიტორული ხელოვნება მათ მოსწყვიტეს იმ ნიადაგს, რო-

მელზედაც იგი აღმოცენდა დიად წარსულში, მოსწყვიტეს იგი „სა-  
ყოველთაო განათლებას“ და ფილოსოფიას. ამიტომ აზიანისტები  
იყვნენ რიტორთა შორის „გაუნათლებელნი“, ხოლო მათი ხელობა  
იყო „უხელოვნო“ და „უფილოსოფიო რიტორიკა“. ელინისტური კულ-  
ტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ასეთი შემფასებელი,  
ბუნებრაღია, იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ ამ „გაუნათლებელმა“  
რიტორებმა „მოიტანეს ის, რასაც საჭიროებდა გადაგვარებული ბერ-  
ძენი ხალხი“. ჩვენთვის ნათელია ამგვარი მსჯელობის რეაქციული  
ხასიათი. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა სრულებით არ გაუწიო ან-  
გარიში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს და ის  
თვისებები, რომლებიც ახასიათებს აღმოსავლეთში გააჟღერა და გა-  
აღმოსავლურებულ ბერძნულს (ელინისტურ) კულტურას, გამოაცხადო  
ბერძენთა გადაგვარების შედეგად. ჩვენთვის ნათელია, რომ აზიანის-  
ტების მიერ უგულებელყოფა ძველი რიტორიკული ხელოვნების  
კანონებისა იყო შედეგი ელინისტური ეპოქისათვის უფრო შესაფერისი  
ახალი რიტორიკული ხერხების დამკვიდრებისა.

აზიანიზმმა ორგვარი სტილი შემოიტანა: 1. სტილი მოკლე და რით-  
მიანი წინადადებებისა და 2. მაღალფარდოვანი პათეტიკური სტილი.

აზიანიზმს უპირისპირდება ატიციზმი, რომლის წარმომადგენლები  
ილაშქრებენ ძველი რიტორიკის კანონების დარღვევის წინააღმდეგ.  
ატიციტური მოიხაობა იწყება 200 წლის (ძვ. წ.) ძახლობელ ხანებში,  
იმარჯვებს მოწინააღმდეგეებზე და ამკვიდრებს რიტორიკაში ატიკური  
მკვერმეტყველების სტილს, ისიც არა ისოკრატეს და დემოსთენეს  
სკოლისას, არამედ უფრო ადრინდელი, თუკიდრიდეს და ლი-  
სიას სკოლის კლასიკურ სტილს. ამ მიმდინარეობის ლოზუნგია  
„ძველის მიბაძვა“. მაგრამ, რასაკვირველია, აზიანიზმის მძლავრ  
ტალღას არ შეეძლო უკვალოდ გადაევიღო და თვით მთავარი წარმო-  
მადგენლები ატიციტური მიმართულებისა ვერ ასცდნენ აზიანიზ-  
მის გავლენას.

რიტორიკა სკოლაში. ელინისტურ პერიოდში, როგორც ვთქვით,  
რიტორიკის ასპარეზი პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში  
მეტად შეზღუდული იყო. მის მთავარ სამოქმედო სარბიელს წარმოად-  
გენდა სკოლა, სადაც იგი გადაიქცა ძირითად სასკოლო დისციპლინად:  
მოწაფეებს ავარჯიშებდნენ სიტყვების შედგენაში და აწერანებდნენ,  
მაგალითად, რომელიმე მხატვრული ნაწარმოების გმირის მიერ წარმო-  
სათქმელ სიტყვას: აგრეთვე ათხზვევინებდნენ სიტყვას გარკვეული  
სასარჩლო შემთხვევისათვის. ამ ვარჯიშობის დროს მოწაფეებს უნერ-  
გავდნენ რიტორიკული ხერხების მომარჯვების ჩვევას, რასაკვირველია,  
იმ თეორიულ შეხედულებათა მიხედვით, რომელთაც იზიარებდა ესა  
თუ ის რიტორიკული სკოლა: აზიანური თუ ატიციტური. ასეთ პირო-

ბებში რიტორიკა გასცილდა თავის ვიწრო „მკვერპეტყველურ“ ფარგლებს და, გრამატიკასთან ერთად, გადაიქცა ისეთ დისციპლინად, რომელიც მოწაფეებს საკუთრივ რიტორიკის გარდა ლიტერატურის ისტორიასაც ასწავლიდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ელინისტური რიტორიკა სკოლის გარეთაც გავიდა. ახალი იდეოლოგიის, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ის, მიმდევრებმა ბერძნული რიტორიკული ხერხები მოიმარჯვეს თავიანთი „ქადაგებების“ დროს და ქრისტიანული იდეების გავრცელების მიზნით შექმნეს თავისებური, მაგრამ ელინისტური რიტორიკის მიერ შემუშავებულ მხატვრულ ხერხებზე აგებული მკვერპეტყველება.

მეორე მხრით, აქამდე სკოლაში დაბუდებულმა რიტორიკამ გამოყენება ჰპოვა ახალ მხატვრულ ენაში — რ ო მ ა ნ შ ი.

§ 123. ბელეტრისტიკული პროზა და მისი სახეობანი. ელინურ პერიოდში ბელეტრისტიკული პროზის მხოლოდ ჩანასახი გვქონდა: იქ იყო წარმოდგენილი ი გ ა ვ ე ბ ი და ნ ო ვ ე ლ ე ბ ი, ხოლო არა როგორც ლიტერატურული ენარები, არამედ როგორც ხალხში გავრცელებული პოპულარული არაკები და მოთხრობები. ელინისტურ პერიოდში კი ისინი მყარი მხატვრული კომპოზიციის მქონე ლიტერატურულ ენარებად იქცევიან. ეს ო პ ე ს მიერ პროზით შეთხზულ იგავებს ბ ა ბ რ ი ო ს მ ა (II საუკ. ახ. წ.), გაბერძნებულმა რომაელმა, მაღალი ტექნიკის პოეტური ფორმა მისცა და ისინი დახვეწილი კოქლი იამბით გამართა. უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო ნოველამ, რომელიც ისეთ ფართო მხატვრულ თხრობით პროზად გაიზარდა, რომ I — III საუკუნეებში მთლად დაჩრდილა პოეზია. ეს მხატვრული პროზა ამ პერიოდში წარმოდგენილია, ერთი მხრით, სატრფიალო ნოველებით და სათავგადასავლო რომანებით, ხოლო, მეორე მხრით, სატირით. თხრობითმა პროზამ თავისი განვითარების გზაზე ისტორიული მასალაც გამოიყენა და შექმნა ის ტ ო რ ი უ ლ ი ბ ე ლ ე ტ რ ის ტ ი კ ა ც (ნოველები და რომანები ისტორიულ პირებზე, მითოლოგიური ქრონიკა).

ელინისტურ ეპოქაში გრძელდებოდა იმავე ენარების ფარგლებში მუშაობა, რომლებიც ელინურმა ეპოქამ უანდერძა ელინისტურ ეპოქას: ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა — საისტორიო და საფილოსოფიო. მაგრამ იყო ერთი დარგი მწერლობისა, რომელიც ელინისტური ეპოქის შექმნილია, იგი ელინურ ეპოქას არ მოეპოვებოდა. ეს არის რომანი.

ელინისტური რომანის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს სა ტ რ ფ ი ა ლ ო ნ ო ვ ე ლ ა, რომელიც ელინისტურ პერიოდში გარდაიქცა დამოუკიდებელ ლიტერატურულ ენარად. იმ დროს, როდესაც წინათ ის სხვათა შორის იყო ჩაქსოვილი ისტორიულ თხზულებებში. ამგვარი სატრფიალო ნოველის განვითარებას, პირველ რიგში, ხელი შეუწო

ელინისტური პერიოდის პოეზიისათვის დამახასიათებელმა ეროტიკულმა მოტივმა:

ჩვენთვის უცნობი არიან ამ სატრაფილო ნოველების ავტორები, თვით ნოველები კი შემონახული აქვთ მერმინდელ მწერლებს. საგულისხმოა, მაგალითად, პლუტარქეს და ლუკიანეს მიერ გადმოცემული მოთხრობა „ანტიოქოსისა და სტრატონიკეს ტრაფობაზე“.

მეფე სელევკოსის შვილს, ანტიოქოსს, შეუყვარდა თავისი დედინაცვალი სტრატონიკე. ანტიოქოსი კეთილშობილი ჰაბუკი იყო და თავის გრძნობას გულში იმარხავდა, არ ამჟღავნებდა; დაფარული ცეცხლისაგან იწვოდა ანტიოქოსი, გახდა, ჩამოხმა და ლოგინად ჩაეარდა. ვერც ერთმა ექიმმა ვერ გაიგო მისი ავადმყოფობის მიზეზი. ბოლოს, სასახლის მთავარმა ექიმმა ერასისტრატემ გამოიყენა საიდუმლოება. იგი მიუხედა ჰაბუკის გულის წუხილს და რომ შეეტყო, თუ რომელი ქალი იყო მიზეზი ანტიოქოსის სიმშვიდის დარღვევისა, ავადმყოფის ოთახში შეუშვა სასახლის კარზე მყოფი ყველა ლამაზი ქალი რიგ-რიგად, თვითონ კი ავადმყოფს გვერდით უჭდა და თვალურს ადევნებდა მის მაჩისტემას. როდესაც ოთახში შევიდა სტრატონიკე, გულისცემამ გასცა ანტიოქოსის საიდუმლოება. ექიმმა მოახსენა მეფეს. შენ შვილს ერთი ქმრიანი ქალი უყვარს უიმედოდ და იმით არის გამოწვეული მისი დაავადებაო, ეს ქალი ჩემი ცოლიაო. სელევკოსი შეევედრა ექიმს, დაუთმო მას შენი ცოლი, რადგან ჰყვარებიაო, და ამით გადამირჩინე შვილი სიკვდილსო. „შენ რომ ამგვარსავე მდგომარეობაში ყოფილიყავი, განა გაიღებდი ასეთ მსხვერპლს? — შეეკითხა ექიმი. მეფემ, რომელსაც ძალიან აწუხებდა თავისი შვილის ბედი, დაუფიქრებლად უპასუხა: რასაკვირველია, გავიღებდიო. მაშინ ერასისტრატემ აღხსნა მას საქმის ნამდვილი ვითარება და დიდსულრევანმა სელევკოსმა დაუთმო თავის შვილს სტრატონიკე და სამეფოც.“

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეგვიპტეში აღმოჩენილმა პაპირუსებმა მოგვცეს როგორც ახალი, მანამდე უცნობი ნოველების ნაწყვეტები; ისე ძველი, უკვე ცნობილი ნოველებისა.

ამგვარი ნოველების განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ის ქანრი, რომელსაც ჩვენ რომანს ვუწოდებთ; თვით ბერძნები კი მას უწოდებდნენ: *ბეჰაჰ ან ბეჰაჰაჰაჰ*, იგულისხმება *ბე. ბეჰეჰაჰ, ე. ი. „დრამატული მოთხრობა“*.

ელინისტური რომანი გვხვდება I — III საუკუნეების მანძილზე. ამ საუკუნეების რომანებს აქვთ ასეთი სიუჟეტური სქემა:

1. ვაჟი და ქალი იშვიათი სილამაზისანი არიან;
2. ისინი შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს და მაშინვე აღინთებიან სიყვარულის ცეცხლით;
3. ვიდრე ისინი თავიანთ საწადელს შეისრულებენ, უამრავი დაბრკოლება ეღობებათ გზაზე: ფირალების თავდასხმა, მიჯნურების მოტაცება, ქარიშხალი ზღვაზე და ხომალდის დამსხვრევა.
4. უბედურებათა მიზეზია ქალ-ვაჟის სილამაზე და ბედი („ტვხე“);

5. სიკვდილის აჩრდილი მუდამ უკან სდევს ქალ-ვაჟს, ხშირად ისინი კვდებიან კიდევაც, მაგრამ ეს მოჩვენებითი სიკვდილია; ბედი იხსნის მათ სიკვდილისაგან.

6. მრავალი პერიპეტეის შემდეგ ქალ-ვაჟი სამშვიდობოს გამოდის; ისინი აღწევენ თავიანთ საწადელს, შეუღლებიან და სიამოვნებითა და წეტარებით ამთავრებენ ცხოვრების გზას.

ასეთი ნიშნებით ხასიათდება ელინისტური რომანი, რომლის მსგავსი ელინურ ეპოქას არ მოეპოვებოდა.

ელინისტური რომანის ავტორთაგან ჩვენთვის ცნობილი არიან თავისი რომანებით: ლონგე, ჰელიოდორე, ქსენოფონტი, ქარიტონი და აქილევს ტატიოსი. ე. რ. ო. დ. ე. ათარიღებდა ამ რომანისტებს II — VI საუკუნეებით. ამგვარი დათარიღება a priori უკარგავდა ამ რომანებს ყოველგვარ რეალურ დასაყრდენს ელინისტური საზოგადოების ცხოვრებაში. თუ ეს რომანები ელინისტურია, მაშინ ისინი უნდა მოთავსებულიყვნენ I — III საუკუნეებში, ვინაიდან VI საუკუნეში, ფეოდალური საზოგადოების ფორმირების ხანაში, არავითარი საბუთი არა გვაქვს ეს რომანები ვიგულვით. მართლაც, უახლესმა პაპიროლოგიურმა აღმოჩენებმა საგრძნობლად შესცვალეს ე. როდეს მიერ დადებული ზოგიერთი თარიღი. მაგალითად, ქარიტონ აფროდისიელი რომანი „ქერესი და კალიროე“ ე. როდეთი მიეკუთვნებოდა V — VI საუკუნეებს. 1900 წელს გამოქვეყნებული ფაიუმის პაპირუსი კი, რომელიც შეიცავს ამ რომანის ნაწყვეტს, სპეციალისტ-პაპიროლოგების დასკვნით თარიღდება II საუკუნის მეორე ნახევრით ან III საუკუნის დასაწყისით.

§ 124. ლონგე. „დაფნისი და ქლოე“. ჩვენამდე მოღწეულ რომანთა შორის საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ „დაფნისი და ქლოე“. მისი ავტორი, ლონგე, წარმოშობით ლესბოსელია, ცხოვრობდა I ან II საუკუნეში (უფრო ზედმიწევნით არ ვიცით). „დაფნისი და ქლოე“ ბუკოლიკური რომანია, რომელშიც მოთხრობილია მწყემსებს შორის აღზრდილი ორი ბავშვის თავგადასავალი.

პოეტი ნიმფების ქალაში ნადირობს, კუნთულ ლესბოსზე. იქ ის წააწყდება ერთ საკვირველ სურათს, რომელზედაც გამოხატული: ერთიკული სცენები. ამ სურათის შინაარსს გადმოგვცემს რომანი.

მიტილენში (ლესბოსზე) თხის მწყემსმა ლამონმა რომელიც დაკარგულ თხას ეძებდა, იპოვა ეს თხა შამბნარში, სადაც ის (თხა) ერთ პატარა ბიჭს ძეძულს აწოვებდა. მწყემსმა შინ წამოიყვანა ბავშვი და აღზარდა (ბავშვთან ერთად წამოიღო ძვირფასი წვრილი ნივთები, რომლებიც ბავშვის დამკვდებ დაეტოვებინათ) — ეს არის დაფნისი.

ორი წლის შემდეგ მეორე მწყემსმა, ცხვრის მწყემსმა, ღრიასმა მეზობელ სოფელში, ნიმფების გამოქვაბულში, იპოვა პატარა გოგო, რომელსაც ცხვარი აწო-

კვება ძუძუს ისიც შინ წამოიყვანს ბავშვს აღსაზრდელად და იმ წერილ ნივთებსაც წამოიღებს, რომლებიც ბავშვისათვის გამოუყოლებიათ. — ეს არის ქლოე.

ბიჭი რომ თხუთმეტი წლისა იყო და გოგო ცამეტი წლისა, ისინი მათმა მამობი-  
ლებმა საბალახოზე გავზავნეს თხებისა და ცხვრების საძოვებლად. აქ შეხვდნენ  
ერთმანეთს ისინი, საერთო საქმემ, ერთად თამაშმა დაახლოვა ბავშვები. ერთხელ  
დაინ-სი ორმოში (სამგლე ორმოში) ჩავარდა. ქლოემ გადაარჩინა ის მწყემს დორკოს  
დახმარებით. როდესაც ქლოე ორმოში დასვრილ დაფნისს წყაროზე ჰბანდა, მამის  
იგონო პირველად მისადმი რაღაც მწვავე გრძობა, რომლის სახელა არ ცოდა.

დორკოს შეუყვარდა ქლოე. ერთხელ დაფნისმა და დორკომ სანამლეო დას-  
დეს — ქლოეს კოცნას ვინ მოახერხებსო, და დაფნისმა აწობა. ამ კოცნის დროს  
დაფნისმა იგონო რაღაც, მისთვის უცნაობი. დორკოს უყვარს ქლოე და მის მამობილს  
დრიასს სთხოვს მას ცოლად, მაგრამ დრიასი უარით ისტუმრებს. ერთსაღამოს ქლოე  
მგლის ქურქში გახვეულმასცადა თავს დასცემოდა ქლოეს, წყალზე რომ ჰყავდა  
ფარა; ქოფაკებმა კინაღა დაგლიჯეს; ქლოემ და დაფნისმა ძლიეს გადაარჩინეს იგი.

დაფნისისა და ქლოეს სიყვარული ღრმავდება.

ერთხელ ზღვის ნაპირს მოადგნენ ტვიროსელი მეკობრენი. აქ, საბალახოზე, დაფ-  
ნისი მწყემსავდა. მეკობრეებმა დაფნისი გაიტაცეს თავიანთ ხოშალზე, ხოლო  
დორკომ სასტიკი ბრძოლა გაუმართა მათ. ქლოემ მის საშველად მიიბრძინა; ვერაფერი  
უშველა; დორკო ცემისაგან მოკვდა, მაგრამ ის კი მოასწრო დორკომ, რომ ქლოეს  
გადასცა სირინქსი. ქლოემ სირინქსს ჩაბერა და მის ხმაზე დორკოს ფარა, რომელიც  
მეკობრეებს ჰყავდათ გატაცებული თავიანთ ხომალდზე, ერთბაშად გადმოეშვა ხო-  
შალდიდან, რომ ნაპირისაკენ გაეცურა. ისეთი სიძლიერით გადმოეშვა ფარა, რომ  
ხომალდი დაიყარა და მეკობრენი წყალში დაიხრჩუნენ, დაფნისი კი გადაარჩინა.  
დაფნისმა და ქლოემ საერთო ძალღონით მიწას მიაბარეს ცემისაგან მოკლული კეთი-  
ლი დორკო.

მეორე წიგნი. შემოდგომაა. რთველში გლეხებს შველიან დაფნისი და  
ქლოე. მალე ისინი თავიანთ საძოვრებს უბრუნდებიან. ისინი ერთმანეთს ქვეცნო-  
ბერად ეტრფიან. მათ ტრფობას ცოტათი შველის მწყემსი ფილეტასი. ის  
უამბობს — ამ დღით ბაღში შემხვდა ერთი, ფრთოსანი ღმრთისწული და მეღაპა-  
რაკა დაფნისა და ქლოეზე, როგორც თავის რჩეულებზეო. ფილეტასის სიტყვებით  
წაქეზებულნი, ისინი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან. ამ დროს მოხდება შემდეგი  
ამბავი: მდიდარი მეთომნელი ახალგაზრდები მოსკურადნენ ლესბოსის სანა-  
პირით. აქ, სანაპიროზე მათ ნადირობა დაიწყეს. სანამ ისინი ნადირობდნენ, დაფ-  
ნისის ერთმა თხამ გადაღრღნა საბელი, რომლითაც მიბმული იყო მეთომნელების  
ხომალდი. ხომალდი მოსწყდა ნაპირს და ტალღებში შთანთქა. განარისებული  
მეთომნელები მივირდნენ დაფნისს. დაფნისს გამოეხარა ზღვით ლამონი, დრიასი და  
მათი ამხანაგები. ფილეტასის ხელმძღვანელობით გაიმართა სასამართლო. მეთომნე-  
ლები არ დაემორჩილნენ ფილეტასის განაჩენს და ისინი მიტილენელებმა გააყვეს.  
შინ. მეთომნეში, იმათ ისე უამბეს საქმის ვითარება, თითქოს მიტილენელებს ძალა  
ეხმარათ. მეთომნელების სარდალი ათი ხომალდით გაემართა მიტილენის წინააღ-  
მდეგ და დაარბია ის. ქლოეც გაიტაცეს მტრებმა.

სასწრაფეთილებაში ჩაარდნილი დაფნისი სიზმარში გააშხნევებს ნიმფებმა.  
მათი თხოვნით ჰანმა შაშის ზარი დასცა მეთომნელებს და მათ უკან დაუბრუნე.  
მიტილენელებს ფარაც და ქლოეც. მწყემსები ზეიმობენ. დაფნისი და ქლოე ერთ-  
მანო ეტრფებიან საშუალო ერთკულებას.

მესამე წიგნი. ზამთარია. ყველანი თავიანთ ქოხებში არიან ჩამწყვდეულნი.



დაფინის უნდა თავისი სატრფო ნახოს. ის მიდის დრიაისი კარმიდამოსთან და კაკა-ნათით იჭერა დაფინის რტოებში დაბუღებულ ჩიტებს (ალბათ ფიქრობს, რომ ხმაურობაზე ენმე გამოვა). ამ დროს ეზოდან გამოდის დრიაისი, რომელიც ძალს მოსდევს, და რომ დაინახავს დაფინის, შეიპატრეებს მას სახლში. ივასშებენ; დაფინის ღამით იქ დარჩენს; მეორე დღით ქლოე შეხვდება მას დერეფანში და ისინი კვლავ ეფიციებიან ერთმანეთს სიყვარულს.

კვლავ გაზაფხულია. შეუვარებულები მინდორში თამაშობენ. ერთი ცელქი მეზობლის გოგო, ლოკაიონი, ასწავლის დაფინს ეროსის ლალ გასართობს. ქლოე მიმართ კი დაფინისი კვლავინდებურად ნაზი და უძმიეკვლია.

ამასობაში მრავალი ახალგაზრდა ქლოეს შერთვისათვის შეამდგომლობს. მის შშობლებს მართლაც უნდათ მისი გათხოვება.

დაფინის უნდა ითხოვოს ქლოე, მაგრამ ის ღარიბია და ამიტომ ფიქრობს, რომ ქლოეს მამა უარს ეტყვის ქალის მითხოვებაზე. სასომიხილ დაფინის ნიშნები სიზმარში გამოუცხადებენ, რომ მან ზღვის ნაპირას დაქენოს ფულით სავსე ქისა. მართლაც, მეორე დღეა დაფინის იპოვის ქისას, რომელიც მეთიმნელებს გადმოუგდიათ; ქისაში 3000 დრაქმაა. ის მაშინვე მიუბრუნინებს ამ ფულს დრიაისს, რომელიც შეპირდება მას ქლოეს მოგათხოვებო. დრიაისი შეუთანხმდება დაფინის მამასაც, ლამონს (ამან არაფერი იცის 3000 დრაქმის შესახებ). დაფინის სიხარულით ცას სწევდება. იგი მიიჩქარის ქლოესთან, რომ აუწყოს მას ეს საიხარულო ამბავი: საჩუქრად მიაქვს თაფლივით ტკბილი ვაშლი, რომელიც მან მოსწყვიტა ხის კენჭეროზე.

მეოთხე წიგნი. ზაფხულის მიწურულია. მწყემსები მოვლიან ბატონის ჩამოსვლას: მათი ბატონია მდიდარი მიტილენელი დიონისოფანე. მის ჩამოსვლას გულის ფექცალთ ელოდებიან, რადგან მან უნდა დართოს ნება დაფინისა და ქლოეს ქორწინებაზე. ლამონი, მისი ცოლი და შვილი გულმოდგინედ ასუფთავებენ კარმიდამოს, უვლიან ბაღს და ვენახს, რომ ყველაფერი რიგზე დაახვედრონ ბატონს. მაგრამ ერთმა მეზობელმა მწყემსმა, ლამონსმა, რომელსაც ქლოე უნდადა ცოლად შერთო და უარი მიიღო, ღამით გადათელა ბაღში ყვეალები და დაამტვრია ვაზის შტოები. თავზარდაცემული არაან ლამონი და მისი კოლ-შვილი: ზოჯორ უნდა გადაურჩინენ ბატონის რისხვას!

წინდწინ ჩამოვა სოფელში ბატონის ვაჟი, ასტილოსი, თავისი ამხანაგებით. მას შეევედრებიან შეშინებული ლამონი და დაფინის იხსნას ბატონის რისხვისაგან. ისიც დაპირდება: მე დავიბრალებ ამას, ვეტყვი, რომ ჩემმა ცხენებმა გადაქვლეს ბალი და ვაზი დაამტვრისო. მალე ჩამოვლენ დიონისოფანე და მისი მეუღლე ქლოეარისტა.

ასტილოსის ერთი მეგობარი, პარაზიტი გნათონი, ნაწყენია დაფინისზე, რომელიც მან უზნეო სურვილი არ უტრულა, და სთხოვს ასტილოსს ეს დაფინია მონად მარტქეთო; ისიც მამისაგან გამოითხოვს დაფინის თავის საკუთრებად, რომ იგი ქალაქში წაიყვანოს. ლამონი, სასოწარკვეთილი იმით, რომ საყვარელ დაფინსს ჰკარგავს, მივა თავის ბატონთან და სთხოვს დაუტოვოს დაფინის მას: იგი ხომ მონური წარმოშობისა არ არის, იგი მან ტყეში გადავადებული იპოვა ძვირფას ნივთებთან ერთად; ჩანს ეთილშობილი ოჯახიდან უნდა იყოსო. დიონისოფანე მაშინვე მოატანინებს ლამონს ბავშვთან ერთად ნაპოვნ ნივთებს. აღმოჩნდება, რომ დაფინისი მისი, დიონისოფანეს შვილია. „არდვ ვითხოვე ცილი, ამბ-ბა დონისოფანე; ერთი-მეორეზე შემეძინე უფროსი ვაჟი, მეორე ქალი და შემდეგ ასტილოსი. ვიფიქრე, შეყოფა ამდენი შვილი მეთქი, და, აი, ეს რომ შემეძინა უკანასკნელად (დაფინის): გადაწყვიტე ბედის ანაბარა დამეგლო, ეს ნივთებიც თან დავუტოვე. მაგრამ ბედმა

სხვანაირად განსაჯა, უფროსი ვაჟი ჯა ქალი ერთ დღეს დამელუპსენ, ერთი და იმავე ავადპოლობთ. შენ ი ჩემო დაფნის. ლმერების განგებამ გადაგარჩინა ჩემდა: საბუნდოვროდ, ნუ გამკიცხავ ასეთი საქციელისათვის; ადვილი არ იყო ჩემთვის შენი გადაგდება, მაგრამ იძულებული ვიყავიო“ (ქონებრივი სივიწროვის გამო). ახლა კი დიონისოფანე მდიდარია. მისი ქონება ორივე ვაჟს ეყოფა.

ღრიასიკ უამბობს თავის ბატონს, იმავე დიონისოფანეს, თუ როგორ იპოვა მან ქლოე. ბაბონი ქორწილას ნებას რთავს. ყელანი მიდიან ქალაქში, რომ ქორწილი გადაიხადონ. ერთ ნადიმზე, რომელიც დიონისოფანემ გაუმართა მიტილენელებს. იყო მდიდარი მეგაკლე; აღმოჩნდა, რომ მეგაკლე ქლოეს მამაა. მას სიღარიბის გამო, ტყეში გადაუვლია თავისი შვილი. გაპარებული მამები დიდის ზეიმით ვადაუხდიან ქორწილს თავის შვილებს.

ასეთია ლონგეს ბუკოლიკური რომანის შინაარსი. ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს ავტორის სადაურობისა და მისი ცხოვრების დროის შესახებ. მაგრამ ის გარემოება, რომ ავტორი თავის რომანში ასე დაწვრილებით და მართებულად აგვიწერს კუნძულ ლესბოსს, სადაც რომანის მოქმედება ხდება, გვაფიქრებინებს, რომ ლონგე იქაურია. რაც შეეხება დროს, როდესაც ავტორი ცხოვრობდა, რომანში აღწერილი ამბების სისადავე, მწყემსთა ცხოვრების პრიმიტიული ხასიათი, სოფლის ცხოვრების სურათების მსგავსება თეოკრიტიეს და მოსხოსის იდილიებში დახატულ სურათებთან, — ყველაფერი ეს თითქოს უნდა მოწმობდეს იმას, რომ ჩვენამდე მოღწეულ რომანებს შორის ლონგეს რომანი ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს.<sup>1</sup>

ლონგეს რომანს აშკარად ეტყობა ძველი რიტორიკის გავლენა. მთელს რომანს წითელი ზოლივით გასდევს გორგიასებური სტილი: გორგიას ანტითეზები და შეხამებანი ძალიან ეგუებოდა რომანის ვპირების ბუკოლიკურ განწყობას.

აშკარაა აგრეთვე ახალი კომედიის გავლენა: გამოცნობის მოტივი (იგულისხმება მამების მიერ შვილების გამოცნობა მათი გადაგდების დროს დატოვებული სანიშნო ნივთების მიხედვით), რომელიც გამოყენებულია რომანში მოქმედების ძირითადი კვანძის გასახსნელად, უთუოდ მომდინარეობს ახალი კომედიიდან.

მომდევნო ხანებში „დაფნისი და ქლოე“ ძალიან გავრცელებული რომანი იყო. იმდენად გავრცელებული ყოფილა იგი XI საუკუნეში,

<sup>1</sup> ლონგეს ნათესაობა ბუკოლიკურ პოეტებთან ვერ კიდევ ფრ. ენგელსმა აღნიშნა. თანამედროვე საყვარულის მსგავსი მოვლენა, — წერს ენგელსი — ძველად ძნელად ოფიციალური საზოგადოების აარეშე ხდებოდა. მწყემსები, რომელთა სატრფიალო სიხარულსა და ტანჯვას უმდერაინ თეოკრიტიე, მოსხოსი და ლონგეს „დაფნისი და ქლოე“ — არიან მონები და ისინი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ სახელმწიფოს ცხოვრებაში. თავისუფალი მოქალაქის სამოქმედო ასპარეზზე“ (ფრ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თავი II: „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ., 1947, გვ. 149).

რომ მიქელ პსელოსი საჭიროდ თელის გააფრთხილოს ახალ-გაზრდები — წიგნების კითხვას ღონეც და აქილეც ტატიოსის მოთხოვნებით კი ნუ დაიწყებთ, არამედ უფრო სერიოზული კლასიკური ნაწარმოებებითო.

§ 126. ისტორიული ბელეტრისტიკა. სათავგადასავლო რომანთან ახლოს იდგა ისტორიული რომანი, რომელიც ისტორიული მასალის საფუძველზე მოგვითხრობდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მაგალითად, ელინისტურ ეპოქაში არის დაწერილი ანეგდოტებით სავსე ლეგენდარული რომანები ჰომეროსის, პითაგორას და სხვათა ცხოვრებაზე.

მაგრამ ამ ისტორიულ რომანებს შორის ყველაზე მეტად პოპულარული იყო საშუალო საუკუნეების განმავლობაში, როგორც საბერძნეთსა და რომში, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში: ალექსანდრეს რომანი.

„ალექსანდრეს რომანი“. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ისეთი ზღაპრული სისწრაფით და წარმატებით მიმდინარეობდა, რომ ალექსანდრეს გარშემო მის სი-ცოცხლეშივე ლეგენდები იქმნებოდა. შესაძლებელია ამ ლეგენდების პირველი ავტორები თვით ალექსანდრეს ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხებს შორის ავრცელებდნენ თავიანთ მეფეზე გაზვიადებულ ცნობებს.

ალექსანდრეს რომანი აღმოსავლეთშია შექმნილი. იგი შეთხზეს ქურუმთა წრეებში, რომლებიც ზრუნავდნენ თავიანთ ავტორიტეტზე. ალექსანდრეს დაპყრობათა გამო აღმოსავლეთის ქვეყნების (ეგვიპტეს, ირანის) მმართველებმა დაჰყარეს თავიანთი ძალაუფლება, ხოლო ეს ძალაუფლება, ქურუმთა მოძღვრებისა და მიხედვით, ღმერთისაგან იყო ბოძებული და მემკვიდრეობით გადადიოდა. მაშასადამე, საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ალექსანდრე, რომელსაც ერგო ეს ძალაუფლება, ღვთაებრივი წარმოშობისა იყო და მას წილად ხვდა აღმოსავლეთში მეფობა იმ თეოკრატიული თეორიის მიხედვით, რომელსაც იზიარებდნენ ქურუმები.

ასე შეითხზა რომანი იმის შესახებ, თითქოს ალექსანდრე ფილიპეს შვილი კი არ იყო, არამედ ეგვიპტელი ქურუმის ნექტანებისა, რომელიც ვაიქვა ეგვიპტიდან, მოაქადოვა ფილიპეს მეუღლე ოლიმპია და შეეუღლა მას. ამ შეუღლებისაგან დაიბადა ალექსანდრე. ამგვარად, ალექსანდრე ეგვიპტის მიფეთა შთამომავალია და, მაშასადამე, მას ეგვიპტე ქალმომრეობით კი არ დაუპყრია, არამედ კანონიერი გზით მიიღო იგი, როგორც ეგვიპტის ფარაონთა მემკვიდრემ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Э. Ф. Бертельс. Роман об Александре, М. — Л., 1948, стр. 9—10.

რომანი ალექსანდრეზე შეიქმნა I საუკუნეში (ახ. წ.), ხოლო საბოლოოდ შეივსო III საუკუნეში. რომანში ბევრი რამ ისეთია მოთხრობილი, რაც საისტორიო ძეგლებითაც დასტურდება, ხოლო მეტი წილი გადმოცემული ამბებისა ფანტასტიკურია. ამ რომანში ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება ისეთი ქვეყნების დაპყრობაც, სადაც მას არც კი ვაუვლია. მაგალითად, ამ რომანით ი ბ ე რ ი ა ც ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვშია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არც ერთ ისტორიკოსს ამის შესახებ არაფერი ჰქონდა ნათქვამი.

§ 126. სატირა. ლუკიანე სამოსატელი (125 — 200 წწ.). ელინისტური პერიოდის მხატვრული პროზის განვითარება წარიმართა სატირის განვითარების გზითაც. ბერძნული სატირის ჩასახვა უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდს, როდესაც სტოიციკურ-კვინიკური ფილოსოფია ფართო მასებში თავისი აზრების გასავრცელებლად მიმართავდა ქალაქ-ქალაქ ხეტიალსა და ლექციების კითხვას, რომლებშიც ფილოსოფოსები მარტივი სასაუბრო ტონით ეხებოდნენ რომელსამე ფილოსოფიურ-ეთიკურ დებულებას. ამ საუბრის დროს ლექტორები მიმართავდნენ შედარებებს, მოჰყავდათ ციტატები ცნობილ პოეტთა ნაწერებიდან, სიცხოველე შექმნდათ საუბარში ანეგდოტებით და მახვილი ნაკვესებით. ასეთი იყო ეს ლექცია-საუბარი, ე. წ. დიატრიბე. ასეთი დიატრიბეს შერევამ ძველ დამკინავ სიმღერებთან მოგვცა სატირა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი კომედიის მიერ გამოყენებული, ქვესკნელში ან ზესკნელში ფანტასტიკური მოგზაურობების, ან სამხაიარულო ნადიმების და სხვა ამგვარის ფონზე იხილავს ეთიკურ საკითხებს.

სატირიკული ჟანრი მაღალ საფეხურზე აიყვანა ლუკიანე სამოსატელმა. რომელსაც მონათმფლობელური საზოგადოების დაქვეითების პროცესმა ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ახალი შესაფერისი მასალა მისცა მისი სატირიკული დიალოგებისა და წერილებისათვის.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ლუკიანეს ის თხზულებები, რომლებშიც იგი თავის სატირიკულ სარკაზმს მიმართავს რელიგიის წინააღმდეგ. მითები — ლუკიანეს აზრით — უაზრობას წარმოადგენენ, ხოლო იქ ასახული ღმერთები გარყვნილი და წვრილმანი არსებანი არიან, რომელთა აზრები და მოქმედებანი მიმართული არიან ინტრიგების გასაბმელად და პირადი ქვენა სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ღმერთების საუბრები“, რომელშიც მოყვანილია 26 საუბარი სხვადასხვა ღმერთებს შორის. ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში საუბრობენ ქალღმერთები ჰერა და ლეტო.

პერა. კარგი ბავშვები დაუბადე, ლეტო, ზევს, კარგი, შენმა შვილ

ლეტო. ყველას ხომ ისეთი ბავშვების დაბადება არ შეგეძლოა პერა, როგორც შენი ჰეტესტოა.

პერა. თუმცა ის კოქლია, მაგრამ მაინც სასარგებლოა: საუკეთესო ხელოსანია, ცაე გაგვილამაზა და აფროდიტეც ითხოვა, რომელიც მას ძალიან აფასებს; შენი შვილებიდან კი არტემიდა ზომავზე მეტად მამაკაცობს და მთებში დახეტიალობს, უკანასკნელად სკვითიაში ჩავიდა და იქ — ყველას კარგად მოეხსენება — იმით იკვებება, რომ უცხოელებს ხოცავს და ჰბაძავს კაციღვამია სკვითებს; აპოლონს კი თავი მოაქვს იმით, რომ ყველაფერი იცის: ის შვილდოსანიც არის, კითარაზე დამკვრელიც, ექიმიც და მისანიც. გაუხსნია სამინსო საწარმოები; ერთი — დელფოში, მეორე — კლაროსში და მესამე — დიდიმეო, და ატყუებს ყველას, ვინც კი მას მიმართავს; ყოველ მათ შეკითხვაზე ბუნდოვანსა და ორპოვანს პასუხს აძლევს, რომ ხიფათი აიცილინო თავიდან, თუ შეეღობას დაუშვებს. ამ გზით ის საჭირო სიმდიდრეს იძენს: ბევრი მოიპოვება ისეთი უგუნური, რომ თავს ატყუებინებს, თუმცა მას, ამდენი ტყუილის მთქმელს, უკვე კბილა გაუისიჩეს იმით, ვინც უფრო შეგნებულა: თვითონ მისანმაც ხომ არ იცოდა, რომ დისკოთი მოქალაქეა თავის სატრფოს; არც ის უწინაწარმეყველა თავის თავს: რომ მას დაფნე გაქცეოდა. თუმცა ის ეგზომ ლამაზი და მშვენიერთმანია. მართლაც და, რატომ ფიქრობდი, რომ შენ ნიობეზე უკეთესი შვილები გავა?

ლეტო. მესმის, თუ რატომ ხარ დამწუხრებელი, როდესაც ჩემს შვილებს — უცხოთა მკვლელა და ცრუ-მისანს — ღმერთებს შორის ხედავ, განსაკუთრებით ღამინ, როდესაც ერთს (არტემიდას) მისი სილამაზის გამო აქებენ, ხოლო მეორე (აპოლონი) კითარაზე უკრავს ნადიმის დროს და ყველანი განცუფრთხილნი უსმენენ.

პერა. სასაცილოა ლეტო! როგორ! იმას უსმენენ გაცუფრებით, ვისაც მარსიასი ტყავს გააძრობდა, მუზებს რომ სამართლიანი მსჯელობა დაედო?.. ხოლო შენი ლამაზი „ქალწული“ (არტემიდა) იმდენად ლამაზია, რომ ერთხელ, როდესაც აქტეონმა იგი დაინახა ტიტელო, მას შეეშინდა, რომ ჰაბუეს მისი სიმახინჯის ამბავი არ გავრცელებინა და ძაღლები მიეშვა მის დასაფლეთად. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მშობიარი ძაღლებს როგორ უბეძიებს, რომ იგი ქალწული იყოს!

ლეტო. ძალიან მოგაქვს, პერა, თავი იმით, რომ ზევსის მეთულე ხარ და მასთან ერთად მეფობ. იასაც მოვესწრები, რომ კვლავ აცრემლებული გნახო, როდესაც ზევსი დაგროვებს და მიწაზე დაეშვება (ნერეობის მიზნით) ხარის ან გადის ს. ხით (ბერძნული ტექსტი, ტ. I, 94 — 96).

ასევე ბერძენთა რელიგიური წარმოდგენების კრიტიკას შეიცავს ლუკიანეს დიალოგები: „ღმერთების კრება“, „ტრაგიკული ზევსი“, „საზღვაო საუბრები“. „მსხვერპლშეწირავთა შესახებ“ და სხვები. ამ დიალოგებშიც ბევრია მოთხრობილი ოლიმპოს ღმერთების უზუნეობაზე, გარყვნილებაზე, მათ მკლდოურებაზე. „საბერძნეთის ღმერთებს, — წერდა მარქსი, — რომლებმაც ერთხელ უკვე ტრაგიკულად მიიღეს სასიკვდილო ჰრილობა ესქილეს „მიჯაჭველ პრომეთეშია“. ხელმეორედ მოუხდათ კომიკურად მომკვდარიყვნენ ლუკიანეს „საუ-

ბრებში“. რად მიმდინარეობს ასე ისტორია? რაია კაცობრიობა ს ი-  
ცილით გამოემშვიდობოს თავის წარსულს!“

ლუკიანეს ნაწერებში არა მარტო წარმართული რელიგიური შეხედულებების კრიტიკაა წარმოდგენილი, არამედ ქრისტიანული საზოგადოების ცხოვრებაც არის ასახული და მის მღვდელმსახურთა და მწიგნობართა ცრუ მოძღვრებაც გამოვლენილი. ლუკიანეს ერთ-ერთ წერილში ეპიკურეელ კრონიოსისადმი აღწერილია ავანტიურისტ პერეგრინეს თავგადასავალი. პერეგრინე ბინძური და უზნეო კაცი იყო, მას შეეძლო ჩაედინა ყოველგვარი უხამსი საქციელი. მან თავი გამოაცხადა მისან პროტევსად: მისი დამქაშები, კვინიკოსთა წრიდან. ამბობდნენ: „ცხოვრებას ორი საუკეთესო ქმნილება უნახავს, ოლიმპიელი ზევსი და პროტევსი; შექმნეს ისინი მოქანდაკეებმა და ხელოვნებმა: ერთი (ზევსი) შექმნა ფიდასმა, მეორე — ბუნებამ“. აი, ეს „ღვთაება“ პერეგრინე-პროტევსი დახეტიალობდა ქვეყნად და ატყავებდა ხალხს. უზნეო საქციელისათვის, გარყვნილებისათვის, ახალგაზრდების გახრწნისათვის იგი სცემეს და მან დიდი ქრთამით გადაიჩინა თავი. მერე მოხვდა ის პალესტინაში, სადაც „გაიცნო ქრისტიანების საკვირველი მოძღვრება, დაუახლოვდა მათ მღვდლებსა და მწიგნობრებს, რომლებიც სულ მოკლე ხანში ბალღებად გამოჩნდნენ მასთან შედარებით: იგი შეიქმნა მათი წინასწარმეტყველი, მეთაური, კრებების ხელმძღვანელი; ერთი სიტყვით, ის იყო ყველაფერი. ის განმარტავდა მათ [საღვთო] წიგნებს, თვითონაც ბევრს სთხზავდა, და ისინიც (ქრისტიანები) მას სთვლიდნენ ღმერთად, მიმართავდნენ მას როგორც კანონმდებელს და აირჩიეს წინამძღოლად... მაშინ პროტევსი დაიჭირეს და სატუსალოში ჩაადგეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი სახელი მოუზვეჭა მას მომავალში ბნელი საქმეების გასაკეთებლად და დიდების საძიებლად. როდესაც ის დაატუსაღეს, ქრისტიანები ამას თავის უბედურებად სთვლიდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ გამოეგლიჯათ იგი საპყრობილიდან“ (§§ 11 — 12).

ფრ. ენგელსი დიდ როლს მიაკუთვნებს ლუკიანეს როგორც რელიგიასთან მებრძოლს. „ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს პირველი ქრისტიანების შესახებ, — ამბობს ენგელსი, — წარმოადგენს ლუკიანე სამოსატელი, კლასიკური საბერძნეთის ვოლტერი; იგი თანაბარი სექსტიკურობით უყურებდა ყოველგვარ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და ამიტომ არავითარი საფუძველი არ ჰქონდა არც წარმართული რელიგიის თვალსაზრისით, არც პოლიტიკის თვალსაზრისით, ქრისტიანებისათვის სხვანაირად ეცქირა, ვიდრე რომელიმე სხვა რელიგი-

1. ი. მარქსი, ჰეგელის სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა: Сочинения, т. 1, 1923, стр. 369.

ური სექტისათვის. პირიქით, იგი მათ ყველას დასცინოდა მათი ცრუმორწმუნეობის გამო, — იუპიტერის თაყვანისმცემელთ დასცინოდა არანაკლებ, ვიდრე ქრისტეს თაყვანისმცემელთ. მისი გაცვეთილ-რაციონალისტური თვალსაზრისით ერთნაირად უაზროა, როგორც ერთი ისე მეორე ცრუმორწმუნეობა“.<sup>1</sup> ენგელსს მოჰკავს ჩვენ სიერ სემოთ ამოწერილი ადგილი ლუკიანეს თხზულებიდან და განაგრძობს ლუკიანეს ციტატას:

„ქრისტიანებმა ყველაფერი ამოქმედეს პერეგრინეს განსათავისუფლებლად. მაგრამ ეს ვერ შოხერხდა და მაშინ ქრისტიანებმა დაუწყეს მას არაჩვეულებრივი მზრუნველობით მოვლა. როგორც კი ინათებდა, მოხუცი ქალები, ქვრივები და ობლები უკვე მის საპატიმრო კარებთან იდგნენ; უფრო გავლენიანი ქრისტიანები მოიხყიდნენ ხოლმე საპატიმროს დარაჯებს და მასთან მთელ ღამეებსაც კი ატარებდნენ: მიჰქონდათ იქ ნაირნაირი საჭედეები... მცირე აზიის ქალაქებიდანაც კი მიდიოდნენ მასთან ქრისტიაულ საზოგადოებათა მოციქულები, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინათ მისთვის... პერეგრინეც ყოველი მხრიდან იღებდა ფულს, ასე რომ საპყრობილე მისთვის დიდი შემოსავლის კარგ წყაროდ გადაიქცა“.<sup>2</sup>

ლუკიანეს ნაწერების მეორე ჩგუფი მიმართულია სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. თავისი დროის ფილოსოფოსების შესახებ ლუკიანე, ბოლოს და ბოლოს, მივიდა მათთვის არასასახელო დასკვნამდე: ის თვლის, რომ ფილოსოფოსები, რიტორები და გრამატიკოსები არ არიან პრინციპის ადამიანები; მათი მისწრაფება მიმართულია იქითკენ, რომ კარგად იცხოვრონ, ქონება შეიძინონ, რისთვისაც ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას: ელაქტუებიან შეძლებულ კაცებს, რომლებიც მათ ქირაობენ ფულით, და მათი ყმები ხდებიან.

ლუკიანეს ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ საკითხებსაც. იქ ნათლად არის ასახული მონათმფლობელურა საზოგადოების დაშლის პროცესი და ანტიკური საბერძნეთის სოციალური ყოფა. რომელი მოხელე და სამხედრო პირი, ვაჭარი და მევანხე, ქალაქელი და სოფლელი, თავისუფალი და მონა — ხშირი პერსონაჟები არიან ლუკიანეს დიალოგებსა და წერილებში. მონები უკვე პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე გარბიან თავიანთი ბატონებისაგან და იტაცებენ მის ქონებას („ლუკიოსი“, § 34). ბატონის სახლი სავსეა მლიქვნელებით: „მლიქვნელები, — ამბობს ლუკი-

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი. აღრიწდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1939, გვ. 7; „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, 1937, გვ. 126.

<sup>2</sup> ფრ. ენგელსი, დასახ. შრ., გვ. 8 — 9.

ანე, — უფრო მავნენი არიან, ვიდრე მათი ბატონები: ისინი არიან მიზეზნი ბატონის სიამაყისა. თუ ისინი განცვიფრებას გამოთქვამენ ბატონის სიმდიდრის გამო აღილებენ მის ოქროს, გათენებისთანავე მისი ოთახის წინ გროვდებიან და თავის ბატონად აცხადებენ მას, რაღა დარჩენია ბატონს? მლიქვნელებმა რომ ერთად გადაწყვიტონ, თუნდაც მოკლე ხნით, და თავი შეიკავონ ნებაყოფლობითი მონობისაგან, განა საფიქრებელი არ არის. რომ მდიდრები თავისი ფეხით მოვლენ ღარიბთა კარებთან და სთხოვენ მათ; ნუ მოგვაკლებთ თქვენს წყალობას, ინახულეთ ჩვენი სიმდიდრე და ჩვენი სუფრის სიუხვეს და ჩვენი სახლის სიდიადეს ნუ დაუკარგავთ აზრსო. მათ იმდენად სიმდიდრე კი არ უყვართ, რამდენადაც ის, რომ სიმდიდრის გამო მათ ბედნიერად სთვლიან“ („ნიგრინე“, § 23). ლუკიანე დასცინის პარაზიტს, რომელიც ტრაბახობს იმით, რომ სწევბსავით იმანაც იცის თავისი დარგი: ის დარგია „პარაზიტობის ხელოვნება“. მე ვამაყობ იმით, რომ პარაზიტს დამიძახებთ, ეს იმაზე უფრო მეტად მართებულა, ვიდრე ის, რომ ფიდიასს მოქანდაკეს ეძახით; მე არა ნაკლებ მომაქვს თავი ჩემი ხელოვნებით, ვიდრე ფიდიასს — თავისი ზევსის ქანდაკებითო („პარაზიტის შესახებ“, § 2).

„ჰეტერების საუბრებში“, რომელშიც 15 პატარა სცენაა, ჰეტერები (ორი ან სამი) საუბრობენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, თავიანთ მეგობარ კაცებზე, რომელთაგან ზოგი მდიდარი ვაჭარია, მაგრამ ულამაზო, ზოგი ლამაზი ჭაბუკი და უფულო, ზოგიც — მკვებარა და ჭიბეცარაელი სამხედრო პირი; კარგად გვიხასიათებს მაშინდელი წვრილი მოქალაქის ეკონომიურ სიდუხჭირეს ზოგიერთი ამ სცენათაგანი, რომლებშიც საუბრობენ ჰეტერა და მისი დედა.

მაშინდელი ყოფა-ცხოვრების ასახვის მიზნით ლუკიანე მიმართავს საუცხოვო მხატვრულ ხერხს. მოთხრობაში „ლუკიოსი, ანუ ვირი“ გმარს ლუკიოსს ის გადააქცევს ვირად, რომელსაც მისი პატრონები ბარგით დატვირთულს დაატარებენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამგვარად ვირი, რომელსაც შერჩენილი აქვს ადამიანის გონება, მოწმე ხდება მრავალი ინტიმური სცენისა, რომელსაც ის ვერ დაესწრებოდა, კაცი რომ ყოფილიყო. ამ სცენების აღწერით ლუკიანემ ჩაგვახედა ელინისტური საბერძნეთის ცხოვრების მრავალ იდუმალ კუნძულში.

„ლუკიოსი, ანუ ვირი“ თავისი მხატვრული ღირსებებით, თხრობის რეალისტური ხასიათით და გადმოცემის სიცხოველით ლუკიანეს ერთი საუკეთესო თხზულებათაგანია. იმავე II საუკუნეში რომაელმა მწერალმა აპულეუსმა დასწერა „მეტამორფოზები“ (ანუ „ოქროს ვირი“). რომელშიც იგივე თემა დაამუშავა, ხოლო უფრო ვრცლად, ახალი სცენების დამატებით.



ლუკიანეს დამსახურება ლიტერატურის ისტორიაში დიდია. მან მშვენიერად ასახა თავის თხზულებებში მონათმფლობელური საზოგადოების დაშლა, რეალისტურად წარმოგვიდგინა თავისი დროის ყოფა-ცხოვრება და დასრულებული, მხატვრულად გამართლებული ფორმა მისცა დიალოგს.

§ 127. სამეცნიერო პროზა. ელინისტურ პერიოდში განსაკუთრებული სიფართოვით ვითარდება მეცნიერება და სამეცნიერო პროზა, რომელიც ძველად საფილოსოფიო პროზაში იგულისხმებოდა. არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგ მეცნიერება სხვადასხვა დარგებად გაიყო. საკუთრივ ფილოსოფია შემოიფარგლა იმ საზღვრებით, რომლებიც მას დღესაც აქვს, ხოლო სხვა დარგები (მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და სხვ.) ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინებად. ამათ გვერდით განვითარდა მეცნიერების სრულიად ახალი დარგი — ფილოლოგია.

ფილოლოგიას საფუძველი ჩაეყარა ჰომეროსის პოემების შესწავლის პროცესში. ბუნებრივია, რომ სამწერლო ძეგლების შესწავლა პირველ რიგში შეეხო ბერძენი ხალხის სიამაყეს, ჰომეროსს; ლიტერატურის შესწავლა ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეის“ შესწავლით დაიწყო. რადგან ამ პოემათა ტექსტებს საუკუნეთა მანძილზე დიდი ცვლილებები განეცადათ და ტექსტების ნაირ-ნაირი შედგენილობა იყო გავრცელებული, მკვლევარებმა ხელი მიჰყვეს ტექსტის გაწმენდას, ზედმეტი და ჩანართი ადგილების ამოგდებას და გამოტოვებული ადგილების აღდგენას. ამისათვის აუცილებელი იყო ჰომეროსის პოემების ტექსტის შესწავლა, ენობრივი თვისებების გამორკვევა და ლექსთწყობის თავისებურებათა დადგენა. ჩანართი ან გამოტოვებული ადგილების გარკვევა კი შეიძლებოდა ჰომეროსის შემდეგდროინდელი მწერლების შესწავლით, რომელთაც ჰომეროსის პოემები გამოყენებული ჰქონდათ და ციტატებიც ჰქონდათ იქიდან მოყვანილი. ერთი სიტყვით, ჰომეროსის შესწავლამ მიიყვანა ალექსანდრიისა და პერგამონის მკვლევარი-ფილოლოგოსები დანარჩენ ბერძენ მწერალთა შესწავლამდე.

ელინისტური პერიოდის ფილოლოგოსთა შორის ცნობილი არიან: ზენოდოტე, კალიმაქე, არისტოფანე ბიზანტიონელი, არისტარქე, აპოლოდორე ათენელი, კრატეტ პერგამონელი, დემეტრიოს სკეფისისელი, დიონისიოს თრაკიელი და მრავალი სხვა, რომელთაც შექმნეს და განავითარეს შემდეგი ფილოლოგიური დისციპლინები: ტექსტუალური კრიტიკა, პერმენევტიკა, ლექსიკოგრაფია, გრამატიკა და რიტორიკა, არქეოლოგია, ეპიგრაფიკა. ზოგიერთ ამ დარგში ალექსანდრიელმა და პერგამონელმა ფილოლოგოსებმა შექმნეს ისეთი ნაშრომები,

რომლებიც საშუალო და ახალ საუკუნეებში დასაყრდენი გახდა დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის.

ალექსანდრიელი მეცნიერნი თავიანთი ფილოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ საფუძვლად სთვლიდნენ ენობრივი მოვლენების გათვალისწინებას და ერთმა მათგანმა, არისტარქე სამოთრაკელმა, კიდევაც ჩამოაყალიბა, მაგალითად, ის მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე, რომელიც შემდეგ, მცირეოდენის ცვლილებით, შევიდა „ბერძნული ენის გრამატიკაში“. მაგრამ პირველი ბერძნული გრამატიკა ეკუთვნის არისტარქეს მოწაფეს დიონისიოს თრაკიელს (170 — 90 წწ.), ელინისტური პერიოდის სახელგანთქმულ რიტორსა და გრამატიკოსს.

დიონისიოსის „გრამატიკა“ საფუძვლად დაედო არა მარტო ბერძნული და ლათინური ენის „გრამატიკებს“, არამედ იგი გამოიყენეს აღმოსავლეთის ხალხთა სკოლებშიც. ამ გრამატიკით ასწავლიდნენ ბერძნულ ენას ბიზანტიურ სკოლებში XIII საუკუნემდე და აღმოსავლეთის იმ ერებმაც, რომლებიც ბიზანტიური კულტურის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ჯერ გადათარგმნეს დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკა“ და შემდეგ კიდევ გამოიყენეს ის თავიანთი ენებისათვის. ასე, მაგალითად, უკვე V საუკუნეში დიონისიოსის „გრამატიკა“ გადათარგმნეს სირიულად და სომხურად.

საქართველოს სკოლებშიც, ჩანს, იცნობდნენ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკას“. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში შედგენილ ერთ ქართულ სასწავლო წიგნში გამოყენებულია დიონისიოსის „გრამატიკის“ სქოლიასტის ნაშრომი და მის მახედვით დაწერილია თავი ბერძნული ანბანის შესახებ, ხოლო XI საუკუნეში იოანე პეტრიწი თავის განმარტებითს თხზულებაში (პროკლე დიადოხოსის „ელემენტებზე“) დაწვრილებით გადმოგვცემს დიონისიოსის გრამატიკული მოძღვრების ძირითად დებულებებს და შემდეგ თავის ორიგინალურ მსჯელობასაც შლის ზოგიერთ გრამატიკულ საკითხზე (მაგალითად, სიტყვათწარმოებაზე).

---

# რომაული ლიტერატურა

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

რომაელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ცნობრება VIII — I საუკუნეებში

§ 128. ლატინები და მათი სახელმწიფო. რომაული ლიტერატურა არის ლიტერატურა იმ ხალხისა, რომელმაც თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა დაიწყო ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში აპენინის ნახევარკუნძულზე ტიბრის სანაპიროებზე მდებარე და ლ ა ც ი უ მ ა დ წოდებულ (Laium „ლატიუმი“) მხარეში და რომელმაც თავისი სახელმწიფოს ორბიტში VIII — I საუკუნეებში თანდათან მოაქცია თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა, ჩრდილო აფრიკა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები ვიდრე ამიერკავკასიამდე და ირანამდე.

აპენინის ნახევარკუნძული დასახლებული იყო ინდოევროპული ოჯახის ტომებით: ესენი იყვნენ ლატინები, საბინები, ვოლსკები, ოსკები, უმბრები და სხვა იტალიკური ტომები. ამ ტომთა შორის ლ ა ტ ი ნ ე ბ ი დანარჩენ ტომებზე უფრო ადრე დაწინაურდნენ: განავითარეს საქალაქო ცხოვრება, შექმნეს მკვიდრი ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი, ქალაქი რ ო მ ი, რომლის გარშემოც გააერთიანეს სხვა იტალიკური ტომები, საკმაოდ ადრე შეიძინეს ანბანი და შექმნეს საკუთარი მწერლობა.

ლათინთა ეკონომიურსა და კულტურულ-პოლიტიკურ დაწინაურებას ხელი შეუწყო, უპირატესად, სამმა გარემოებამ.

1. იტალიკური ტომების მოსვლამდე აპენინის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ მაღალი კულტურის მქონე არაინდოევროპული ტომები. და აქ მოხდა იგივე, რაც საბერძნეთში: როგორც იქ წინაბერძნული მოსახლეობა დამორჩილებულ იქნა ბერძნების მიერ, რომლებმაც აითვისეს დამარცხებული ხალხის კულტურის მონაპოვარნი და ამის წყალობით შექმნეს თავიანთი ძლიერი ეკონომიურ-კულტურული

ცხოვრება (იხ. § 8, გვ. 18 — 19), ისე აპენინის ნახევარკუნძულზე მოსულმა იტალიკურმა ტომებმა ძველი, არაინდოევროპული ტომები დაამარცხეს, ხოლო მათი კულტურული მონაბოვრების გავლენით შექმნეს თავიანთი კულტურა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. აპენინის ნახევარკუნძულის არაინდოევროპულ ტომთა შორის ცნობილი არიან ეტრუსკები, რომელთა სამფლობელოები VIII — VII საუკუნეებში უშუალოდ აკრავდა ჩრდილოეთით ლაციუმს. მათი მონაწილეობა რომაული სახელმწიფოებრიობის შექმნაში დღეს მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია.

2. გეოგრაფიული მდებარეობა და სანაპიროს მოხაზულობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლაციუმს, რომ ადრე ზიარებოდა ბერძნულ კულტურას, რომელსაც VII საუკუნისათვის უკვე საკმაო მიღწევები ჰქონდა. ბერძნული კულტურა სამი გზით შედიოდა ლაციუმში: ეტრუსკების მეშვეობით, საკოლონიზაციო მიზნებით მიმავალი ბერძნების დასადგურების დროს ლაციუმის ნავსაყუდლებში და აღრიატიკის ზღვასა და ლაციუმს შორის მდებარე უმბრიის გზით. ბერძნები ამ დროს გამოსული იყვნენ ფართო ეკონომიურ სარბიელზე და, ცხადია, მათთან ერთად ლაციუმის მცხოვრებნიც ჩაებნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში გაცხოველებულ აღებ-მიცემობაში.

3. ბერძნების წყალობით ლატინებმა უკვე VIII საუკუნეში გაიჩინეს ანბანი და ადრევე შექმნეს საკუთარი მწერლობა. მართალია, მათ ვერ შექმნეს მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის ეგზომ საჭირო სამართლებრივი და საკანონმდებლო მწერლობა უკვე V საუკუნის წინა ხანებშივე ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

ლეგენდა შემდგენიარად გადმოგვცემს ლატინთა გაძლიერების ამბავს: რომაელთა მამამთავარად ლეგენდა თვლის ტროადელ გმირს ენეასს ის იყო აფროდიტეს და წყევს ანქიზეს ვილი; ტროადის ომში მონაწილეობდა ტროადელთა მხარეზე. როდესაც ბერძნებმა ილიონი აიღეს და გადაწვეს, ენეასი მოხუცი მამით, მცირეწლოვანი ვაჟით, ასკანიოსით და მსლებლებითურთ ჯდება ზომალში და მიცურავს ეგეოსის ზღვით. ჯერ ლემნოსზე და შემდეგ დელოსზე მისნები უწინასწარმეტყველებენ მას, რომ იგი დასავლეთისკენ ცურვის დროს მიაღებდა ერთ ხმელეთის სანაპიროს, სადაც დამკვიდრდება თავისი მსლებლებითურთ და დააარსებს ახალ სახელმწიფოს. ბერკი იხეტიალა ენეასმა: სიცილიის სანაპიროს რომ მიაღვა, შეისვენა. აქ მას ვარდაეკალა მოხუცი მამა, რომელიც იქვე დაასაფლავა. სიცილიის სანაპიროები რომ დასტოვა, ამოვარდა ქარიშხალი. დიდხანს იხეტიალეს ზღვაში ტროადელებმა, სანამ აფროდიტეს წყალობით, რომელიც თავის ვაჟს ენეასს ეხმარება, ისინი აფრიკის სანაპიროებს არ მოადგებიან. აქ, აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, იყო ახლად დაარსებული სახელმწიფო, კართაგენი, რომელსაც განაგებდა დედოფალი დიდონა; ქვეყანა საკმაოდ მდიდარი და დოვლათიანი იყო. აფროდიტეს მიერ მიღებული ზომების წყალობით დიდონას შეუყვარდა ენეასი და მასა და მის მსლებლებს უხვი

მასპინძლობა გაუწია: ტროადელებმა რამდენიმე თვეს დაჰყვეს კართაგენში, დანს-  
ვენეს, მოლონიერდნენ და საგზალიც მოიმარაგეს.

ენეასი სტოვებს კართაგენს, მიუხედავად დიდონას თხოვნა-მუდარისა დარჩენი-  
ლიყო მასთან, და განაგრძობს გზას. ბოლოს და ბოლოს ის მიაღწევს ლაციუმის  
სანაპიროებს, სადაც მბრძანებლობდა მეფე ლატინუსი. ოდესღაც ლატინუსისა-  
თვის უმისუნაით, რომ მისი ქვეყნის სანაპიროებს მოადგებოდნენ უცხოელები,  
რომლებიც მას უნდა დაეტოვებინა ლაციუმში, ხოლო მათი მეთაურისთვის მიეთ-  
ხოვებინა თავისი ერთადერთი შვილი, ლავინია. ასეც მოხდა: როდესაც ენეასმა,  
ლაციუმის ნაპირთან მისვლის შემდეგ, თავისი კაცები გაგზავნა ქვეყნის მეფესთან  
და სთხოვა — პატარა ნაკვეთი დაგვითმე დასასახლებლად, ლატინუსმა შემოუთ-  
ვალა: მობრძანდი, მთელი ქვეყანაც შენი იყოს და სამეფო ტახტიცო. ეს რომ  
გაიგეს მეზობელი ქვეყნების უფლისწულებმა, რომელთაც დიდი ხანია ლავინიაზე  
ეჭირათ თვალი, ომი გამოუცხადეს ენეასს, მაგრამ ამან შესწლო მოკავშირეების  
შოვნა, დაამარცხა მოწინააღმდეგენი, დაინარჩუნა სამეფო ტახტი და ცოლად  
შეირთო ლავინია. სამეფო ადგილად დააწესა მის მიერ დაარსებული ქალაქი  
„ლავინიუმი“.

ლევანდა რამდენიმე თაობის შემდეგ ასახელებს ენეასის შთამომავლებად ლა-  
ციუმის მეფეებს ნუმიტორსა და ამულიუსს. ორივე ძმა ერთად მეფობდა, მაგრამ  
ამულიუსმა მოინდომა ძალუფლების ხელში ჩაგდება და სასახლიდან გააძევა  
ნუმიტორი, მისი ვაჟი მოაკვლევინა. ხოლო ქალიშვილი რეა-სილვია მიაბარა კერისა  
და ცეცხლის ღმერთის, ვესტას, ქურუმად; ამით ის უსპობდა რეა-სილვიას გათხოვე-  
ბის საშუალებას და, მაშასადამე, საშიში აღარ იყო, რომ ნუმიტორის შთამომავ-  
ლობაში გაჩნდებოდა ვაჟი, რომელიც შურს იძიებდა ამულიუსზე. მაგრამ ხაყოფი-  
ერების ღვთაების, მარსის, წყალობით რეა-სილვიას ეყოლება ტყუპი ვაჟი, რომე-  
ლუსი და რემუსი. ამულიუსმა ეს ბავშვები მამინვე გადაადებინა ტიბრის წყალში.  
მაგრამ აღიღებულმა მდინარემ გამოირყა ბავშვები, რომლებიც იპოვა მწყვდესა ფი-  
ტულემ და შინ წაიყვანა აღსაზრდელად (სანამ მწყემსი იპოვიდა, ბავშვებს ტყუპს  
ძე მგელი აწოვებდა).

რომულუსი და რემუსი რომ წამოიზარდნენ, გაიგეს თავიანთი თავგადასავლის  
ამბავი; მათ შეკრიბეს ამხანაგები, ილაშქრეს ამულიუსის წინააღმდეგ, დაამარცხეს  
იგი და სამეფო ტახტი დაუბრუნეს თავიანთ პაპს, ნუმიტორს, თვითონ კი დაიარსეს  
ახალი ქალაქი, რომელსაც რომულუსმა უწოდა თავისი სახელი, რომი. მეორე ძმა  
რემუსი დაიღუპა ძმებს შორის ამტყდარი დავის დროს.

ასეთია გადმოცემა რომის დაარსების შესახებ.<sup>1</sup>

რომი, VIII<sup>1</sup> საუკუნიდანვე მოკიდებული, უპირატესობას მოიპო-  
ვებს მეზობელი ქვეყნების სხვა ცენტრებს შორის და ლატინთა ძალა-  
უფლება თანდათან ვრცელდება ამ მეზობელ ქვეყნებზე: VI<sup>1</sup> — VI სა-  
უკუნეებში ლატინები ქალაქ რომის გარშემო ადმინისტრაციულ-სახელ-  
მწიფოებრივად შემოიკრებენ შუა აპენინის ნახევარკუნძულის მხარე-  
ებს, VI — V საუკუნეებში — ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილს,  
ხოლო IV საუკუნეში — სამხრეთ ნაწილს, რომელიც ბერძნული კოლო-

<sup>1</sup> იგივე გადმოცემა რომის დაარსების თარიღად თვლის 754 — 753 წელს. ეს  
თარიღი რომაელებმა მიიჩნიეს ნამდვილ თარიღად და რეი საფუძვლად დაუდვეს  
თავიანთ წელთაღრიცხვას.

ნიებით იყო მოფენილი და რომელსაც Magna Graecia („დიდი საბერძნეთი“) ეწოდებოდა. ეს პროცესი რომის გარშემო დიდი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნისა მიმდინარეობს მწვავე კლასობრივ ბრძოლათა პირობებში. ამ ბრძოლების დროს მკაფიოდ გამოიკვეთა ორი, ერთიმეორისადმი დაპირისპირებული ფენა — პატრიციუსები და პლებეები.<sup>1</sup>

ლათინთა ძლიერების ზრდას თან სდევდა ლათინთა ენის (ლ ა თ ი ნ უ რ ი ე ნ ა ს) გავრცელება მთელი აპენინის ნახევარკუნძულზე. რასაც შედეგად მოჰყვა აქ გავრცელებული სხვა ენების მოსპობა.

I-V საუკუნის შემდეგ წარმოებს რომაელთა ექსპანსია აპენინის ნახევარკუნძულის გარეთ, პირენეის ნახევარკუნძულზე, ახლანდელი საფრანგეთისა და ბელგიის ტერიტორიაზე და სხვაგან, სადაც გავრცელებული იყო როგორც ანდოევროპული (კელტური შტოს), ისე. არაანდოევროპული (იბერიული) ენები. აქაც ამ ადგილობრივ გავრცელებული ენების ხარჯზე მოხდა ლათინური ენის დამკვიდრება და გამარჯვება.

მის შემდეგ რაც რომის გარშემო გაერთიანდა მთელი აპენინის ნახევარკუნძული, რომის სახელმწიფო აღმოჩნდა მთლიანად შესული ხმელთაშუა ზღვის აუზში, სადაც მანამდე მბრძანებლობდნენ თავიანთი ადებ-მიცემობით კართაგენელები. ამგვარად, III საუკუნიდან რომაელებს უხდებათ შეტაკება კართაგენის ძლიერ სახელმწიფოსთან, რომლის ხელში იყო ხმელთაშუა ზღვის სააღმზრდელო გზები. იწყება ე. წ. პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ე ბ ი (264 — 146 წწ.), რომლებიც დამთავრდა რომაელების გამარჯვებით. რახან ხმელთაშუა ზღვის ეკონომიური ვზები ხელთ იგდეს რომაელებმა, ბუნებრივია, ისინი ბალკანეთის ნა-

<sup>1</sup> პატრიციუსებისა და პლებეების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორიები არსებობს. გ ნ ი ბ უ რ ი ს თეორიით, პლებეები წარმოადგენენ რომის მეზობელი სოფლების მცხოვრებლებს, რომლებიც დაიმორჩილეს რომის პირველმა მეფეებმა. ე რ. ე ნ გ ე ლ ს ი იზიარებს გ. ნიბურის თეორიას და მას ასე ავითარებს: „როგორც თვით ქალაქ რომის, ისე მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა გამრავლდა ნაწილობრივ ჩამოსახლებით, ნაწილობრივ დაპყრობილი, უმთავრესად ლათინურ მოსახლეობის შემატებით. ყველა ეს ახალი ქვეშევრდომები (კლიენტების სახით აქ არ ვეხებით) ძველი გვარებისა და ტომების გარეშე იდგნენ, მაშასადამე populus romanus-ის, საკუთრივ რომაელი ხალხის ნაწილს როდი წარმოადგენდნენ. ისინი პირადად თავისუფალი ადამიანები იყვნენ, შეეძლოთ მიწის საკუთრება შეეძინათ, გადასახადი უნდა გამოეღოთ და სამხედრო სამსახურში გასულიყვნენ. მაგრამ მათ უფლება არ ჰქონდათ რაიმე თანამდებობა სჯეროდთ ან მონაწილეობა ეღოთ კურთხევის კრებასა თუ დაპყრობილი სახელმწიფო მიწების დაყოფაში. ისინი სახელმწიფოებრივ უფლებაპყრილ პლებს წარმოადგენდნენ“ (Ф. Шугельс. Происхождение семьи, частной собственности и государства, М., 1951, стр. 132 — 133. მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, თბ., 1937, გვ. 180).

ხევარკუნძულის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს შეეტაკებოდნენ; 148 წელს რომმა შეიერთა მაკედონია, 146 წელს დაპყრობილ იქნა საბერძნეთი. რომის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს i I საუკუნეებში: 31 წელს (აქციუმის კონცხთან ბრძოლის შემდეგ) დამთავრდა ყოფილი ბერძნული სამყაროს დაპყრობა რომის მიერ.

ამგვარად, 31 წლისათვის, როდესაც რომის ხელისუფლების სათავეში იდგა ოქტავიანე ავგუსტე, რომის სახელმწიფო შეიცავს უდიდეს ტერიტორიას, ბრიტანეთის კუნძულებიდან დაწყებული და მცირე აზიით გათავებული.

VII:1 — II საუკუნეებში სახელმწიფო მმართველობის სისტემა ორჯერ შეიცვალა: ტრადიციული თარიღების მიხედვით, დასაბამიდან რომს განაგებდნენ „მეფეები“; 509 წელს მეფეები გააძევეს და დაწესდა რესპუბლიკური მმართველობა, ხოლო 31 წლიდან მთავრობის სათავეში მდგომი მმართველები რესპუბლიკური სისტემის ნიღაბქვეშ ერთპიროვნულ მართვას ახორციელებენ (ხანა პრინციპატისა. ეპოქა იმპერიისა).

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომაელთა თავგადასავალს ტრადიცია „მეფეთა ხანით“ იწყებს. ეს „მეფე“ (rex) თვითმპყრობელ მეფეს კი არ წარმოადგენდა, არამედ სავსებით ჰგავდა ბერძნულ „ბასილევსს“, ე. ი. ის იყო გვარის უფროსად დაყენებული პიროვნება, რომელიც სენატისა და სახალხო კრების გვერდით იდგა და იყო მხედართმთავარი, უზენაესი ქურუმი და თავმჯდომარე ზოგიერთი სასამართლო საქმის გარჩევის დროს<sup>1</sup>. როგორც ჩანს, „მეფეთა ეპოქა“ წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს პირველყოფილ-თემურ წყობილებასა და კლასობრივ საზოგადოებას შუა<sup>2</sup>. მეფობის მოსპობამდე დაინგრა ძველი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც პირად სისხლის ნათესაობაზე იყო დამყარებული, და მის მაგიერ შემოღებულ იქნა ახალი, ნამდვილად სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ტერიტორიულ დანაწილებასა და ქონებრივ სხვაობაზე იყო დაფუძნებული. ეს ახალი წყობილება, მეფეთა განდევნის შემდეგაც ამ მიმართულებით განვითარდა. „ამ წესწყობილების ფარგლებში მოძრაობს რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია, პატრიციუსების და პლებეების ბრძოლა თანამდებობების და სახელმწიფო მიწების გასანაწილებლად.

<sup>1</sup> Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, М., 1951, стр. 131—132.

<sup>2</sup> Н. А. М а ш к и н, История древнего Рима. М., 1948, стр. 89.

პატრიციული არისტოკრატის გათქვეფა მიწათმფლობელების და ფულისმფლობელების ახალ კლასში, რომელმაც თანდათან შთანთქა სამხედრო სამსახურით გაპარტახებული გლეხკაცობის მიწის საკუთრება და რომელიც ამ გზით წარმოშობილ უზარმაზარ მამულებს მონების შემწეობით ამუშავებდა, იტალიას უკაცურად ხდიდა და ამით კარს უღებდა არა მარტო იმპერიას, არამედ მის შემკვიდრეებს, გერმანელ ბარბაროსებსაც“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი. იქვე გვ. 134 — 135; მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 182.



## თავი მეცამეტე

### უძველესი რომაული მწერლობა

§ 129. რომაული ლიტერატურის ზოგადი ხასიათი. მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე რომი გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც საბერძნეთმა მოათავა ლიტერატურის მთავარი დარგების ჩამოყალიბება. ეს მოხდა IV — III საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დროს დამთავრდა ბერძნული კოლონიებით მოფენილი სამხრეთ იტალიის დაპყრობა რომაელთა მიერ და რომს მასობრივად მოაწყდნენ სამხრეთ იტალიელი ბერძნები, რომაელთა მიერ ტყვედ წამოყვანილი და თავისი ნებით მოსული საარსებო საშუალებათა საქებრად. ამ ბერძნებს შორის მრავალი იყო ისეთი, რომელიც თავის ქვეყანაში ეწეოდა მუშაობას კულტურის სფეროში: მასწავლებლობდა, მსახიობობდა და სხვ. და აი, ამ ბერძნებს, რომში მოხვედრილთ, წილად ხელათ გამხდარიყვნენ პირველნი მუშაკნი რომის ლიტერატურის ასპარეზზე.

ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ სამხრეთ იტალიის და სიცილიის ბერძნები, რომელნიც დედა-საბერძნეთის მოღვაწეებთან ერთად თანაბარ მონაწილეობას ლებულობდნენ ბერძნული ლიტერატურის განვითარებაში,<sup>1</sup> განათლების მაღალ დონეზე იღვნენ და უთუოდ გამოდგებოდნენ ჩამორჩენილი რომაელების მასწავლებლებად. გარდა ამისა, ამ ბერძნებს დიდი ხანია უკვე მიმოსვლა ჰქონდათ რომაელებთან და ლათინური ენაც კარგად ათვისებულნი. ისინი რომ მოხვდნენ რომში, ნალე იპოვეს ნიადაგი თავისი ცოდნის გამოსაყენებლად: ზოგი მათგანი ოჯახებში დადგა რომაელთა ბავშვების აღმზრდელად, ზოგმაც სცენაზე გაშალა თავისი მოღვაწეობა, ერთნიც და მეორენიც თავიანთ მოღვაწეობაში იყენებდნენ იმ ცოდნას, რომელიც თან მოიტანეს თავისი სამშობლოდან: აღსაზრდელ ბავშვებს შეუქმნეს ლათინურ ენაზე სა-

<sup>1</sup> გავიხსენოთ, მაგალითად, ეპიქარმე სირაკუზელი, სტესიქორე, გორგია ლონტინელი და სხვები.

კოხავი წიგნები, რომლებიც ბერძნული წიგნების მიხედვით იყო შედგენილი, ხოლო მეორეებმა სცენაზე დადგეს ლათინურ ენაზე ბერძნული დრამებიდან გადმოკეთებული სცენები.

თავისთავად ცხადია, რომ ვერც პირველნი და ვერც მეორენი წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ, მათ რომ ადგილობრივ, რომში, არ დახვედროდათ შესაფერისად მომზადებული ნიადაგი. მართლაც:

1. ჯერ კიდევ VII საუკუნის (ძვ. წ.) წინა ხანებში ლათინებმა შექმნეს საკუთარი ანბანი ბერძნებთან კულტურული ურთიერთობის მეშვეობით. სახელდობრ, ლათინებმა მიიღეს სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ქალკიდური კოლონიების დორიული ანბანი. საკმაო დამაჯერებლობით დაამტკიცა სპეციალურ მონოგრაფიაში ვ. მოდესტოვმა, რომ ეს ანბანი უნდა მიეღოთ ლათინებს ჯერ კიდევ რომის დაარსებამდე.<sup>1</sup> ამ ანბანით სრულდებოდა ქურუმთა ჩანაწერები; V საუკუნის შუა წლებში ამ ანბანით დაიწერა „თორმეტი დაფის კანონები“.

2. რომაელებს არ ჰქონიათ: IV — III საუკუნემდე ლიტერატურა. მაგრამ ჰქონდათ მდიდარი ხალხური პოეზია. ქვემოთ სპეციალურ პარაგრაფში (§ 130). ნაჩვენებია, თუ რა მდიდარი საკრალური და საყოფაცხოვრებო ლექსები მოეპოვებოდათ რომაელებს ცხოვრების სხვადასხვა მხარისათვის (ლოცვები მარსისადმი, ქურუმთა რელიგიური ფორმულები, სიმღერები გმირთა შესაქებად და დაღუპულ ვაჟაკთა დასატირებლად, სახუმარო ნაკვესები და სხვ.). განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რომაელთა ცხოვრებაში დრამატულ სანახაობებს: ერთი მხრით, ეტრუსკული წარმოშობის ფესცენინები (Fescennina carmina). ხალხური, ხშირად უწმაწური სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა მოსავლის აღების დროს, დედამიწის ღვთაების დღეობაზე და შემდეგ ქორწილის დროსაც, ხოლო, მეორე მხრით, ოსკურ-ბერძნული წარმოშობის კომიკური სცენები ატელანები, თავისი ოთხი ტიპური ნიღაბით, დრამატული პოეზიის საფუძვლებს წარმოადგენენ.

3. რომაელებს ძველიდანვე მოეპოვებოდათ საკუთარი სალექსო საზომი, ე. წ. სატურნული ლექსი, რომლითაც იყო გამართული ის ხალხური პოეზია, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გარდა ამისა, არსებობდა სხვა ორიგინალური საზომებიც. ეს ჩანს იქიდან, რომ III — II საუკუნეთა მწერლები თავიანთი კომედიების ლირიკულ პარტიებში ხმარობენ ნაირ-ნაირ სალექსო საზომებს.

ეს პირობები საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს ქმნიდნენ იმისათვის, რომ IV — III საუკუნეთა მიჯნაზე რომში შემოჰკრილ ბერძნულ ლიტერა-

<sup>1</sup> В. И. Модестов, Римская письменность в период царей. Казань, 1868 (იხ. მისი „Лекции I: 20 — 24).

ტურულ ნაკადს თავისი ნაყოფი მოეცა და რომაული ლიტერატურული ნაწარმოებები გაჩენილიყო. პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენენ ბერძნულ თხზულებათა თარგმანებს, ნაწილობრივ შეფარდებულს რომაელი მკითხველის გემოვნებასთან და საკიროებასთან. რომაული ლიტერატურის განვითარების მომდევნო საფეხურზე გვაქვს ბერძნული თხზულებებიდან გადმოკეთებული ეპიკური და დრამატული ნაწარმოებები. ხშირად გვაქვს, მაგალითად, ორი ბერძნული კომედიიდან გაკეთებული ერთი რომაული კომედია.

ამგვარად, III — II საუკუნეებში რომაული ლიტერატურა არ არის ორიგინალური. იგი, ძირითადად, ბერძნული ლიტერატურული ძეგლების გადმოთარგმნით და გადმოკეთებით კმაცოფილდება, თუმცა ამ გადმოკეთებულ ნაწარმოებებში სულ უფრო და უფრო მეტად იჭრება რომაული ელემენტი, როდესაც, მაგალითად, ჰომეროსის პოემების მიბაძვით დაწერილ პოემაში ქებას ასხამენ ნაციონალურ გმირს ენეასს ან მენანდრეს კომედიებიდან გადმოკეთებულ რომაულ კომედიაში ასახულია რომაელი ჩარჩი ვაჭარი ან მკვებარა ჭარისკაცი.

ასე თანდათან შემოდის რომაულ ლიტერატურაში რომის სინამდვილე და აისახება ის ბრძოლები, რომლებითაც ხასიათდება II საუკუნის რომის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. ხოლო I საუკუნეში რომაული ლიტერატურა საბოლოოდ დგება საკუთარ ნიადაგზე და ქმნის მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედეგებს, რომლებიც მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე გეზს აძლევენ ევროპის ხალხთა ლიტერატურებს და რომელთაგან ზოგიერთებმა დღემდე შეინარჩუნეს თავისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს შორის.

**§ 130. რომაული ხალხური პოეზია.** სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ჩვენ ცოტა რამ ვიცით რომაულ ხალხურ პოეზიაზე. ჩვენი ცოდნა ამ დარგში განიასზღვრება იმ ცნობებით, რომლებიც შემოგვიწახეს გვიანი საუკუნის ისტორიკოსებმა და კომპილატორებმა. სახელდობრ, ისტორიკოსებმა (მაგალითად, ტიტუს ლივიუსმა) შეიტანეს თავიანთ „ისტორიებში“, დაკავშირებით ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკურ და სამხედრო ამბებთან. გადმოცემები სხვადასხვა სიმღერების არსებობის შესახებ, ხოლო ზოგიერთმა კომპილატორმა (მაგალითად, ავლუს გელიუსმა) ამ სიმღერების ტექსტიც შეიტანა თავის ნაშრომში იმ სახით. როგორც ისინი მის დროს იმღერებოდა ხალხში.

ამ ცნობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძველეს ხანებში რომაელებს ჰქონდათ: 1. ლირიკული სიმღერები და 2. დრამატული სიმღერები.

ლირიკა. ლირიკული სიმღერები რომაელებს ჰქონდათ ორგვარი: საკრალური და საერო.

საკრალური სიმღერების დანიშნულება იყო შეწყალების გამოთხოვა ღვთაებისაგან, რომელსაც ამ მიზნით მიმართავდნენ ლოცვა-ვედრებით.

ღვთაებისადმი ლოცვა-ვედრებით მიმართვა ქურუმთა ხელში იყო. ძველ რომაელთა წარმოდგენით ადამიანთა და ღმერთთა შორის კავშირს (religio „კავშირი“) ამყარებდნენ ქურუმები, რომელთაც იცოდნენ ის ფორმულები, რომლებითაც შეიძლებოდა ღმერთისადმი მიმართვა. ამ მიზნით არსებობდა ქურუმთა სხვადასხვა კოლეგიები. ასე, მაგალითად, ცნობილია „სალიების, ანუ მხტუნავთა ძმობა“ და „არვალთ-ძმების კოლეგია“. ჩვენამდე შემონახულია არვალთ-ძმების ჰიმნის ნიმუში. ჰიმნი მიმართულია მარსისადმი. უძველეს რომში, როგორც ჩანს, ძირითად ღვთაებად ითვლებოდა მარსი, ღმერთი ნაყოფიერებისა და მოსავლიანობისა. მარსისადმი ჰიმნი ჩვენამდე მოღწეულია ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩაწერილი ტექსტით და იწყება ასე: Enos Lases iuvate! „დაგვეხმარეთ ჩვენ, ლარებს“, ე. ი. მლოცველი მიმართავს ოჯახის კეთილ სულებს, ლარებს, რომ მათი მეშვეობით თავი შეავედროს მარსს.

Enos Lases iuvate |  
neve lue rue Marmar sin sin | currere in pleores |  
satur fu, ferē Mars | Ilmen salī sta berber |  
semunīs alternē | advocapit conctos |  
enos Marmar iuvato |  
triumpe triumphe triumphe | triumphe triumphe.

„დაგვეხმარეთ ჩვენ, ლარებო! მეტად ნულარ შემოუშვებ, მარ-მარ ნურც ჭირს, ნურც ვაებას, ნულარ შემოუშვებ! გეყოს გაძღომა, ველურო მარს; ასტი ზღურბლზე მხეცო! თესვის სულები რიგრიგობით უნდა მოუხმოს აქ! დაგვეხმარე ჩვენ, მარს!“<sup>1</sup>

ამ ჰიმნს არვალთ-ძმები მღეროდნენ სამჯერ ზედიზედ და თან ცეკვავდნენ. ჰიმნის ტექსტი არც დღეს არის მთლიანად გასაგები და, როგორც ჩანს, იგი არ ესმოდათ უკვე III საუკუნეში, როდესაც ჩაწერილია ის. მხატვრული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ერთნაირი მიმართვა ლარებისადმი და მარსისადმი:

Enos Lases iuvate  
Enos marmar iuvato.

როგორც მარსისადმი მიმართვა აბოლოვებს სტროფს. ისე, ალბათ, ლარებისადმი მიმართვაც სტროფს აბოლოვებდა, ასე რომ ამ სიმღერას, თავში, ყოველ შემთხვევაში, ერთი სტროფი უნდა აკლდეს.

<sup>1</sup> A. Kappelmacher. Die Literatur der Römer, 1926, გვ. 29.

მარსისადმი ლოცვას წარმოადგენს აგრეთვე კატონის (234 — 149 წწ.) შრომაში De agricultura შემონახული სიმღერა, რომელიც ასე იწყება:

Marspaler, te precor quaesoque  
utli stes volens propillus  
mihi domo famillaeque nostrae...

„მამაო მარს, მე გთხოვ და გემუდარები, რათა შემწე და მწყალობელ გვექნე მე, ჩემს სახლს და ჩემს სახლელულთ, რის გამოც მე ჩემი ყანისათვის, ჩემი მიწისათვის სამსხვერპლოდ გავამზადებინე ღორი, ცხვარი და ძროხა...“

ამ სიმღერაში მლოცველი მიმართავს მარსს და სთხოვს თავიდან ააცილოს მას და მის ოჯახს მოსალოდნელი უბედურება. ამ სიმღერის რიტმულობა ექვს გარეშეა: გარდა იმისა, რომ მას აშკარა სტროფული წყობა ახასიათებს, მას უთუოდ ემჩნევა სტროფის ნაწილთა სიმეტრიული აღნაგობა როგორც ფორმაში, ისე შინაარსში. პრედიკატიული ნაწილი ორი ან სამი ერთმანეთის მონათესავე სიტყვით არის გამოხატული, აგრეთვე დამატების გამოხატველი გამონათქვამი სამ-სამი სიტყვით არის აგებული („მე გთხოვ და გემუდარები“, „სამსხვერპლოდ გავამზადებინე ღორი, ცხვარი და ძროხა“ და სხვ.).<sup>1</sup>

ს ა ე რ ო პ ო ე ზ ი ა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ძველ რომაელებთან არსებული „სანადიმო სიმღერები“ (carmina convivalia). I<sup>1</sup> საუკუნის ცნობილი ორატორი ციკერონი ამის შესახებ წერს:

...gravissimus auctor in Originibus dixit Cato morem apud maiores hunc epularum fuisse, ut deinceps qui accubarent cernerent ad libiam clarorum virorum laudes atque virtutes (Tuscul. disp. IV, 2, 3).

შესანიშნავმა მწერალმა კატონმა თქვა „საწყისებში“, ჩვენ წინაპრებს ჩვეულებად ჰქონდათ ნადიმებზე, რომ სტუმრად მოსულნი ფლეიტის აყოლებით მღეროდნენ გამოჩენილ ვაჟებს სადიდებლად.

ამვე საკითხს ეხება მეორე ცნობაც, რომელიც ვარონს ეკუთვნის: „ნადიმებზე ზრდილი ყმაწვილები უბრალო ხმით ან ფლეიტის აყოლებით მღეროდნენ ძველ სიმღერებს წინაპართა სადიდებლად“.

ამ ცნობებმა საბაბი მისცეს ცნობილ ისტორიკოსს გ. ნი ბ უ რ ს (1776 — 1831) წამოეყენებინა თეორია: რომში უძველესი ეპიკური პოეზიის არსებობის შესახებ. ამ ეპიკურმა სიმღერებმა ვერ მიიღეს განვითარება და ლიტერატურულ ეპოსად ვერ იქცნენ, მაგრამ ეს ეპიკური ხალხური სიმღერები წინაპრებზე ისტორიკოსებმა შეიტანეს თავიანთ თხზულებებში და ძველ რომაულ ისტორიოგრაფიაში შემონახული

1. ა. კ ა პ ე ლ მ ა ხ ე რ ი, დასახ. ნაშრომი გვ. 28 — 29.

თხრობა, მაგალითად, რომელუსზე და რემუსზე უნდა მომდინარეობდეს ძველი ხალხური სიმღერებიდან.

საერო პოეზიას უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სამგლოვიარო სიმღერები, ე. წ. *neniae*. რომლებითაც საჯანგებოდ დაქირავებული, ქალები (*Praeficae*) ფლეიტის აკომპანიმენტით დასტიროდნენ დაღუპულ გმირს.

საგანგებოდ უნდა შეეჩერდეთ ჯარისკაცთა სიმღერებზე, რომელთაც გაიციხვის ხასიათი ჰქონდათ. უძველესი ცნობა ასეთი სიმღერების არსებობის შესახებ შემონახული აქვს I საუკუნის ისტორიკოსს ტიტუს ლივიუსს. ჯარისკაცები მღეროდნენ ამ გასაკიცხავ სიმღერებს სარდლის ან სხვა დიდი კაცის ტრიუმფის დროს. როგორც ჩანს, ჯარისკაცები სარგებლობდნენ იმ კარგი შემთხვევით, რომ ტრიუმფის გადამხდელი სარდალი იმდენად საზეიმო: გუნებაზე იყო, რომ ჯარისკაცების მიერ ხუმრობაში გატარებულ გაიციხვას ყურადღებას არ მიაქცევდა და არ დასჯიდა გამჭირდაცვებს. 437 წლის (ძვ. წ.) ამბების მოთხრობის დროს ლივიუსს აქვს გადმოცემული, რომ «ტრიუმფის საუკეთესო სანახაობას წარმოადგენდა კონსული კოსუსი, რომელსაც მოჰქონდა მოკლული მეფის მდიდარი საჭურველი. მის მიმართ ჯარისკაცები საგინებელ სიმღერებს (*carmina incondita*) მღეროდნენ და ადარებდნენ მას რომულუსს („ლივიუსი, IV 20, 2). გამოთქმა „საგინებელი სიმღერები“ იმაზე მიუთითებს, რომ ჯარისკაცები უხეშ სიტყვებს ხმარობდნენ კონსულ ა. კორნელიუს კოსუსის მიმართ.

რომ ამ „საგინებელი სიმღერებით“ ჯარისკაცები სარდლის ან კონსულის წინააღმდეგ გულში დაგროვილ ბოლმას აძლევდნენ შვებას, ეს ნათლად ჩანს ლივიუსის მიერ გადმოცემულ მეორე ამბავში. 410 წლის მახლობელ ხანებში, როდესაც კონსულებად იყვნენ მინიუს ემილიუსი და გაიოზ ვალერიუსი, ეკვებმა განიზრახეს ომი რომაელების წინააღმდეგ, ვალერიუსი მაშინვე შეუდგა ჯარის შეგროვებას, ხოლო სახალხო ტრიბუნი მარკუს მენენიუსი ოპოზიციაში ჩაუდგა ვალერიუსს და ჯარისკაცებმა, რადგან სახალხო ტრიბუნი მხარს უჭერდა მათ, უარი განაცხადეს ფიცის დადებაზე. ატყდა დიდი დავა მენენიუსსა და ვალერიუსს შორის. ვალერიუსმა მიმართა ყოველგვარ ღონისძიებას და თავისი გაიტანა: ჯარისკაცებს ფიცი მიალებინა. ჯარისკაცები და პლებეები — ამბობს ლივიუსი — აღშფოთებულნი იყვნენ ვალერიუსის საქციელით. და როდესაც მტერზე გამარჯვების შემდეგ ვალერიუსი ტრიუმფით შედიოდა რომში, ჯარისკაცები საგინებელი სიმღერებით (*inconditi versus*) და ჯარისკაცული სითამამით ქირდავდნენ კონსულს, ხოლო მენენიუსი ცამდე აპყავდათ ქებით: ამ ტრიბუნის ყოველ ხსენებაზე მთელი ხალხი ტაშის კვრითა და შეძახილებით გა-

მოხატავდა თავის აღფრთოვანებას. ეს უკანასკნელი გარემოება უფრო აშფოთებდა სენატს, ვიდრე კონსულის გაქირდვაო — დასძენს ლივიუსი, რადგან გაქირდვა თითქოს დაკანონებული იყო ადათ-ჩვეულებით (ლივიუსი, IV, 53).

**დრამატული სიმღერები.** სახალხო დღეობებზე და უქმე დღეებში მოწყობილ შეკრებაზე გასართობის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენდნენ დრამატული სანახაობანი, რომლებიც იმპროვიზაციული წესით ეწყობოდა. აღრინდელი ცნობა გვაქვს დრამატულ სანახაობათა ერთ-ერთ სახეზე, რომელსაც ფესციენი ეწოდებოდა. ეს იყო სიტყვა-პასუხით გამოხატული სიმღერები, რომელთაც ასრულებდნენ გლეხები მოსავლის აღების დროს. I საუკუნის პოეტის, ჰორაციუსის გადმოცემით, „ძველად მიწისმუშები ჰირანახულის აღების შემდეგ უქმე დროს იწვევდნენ ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად მუშაობდნენ (cum sociis operum), და შეილებთან და ერთგულ ცოლთან ერთად მსხვერპლებსა სწირავდნენ: დედამიწის ღვთაებას გოქს უკლავდნენ, სილვანეს — რძით სცემდნენ პატივს, ხოლო გენიუსს, რომელიც ზრუნავდა ხანმოკლე სიცოცხლეზე, — ღვინითა და ყვავილებით. ამ უქმე დღეებში დამკვიდრდა ფესციენური თავაშვებულობა — სოფლელები ერთმანეთს ლექაებით ეუბნებოდნენ გამკიცხავ სიტყვებს (versibus alternis opprobria rustica)“ (ჰორაციუსი, წერილები, II, 1, 139 — 146). მაშასადამე, ფესციენები ყოფილა სატირული სცენები, რომლებიც ეწყობოდა მოსავლის აღების დროს. ასეთი სატირული სცენებიდან ისევე წარმოიშვა შემდეგ ნამდვილი დრამა, როგორც საბერძნეთში რთველის შემდეგ დიონისეს პატივსაცემად გამართულმა დღეობამ წარმოშვა ბერძნული დრამა.<sup>1</sup>

ფესციენურ სიმღერებად ითვლება აგრეთვე საქორწილო სიმღერები.

როგორც ქვემოთ (§ 132) იქნება მოხსენებული, ფესციენური სიმღერების დრამატული შესრულება ეტრურებიდან არის ლაციუმში შემოსული.

დრამატულ სანახაობათა მეორე სახეს წარმოადგენენ ატელანები. ატელანები წარმოადგენენ ხალხურ იმპროვიზაციულ სცენებს, რომლებშიც დამახასიათებელი ნიღბების სახით გამოყვანილი იყვნენ გარკვეული ტიპები.

მკვლევართა შორის დღესაც არ არის შეთანხმებული აზრი ატელანების სადაურობისა და შინაარსის შესახებ. მათ შესახებ წარმოდ-

---

<sup>1</sup> М. Покровский, История римской литературы. М.—Л. 1942, стр. 24—26.

გენას ვლებულობთ II საუკუნეში (ძვ, წ.) პომპონიუსისა და ნოვიუსის მიერ დადგმული ატელანური დრამების ნაწყვეტებიდან. ამჟამად შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ:

1. ატელანები ძველი რომაული სცენებია, რომლებიც შეიძლება ოსკურ ენაზედაც იდგმებოდა, მაგრამ ოსკურ ქალაქ ატელადან კი არ არის შემოტანილი, არამედ ნიშანში ყოფილა ამოღებული, მისი ზოგიერთი უარყოფითი თვისებების გამო, ქალაქი ატელა და ამიტომ შერქმევია ეს სახელი.

2. ატელანებში დამკვიდრებული იყო მუდმივი ნიღაბი ოთხი ტიპისა, რომელნიც ხალხს ოთხი ძირითადი უარყოფითი თვისებების გამო სსაცლოდ გამოჰყავდა. ეს ოთხი ტიპი ოთხი ნიღბით იყო გამოხატული.

Maccus — სულელი, ბრიყვი

Bucco — ლაბაზანი, დრუნჩეზიანი (ღორმუცელას ტიპი)

Pappus — პაპა, მოხუცი (მდიდარი და ძუნწი, პატივის მოყვარე)

Dossenus — კუზიანი, მოკუზული (ვითომ-ფილოსოფოსი, მატყუარა)

3. ატელანები შეიძლება იყოს შემოსული ოსკური გარემოდან, კამპანიიდან, მაგრამ ისინი ძალიან შინაურ სცენებად გაიხადა რომაელმა; გზადაგზა ამ სცენებს შეერია ბერძნული ელემენტი და, შეიძლება, ეტრუსკულიც. მიუხედავად ამისა, ატელანებს რომაელები უყურებდნენ როგორც ნაციონალურ სცენებს. ეს მტკიცდება შემდეგით: როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომაულ სცენაზე III — II საუკუნეებში გაბატონებული იყო ბერძნული დრამა. თუმცა ამ ბერძნულ დრამაში თანდათან იკრებოდა რომაული ელემენტი და პოეტები ცდილობდნენ ბერძნულიდან გადმოკეთებულ დრამაში რომაული სინამდვილე აესახათ, მაგრამ მაინც ვერ განთავისუფლდნენ ბერძნული ორიგინალების გავლენისაგან. როგორც რეაქცია ასეთ მოვლენაზე და როგორც მისწრაფება ნაციონალური რომაული კომედიის შექმნისა გვევლინება I საუკუნეში ის მიმართულება, რომლის წარმომადგენლები არიან პომპონიუსი და ნოვიუსი თავიანთი ატელანური დრამებით (Fabulae atellanae).

ასეთი იყო უძველეს პერიოდში ხალხური ლირიკა და დრამა, მაგრამ მათ თავისი ლიტერატურული განვითარება ვერ მიიღეს, რადგან ადრე გაიტაცა გაბატონებული წრეები ბერძნული ნიმუშების გავლენამ.



§. 131 რომაული ლიტერატურა III — II საუკუნეებში. პირველი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები ლათინურ ენაზე იწერება მე ს ა მ ე ს ა უ კ უ ნ ე შ ი. მხატვრული ლიტერატურის განვითარებას რომში ბიძგი მისცეს სამხრეთ იტალიიდან და სიცილიიდან რომში ჩასულმა ბერძნებმა, რომლებმაც შეუქმნეს რომაელებს ბერძნული ნაწარმოებებიდან გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული პოემები, ტრაგედიები და კომედიები. იმავე III საუკუნეში ამ ბერძენ, მაგრამ ლათინურად მთხვევლ, მწერლებს გვერდში ამოუდგნენ ადგილობრივი, რომაელი მწერლები, რომლებიც ბერძნული წარმოშობის მწერლების მიერ გაკვალულ გზას გაჰყვნენ, და ისინიც, ისევე როგორც პირველნი, ბერძნული ორიგინალების თარგმნასა და გადმოკეთებას მისდევდნენ.

მაგრამ რომაელთა მიერ III საუკუნეში დაწყებული ფართო (მაშინდელი გაგებით — მსოფლიო) საგარეო და სამხედრო პოლიტიკა, შიგნით ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და პატრიციუსებისა და პლებეების სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება უყენებენ მკერლობას ახალ მოთხოვნებს. მწერლობასაც ამ ახალი მოთხოვნებისათვის არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია, რამდენადაც ყოველი მწერლობის დანიშნულებაა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უშუალო მონაწილე და მის მოწესრიგებაში წამყვანი როლი შეასრულოს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნული ორიგინალების მიხედვით მთხვევლი რომაელი მწერლები ცდილობენ რომაული სინამდვილის სურათები ჩააქსოვონ ბერძნულიდან გადმოკეთებულ პოემას ან დრამას. ამასთანავე შეინიშნება შემდეგი: პლებეური წრებიდან გამოსული მწერლები უფრო გამოხატავენ რომაული ხალხის ინტერესებს და თავიანთ თხზულებებში უფრო მეტად ასახავენ რომაულ სინამდვილეს, ვიდრე პატრიციულ წრებთან დაახლოებული მწერლები.

III — II საუკუნეების პოეტთაგან რომაელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული კვალი დასტოვეს და ლიტერატურულ ცხოვრებას წინ უძღოდნენ ლივიუს ანდრონიკე. გნეუს ნევიუსი, კვინტუს ენიუსი, პლავტე და ტერენციუსი.

§ 132. ლივიუს ანდრონიკე (დაახლ. 284 — 207 წწ.). ტარენტოს ომში 272 წელს რომაელებს ტყვედ ჩაუვარდათ ბერძენი ანდრონიკე; როგორც ტყვე იგი მოხვდა წარჩინებულის (თუმცა ოდესღაც პლებეური წარმოშობის) ლივიუსის ოჯახში. განათლებული ბერძენი მონა ლივიუსის შვილების აღმზრდელი გახდა. ამ ოჯახური დამსახურებისათვის ლივიუსმა თავისუფლება აჩუქა ანდრონიკეს, რომელსაც, როგორც განთავისუფლებულ მონას, უფლება ჰქონდა თავისი პატრონის სახელიც ეტარებინა — Livius Andronicus.

ლივიუს ანდრონიკემ სახელი გაითქვა რომში არა მარტო როგორც პედაგოგმა, არამედ იგი კარგი მსახიობიც და კარგი მწერალიც აღმოჩნდა. ს. ყაუხჩიშვილი

ნდა. მან შეუქმნა რომაელებს ლიტერატურული ნაწარმოებები: — ლივიუს ანდრონიკე პირველი რომაელი პოეტია.

როგორც პედაგოგს, ლივიუს ანდრონიკეს სჭირდებოდა საკითხავი წიგნი ბავშვებისათვის (მანამდე ბავშვები ანბანს „XII დაფის კანონებით“ სწავლობდნენ). ამ მიზნით მან თარგმნა ჰომეროსის „ოდისეა“, რადგან ეს პოემა თავისი სათავგადასავლო ეპიზოდებით და ფანტასტიკური სურათებით ყმაწვილებისთვის მიმზადველ თხზულებად ითვლებოდა. ამგვარად, რომაული ლიტერატურის პირველი მხატვრული ნაწარმოებია ჰომეროსის „ოდისეის“ ლათინური თარგმანი.

ლათინური „ოდისეა“ არ არის თარგმანი ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით. ლივიუს ანდრონიკეს თარგმანს ახასიათებს შემდეგი:

1. როგორც ჩანს, თქმულებები ტროადის ომის გმირთა შესახებ დიდი ხანია შემოსული იყო რომში და რომაელი ხალხი იცნობდა მათ ბერძენთა იმ ტომის გადმოცემებით, რომელთანაც ახლო ურთიერთობა და მიმოსვლა ჰქონდა მას. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლათინურ თარგმანში პოემის მთავარ გმირს ეწოდება არა „ოდისეუსი“ (Ὀδυσσεύς) არამედ „ულისე“ (Ulixes—Ulisses). ეს მოწმობს, რომ რომაელებში იმ დროიდან, რაც თქმულება ოდისეუსზე გავრცელდა მათში, ეს გმირი ცნობილი იყო „ულისეს“ სახელით (თვითონ ანდრონიკეს ვერ მივაწერთ სახელის შეცვლას). მართლაც, რომ მივმართოთ თვით ბერძნულ თქმულებებს, დავინახავთ, რომ ერთ-ერთ ბერძნულ დიალექტში გმირს ეწოდება Ὀλυσσεύς (Ὀλυσεύς), რომელს, ნონზომიერი შესატყვისია ლათინურში ხმარებულ ულისეს.

2. ლათინურ „ოდისეაში“ შეცვლილია ღმერთთა სახელები: კრონოსს ეწოდება Saturnus, ზევსს — Jupiter, პოსეიდონს — Neptunus და სხვა. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ კარგახანია უკვე მომხდარა რომაული მითოლოგიის დაახლოება ბერძნულ მითოლოგიასთან. მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, რომაული მითოლოგიის „იუპიტერი“ ისეთსავე ღმერთთა და ადამიანთა მამად ითვლებოდა, როგორც ბერძენების „ზეუსი“ (Jupiter ← Jov + Pater „მამა იოვ“, ისევე როგორც ბერძნულშია გამოთქმა Ζεῦ πατὴρ „მამა ძე“), და რამდენადაც იუპიტერის მამად რომაულ მითოლოგიაში „სატურნი“ ითვლებოდა, ხოლო ბერძნულ მითოლოგიაში ზევსის მამა „კრონოსი“ იყო, მოხდა სატურნისა და კრონოსის გაიგივება და ა. შ.

თვით „მუზისათვის“ იქნა გამოყენებული მისი ლათინური შესატყვისი „კამენა“. ამიტომაც პოემის პირველი სტრიქონი ლათინურად ასეა:

Virum mihi, Camena, insece versutum

მიმღერე, კამენა, მოხერხებულ ვაჟაკზე,

რაც უფროსი ჰომეროსის სიტყვებს: *ἄνδρα μοι ἔννεπε, μάστα, πολίτηρ-  
εοῦ...*

მ. ანდრონიკე, გარდა ამისა, თავისუფლად მოპყრობია დედნის ზოგიერთ ადგილს: ზოგი რამ შეუკვეცია, ზოგიც გამოუტოვებია.

ჰომეროსის „ოდისეა“ დაწერილია დაქტილური ჰეგზამეტრით. თუ გმირთა და ღმერთთა სახელებისათვის ანდრონიკემ აირჩია ხალხში გავრცელებული მათი შესატყვისი ფორმები, მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ სალექსია საზომდაც ის აირჩევდა სატურნულ ლექსს, რომლითაც გამართული იყო ხალხში ძველიდანვე გავრცელებული საკრალური საგალობლები და საერო სიმღერები. სატურნული ლექსის მეტრული აღნაგობა დღესაც არ არის მეცნიერებაში გარკვეული და ჩვენ არ ვიცით ზედმიწევნით, თუ რა ხასიათის რიტმულობას ემყარება იგი: ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი აქცენტური ლექსია, ზოგის აზრით სატურნული ლექსი კვანტიტეტია. გარეგნულად თითქოს ცხადია, რომ იგი ქორეამბურ დიპოდიას (— — —) ემყარება, მაგრამ ისეთი მრავალფეროვნება აქვს ამ დიპოდიასი გრძელი და მოკლე მარცვლების ხმარებას, რომ ერთი ძველი რომაელი ფილოლოგოსი ამბობდა: ჩვენს წინაპრებს ეს ლექსი არ აუგიათ გარკვეული კანონების მიხედვით: ხან მოკლე მარცვლებს ჩაურთავდნენ, ხან გრძელსო.

ანდრონიკეს დრამები. ლივიუს ანდრონიკე ამავე დროს არის პირველი რომაელი დრამატურგი. იგი სწერდა და სცენაზე დგამდა ტრაგედიებსა და კომედიებს. პირველი პუნიკური ომის (264 — 241 წწ.) დამთავრების შემდეგ ბელისუფლებამ მოისურვა ეზიმა ეს გამარჯვება და ერთი წლის შემდეგ, 240 წელს, გაიმართა საერო დღეობა, რომელზედაც მთავრობის გადაწყვეტილებით დრამა უნდა დადგმოლიყო.

სახალხო დღეობებზე და უქმე დღეებში მოწყობილ შეკრებილობებზე გასართობის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენდნენ დრამატული სანახაობანი, რომლებიც იმპროვიზაციული წესით ეწყობოდა. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ 364 წლიდან (ძვ. წ.) საციკლო სათამაშოების გვერდით ეწყობა სასცენო წარმოდგენები. ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ ერთხელ, ემილიანობის დროს, ჯადოს დაკვრის (ე. ი. შელოცვის) მიზნით მოაწყეს სასცენო თამაშობა, და ეს პირველი შემთხვევა იყო ამგვარი თამაშობის მოწყობისაო. ისტორიკოსი წერს: „რადგან სენის ძალა ღმერთების დახმარებითაც ვერ შეასუსტეს, ადამიანებმა, ცრუმორწმუნეობით ძლეულებმა, შემოიღეს, როგორც ამბობენ, სასცენო თამაშობანი (ludi scaenici) ციური რისხვის შესაწყალებელ საშუალებათა შორის: ეს სრულიად ახალი რამ იყო მებრძოლი ხალხისთვის — მანამდე

მხოლოდ საციკო სანახაობა იცოდნენ. სხვათა შორის, ეს საქმე უმნიშვნელო იყო, როგორც თითქმის ყველაფერი ახალდაწყებული, თანაც ეს უცხოური საქმე იყო: მას არც ლექსი ჰქონდა (*sine carmine ullo*) და არც ლექსის შესატყვისი ჟესტიკულატა (*sine actu*). უამისოდ ასრულებდნენ ეტრურიიდან მოწვეული მსახიობები (*ludiones*) ფლეიტის აყოლებით და ცეკვით შესანიშნავს მოძრაობებს, ტუსკური წესისდა მიხედვით. მათ მიბაძეს [რომაელმა] ჰაბუკებმა და გაუმართავი ლექსებით ერთმანეთს ესროდნენ სახუმარო ნაკვეთებს; მოძრაობაც შეთანხმებული იყო სიტყვასთან. და ამრიგად ეს საქმე დამკვიდრდა და მისი ხშირი გამოყენებით უფრო განვითარდა. რადგან ტუსკურად მსახიობს *hister* ჰქვია, შინაურ (ე. ი. ჩვენებურ) მსახიობებს ეწოდა ჰისტრიონები...“

ტიტუს ლივიუსის სიტყვებიდან ჩანს, რომ რომაელებს საზეიმო ცეკვა მოუწყვიათ ეტრურიიდან მოწვეული მოთამაშეების (*ludiones*) მეშვეობით: ეს ხომ შენიშნულია ხალხურ რწმენათა ისტორიაში, რომ ამგვარ თამაშს მაგიურ მნიშვნელობას მიაწერდნენ.

იმავე ლივიუსის „ისტორიიდან“ ეტყობილობთ, რომ რომაელებში გავრცელებული იყო იმპროვიზაციული გაშაირება, რომელსაც თან სდევდა ცეკვა.

სასცენო გართობა შეტანილი იყო იმ დღეობის პროგრამაში, რომელსაც უმართავდნენ კაპიტოლიუმის იუპიტერს (*Iuppiter Capitolinus*) სექტემბრის თვეში. 366 წლის დადგენილებით სენატმა ამ დღეობის ჩატარება დაავალა კურულთა ედილს.

ასე რომ, რომაულ ხალხურ პოეზიაში მომზადებული იყო ნიადაგი ლიტერატურული დრამატული პოეზიის შესაქმნელად და განსავითარებლად. ასეთი ლიტერატურული ჟანრის განვითარებას ბიძგი მისცა 240 წელს ლივიუს ანდრონიკეს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა. ამ წელს მან დადგა სცენაზე ბერძნული დრამა. ეს ის დრო იყო, როდესაც დამთავრდა პირველი პუნიკური ომი და სენატს სურდა, ამ დიდი ომის შემდეგ რომი არ ჩამორჩენოდა სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ელინისტურ ქალაქებს: ამიტომ, სენატმა დაავალა კურულთა ედილს ჩაეტარებინა სასცენო თამაშობანი. მართალია, წყაროები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, სენატმა დაავალა ლივიუს ანდრონიკეს, თუ თვით ანდრონიკემ მიმართა სენატს სათანადო შუამდგომლობით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ნაციონალური დღეობის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, რომელსაც რამდენიმე წლით ადრე (249 წელს) სენატმა დაავალა შეეთხზა *carmen saeculare*.

ამგვარად, 240 წელს პირველად დაიდგა ბერძნული დრამა და ხალხური *ludi latini*-ს გვერდით გაჩნდა *ludi graeci*, რომლებმაც ხელი

შეუწყეს იმას, რომ ლათინთა ძველ ხალხურ სანახაობებს მისცემოდა ლიტერატურული სახე. და ამერიდან რომაულ სცენაზე ჩნდება ტრაგედიები და კომედიები.

ლივიუს ანდრონიკე სწერდა ტრაგედიებსაც და კომედიებსაც. ჩვენამდე მოღწეულია ანდრონიკეს დრამების მცირეოდენი ფრაგმენტები. როგორც ამ ფრაგმენტებიდან ჩანს, ანდრონიკეს დაუღვამეს ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტ რ ა გ ე დ ი ე ბ ი; გადარჩენილი სათაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოფოკლეს ტრაგედიებიდან უნდა მომდინარეობდეს Aias, Mastigophorus, Hermione, Tereus; ევრიპიდეს უნდა ეკუთვნოდეს Andromeda, Danaë და Ino, ხოლო ესქილესას ჰგავს Aegisthus. არის კიდევ გადარჩენილი ნაწყვეტები ტრაგედიებიდან „აქილევის რისხვა“ და „ტროადის ცხენი“.

„აიანტის“ ერთი ნაწყვეტი, სადაც ნათქვამია, რომ

ქება ეკუთვნის ვაჟკაცობას, მაგრამ დახე ბედს,  
ქრება ვითარცა გაზაფხულის არისა თოვლი,

უთუოდ გადმოგვეცემს სოფოკლეს „აიანტის“ სათანადო ადგილს (ტ. 1266).

ანდრონიკეს ტრაგედიებიდან ჩვენამდე მოღწეულია სულ 23 ციტატი (თითოეული მათგანი საშუალოდ თითო ტაქსს შეიცავს), რომლებიც 14 ტრაგედიას ეკუთვნიან.

რაც შეეხება კომედიას, ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით: მოღწეულია მხოლოდ სამნახევარი ტაქსი, რომლებიც სამსა თუ ოთხ კომედიას უნდა ეკუთვნოდეს. ორი მათგანის სათაური ცნობილია: Gladiolus („პატარა მახვილი“) და Ludius („მსახიობი“). ანდრონიკეს კომედიები ახალი ატიკური კომედიიდან არიან გადმოკეთებული. კომედიის მოქმედი პირები ბერძნები იყვნენ და მსახიობებმაც ბერძნული ტანისამოსი ეცვა; ასეთ კომედიას უწოდეს comoedia palliata (pallium — ბერძნული წამოსასხამი).

ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როდესაც ეპოსისათვის („ოდისეის“ თარგმანისთვის) ანდრონიკემ ადგილობრივი, რომაული საზომი იხპარა (სატურნული ლექსი), დრამებში იგი იამბურ ტრიმეტრსა და ტროქეულ ტეტრაამეტრს იყენებს. ამასთანავე, ისიც განსხვავებულია ანდრონიკესთან (და მომდევნო დრამატურგებთანაც), რომ ტრაგედიისათვის არა მარტო იამბური ტრიმეტრია გამოყენებული (რაც სავალდებულო იყო ბერძნულ ტრაგედიაში), არამედ ტროქეული ტეტრაამეტრიც. ერთა სიტყვით, მეტრიკა ტრაგედიისა და კომედიისა ერთნაირია. ეს უკანასკნელი გარემოება კი ნაწილობრივ გვიჩვენებს იმ სპეციფიკურ მოვლენას რომაულ დრამატურგიაში, რომ ერთი და იგივე პოეტი ტრაგედიებსაც სწერს და კომედიებსაც.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დრამებში ნახმარი იამბური საზომი ანდრონიკეს შეექმნას ბერძნული დრამების გავლენით. ეს საზომი უთუოდ იყო რომაულ ხალხურ პოეზიაში და იქ ჰქონდა მას ის განსხვავებული თვისებები, რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. საერთოდ კი, უაღრესად საყურადღებოა, რომ რომაელებს ჰქონდათ იამბური საზომები, რომლებიც ინდოევროპული წარმოშობისაა, და არაფერი სცოდნიათ დაქტილურ ჰეგზამეტრზე, რომელიც არ არის ინდოევროპული წარმოშობისა.

ლივიუს ანდრონიკეს დამსახურება რომაული ლიტერატურის წინაშე დიდია მიუხედავად იმისა, რომ თვით ძველი რომაელები სთვლიდნენ მის პოეზიას პრიმიტიულად და მოუხეშავად: ბერძენმა ანდრონიკემ საფუძველი ჩაუყარა ლათინურ ლიტერატურას და თავისი პრაქტიკული საქმიანობით ლიტერატურის ასპარეზზე დაუსახა გზა თავისი დროის რომაელებს, რომლებიც გაჰყენენ ამ გზას, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს შღვოქმედებითი მუშაობა და მტკიცე საფუძველი შეუქმნეს ორიგინალურ რომაულ ლიტერატურას.

§ 133. გნეუს ნევიუსი (დაახლ. 270 — 201 წწ). ანდრონიკეს მიერ გაკაფულ გზას მიჰყვება ანდრონიკეს დროსვე სალიტერატურო სარბიელზე გამოსული, პლებური წარმოშობის რომაელი მოქალაქე გნეუს ნევიუსი.

ნევიუსი კამპანიის ლათინური ქალაქიდან იყო. იგი პირველი პუნიკური ომის დროს (264 — 241) რომაელთა ჯარში მსახურებდა. დემოკრატიულად განწყობილი პლებეი თავის ლექსებში თავს ესმის პატრიციუსებს, ქვეყნის უბედურებად თვლის მათ ბატონობას:

*Falo Metelli Romae fiunt consules*

რომის საუბედუროდ მეთელები არიან კონსულებად —

ამბობს ნევიუსი 206 წელს დადგმულ ერთ-ერთ კომედიაში ამ წელს არჩეული კონსულის წინააღმდეგ. მეთელებმაც სამაგიერო გადაუხადეს: ჯერ იყო და ბოძზე მიაკვრევინეს ისეთივე სატურნული საზომით დაწერილი *Malum dabunt Metelli Naevio poetae* („მეთელები ცუდ ამბავს დაატეხენ თავს პოეტ ნევიუსს“), შემდეგ კი სატუსალოში ჩასვეს: სახალხო ტრიბუნების ჩარევამ იხსნა ის საპატიმროდან. ამის შემდეგაც განაგრძობდა ის თავის კომედიებში წარჩინებულთა წინააღმდეგ გამოსვლას. ჩვენამდე მოღწეულია სამტაეპიანი ნაწყვეტი ნევიუსის ერთი კომედიიდან, სადაც პოეტს სააშკარაოზე გამოაქვს გარყვნილი სციპიონის ინტიმური ცოდვები: „ის, ვინც ცნობილია თავისი ბრწყინვალე საქმეებით, ვის საქმეებსაც ხალხი უბადლოდ თვლის, იგი მისმა მამამ გამოიყვანა ჰეტერის ოთახიდან ოდენ წამოსასხამით ტანმიფარებულიო“. ეს ეხებოდა, როგორც ჩანს, სპიციონ აფრიკელს,

202 წელს ძამის ბრძოლაში გამარჯვებულს. ახალა უკვე ტრიბუნებმა ველარ უშველეს; ნევიუსი იძულებული იყო რომიდან გაქცეულიყო. 201 წელს გარდაიცვალა იგი აფრიკაში, ქალაქ უტიკაში.

ნ ე ვ ი უ ს ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. მართალია, ნევიუსი გაჰყვა ანდრონიკეს მიერ გაკვალულ ლიტერატურულ გზას და იმის მსგავსად თავისი მხატვრული შემოქმედებისათვის ბერძნულ ნაწარმოებებს იღებდა გადმოსაკეთებლად, მაგრამ მან ამ ბერძნულ მასალაში ბევრი რამ ორიგინალური შეიტანა რომაული სინამდვილის ასახვის მიზნით.

პირველ რიგში ეს ეხება ნევიუსის დრამებს, ტრაგედიებსა და კომედიებს. ჩვენამდე მოღწეულია ნევიუსის დრამების 79 ნაწყვეტი მისი 8 ტრაგედიიდან და 33 კომედიიდან, რომელთა სათაურებიც ვიცით, და კიდევ რამდენიმე სხვა დრამიდან, რომელთა სათაურები უცნობია. ცნობილია, მაგალითად, ტრაგედიების სათაურები: *Equus Troianus*, *Danaë*, *Iphigenia*, *Hector proficiscens*, *Lycurgus* (ეს უკანასკნელი უნდა მომდინარეობდეს ევრიპიდეს „ბაკქელი ქალების“ მიხედვით შეთხზული რომელიდაც ელინისტური ტრაგედიიდან). რაც შეეხება კომედიებს, ნევიუსი ახალი ატიკური კომედიის ავტორთა (დიფილეს, ფილემონისა და მენანდრეს) ნაწარმოებებს გადმოაკეთებდა ხოლმე, მაგრამ უფრო მეტად — საშუალო კომედიის ავტორთა (ალექსისის, ანტიფანეს და ვებულეს) ნაწარმოებებს დგამდა. ცნობილია მისი „კომედიები: *Acontizomenus Lydus*, *Tarentilla* და სხვები. ნევიუსის დრამების დასახასიათებლად უნდა ითქვას შემდეგი:

1. ბერძნულიდან გადმოკეთებულ დრამებში ნევიუსმა რომაული სინამდვილის ასახვა გამოხატა გარეგნულად დრამატურგიული ხერხითაც: მთავარი მოქმედი პირები გამოაჰყავდა რომაულ ტანისამოსში გამოწყობილი. რადგან ტრაგედიაში მითოლოგიური გმირები იყვნენ ასახული, ამიტომ ტრაგედიის გმირს ჩააცვა რომაელ წარჩინებულთა ძვირფასი, ოქრომკედით მოქარგული *praetexta*. ხოლო კომედიის გმირი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეხვედრილი რომაელის ამსახველი უნდა ყოფილიყო, გახვია რომაელი მოქალაქის ყოველდღიურად სახმარებელ  *toga* -ში, ამიტომ არის რომ ნევიუსის ტრაგედიას ჰქვია *fabula praetextata*, ხოლო კომედიას — *fabula togata* (რომელმაც შესცვალა წინათ არსებული *fabula palliata*, რომელშიც გმირს ეცვა ბერძნული *pallium* „წამოსასხამი“ და არა რომაული *toga*).

2. ნევიუსი ბერძნულ ორიგინალებს ეყრობოდა უფრო თავისუფლად, ვიდრე ანდრონიკე. მან პირველმა მიმართა ახალ ხერხს, კონტამინაცია: ორი ან სამი ბერძნული კომედიის შეერთებით აკეთებდა ერთ რომაულ კომედიას. სინამდვილეში ეს კონტამინაცია

იმაში გამოიხატებოდა, რომ საფუძვლად აღებული კომედიის გმირს სხვა კომედიიდან აღებული და პირველის მსგავსი გმირის თვისებებს მიაკუთვნებდა და მის სიტყვებსაც ათქმევინებდა.

ვ. დრამის შინაარსშიც შეჰქონდა ნევიუსს რომაული, ნაციონალურა ელემენტი. უფრო მეტად ეს მოსახერხებელი იყო კომედიაში, რომელიც თავისთავად ყოფაცხოვრების ამსახველი იყო; ბერძნულიდან გადმოკეთებულ კომედიებში ნევიუსი ახერხებს და გმირებს ათქმევინებს ისეუ სიტყვებს, რომ ლეიტი გულისხმობენ რომაული სინამდვილიდან აღებულ რომელსამე შემთხვევას, რომლის გაიციხვა სურს ნევიუსს. ასეთაა, მაგალითად, ის ადგილი ერთი კომედიიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ და სციპიონ აფრიკელის გარყვნილებას ეხება. სხვა კომედიებში ნევიუსი თავს ესხმის პეტერებს, რომლებიც ბურთივით ათამაშებენ თავიანთ საყვარლებს, რომაელ პატრიციუსებს. ბუნებრივია, რომ პატრიციუსთა და მაღალი თანამდებობის პირთა განქიქვით ნევიუსი ექომაგება მდაბიო ხალხს, რომელიც წელშია გაწყვეტილი იმ მძიმე უღლისაგან, პატრიციუსებმა რომ დაადგეს.

„აქ წისქვილის ქვა რახრახებს, იქ ბორკილები ჩხარუნებს“.

„მე არ ვიცი, რა უფრო დაქევილია: კისერი თუ ზურგი“.

„საჭიროა მოითმინო: მოკვდავნი ბევრ ბოროტებას ითმენენ“.

აქეთ სიტყვებს ათქმევინებს ნევიუსი თავის გმირებს რომაელი მონების მდგომარეობის გამოსახატავად.

ნევიუსის დრამების ასეთი ხასიათის გამო ეამბობთ ჩვენ, რომ ნევიუსმა საფუძველი ჩაუყარა რომაულ ნაციონალურ დრამას.

ნევიუსმა საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე ნაციონალურ ეპოსსაც. მის კალამს ეკუთვნის პოემა *Bellum Poenicum* („პუნიკური ომი“), რომელიც მან მაშინ დაწერა, როდესაც სამშობლოდან გაძევებული იყო და მშობლიურ სცენას მოშორებული. ამ პოემის ორმოციოდე ფრაგმენტია მოღწეული; გარდა ამისა, გვაქვს გრამატიკოსთა ცნობები. პოემა შთაგონებულია ბერძნული ეპოსით, ფორმაც მისგან არის ნასესხი: იწყება მუზებისადმი მიმართვით (*Novem Jovis concordēs filiae sorores* — „იუპიტერის ცხრა ქალიშვილი, ერთგული დები“). შემდეგ, სანამ ძირითად თემაზე, პირველი პუნიკური ომის აღწერაზე გადავიდოდეს, ნევიუსი მოგვითხრობს რომაელთა ნაციონალური გმირის, ენეასის, თავგადასავალს, რომის დაარსების ამბავს და კართაგენის ისტორიას. ერთი სიტყვით, პოემის ქვაკუთხედს შეადგენს რომაელთა თავგადასავალი; ამიტომ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ „პუნიკური ომი“ — ნაციონალური ეპოსია.

პოემა დაწერილია იმ საზომით, რომელიც ჯერ კიდევ ანდრონიკემ მიუკუთვნა ეპიკურ ჟანრს — ძველი, ადვილობრივი სატურნული



ლექსით; ხოლო დრამების საზომი იამბურია (ე. წ. იამბური სენარო ან სეპტენარი, ესე იგი — ექვსტერფიანი იამბი და შვიდტერფიანი იამბი).

ნევიუსი, როგორც პლემბური წრეების წარმომადგენელი, თავის ნაწერებში ხალხური სალაპარაკო ენით მეტყველებს: თანამედროვეთა შთაბეჭდილებებით მან მწერლობაში ნამდვილი ლათინური ენა იხმარა და ამით დიდი ამაგი დასდო ნაციონალურ საქმეს. შემონახულია ეპიკაჟია, რომელშიც აღწმუნულია ნევიუსის ეს ღვაწლი: „უკვდავთ რძე შეეძლოთ მოკვდავთა დატირება, ღვთაებრივი მუხები დაიტირებდნენ პოეტ ნევიუსს. მას შემდეგ რაც ნევიუსი გაემგზავრა საიჩიოს, რომში დაავიწყდათ ლათინური ენა“.

§ 134. კვინტუს ენიუსი (Quintus Ennius, 239 — 169 წწ.). ნევიუსის უმცროსი თანამედროვე კვინტუს ენიუსი რომაულ ლიტერატურაში ახალი მიმდინარეობის წარმომადგენელია და თვით ნევიუსსაც, როგორც დემოკრატიული განწყობილების პოეტსა და ნაციონალური ელემენტების შემომტანს მწერლობაში, დიდ წინააღმდეგობას უწევს. ამის მიზეზი ორგვარია:

1. ენიუსი კალაბრიელია. 204 წელს, მეორე პუნიკური ომის დროს კალაბრიაში მსახურებდა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში როგორც ცენტურიონი. კატონის რჩევით რომში ჩავიდა, სადაც მასწავლებლობა დაიწყო; როგორც სამხრეთ-იტალიელი იგი ბერძნულ ენასაც თავისუფლად ფლობდა, ისე რომ რომაელ წარჩინებულთა შვილებს ლათინურსაც ასწავლიდა და ბერძნულსაც. რომში ენიუსი მოხვდა, ამრიგად, დიდებულთა წრეში, დაუახლოვდა, მაგალითად, სციპიონებს; განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში იყო მარკუს ფულვიუს ნობილიორთან, რომელსაც ენიუსი თან დაჰყვებოდა მის ლაშქრობაში როგორც „კარის პოეტი“. ამ დიდებულის შვილი კვინტუს ფ. ნობილიორი აგრეთვე დიდი თანამდებობის პირი იყო, 184 წელს მან მიანიჭა ენიუსს მოქალაქის უფლება და ენიუსმა მისი სახელიც („კვინტუსი“) მიიკეთა. წარჩინებულთა წრეებთან ეგზომ დაახლოებული პოეტი, ცხადია, ვერ გაიზიარებდა ნევიუსის დემოკრატიულ აზრებს.

2. პირველი პუნიკური ომის შემდეგ, რომელიც რომაელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, რომაელები ფართო პოლიტიკაზე გადავიდნენ. მსხვილი მიწათმფლობელობის გაზრდასთან და ფართო აღებ-მიცემობასთან დაკავშირებით იცვლება სოციალური და ეკონომიური ურთიერთობები, იცვლება რომაელთა საგარეო პოლიტიკა. თუ აქამდე ეს უკანასკნელი იტალიით იყო შემოფარგლული, ახლა იგი თავის არეს აფართოებს და რომის სახელმწიფოს ინტერესთა ორბიტში შემოჰკავს მთელი ხმელთაშუაზღვეთი, აქ, პირველ რიგში, საბერძნეთისკენ იქიარებია რომაელი დამპყრობლები, სწორედ ის ფენები, რომ-

შელთა წრეში დავაქაცდა ენიუსი როგორც საზოგადო მოღვაწე და როგორც პოეტი. მის შემდეგ რაც ხანგრძლივ ომში კართაგენელებთან რომაელებმა მოიპოვეს გამარჯვება და ხმელთაშუა ზღვის აუზში პირველობას ჩემულობენ, ისინი თავიანთ თავს თვლიან იმ დიდი ხალხის (ბერძნების) მემკვიდრეებად, რომელიც ამ აუზს ფლობდა წინა საუკუნეებში: რომაელები თვლიან თავს ბერძნების მემკვიდრეებად. საამისოდ ისინი ფართო აგიტაციასაც ეწევიან თვით ბერძნებში და ბერძნულ ენაზე სწერენ, ბერძნებს შორის გავრცელების მიზნით, რომის იატორიას. ასეთი იყო, მაგალითად, ფ ა ბ ი უ ს პ ი ქ ტ ო რ ი ს ანალები“.

როგორც პოლიტიკაში წარჩინებული რომაელები ბერძნული სამყაროს მემკვიდრედ აცხადებენ რომის სახელმწიფოს, ისე ენიუსიც რომაულ ლიტერატურას ბერძნული ლიტერატურის მემკვიდრედ თვლის. აქედან გამომდინარეობს ახალი შეხედულება რომაული ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ: რომელი პოეტი რაც შეიძლება ნაკლებ უნდა დაშორდეს ბერძნულ ორიგინალებს. ამით, ცხადია, ენიუსი უპირისპირდება დემოკრატიული შეხედულებების მქონე ნევიუსს, რომელსაც ბერძნულიდან გადმოკეთებულ თხზულებებში რაც შეიძლება მეტი რომაული ელემენტი შეჰქონდა.

ენიუსის შემოქმედება. ენიუსის მიერ ლიტერატურაში შემოტანილი ახალი მიმდინარეობა ყველაზე უკეთ ასახულია მის პოემაში „Annales“. ამ პოემაში, რომელიც 18 სიმღერად იყო დაწერილი და 30. 000 ტაეპს შეიცავდა, მოთხრობილი იყო მთელი ისტორია რომისა, ენეასის თავგადასავლით დაწყებული და III საუკუნით მოთავებული. ის გარემოება, რომ ენიუსმა თავისი პოემისთვის ნაციონალური თემა აიღო, არაფრით არ აბათილებს ჩვენ მიერ ზემოთ წამოყენებულ დებულებას ენიუსის ახალი, ბერძნული მიმართულების შესახებ. ნევიუსის მიერ იმდენად მკვიდრად იქნა დაფუძნებული ლიტერატურაში რომაული თემატიკა (შდრ. მისი „პუნიკური ომი“), რომ სხვანაირ თემატიკას პოემისათვის არც მიიღებდა საზოგადოება. განსხვავება ძველსა და ახალ მიმართულებას შორის იმაშია, თუ როგორ არის დამუშავებული ესა თუ ის თემა. ენიუსის პოემას თავიდან ბოლომდე გასდევს ჰომეროსული მიდგომა.

ჰომეროსის მსგავსად, ენიუსი იწყებს მიმართვით „ოლიმპოს მუზებისადმი“. შემდეგ ენიუსი მოგვითხრობს, რომ მას სიზმარში გამოეცხადა ჰომეროსი, რომელმაც უთხრა კვინტუს ენიუსს — ამიერიდან ჩემი სული შენს სხეულში გადმოსახლდაო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამით ენიუსი თავის თავს ჰომეროსის მემკვიდრედ აცხადებს და კიდევაც ვალდებულად თვლის თავს წეროს ჰომეროსისებურად, ჰომეროსის სტილით, მისი მხატვრული ზერხებით. „ანალების“ 18 წიგ-

ნიდან მხოლოდ 219, მეტწილად თითოტაეპიანი ნაწყვეტია ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ენიუსი ჰომეროსის პოემებიდან ღებულობს მხატვრულ სახეებს, ცალკეულ გამოთქმებს და ზოგჯერ გრამატიკულ ფორმებსაც კი (მაგალითად, Metioco ატარებს ჰომეროსის მიერ ხშირად ხმარებული ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას oio).

ჰომეროსის მსგავსად მღერისადმი მისწრაფებას აკვირვებენ ენიუსის მიერ დაქტილური ჰეგზამეტრის შემოტანა ნაცვლად რომში იმთავითვე ხმარებული სატურნული ლექსისა. ენიუსი პირველი პოეტია, რომელმაც შექმნა ლათინური ჰეგზამეტრი. ეს საზომი უცხო იყო რომაოლი პოეზიისათვის და საჭირო იყო დიდი ვირტუოზობა, რომ ლექსი მოქნილი და ადვილი მოსასმენი ყოფილიყო, ენიუსიც ბევრნაირ ოსტატობას მიმართავს, რომ მიზანს მიაღწიოს: ერთ-ერთ ხერხს ალიტერაცია წარმოადგენს. ასე, მაგალითად:

ფრგ. 34: o Tile lule Tati libi tanta tyranne tulisti

ასეთი ოსტატობით გამართულმა ჰეგზამეტრმა განდევნა პოეზიიდან სატურნული ლექსი, და ამიერიდან ჰეგზამეტრი ლათინურ პოეზიაში (არა მარტო ეპიკურში) მთავარ საზომად იქცა.

ენიუსის მიერ შექმნილი მეტრი და ეპიკური სტილი ამიერიდან სანიმუშო გახდა პოეტებისათვის, და მთელ ამდროინდელ ეპიკურ პოეზიაშიც არ მოიძებნებოდა არც ერთი სხვა ნაწარმოები, რომელიც ისე პოპულარული ყოფილიყო, როგორც „ანალები“; მხოლოდ ვერგილიუსის „ენეიდა“ გაუწია მას მეტოქეობა და იმდენად დაჩრდილა იგი, რომ მისი ტექსტიც კი აღარ დარჩა.

ენიუსის დრამები. როგორც დრამატურგს, ენიუსს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი არა მარტო თავის თანამედროვეებს შორის, არამედ მომდევნო თაობებშიც: განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ტრაგედიები, რომლებიც, როგორც ციცერონი გვიმარტობს. I საუკუნეშიც სიამოვნებით იკითხებოდა პაქუვიუსისა (220 — 130 წწ.) და აქციუსის (170 — 85 წწ.) ტრაგედიებთან ერთად.

ჩვენამდე მოღწეულია 20-ზე მეტი ტრაგედიის სათაური და 372 ტაეპი. ამ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ ენიუსი უფრო მეტად ევრიპიდეს ტრაგედიათა გადმოკეთებას ამჯობინებდა. ასე, მაგალითად, ევრიპიდეს ტრაგედიებიდან მომდინარეობენ ენიუსის დრამები: „მედეა“, „იფიგენია“, „ანდრომედა“, „მელანიპე“, „ალექსანდრე“. ენიუსი ამუშავებდა აგრეთვე ესქილეს ტრაგედიებსაც („ევმენიდები“).

ნევიუსის ღვაწლს ცუდად არ ჩაუვლია. ეს ჩანს იქიდან, რომ ენიუსს ჰქონია რამდენიმე fabula praetextata. გარდა ამისა, ორ შემთხვევაში ენიუსს უცდია რომაული თემა დაემუშავებინა: ერთ ტრაგედიაში

თემად აჟღერებდა საბინელი ქალების მოტაცება რომაელების მიერ (გამო-  
უყენებია ევრიბიდეს „ფინიკიელი ქალები“ და „ტროელი ქალები“).  
მეორეში („Ambracia“) — ქალაქ ამბრაკის დაპყრობა რომაელების  
მიერ 189 წელს.

რაც შეეხება ენიუსის კომედიებს, ჩვენ გვაქვს ცნობა მხოლოდ მი-  
სა ორა კომედიის შესახებ, რომელთა ტექსტიდან ხუთიოდე ტაჟია  
მოღწეული.

ს ა ტ ი რ ე ბ ი. კვინტუს ენიუსმა რამდენიმე ახალი ენა შემოი-  
ტანა ლიტერატურაში. მათ შორის სატურები („ნარევი“) მეტად პოპუ-  
ლარული იყო საზოგადოებაში. ეს იყო კრებული წვრილი ნაწარმოე-  
ბებისა, რომლებიც სხვადასხვა თემას ენებოდა. ამ კრებულში შეტანილი  
ერთ-ერთი ნაწარმოები იყო „სციპიონი“, სადაც შექმნილია ცნობილი  
რომაელი სარდალი პუნიკური ომების დროს, სციპიონ აფრიკელი.<sup>1</sup>

„როგორ ქანდაკებას დაგიდგამს რომაელი ხალხი, — ამბობს პოეტი  
სციპიონზე — როგორ სეგტს აღგიმართავს, რათა მან მოუთხროს შენს  
საგმირო საქმეებზე“. ამავე კრებულში შეტანილი იყო ზნეობრივი დარი-  
გებები, არაკები, საუბრები პოლიტიკური ხასიათისა.

ამგვარი კრებულის შედგენა უთუოდ არის გამოძახილი ელინის-  
ტურ საბერძნეთში გავრცელებული წესისა: ჯერ კიდევ კალიმაქემ  
ცნობილ „იამბებში“ თავი მოუყარა სხვადასხვა შინაარსის ლექსებს  
(ნოველებს, არაკებს და სხვ), ხოლო სხვა პოეტებმა თავიანთ კრებუ-  
ლებს დაარქვეს „ნარევი“, „ზოგი რამ“, „წვრილ-წვრილი ამბები“.

ასე მრავალფეროვანი იყო კვინტუს ენიუსის ლიტერატურული  
მოღვაწეობა. მთავარი მის მოღვაწეობაში მაინც ის იყო, რომ მან  
თავისი „ანალებით“ რომაული ეპიკური სტილი დაამკვიდრა, რომე-  
ლიც ვერგილიუსის „ენეიდამდე“ (I საუკუნის მეორე ნახევარამდე).  
რომაულ ლიტერატურაში წამაგან როლს ასრულებდა. მის მიერ შემო-  
ტანილი ლათინური ჰეგზამეტრი ფართოდ გავრცელდა ლიტერატურა-  
ში არა მარტო ეპოსში, არამედ პოეზიის სხვა დარგებშიც, და გაბატო-  
ნებული მდგომარეობა ჰქონდა რომის იმპერიის არსებობის მთელ  
მანძილზე, კიდევ მეტი, მის შემდეგაც საშუალო საუკუნეების ლათი-  
ნურ პოეზიაში. გარდა ამისა, ენიუსის „ანალები“, ბოლოს და ბოლოს,  
პირველი ლათინური საისტორიო თხზულება იყო. მემკვიდრე თაობე-  
ბიც მას უფრო ამ მხრივ იცნობდნენ: ციცერონის მიერ (Tuscul disp.  
I. 34; I, 117) მოყვანილ ენიუსის ეპიტაფიაში ეკითხულობთ: „მოქალა-  
ქენო! დახედეთ მოხუცი ენიუსის სახეს. მან აღიდა თქვენი წინაპ-  
რების საგმირო საქმეები. პატივისცემად არ მინდა ცრემლი, არც  
მოთქმით გლოვა. მე ცოცხალი ვიფრენ თქვენ შორის მუდამ“.

<sup>1</sup> ზოგიერთი მკვლევარი „სციპიონს“ თვლის პრეტქსტიან ტრაგედიად.

§ 135. ორი ლიტერატურული მიმდინარეობა. მესამე საუკუნის სამ პოეტის — ანდრონიკეს, ნევიუსისა და ენიუსის — შემოქმედების განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ რომაული ლიტერატურა მისი არსებობის პირველ საუკუნეში ვითარდებოდა ბერძნული ლიტერატურის გავლენის ქვეშ, ამ პირველ პერიოდშივე შევნიშნეთ ზოგიერთ მწერალთა ცდა რომაული სინამდვილე აესახათ ზერძული წარმოშობის ლათინურ ნაწარმოებებში. შევნიშნეთ ავრეთვე ბრძოლა ორ მიმართულებას შორის.

III — II საუკუნეებში ეს ბრძოლა ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის მკაფიოდ მოჩანს ამ საუკუნეთა ორი ბუმბერაზი მწერლის შემოქმედებაში. ესენი არიან კომედიოგრაფები პ ლ ა ვ ტ ე და ტ ე რ ე ნ ც ი უ ს ი .

## პლავტა

251—184 წწ.

§ 136. პლავტე. ორაგინალური რომაული ლიტერატურის ერთი ფუძემდებელთაგანი და ლათინური სალაპარაკო ენის უხვი მასალის შემცველ კომედიათა ავტორი Titus Maccius Plautus დაიბადა უმბრიაში, ქალაქ სარსინაში. რომელიც უმბრიისა და გალიის საზღვარზე მდებარეობს. ამ ქალაქის მოსახლეობა შერეული იყო. მხოლოდ 266 წელს დაიპყრეს იგი რომაელებმა. ასე რომ მას ჯერ კიდევ ნათლად გამოხატული რომაული სახე არ ექნებოდა პლავტეს ბავშვობის წლებში. ვარონის გადმოცემით (Gellius III 3, 14)<sup>1</sup> პლავტე რომში ჩასვლის პირველ ხანებში თეატრის მსახურად იყო; აქ მან საკმაო ქონება შეიძინა, მაგრამ პანიბალთან ომის დროს ის უცხოეთში ვაჭრობდა და აქ მთელი თავისი ქონება დაკარგა, გაკოტრდა. ამის შემდეგ ის დაბრუნდა ომში, სადაც — გალატაკებულ —

---

<sup>1</sup> Aulus Gellius დაიბადა 130 წელს ახ. წ. 165 წლის მახლობელ ხანებში იმოგზაურა საბერძნეთში დიდხანს დაყო ათენში, შემდეგ დაბრუნდა იტალიაში და რომის მახლობლად, პრენესტეში, ცხოვრობდა თავის მამულში. აქ მან შეაჯამა თავისი შთაბეჭდილებანი და წამუშევარი ათენში და დაგვიტოვა წიგნი „ატეკური ღამეები“ (Noctes Atticae), სადაც მოათავსა ნაწიკვებები სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებზე.

შეუდგა საარსებო საშუალებათა ძენას: მუშაობდა წისქვილში, წისქვილის ქვას ატრიალებდა.

თეატრში სამსახურისა და მოგზაურობის წყალობით პლავტემ საკმაო ცოდნა შეიძინა, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, გაიცნო საბერძნეთის ცხოვრება და ბერძნული სცენა, რის შედეგებსაც ვხედავთ მის პიესებში. იმავე ვარონის გადმოცემით მას ჯერ კიდევ წისქვილში მუშაობისას დაუწერია სამი კომედია. დოკუმენტალურად დამოწმებულია, რომ 200 წელს დაიდგა სცენაზე პლავტეს კომედია *Stichus* (ეს მონის სახელია)<sup>1</sup>. ამაზე უწინარეს დადგმული იყო *Asinaria* (212 წელს), სადაც მოხსენებულია, რომ სციპიონ აფრიკელი, კურულის ედილი, დაესწრო წარმოდგენას (სციპიონი კი ედილად იყო 212 წელს). ხოლო უკანასკნელი ცნობა პლავტეს შესახებ გადმოგვცემს, რომ პლავტე გარდაიცვალა 184 წელს. ასე რომ პლავტეს თავისი კომედიები 212 — 184 წლებში უნდა ჰქონდეს დაწერილი. პლავტე მხოლოდ კომედიებს სწერდა. სხვა დარგში მას არ უმუშავია.

პლავტეს სახელით, გელიუსის ცნობით, გავრცელებული ყოფილა 130 კომედია. აქედან ვარონი მხოლოდ 21-ს თვლიდა პლავტეს უეჭველ კუთვნილებად. არსებობდა მეორე აზრიც: ვარონის მასწავლებელი ლ. ელიუსი წერს: -- „ა. გელიუსი — კაცი ძალიან კარგი მცოდნე, ფიქრობდა, რომ პლავტეს მხოლოდ 25 კომედია ეკუთვნოდა. თუმცა უეჭველია, რომ ის კომედიები, რომლებიც მისი ნაწარმოებებში არ არიან და მის სახელს კი ატარებენ, ძველი პოეტების ნაწარმოებებში უნდა იყოს, პლავტეს მიერ გადამუშავებული: ამით აიხსნება, რომ ისინი პლავტეს სტილს მოგვაგონებენ“ (გელიუსი, III, 3, 12 — 13). ვარონის აზრი დამკვიდრდა ჯერ კიდევ ძველ ეპოქაში და მის მიერ უდავოდ აღიარებული 21 კომედია ცალკე იქნა შეკრებილი და

---

თავან და ჩაწერა თავისი საუბრები იმდროინდელ მეცნიერებთან და ფილოსოფოსებთან. ეს თხზულება 20 წიგნისაგან შედგება და შეიცავს უმოაერესად ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მასალას, ძვირფასს ანტიკური კულტურის შესაცნობად.

<sup>1</sup> მოღწეულია ამ კომედიის დიდასკალია, სადაც ვკითხულობთ:

*Stichus* — *Graeca Adelphoe Menandru — acta ludis plebeis* — Cn. Baebio L. Terentio aed. pl. — (egil) — T. Publius Pellio — (modos fecit) Marci Por Oppii — libiis Sarranis tolom — C. Sulpicio C. Aurelio coss.

სტიხუს, ბერძნული კომედია. მენანდრეს „ძმები“. გათამაშებული პლებეურ გასართობებზე. პლებეურ ედილებად იყვნენ ბებიუსი და ტერენტიუსი. თამაშობდა პუბლილიუს პელიონი. ხმები შეუწყო ოპიუსის მონამ მარციპორმა სარანული ფლეიტებისათვის. მთლიანად. კონსულეზად იყვნენ კ. სულპიციუსი და კ. აერელიუსი.

fabulae Varronianae-ს სახელწოდებით გადმოეცა შთამომავლობას და მოღწეულია ჩვენამდეც გარდა Vidularia-სი („ხურჯინი“), რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია დაცული.

ყველა ამ კომედიას საფუძვლად უდევს ბერძნული კომედია, რასაც თვით პოეტის სიტყვები ადასტურებს. ასე, მაგალითად, „ვაჟის“ (Mercator) 9 — 10 სტრიქონებში პოეტი წერს:

ბერძნულად მას ეწოდება „ემპოროსი“ ფილემონის,  
ლათინურად „მერკატორი“ მას შეარქვა მაკეი ტიტემ.

კომედიას „სამშაურიანი“ პროლოგში (18 — 20) უწერია:

ამ ფაზელას ეწოდება ბერძნულითა „თენსაურა“:  
ის დაწერა ფილემონმა, ბარბარულად პლაგატემ თხზა,  
მას დაარქვა „სამშაურა“.

Asinaria („კომედია ვირჯი“). პროლოგით, გთხოვთ, მაუერებლებო, ჩემდა და თქვენდა პაროდიისთვის, თეატრის უფროსისა და მსახიობთა დასის პაროდიისთვის, ყური მიგდით. ჰე, შურტავ, მოუხმე ხალხს. ახლავე ვერტუციო, რატომ გამოვედი აქ. იცოდეთ ამ კომედიის სათური, შინაარსსაც მოკლედ ახლავ ვერტუციო, რისი თქმაც მინდა. ბერძნულად კომედიის სათურია „ვირის კომედია“. იგი შეეხზა დემოფილემ. პლაგატემ ჩვენს ენაზე გადათარგმნა და დაარქვა Asinaria. ბევრს სასაცილოს იპოვით იქ, ოხუნჯობასა და ანცობას. გთხოვთ მოწყალებას.

ასე, ბევრ კომედიაში დასახელებულია ის ბერძნული კომედიები, რომლებიც ლათინურად („ბარბაროსულად“) გადმოაქეთა პლაგატემ. დასახელებული არიან ამ კომედიების ბერძენი ავტორებიც. ესენი არიან უმთავრესად ფილემონი, მენანდრე და დიფილე, ახალი კომედიის წარმომადგენლები. მაგრამ, როგორც დავინახეთ, პლაგატე ბერძნული კომედიების სათაურებს ალათინურებს. მეორე მხრით კი მოქმედ პირთა სახელები მუდამ ბერძნულია; ბერძნულია აგრეთვე მოქმედების ადგილიც და მოქმედების ხასიათიც.

რამდენადაც პლაგატე იმ მიმართულების წარმომადგენელია, რომელიც რომაული სინადვილის ასახვას მოითხოვდა პოეზიაში, ამდენად ვასაგებია, რომ ის ბერძნულ ორიგინალებში მარტო სათაურებს კი არ შესცვლიდა, არამედ შინაარსსაც შეუფარდებდა რომაულ სინადვილეს. ასე:

1. ბერძნულ კომედიებში იხსენიებოდა ბერძნული დაწესებულებები, მაგალითად, სისხლის სამართლის დადგენილებები სისრულეში მოპყავდათ ე. წ. *de iure*-ს („თერთმეტს“). ამათ ბაღლად პლაგატეს გამოპყავს რომაელი მოხელეები, სისხლის სამართლის ტრიუმვირები.

2. ბერძნულ კომედიაში ხშირია ჰეტერა — განათლებული ქალი

ბრწყინვალე საზოგადოებაში. პლავტეს კომედიებში ამის ნაცვლად გამოყვანილია ჩვეულებრივი თავისუფალი ქცევის ქალი.

3. ბერძნული კომედიის პარაზიტი არის მოქეიფე ახალგაზრდა, არისტოკრატიული მანერებით; ის ათენის საზოგადოებაში მიღებული პირია, მისი მოსწრებელი თქმები და მხიარული ანეგდოტები საუკეთესო გასართობია საზოგადოებისათვის. ასეთი ტიპი პლავტეს-დროინდელი რომისათვის უცნობია. პლავტეს პარაზიტი, ჩვეულებრივ, ღორმუცელა ადამიანია, რომელიც მუდამ ოცნებობს გემრავლ საქმელებზე.

ამგვარად, პლავტე ეყრდნობოდა IV — III საუკუნეების ბერძნულ კომედიას, ხოლო უფარდებდა მათ რომაულ სცენას და რომაულ სინამდვილეს. იგი აძლიერებდა ბერძნული დედნების საოხუნჯო ნაწილს და შექმნდა იქ ახალი სცენები და დიალოგები. ეს სცენები სავსე იყო უწმინდური ადგილებით, ქუჩური სიტყვებით და გამოთქმებით.

პლავტე წინააღმდეგია გაბატონებული არისტოკრატისა. რომელიც დიდს დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებს. პლავტეს სამხედრო პირები ეჯავრებოდათ; პლავტესაც სამხედრო პირები გამოჰყავს ტრაბახა ადამიანებად (კომედია *Miles gloriosus* „მკვეხარა მხედარი“), გარდა ამისა ის დასცინის მაშინდელი ქალაქის დამახასიათებელ მევახშეობას,<sup>1</sup> გარყვნილებას, მაჰანკლობას და უპირისპირებს მას უმწიკვლო სოფელს.

შესანიშნავად არიან დახასიათებული რომაელი მატრონები. ისინი გათამამებული არიან ქმრის ოჯახში, სადაც დიდძალი მზითვები მიიტანეს: ჩემი მზითვი მეტია, ვიდრე მთელი შენი ქონებაო — ეუბნებიან ისინი ქმრებს — და მთელი დღე მათი სახლის კარებთან, რიგრიგობით აიტუზებიან ხოლმე მაულის გამყიდველი, ოქრომჭედელი, მეარშიე, მკერავი და თმის დამხვევი, თეთრეულის ვაჭარი და ფერუმარლის გამყიდველი, მღებავი და ჩით-მერდინის ღუქნის პატრონი, მესანდლე და მეწაღე (კომედია *Aulularia* „ქილა“).

განსხვავებულია ბერძნული ახალი ატიკური კომედიებისაგან და, ამდენად, ორიგინალურია პლავტეს კომედიები დრამატურგიული ტექნიკითაც. რომაული სინამდვილიდან აღებული სურათები ასახულია პლავტეს მიერ მოქმედ პირთა შორის განვითარებული ინტრიგის ისეთი დახლართვით, რომ მაყურებელი დაძაბული ყურადღებით და გამახვილებული ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს დრამატული კვანძის მოულოდნელ განასკვას და ასევე მოულოდნელ გახსნას.

<sup>1</sup> კ. მარქსმა აღნიშნა პლავტეს კომედიებში გამოხატული ხალხის სიძულელი ნიღბებისადმი.



ამიტომაც არის, რომ პლავტეს კომედიას უწოდებენ „ინტრიგათა კომედიას“.

აი, მაგალითად, როგორ ავითარებს პლავტე ინტრიგას კომედიაში „ფსევდოლე“.

*Pseudolus*. საუბრობენ ახალგაზრდა კალიდორე და მისი მონა ფსევდოლე. კალიდორეს უყვარს ფენიკია, მაგრამ ფენიკია თავისუფალი არაა; იგი ქალებით მოვაჭრე ბალიონის ხელშია. სატრფო წერილით ატყობინებს კალიდორეს, რომ ბალიონს იგი 20 მინად მიუყიდა ერთი მაკედონიელი ოფიცრისათვის, რომელსაც 15 მინა უკვე გადაუხდია, ხოლო დანარჩენი 5 მინა თავის მსახურს, ჰარპაგს, უნდა გაჰოატანოს, თან წერილი უნდა გამოატანოს ბექედლასმული. მონა ფსევდოლე გამოქნილი, ეშმაკი და მოხერხებული კაცია; ის უკვე ინტრიგების ქსელს აბამს, სათანადო გეგმას ადგენს, რომ რამენაირად ფენიკია თავის ბატონს ჩაუვდოს ხელში. კალიდორე და ფსევდოლე ამ საქმეზე ჩაფიქრებულნი რომ დგანან, სცენაზე გამოჩნდება ბალიონი. ის თავის სახლიდან გამოდის და ჯერ კიდევ განაგრძობს სახლეულთათვის განკარგულებების მიცემას: დღეს მისი დაბადების დღეა და სახელოვნად უნდა გადაიხადოს იგი. ის ბაზარში მიდის. მას წამოეწვიან კალიდორე და ფსევდოლე და უნდათ მასთან საუბარი გააბან. ბალიონმა კარგად იცის, თუ რა საქმე აქვთ მათ. იცის ისიც, რომ კალიდორეს ჯიბე მეტად თხელია. მართალია, მას ჰყავს შეძლებული მამა, სიმონი, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება მდიდარი მამის და მფლანგველი შვილის ურთიერთობის ამბავი. მაგრამ როდესაც ფსევდოლე გადაკვრით ეტყვის ბალიონს, რომ სახეირო საქმეზეა მოსული (ე. ი. მიახვედრებს, რომ ფულის მიცემას შეძლებენ), ბალიონი დათანხმდება — თუმცა მაკედონიელმა ოფიცერმა უკვე 15 მინა დაუტოვა — მისცეს კალიდორეს ქალი, თუ ის 20 მინას გადაუხდის ბალიონს.

ფსევდოლე გაუშვებს კალიდორეს ბაზარში — წადი, დატრიალდი, ეგების ფული იშოვო, თვითონ კი რჩება აქ და გეგმავს საქმეს, თუ როგორ უშველოს კალიდორეს. ამ დროს სცენაზე გამოვლენ სიმონი და მისი ამხანაგი კალიფონი, რომელსაც სიმონი შესჩივლებს თავისი ვაჟის თავაშვებულებას (ფსევდოლეს ისინი ვერ ამჩნევენ). ჩანს, მამას დამსგავსებიაო — ეუბნება კალიფონი და ამით მოაგონებს სიმონს მისი ახალგაზრდობის ცოდვებს. ამ დროს შეამჩნევენ ფსევდოლეს, რომელიც მათ საუბარს ყურს უგდებდა. მონა აუნსნის ყველაფერს, ეტყვის იმასაც რომ მას განზრახული აქვს რამენაირად 20 მინა გამოსცნოს მას, სიმონს, კიდევაც აფრთხილებს: იცოდე, მოტყუებით გამოგართმევ დღესვე ამ ფულსაო; მაგრამ მთავარი ის კი არ არის, სხვა ბრძოლა მაქვს გადასატანი, ბალიონსაც ქალი უნდა გამოვტყუო

ეშმაკობითო. სიმონი სანაძლეს სდებს ფსევდოლესთან: შენ თუ შენს გეგმას შეასრულებ და ბალიონს მოატყუებ, დაუსჯელსაც დაგტოვებ (რომ ჩუმად ყურს უგდებდი ჩვენს საუბარსო) და 20 მინასაც მოგცემო. ამ პირობით დაშორდებიან ისინი ერთმანეთს. მარტოდ დარჩენილი ფსევდოლე უცხადებს მაყურებელს: ღმერთებს ვფიცავ, არც კი ვიცი ყველაფერი ეს როგორ მოვახერხოო, და შედის სახლში მოსაფიქრებლად. ამასობაში ფლეიტისტები ართობენ საზოგადოებას.

უცბა ფსევდოლე გამოვარდება სახლიდან გახარებული: რალაც გეგმა შეუდგენია, რალაც კარგი აზრები მოსვლია, მაგრამ ჯერ არ ამბობს. მოულოდნელად თვალს მოჰკრავს ერთ კაცს, რომელიც ბალიონის სახლის წინ დგას და რალაცას დაეძებს. ფსევდოლე მიხვდება, რომ ეს ჰა რ ჰ ა გ ი უნდა იყოს, იმ მაკედონიელი ოფიცრის მსახური, რომელმაც ბალიონისაგან ფენიკია იყიდა: ალბათ, ქალის წასაყვანად არის გამოგზავნილი და ოფიცრის წერილიც თან აქვს. ფსევდოლე თავს დაანებებს მის მიერ შედგენილ გეგმას, უცბა ახალ რასმე მოიხაზრებს და წარსდგება ჰარპაგის წინაშე. ის მოახსენებს ჰარპაგს, რომ ის ბალიონის მსახურია, სირიელი, რომ ბალიონი შინ არ არის და რომ მან ყველაფერი კარგად იცის. თუ რისთვის არის მოსული; წერილს დაატოვებინებს და პაროლსაც გამოსტყუებს, მას კი ეტყვის: ბალიონის მოსვლამდე, აი, იმ დუქანში დაიცადეო.

ფსევდოლე ზეიმობს; მას ახლა ყველაფერი ხელში აქვს. შემოსულ კალიდორეს და მის მეგობარს ქ ა რ ი ნ ე ს უამბობს ყველაფერს, ეტყვის იმასაც, რომ ფენიკია დღესვე მათ ხელში იქნება, ხოლო საჭიროა ერთი მოხერხებული, ბალიონისათვის უცნობი კაცი მოიძებნოს, ოფიცრის მსახურის ტანისამოსი და 5 მინა. ქარინე მაშინვე იზოვის პარაზიტ ს ი მ ი ა ს, რომელსაც ბაზარში წაიყვანენ გადასაცემლად.

შემოდის ბალიონი, ბაზარში უყიდა სურსათი თავისი დღეობისათვის, მზარეულიც დაუქირავებია. როგორც ჩანს, სიმონი შეხვედრია და მისგან შეუტყვია, რომ ფსევდოლე მის მოტყუებას აპირებს, და აფრთხილებს მოსამსახურეებს, ეკრძალებთ ფსევდოლეს ეშმაკობასო — გამოჩნდებიან ფსევდოლე და ს ი მ ი ა (ვითომ — ჰ ა რ ჰ ა გ ი), ფსევდოლე მიიმალება, სიმია თვალებს აცეკებს, ვითომც დაეძებდეს რასმე და ვერ პოულობდის (აქაოდა უცხოელი ვარ და აქაურობისა არაფერი ვიციო). ბალიონი გამოელაპარაკება მას, ისიც გადასცემს მას წერილს მაკედონიელი ოფიცრის ბეჭდით, და 5 მინას. ბალიონი ფრთხილად არის, რომ არ მოტყუედეს; მართალია, საეჭვო თითქოს არაფერია, წერილის შინაარსიც სინამდვილეს შეეფერება და ბეჭედიც იმ ოფიცრისაა, მაგრამ მაინც ეჭვით უყურებს მომტანს და ეკითხება:

მითხარი იმ ოფიცრის სახელიო. მაგრამ... ფსევდოლეს დავიწყებია ოფიცრის სახელი ეთქვა სიმეასთვის; ფსევდოლე განზე დგას, სვეტს ამოფარებული და შიშისაგან კანკალებს... სიმეაც მოხერხებული აღმოჩნდა; გაღმა შეედავე, გამოღმა ხელში დაგრჩებო, და ბალიონს ეუბნება: რომ მე იმისაგან ვარ გამოგზავნილი, ამას გიმტკიცებს მისი ბეჭედი, მაგრამ თუ შენ მართლა ბალიონი ხარ, თვით მომასხენე მისი სახელიო. ბალიონი გამოართმევს ფულს და გამოუყვანს ფენიკიას. ფენიკია აცრემლებულია; მაგრამ მას მალე შეუშრება ცრემლები, რადგან ფსევდოლე შორიდან ანიშნებს, რომ ის კალიდორესთვის მიჰყავთ. ფსევდოლე ზეიმით გადის.

ზეიმს აპირებს ბალიონიც. მას უნდა მიახაროს სიმონს. რომ ფსევდოლე ხახამშრალი დარჩება (მაკედონიელმა ხომ გამოგზავნა თავისი წერილი და ქალი წააყვანინა). შემოდის სიმონიც, ამას არ სჯერა ბალიონის სიტყვები. ექვის თვალით უყურებს, (თითქოს მართლაც მაკედონიელს წაეყვანოს ფენიკია). ბალიონი სანაძლეოდ 20 მინას სდებს. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ მოდის ნამდვილი ჰარპაგი, რომელსაც მობეზრებია სამიკიტროში ლოდინი, აძლევს ბალიონს ხუთ მინას და ქალის მოცემას მოითხოვს. — ლამის ჰკუიდან შეიშალოს ბალიონი; აშკარაა, რომ ის ქალი ფსევდოლეს წაუყვანია მოტყუებით. დღესასწაული სამგლოვიარო დღედ გადაექცა მას და 20 მინაც სანაძლეო უნდა გადაუხადოს სიმონს.

სიმონთან მოდის ფსევდოლე სანაძლეო 20 მინის მისაღებად (სიმონი კი თავნება, მას ბალიონი გადაუხდის ამ 20 მინას). ფსევდოლე ზეიმობს (მას უკვე მოუსწრია სამიკიტროში ლენის გადაკვრა). მუსიკა სამხიარულოდ უკრავს. მაყურებელთ ეპატიყებიან — თუ მოგეწონათ, ხვალაც მობრძანდითო.

განსაკუთრებული გამომხაურება ჰპოვა მსოფლიო ლიტერატურაში პლაეტეს კომედიამ *Aulularia* (*aulula*—*ollula*, *olla* „ქილა“), სადაც ასახულია ფსიქოლოგიური განცდები ღარიბი მოხუცისა, რომელიც მოულოდნელად დიდი განძის მფლობელი გახდა.

ეკკლონი, კომედიის მთავარი გმირი, ღარიბი კაცი იყო და პატიოსანი შრომით ცხოვრობდა. ერთხელ, შემთხვევით, თავის სახლში წააწყდა ოქროთი საესე ქილას, რომელიც მის პაპას ჩემარხა მიწაში, და, ამრიგად, ერთბაშად გახდა დიდი ქონების პატრონი. ამას ზეენ ვტყობილობთ კომედიის პროლოგში, სადაც მონოლოგს წარმოთქვამს ღარი, ოჯახის კერის ღვთაება. ამავე ღარის სიტყვებიდან ვტყობილობთ, რომ ევკლიონს გასათხოვარი ქალი ჰყავს, ფედრა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ ცერერას დღეობაზე ერთ ახალგაზრდას გაუუპატიურებია; ქალმა არ იცის, თუ ვინ იყო ეს ახალგაზრდა,

ვაჟმა კი იცის ქალიშვილის ვინაობა. სწორედ ამ ქალიშვილის ბედზე ვაპოვნინე მოხუცს ის განძიო — ამბობს ლარი.

მაგრამ ამ ქილამ ნეტარების მაგიერ უბედურება მოუტანა ევკლიონს: მან დაჰკარგა სულიერი სიმშვიდე, წონასწორობა. სულ ჰგონია, რომ ყველანი მის ქილას უთვალთვალებენ, მის მოსაპარავად უჭირავთ. თვალი. ასე, მაგალითად, ევკლიონს ჰგონია, რომ მისი მოსამსახურე დედაკაცი, სტაფილა, მის განძს უთვალთვალებს. წამდაუწუმ უჩაგრდება, აგინებს. „ძალიან მეშინია მისი — ამბობს ევკლიონი, — შეიძლება მოულოდნელად მომეპაროს და დასტუნოს, საღ. მაქვს ოქრო შენახული“. ის ხშირად, დღეში ათჯერ მაინც, სახლიდან გააგდებს სტაფილას, რომ მარტო დარჩეს სახლში და დახედოს თავის განძს, არის თუ არა თავის ადგილას! ერთი სიტყვით, ევკლიონმა დაჰკარგა სულიერი წონასწორობა: მას ელანდება, რომ ყველამ იცის მისი განძის არსებობა (თუმცა მას ყველანი ძველებურად ღარიბ და გაჭირვებულ კაცად თვლიან).

ევკლიონს მდიდარი მეზობელი ჰყავს, მეგადორი; მარტოხელა კაცია, ცოლის თხოვას გადაწყვეტს, მაგრამ არ უნდა მზიხვიანი ქალი შეირთოს. თავზე წამომაჯდება, ფუფუნებას მოჰყვება, სპილოს ძვლით მოჭედილი ეტლით მომინდომებს სეირნობასო. ამიტომ გადაწყვეტს ღარიბი ევკლიონის ქალი შეირთოს. მაგრამ თავზარი დაეცემა ევკლიონს, ამას რომ გაიგებს: მას არ სჯერა, რომ მდიდარ მეგადორს მისი უმზიხივო ქალი მოსწონს; ალბათ, საიდანღაც გაიგო, რომ მე სახლში განძი მაქვსო. მეგადორი მას მაინც დაიყოლიებს, და ქორწილი იმ დღე სვეა დანიშნული.

რადგან ევკლიონი ღარიბია, ხოლო ქორწილი უნდა გადაიხადონ ორივე სახლში, როგორც ნეფის ისე პატარძლის სახლში, ამიტომ მეგადორი ქორწილისათვის ნაყიდი სანოვავის ნახევარს ევკლიონის სახლში გაგზავნის, თან გააყოლებს მზარეულსაც, რომელიც შეუდგა კერძების დამზადებას ევკლიონის სახლში. ბაზრიდან დაბრუნებულ ევკლიონი თავზარდაცემულია, მის სახლში დიდი ჩოჩქოლია; მან არ იცის, რომ ეს მეგადორისაგან გამოგზავნილი მზარეული ფუსფუსებს: მას მაშინვე თავისი განძი გაახსენდება, ჰგონია ეს ვიღაც უცნობი კაცი (მზარეული) მის „ქილას“ დაეძებს სახლის კუნჭულებში!

მეგადორი ქორწილის წინ ინახულებს სასიამაოროს, მას გადაწყვეტილი აქვს დღეს დრო გაატაროს. ევკლიონთან, უნდა დაათროს კიდევ: ერთ კასრ ღვინოს მოვატანინებო. ლახვარივით აეცემა ეს გულქში ევკლიონს: ჩანს, ჩემი დათრობა უნდა, რომ მთვრალს „ქილა“ მომპაროსო.

მაგრამ მეტს ვეღარ აიტანს ევკლიონი, ტვინი უსკდება ტიქრით,

ყველანი მის „ქილაზე“ ოცნებობენ! ამიტომ გადაწყვიტა მან საღმრეთო გადამალოს „ქილა“, სახლიდან უნდა გამოიტანოს და იღუმალ ადგილას დამარხოს მიწაში. ასეთ ადგილად აირჩიეს „ერთგულების ტაძრის“ ქალას. მაგრამ მონა სტრობილე, რომელიც შემთხვევით იქ იყო, როდესაც ევკლიონი თავის „ქილას“ ადგილს უცვლიდა, მოიპარავს ამ „ქილას“. ევკლიონი ლამის ჭკუაზე შეიშალოს: ბავშვივით ზღუქუნებს.

ამ დროს მასთან შემოდის ლიკონიდე: ეს ის ვაჟია, რომელმაც ამ ცხრა თვის წინათ ნამუსი ახადა ევკლიონის ქალს და რომელიც მას აქეთ თვალყურს ადევნებდა მას. ფედრა დაორსულებულია და ახლა უკვე დასწყება სამშობიარო ტკივილები. ლიკონიდეს უყვარს ფედრა; თუმცა ამ უკანასკნელმა ამის შესახებ არაფერი იცის, არც კი იცნობს თავის გამაუბედურებელს, ლიკონიდე კი შეძრწუნებულია: მას გაუგია, რომ მისი ბიძა, მეგადორი, ფედრას შერთვას აპირებს, უკვე ქორწილის მზადებაშია და ეშინია, რომ ქალის „უნამუსობაც“ გამომჟღავნდება და თვითონაც დაჰკარგავს საყვარელ არსებას. ლიკონიდემ ყველაფერი უთხრა თავის დედას ევნომიას, მეგადორის დას, მიუგზავნა იგი თავის მეტოქე ბიძას და ფედრას შერთვაზე ხელი ააღებინა. და, აი, ახლა ლიკონიდე მოვიდა ევკლიონთან, რომ მასაც აუხსნას საქმის ვითარება და დაითანხმოს იმაზე, რომ მან თავისი ქალი მას, ლიკონიდეს, მიათხოვოს.

ლიკონიდემ სწორედ იმიტომ იჩქარა, რომ გაიგონა ევკლიონის ტირილი: მას ეგონა, რომ ევკლიონმა უკვე გაიგო თავისი ქალის გამაუბედურების ამბავი და ამიტომ ტირიდა: ხომ შეუძლებელი იყო მამისაგან დაემალათ, რომ ფედრას საცაა უკვე უნდა მოემშობიარა: ლიკონიდეს და ევკლიონის ეს შეხვედრა და მათი დიאלოგი საგულსხმო ეპიზოდია, მეტად დამახასიათებელი იმდროინდელი კომედიისთვის: კომიზმის განვითარება იმ ნიადაგზე, რომ მოსაუბრეებს ერთმანეთის ლაპარაკი უალბად ესმით.

„დავიღუპე მე უბედური, ცოდვა შეღვენდება“ — ამბობს ლიკონიდე.

„შენ კი არა, მე ვარ უბედური“, მოსთქვამს ევკლიონი. ხოლო ლიკონიდე განუნარტავს:

„უბედურება, შენ რომ გაშფოთოეს, ჩემი ბრალია“. ევკლიონი გახარებულია, ხოლო უსაყვედურებს:

„რა დაგიშავე, რომ გადასწყვიტე ჩემი დაღუპვა, ჩემი ბავშვების დაღუპვაცო!“

„ჩემს დანაშაულს ვადიარებ, ჩემს შეცოდებას, და ახლა მოველ, რომ ბოდიში შენთვის მომხადო“.

აი. ასეთი გაუგებრობა იქმნება ევკლიონსა და ლიკონიდეს შორის: ევკლიონს ჰგონია, რომ ლიკონიდე აღიარებს თავის დანაშაულს, „ქილის“ მოპარვას; ლიკონიდე კი ჰგონია, თითქოს ევკლიონი მას უსაყვედურებდეს — რატომ დამილუპე შვილიო. ბოლოს მაინც გაერკვევიან სინამდვილეში: ლიკონიდე სთხოვს ევკლიონს ქალი მომათხოვეო. მზამზარეულად უკვე პაპა ხდებიო.

კომედიის ბოლო ნაწილი დაკარგულია. მაგრამ პროლოგის საშუალებით შესაძლებელია კომედიის დასკვნითი ნაწილის შინაარსის აღდგენა: ლიკონიდე თავისი მონის, სტრობილეს, ხელში აღმოაჩენს ევკლიონის „ქილას“, რომელსაც დაუბრუნებენ გახარებულ მოხუცს; ევკლიონი მიათხოვებს თავის ქალს ლიკონიდეს და მზითვად იმ „ქილას“ გაატანს. ამგვარად, ევკლიონი განთავისუფლდება „ქილისაგან“ და სულიერი სიმშვიდეც დაუბრუნდება.

ასევე იზიდავდნენ რომაელ მაყურებლებს თავისი დახლართული ინტრიგით, თავისი ნათელი პასუხით ყოველდღიური ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე პლავტეს დანარჩენი კომედიებიც. მაყურებლის წინაშე იყო მთელი გალერეა რომაული სინამდვილიდან აღებული ტიპებისა: კრიყანგი ვაჭარი და მყვლეფავი მევახშე, მკვებარა მხედარი და მატყუარა ჯარისკაცი. ღორმუცელა პარაზიტი და უნამუსო მაჭანკალი, მფლანგველი ახალგაზრდა, მართალ გზას აცდენილი ჰეტერა — ესენი არიან პლავტეს კომედიათა პერსონაჟები; მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონას, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაშია და ამიტომ იგი მლიქვნელი და პირმოთნეა. ინტრიგანი და მოხერხებული. მონებმა კარგად გაუსინჯეს კბილი თავიანთ ბატონებს, მოხუცსა და ახალგაზრდას, და ორივეს ერთნაირად ატყუებენ, უკმეხად ელაპარაკებიან, ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აგდებენ.

პლავტეს კომედიები დაწერილია ხალხური სალაპარაკო ლათინურით. რომელშიც უხვად არის ანდაზები და მოსწრებული ზმები, უწმაწური სიტყვები და ქუჩური სალანძღავი გამოთქმებიც: პლავტეს ენის ასეთი თვისებები მდიდარ მასალას აძლევენ ენათმეცნიერებას ლათინური ენის ისტორიის მთელი რიგი საკითხების გამოსარკვევად.

პლავტე რომაელთა საყვარელი მწერალი იყო. იგი უყვარდათ საშუალო საუკუნეებშიც. როდესაც პლავტეს კომედიების ხელნაწერებს ამკობდნენ მდიდრული ილუსტრაციებით, და ახალ საუკუნეებშიც, როდესაც მისი კომედიების მიბაძვითა და გავლენით თავიანთ დრამებს

სწერდნენ სხვადასხვა ქვეყნის მწერლები (მაგალითად, შექსპირის „შეცდომათა კომედია“, მოლიერის „ძუნწი“, გ. ერისთავის „ძუნწი“).<sup>1</sup>

## ტერენციუსი

195—159 წ. წ.

§ 137. ტერენციუსი (Publius Terentius Afer) დაიბადა კართაგენში 195 წელს. იგი იყო მონა სენატორ Terentius Lucanus-ისა, რომელმაც ტერენციუსი მისი ნიჭისა და სათნო ხასიათის გამო გაათავისუფლა. სხვა ცნობები მისი ცხოვრებიდან არა გვაქვს; ვიცით მხოლოდ, რომ თავისი პატრონის წყალობით ახლო ურთიერთობაში იყო რომაულ არისტოკრატიათან (მაგალითად, სციპიონ აფრიკელთან). ვიცით ისიც, რომ თვითგანვითარებისა და განათლების მიზნით იმოგზაურა, საბერძნეთში, სადაც იგი გარდაიცვალა 159 წელს, 36 წლის ხალგაზრდა.<sup>2</sup>

ტერენციუსი პატრიციუსთა წრეებში ტრიალებდა და გასაგებია, რომ ის თავისი კომედიებით ამ წრეების გემოვნებასა და სულისკვეთებას ასახავდა. წინააღმდეგ პლავტუსი, ტერენციუსი იმ ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს, რომელიც მოითხოვდა ბერძნული ორიგინალების სიწმინდის დაცვას. მათგან რაც შეიძლება ნაკლებად დაშორებას. ფორმით ეს იმაში გამოიხატა, რომ მან 1. ყველა კომედიას დაუტოვა ბერძნული სათაური და 2. გამართა თავისი კომედიები დახვეწილი არისტოკრატიული და არქაიზმებით სავსე ენით. ჩანს ასეთნაირად გამართული კომედიები ფართო მასებს. მაინცდამაინც, არ აკმაყოფილებდა. იქნებ ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ „დედამთილის“ წარმოდგენა მან ძლიეს მოახერხა მხოლოდ მესამეჯერ დადგმის შემდეგ: როგორც თოითონ გადმოგვეცემს ამ კომედიის პროლოგში, პირველ დადგმას 165 წელს ხალხი არ დაეწრო, მან არჩია თოკზე მოცეკვავე ჯამბაზების ცქერა ცირკში; მეორეჯერ 160

<sup>1</sup> პლატუსის კომედიების რუსული თარგმანი გამოცემულია სამ ტომად: Тит Макций Плавт, Избранные комедии, перевод А. Б. Артюшкова. Том I—III, Москва—Ленинград, 1933—1936. 1

<sup>2</sup> ტერენციუსის ბიოგრაფია დაგვიტოვა IV საუკ. ბიოგრაფოსმა დონატემ (Donatus).

წელს, მართალია, ხალხი დასწრებია და პირველი კტიც მოსწონებია, მაგრამ ამ დროს ხმა გავარდნილა — გლადიატორების ბრძოლა იწყებაო — და მთელი ხალხი ყიყინით გაქცეულა გლადიატორთა (ასპარეზისა)კენ. ამავე 160 წლის ბოლოს მესამეჯერ დაუდგამს ტერენციუსს „დედამთილი“.

ამავე დროს ცნობილია, რომ საზოგადოების მაღალ ფენებს (სწორედ იმ თვისებების გამო, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ) ძალიან მოსწონდათ მისი კომედიები და ამითაც უნდა აიხსნას, რომ ისინი ხშირად იდგმებოდა, მრავალ ხელნაწერებში ვრცელდებოდა. ჩვენამდე მოაღწია ყველა ექვსივე კომედია.

საგულისხმო ცნობას გადმოგვცემს ტერენციუსის ბიოგრაფოსი დონატუსი (IV საუკ.) პოეტის დებიუტის შესახებ. როდესაც ტერენციუსმა თავისი პირველი კომედია Andria ედილებს წარუდგინა, — ამბობს დონატუსი — მას წინადადება მისცეს წინაწარ წაეკითხა ეს კომედია ცეცილიუსისთვის (Stalium Caccilius — თავისი დროისათვის სახელგანთქმული კომედიოგრაფი). იმ დროს, როდესაც ტერენციუსი ეახლა თავის მსაჯულს, იგი შავიდას უსხდა პურის საჭმელად; რომ დაინახა ღარიბულად ჩაცმული უცნობი კაცი. დასვა იგი სკამზე ჰაგიდის ახლოს. როდესაც ტერენციუსმა რამდენიმე ტაეპი წაუკითხა, ცეცილიუსმა სუფრაზე მიიბატია სტუმარი, გაუმსპინძლდა და პურის ჭამის შემდეგ ბოლომდე ჩააკითხინა კომედია და განცვიფრებული დარჩა.

მომუშრნე მეტოქეებს არ ასვენებდა ტერენციუსის წარმატება სცენაზე და ბოროტ ხმებს ავრცელებდნენ მის წინააღმდეგ: წარმოუდგენელია, რომ აფრიკელ მონას, ბარბაროსს, შეეძლოს ასეთი დახვეწილი ენით და ასეთი მხატვრულის ხერხებით წერაო, მას ეხმარებიან ს ც ი პ ი ო ნ ი (უმცროსი) და ლ ე ლ ი უ ს ი ო. ეს ხმები დიდხანს იყო გავრცელებული რომში; მას იმეორებს ციცირონიც (Ep. ad Atticum VII; 3).

ტერენციუსის ბიოგრაფოსს ასეთი დეტალიც აქვს გადმოცემული: ერთხელ ლელიუსი თავის აგარაკზე იყო, სამუშაო ოთახში იჯდა და წერდა. როდესაც ცოლმა სადღილად მიიბატია — სუფრა გაშლილია და მობრძანდით, მან უთხრა: ახლავე, დაემათაერებ მეშობას და გამოვალო. როდესაც ის სასადილო ოთახში გავიდა, სიხარულით აუწყა თავისიანებს: ასე კარგად არასდროს არ მიმუშავიაო, და ცოლშეილის თხოვრით წაეკითხა ერთი ადგილი თავისი თხზულებიდან, რომელიც შეიცავდა თურმე სწორედ ტერენციუსის Heauton timorumenos-ის ტექსტს.

ტერენციუსს ეკუთვნის 6 კომედია, რომლებიც დაიდგა 166 — 160 წლებში:

Andria („ანდროსელი ქალი“) — დაიდგა 166 წელს.

Hecyra („დედამთილი“) — 165 წელს.

Heauton timorumenos („თავისი თავის დამსჯელი“) — 163 წელს.

Eunuchus („საკურისი“) — 161 წელს.

Phormio („ფორმიონი“) — 161 წელს.

Adelphoe („ძმები“) — 160 წელს.



„ანდროსელი ქალი“ (Andria — დაიდგა 166 წელს). შედგენილია გენანდრეს ორი კომედიის მიხედვით. Ἄνδριᾶ და Περσικῶ. სიმონს ჰყავს ვაჟი პ ა მ ფ ი ლ ე და სურს შერთოს მას შეძლებული ქ რ ე მ ე ტ ი ს ქალიშვილი. ორივე მხარე ემზადება, ქორწილის დღეც არის დანიშნული. მაგრამ ირკვევა, რომ პამფილეს სხვა ქალი უყვარს, კუმძულ ანდროსის მცხოვრები ერთი ქალიშვილი, სახელად გ ლ ი კ ე რ ი ა. ქრემეტი რომ ამბავს გაიგებს, ის კატეგორიულ უარზეა. მისცეს ქალი პამფილეს. ამავე დროს ქრემეტის ქალს უყვარს სხვა, ვინმე ქ ა რ ი ნ ე. პამფილეს მამა მაინც არ ეშვება ქრემეტსა და თავის ვაჟს, უთურდუნდა. დაუნათესავდეს ქრემეტს. პამფილე გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მისი მონა ურჩევს დათანხმდეს და არ გააბრაზოს მამა, მით უმეტეს — ეუბნება ის — ქრემეტე არასგზით არ დათანხმდებო. მაგრამ დახეთ უბედურებას: ქრემეტე თანხმდება. და, აი, იმ დროს როდესაც სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილმა პამფილემ აღარ იცის, რა წყალს მისცეს თავი, ირკვევა, რომ ანდროსელი ქალიც ქრემეტის ქალიშვილია: ოდესღაც, ომის დროს, ქრემეტის მამა გაქცეულა ათენიდან, თან წაუყვანია ქრემეტის ბავშვი (თვითონ ქრემეტი იმაზე აღრე ყოფილა წასული), კუნძულ ანდროსთან ხომალდი დამსხვრევია. ბავშვი ვილაცას გადაურჩენია და აღუზრდია (ბავშვის ბიძა გარდაცვლილა, ხომალდის დანთქმის დროს დაშავებული). შემდეგ თავისი აღმზრდელის ქალიშვილთან (ქრიზიდასთან) ერთად ანდროსიდან ათენში გადასახლებულა და აქ ჭრა-კერვით ირჩენდა თავს. აქ იგი გაიცინო და შეიყვარა პამფილემ. რაღვან გამოირკვა, რომ ანდროსელი ქალი ქრემეტის ქალიშვილია, პამფილე მას შეირთავს.

„დედამთილი“ (Hecyra — დაიდგა 165 წელს). მოქმედება წარმოებს ათენში. სცენაზე სამი სახლია: პ ა მ ფ ი ლ ე ს ი, მისი სიმამრის ფ ი დ ი პ ე ს ი და პეტერა ქალის ბ ა კ ხ ი დ ი ს.

ბაკხიდის მეგობარი ქალები გაბრაზებულნი ლაპარაკობენ, რომ პამფილეს, რომელიც მუდამ სიყვარულს ეფიცებოდა ბაკხიდს, თურმე სხვა ქალი უთხოვია. ამ დროს გამოდის პამფილეს სახლიდან მისი მონა პ ა რ მ ე ნ ო ნ ი, რომელიც ჩაერევა ქალების საუბარში. ქალები პარმენონისაგან შემდეგს შეიტყობენ: პამფილე მისმა მამამ, ლ ა ხ ე ს მ ა, აიძულა შეერთო ფიდიპეს ქალი ფ ი ლ უ მ ე ნ ა, მაგრამ არ უყვარდა იგი და ორი თვე ისე გავიდა ჯვრისწერის შემდეგ, რომ პამფილე არც კი მიჰკარებია ცოლს იმ იმედით, რომ ასეთ პირობებში ქალი გამეწყვევა და განეთავისუფლდებო; და მთელი ეს ორი თვე თავის საყვარელთან, ბაკხიდთან, დადიოდა ყოველდღე. რაც დრო გადიოდა, ბაკხიდი მას სულ უარესად და უარესად ეპყრობოდა; ფილუმენას კი, პირიქით, ქმრის ასეთი ქცევისდა მიუხედავად, მეტად თავაზიანად და

პოწიწებით ეჭირა თავი, ქალის ასეთმა სათნოიანმა ქცევამ პამფილე იქამდე მიიყვანა, რომ მან თავი დაანება ბაკხიდს და მთელი თავისი სიყვარული ფილუმენაზე გადაიტანა.

მაგრამ ჯვრისწერის მეშვიდე თვეს პამფილეს სასწრაფოდ მოუხდა კუნძულ იმბროსზე წასვლა (მემკვიდრეობის საქმეზე). როგორც კი პამფილე წავიდა, ფილუმენამ შეიცვალა საქციელი: მან შეიძულა თავისი დედამთილი სოსტრატა, კიდევაც გაიქცა სახლიდან და თავისი დედ-მამის სახლში დაბრუნდა. პამფილეს მამა ლახესი სოფლად იყო გასული; შინ რომ დაბრუნდა, ეს ამბავი დახვდა. და აი, ახლა ლახესი ფიდიპეს ელაპარაკება (თავის მძახალს), რაზე ელაპარაკება — ეს არ იცის პარმენონმა.

აი, ეს უამბო პარმენონმა იმ ქალებს.

სცენაზე არიან ლახესი და სოსტრატა. ლახესი საყვედურს ეუბნება ცოლს: მე სოფლად გავედი, რომ ახალგაზრდები მარტონი დამეტოვებინა; შენ კი მათ ხელს უშლი, რომ ბედნიერად და სიტკბოებით იცხოვრონო. უთუოდ შენი მოპყრობის ბრალია, რომ ფილუმენა სახლიდან გაიქცაო. არავითარი თავის მართლება არ შეეღის სოსტრატას.

ფიდიპე ტუქსავს თავის ქალს, რომ გამოიქცა ქმრის სახლიდან. რომ დაინახავს თავისი სიძის დედმამას, მიდის მათთან საქმის მოსაგვარებლად: ის ეუბნება მათ — პამფილეს ჩამოსვლამდე ჩემს ქალს არ სურს დაბრუნდესო. ეს სიტყვები კიდევ უფრო არწმუნებს ლახესს იმასში, რომ ფილუმენას გაქცევა სოსტრატას ბრალია.

ბრუნდება პამფილეც. პარმენონი დაუხვდა მას ნავსადგურში და უამბო ყველაფერი; პამფილე ძალიან დამწუხრებულია, რომ მისი ცოლი მშობლებთან გადასახლებულა. ორ გრძნობას შუა იბრძვის ის. არ იცის ჯერ სად შევიდეს: დედასთან თუ ცოლთან. მალე კვნესის ხმას გაიგონებს ფილუმენას სახლიდან, შეიტყობს, რომ ფილუმენა ავად ყოფილა, და იჩქარის მასთან. იქიდან რომ გამოვა — ძალიან ცუდ გუნებაზე — და დედა შეხვდება, მიესალმება მას და გადასცემს — ფილუმენას აციებსო, და არ ურჩევს მის ნახვას. პარმენონსაც ნავსადგურში გზავნის ბარგის მოსატანად.

პამფილე მარტო რჩება. უზომოა მისი მწუხარება. ფილუმენას კი არ აციებს, არამედ მშობიარობის ტკივილები აქვს: ისინი ხომ მხოლოდ 7 თვეა ჯვარდაწერილები არიან და, მაშასადამე, ბავშვი არ შეიძლება პამფილესი იყოს. ფილუმენას დედა მი რ ი ნ ა ყველაფერს უამბობს სიძეს: ჯერ კიდევ გათხოვებამდე, საღამო ჟამს, ბინდისას, ვალაც უცნობმა გააუპატიურა ფილუმენა და ფილუმენა დაორსულდა. არ იცის ვინ იყო ის ახალგაზრდა. მირინა სიძეს სიტყვას ჩამოართმევს, რომ არ მონდომებს ცოლის შერცხვენას და არავის გაუმხელს ამ ამბავს, ბავშვს კი სხვას მიუგდებენ.

ლახესი კვლავ ეჩხუბება თავის ცოლს. პამფილეს დედის მხარე უჭირავს (მან ხომ იცის, თუ რაშია საქმე.)

ახლოვდება მშობიარობის წუთები. მეტის დამალვა აღარ შეიძლება: ფიდიპეს ესმის ახალშობილის ჭყვირილი. მირინა თავის ემპარს უამბობს ყველაფერს. ფიდიპე არ არის იმის მომხრე, რომ ბავშვი სხვას მიუგდონ, ის უნდა აღზარდონ: მისი აზრით, ბავშვი გახდება ცოლქმრის შერიგების წყარო. პამფილე რომ ამას გაიგეც, არ ეთანხმება. ის იმ პირობით დაეთანხმა მირინას, რომ ბავშვს გადააგდებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეუძლია წაიყვანოს ქალი.

უფროსებს ბჭობა აქვთ. ფიდიპე გადმოსცემს თავის მძახლებს, რომ ბავშვი დაიბადა, გაკვირვებულ ლახესსა და მირინას ეუბნება — როგორ არა, ვიცოდი რომ ორსულად იყო. ლახესს უხარია შვილიშვილის შეძენა. რომ პამფილე ჭიუტობს და არ სურს ცოლთან შერიგება, ამას უფროსები იმით ხსნიან, რომ მას კვლავ ბაკხიდისაყენ, თავისი ძველი საყვარლისაყენ უჭირავს თვალი. ფიდიპე და ლახესი გადაწყვეტენ, რომ დახმარებისათვის თვით ბაკხიდს მიმართონ (ჰეტერები ხომ ცნობილი არიან როგორც გულშემმატკივარი, მათ ყოველთვის კარგად ესმით ახალგაზრდა ქალის გაჭირვება!): ლახესმა იკისრა ბაკხიდთან მოლაპარაკება, ფიდიპე ძიძის დასაჭირავებლად მიდის.

ბაკხიდი არწმუნებს ლახესს, რომ უკვე დიდია ხანია საერთო არაფერი აქვს პამფილესთან; იგი მზად არის დაამშვიდოს ქალები. შედის კიდევაც ფიდიპეს სასლში, სადაც მელოგილე წყევს, რომ უამბოს ლალებს ყველაფერი. და აი, ქალების ამ შეხვედრისას ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ირკვევა: ბაკხიდის ხელზე მირინა ძეამჩნევს ბეჭედს, რომელიც პამფილეს უჩუქებია ბაკხიდისათვის ამ ცხრა თვის წინათ, თან უამბნია: ეს-ესაა ერთ უცნობ გოგოს წაეაწყდი სიბნელეში და, მართალია, გამიძალიანდა, მაგრამ ვერაფერს გახდაო, თანაც ეს ბეჭედი თითზე წაეძარეო. მაშასადამე, პამფილე მამა ახალშობილისა და ახლა უკვე აღარაფერი უშლის ხელს პანფილესა და ფილუმენას მშვიდობით განაგრძონ თავიანთი ოჯახური ცხოვრება.

ეს კომედია ზოგიერთთა აზრით მენანდრეს კომედიებიდან არის აღებული, სხვების აზრით — აპოლოდორეს კომედიიდან მომდინარეობს.

„თავისი თავის დამსჯელი“ (Heauton timorumenos — დაიდგა 163 წელს) შედგენილია მენანდრეს იმავე სათაურის მქონე კომედიის მიხედვით, რომლის რამდენიმე ნაწყვეტი მოღწეულია ჩვენამდე. ტერენციუსის კომედიით, კლინიას უყვარს ანტიფილე, მაგრამ კლინიას მამას არ სურს მათი შეუღლება და შვილს სახლიდან გააგდებს. სასოწარკვეთილი კლინია აზიაში გადაიქარგება და იქ ჯარში მსახურებს. მისი მამა, მენედემე, სინანულში ჩავარდება თავისი სასტიკი მოპყრო-

ბის გამო შვილისადმი და დღე და ღამე მუშაობს, მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებს, რომ ამით თავი დაისაჯოს. კლინია დაბრუნდება და ფარულად დაბინავდება მეზობლის, ქრემეტის, სახლში, სადაც მისი სატრფოც მოეწყობა მოახლედ. გამოირკვა, რომ ანტიფილქრემეტის ქალიშვილია, და კლინია, ძამის ნებართვით და მის სასიხარულოდ, შეირთავს მას.

„საჭურისი“ მენანდრეს კომედიების მიხედვით არის შედგენილი და ისეთი წარმატება ხვდა, რომ ერთ დღეში ორჯერ იქნა დადგმული, ამ კომედიაში გამოყვანილი იყო საჭურისის სახით იმ ოჯახში შეპაჟრული ახალგაზრდა ქე რ ე ა, სადაც მისი სატრფო იყო.

„ფორმიონში“ გამოყვანილია მოხერხებული პარაზიტი ფორმიონი, რომლის წყალობით დაღუპვას გადაარჩებიან ერთი ობოლი ქალიშვილი და ერთიც არფაზე დაკმვრელი და ქალებით მოვაჟრე დორიონის კლანჭებში მოხვედრილი.

ტერენციუსის კომედიათა შორის ხასიათთა ასახვისა და ინტრიგათა განვითარების მხრით საუკეთესოდ ითვლებოდა „ამფი“ (Adelphoe — დაიდგა 160 წელს), რომელიც შედგენილი იყო მენანდრეს და დიფილეს კომედიათა მიხედვით.

ამ კომედიაში გამოყვანილია ორი ძმა (სოფლელი დემეა და ქალაქელი მიკიონი), დაპირისპირებულია აღზრდის ორი სისტემა: ძველებურ სისასტიკეზე დამყარებული აღზრდა და ელინისტურ ფილოსოფიაზე დამყარებული და მამა-შვილის ურთიერთ ნდობაზე აგებული პრინციპები აღზრდისა. მენანდრეს კომედიათა იმარჯვებდა მეორე სისტემა (მიკიონისა), ხოლო ტერენციუსმა გადაუხვია მენანდრეს დედანს და დემეას სისტემას მისცა ერთგვარი უპირატესობა.

ამრიგად, ტერენციუსი რომაულ სცენაზე იმეორებს ბერძნულ მენანდრეს, მაგრამ მის დრამატურგიულ ტექნიკას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც ტერენციუსის და უნებურად შეაპირობა რომაული ცხოვრების სინამდვილემ.

1. ტერენციუსი ხშირად მიმართავს კონტამინაციას, მენანდრეს ორი კომედიიდან აკეთებს ერთ რომაულ კომედიას, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საფუძვლად იღებს ერთ რომელიმე კომედიას, ხოლო შეაქვს მეორე კომედიის ეპიზოდები და მისი პერსონაჟებიც შეჰყავს. ასე, მაგალითად, მენანდრეს ორი კომედიიდან, „ანდროსელი ქალი“ და „პერინთელი ქალი“, ტერენციუსმა გააკეთა თავისი კომედია Andria. მე ვაღიარებო — ამბობს ტერენციუსი „ანდროსელი ქალის“ პროლოგში (ტ. 13 — 14) — რომ „პერინთიიდან“ „ანდრიაში“ გადავიტანე ის, რაც შესაფერისად ჩავთვალეო“.

ასევე, კომედიისათვის „საჭურისი“ ტერენციუსმა საფუძვლად

აილო მენანდრეს *Ἐπισημῆς*, ხოლო კომედიიდან *Κόλαξ* დაუმატა პარაზიტისა და ტრაბახა ჯარისკაცის როლები.

საზოგადოება ტერენციუსის ამ დრამატურგიულ ხერხს უარყოფითად შეხვედრია: პოეტს ეს ნაკლად ჩაუთვალეს და უსაყვედურებდნენ თურმე, შეუფერებელია კომედიების შერევათ (*contaminari fabulas*).

ტერენციუსის ეს დრამატურგიული ხერხი არ მოსწონდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მოითხოვდა პოეტისაგან პირწმინდად დაეცვა ბერძნული ორიგინალები და არ გამოეჩინა დამოუკიდებლობა, თავისუფალი მოპყრობა დედნებისადმი. ეს ის მაღალი ფენები იყვნენ, რომელთა წრეშიც აღიზარდა აფრიკელი მონა და რომელთათვისაც ის სწერდა კომედიებს. მაგრამ, ამავე დროს, ტერენციუსი თავისი წინამორბედი მწერლების ნაწარმოებებზე იყო დავაყვაცებული როგორც პოეტი და არ შეეძლო არ მიემართა იმ ხერხისათვის, რომელიც აქ წარმატებით გამოიყენეს ნევიუსმა, ენიუსმა და პლაეტემ. აქ ამბობს ტერენციუსი „ანდროსელი ქალის“ პროლოგში: ვინც მე პრალსა მდებს ამაში (ე. ი. კონტამინაციაში), ის ბრალსა სდებს აგრეთვე ნევიუსს, პლაეტეს და ენიუსს, რომლებიც მე მისაბამ მწერლებად მომაჩნდაო.

2. ტერენციუსის დრამატურგიული ტექნიკის მეორე თავისებურებად უნდა ჩაითვალოს პროლოგის გამოყენება იმავე მიზნით, როგორც ჰქონდა ძველი ატიკური კომედიის პარაბაზას. პროლოგში, ჩვეულებრივ, მოკლედ გადმოსცემდნენ ხოლმე კომედიის შინაარსს; ტერენციუსი კი პროლოგში ისეთ ხაკითხებზე მართავს მსჯელობას, რომელთაც კომედიის შინაარსთან არავითარი კავშირი არა აქვთ: ის ეკამათება თავის მოწინააღმდეგეებს ზოგად ლიტერატურულ საკითხებზე, ან ანგარიშს უსწორებს პირად მტრებს: ააე, მაგალითად:

ა) კომედიაში „ძმები“ პოეტი თავს ესხმის იმ ბოროტ ადამიანებს, რომელნიც ხმებს ავრცელებდნენ, რომ ამ კომედიების დაწერაში მას ეხმარებიან სხვა გამოჩენილი მწერლები (სციპიონი და ლელიუსიო). „ბოროტი ადამიანები რომ ამბობენ, წარჩინებული კაცები ეხმარებიან მას: და მასთან ერთად სწერენ ბეჯითადო, ფიქრობენ, თითქოს ეს ძალიან ცუდი ამბავი (*maledictum vehement*) იყოს, პოეტი კი“ (ე. ი. ტერენციუსი) ფიქრობს, რომ ეს უდიდესი ქებაა მისთვის, ვინაიდან მათ მოსწონთ, როგორც ჩანს, ისინი, რომლებიც მოგწონთ საყოველთაოდ თქვენ და მთელ ხალხსაც“.

ბ) კომედიაში „საჭურისი“ ტერენციუსი ილაშქრებს პოეტ ლუსკიუს ლანუფინეს წინააღმდეგ, რომელიც ტერენციუსს აბრალებდა ქურდობას. ლანუფინე, როგორც ჩანს, რეპეტიციაზე გასცნობია ტერენციუსის „საჭურისს“ და ტერენციუსისათვის პლაგიატში დაუდვია

ბრალი — ნევიუსისა და პლავტეს კომედიებიდან მოგიპარავს მლიქვნელი პარაზიტისა და ტრაბახა ჯარისკაცის როლებით. ტერენციუსიც უპასუხებს პროლოგში ამ ბრალდებას: „ჩვენ გვინდა დავდგათ მენანდრეს „ვენუქი“. ვიღლებმა უკვე იყიდეს. პოეტმა მიაღწია იმას, რომ აცქერინეს. მოვიდნენ ხელისუფალნი. კომედია იწყება. (ლანუეინე) ყვირის: „ქურდი ყოფილა და არა პოეტი. მატყუარა! მაგრამ ვერ მოგვატყუებს: ნევიუსსაც და პლავტესაც აქვთ „მლაქვნელი“. იქიდან არის მოპარული პარაზიტის როლიც და მკვებარა ჯარისკაცი“. თუ მართლა ასეა, შეცდომაა, უეციობაა და არა ქურდობა, აბა დაფიქრდით! მენანდრესაც აქვს *Κόλαξ* იგივე მოქმედი პირები არიან — მლიქვნელი პარაზიტი და მკვებარა ჯარისკაცი. სადავო არ არის; პოეტმა იქიდან გადმოიტანა ისიხი „საქურისში“, ბერძნული კომედიიდან. მაგრამ ის გადაჭრით უარყოფს, თითქოს მან იცოდა, რომ ლათინურ კომედიებში ეს უკვე იყო. მაგრამ თუ არ შეიძლება იმავე როლების გადმოდება, რატომ შეიძლება სცენაზე გამოიყვანო მორბენალი მონა, კეთილშობილი მატრონა, უნამუსო პეტრუები, გამოიყვანო ღორმუცელა პარაზიტი... ბოლოს და ბოლოს, ისეთს ვერაფერს იტყვი, რომ სხვას არ ეთქვას. ამიტომ თქვენთვის მომინდვია, განსაჯოთ საქმის ვითარებაო“. ხოლო ამ პროლოგის დასაწყისში თვითონ აბრალებს ლანუეინეს უნიჭობასა და უმეცრობას: ზედმიწევნით თარგმნის ბერძნულ კომედიებს, მაგრამ წერა არ იცის და ამახინჯებს მშვენიერ დედნებსო; მან მენანდრეს „მოჩვენება“ ჩააგდო, ხოლო „განძში“ სიტყვა ჯერ მოპასუხეს მისცა და შემდეგ მომჩივანსო.<sup>1</sup>

§ 138. უძველესი რომაული პროზა. კატონი. განსხვავებით პოეზიისაგან, რომელიც III<sup>1</sup> — II საუკუნეებში, უპირატესად, ბერძნული მასალით საზრდოობდა, პროზა იმთავითვე საკუთარ, რომაულ მასალას ეყრდნობოდა, რადგან მისი დანიშნულება იყო მომსახურეობა გაეწიარომეღთა საკანონმდებლო-სამოსამართლო ცხოვრებისათვის (კანონები, სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები), პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის (სიტყვები სენატში, სახალხო კრებაზე) და მიმდინარე ცხოვრების სხვა მხარეებისათვის.

ამ ეპოქის პროზაიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კატონს (Marcus Porcius Cato Maior, 234 — 179 წწ.). იგი ცნობილია როგორც ორატორი; სენატში წარმოთქმული მისი სიტყვების ნაწყვეტები ჩვენამდისაც არის მოღწეული.

განსაკუთრებით ცნობილია კატონი როგორც ისტორიკოსი. მისი

<sup>1</sup> ტერენციუსის კომედიების რუსული თარგმანი ეკუთვნის ა. არტიუშოვს: Теренций. Комедии. Перевод А. В. Артюшкова. М. Л. 1934.

შრომა *Origines* („საწყისები“) შვიდი წიგნისაგან შედგებოდა და შეიცავდა რომის ისტორიას დასაბამიდან მეორე საუკუნის შუა წლებამდე.

რომის სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძვლად კატონი თვლიდა სოფლის მეურნეობას და მან სცადა შეედგინა მიწათმოქმედთათვის სახელმძღვანელო. ჩვენამდე მოღწეულია კატონის შრომა *De agricultura* („მიწათმოქმედების შესახებ“).

მართალია, კატონის პროზა არქაიზმებით იყო აკრელებული, გაუმართავი სტილით ხასიათდებოდა და მრავალ გაუშალაშინებელ გამოთქმებს შეიცავდა, მაგრამ მან მაინც დაიდად შეუწყო ხელი მომდევნო ეპოქის მხატვრული პროზის განვითარებას.

---

თავი მეთოთხმეტე

## პირველი საუკუნის რომაული ლიტერატურა

§ 139. სოციალური ბრძოლა და სამოქალაქო ომები რომში. უკვე მეორე საუკუნის ნახევრიდან ინტელიგენციის წრეებში იბადება უკმაყოფილება იმ უარყოფითი შედეგების გავლენით, რომლებიც მოიტანა რომის დაპყრობითმა პოლიტიკამ. ასეთი სულსკვეთება უკავშირდება იმ სოციალურ ბრძოლებს და სამოქალაქო ომებს, რომლებიც II საუკუნის მეორე ნახევრიდან იწვევენ გარდატეხას როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ტიბერიუს და გაიოზ გრაკუსების სელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლა სახელმწიფო მიწების გადანაწილებისათვის (133 — 122 წლები), სიცილიის მონათა აჯანყებები (138 — 132 და 104 — 101 წლებში), 90 — 88 წლების სამოკავშირო ომი, სულას დიქტატურა (82 — 79 წწ.), მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით (74 — 71 წწ.), კატილინას შეთქმულება (63 წ.), ჯერ ტრიუმვირატი პომპეუსისა, იულიოს კეისრისა და კრასუსისა, ხოლო შემდეგ იულიოს კეისარსა და პომპეუსს შორის ამტყდარი სამოქალაქო ომი, და სხვა ამგვარი მოძრაობები წარმოადგენენ ამრდოინდელი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს, ერთი მხრით, რესპუბლიკური წყობილების შეცვლას ახალი ერთპიროვნული მმართველობის სისტემით (პრინციპატი, იმპერია), ხოლო, მეორე მხრით, დიდ ძვრებს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.<sup>1</sup>

§ 140. ლიტერატურული ცხოვრება პირველ საუკუნეში. სოციალურმა ბრძოლამ და სამოქალაქო ომებმა შედეგად მოიტანეს ამ საუკუნის პირველ ნახევარში მმართველი წრეების ერთი ნაწილის მისწრაფება რესპუბლიკური დაწესებულებების ძალაუფლების შეკვეცისაკენ და ერთპიროვნული მმართველობის დაწესებისაკენ. ეს მისწრაფება,

<sup>1</sup> შტრ. И. Тронский, стр. 317—318.



ამავე დროს, უკავშირდება ფართო დაპყრობითს პოლიტიკას. ინტელიგენციის ერთი ნაწილი უარყოფითად შეხვდა ასეთ მისწრაფებას და ასეთ პოლიტიკას. აწმყოთი უკმაყოფილო ინტელიგენცია იღვალად იხდის წარსულს, იგი ეძლევა რომანტიკულ სულსიკვეთებას. მეორე მხრით, პოლიტიკურ ასპარეზს განმორებული ინტელიგენცია ეძებს მშვიდ ცხოვრებას, მიმართავს ფილოსოფიის შესწავლას. ეს ინტელიგენცია — საშუალო კლასის ინტელიგენცია, რომელიც არ ემხრობოდა ახალ დაპყრობათა გეგმებს, ძალაუნებურად სეამდა საკითხს სიცოცხლის აზრის შესახებ, ქმნიდა ფილოსოფიურ თეორიებს.

ასეთ პირობებში, როდესაც სრული პოლიტიკური ინდიფერენტობა და ინდივიდუალიზმი სუფევდა, ნიადაგი შეექმნა ეპიკურეს მოძღვრების გავრცელებას, რომლის მატერიალისტური გაგება მოგვცა ლუკრეციუსმა თავის პოემაში „საგანთა ბუნებისათვის“. ერთგვარ რეაქციას ამგვარი მატერიალისტური გაგებისადმი წარმოადგენდა ციციერონის ტრაქტატი „ღმერთთა ბუნებისათვის“.

ამავე ინდიფერენტობა და ინდივიდუალიზმმა გადააგდო ინტელიგენცია ელინისტურ სატრფიალო პოეზიაში.

იყო პოეტთა ერთი ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო ომით მიყენებული ზარალის გამო გულგრილად უყურებდა პოლიტიკურ საკითხებს და ინდივიდუალური გრძნობების საფუძველზე ლირიკულ ჟანრებს ეტანებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პირად გრძნობებსა და მხატვრულ გაფორმებას. ეს თაობა, ქატულეს მეთაურობით, მუშაობდა ელინისტური პოეზიის მიბაძვით, სადაც გაბატონებული იყო წვრილი ჟანრის პოეტური ნაწარმოებები. და ამ ნაწარმოებებს რომში, მსგავსად ელინისტური პერიოდის ნაწარმოებთა, ახასიათებდა ერთგვარი დამძიმებულობა, მეცნიერულობა.

ბუნებრივია, რომ პოლიტიკური გართულებებით და სოციალური მოძრაობებით მდიდარი ეპოქა იპოვიდა თავის ასახვას პროზაშიც, როგორც საისტორიო, ისე საფილოსოფიო და რიტორიკულ პროზაში. სანიმუშო თხზულებები მოგვცეს ამ დარგებში იულიოს კეისარმა, კორნელიუს ნეპოტმა, სალუსტიუს კრისპემ, ციცირონმა და სხვებმა.

§ 141. ლუკრეციუსი (Titus Lucretius Carus, 97 — 54 წწ.). საგულისხმოა ის გარემოება, რომ I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მაშინდელი მსოფლიოს ცენტრში, რომში, სადაც სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული, გაჩნდა მატერიალისტური მოძღვრება მსოფლიოს წარმოშობაზე, რომ მხედართა წოდების (equites) წიაღში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს განეთავისუფლებინათ ადამიანის გონება გაბატონებული წრეების მიერ განმტკიცებული შიშისაგან ღმერთების წინაშე, სიკვდილის წინაშე და საიქიოს სასჯელის წინაშე (Lucret. III), განეთავისუფლებინათ საიქიო ცხოვრების ფანტასტიკი-

საგან. და დაერწმუნებინათ ხალხი იმაში, რომ ადამიანის ბედნიერება ხააკაო ცხოვრებაშია და არა საიქიო სამყაროში.

და, აი. როდესაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ წარმართული ბერძნულ-რომაული სარწმუნოების მეტოქედ განმტკიცდა ქრისტიანობა. თავისი წარმომობისა და განვითარების პირველ ხანებში უთუოდ პროგრესული მიმდინარეობა, ამ ახალი სარწმუნოების აპოლოგეტები. რომლებიც იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ წარმართული იდეოლოგიის წარმომადგენელთა ნააზრევისათვის, ცდილობდნენ, მეორე მხრით, რამდენადმე ჩრდილი მიეყენებინათ ამ ბუმბერაზ მოაზროვნეთათვის და მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთ დეტალებს ამზერებდნენ, რომლებიც ერთგვარად დაამცირებდნენ მათ.

ამ მხრივ საყურადღებოა IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ჰიერონიმეს, ცნობა მის თხზულებაში „Chronica“: «დაიბადა პოეტი ტიტუს ლუკრეციუსი, რომელიც შემდეგ სასიყვარულო სამელისაგან გაგუდა; მის შემდეგ რაც მან... სიგიჟის ინტერვალებში რადმენიმე წიგნი დასწერა, რომლებიც შემდეგ ციცერონმა გამოსცა, საკუთარი ხელით მოიკლა თავი 44 წლის ასაკში».

აი. ის ძირითადი ცნობა, რომელიც მოგვეპოვებოდა ლუკრეციუსის ცხოვრებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ჰიერონიმეს ეს შრომა არის „ქრონიკა“, დაწერილი ევსევის „ქრონიკის“ მიხედვით, და ამბები მოთხრობილია წლების მიხედვით. ჰიერონიმეს ეს ცნობა ლუკრეციუსის შესახებ ხდება დაახლოებით 97 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

შემდეგ გვაქვს ჰიერონიმეს მასწავლებლის, IV საუკუნის შუაწლების ცნობილი გრამატიკოსის (grammaticus urbis Romae) და რიტორის (vir clarissimus orator urbis Romae) ელიუს დონატუსის ცნობა. დონატუსი ვერგლიუსის ბიოგრაფიაში წერს (ცნობა ეკუთვნის 54 ან 53 წელს ძვ. წ.): „ამ წელს თავისი დაბადების დღეს — 15 ოქტომბერს — ... ჩაიცვა ტოგა და მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დღეს პოეტი ლუკრეციუსი მოკვდა“.

ამგვარად, არაპირდაპირი, მაგრამ საკმაოდ სანდო ცნობებით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, რომ ლუკრეციუსი დაბადებულია 97 წლის მახლობელ ხანებში, ხოლო გარდაიცვალა 55 თუ 54 წელს.

დასასრულ, ვიტყვი იმასაც, რომ გარდაცვალების წელი შეიძლება კიდევ უფრო ზედმიწევნით განვსაზღვროთ.

სახელგანთქმული რომელი მოღვაწე ციცერონი სწერს თავის ძმას კვინტუსს: „Lucretii poemata ut scribis, ita sunt, multis luminibus ingenii, multae etiam artis — ლუკრეციუსის პოემები ისეთია, როგორც შენ სწერ; მათში ბევრია ნიჭის ლამპარი, აგრეთვე ხელოვნება“.

წერილი დათარიღებულია ძვ. წ. 54 წლით: *ineunte mense Februario a. u. c. 700.*

თუ სადაურია ლუკრეციუსი ან რა წოდებას ეკუთნის ის, ამაზედაც დავაა. რომ მისი მეტსახელია *Carus*, ეს მიგვიტოთებს იმაზე. რომ ის კელტ-იბერიული წარმოშობისაა, ესპანეთიდან არის. მართლაც, ესპანეთში დადასტურებულია მთელი რიგი მამაკაცებისა, რომლებიც ამ სახელს ატარებენ, და ესენი არიან, ჩვეულებრივ, დაბალი წოდების წარმომადგენლები — მონები, განთავისუფლებული მონები (ლიბერტინები) და უცხოელები.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ ლუკრეციუსი წმინდა რომაელია, ისიც მაღალი წოდებისა. ამის საბუთად მოჰყავთ მისი სახელი, სამი ნაწილისაგან შემდგარი: *Titus Lucretius Carus*. მართლაც, რომში ეს წესი იყო: მაღალი წოდების ადამიანები ატარებდნენ სამსართულიან სახელს, მაგალითად, *Marcus Tullius Cicero*, მისი ძმა *Quintus Tullius Cicero*, *Publius Vergilius Maro* და სხვ. მაგრამ ეს საბუთად ვერ გამოდგება. ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი დაბალი წარმოშობისაც ყოფილა, მაგრამ სამსართულიანი სახელი მაინც ჰქონია სხვადასხვა მიზეზით. ასეთია, მაგალითად, სახელგანთქმული კომედიოგრაფი *II საუკუნისა*, აფრიკიდან ჩამოყვანილი მონა და პატრიციუს ტერენციუსთან მოხვედრილი *Publius Terentius Afer*.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მიგვიტოთებს იმაზე, რომ ლუკრეციუსი დაბალი წარმოშობისა უნდა იყოს და უცხო ადგილიდან არის მოსული რომში. თავის პოემას ის უძღვნის *C. Memmius*-ს, წარჩინებულ რომაელს, შეპლადადებს მას, რომელიც ვენერას ყოველგვარი ნიჭით დაუჭილდობია და ღირსეულად შეუმკვია უკუნითი უკუნისამდე (*tempore in omni*). მიძღვნაში ლუკრეციუსი შესთხოვს ვენერას მიანიჭოს სიმშვიდე მემიუსს, რათა მან შეძლოს იმ მძიმე პირობებში საერთო კეთილდღეობაზე (*communi saluti*) იზრუნოს. ასე ელაპარაკება, ჩვეულებრივ, დაბალი მაღალს, მდაბიო — წარჩინებულს. მეგობრობა მემიუსთან ლუკრეციუსისათვის უდიდესი ბედნიერებაა, ამ მეგობრობას ესწრაფის იგი: ის მიმართავს მემიუსს და ეუბნება: «მე მახალისებს შენთან ტკბილი მეგობრობის იმედი და არ ვზოგავ ძალღონეს, შრომას და უძილობას, რათა მოვძებნო კარგი სიტყვები და კარგი ლექსები, რომლებითაც შევძლებ შენი გონების გასხვიოსანებასო» (I, 140 — 145).

ლუკრეციუსს განსაკუთრებით ემარჯვება ბუნების აღწერა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს სურათების მოცემა; ამავე დროს გაკვირვებით შეჰყურებს მსოფლიო ქალაქს, რომს. ასეთი აღწერა შეიძლებოდა მოეცა ისეთ ადამიანს, რომელიც სოფელთან, პროვინ-

ციასთან არის დაკავშირებული, რომლისთვისაც დიდი ქალაქი რომი—ახალი უჩვეულო სანახაობაა.

ლუკრეციუსის ლიტერატურული მემკვიდრეობაა პოემა „საგანთა ბუნების შესახებ“ (De rerum natura), რომელშიც დიდის პოეტური აღმაფრენითა და ნათელი პოეტური ენით არის გადმოცემული ეპიკურეს ფიზიკა.

ლუკრეციუსის პოემა შედგება 6 წიგნისაგან (სულ 7323 ტაეპი).

პირველ წიგნში ვენერასადმი მიმართვისა და ეპიკურეს შექმნის შემდეგ ლუკრეციუსი შლის თავის მოძღვრებას ატომთა შესახებ. მთელი ბუნება ატომებისაგან შედგება, რომლებიც სიცარიელეში მოძრაობენ.

მეორე წიგნში პოეტი ლაპარაკობს ცოდნის ძალაზე, ცოდნა ბუნების მოვლენებისა ათავისუფლებს ადამიანს შიშისაგან ამ მოვლენათა წინაშე. მეცნიერებათა შორის ყველაზე მალა აყენებს ფიზიკას, რომელიც ადამიანს შეაცნობინებს ბუნების მოვლენებს. აქვე ლუკრეციუსი დაწვრილებით ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იქმნებიან საგნები ატომებისაგან, როგორ ხდება ატომების შეერთებისაგან წარმოქმნა ანა თუ იმ საგნისა.

მესამე წიგნში კვლავ ქებას ასხამს ეპიკურეს, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა, რომ მსოფლიო ღმერთმა კი არ გააჩინა, არამედ ატომთა შეერთებით შეიქმნა იგი. მანვე, ეპიკურემ, განათავისუფლა ადამიანი შიშისაგან ღმერთების წინაშე, სიკვდილის წინაშე, საიქიოს ხასკელის წინაშე.

მეოთხე წიგნში ლუკრეციუსი გვიმართავს, თუ როგორ ხდება საგანთა შეცნობა გრძნობათა მეშვეობით. აქვე ეხება ის სიყვარულის საკითხსაც.

მეხუთე წიგნი ეხება ბუნების მოვლენათა წარმოშობას, თუ როგორ გაჩნდა სიცოცხლე, როგორ წარმოიშვა მიწა, ცა, მზე, და მთვარე, ზღვა და ვარსკვლავები, როგორ გაჩნდნენ ცხოველები. ყველაფერი ეს გაჩნდა, რასაკვირველია, არა ღმერთების წყალობით. ღმერთების რწმენა ადამიანში გააჩინა ბუნების კანონთა არცოდნამ და შიშმა ბუნების მოვლენათა წინაშე.

მექვესე წიგნში ლუკრეციუსი ქებას ასხამს ათენს, რომელმაც წარმოშვა ეპიკურე, და ლაპარაკობს ციური მოვლენების წარმოშობაზე; დასცინის ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ელვა და ქუხილი იუპიტერმა შექმნა. საჭიროა ასეთი აზრების უკუგდება.

ამგვარად, ლუკრეციუსის აზრით, ადამიანმა უნდა დასძლიოს რელიგია; რელიგიას დიდი ვნება მოაქვს ადამიანისათვის. ამის საილუსტრაციოდ ლუკრეციუსს პირველსავე წიგნში მოჰყავს შემთხვევა იფიგენიასი, ავლიდში რომ მსხვერპლად შესწირეს.

„რელიგიას მრავალი უწმინდური და ბოროტი საქმე ჩაუდენია. ავლიდში ტრიაველი ქალწულის (დიანას) საკურთხეველი შებილწეს იფიგენიას უდანაშაულო სისხლით. ქალწულის თმები წმინდა საკრავით შემოსეს. ნაწაავები ჩამოუშვეს ლოცბოთან.

რა მოკრა თვალი სამსხვერპლოს წინ მშობელს მწუხარეს  
და დიანახა ვით მალავდნენ მსახურნი დანას,  
თან ცრემლს აფრქვევდნენ მის მნახველი მოქალაქენი.  
შიშით მუნჯმნილნი ძირს დაცა მუსლმოყვეთილი (1, 69—92).<sup>1</sup>

„ვგრ უშველა იმან, რომ დაბადებისას მამის სახელი აჩუქა აგამენონს. კაცებმა აიყვანეს ხელში და მიიტანეს საკურთხეველთან, სადაც იმის მაგიერ რომ ემღერათ საქორწინო საგალობლები, იგი, უმანყო, მამის ზელით იქმნა დაკლული იმიათვის, რომ ხომალდებს ამინდი მისცემოდათ ზღვაში. აი, — დასკენის ლუკრეციუსი — ასეთ ბოროტ საქმეებამდე მიჰყავს რელიგიას ადამიანები (Tantum religio potuit suadere malorum)“.

რელიგიის დაძლევა შეიძლება ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისა და შესწავლის გზით. პირველ რიგში აყენებს ის ფიზიკასა და შემეცნების თეორიას და არა ეთიკას, როგორც ეპიკურე. ამ ათეიზმს უქმებს ლუკრეციუსს კ. მარქსი: „ეპიკურე იყო ძველი დროის ნამდვილი რადიკალური განმანათლებელი, რომელიც ძველ რელიგიას თავს ესხმოდა, და მისგან გამოძდინარეობდა რომაელთა ათეიზმი, რამდენადაც იგი მათში არსებობდა აი, რატომ ასწამდა მას ლუკრეციუსი ხოტბას როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გათელა რელიგია...“<sup>2</sup>

ხოლო რაც შეეხება ლუკრეციუსის ფიზიკას, კ. მარქსი მას ეპიკურეს ფიზიკაზე უფრო მალა აყენებს. „ლუკრეციუსთან, რომელიც ძველებთან საერთოდ მარტოდ-მარტო მისწვდა ეპიკურეულ ფიზიკას, ჩვენ ვპოულობთ მის უფრო ღრმა დალაგებას.“<sup>3</sup>

ლუკრეციუსის მოძღვრება მაშინდელ რომაულ გაბატონებულ წრეებს ვერ დაემაყოფილებდა. თუ ყველაფერი ასეა, რაღა უნდა წარმოადგენდეს იმ საწყისს, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი თავის მოქმედებაში? აი, ასე სვამდნენ საკითხს სავაჭრო და პოლიტიკური წრეები და ინტელიგენციაც. და ამასთან დაკავშირებით II საუკუნეში ვრცელდება სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემა (ბერ-

<sup>1</sup> ლექსითი თარგმანი კუთუნის პროფ. პ. ბერაძეს.

<sup>2</sup> *Сочинения Маркса и Энгельса*. т. IV, стр. 121.

<sup>3</sup> კ. მარქსი, განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის (საღოქტორო დისერტაცია): *Сочинения Маркса и Энгельса*, т. I (1928), стр. 43.

ძნული). სიტყვის უდიდესი ოსტატი ც ი ც ე რ ო ნ ი (103 — 43 წწ.) მრავალი ფილოსოფიურ ნაშრომში (De finibus bonorum et malorum, De natura deorum და სხვ.) ავითარებს იდეალისტურ თეზისებს მსგავსად ასეთისა: „**კარგი და სასარგებლოა ის, რაც ზნეობრივად კარგია**“.

ასეთი შინაარსისაა ლუკრეციუსის პოემა; როგორც ვხედავთ უაღრესად ფილოსოფიური. მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვი: ლუკრეციუსი პირველ რიგში პოეტია, თავისი აღმაფრენით, მხატვრული გემოვნებით. იმ გრძობებით, რომლებითაც გაელენთილია მთელი პოემა.

ჩვენ არ შეეჩერდებით იმ საკითხზე, რომლის გამო მკვლევართა შორის დავაა: სახელდობრ, პიერონიმეს ცნობაზე, თითქოს ლუკრეციუსი სასიყვარულო სასმელისაგან გაგიჟდა და 44 წლისამ თავი მოიკლა. მაგრამ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ სიყვარულს მის პოემაში დიდი ძალა აქვს მიკუთვნებული:

შენ, ენეადთა წინაპარო, დედაო ვენუს,  
კაცთა და ღმერთთა სანატრლო, სიცოცხლით ავებ  
მსრბოლ ვარსკლავიან ცის ქვეწმეთში ზომალდიან ზღვას  
და ნაყოფიერ დედამიწას, ყოველი არსი  
შენით სულდგნულოს, იბადება და სჭვრეტს მზის ნათელს.  
როს გამოჩნდები, ღვთებრივო, ქარი ჩადგება,  
იფანტებიან ცით ღრუბელი და ტურფა ველი.  
ვარდ-ყვავილებად გეფინება, ტალღა გილიმის  
და მოკაშკაშე ცის ტატნობი სხივს შემოგაფრქვევს;  
როს თვალს გაახელს გაზაფხულის სისხამი დილა,  
პაერის ფრთოსანთ, შენგან დაქრლთ, დაკოდით ისრით.  
მთაქვთ უწყება, დედოფალო, შენის მოსვლისა (1, 1 — 13).

არც ის არის შემთხვევითი, რომ პოემის IV წიგნის ბოლოს კარგადილ ნაწილს ლუკრეციუსი უძღვნის სიყვარულის ფსიქოლოგიას და დაწვრილებით ლაპარაკობს სიყვარულისა და ქალ-ვაჟთა კავშირის სხვადასხვა სახეებსა და ფორმებზე. აქაც ლუკრეციუსი ქალ-ვაჟთა ურთიერთობის საკითხში ღმერთთა ნებით კი არ ხსნის მოვლენებს, არამედ წმინდა ფიზიოლოგიური მიზეზებით. სატრფიალო მოტივები რომ ლუკრეციუსს აინტერესებდა, იქნებ ამით იყოს გამოწვეული მისი მეგობრობა მემიუსთან, რომელიც როგორც ცნობილია, ეროტიკულ ლექსებს სწერდა.

ლუკრეციუსს ღრმად სწამს მეცნიერების ძალა; ადამიანის დანიშნულებაა მთელი თავისი არსებით მიეცეს მეცნიერებას, ვინაიდან ეს არის ერთადერთი, რაც ადამიანთა მოდგმას აკეთილშობილებს.

სანამ ადამიანი მინდობილია მისანთა წინასწარმეტყველებას, ის მუდამ მოუსვენარია და შეცდომაშია. თუ ადამიანი, სამაგიეროდ, იკვ-

ლევს მოვლენებს, ყველა მოვლენა ერთი-მეორეზე ნათლდება, ბუნების ყველა საიდუმლოებას გაიგებ და ერთი მოვლენა, ახსნილი, ლამპარივით წაგიძღვება მეორე მოვლენის ასახსნელად (I, 1114 — 1117).

არაფერია იმაზე უფრო სასიამოვნო, რომ იჯდე მწვერვალზე, რომელიც გამაგრებულია ბრძენთა კეუთით, და იქიდან მიმოიხილავდე ყველაფერს (II, 1 — 91).

საგულისხმოა, რომ ლუკრეციუსის მეცნიერება სიყვარულს უკავშირდება. რომ ეს ასეა. ჩანს იქიდან, რომ ის თბოვნით მიმართავს ვენერას. მას სთხოვს ექმნეს მწედ და შეაქმნეიროს პოემა; მას სთხოვს მიაძინოს თავისი მეუღლე მარსია (ომის ღმერთი), ჩამოაგდებინოს მშვიდობა, რათა იარაღი აღარ ეღარუნებდეს, რათა საშუალება მიეცეს მუშაობისათვის (II, 32 — 43).

ლიტერატურული ხერხების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ლუკრეციუსი მიმართავს არა ელინისტურ პერიოდს. არამედ ელიზურს.

დასასრულ, ლუკრეციუსის ენაზე და ლექსზე. ლუკრეციუსი ენიუსის მოწაფეა. როდესაც ჩვენ ლუკრეციუსის ლექსზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ჰეგზამეტრი პირველად I:1 საუკუნეში შემოვიდა ლათინურში; იგი ენიუსმა შემოიღო. ენიუსის ჰეგზამეტრთან და ეპიკურ ენასთან შედარებით, რასაკვირველია, ლუკრეციუსის ჰეგზამეტრი და ენა დიდი ნაბიჯია წინ. პირველ რიგში უნდა ვთქვათ ფილოლოგიურ ტირმინოლოგიაზე (თვით ლუკრეციუსი წერს — მე მიხდება ახალი სიტყვების შექმნა), ასე, მის მიერ არის შემოღებული სიტყვები:

ატომისთვის — *primordia, exordia, elementa, corpora prima*

შეგრძნების მიმნიჭებელი გარსისათვის — *stimulacra*

სული და სული — *animus (дух)* და *anima (душа)*.

მასვე ეკუთვნის განათავისუფლება ლექსისა ენიუსისთვის ჩვეული მძიმე სპონდეებისაგან. მაგრამ, რასაკვირველია, ლუკრეციუსის პოემის ენა არ არის ის, რასაც ჩვენ შეჩვეული ვართ კლასიკური ლათინური ჰეგზამეტრის სახელწოდებით. არის შემთხვევები, რომ ვუღვარაზმები გვხვდება, გვხვდება არქაზმებიც: ლექსში ბოლოკიდურ s-ს მხედველობაში არ ღებულობს. ამიტომ თანამედროვე ფილოლოგოსები აღნიშნავენ: ლუკრეციუსის ლექსი უფრო ტყბილმოუბარია, ვიდრე ენიუსისა, მაგრამ ვერ აღწევს ვერგილიუსის ლექსის მიმზიდველობასა და ხელოვნებასო.

მაგრამ ძველ დროში, თვით რომში, ლუკრეციუსის თანამედროვენი და მომდევნო თაობები ასე არ მსჯელობდნენ. დღეს ჩვენ ვერგილიუსის უბადლო ჰეგზამეტრს ვადარებთ ლუკრეციუსის პოემას, მაგრამ ძველი რომაელებისათვის ლუკრეციუსის პოეზია დიდი ხელოვანის პოეზია იყო. აკი ციცერონი სწერდა თავის ძმას: ნიკიტ დიდი

მოჩანს ლუკრეციუსის პოემაში და ხელოვნებათ (mullae artes), ე. ი. ლუკრეციუსში იყო ის, რასაც მოითხოვდნენ პოეტისაგან:  $\tau\acute{\alpha}\sigma\iota\varsigma$  და  $\tau\acute{\epsilon}\lambda\chi\eta\upsilon$  („ნიჭი“ და „ხელოვნება“). ხოლო შემდგომი თაობის დიდი პოეტი ოვიდიუსი უკვდავებას უწინასწარმეტყველებდა ლუკრეციუსის პოემას:

Carmina sublimis tunc sunt peritura Lucreti,  
Exitio terras cum dabit una dies (Amores, I, 15, 23).

— „ზეციური ლუკრეციუსის თხზულებები მხოლოდ მაშინ მოკვდება, როდესაც დედამიწა აღიგვება“.

ლუკრეციუსის პოემის მრავალი გამოცემა და თარგმანი არსებობს, მაგრამ ყველაზე სრული და კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, ტექსტუალური აპარატი, კომენტარები და ყოველმხრივი (ფილოსოფიური, ფილოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი) ანალიზი მოიპოვება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა ლუკრეციუსის გარდაცვალებიდან 2000 წლისთავზე.

Лукреций. О природе вещей том I, редакция латинского текста и перевод Ф. А. Петровского, 1946 г., Том. II. стр. 451. Статьи, комментарии, фрагменты Эпикура и Эмпедокла. 1947 г., стр. 698.

ქართულ თარგმანი ეკუთვნის პროფ. პ. ბ ე რ ა ძ ე ს (თბ. 1958 წ. გვ. 239).

§ 142. ვალერიუს კატულე (Gaius Valerius Catullus, 87 — 54 წწ.). ლუკრეციუსის თანამედროვეა ორიგინალური რომაული ლირიკის პიონერი და მსოფლიო პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი ვ ა ლ ე რ ი უ ს კ ა ტ უ ლ ე. როგორც საშუალო საუკუნეებში, ისე ახალ დროში კატულეს ნაწი გრძნობებით ნაკარნახევი ლექსები ცხოველმყოფელ ძალას მატებდნენ პოეტთა აღმაფრენას, ხოლო სოციალური ბრძოლებისა და სამოქალაქო ომების წიაღში შობილი მისი პოეზია. თავისი სიყვარულით და სიძულვილით, თავისი აღტაცებული მისწრაფებებით და სასომიხდილი სულისკვეთებით ბრძოლის უნარს უვითარებდნენ ყოველ შეგნებულ მკითხველს.

კატულე 20 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც რომში ჩავიდა გალიის ქალაქ ვერონიდან, სადაც ცხოვრობდა მისი მდიდარი მამა, იულიოს კეისრის დიდი მეგობარი. რომში იგი არისტოკრატიული წრეებიდან გამოსულ პოეტთა იმ ჯგუფშია, რომელიც სამოქალაქო ომით უკმაყოფილო იყო და იულიოს კეისრის პოლიტიკას არ იზიარებდა. არისტოკრატიის თავაშვებულ ცხოვრებაში ჩაფლული კატულე დაუახლოვდა ერთ ქალს, რომელსაც იგი თავის ლექსებში Lesbia-ს უწოდებს: ეს იყო კლოდია, იმ დროს ცნობილი ტრიბუნის P. Clodius Pulcher-ის და, ქალი ავხორცი და გაუტანელი, რომლის სიმუხტლეში მხოლოდ გარდაცვალების ერთი წლის წინ დარწმუნდა გრძნობათა ღელვისაგან მოღლილი პოეტი.



კატულეს თხზულებათა კრებული 116 ლექსს შეიცავს; ამათგან 31 მიძღვნილია ლესბიასადმი. ის იმეორებს საფოს ლექსს, როდესაც თრთოლვით მიმართავს თავის სატრფოს:

Ille mi par esse deo videtur,

Ille, si fas est, superare divos,

Qui sedens, adversus Identidem te  
Spectat et audit

ღმრთისა სწორად მეჩვენება ის კაცი,  
კიდევ მეტი. ღმერთსაც აღმატება.

ვინც შენთან ზის. ისმენს ტკბილ ხმას,  
ჯაღოქარს,

და გიციქვრის თვალეზში.

შენ რომ გიციქვრ, ლესბია, სუნთქვა მეკვრის, ენა მიდუნდება, თვალეზი მიბნელებს, მწველი ცეცხლი მედება მთელ სხეულშიო — ეუბნება მას პოეტი.

იმავე ლესბიასადმი მიძღვნილ სხვა ლექსში კატულეს უარესი მეტრათეობა მოჩანს:

ვიცხოვროთ და ვინეტაროთ ლესბია!  
ყურს ნუ ვუგდებთ, გროშ-ფარად ნუ ჩავაგდებთ  
მოჩიფჩიფე მოხუცების ყბედობას!  
ცის ტატნობზე მზე ჩავა და ამოვა;  
როს ჩაქრება ნათელი წუთიფერი,  
დაგვიდგება სანეტარო შუაღამე.  
მაშ, მაკოცე, ასჯერ, უკეთ — ათასჯერ,  
კიდევ მეტი: ათასჯერ და კვლავ ასჯერ,  
კვლავ ათასჯერ, კიდევ მრავალ ასობით,  
ავურიოთ, დაკარგოთ სათვალავი,  
რომ არ ვტანჯოთ შურით სავსე კაცები,  
ამდენ კოცნის ბრახმორევით შემყურე!

რასაკვირველია, პოეტს სტანჯავდა ის, რომ მის გრძნობებს დაბრკოლებები ელობებოდა. ამას ამტკიცებს მისი ერთი ეპიგრამა:

Odi et amo, quare id faciam, fortasse requiris.

Nescio, sed fieri sentio et excrucior.

(„მძულს და მინც მიყვარს! იქნებ მკითხო, თუ რატომ მემართება ასე? არ ვიცი. მაგრამ რომ ეს ასეა, მე ვგრძნობ და ვიტანჯები“).

მართებული არ იქნება იმის თქმა, თითქოს კატულე სრულიად მოწყვეტილი იყოს მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას. რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ გარდატეხას აქვს ადგილი ამ დროს: რესპუბლიკის უკანასკნელი წლებია და მის შეცვლას ფიქრობს ახალი რეჟიმი. იულიოს კეისარი მოჩანს როგორც წინასწარი შუქი ამ ახალი რეჟიმისა. და კატულე იმ არისტოკრატიულ ოპოზიციასა, რომელიც იულიოს კეისარის წინააღმდეგ იბრძვის, და სწერს პამფლეტებს. ასეთია მაგალითად, ლექსი „კეისარის მომხრეთა წინააღმდეგ“. ლექსი მიმართულია იულიოს კეისარის მიერ დანიშნული ერთი მოხელის, მამურას, წინააღ-

მდეგ, ნამდვილად კი ლაპარაკია დიქტატორის მიერ დადგენილი იმ სისტემის წინააღმდეგ. რომელსაც ახასიათებს მორალური გახრწნილება, პექტამეობა, კარიერიზმი.

პოლიტიკური მდგომარეობით უკმაყოფილო და პირად ცხოვრებაში სასოწარკვეთილი პოეტი 57 წელს სტოვებს იტალიას და მცირე აზიაში მიდის პრეტორ მემიუსის სანსახურში. მაგრამ ამ მოგზაურობამაც ვერ შეუმსუბუქა მას ტანჯვა. პირიქით, ახალი ქვეყნების წარმტაცი ბუნების სურათებმა კიდევ უფრო გაუერთულეს სულეიერი წყლული. სამშობლოში დაბრუნებია შემდეგ კატულემ თავისი მოგზაურობა აღმოსავლეთში ასახა პოემაში „ატისი“, სადაც აღმოსავლეთის ბუნების აღწერის ფონზე უთუოდ მოჩანს სამოქალაქო ომის მიერ მიყენებული ტკივილებით შეწუხებული რომაელის სასოწარკვეთილება. როგორც ფიქრობენ, ამ პოემაში გამოძახილი პოვა კატილინას აჯანყებით გამოწვეულმა გუნება-განწყობამ.

იულიოს კეისარი თავისი გამარჯვების შემდეგ ცდილობს შეურიგდეს მოწინააღმდეგეებს ინტელიგენციის ბანაკიდან, რომ თავისი პოლიტიკის სამსახურში იუოლიოს ხალხის მესაიდუმლე პოეტები და საზოგადო მოღვაწეები. ბევრი წამოეგო ამ ანკესს (მათ შორის ციცერონიც), მაგრამ კატულემ უკუაგდო მისი საზავო წინადადება: «არ ვცდილობ, კეისარ, შენთვის — უპასუხებს კატულე იულიოს კეისარს — არც მინდა ვიცოდე სულ, კარგი ხარ თუ ცუდი შენ».

ასე მუდამ გულწრფელი და გულმართალი იყო კატულე და მისი ხასიათის ამ თვისებებით და მისი პოეზიის რომანტიკული ჰანგებით მოხიბლული იყვნენ საშუალო და ახალი საუკუნის ჰუმანისტი ადამიანები. დიდი პუშკინი უბაღლო პოეტად სთვლიდა მას.<sup>1</sup>

**§ 143. პროზა.** ამ საუკუნის პირველმა ნახევარმა, რომელიც მდიდარი იყო პოლიტიკური გართულებებით და სოციალური მოძრაობებით, წარმოქმნა მდიდარი პროზაც: საისტორიო, საფილოსოფიო და რიტორიკული პროზა.

ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის დიდი წარმომადგენელია ციცერონი (Marcus Tullius Cicero, 106 — 43 წწ.). პირველად საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა 80 წელს, როდესაც თავის სიტყვაში როსციუს ამერიელის დასაცავად გაილაშქრა სულას რეჟიმის წინააღმდეგ; 75 წელს იყო კვესტორად სიცილიაში, 69 წელს ედილად, ხოლო 66 წელს პრეტორად. 63 წელს იგი არჩეულ იქმნა კონსულად და ამხილა კატილინას შეოქმულება, რითაც ციცერონმა რეაქციულ სენატორთა დიდი ნდობა დაიმსახურა (მას მიანიჭეს

<sup>1</sup> რუსულად კატულეს ლექსთა კრებული უკანასკნელად გამოიცა 1929 წელს: Катулл, Книга лирики, М.-Л., 1929.

წოდება *Pater patriae* „სამშობლოს მამა“). მაგრამ შემდეგ, 58 წელს, სახალხო ტრიბუნის კლოდიუსის მოთხოვნით იგი გაძევებულ იქნა რომიდან თავისი მეტად სასტიკი ზომების მიღების გამო კატილინას მომხრეთა წინააღმდეგ. მართალია, ის მერე დაბრუნდა რომში, მაგრამ აქ უკვე ისეთი სიტუაცია დახვდა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე არავითარი ავტორიტეტი აღარ ჰქონდა; იძულებული იყო იულიოს კეისრის ნება-სურვილს გაჰყოლოდა. იულიოს კეისრის მოკვლის შემდეგ (44 წელს „სცადა აქტიური გამოსდარიყო და სასამართლოში კეისრის პეველებს იცავდა თავგამოდებით, მაგრამ 43 წელს იგი მოკლეს“.

მართალია, მისი მდგომარეობა პოლიტიკურ ასპარეზზე მერყევი იყო, მაგრამ მან ბოლომდე შეინარჩუნა სიტყვის დიდი ოსტატის სახელი და უკვე თანამედროვენი ეძახდნენ მას სამოსამართლო მქვერმეტყველების მეფეს. ჩვენამდე მოღწეულია ციცერონის მიერ წარმოთქმული 58 სიტყვა და 17 სიტყვის ფრაგმენტები, ხოლო ცნობილია, გარდა ამისა, 30 სიტყვის სათაური. განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვეს ციცერონს მისმა სიტყვებმა „კატილინას წინააღმდეგ“ (4 სიტყვა), „ვერესის წინააღმდეგ“ (5 წუნად), „ანტონიუსის წინააღმდეგ“ (14 ფილიპიკა) და სხვ. სიტყვის უბადლო ოსტატი გამოსაქვეყნებლად განზრახულ თითოეულ სიტყვას ამუშავებდა როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. ამიტომაც არის, რომ ციცერონის რიტორიკული პროზა დახასიათებულია როგორც რიტმული პროზა. რიტორიკული ხერხების თვალსაზრისით ციცერონის რიტორიკული პროზა აზიანიზმის პრინციპებს მისდევდა და ამის შესახებ საგანგებო ტრაქტატიც აქვს დაწერილი (*De claris oratoribus liber qui dicitur Brutus* „წიგნი ბრწყინვალე ორატორების შესახებ, რომელსაც ეწოდება *Brutus*“).

თავის მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ ნაშრომებში ციცერონი, არსებითად, ბერძნულ იდეალისტურ ფილოსოფიას ნერგავს რომში: იყენებს ბერძნული ფილოსოფიიდან შეთვისებულ დეპულეებებს რომის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა რკვევის დროს (იხ. მისი „ტუსკულანური საუბრები“, „დმერთთა ბუნების შესახებ“, „სიკეთისა და ბოროტების შესახებ“, „სახელმწიფო“, „კანონები“ და სხვ).

ამ ეპოქაში მდიდრად არის წარმოდგენილი საისტორიო პროზა. იულიოს კეისარმა (*Caius Julius Caesar*, 100 — 44 წწ.) დაჯიტიცა I საუკუნის ისტორიის საკითხთა კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ორი შრომა: *De bello civili* („სამოქალაქო ომის შესახებ“) და *De bello gallico* („გალებთან ომის შესახებ“). მის მიერ შექმნილი ლათინური პროზული ენა სანიმუშო ვახდა მომდევნო ისტორიკოსებისათვის: იგი თავისუფალი იყო არქაული ლათინურის

მოუხეშაობისაგან და ახლოს იდგა სალაპარაკო ლათინურთან. ციცერონთან ერთად იულიოს კეისარი ითვლება კლასიკური ლათინური პროზის ფუძემდებლად.

**სალუსტი** (Caius Sallustius Crispus, 86 — 35 წწ). ცნობილია ისტორიოგრაფიაში თავისი ორი შრომით: „კატლინას შეთქმულება“ და „იუგურტას ომი“. მოღწეულია აგრეთვე მისი „წერილები კეისართან“.

ისტორიკოსმა **ნეპოტმა** (P. Cornelius Nepos, დაახლ. 100 — 32 წწ.) დასწერა „ისტორია“ სამ წიგნად, რომელშიც ქრონოლოგიურის თანმიმდევრობით იყო მოთხრობილი მსოფლიო ისტორია დასაბამიდან I საუკუნემდე. ეს ის შრომაა, რომელსაც კატულე იხსენიებს *Chronica*-ს სახელქვეშაობით. ეს შრომა ჩვენამდე მოღწეული არაა. მისი მეორე შრომა *De viris illustribus* მოღწეულია მხოლოდ ხაწილობრივ. ამ შრომაში აღწერილია მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრება და მოღვაწეობა (მილტიადე, თემისტოკლე, არისტიდე, პავსანია, კიმონი, ალკიბიადე... ჰამილკარი, ჰანიბალი, კატონი, ატიკუსი).

ამ ეპოქის პროზაიკოსთა თხზულებების მრავალი რუსული თარგმანი არსებობს. მათ შორის აღწინავეთ: Цицерон, Полное собрание речей, том I, 1901; Письма Марка Туллия Цицерона, I—III, Москва — Ленинград, 1949 — 1951; Записки Юлия Цезаря и его продолжателей, М.-Л., 1948; Саллюстий. Заговор Катилины, 1935; Письма к Цезарю-старцу: ВДИ, 1950, № 1, Корнелий Непот, пер. Белицкого, 1886.

---

## თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

### რქტაპინანის ხანის რომაული ლიტერატურა

§ 144. პირველი საუკუნის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება. მეოთხე-მესამე საუკუნეთა მიჯნაზე წარმოქმნილი რომაული ლიტერატურის დასაყრდენი იყო იმდროინდელი ბერძნული ლიტერატურა. ლუციუს ლივიუს ანდრონიკე, რომელმაც შექმნა პირველი რომაული ლიტერატურული ძეგლი, სამხრეთ იტალიელი ბერძენი იყო და მან, როგორც ლიტერატორმა, თან მოიტანა რომში ის ლიტერატურული გემოვნებანი და ის მხატვრული შემეცნება, რომელნიც ჰქონდა იმდროინდელ ბერძნულ საზოგადოებას, ე. ი. ელინისტურ საზოგადოებას. ლივიუს ანდრონიკე ხომ ერთადერთი ლიტერატორი არ იყო საბერძნეთიდან მოსული; სამხრეთ იტალიის დაპყრობის შემდეგ რომაელთა მიერ, რომს მოაწყდა აუარებელი ბერძენი, ზოგი ტყვე და ზოგიც თავისი ნებით გადმოსახლებული მაშინდელ მსოფლიოს უდიდეს ქალაქში და, მაშასადამე, ელინისტური ლიტერატურული გემოვნების და მხატვრული შემეცნების მქონე ბერძნული ლიტერატურა გახდა პირველი დასაყრდენი ახლად წარმოქმნილი რომაული ლიტერატურისათვის.

ამ გარემოებამ განსაზღვრა III — II საუკუნეთა რომაული ლიტერატურის ხასიათი. რომში შემოვიდა ჰომეროსი, რომელიც ელინისტური პერიოდის სკოლის სასწავლო პროგრამის წამყვანი მწერალი იყო, და საყოფაცხოვრებო კომედია, რომელიც ევრიპიდეს რეალისტური მიმართულების დრამის ერთგვარ გაგრძელებაზე აგებულ ახალი ატიკური კომედიიდან მომდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ პლავტე და ტერენციუსი სხვადასხვა მიმართულების კომედიოგრაფები არიან, ორივეს საფუძველი მაინც ფილემონის, მენანდრეს და სხვათა კომედიები იყო.

სულ სხვა გარემოებაში განვითარდა პირველი საუკუნის რომაული ლიტერატურა. ეს შეიქმნა იმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში, როდესაც რომში კი არ მოსულან დაპყრობილ

ბერძნულ ქალაქთა ლიტერატორები, არამედ თვით რომაელები მივიდნენ როგორც დამპყრობლები დედა-საბერძნეთში. რომაელთა ექაპანსია ხმელთაშუა ზღვის აუზში და ყოფილ ბერძნულ სამყაროში დამთავრდა იმით, რომ I საუკუნეში რომაელი ინტელიგენცია მოაწყდა დედა-საბერძნეთს და ათენის სამეცნიერო და სალიტერატურო სკოლებში დაეწაფა ბერძნული კულტურის იმ მონაპოვართ, რომლების დროშაც პლატონის მიერ შექმნილ აკადემიას და არისტოტელეს პერიპატოელთა სკოლას ჯერ კიდევ მაღლა ეჭირათ. რომაელი ახალგაზრდობა. რომელიც I საუკუნეში თავის განათლებას ათენში ამთავრებდა, ეცნობოდა აქ უშუალოდ ელინური მეცნიერებისა და ლიტერატურის პირველ წყაროებს. თუ IV -- III საუკუნეთა ბერძენ ლიტერატორებს რომში მოჰქონდათ ელინისტურ ბრძმედში გატარებული ჰომეროსი, ან ზერელე გრძნობების აღქმაზე აგებული სატრფიალო ლირიკა და საყოფახსოვრებო კომედია ჰეტერებთან ურთიერთობაში გაბმული ახალგაზრდების ავანტიურითურთ, I საუკუნის რომაელებმა თვით საბერძნეთში აითვისეს ნამდვილი ჰომეროსი, ბერძნული ლირიკის პირველი წარმომქმნელნი (არქილოქე, ალკეოსი, საფო, ანაკრეონტი და სხვები) და თვით ბერძნული ფილოსოფიის ფუძემდებლები (პლატონი, დემოკრიტე, არისტოტელე). ამიტომ I საუკუნის რომაელ მწერალთა საუკეთესო წარმომადგენლებს (ვერგილიუსს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს...) მასწავლებლად ჰყავდათ უშუალოდ თვით ჰომეროსი, არქილოქე, ალკეოსი და სხვა კორიფეები ელინური მწერლობისა. ეს რომაელი მწერლები, რომლებმაც გამოიარეს რომაული ლიტერატურული სკოლა. სადაც III -- II საუკუნეთა მანძილზე წარმოებულნი ბრძოლის შედეგად უკვე შემუშავდა ეროვნული მიდგომა მხატვრულ-ლიტერატურული საკითხებისადმი, გვევლინებიან როგორც შემქმნელნი მაღალი ღირსების ორიგინალური ლიტერატურისა. ამ ლიტერატურას ახასიათებს რომაული სინამდვილის გააზრება არაბერძნული პრიზმით და მია ასახვა ამ მაღალმხატვრული ხერხების შემწეობით, რომლებიც შესძინა რომაელ მწერლებს ბერძნული ლიტერატურის პირველწყაროთა ათვისებამ. ამ საუკუნის ლიტერატურის დამახასიათებელია არა მიბაძვა ბერძნული ძეგლებისადმი და ორი-სამი ბერძნული ნაწარმოების შეკოწიწებით ერთი რომაული კომედიის შეთხზვა, როგორც ეს იყო III . - II საუკუნეებში, არამედ სამოქალაქო ომებისა და კლასობრივი ბრძოლების პირობებში შექმნილი რომაული სინამდვილის გააზრება ელინური მწერლობისაგან შეძენილი მაღალმხატვრული გემოვნებისა და შემეცნების მეშვეობით.

პირველი საუკუნის მეორე ნახევარში, ოქტავიანეს ხანაში, რომაულმა ლიტერატურამ პოეზიისა და პროზის მრავალ დარგში შექმნა პირველხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაგან უმე-

ტესმა დღემდე შეინარჩუნა თავისი მაღალი ღირსება. ამ ეპოქის პოეტთა სათავეში დგანან მსოფლიო ლიტერატურის სიამაყენი — ვერგილიუსი, პორაციუსი და ოვიდიუსი.

§ 145. ვერგილიუსი (Publius Vergilius Maro, 70 — 19 წწ.). ვერგილიუსი დაიბადა 15 ოქტომბერს 70 წელს ანდესში, მანტუასთან. წვრილი მიწისმფლობელის (წინათ ხელოსნის) ოჯახში. განათლება მიიღო ჯერ მილანოში, მერე რომში, სადაც სწავლობდა განსაკუთრებით რიტორიკასა და ფილოსოფიას. ახალგაზრდობაშივე სწერდა ლექსებს. ეკუთვნოდა პოეტთა იმ ჯგუფს, რომელიც სამოქალაქო ომით მიყენებული ზარალის გამო გულგრილად უყურებდა პოლიტიკურ საკითხებს და ინდივიდუალისტური გრძნობების საფუძველზე ლირიკულ ქანრებს ეტანებოდა.

41 წელს ოქტავიანემ ჩაატარა მამულების ჩამორთმევა, რომლებიც გაუნაწილა ვეტერანებს, თავის მთავარ საყრდენს. დაზარალებულ მემამულეთა რიცხვში მოხვდა ვერგილიუსიც. ის ჩავიდა რომში, სადაც ნაცნობი ლიტერატორების (განსაკუთრებით მეცენატის), ოქტავიანესთან დაახლოებულ პირთა შემეცობით დაიბრუნა მამული, უკეთ რომ ვთქვათ, მიიღო ახალი მამული (ქალაქ Nola-ს მახლობლად, კამპანიაში) და იქ ცხოვრობდა: ხშირად კი დროს რომსა და ხეაპოლში ატარებდა.

ოქტავიანეს პოლიტიკისადმი წინათ ოპოზიციურად განწყობილი ვერგილიუსი ახლა უკვე სხვა პოზიციებს იჭერს პოლიტიკის საკითხებისადმი. ისიც ხდება ოქტავიანე ავგუსტეს თვითმპყრობელური პოლიტიკის მოტრფიალედ და ამიერიდან ავგუსტეს პოლიტიკის ქებასა და გამართლებას ემსახურება მისი მხატვრული ნიჭი. მაგალითად, მას დაკვეთილი აქვს ავგუსტესაგან „ენეიდის“ დაწერა; ამ პოემაში მან რომაელთა მიმდინარე პოლიტიკას საყრდენი უნდა შეუქმნას რომაელთა განდიდებულ წარსულში: ოქტავიანეს მიერ წარმოებული პოლიტიკა უნდა გამართლებულ იქნეს რომაელთა წარსულში დაძვინილი ფაქტებითა და ეპიზოდებით. ამ მიზნით ვერგილიუსი მოგზაურობს იმ ადგილების შესასწავლად, სადაც „ენეიდაში“ მოთხრობილი ამბები უნდა ხდებოდეს. ამ მიზნითვე იმოგზაურა მან საბერძნეთში, მაგრამ ათენში ავად გახდა და უკან ვაბრუნდა სამშობლოსაკენ; გზაში, ბრუნდისიუმში, ვერგილიუსი გარდაიცვალა 21 სექტემბერს 19 წელს.

ვერგილიუსის შემოქმედება. ვერგილიუსის შემოქმედებას ახასიათებს რომანტიკული სულისკვეთება და თანამედროვე მტაცებლური პოლიტიკის აპოლოგეტიკა. ვერგილიუსი სიწყნარის მოყვარულია და კონსერვატორია, — ამდენად ის წარსულის მოტრფიალეა და სოფლის მყუდრო ცხოვრების მომღერალი; იგი მოღლილია ხანგრძლივი სამოქალაქო ომებით და ავგუსტეს მიერ წარმოებული მტაცებლური

პოლიტიკა, Pax romana-ს ნიღაბქვეშ ამოფარებული, მიმზიდველად მიანნა და აქებს მას.

ვერგილიუსის ნაწარმოებთაგან ლიტერატურის ისტორიის საგანია სამი: „ბუკოლიკები“, „გეორგიკები“ და „ენეიდა“ .

ყველაზე ადრინდელია „ბუკოლიკები“ (Bucolica), ე. ი. „სამწყემსო სიმღერები“, რომლებიც დაწერილია 42-სა და მომდევნო წლებში. ეს ნაწარმოები შედგება 10 ეკლოგისაგან,<sup>1</sup> რომლებიც შინაარსის მხრით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ერთ ჯგუფში შედის ის პოემები, რომლებიც თეოკრიტეს „იდილიების“ მიბაძვით არის დაწერილი, ხოლო მეორე ჯგუფის პოემები მთლიანად რომის ცხოვრების სინამდვილეს ასახავენ. თუმცა პირველი ჯგუფის პოემები თეოკრიტეს პერსონაჟებსაც კი იმეორებენ, მაგრამ იქაც, რასაკვირველია, ბერძენი მწყემსების პირით. თავიანთ ჭირვარაძეზე ლაპარაკობენ ვერგილიუსის თანამედროვენი.

პირველ ეკლოგაში საუბრობს ორი მწყემსი: ტიტვირე და მელიბოე. მელიბოე გამოუგდია მისი მამულიდან ჯარისკაცს<sup>2</sup> და ის შენატრის ტიტვირეს, რომელსაც რომში მთარველები აღმოსჩენია და, ამის წყალობით, დამშვიდებით ცხოვრობს თავის მამულში, შინაურ ღმერთებს მსხვერპლებსა სწირავს და წყნარად აძოვებს საქონელს, ამ საუბარში ტიტვირე აღუწერს თავის მეგობარს უდიდეს ქალაქ რომს.

„რომელიც დანარჩენ ქალაქთ დაქუერებს ამაყი თავით“,

სადაც ცხოვრობს ყრმა,

„რომელსაც თორმეტჯერ ვუკმევთ წელიწადში სამსხვერპლო ზვარაკთ; მოხოვნელსა პასუსი გამცა მან პირველმა ასეთი სიტყვით: ძროხები მწყესთ როგორც წინათ, ხარებიცო აშენეთ, ყმანო!“ (I, 43—45).

ასეთი სიტყვებით გამოუსტუმრებია რომიდან ამ ყრმას ტიტვირე, ე. ი. ნება დაურთავს ძველებურად განეგრძო თავის მამულში მწყემსური ცხოვრება. მელიბოე შენატრის ტიტვირეს, რომ მას შეუძლია ნაცნობი წყლების ნაპირებზე ისუნთქოს გრილი ჰაერი. „იქვეა — ეუბნება მელიბოე — შენი ნაცნობი მეზობელი მიჯნები, სადაც დაბზუიან ფუტკრები და ნაზ რულსა გგვრიან შენ; იქვე მებაღე, აყუდებული

<sup>1</sup> რამდენადაც „ბუკოლიკებს“ უკვე დიდი ოსტატის ხელი ეტყობა, ამდენად ცხადია, რომ მათ წინ უძღოდა „სიკურმის“ ნაწარმოებები, რომლებიც აეტორს. თვითონ არ გამოუქვეყნებია „ეკლოგა“ ერქვა, რომში წვრილ პოეტურ ნაწარმოებს, განსაკუთრებით მწყემსური შინაარსისას.

<sup>2</sup> აქ იგულისხმება ჯარისკაცი იმ ვეტერანთა რიცხვიდან, რომლებსაც ავგუსტემ დაურჩია თავისი მოწინააღმდეგე მემამულეებისათვის ჩამორთმული მიწები.



კლდის ძირში, თავისუფლად დამღერის, და შენი მტრედები ზედ დასდგომიან შენს ქოხს და სიყვარულზე ლულუნებენო“.

ამ ეკლოგის ავტობიოგრაფიული ზასიათი აშკარაა. ტიტვირე — თვით ვერგილიუსია, რომელმაც რომში მეგობრების წყალობით თავისი მამული დაიბრუნა; ყრმა — ოქტავიანე ავგუსტეა, რომელიც ღმერთების ხარისხშია აყვანილი: მას წელიწადში თორმეტჯერ მსხვერპლებსა სწირავენ რომაელები როგორც ღმერთს და იგი ისევე მწყალობელია დაჩაგრული ადამიანებისა, როგორც ღმერთები. ამავე დროს ვერგილიუსის მიერ ამ ეკლოგაში შექმნილია სოფლის იდილიური ცხოვრება.

მერვე ეკლოგაში გვაქვს ორი მწყემსის, დამონისა და ალფესიბოეს, სიმღერა. ერთი მათგანი ჩივის, რომ სატრფომ უღალატა და სხვაზე გასცვალა. მეორე, ალფესიბოე, მღერის იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა მწყემსის ქალმა სხვადასხვა მომჭადოებელი საშუალებებით დაიბრუნა თავისი სატრფო დაფნისი. ამგვარად, ორივე მწყემსის სიმღერა გამოწვეულია ერთნაირი მწუხარებით: ერთ შემთხვევაში მწუხარება გამოიწვია ვაჟის დარღმა სატრფოს ღალატის გამო, მეორეში კი მღერის სატრფოს მიერ მიტოვებული ქალიშვილი. ამ ტყბილმა სიმღერამ უნდა მოუშუშოს ტკივილები დამწუხარებულთ, სატრფოა და მეტრფეს; და, მართლაც, პოეტის აზრით ეს სიმღერები მომჭადოებელია. ვერგილიუსი ასე იწყებს ამ სიმღერას:

„ვიგონებ მწყემსების მუხას, დამონის და ალფესიბოეს,  
რომელთა სიმღერის სმენამ დაავიწყა ბალახი ძროხას;  
რომელთა შეჯიბრის ძალამ გააქევა მრისხანე ვეფხვიც,  
წყლებმაც კი დინება თვისი შეაჩერეს იქვე და დადგნენ!  
დამონის შევაქებ მუხას, მასთანავე ალფესიბოეს“ (VIII, 1 — 5).

ამგვარად, ვერგილიუსი არ ჰღალატობს ელინისტური პოეზიის ნიმუშებს და, თეოკრიტეს მსგავსად, სოფლისა და, კერძოდ, მწყემსების ცხოვრებას ქებას ასხამს: მომხიბვლელია სოფლის მინდვრები; ნარნარი სიო, მდინარეებიდან და წყაროებიდან მომქროლავი, ნანასავით ელამუნება ადამიანს: ფუტკრის მწყობრი ბზუილი ტყბილი რულის მომგვრელია. მწყემსის სიმღერა იმდენად მომჭადოებელია, რომ ძროხას ავიწყდება ბალახი, მრისხანე ვეფხვი და ფოცხვერი სმენად გადაქცეულან, ხოლო მდინარე უკუ მოაბრუნებს თავის მდინარებას და გაუფრთხილებელი უსმენს მწყემსის სიმღერას.

თეოკრიტეს მსგავსად ვერგილიუსი ეხება თავის „ბუკოლიკებში“ სოფლელისა და, კერძოდ, მწყემსის გულის ნადებს, მის ჭირვარამს, მის განცდებს; დამწუხარებულია სოფლელი, როდესაც მას აიძულებენ გაშორდეს ნაცნობ და შეჩვეულ ყანებს; გულდასერილია მწყემსი, როდესაც მას სატრფო ღალატობს და სხვაზე ცვლის.

მაგრამ ვერგილიუსის „ბუკოლიკები“, რომლებიც, რა თქმა უნდა, ელინისტური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელისა და ბუკოლიკურ პოეზიის მამამთავრის, თეოკრიტეს, იდილიების საფუძველზეა წარმოშობილი, არ წარმოადგენენ მხოლოდ ამ უკანასკნელის მიბაძვას. რასაკვირველია, მიბაძვა აქ ძალიან საგრძნობია: იქამდისაც კი მიდის მიზაძვა, რომ, მაგალითად, VIII ეკლოგა თეოკრიტეს მეორე და მესამე იდილიების თითქმის კონტამინაციას წარმოადგენს. ამ ელინისტური პოეზიის ნიმუშების საფუძველზე ვერგილიუსმა დაგვისურათა რომის მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება, მისი ცალკეული მხარეები, და პირნათლად შეასრულა არსებული სახელმწიფო წყობილებისა და ხელისუფლების მიერ მოცემული სოციალური დაკვეთა. ტიტვირეს პირით (I ეკლოგაში) შექმნილია ღმრთეებრი ყრმა — ოქტავიანე ავგუსტე, რომელსაც იმავე წესით სწირავენ მსხვერპლს, როგორც ღვთაებას. მენალკას და მოფსეს პირით (V ეკლოგაში) განდიდებულია სიცილიელ მწყემსთა მზარველი ღაფნისი (ეს იულიოს კეისარია).

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა 40 წელს დაწერილი მეოთხე ეკლოგა, სადაც პოეტი ხობტას ასხამს ახალ პოლიტიკურ წყობილებას (რესპუბლიკა ხომ დაინგრა და მის ადგილს იჭერს პრინციპატი). ამ ეკლოგაში გატარებულია აზრი, რომ ოქროს ხანა დაბრუნდება და იგი მოუტანს საზოგადოებას მშვიდობასა და სიწყყარეს. საზოგადოდ, ამ ეპოქაში (I საუკუნეში). მიწათმფლობელთა უღლის ქვეშ მგმინავ ხალხში იქმნება იმედი იმისა, რომ მოხდება რაღაც სასწაულებრივი გარდატეხა, რომელიც მოუტანს ხალხს ხსნასა და შევებას; ამ იმედს ფესვებს უმაგრებდნენ ე. წ. „სიბილას წიგნები“, რომლებიც ამ დროს რომში ფართოდ იყო გავრცელებული და რომლებშიც შემოჭრილი იყო ებრაული წინასწარმეტყველური თქმულება მესიას („მხსნელის“) მოსვლისა და მის მიერ ქვეყნის ხსნის შესახებ. ეს იმედი და რწმენა, უპირველეს ყოვლისა, მდაბიო ხალხში, მონური შრომით სასოწარკვეთილ მოსახლეობაში გავრცელდა, მაგრამ იგი გაიზარდა და სახელმძღვანელოდ გაიხადა ინტელიგენციამ, რომელსაც სტოიკური ფილოსოფიისაგან მიღებული პქონდა მსოფლიოს ციკლური მოძრაობის თეორია: იყო კაცობრიობის ცხოვრებაში ოქროს ხანა, რომელსაც თანდათან სცვლიდნენ უარესი ხანები — ვერცხლის, სპილენძის, გმირთა ხანები — და ბოლოს დადგა ყველაზე საშინელი რკინის ხანა; ეს არის უკიდურესი წერტილი ცხოვრების განვითარების გზაზე, ხოლო ამის შემდეგ რკალი შობრუნდება და კვლავ დადგება ოქროს ხანა.

და, აი, ამ ოქროს ხანაზე ოცნებობდნენ ისინი, ვინც ევზომ მოღალა ათეული წლების მანძილზე გაგრძელებულმა სამოქალაქო ომებმა, ეს იმედი ჩაუსახა პაციფისტურ ინტელიგენციას ოქტავიანე ავგუსტემ. 40 წელს ქ.ლ. ბრუნდისიუმში ხელშეკრულება დაიდვა ოქტავიანე

ავგუსტესა და მარკუს ანტონიუსს შორის: სამშვიდობო მოლაპარაკების დროს პირველის წარმომადგენელი იყო მეცენატი, ხოლო მეორისა — იმ წლის კონსული ასინიუს პოლიონი. ეს ხელშეკრულება საბუთს აძლევს პოეტს მისნობის სახით ამცნოს ქვეყანას, რომ დაიბადება ახალი ღმერთი, რომელიც ახალ ცხოვრებას მოიტანს, ახალ სამყაროს შექმნის.

ვუმღეროთ უფრო რთულ ამბებს, სიცილიის მუზეუმო, ესლა!  
მუდამ ხომ არ მოგვწონს ბუჩქი, ან აკანთო. ალღუნი მდარე  
თუ ვუმღერთ ჩვენ ტყეებს, დეე კონსულისა გამოდგენენ ღირსნი.  
კუშმის მისნობით ბოლო საუკუნე დაგვიდგა უკვე,  
როდესაც ჩვენ თვალწინ ჟამთა იბადება ახალი წყობა.  
მადალი ზეციდან კვალად დაეშვება ახალი მოდგმა.  
შობილი დაიცავ ბავშვი, ვის წყალობით რკინისა ტომი  
გაქრება, ნაცვლად კი მისა შეიქმნება ოქროის მოდგმა“ (IV, 1 — 9).

ეს ახლად შობილი ბავშვი, რომელსაც თან მოაქვს ახალი წყობა, ოქროს ხანა, არის ოქტავიანე ავგუსტე.

უშუალო საბაბი მეხუთე ეკლოგის დაწერისა იყო შემდეგი გარემოება: 40 წელს ავგუსტეს მეუღლე სკრიბონია ბავშვის გაჩენის მოლოდინში იყო. ავგუსტეს გარშემო შემოკრებილი ინტელიგენცია, მათ შორის ვერგილიუსიც მთელ თავის იმედებს ამყარებდნენ ავგუსტეს „მშვიდობის მომტან“ პოლიტიკაზე და საქმარისი იყო მცირე საბაბიც, რომ ედიდებინათ პრინცესი. ვერგილიუსიც სარგებლობს შემთხვევით და ქებას ასხამს ავგუსტეს, რომლის ახლად დაბადებულმა ვაჟმა კაცობა-რობას უნდა დაუბრუნოს ოქროს ხანა. როდესაც ქვეყნიურებაზე აღდგენილი იქნება სამართალი, რომელიც რკინის ხანის პირობებში ცხრა მთას იქით იყო გადაკარგული; მიწა კვლავ აღმოაცენებს სურჩელოვან ყვავილებს, თავისთავად აბიზინდება ქარვისფერი თავთავები, კაცის ხელი და შრომა აღარ დასჭირდება ეახის ყვავილობას...

სკრიბონიას, ვაჟის მაგიერ, ქალი შეეძინა, იულია, რომელმაც შემდეგ, დაქალაქებულმა და ხალხში გამოსულმა; თავისი უზნეო საქციელთ ჩირქი მოსცხო მთელ სასახლეს. ვინღა იფიქრებდა ვერგილიუსის ზემომოყვანილი ეკლოგა, ახლად დაბადებულ ბავშვის შესახებ, მიეკუთვნებინა ამ გარყვნილი ქალისათვის ბუნებრივი იყო, რომ ახლად გაჩენილ ყრვამში მისნობის სახით დაენახათ ოქტავიანე ავგუსტეს მოვლინება ამ ქვეყნად.

სოფლის ცხოვრების და მიწათმოქმედების აპოლოგეტიკას ემსახურება ვერგილიუსის მეორე ნაწარმოებიც — „გეორგიკა“. ეს პოემა ოთხი წიგნისაგან შედგება: პირველი ეხება მიწათმოქმედებას, საერთოდ, მეორე — მებაღეობას და განსაკუთრებით მევენახეობას, მესამე — მეცხოველეობას და მეოთხე — მეფუტკრეობას. თვითონ ვერგილიუსი პოემის შესავალშივე გვაცნობს თავისი შრომის შინაარსსა და გეგმას. „მე მინდა, მეცენატო, ვიმღერო იმაზე, თუ როგორ მიიღოს კაცმა უხვი ჭირნახული, თუ რომელ ვარსკვლავზე უნდა გადააბრუნოს მიწა, როგორ მიამაგროს ჭივოზე ვაზი, მოუაროს ხარებს და მოაშენოს საქონელი, და როგორია მოფუსფუსე ფუტკრის დაულალავი შრომა“

(I, 1 — 5). ღმერთებისადმი (ცერერა, ბახუსი, ნექტუნი, მინერვა...) მიმართვის შემდეგ პოეტი აცნობს მკითხველს მიწის დამუშავების წესებს: რა დროს უნდა შეუდგეს მიწისმუშა ხენა-თესვას და იხელმძღვანელოს ამ საქმიანობაში მეტეოროლოგიური ნიშნებით, რომელთაც ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობაში. პოეტი ასწავლის მარწმინდის წელიწადის რა დროს რა აკეთოს, რომელ ამინდში რა საქმიანობას მისდიოს, როგორ შეაჩვიოს თვალი ბუნების მოვლენათა ნიშნებს და მათი მიხედვით ისწავლოს ამინდის გამოცნობა. პირველი სიმღერის ბოლოში კვლავ ლოცვით მიმართავს ღმერთებს და სთხოვს მათ ხელი შეუწყონ ყრმას (ე. ი. ოქტავიანე ავგუსტეს), რომელიც მოწოდებულია მოუშუშოს რომაელებს ტკივილები, რომლებიც მათ მიაყენეს სამოქალაქო ომმა და საგარეო გართულებებმა. «გუთანს პატივი აეყარა, — ამბობს პოეტი, — მინდორში მიწა ამოხმა, რადგან მიწისმუშა მოაკლდა მას, მოღუნული ცელები მანხილებად გადაადნეს. აქ ეფვრათი ამოძრავდა. იქ გერმანიამ წამოიწყო ომი... ყველგან მძვინვარებს დამღუპველი მარსი» (I, 506 — 511).

ასევე დანარჩენ წიგნებში ვერგილიუსი ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე (მებაღეობა-მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა). ყველგან ის აზრია გატარებული, რომ იგი, პოეტი, ოქტავიანე ავგუსტესაგან ელის რომის განახლებას, რადგან ავგუსტე, პოეტის აზრით, არის «მომცემი ნაყოფთა, მბრძანებელი წლის დროთა და ამინდთა». (I, 27).

ცხადია, „ბუკოლიკების“ ავტორისათვის ბუნებრივი იყო „გეორგიკებშიც“ („მიწათმოქმედების სიმღერებში“) მიზნად დაესახა შეექოს სოფლის იდილიური ცხოვრება — და არა მარტო მიეცა გლეხისათვის რჩევა-დარიგება სოფლის მეურნეობის საქმეებზე (რითაც ის, ვერგილიუსი, ენათესავება ჰესიოდესა და მის „ერგას“), არამედ წარმოედგინა ბუნების მოვლენათა მხატვრული აღწერა, ეგრძნობინებინა გლეხისათვის მთელი სიმშვენიერე სოფლის ბუნებისა. ვერგილიუსის თანამედროვენიც გრძნობდნენ ამ დიდი ოსტატის ტალანტს და პოეტი პორაციუსი მალალ შეფასებას აძლევს ვერგილიუსის „გეორგიკებს“, როდესაც ამბობს, რომ «სოფლის მუშებმა სიხარულით მიანიჭეს ვერგილიუსს ნაზი და სათუთი გრძნობა» (სატირები (I, 10, 44 — 45).

მაგრამ ვერგილიუსის მთავარ ნაწარმოებად მაინც ითვლება მისი „ენეიდა“. ვერგილიუსს ეს პოემა არც კი დაუმთავრებია, ე. ი. საბოლოო რედაქცია არ გაუკეთებია მისთვის. იმდენად არ თვლიდა ის თავის ნაშრომს დამთავრებულად, რომ, როდესაც უკანასკნელად საბერძნეთში მიემგზავრებოდა, სთხოვა თავის მეგობარს ვარიუს რუფუსს — ვინიცობაა თუ მოკვდეს, „ენეიდა“ დასწვიო. მაგრამ მისი

თხოვნა არ იქნა შესრულებული: ავგუსტეს ბრძანებით პოემა გამოაქვეყნა იმავე ვარიუსმა.

ავგუსტე დიდად იყო დაინტერესებული ამ პოემით. ამ პოემას უნდა გადმოეცა პოეტურ ფორმებში რომის ისტორია და რომაელთა თავგადასავალი იმრიგად, რომ ამ მოთხრობაში მკითხველისათვის ნათელი გამხდარიყო, თუ როგორ მზადდებოდა თანდათან, რომაელთა წარსულშივე, ის სიღიაღე, რომელიც შეუქმნა რომს ოქტავიანე ავგუსტემ. რომაელთა წარსულს უნდა გაემართლებინა პირველი საუკუნის რომი, ავგუსტეს რომი და ავგუსტეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. თუ რა რიგად იყო ავგუსტე დაინტერესებული ამ პოემით იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც გადმოგვცემს „ენეიდის“ კომენტატორი დონატუსი (IV საუკ.), ისპანიაში ლაშქრობის დროსაც ფიქრობდა ავგუსტე „ენეიდაზე“ და თავის წერილებში სთხოვდა ვერგილიუსს, რომელსაც მისი ცნობით უკვე ჰქონდა დაწყებული პოემის წერა, გაეგზავნა მისთვის პოემის პირველი ნაკვეთები ან რომელიმე ნაწყვეტი. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ავგუსტე უკვე რომში იყო, ვერგილიუსს წაუკითხავს მისთვის „ენეიდის“ რამდენიმე სიმღერა. ფართო საზოგადოებაშიც სწრაფად გავრცელდა ხმები, რომ ვერგილიუსი რაღაც დიდ ნაწარმოებს სწერდა და პოეტი პროპერციუსი 26/25 წელს ამბობდა:

*Cedite, Romani scriptores, cedite Grai.*

*Nescio quid malus nascitur Iliade —*

«გზა მიეცით, რომაელო მწერლებო, გზა მიეცით თქვენც, ბერძნებო! იბადება რაღაც (ახალი), ილიადაზე უღიადესი».

„ენეიდა“ 12 სიმღერისაგან შედგება და ორ ნაწილად იყოფა: პირველ ექვს სიმღერაში მოთხრობილია ენეასის თავგადასავალი დღიდან ტროადის დანგრევისა იმ დრომდე, როდესაც ენეასმა და მისმა ამხანაგებმა დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ იტალიის სანაპიროებს მიადწიეს. უკანასკნელ ექვს სიმღერაში კი (VII — XII) დაწვრილებით არის აღწერილი ის ბრძოლები, რომლებიც გადაიტანა ენეასმა იტალიაში, როდესაც მის იქ დამკვიდრებას წინააღმდეგობა გაუწია ზოგიერთმა ადგილობრივმა ტომმა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ენეიდის“ პირველი ნაწილი ემსგავსება „ოდისეას“ (სადაც ოდისეესის ხეტიალი არის გადმოცემული), ხოლო მეორე ნახევარი — „ილიადას“. სადაც საომარი ოპერაციები არის აღწერილი.

პირველი სიმღერა იწყება შესავლით, რომელშიც პოეტი მიმართავს მუზებს (ეპიკური ნაწარმოებების ჩვეულებრივი შესავალი). «მუზა, მომადგონე მიზეზები, თუ რა შეურაცხყოფამ, ან რა მწუხარებამ აიძულა ღმერთთა დედოფალი<sup>1</sup> ასე ეწვალეებინა ვაჟკაცი, ეგზომ სახელო-

<sup>1</sup> იგულისხმება იუნონა (ე. ი. პერა), რომელიც მტრობდა ტროადელებს (ენეასი ხომ ტროადელი გმირი იყო).

ვანი თავისი საცნობით, და მრავალი უბედურება ერგუნებინა მის-  
ლის». ამას მოსდევს ენეასის ხეტიალის აღწერა. უკვე შეიღი წელი-  
წადია ენეასი და მისი ამხანაგები ზღვა-ზღვა დაეხეტებიან და ვერსად  
საყუდელი ვერ უპოვიან.<sup>1</sup> იუნონას (პერას) ნებისაებრ ისინი ბევრს  
უბედურებას განიცდიან. იუნონა ხომ ტროადელეების მტერია და ყო-  
ველთვის, როგორც კი იხელთებს დროსა და შემთხვევას, ხან საღ გა-  
დაავლებს ენეასსა და მის ამხანაგებს (ტროადელ მემორებს) და ხან  
სადა! აი, ახლაც, იმათ დასტოვებს სიცილიის სანაპიროები და იტალიისა-  
კენ მისცურავდნენ, რომ იუნონას ბრძანებით ქარსა ღმერთმა ეოლოსმა  
მიუშვა მათ წინააღმდეგ ქარი. მაგრამ ნებტუნს (პოსეიდონს) შეეცოდა  
ტროადელები და აფრიკის (ლიბიის) სანაპიროებთან მიაგდო მათი ხო-  
მალდები. აქ, აფრიკის ამ ადგილას მეფობდა დედოფალი დიდონა.  
რომელსაც ახლახან გაუშენებია ქალაქი კართაგენი. ენეასის დედა ვენე-  
რა (აფროდიტე, ღრუბლებში გაახვევს ტროადელებს, რომლებიც ამნაი-  
რად შეიპარებიან კართაგენში, სადაც სტუმართმოყვარე დიდონა მათ  
გაუმასპინძლდება. ვენერა აღუძრავს დიდონას ენეასისადმი სიყვარუ-  
ლის გრძნობას, ამგვარად ხდება დიდონას და ენეასის დაახლოვება.  
დიდონა რომ გაიგებს მგზავრების სადაურობას, სთხოვს ენეასს უამბოს  
ტროადის ომის შესახებ<sup>2</sup>. ენეასიც იწყებს თავგადასავლის მოთხრობას.

მეორე სიმღერაში იწყება ენეასის მოთხრობა. ენეასი  
უამბობს, თუ როგორ მარცხდებოდნენ ბერძნები და, ბოლოს, ხერხს  
მიმართეს: ააშენეს ხის ცხენი და ხმები გაავრცელეს — უკან ვბრუნ-  
დებით სამშობლოში, ამ ცხენს კი ვტოვებთ ნიშნად აღთქმისა მინერ-  
ვასადმი (ათენასადმი), რომ მშვიდობით ვბრუნდებით შინო. ნამ-  
დვილად კი ცხენის შიგნით ჯარისკაცები ჩასხეს, ხოლო დანარჩენი  
ჯარი კუნძულ ტენედოსის უკან დამალეს. ტროადელები ბევრსა ბჭო-  
ბენ, თუ რა უყონ ცხენს, რომელიც ილიონის კედლებთან არის და-  
ტოვებული. ბოლოს, გადაწყვეტენ ცხენი ქალაქში შემოაგორონ. დამით,  
ბერძნები გამოვიდნენ ცხენიდან, ქალაქის კარები გაუღეს ტენედოსზე  
მიმალულ ბერძენთა ჯარს და ბრძოლა გაუმართეს ტროადელებს.  
იბრძვის ენეასიც. მაგრამ, როდესაც ბერძნები პრიამეს სასახლეს  
იღებენ. ენეასი გარბის. მხრებზე მოიკიდებს მოხუც ანქიზეს და შვი-  
ლის (ასკანიუსისა) და ცოლის (კრეუზას) თანხლებით გადის ქალაქი-

<sup>1</sup> ჰომეროსის „ოდისეა“ ასე იწყება: შეიღი წელია დატყვევებული ჰყავს ოდი-  
სეის ნიშნა კალიფოსს და ოდისეუსისათვის საოცნებო გამხდარა ითავის; მისი სამ-  
შობლოს, სანაპიროები.

<sup>2</sup> „ოდისეაშიც“ ფეაკებს მეფე ალკინოე სთხოვს ოდისეუსს უამბოს თავისი თავ-  
გადასავალი.

დან. გზაში, იმ არეულობაში და აურზაურში, რომელსაც მოუცავს ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი, ენეასი ჰკარგავს ცოლის კვალს: ენი სი უკან ბრუნდოდა ქალაქში, რომ მოძებნოს კრეუზა. დიდხანს ეძებს მას. მთელი ქალაქი დანგრეულია; ბერძნებს დაუჭერიათ სახლები, რომლებიც ცეცხლს გადაარჩენია. აი. თვით ენეასის სახლიც უკვე ალი მოსდებია მას; კრეუზა არსად ჩანს. ბოლოს, როგორც იქნა იპოვა, მაგრამ კრეუზა აღარ გამოჰყვა ქმარს: ღმერთების ბრძანებით ის აქ, ტროადაში, უნდა დარჩეს. „ძვირფასო მეუღლე — ეუბნება კრეუზა — რას გარგებს, უაზრო ჰმუხვას რომ ეძლევი? ეს ხომ არ ხდება ღმერთების ნების გარეშე; არ არის ნაბრძანები, რომ შენ აქედან წაიყვანო კრეუზა: ასეთია უზენაესი ოლიმპოს ბრძანება“ (II, 776 — 779). მანვე უწინასწარმეტყველა ენეასს: დიდ ხანს მოგიხდება ხეტიალი და ბოლოს მიაღწევ ჰესპერიის მიწას, სადაც ნოციერ ყანებს შორის წყნარად მიმდინარეობს ტიბრო.

ენეასი დაბრუნდა თავისიანებთან და მათთან ერთად გაემგზავრა აღის მთაზე, სადაც ზე-ტყის მასალა უნდა მოეჭრათ ხომალდების ასაგებად.

მ ე ს ა მ ე ს ი მ დ ე რ ა. ენეასმა და მისმა თანამგზავრებმა ააგეს ხომალდები და თრაკიისაკენ გასცურეს. თრაკიიდან კუნძულ დელოსზე მოხვდნენ; აქ ისინი შეეკითხნენ აპოლონის ქურუმს თავიანთი ბედის შესახებ. აპოლონის ტაძარში მათ შემდეგი მისნობა მოისმინეს: დარდანეს მამაცო შთამომავალნო, თქვენ გელოდებიან მდიდარი მიწები, სადაც თქვენი წინაპრების აკვანი დაირწაო; ეძიეთ თქვენი დედა (სამ-შობლო); ენეასის შთამომავალნი იქ გამეფდებიან და მსოფლიოს ბატონნი შეიქმნებიანო. ენეასი და მისი ამხანაგები ვერ ჩასწვდნენ ამ მისნობის აზრს და კუნძულ კრეტისაკენ გაემგზავრნენ. მაგრამ იღუ-მალმა ხმამ განუმარტა დელოსელი მისნის სიტყვები: კრეტის მინდვრებისაკენ კი არ მოგიწოდებს დელოსელი აპოლონი, არამედ არის ქვეყანა, რომელსაც ჰესპერია ეწოდება; მის ხალხს იტალიელებს ეძახიანო; აი, იქ გელოდებით თქვენ მდიდარი და ნოციერი მიწე-ბიო.

ენეასი და მისი მსლებლებიც გაემგზავრნენ „ჰესპერიისაკენ“, გზაში რამდენიმე ადგილას მოუხდათ შეჩერება, როდესაც ისინი სტოვებდნენ ბალახანეთის ნახევარკუნძულის სანაპიროებს, იტალიისაკენ გადაცურვის წინ შეჩერდნენ აქციუმის ყურეში და აპოლონის პატივსაცემად დღეობა გამართეს.<sup>1</sup> კიდევ მრავალ ადგილას შეაფერხეს ტროადელები

<sup>1</sup> აქ ვერალოუსი ეხმაურება აკვუსტეს მიერ აქციუმის კონცხთან 31 წელს მოპო-  
ვებულ გამარჯვებას, აქციუმთან ბრძოლაში აკვუსტემ დაამარცხა მარკუს ანტონიუსი  
და ამით დამთავრდა ყოფილი ბერძნული სამყაროს შემოერთება რომის იმპერიას-  
თან; აქედან იწყება ახალი ხანა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ზღვის ტალღებმა, სანამ სიცილიის სანაპიროებს მიაღწევდნენ. სიცილიაში გარდაიცვალა ანქიზე, ენეასის მამა, და ის აქვე დაასაფლავეს. სიცილიიდან გამგზავრებულები ქარიშხალმა დიდონას სამფლობელოში მიიყვანა, ჩრდილო აფრიკაში.

ასე დაამთავრა ენეასმა თავისი და ამხანაგების თავგადასავალი, დიდონა ეტრფის ენეასს:

მტანჯველი ჭრილობით გულში დედოფალი იწოდა ცეცხლად,  
ტრფობისა მას სწავდა ალი იღუმალი, მხერავი გულის.  
ვაჟაკის გმარული სახე არ შორდება გონებას, თვალებს...

ასე იწყებს პოეტი პოემის მეოთხე სიმღერას, რომლისთვისაც შეგვეძლო სათაურად დაგვეწერა: „ტრფობა წამებული“.

ღმერთებიც სწყალობენ დიდონას: იუნონა და ვენერა მის მხარეს არიან<sup>1</sup>. ერთხელ როდესაც ენეასი და დიდონა ნადირობაში იღებენ მონაწილეობას, მოხდება მათი შეუღლება. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედება იმ არე-მარეს. გაიგებს ამას დიდონას წინანდელი საქმრო, მეზობელი ქვეყნის (ლიბიის) მეფე იარბა, რომელსაც დიდონამ მითხოვებაზე უარი უთხრა (საზოგადოდ არ მინდა გათხოვებაო, ეუბნებოდა)<sup>2</sup>. იარბა სთხოვს იუპიტერს გააშოროს ერთმანეთს დიდონა და ენეასი. იუპიტერიც ჩააგონებს ენეასს ამას და ენეასიც მართლაც იწყებს მზადებას მგზავრობის გასაგრძელებლად. ბევრს ემუდარება დიდონა არ წავიდეს; ენეასზე არ მოქმედებს არც თხოვნა, არც მუქარა, არც მოკადობა; დიდონა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. სულიერი ტანჯვა უკარგავს მას წონასწორობას ორსავე შემთხვევაში: მაშინაც, როდესაც დიდონა ივიწყებს თავმოყვარეობას და დამამცირებელი მუდარით მიმართავს ენეასს, გადასდოს გამგზავრება, და მაშინაც, როდესაც ის სწყევლის უკვე ზღვაში გასულ ენეასსა და მის მხლებლებს: იგი უწინასწარმეტყველებს ენეასის შთამომავლობას, რომ მათ წინააღმდეგ სალაშქროდ, შურისძიების მიზნით, გამოჩნდება კართაგენელი გმირი:

*exoriare aliquis nostris ex ossibus ultor* (IV, 625).

მეხუთე სიმღერა. ენეასი. და მისი ამხანაგები სტოვებენ კართაგენს, ზღვაში გასულები უკან რომ მოიხედავენ, დაინახავენ ცეც-

<sup>1</sup> იუნონა, მართალია, ტროადელების მტერია, მაგრამ იგი კართაგენის მწყალობელია და ამიტომაც ხელს უწყობს დიდონას ტრფობას ენეასისადმი.

<sup>2</sup> დიდონა ტვიროსიდან არის გადმოსახლებული. მისი პირველი ქმარი იყო სიქეონის, რომელიც ვერაგულად მოკლა ტვიროსის მეფემ პიგმალიონმა, დიდონას ქმარს. საყვარელი ქმრის დაკარგვის შემდეგ დიდონამ აღარ ისურვა ტვიროსში დარჩენა და აფრიკაში წავიდა, სადაც მან დააარსა კართაგენი.



ხლს; ეს ის კოცონია, რომელზედაც იწვის ღიღონა: მან ველარ გაუძლო ენეასის ლალატს და გრძნობის შეურაცხყოფას და თავი მოიკლა იმ მახვილით, რომელიც მას ენეასმა აჩუქა.

ტროადელთა ხომალდები კვლავ მიაღდგებიან სიცილიის სანაპიროებს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ერთი წლის წინათ ენეასმა თავისი მამა დაკრძალა. ენეასი ჯერ მოსაგონარ ტირილს გამართავს თავისი მამის ანქიზეს სახსოვრად; შემდეგ მოაწყობს შეჯიბრებას, თამაშსა და გართობას. ტროადელები ენეასის მეთაურობით განაგრძობენ გზას.

მეექვსე სიმღერაში მოთხრობილია, რომ ტროადელები ჩავიდნენ კუმეში. აპოლონის ტაძარში ენეასი მსხვერპლს შესწირავს ღმერთს, შემდეგ სიბილას მღვიმეში (სიბილა — მისანია, აპოლონის ქურუმია) ნებართვას აიღებს გაემგზავროს საიქიოს და ინახულოს თავისი მამის ანქიზეს აჩრდილი. აქ საუცხოოდ არის აღწერილი ენეასის მოგზაურობა საიქიოს, სადაც ის შეხვდება ღიღონასაც. ნახავს მამას, ანქიზესაც, რომელიც მას აუწყებს მის მომავალს და სხვათა შორის ეუბნება: „გახსოვდეს, რომაელო, თუ როგორ უნდა მართო ხალხი და არ დაივიწყო ეს წესები: ისწრაფო ნეტარი მშვიდობიანობისაკენ, მორჩილი შეიწყნარო, ურჩნი გაანადგურო“<sup>1</sup>.

მეშვიდე სიმღერით იწყება უკვე პოემის მეორე ნაწილი: ენეასი იტალიაში. აქედან იწყება პოემის ახალი ნაწილი, ეს ჩანს იქიდანაც, რომ პოეტი აქ მიმართავს მუზას, რომელსაც სთხოვს დახმარება გაუწიოს პოეტს ამ მძიმე საქმეში. ჩვეულებრივ, პოეტები მუზას მიმართავენ ნაწარმოების დასაწყისში და ვერგილიუსიც უყურებდა „ენეიდის“ მეორე ნაწილს, როგორც ცალკე თხზულებას, რომელსაც უნდა ემღერა მეფეებზე და იმ სისხლისმღვრელ ომებზე, რომლებსაც ეს მეფეები ერთმანეთში აწარმოებდნენ.

ენეასი მიაღდა იტალიის იმ მხარეს, რომელსაც ერქვა ლატიუმი (ანუ ლაციუმი). იქ მეფობდა ლატინე. მას ჰყავდა მხოლოდ ერთი ქალიშვილი, მზეთუნახავი ლავინია. ლატინეს თურმე უწინასწარმეტყველეს უცხოთა მოსვლა მის ქვეყანაში, ასე რომ ენეასისა და მისი ამხანაგების მისვლა ლაციუმში მიფეს არ გაჰკვირვებია. ენეასმა შეუთვალა მეფეს — ერთი ნაკვეთი მიწა მოგვეცი დასასახლებლადო. ამის საპასუხოდ ლატინემ მიიპატიჟა უცხოელები და თავისი ქალიშვილიც: შეაძლია ცოლად ენეასს. მაგრამ იუნონას არ სძინავს; ის მტერია ტროადელებისა და არ უნდა ენეასის დაოჯახება და, მაშასადამე, მისი დამ-

<sup>1</sup> ეს არის სახელმწიფო მმართველის ის პროგრამა, რომელსაც ატარებდა ცხოვრებაში ოქტაიანე ავგუსტე.

კვიდრება სამეფო ტახტზე. ამიტომ იუნონა აღძრავს შულსა და მტრობას ლატინთა და ტროადელთა შორის. თავისი მიზნის მისაღწევად იუნონა გამოიყენებს რუტულთა მეფეს ტურნეს, რომელსაც ლავინიას შერთვა უნდოდა, მაგრამ უარი უთხრებს იპიას გამო, რომ თანახმად მისნობისა, ლავინია უცხოელს უნდა გააყოლოდა ცოლად. აი, ეს ტურნე. იუნონას ჩაგონებით, რაზმავს ლატინებს ენეასისა და მისი ხალხის წინააღმდეგ. და არა მარტო ლატინებს, არამედ სხვა მეზობელ ტომებსაც: ეტრუსკებს, ეკვებს, ვოლსკებსა და სხვებს.

ამით არის გამოწვეული, რომ ენეასი მოივლის მეზობელ ქვეყნებს და კრებს მოკავშირეებს. ის გაიცნობს მომავალი რომის მეზობელ ქვეყნებს, დაწვრილებით შეისწავლის ამ ადგილებს. ყველაფერი ეს მოთხრობილია მეტაფრასიმღერაში.

მეტაფრასიმღერაში გრძელდება ბრძოლა ტროადელებსა და ლატინებს შორის: უკანასკნელთ მეთაურობს ტურნე. ტროადელები მეტად შევიწროებული არიან, რადგან არა ჰყავთ მეთაური (ენეასი ხომ მეზობელ ქვეყანაშია წასული). მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებენ და უმაგრდებიან ტურნეს შემოტევებს.

მეთაფრასიმღერა იწყება ღმერთების კრებით. ოლიმპოს ღმერთები დარაზმული არიან: ზოგი მათგანი ლატინებსა და ტურნეს უჭერს მხარს, ზოგი კი — ტროადელებს. რადგან ბოლო არ უჩანს ამ ომს, იუპიტერი ოლიმპოს ღმერთთა კრებას მოიწვევს და ურჩევს მათ შეწყვიტონ დავა; თანაც ეუბნება: დადგება დრო, როდესაც თქვენ შეძლებთ თქვენი რისხვის წყურვილის დაკმაყოფილებასო. როდესაც აღვირახსნილი კართაგენი, უბედურების მომტანი მოაწვევა რომის კედლებს და სისხლიანი ბრძოლით წამოვა ალპების მხრით, მაშინ მიეცით გაააქანი თქვენს შულსა და რისხვას; ახლა კი თავი დაანებეთ რისხვას, დაიცავით სიწყნარე და მშვიდობიანობაო“. კამათში მონაწილეობას ღებულობენ ვენერა (ტროადელების მხარეზეა) და იუნონა (ვენერას ეწინააღმდეგება). გაბრაზებული იუპიტერი, ბოლოს, განაცხადებს: თვით ბედმა გადაწყვიტოს საქმეო.

ამასობაში ენეასს შეუკრებია ეტრურიაში მოკავშირენი და 30 ხომალდით მოადგა ლაციუმს. გაჩაღდა ბრძოლა. ენეასი თითქოს იმარჯვებს.

XI — XII სიმღერებში დაწვრილებით არის აღწერილი ბრძოლა, საზავო მოლაპარაკება, იუნონას კვლავ ჩარევა და ბრძოლის განახლება: ენეასი დაჭრილია. ვენერა მას განკურნავს. ბოლოს, ენეასი დაამარცხებს ტურნეს, რომელიც მას საცოლოს უთმობს.

„ენეიდა“ ოქტავიანე ავგუსტეს ეპოქის ნაყოფია. პოემას უნდა წარმოედგინა დიდებული წარსული იმ სახელმწიფოებრივობისა, რომელსაც მეთაურობდა ავგუსტე. იულიების გვარი, რომელსაც ეკუთ-

ენოდა ოქტავიანე ავგუსტე, ენეასის შთამომავლობისა იყო და, ამგვარად, ენეასის თავგადასავლის მოთხრობა, მისი მოღვაწეობის გაშლა, რომაული სახელმწიფოებრივობის განსამტკიცებლად წარმოებული ბრძოლის აღწერა, — ყველაფერი ეს ზელს უწყობდა მიმდინარე მშრობის მეთაურის ღვაწიერების იდეის განმტკიცებას. ყველა ის მისნობა, რომელიც ასე მრავლადაა პოემაში, ყველა ეს საკვირველმოქმედება, რომელიც იქ არის აღწერილი, ემაახურება განდიდებას რომაელი ხალხისას, რომელსაც ავგუსტე მეთაურობს.

§ 146. ჰორაციუსი (Quintus Horatius Flaccus, 65 — 8 წწ.) დაიბადა 65 წელს. მისი მამა იყო წერილი მიწისმფლობელი (იგი განთავისუფლებული მონა იყო),<sup>1</sup> მიწის პატარა ნაკვეთი ჰქონდა მდ. ავტიდის ნაპირას, ვენუზიის მახლობლად. მამა დიდ ზრუნვას იჩენდა შვილის განათლებაზე და მის ამ მზრუნველობას ჰორაციუსი შემდეგ დიდის მადლობით იგონებს. პირველი განათლება რომ სოფელში მიღებინა შვილს. მამამ წაიყვანა იგი რომში (თვითონაც მისი გულისათვის იქ გადასახლდა). თუ მე შევინარჩუნე სულიერი სიფაქიზე და მეგობრებისათვის რამე ღირებულებას წარმოვადგენო — ამბობს ჰორაციუსი, ამასი მამას უნდა ეუმაღლოდო; მან, თუმცა იგი ღარიბი იყო, წაშიყვანა რომში, რათა მესწავლა იქ ის მეცნიერებანი, რომლებსაც ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს რომაელი მხედარიც და რომაელი სენატორიც (სატირები I, 1, 68 — 77). შემდეგ, დასაწინაურებლად, ჰორაციუსი გაემგზავრა ათენში, სადაც მიდიოდნენ ხოლმე რომაელი ახალგაზრდები. ვისაც კი მცირეოდენი საშუალება მაინც ჰქონდა, უთუოდ მიდიოდა ამ დიდ საგანმანათლებლო ცენტრში, რადგან რომაელი ინტელიგენტი თავის განათლებას დამთავრებულად არ თვლიდა, თუ ის აკადემოსის ჭალის სახილგანთქმულ მოძოვრებთან ან პერიპატეტიკოსებთან არ ისწავლიდა ჰორაციუსმა ბავშვობიდანვე იცოდა ბერძნული ენა, რადგან მისი მშობლიური ქალაქი Canusium, რომელიც აპულიისა და კალაბრიის საზღვარზე მდებარეობდა, ორენოვანი იყო: რომშიც მან, მამის მზრუნველობის წყალობით, საკმაოდ კარგად ისწავლა ბერძნული გრამატიკა, რიტორიკა და ფილოსოფია. მისივე სიტყვებით (წერილები II, 2, 42), ჰორაციუსმა რომში გაიგო, თუ

„რამდენი ზარალი ბერძნებს აქილევსის არჯუნა რისხვამ“.

ე. ი. ისწავლა ბერძნული ლიტერატურა. ხოლო ათენში მან ეს თავისი ბერძნული განათლება გააღრმავა „აკადემოსის ჭალაში“ (inter

<sup>1</sup> ჰორაციუსის ბიოგრაფიული ცნობებისათვის, მართალია, ჩვენ ვვაქვს ძველდღე დაწერილი მოკლე ბიოგრაფია, რომელიც ემყარება სვეტონიუსის შრომას De viris illustribus, მაგრამ მთავარ წყაროს ჩვენთვის მაინც წარმოადგენს თვით ჰორაციუსის ნაწარმოებები, სადაც უხვად მოიპოვება ავტობიოგრაფიული აღწერები.

silvas Academi), სადაც თავის დროზე პლატონი ასწავლიდა და სადაც ახლა ჰორაციუსმა ისწავლა „ბრალისა და მართლის გარჩევა“ (curvo dignoscere rectum).

გალვიებული პოლიტიკური და სოციალური ბრძოლების ეპოქაში, ბუნებრივია, ახალგაზრდობა პარტიებად იყო დარაზმული. ათენში ჰორაციუსი შეუერთდა არისტოკრატთა იმ ჯგუფს, რომელიც რესპუბლიკურ აზრებს ატარებდა, და 42 წელს მონაწილეობა მიიღო ფილიპებთან (მაკედონიაში) მომხდარ ბრძოლებში რესპუბლიკელ ბრუტუსის მხარეზე. დამარცხების შემდეგ ჰორაციუსი დაბრუნდა იტალიაში. მისი მამული 41 წელს (ისევე როგორც ვერგილიუსისა) სახელმწიფომ ვეტერანებს გადასცა. ჰორაციუსი დარჩა უსახსროდ და შევიდა სამსახურში გადამწერლად. „მძიმე დრომ — გვეუბნება ჰორაციუსი (წერილები II, 2, 46) — მომაშორა მე ამ საყვარელს ადგილს (ათენს), სამოქალაქო ცეცხლმა იარაღში ჩამსვა მე, ომისათვის სრულიად უქნარი, და ჩამითრია უსწორო ბრძოლაში კეისარ ავგუსტესთან. ამ მდგომარეობიდან განმათავისუფლეს ფილიპებმა ფრთებ-შეჭრილი, მოკლებული მამისეულ სახლსა და კარს; სიღარიბემ გამაბედვინა ლექსების წერა“.

ამ უკანასკნელ სიტყვებს ჩვენ ვერ გავიგებთ მათი პირდაპირი მნიშვნელობით: ლექსების წერა ვერაფერი ისეთი საშუალება იყო, რომ იმით ერჩინა მაშინ კაცს თავი. ამასთანავე, ცნობილია, რომ ჰორაციუსი ბავშვობიდანვე ლექსებსა სწერდა; აქი ამბობდა ის „სატირების“ პირველ წიგნში (I, 10, 31 — 35); „მე რომ ბერძნულ ლექსებსა (graecos versiculos) ვთხზავდი, კვირინე გამომეცხადა შუალამით, როდესაც სიზმარი ჰეშმარიტებას ამცნობს ადამიანს, და ასეთი სიტყვებით ამიკრძალა (veluit) წერა „რად გინდა, უგუნურო, ტყეში რომ მიგაქვს შეშა და უმჯობესად მიგიჩნევია ბერძენ პოეტთა დიდი რაზმები აავსო!“ ეს სიტყვები ხომ იმას მოწმობს, რომ კვირინემ<sup>1</sup> აუკრძალა (veluit) ლექსების წერა ბერძნულად, რადგან ბერძნებს ისედაც ბევრი ჰყავთ პოეტებიო, და მაშასადამე, მოუწოდა რომაული ლექსების წერას შესდგომოდა. ცხადია, ეს სიტყვები ამტკიცებს იმას, რომ ჰორაციუსი დიდი ხანია სწერდა ლექსებს და, თუ ის ამბობს — სიღარიბემ მიძლულა ლექსების წერას შეესდგომოდიო, ეს იმას ნიშნავს, რომ 42 წლის კატასტროფამ, პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებამ, რამაც მას „ფრთები შეუკვეცა“, ნუგეში აძებნინა ლიტერატურულ მუშაობაში: ამიერიდან ის მთლიანად სამწერლო მოღვაწეობას ეძლევა

<sup>1</sup> კვირინე საბინთა ღმერთი იყო, ხოლო შემდეგ რომაელებმა მიაკუთვნეს ეს სახელი რომის დამაარსებელს რომულუსს და ღმერთ იანუსს, უფრო გვიან კი აგრეთვე — ოქტავიანე ავგუსტესს.

და ამაში ჰპოვებს წყაროს სულიერი სიმშვიდისათვის, მოქალაქეობრივი სინდისის განწმენდისათვის.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლამ ჰორაციუსს მალე მოუპოვა მეგობრები და ფართო საზოგადოებრივ წრეებში სახელიც. იგი დაუახლოვდა პოეტებს ვირგილიუსსა და ვარიუსს, მათი შემწეობით გაიცნო მეცენათიც, რომელმაც რამდენიმე თვის შემდეგ ოქტავიანე ავგუსტესაც გააცნო ის. მეცენათმა აჩუქა მას პატარა, მაგრამ მშვენიერ ადგილს მდებარე მამული საბინური მთების ძირში და ჰორაციუსი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ საშუალება მიეცა სოფლის წყნარი ცხოვრების პირობებში დამშვიდებით ემუშავა. ხშირად ჩადიოდა რომში, რათა შეხვედროდა თავის მეგობრებს, პოეტებს და, განსაკუთრებით, მეცენატს, რომელიც ამიერიდან ჰორაციუსის ყველაზე მახლობელი ადამიანი ხდება; მეცენატის წრეში მიღებული ჰორაციუსი სიკვდილამდე მადლიერი დარჩა თავისი მწყალობელის, რომელსაც მან რამდენიმე ლექსი უძღვნა, და რომელსაც ის თვლიდა თავის მცველად და სამკაულად (*praesidium et dulce decus*: „ოდები“ I, 1).

ოქტავიანე ავგუსტემ იმთავითვე ყურადღება მიაქცია ჰორაციუსის ნიჭიერ ლექსებს, რომელთაც შეეძლოთ დიდი როლი ეთამაშათ ავგუსტეს პოლიტიკური იდეების ხალხში გასავრცელებლად, და ყოველი ღონით ცდილობდა თავისკენ მიეზიდა პოეტი. ჰორაციუსი თავის პირველ ლექსებში (ეპოდებსა და სატირებში) მოუწოდებდა მოქალაქეებს შეეწყვიტათ სამოქალაქო ომი და მშვიდობა ჩამოეგდოთ. ის არც ოქტავიანეს პოლიტიკას იზიარებდა, მოწინააღმდეგეთა განადგურების პოლიტიკას და მათთან სასტიკი ბრძოლის პოლიტიკას, მაგრამ თანდათან „რწმუნდება“ იმაში, რომ ოქტავიანეს მოაქვს მშვიდობა და საყოველთაო კეთილდღეობა, და თავის ლექსებში („ოდებში“) აქებს ოქტავიანეს: „შენ ურჩინი მოთოკე, ძლიერი ხელით ბოროტება დართგუნე და ძველებური ვეჯაკობით გაგვახარეო“ — ეუბნება პოეტი ავგუსტეს („ოდები“ IV, 15).

ამგვარად, ჰორაციუსი, რომელიც იარაღით ხელში ებრძოდა ოქტავიანე ავგუსტეს 44 — 42 წლებში, უკვე მთლიანად ავგუსტეს პოლიტიკის სამსახურშია. ის ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მუცელზე ხობავს ავგუსტეს წინაშე“. მიუხედავად ამისა ჰორაციუსს მაინც არავითარი სურვილი არ გამოუჩენია პირადად დაახლოვებოდა ავგუსტეს. როდესაც უკანასკნელმა მოისურვა თავისთან ახლოს ჰყოლოდა პოეტი და მეცენათიც, ალბათ, ამიტომ მოუწოდებდა ჰორაციუსს — კარგს იზამ, თუ უფრო მეტ ხანს რომში დაჰყოფ და არა სო-

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Сочинения, т. XII; მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, თბ., 1937, გვ. 244.

ფელშიო, ჰორაციუსი ყურსაც არ იბერტყავდა. იგი ძველებურად იჭდა ტიბურის (ტივოლის) წარმატებულ მიდამოებში და განაგრძობდა სამწერლო მუშაობას სოფლის წყნარი ცხოვრების პირობებში. ბოლოს, ავგუსტემ დიდ თანამდებობაც შეაძლია მას, პრინცეპსის პირადი მდივნობა, მაგრამ ჰორაციუსმა უარი უთხრა.

\* \* \*

ჰორაციუსს ეკუთვნის „ოდები“, „ეპოდები“, „სატირები“ და „წერილები“. ამათგან პოეტის მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთვნიან „ეპოდები“ და „სატირები“, მეორეს — „ოდები“, „ხოლო მესამე — „წერილები“.

„ეპოდები“ ეხნობლივად შეიძლება მიეკუთვნოთ იამბოგრაფიას. ეპოდებში ჰორაციუსი ეხება თავისდროინდელი რომის საჭირობო საკითხებს, ამხელს რომაელ მოღვაწეთა ნაკლებეფან მხარეებს.

სოციალური მდგომარეობით ჰორაციუსი, განთავისუფლებულ მონის შვილი. არ ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც სამოქალაქო ომის შედეგებზე ამყარებდა თავისი კლასის ბედს. თუ ჰორაციუსმა მონაწილეობა მიიღო ამ ომში და იარაღით ხელში იბრძოდა ფილიპებთან, ეს გამოწვეული იყო ერთგვარი რომანტიკული განწყობით, რომელიც სუფევდა ათენში მოგროვილსა და სტოიკურ-ფილოსოფიურად მოაზროვნე ახალგაზრდობაში. ახალგაზრდების ასეთი განწყობით ისარგებლა ბრუტუსმა და ჩაითრია ისინი სამოქალაქო ომში. ერთი ასეთი ახალგაზრდათაგანი იყო 21 წლის ჰორაციუსიც. ამ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ჰორაციუსს არც კი უფიქრია ეს სტოიკურ-რესპუბლიკური იდეები დაეცვა: მისი მიზანი იყო მოეპოვებინა მყუდრო ცხოვრება და ამიტომ ილაშქრებს ის იმ რომაელების წინააღმდეგ, რომელნიც სამოქალაქო ომს აღვივებენ. პოეტი ჰკიცხავს იმ რომაელებს, რომლებსაც ქარქაშიდან ამოუღიათ მახვილი არა იმისათვის, რომ გარეშე მტერი მოიგერიონ და ქვეყანას მშვიდობა მოუტანონ, არამედ იმისათვის, რომ ძმის სისხლი დაღვარონ და გარეშე მტერი გაახარონ. ასეთი კრიტიკით ჰორაციუსი, ცხადია, საკუთარ თავსაც ამათრახებს, რადგან წინათ თვითონაც ჰქონდა ამოღებული მახვილი ძმის სისხლის დასაღვრელად.

ასეთ ეპოდოთგან ყველაზე აღრინდელი უნდა იყოს მეშვიდე ეპოდა.

„საით მიისწრაფვით თქვენ ბოროტმოქმედნო! რისთვის იღებთ ქარქაშიდან მახვილს! — მიმართავს პოეტი რომაელებს, — იქნებ ფიქრობთ, რომ ცოტა დაიღვარა ლათინთა სისხლი, განა იმისათვის იშიშვლეთ მახვილი რომ ამაყი კართავნი გადაბუ-

<sup>1</sup> ეს ეპოდა დაწერილია იმის გამო, რომ 42—40 წლებში კვლავ იფეთქა სამოქალაქო ომმა.

გთი არც იმისათვის, რომ ურჩმა ბრიტანელმა წმინდა გზით გაიაროს; — არა, იმისათვის, რომ ეს პართელებს სურთ, რათა ჩვენი ქალაქი ჩვენივე ხელით დაეცეს...

„ასეთი წესი არც მგლებს აქვთ არც ლომებს...“  
„მიბაჟუხეთ, რა ბრძა იალა მიგიძღვით თქვენ? სდუმან...“

„დიად, რომაელებს ამოძრავებს სასტიკი ბედი და ძმის მკვლელობა, როდესაც მიწაზე დაიღვარა რემუსის უდანაშაულო სისხლი“.

ასეთივე ხასიათისაა 16 ეპოდა, რომელიც აგრეთვე რომაელი ხალხისადმი მიმართული.

„უკვე მეორე თაობა ისრისება სამოქალაქო ომით, — ამბობს პოეტი, — და რომიც საუთარი ხელით ანგრევს თავის თავს, ის რომი, რომელიც ვერც ველურმა გერმანიამ დაიმორჩილა თავისი ქერა ვაეკაციების მეშვეობით და ვერც პანიბალმა, თავზარს რომ სცემდა ჩვენს პაპებს, ხელიდან ეცლება ჩვენს თორას, ძმათა სისხლში გააერის, და კვლავ ხდება მხეცების ლუკმა...“

ეპოდებში ჰორაციუსი თავს ესხმის თავის მოწინააღმდეგეებს და სხვა ცალკეულ პირებს, რომელნიც ჩირქსა სცხებენ რომს თავიანთი შეუფერებელი საქციელით. IV ეპოდაში ჰორაციუსი ჰკიცხავს სამხედრო ტრიბუნს, წარმოშობით მონას, რომელსაც დაეწიყებია თავისი წარსული, მას რომ ისპანური შოლტითა სცემდნენ როგორც მონას, და ახლა, ღიდი კაცი რომ გახდა, იბღინძება, სხვების საჯვემად წნელების კონა უჭირავს ხელში.

რაც შეეხება სატირებს, რომელთაც ჰორაციუსი „საუბრებს“ (sermones) უწოდებდა, გამოყენებული აქვს პოეტს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საფილოსოფიო თემების გასაშლელად.

თავის მთავარ დამსახურებად ჰორაციუსი მინც იმას სთვლიდა, რომ მან იტალიურ ნიადაგზე გადმონერგა ეოლიური ჰანგები. მართლაც, მსოფლიო სახელი ჰორაციუსს მოუპოვეს მისმა „ოდებმა“. ეს ის ჟანრია, რომელიც შეედრება ბერძნულს მეღაქურ პოეზიას და რომლის შექმნაში ჰორაციუსს მასწავლებლებად ჰყავდნენ ლესბოსელი პოეტები, ალკეოსი და საფო.

ოდების მთავარი თემა ტრფობა და მეგობრობა. ოდების პირველივე წიგნის პირველი ლექსი უძღვნა პოეტმა თავის ყველაზე უფრო მახლობელსა და ძვირფას მეგობარს მეცენატს, რომელსაც თვლის თავის სიხარულად, ნუგეშად და მცველად. პოეტი ჩამოთვლის ამ ოდაში, თუ ვის რა შეიძლება მოსწონდეს: ზოგს მოსწონს ასპარეზობა, სხვას — უხვი მოსაველის აკრეფა, ზოგს კიდევ სხვა ხელობა; მე კი — ეუბნება პოეტი მეცენატს — ყველაზე უფრო მიზიდავს ლესბოსური ბარბითი და, თუ შენ ლირიკულ მომღერლებში ჩამოვლი, ამაყად ავეწე თავსო. ოდებში შექმებული არიან აგრეთვე ჰორაციუსის სხვა მეგობრები და წარჩინებული რომაელები. ბევრი ოდა კი მიუძღვნა პოეტმა ახალგაზრდულ გართობებს, ტრფობას (როგორც ნახსა და ღრმას, ისე

წუთიერსა და გასართობს), ჰეტერებთან დროს-ტარებას. ამ თემათა დამუშავებაში ის მისდევს ალკეოსს, ანაკრეონტს, საფოს. «თუმცა პირველი ადგილი მეონიელ ჰომეროსს უჭირავს, მაგრამ ფართოდ არიან ცნობილი პინდარეს, მქუხარე ალკეოსის და დინჩი სტესიქორეს მუშები. დროს ჯერ კიდევ არ წარუხოცავს ის, რასაც ანაკრეონტი მღეროდა თამაშით, დღემდე სუნთქავს სიყვარული, ცოცხლობენ ეოლიელი ქალის (ე. ი. ზაფოს) თბილი სიმღერები» (ოღები IV, 9).

ოღებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა შიმდინარე პოლიტიკურმა ცხოვრებამ. ოღების მესამე და მეოთხე წიგნებში რამდენიმე ოღაა შეტანილი ოქტავიანე ავგუსტეს პოლიტიკის გასამართლებლად (IV, 15). ამავე ოღებში პოეტი მოუწოდებს რომაელ ჰაბუეებს, მხარში ამოუდგნენ ოქტავიანეს და თავზარი დასცენ პართელებს (III, 2).

„წერილები“ (Epistulae) ჰორაციუსმა გამოაქვეყნა ორ წიგნად 20 წელს და 19 — 14 წლებში.<sup>1</sup> თემატიკურად ისინი უახლოვდებიან, თითქოს „სატირებს“, რადგან იმათშიც პოეტი ესაუბრება თავის მეგობრებს ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო ან სალიტერატურო თემებზე. წერილები მიმართულია მეცენატისადმი, იულიუს ფლორესადმი. ფილოსოფოს იქციუსისადმი და სხვა მეგობრებისადმი. ამ წერილებში უფრო ხშირად საუბარია ლიტერატურის საკითხებზე, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა II წიგნის მესამე წერილი, რომელიც მიმართულია პიზონებისადმი და რომელიც მთლიანად პოეტიკის საკითხებს ეხება. ამ წერილს საგანგებო სათაურიც კი გაუკეთეს თვით რომაელმა გრამატიკოსებმა: De arte poetica. ამ ტრაქტატში წარმოდგენილია ძირითადი დებულებები პოეტური ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის თანაფარდობის შესახებ და სხვადასხვა ჟანრთა ხასიათის შესახებ.

ჰორაციუსმა თავის ნაწარმოებებში (განსაკუთრებით ოღებში) მიაღწია კლასიკური ლათინური პოეტური ენის დახვეწას და ორიგინალური რომაული ლექსის იმ ფორმათა ჩამოყალიბებას, რომლებმაც მას შეუქმნეს მსოფლიო სახელი. ამას ისიც გრძნობდა და სიამაყით ამბობდა „ოღების“ III წიგნის ბოლოში დართულ იმ ლექსში, რომელსაც ტრადიციულად „ძეგლი“ (Monumentum) ეწოდება:

ძეგლი ავიგე უმტკიცესი სპილენძ-რვალისა,  
მეფურ პირამიდთ უდიდესი და უმაღლესი  
მას ვერ შემუსრავს წვიმა მხერელი, ვერც აკვილონი,  
ვერას დააკლებს ჟამთ სიავე, ვერც წელთა სრბოლა.

<sup>1</sup> რუსულად ჰორაციუსი მთლიანად არის თარგმნილი. იხ. Квинт Гораций Флакк. Полное собрание сочинений. М. Л. 1936.



მთლად არ მოკვდები. უდიდესი ნაწილი ჩემი  
აიციდენს სიკვდილს, და სახელი ჩემი დარჩება,  
სანამ ქურუმი კაპიტოლზე ქალწულთან ერთად  
ეგლის სამსხვერპლო, ზეარაკისა შესაწირავად.

§ 147. ოვიდიუს ნაზონი (Publius Ovidius Naso, 43 წ. ძვ. წ. — 17 წ. ახ. წ.). ოქტავიანეს ეპოქის მესამე დიდი პოეტია მხედართა წრიდან გამოსული ო ვ ი დ ი უ ს ნ ა ზ ო ნ ი. აღრიდანვე მიიპყრო ოვიდიუსმა საზოგადოების ყურადღება თავისი იშვიათის ოსტატობით გამართული ლექსებით. იგი ოქტავიანეს კართანაც დახლოებული პირი იყო. ჩანს, ოქტავიანე ძალიან აფასებდა დიდად ნიჭიერ პოეტს, ხოლო არ მოსწონდა მისი აღრინდელი ლექსები მათში აღძრული ეროტიკული საკითხებზე. თუმცა თავისი სალიტერატურო მოღვაწეობის მეორე პერიოდში ოვიდიუსი უკვე განთავისუფლებული ჩანს ახალგაზრდული ფრივოლური თემატიკისაგან და სწერს ისეთ დიდსა და ღრმააზროვან პოემას, როგორც იყო მისი „მეტამორფოზები“, მაგრამ სწორედ ამ დროს, ახ. წ. 9 წელს, ოქტავიანე ავგუსტეს ბრძანებით გადასახლებულ იქმნა ღუნაის შესართავთან, ქალაქ ტომეში, სადაც გარდაიცვალა ახ. წ. 17 წელს. მისი გადასახლების მიზეზი დღესაც გამოურკვეველია.

ოვიდიუსის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთვნიან, უპირატესად, ეროტიკული თემატიკის კრებულები *Amores* („ტრფობანი“), *Ars amatoria* („სიყვარულის ხელოვნება“) და *Remedia amoris* („სიყვარულის წამალი“). ამ სატრფიალო ლექსებში, რომლებიც უნდა ითქვას, იშვიათის ხელოვნებით და დახვეწილი სტილით არის გაწყობილი, ოვიდიუსი მეტად მსუბუქად უყურებს ტრფობის გრძნობას და მხოლოდ ვნებათ-ღელვის თვალსაზრისით ეხება ადამიანთა ურთიერთობის იმ წმიდათა-წმიდას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საწინდარი უნდა იყოს. ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები, ამ კრებულიდან ამოკრეფილი, ყველაზე უწყინარი ნიმუშებია:

„რატომ მეჩვენება ასე ხმელი ჩემი საწოლი! მთელი ღამე უძილოდ გავატარე, მოუსვენრად ვტრიალებდი, სხული დაიღალა, მოითენთა... ჩემს გულში უკვე ჩარკობილია წვეტიანი ისრები; ამური უკვე დაუფლებია ჩემს სულს და ძიძგნის მას, დავენებდე თუ ვებრძოლო და უფრო გავაღვიო მოულოდნელად ანთებული ცეცხლი?“

„დავენებდი. როდესაც მშვიდად მივაბიჭებთ, ტვირთი უფრო გვემსუბუქება.“

შემდეგ პოეტი იმავე აზრებს აღრმავეებს და ასაბუთებს სხვადასხვა მხატვრული ხერხების საშუალებით, შედარებების, ანალოგიებისა და ნაირნაირ ტროპების მეშვეობით:

„დიად, კუპიდონ, მე ვაღიარებ რომ შენი ლუქმა გავხდი, მე დამეპარცხდი და შენს ხელში ვარ.

„აღარ არის საჭირო ბრძოლა. ვთხოვ შეწყალებას. მაინც და მაინც ნუ ტრაბახობ; მე ხომ უიარაღო ვარ.

„მოირთე მირტიო, ეტლში შეაბი დედაშენის მტრედები და ისე წამოდი

„ეტლზე დადგები და ხალხის სასიხარულო ყოფინით ეტლში შემბმული მტრედები ოსტატურად წამოიყვანე.

„უკან მოგყვებიან დატყვევებული კაბუჯნი და ნაზი ქალწულები, ეს პროცესია შენი დიდი ტრიუმფი იქნება!

„მე შენი ახალი ნადავლი ვარ, ახლახან მომაყენე ჭრილობა; ჩემი დატყვევებულის სული უჩვეულო ბორკილების ტვირთს ზიდავს.

„ეტლის უკან მოათრევენ ხუნდებით შეკრულ საღ გონებას, მორცხვობას და ყველაფერს, რაც ავნებს მძლეთა-მილე ტრფობას.

„ყველას შეეშინდება შენი. ყველანი შენეკნ გამოიშვებენ ხელებს, და ხმამალა შემოგძახებს ხალხი: „გიხაროდენ, ტრიუმფატორო!

„შენი თანამგზავნი იქნებიან: უგუხურგია, ალერსი და ვნებათა ლელვა, ბრბოსავით უკან გამოგყვებიან ისინი, მტკიცე ნაბიჯით; აი, ამ ჭარით ყოველთვის იმორჩილებ შენ აღაღმინებსაც და ღმერთებსაც. ამაშია შენი ძალა; თუ ისინი არ გეუოლებიან, უძლური იქნები“ (Amores I, 2).

იმავე წიგნის IX ლექსში სიყვარული შედარებულია სამხედრო სამსახურთან, ხოლო შეყვარებული — ჯარისკაცთან.

„ყოველი მებრფე — ჯარისკაცია, ამურს თავისი ბანაკი აქვს; დამიჭერე, მეგობარო ატირე; ყოველი მებრფე — ჯარისკაცია.

„რომსაც და სიყვარულსაც ერთნაირი ასაკი უნდა: სირცხვილია მოხუცი იყოს ჯარისკაცი; სამარცხვინოა აგრეთვე მოხუცი იყოს მებრფე.

„რა ხნის კაცსაც სარდალი იწვევს ჯარში, იმ ხნის კაცსავე მოითხოვს მეგობრად მშვენიერი ქალწული.

„ორივე ფხიზლად არის, ორივე მიწაზე დაწოლილა: ერთი იცავს თავისი ქალბატონის კარიბჭეს, მეორე კი — თავის სარდლისას.

„ჯარისკაცის სამსახური გრძელი მგზავრობაა (ე. ი. ლაშქრობა). შორს გააგზავნე სატრფო, და მას მაშინვე გაეცილება მებრფე! ციებო კლდეებსაც და აღიღებულ მდინარეებსაც გადალახავს; თოვლის მთებსაც გასჭრის და სატრფოს გაჰყვება. ზღვაში შესულს არ დასჭირდება ცაში ძებნა მაჩვენებელი ვარსკვლავებისა“ (Amores I, 9).

კრებულში *Ars amatoria* ოვიდიუსი დარიგებებს აძლევს ჯერ ახალგაზრდა ვაჟებს, თუ როგორ იპოვონ ტრფობის საგანი, როგორ შეაყვარონ მას თავი და როგორ შეინარჩუნონ მოპოვებული სიყვარული. მესამე წიგნი განკუთვნილია ქალიშვილებისათვის.

ამავე პერიოდს ეკუთვნის „პ ე რ ო ი დ ე ბ ი“, გმირი ქალების მიერ სატრფოებისადმი ან ქმრებისადმი მიწერილი წერილები (პენელოპე ოდისევსს, ბრისეიდა აქილევესს, ფედრა იპოლიტეს...) ამ წერილებში რამდენიმე წყვილ-წყვილად არის, მაგალითად, პარისი ელენეს და ელენე პარისს. ამ დაწყვილებულ წერილებს შორის მკითხველის განსა-

კუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ერთ წყვილს: ლეანდრე პეროს და პერო ლეანდრეს. აქ დამუშავებულია იგივე თემა, რომელიც ქართულ „თავფარავნელი ჭაბუკის“ სიმღერაშია.

ჩვენის აზრით „პეროდები“ უნდა განეკუთვნოს ეპილონიის ჟანრს.

ოვიდიუსის მოღვაწეობის მეორე პერიოდს ეკუთვნის მისი პოემა „მეტამორფოზები“ (ანუ „გარდაქმნანი“), რომელიც 15 წიგნისაგან შედგება და რომელშიც, მხატვრული სახეების მეშვეობით მოთხრობილია კაცობრიობის ისტორია (იმავე, ხოლო ოთხი საუკუნის, ე. ი. საფეხურის ფონზე, რომელზედაც პესიოდე ლაპარაკობდა თავის პოემებში). ამ ისტორიას საფუძვლად უდევს მითოლოგია, რომლის ეპიზოდები გაგებულია ოვიდიუსის ეპოქის თვალსაზრისით, გარდა ამისა პოეტის მიერ მოთხრობილ ეპიზოდებში ადამიანთა გარდაქმნის შესახებ ცხოველებად ან მცენარეებად უდავოდ მოჩანს საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება არსებულ რელიგიურ შეხედულებებთან.

გაძვეებაში დაწერილი თხზულებები ეკუთვნიან ოვიდიუსის მოღვაწეობის მესამე პერიოდს. ეს არის „წერილები პონტოდან“ და „მწუხარების ლექსები“, სევდითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ელეგიათა კრებულები.

ოვიდიუს ნაზონის ლექსი თავისი მოქნილობით, თავისი რიტმულობით და დახვეწილი ლათინური ენით პოპულარული იყო არა მარტო ანტიკურ რომში, არამედ საშუალო საუკუნეებშიც და ახალ დროშიც. პუშკინი, მაგალითად, ოვიდიუსს სთვლის მათფლიო პოეტად და ქალის გრძნობათა საუკეთესო მცოდნედ. პუშკინი ოვიდიუსს ემყარება, როდესაც ამართლებს ახალგაზრდა მარიას ტრფობას მოხუც მაზეპასადმი.

---

ოქტავიანეს ხანას ეკუთვნიან აგრეთვე გამოჩენილი ელეგიკოსები ტიბულე (50 — 19 წწ.) და პროპერციუსი (49 — 15 წწ.), რომელთაგან მეორე უფრო მეტად ელინისტური, მეცნიერულობით დატვირთული ლირიკის ტყვეობაშია.

§ 148. ტიტუს ლივიუსი (59 წ. ძვ. წ. — 17 წ. ახ. წ. ოქტავიანეს ხანის ბრწყინვალე პოეზიას გვერდში უდგას მაღალი ლირსების მქონე მხატვრული პროზა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი. ლივიუსმა აღწერა რომაელთა ისტორიული თავგადასავალი რომის დაარსებიდან (ab urbe condita) I საუკუნემდე. თავის მოთხრობაში ლივიუსს ჩაქსოვილი აქვს მრავალი

აველი გადმოცემა ხალხში არსებული მხატვრული ქანრების შესახებ. რევორც მოქალაქე. ლივიუსი ძველი რესპუბლიკური წყობილების ამბობს წანა და დიდის სიყვარულით აღწერს რესპუბლიკურ ინატი-ტუტებას.

ლივიუსის ისტორია შედგებოდა 142 წიგნისაგან, რომელთაგან ჩვე-ნამდე მხოლოდ ერთი, ნაწილია მოღწეული.

**§ 149. იმპერიის ხანის რომაული ლიტერატურის ზოგადი მიმო-ხილვა.** ავგუსტეს დროიდან შექმნილი იმპერია, ბრიტანეთიდან ამიერკავკასიამდე გადაჭიმული, მომდევნო საუკუნეებში ინარჩუნებს თავის გარეგნულ სიდიადეს, მაგრამ შინაგან ვითარებაში უკვე ახ. წ. I საუკუნიდანვე იწყება მონათმფლობელური მეურნეობის კრიზისისა და დაშლის პროცესი. მასახლეობის უმრავლესობის უფუფლებობა და უქონებობა, გლეხების კაბალური დამოკიდებულება მსხვილ მიწათ-მფლობელთაგან, პროვინციის მმართველთა აღვირახსნილი თარეში და მოსახლეობის უკანასკნელი რესურსების გამოწოვა ახლად შექმნილი საგადასახადო სისტემის მეშვეობით — ყველაფერი ეს ქმნიდა საფუძ-ველს საყოველთაო აპათიისა და დემორალიზაციისათვის. „მცირეო-დენი, ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი პატრიოტული სულისა და აზრების მქონე ძველი რომაელები — ამბობს ფ. ენგელსი — მოიშო-რეს, ანდა დაიხოცნენ... დანარჩენები მოხარული იყვნენ, რომ შეუძ-ლიათ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან შორს დგომა. მათი ცხოვრების მიზნად იქცა ქონების მოხვეჭა, განცხრობით ცხოვრება, კერძო ჭო-რები და პირადი ინტრიგები“.

ასეთ ვითარებას შეეფერებოდა სათანადო იდეოლოგია, სათანადო ლიტერატურა. „ფილოსოფოსები — განაგრძობს ფრ. ენგელსი — ან უბრალო ფულის შშოვნელი სკოლის მასწავლებლები იყვნენ, ანდა მდიდარ მეტიჩართა ხარჯზე მყოფი მასხარები. თუ რა გამოდიოდა მათგან, როდესაც მათი საქმეები კარგად მიდიოდა, — ამის ნიმუშს წარმოადგენს ს ე ნ ე კ ა. ეს მოხუცი, სათნოებისა და მოთმენის მქადა-გებელი, ნერონის სასახლის პირველი ინტრიგანი იყო... ფილოსოფოს-თაგან მხოლოდ იშვიათად ზოგიერთი, როგორც მაგალითად, პ ე რ-ს ი უ ს ი, ამათრახებდა, ყოველ შემთხვევაში სატირით, თავის გადაგვა-რებულ თანამედროვეებს“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ. თბილისი 1937, გვ. 123 — 124.

ლუციუს სენეკა (დაახლ. 1 — 65 წწ.) სტოიკური მორალის მქადაგებელი პოეტი, ორატორი და საზოგადო მოღვაწე. არის ავტორი დრამებისა („ფედრა“, „მედეა“, „ოიდიპოსი“ და ს.წ. იხ. რუსულად: Сенка. Трагедии. М. Л. 1933) და ფილოსოფიური ტრაქტატებისა (მაგ., „რისხვის შესახებ“, „კეთილი საქმეების შესახებ“).

პერსიუსი (Aulus Persius Flaccus, 34 — 62 წწ.) სწერდა სატირებს, რომლებშიც ეხებოდა ერთი მხრით პოეზიის საკითხებს, ხოლო მეორე მხრით განყენებულ ფილოსოფიურ თემებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე უფრო მეტი წარმატება ჰქონდათ იმ მწერლებს, რომლებიც — პერსიუსის მსგავსად — გაბედულად გაილაშქრებდნენ იმდროინელი ცხოვრების სიმახინჯეთა წინააღმდეგ და მხატვრულ ფორმებში ასახავდნენ ქვეშევრდომ და ნაძირალ ადამიანთადმი ზიზღსა და სიძულვილს. იუვენალმა (Decimus Junius Juvenalis, დაახლ. 60 — 140) თავის სატირებში და მარციალმა (Marcus Valerius Martialis, დაახლ. 42 — 102) თავის ეპიგრამებში ღირსეულად შეასრულეს ეს დანიშნულება. სამუქლო და ახალ საუკუნეებში მათ მხატვრულ ოსტატობას დიდად აფასებდნენ მსოფლიო ლიტერატურის კორიფეები: ლომონოსოვი და პუშკინი, შილერი და გოეთე.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ამდროინდელი მხატვრული პროზა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსმა ტაციტუსმა „გენიალური ფუქსავატობის“ განსახიერებად მონათლა პეტრონიუსი (Caius Petronius Arbiter, გარდ. 65 წელს), ამან თავისი რომანით „სატირაიკონი“ სახელი გაითქვა მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც პარაზიტების და გამდიდრებული მონების საძულველ სახეთა დახატვის უზადლო ოსტატმა.

თანამედროვე ცხოვრების მართალი სურათი მოგვცა აპულიუსი (Lucius Apuleius, II საუკ.) რომანში „მეტამორფოზები“. ამ რომანის ერთი ნოველა („ამური და ფსიქეა“) მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შევიდა როგორც შედევრი.

რომაული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი ბრწყინვალე წარმომადგენელია ისტორიკოსი ტაციტუსი (Publius Cornelius Tacitus, 50 — 117 წწ.). მისი საისტორიო თხზულებები (Annales, Historiae, Agricola, Germania, Dialogus de oratoribus) ფაქტოლოგიური ისტორიის მხრით მაღალსაფეხურზე დგას, ხოლო ქვეყნების აღწერით, მოღვაწეთა დახასიათებით და ფსიქოლოგიური ანალიზით მხატვრული ლი-

<sup>1</sup> ასეთთავე სატირიკულ მიზნებს ემსახურებოდა ფედრუსი (I საუკ.), რომელიც თავის არაღებში პარაზიტებისა და მდიდართა უქნარობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მოღწეულია ფედრუსის 120 არაკი.

ტერატურის სიმალღეზეა. ფრ. ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევს ტაციტუსს, როდესაც ამბობს, რომ იგი უკანასკნელი იყო ძველი თაობის რომაელთაგან, რომელთაც შერჩათ საზოგადოებრივი ცხოვრების აკარგიანობის გარჩევის უნარი და მაღლა ეჭირათ კეთილშობილების დროშა.

დიდად აფასებდა ტაციტუსს მისი თანამედროვე პლინიუსი (პლინიუს უმცროსი, 61 — 113), რომელიც ცნობილია როგორც ორატორი და წერილების ავტორი.

---

## შინაარსი

შესავალი . . . . .	3 — 8
§ 1. ანტიკური ლიტერატურის ისტორიის მოცულობა . . . . .	3
§ 2. ანტიკური ლიტ. მნიშვნელობა მათელიო ლიტერატურაში . . . . .	4
§ 3. მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება და ანტიკური საზოგადოება . . . . .	5
§ 4. ანტიკური ლიტერატურის შესწავლის ისტორია . . . . .	7

### პირველი ლიტერატურა

#### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საბერძნეთი XIII — IV საუკუნეებში . . . . .	9 — 16
§ 5. ბერძენთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება . . . . .	9
§ 6. ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოება . . . . .	14

#### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბერძნული პოეზიის საწყისები . . . . .	17 — 20
§ 7. მხატვრული ეპიკის აღმოცენება და განვითარება . . . . .	17

#### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ჰომეროსის პოემები . . . . .	21 — 63
§ 8. „ილიადა“ . . . . .	21
§ 9. „ოდისეა“ . . . . .	33
§ 10. ჰომეროსის ეპოსი . . . . .	45
§ 11. ჰომეროსის საკითხი . . . . .	47
§ 12. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორის ვინაობა . . . . .	50
§ 13. ჰომეროსის პოემების ენა . . . . .	55
§ 14. დაქტილური ჰეგზამეტრი . . . . .	56
§ 15. დაქტილური ჰეგზამეტრის საწყისების საკითხი . . . . .	58
§ 16. ჰომეროსის მსოფლიო მწერლობაში . . . . .	58
§ 17. ჰომეროსის ჰიმნები . . . . .	60
§ 18. კიკლიკურა პოემები . . . . .	61

#### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

აღიქტიკური ეპოსი . . . . .	64 — 74
§ 19. ცვლილებები ბერძენთა ცხოვრებაში VIII ს. . . . .	64
§ 20. ჰესიოდეს ბიოგრაფია . . . . .	65
§ 21. „სამუშაონი და დღენი“ . . . . .	65
§ 22. „თეოგონია“ . . . . .	71
§ 23. ჰესიოდესადმი მაკუთუნებელი პოემების საკითხი . . . . .	73
§ 24. ჰესიოდე აველ ქართულ მწერლობაში . . . . .	74

#### თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ლირიკა: ელეგია და იამბი . . . . .	75 — 106
§ 25. ახალი პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობა . . . . .	75
§ 26. კალინე . . . . .	78
§ 27. ტირტეოსი . . . . .	79
§ 28. საბრძოლო ელეგია და ჰომეროსის ეპოსი . . . . .	80

§ 29. ელევჩის აღმოცენების ადგილი . . . . .	81
§ 30. ტერმინი „ელევჩა“ . . . . .	81
§ 31. ელევჩური დისტიქი . . . . .	83
§ 32. ელევჩის შემდგომი განვითარების გზები . . . . .	84
§ 33. არქილოტე პაროსელი . . . . .	84
§ 34. არქილოტეს ელევჩები . . . . .	85
§ 35. იამბიკური პოეზიის საერთო ხასიათი . . . . .	86
§ 36. იამბურ-ტრაქეული საზომები . . . . .	86
§ 37. არქილოტეს იამბები . . . . .	87
§ 38. არქილოტეს დამცინავი სიმღერები . . . . .	89
§ 39. მიმწერპე . . . . .	91
§ 40. სოლონი . . . . .	93
§ 41. აეოგნიდე მეგარელი . . . . .	98
§ 42. სემონიდე ამორგელი . . . . .	99
§ 43. ჰიპონაქტე ეფესელი . . . . .	102
კომიკური ეპოსი „მარგიტე“ . . . . .	105
§ 44. ელევჩისა და იამბიკის განვითარების საერთო გზები . . . . .	106

**თ ა ვ ი მ ე ე ქ ე ს ე**

<b>ლირიკა: მელიკა და ქორიკა . . . . .</b>	<b>109 — 136</b>
§ 45. ლირიკის ახალი დარგები . . . . .	109
§ 46. ეოლიური მელიკის განვითარება . . . . .	109
§ 47. ეუნქელი ლესბოსი VII — VI საუკუნეებში . . . . .	111
§ 48. ალკეოსი . . . . .	112
§ 49. საფო . . . . .	115
§ 50. ეოლიური ლირიკის საერთო ხასიათი . . . . .	123
§ 51. ანაკრონტი . . . . .	124
§ 52. ანაკრონტისებური სიმღერები . . . . .	127
§ 53. მელიკური პოეზიის სხვა წარმომადგენლები . . . . .	129
§ 54. საგუნდო მელიკა, ანუ ქორიკა . . . . .	129
§ 55. ღმერთთა სადიდებელი სიმღერები ღმერთთა ადამიანთა სადიდებელი სიმღერები . . . . .	130
§ 56. ქორიკის წარმომადგენლები (ბაქილიდე, პანდარე) . . . . .	131

**თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე**

<b>ტრაგედიის წარმოშობა და განვითარება . . . . .</b>	<b>139 — 148</b>
§ 57. ატიკის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა VI საუკუნეში . . . . .	139
§ 58. დიონისეს დრესასწაულები . . . . .	140
§ 59. ტრაგედიის წარმოშობა . . . . .	143
§ 60. ტრაგედიის კომპოზიცია . . . . .	146
§ 60. ა. ტეტრალოგიის სისტემა . . . . .	147

**თ ა ვ ი მ ე რ ვ ე**

<b>ატიკური ტრაგედიის წარმომადგენელი . . . . .</b>	<b>149</b>
§ 61. ატიკური ტრაგედია . . . . .	149
<b>I. ესქილე (525 — 456) . . . . .</b>	<b>150 — 170</b>
§ 62. ესქილეს ბიოგრაფია . . . . .	150



§ 63. ესქილეს ტრაგედიები . . . . .	150
§ 64. „მავედრებელი ქალბი“ . . . . .	151
§ 65. ტრილოგია „ორესტეა“ . . . . .	154
§ 66. „მიჯაქველი პრომეთე“ . . . . .	159
§ 67. პრომეთეს პრობლემა . . . . .	166
§ 68. ესქილეს სატირული დრამები . . . . .	166
II. სოფოკლე (496 — 406) . . . . .	170 — 184
§ 69. სოფოკლეს ბიოგრაფია . . . . .	170
§ 70. სოფოკლეს დასახურება დრამატურგიაში . . . . .	171
§ 71. სოფოკლეს ტრაგედიები . . . . .	175
„ანტიგონე“ . . . . .	176
„აიახტი“ . . . . .	181
„ოიდიპოს მეფე“ . . . . .	181
§ 72. სოფოკლეს სატირული დრამები . . . . .	183
III. ევრიპიდე (480 — 406) . . . . .	184 — 203
§ 73. ტრაგედიის განვითარების უკანასკნელი საფეხური . . . . .	184
§ 74. ევრიპიდეს ტრაგედიები . . . . .	185
„მელეა“ . . . . .	188
„იპოლიტე“ . . . . .	194
§ 75. ევრიპიდეს სატირული დრამები . . . . .	194
§ 76. ბერძნული ტრაგედიის სხვა წარმომადგენელი . . . . .	201
§ 77. ბერძნული ტრაგედია მომდევნო საუკუნეებში . . . . .	202

**თ ა ვ ი ზ ე ც ხ რ ე**

კომედიის წარმოშობა და განვითარება . . . . .	204 — 234
§ 78. კომედიის სამი საწყისი . . . . .	204
§ 79. ეპიკარმე სირაკუზელი . . . . .	206
§ 80. პრიმიტიული კომედია ატიკაში . . . . .	207
§ 81. კომედიის კომპოზიცია . . . . .	208
§ 82. ატიკური კომედიის უძველესი წარმომადგენლები . . . . .	209
არისტოფანე (446 — 388) . . . . .	210 — 222
§ 83. არისტოფანეს ბიოგრაფია . . . . .	210
§ 84. არისტოფანეს კომედიები . . . . .	210
§ 85. არისტოფანეს თანამედროვე კომიკოსები . . . . .	222
§ 86. საშუალო ატიკური კომედია . . . . .	222
§ 87. საშუალო კომედიის წარმომადგენელი . . . . .	225
§ 88. ახალი ატიკური კომედია . . . . .	226
§ 89. ახალი კომედიის წარმომადგენელი . . . . .	228
მენანდრე (343—292) . . . . .	228—236
„სამედიატრო სასამარალო“ . . . . .	230
„მოჭრილი ნაწნავი“ . . . . .	232
„ჰეროსი“ . . . . .	234
„მიწისმუშა“ . . . . .	235
„სამოსელი ქალი“ . . . . .	235

**თ ა ვ ი მ ე ა თ ე**

ბერძნული პროზა . . . . .	237 — 261
--------------------------	-----------

§ 90. ბერძნული პროზის განვითარებას პირობები . . . . .	237
§ 91. უძველესი ბერძნული ფილოსოფოსები . . . . .	239
§ 92. ბერძნული ფილოსოფიური პროზა V — IV საუკუნეებში . . . . .	243
§ 93. დემოკრიტე . . . . .	244
§ 94. პლატონი (427—347) . . . . .	245
§ 95. არისტოტელე (384 — 322) . . . . .	249
§ 96. საისტორიო პროზა . . . . .	251
§ 97. ჰეროდოტე პალიკარნასელი (484 — 425) . . . . .	258
§ 98. თუციდიდე ათენელი (დაახლ. 461 — 396) . . . . .	262
§ 99. ქსენოფონტე ათენელი (444 — 354) . . . . .	265
§ 100. რიტორიკული პროზის განვითარების პირობები . . . . .	270
§ 101. გორგია ლეონტინელი (483—375) . . . . .	271
§ 102. რიტორიკული პროზის დარგება . . . . .	273
ლისია (459 — 380 წწ.) . . . . .	274
ისოკრატე (436 — 338) . . . . .	276
დემოსთენე (384 — 322) . . . . .	277
§ 103. ბელეტრისტიკული პროზის ჩანასახი ელინურ მწერლობაში . . . . .	281
§ 104. ესოპეს იგავები . . . . .	281
§ 105. სოფრონის მიმები . . . . .	282
§ 106. ნოველები . . . . .	283

### თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა . . . . .	285 — 338
§ 107. ელინისტური პერიოდის განსაზღვრა . . . . .	285
§ 108. ეკონომიური კრიზისი IV საუკუნეში . . . . .	286
§ 109. საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ . . . . .	289
§ 110. ელინისტური მწერლობის ხასიათი . . . . .	290
§ 111. ელინისტური პოეზიის დარგები . . . . .	294
§ 112. ეპოსი და ეპილიონი . . . . .	295
აპოლონიოს როდოსელი (295 — 215) . . . . .	296
კალიმაქე კვირინელი (ca. 315 — 240) . . . . .	298
§ 113. ელინისტურა ლირიკის ორი მიმართულება . . . . .	303
§ 114. ელინისტური დრამა . . . . .	304
§ 115. ჰერონდა და მისი მნიშვნელობები . . . . .	306
§ 116. თეოკრიტე და მისი იდილიები . . . . .	308
§ 117. ელინისტური პროზის დარგები . . . . .	312
§ 118. ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობანი . . . . .	312
§ 119. ეპიკურე (342 — 271) . . . . .	313
§ 120. სტოელთა ფილოსოფია . . . . .	314
§ 121. საისტორიო პროზა . . . . .	315
§ 122. რიტორიკული პროზა . . . . .	322
§ 123. ბელეტრისტიკული პროზა და მისი სახეობანი . . . . .	325
§ 124. ლონგე, „დაუნისი და ქლოე“ . . . . .	327
§ 125. ისტორიული ბელეტრისტიკა . . . . .	331
§ 126. სატირა. ლუკიანე სამოსატელი (125 — 200 წწ.) . . . . .	332
§ 127. სამეცნიერო პროზა . . . . .	337

რომაული ლიტერატურა

თავი მეოთხეტი

რომაელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება VIII—I სს.	339—344
§ 128. ლატინები და მათი სახელმწიფო . . . . .	339

თავი მეცამეტი

უძველესი რომაული მწერლობა . . . . .	345 — 383
§ 129. რომაული ლიტერატურის ზოგადი ხასიათი . . . . .	345
§ 130. რომაული ხალხური პოეზია . . . . .	347
§ 131. რომაული ლიტერატურა III — II საუკუნეებში . . . . .	353
§ 132. ლივიუს ანდრონიკე . . . . .	357
§ 133. გნეუს ნევიუსი . . . . .	358
§ 134. კეინტუს ენიუსი . . . . .	361
§ 135. ორი ლიტერატურული მიმდინარეობა . . . . .	365
§ 136. პლავტე . . . . .	365
§ 137. ტერენციუსი . . . . .	375
§ 138. უძველესი რომაული პროზა. კატონი . . . . .	382

თავი მეოთხმეტი

პირველი საუკუნის რომაული ლიტერატურა . . . . .	384 — 396
§ 139. სოციალური ბრძოლა და სამოქალაქო ომები რომში . . . . .	384
§ 140. ლიტერატურული ცხოვრება პირველ საუკუნეში . . . . .	381
§ 141. ლუკრეციუსი . . . . .	385
§ 142. ვალერიუს კატულე . . . . .	392
§ 143. პროზა . . . . .	394

თავი მეთხთმეტი

ოქტავიანეს ხანის რომაული ლიტერატურა . . . . .	397 — 422
§ 144. პირველი საუკუნის ლიტერატურის ზოგადი დახასიათება . . . . .	397
§ 145. ვერგილიუსი . . . . .	399
§ 146. პორციუსი . . . . .	411
§ 147. ოვიდიუს ნაზონი . . . . .	417
§ 148. ტიტუს ლივიუსი . . . . .	419
§ 149. იმპერიის ხანის რომ. ლიტერატურის ზოგადი მამოხილვა . . . . .	420

**Семен Георгиевич Каухчишвили**  
**ИСТОРИЯ АНТИЧНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**  
(на грузинском языке)

რედაქტორი ი. შენგელია  
გამომცემლობის რედაქტორი ა. უორდანი  
მხატვარი ზ. გოგოლაძე  
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი  
ტექნიკური რედაქტორი გ. ჭოხაძე  
კორექტორი ნ. შიქაძე  
გამომშვები მ. ყულოშვილი

ბელოწერილია დასაბეჭდად 8/II-71 წ., ქალაქის  
ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 26,75. სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 25, 98.

ტირაჟი 4.000 შექვ. № 799.

ფახი 1 მან 84 კაბ.

გამომცემლობა «განათლება», თბილისი, კამოს ქ. №18.  
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

1971

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი  
- სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома  
Государственного комитета Совета Министров  
Грузинской ССР по печати.  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.